


# האנציקלופדיה

7

1968



# ტყეა

134

გამოცემის მეთორმეტი წელი

7

ივლისი

1968

თბილისი



ლიბრატორულ-მეცნიერული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი



საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო





# შინაქროსი

## პროზა

- 3. სერგო კლდიაშვილი. სირინოზი. მოთხრობა
- 15. გურამ დონანაშვილი. კოტე მასწავლებელი. მოთხრობა
- 26. გიორგი თელია. ენაქვიმბატი. მოთხრობა
- 34. მირონ ხერბიანი. დაბრუნება. მოთხრობა

## კოეზია

- 13. თეიმურაზ ჯანაშვილი. ჯემონი. ლექსები.
- 25. შალვა აბისულაშვილი. თავთუხების ათეული. ლექსი
- 31. ფოთულა ინაკოპულუ. „აგეროვის“ ეძო. ლექსი. თარგმნა გივი ძნელაძემ. დედა და შვილები. ლექსი. თარგმნა ნაზი კილასონიამ
- 60. თენგივ კაკაუშაძე. ლექსები
- 62. დილარ ივარდავა. ლექსები

## უცხოური ნოველა

- 64. სადუ ჰედაიათი. ძირეული დონეშანი. სპარსულიდან თარგმნა თენგივ კეშელავამ
- 69. ვოლფგანგ ბოტკოვიჩი. ეს ჩვენი მანიფესტია. ჰამბურგი. თარგმნა ნიკო დადიანამ.

## ნარკვევი

- 75. პეტრე შამათავა. ძველს გული ნახვებიანი.
- ჩვენი აღზრდილები
- 78. მირონ მესხიელი. არაგვისპირელი ქალისკვლევი

## 1818 წ. ბარათაშვილი 1968

- 82. გურამ ასათიანი. „მერანი“ და მისი ავტორი
- პრინციპა და კუზლიციხისტიკა
- 100. ზაქარია შველიძე. ლენინური წრეთვის სარდალი

- 105. გურამ კანაბა. ანა კალანდაძე
- 112. რეზო ყარაღაშვილი. ჰერმან ჰენს

## სადისკუსიო ტრიზუნა

- 122. ბაჩანა ბრეგვაძე. მცდარი თვალსაზრისი
- მეცნიერება
- 133. ოთარ ლორთქიფანიძე. „ვანის ქალაქი“

## იმ, სადაც კაკიტალი ბატონობს!

- 144. ვიტალი კოროტიჩი. ამოხანილი
- 148. ტიციან ბაგიჩის ხსოვნის საღამო
- სკორტი

- 149. ანდრო შორაენი. ფიქრები ქართულ ფიზიკურთა. დასასრული

- 154. „ისევ ვითამაშებ ნაპრემოვ“. საუბარი ჩიქურა ციალა არდაშელიამ.

## იუმორი

- 157. გურამ გომარეთელი. მაჩვი და მისი მკითხველები
- 159. ჟოველი მხრიდან

## მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარბიანი

სარედაქციო კოლეგია:

- გურამ ასათიანი,
- ბაკი ბაქრაძე,
- გივი ბეგაშვილი,
- გურამ გვარდუნიანი,
- მირაზ ელიოვიძე,
- პარლან კალაძე,
- კონსტანტინე
- ლორთქიფანიძე,
- ოტია პაპორია
- (პასუხისმგებელი მდივანი),
- ნუგზარ წერეთელი,
- ნოდარ წულუკიძე,
- ტარიელ შანთოია,
- სერგი შილაია,
- თამაზ შილაია,
- ლავა ჯანაშია.



## I

ზღვა და მწვანედ მორთული გორაკები მომხიბლავი იყო, მაგრამ ამ გარემოში სიმშვიდეს კი არა, უფრო დაღლილობას და მოწყენილობას გრძნობდა. ეს კიდევ არაფერი, ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს სიცარიელეში იმყოფებოდა.

თუ არ წვიმდა, დილიდანვე გავიღოდა სახლიდან, გაივლიდა ხეივანს და განაბირა ადგილზე, სადაც იშვიათად სერიანობდნენ მოავარაკენი, ფიჭვების ჩრდილში ერთხელევე შეგულებულ მერხზე ჩამოჯდებოდა.

მზიანში და უქაროში ზღვა წყნარი იყო. უსასრულო სივრცეში ჩათვლემილი უდაბნო. თუ ხანგრძლივად მიაჩერდებოდა ცისკიდურს, იქ, სადაც ზღვა და ცა ერთდებოდა, თეთრი კარავი ციალებდა ხოლმე. ჯერ მკრთალად გაიელებდა, თანდათანობით ხორცს შეისხამდა და მერე ისე დიდხანს იდგა, სულაც არ გავდა მოჩვენებას. კარგად იცოდა, რომ ეს მხოლოდ მირაჟი იყო, მაგრამ მაინც

სიამოვნებით უცქერდა. ზუნების ეს ახირებულება ართობდა კიდევაც და მარტოობის გრძნობას უნელებდა.

მირაჟის ამბავი არავისთვის უთქვამს. ყველაზე უფრო კი დას უმაღავდა... მან ხომ ყველაფრის გაზვიადება იცის და თუ ყური მოჰკრა, იფიქრებს, ძმის ჯანმრთელობა სავალალო მდგომარეობაშიაო, შეშფოთდება, მეგობრებს შესჩივლებს და მერე, ალბათ, ხმა დაირხევა: „გაიგეთ, რა დამართნია ზაალ გომარელს? ნერვიული შერყევა ემჩნევა, ფსიქიური დაავადების ნიშნები აქვს... საბრალო, თავს არ ზოგავდა, დამეგბს ათენებდა ძველ ფოლიანტებზე და სწორედ მაშინ, როცა დასასვენებლად მწვანე კონცხში იმყოფებოდა, გონებრივი მუშაობით გადაღლილობამ იქ იჩინა თავი. ახ, რა საწყენია!“

ამის წარმოდგენაზე გაეღიმა კიდევაც... არა, ღმერთმა ნუ ქნას, ეთერმა გაიგოს! ეთერი... სახელი კი, ღმერთო შეგცოდე, შეუფერებელი აქვს. ახალ-



გაზრდობაში დიხახც შეშვენოდა, მაგრამ ახლა... სამწუხაროდ, აღარაფერი შერჩა იმ წლებსა, როცა მართლა ჰაეროვანი იყო. ხანში რომ შევიდა, ისე დასრულდა, სიარულიც უჭირს. სანაპიროზე დახვავებულ კენჭებზე ორიოდ ნაბიჯის გადადგმაც ღლის და იმიტოლ კმაყოფილებდა, რომ ზღვას აივნიდან გადაჰყურებს... კაცმა რომ თქვას, დროც არა აქვს სასიარულოდ. შინამოსამსახურეს რომ მისთვის გული არ შესტკივა, იძულებულია გვერდში ამოუდგეს დედაკაცს და თვალს ადევნოს, როცა ის ღლის და შუადღის საუზმეს, მერე სადილსა და, ბოლოს, ვახშამს ამზადებს... ასთმაც აქვს, მაგრამ მალავს, რომ აწუხებს ხოლმე. თავისი სიცოცხლის დანიშნულებად ის მიაჩნია, რომ ყოველგვარად ხელი შეუწყოს ძმის ნორმალურად ცხოვრებას. ზოგიერთი ახირებულება რომ იცის ძმისა, ცდილობს არ შეზღუდოს და მხოლოდ ერთ რაიმეს მოითხოვს მისგან: ზუსტად დაცვას რეჟიმი, დანიშნულ საათზე ჭამოს და დაიძინოს... გაუთხოვრად დარჩენილმა და ათი წლით ძმაზე უფროსმა ეთერმა, დედის უცარი სიკვდილის შემდეგ, ხომ მშობლების მაგივრობა გაუწია. ქვიანი, მაგრამ რამდენიმედ მიზანტროპი, ის ხომ თავდადებულად ზრუნავდა პატარაზე და ბავშვობიდანვე ჩაუხერგა აზრი, რომ დიდად დავალებული იყო მისგან, რომ უფლება აქვს მოსთხოვოს შვილივით აღზრდილს არა მარტო პატივისცემა, სრული მორჩილებაც!... არა, დმერთმა დაიფაროს ყური მოჰკრას მირაჟის ამბავს! დე, კარავი თავისთვის ციალებდეს სივრცეში, ოღონდ კი ეთერმა არაფერი იცოდეს მის არსებობაზე. კმარა, რაც იმ თავგანწირულ აღამიანს გასაჭირი ადვას!

შუადღის საუზმემდე ზაალი საფოსტო განყოფილებაში წერილებსა და გაზეთებს მოიკითხავდა. ფოსტამდე ახლო იყო და ქუჩა ჩრდილიანი მიიშართებოდა, მაგრამ იმ მცირე მანძილის გავლაც ანერვიულებდა. არ სიამოვნებდა იმიტომ, რომ შუა გზაზე, — ამ ადგილს კი მხარს ვერ აუქცევდა, — იქ, სადაც

ეზოს სიღრმეში ჩანდა მწვანედ შეღებილი ერთსართულიანი ხის სახლი, ჭიკრის გვერდით მილურსმულ ფიცარზე იჯდა ვიღაც ქალაჩა კაცი, რომელიც ფატულს აგონებდა რატომღაც. არცთუ ძალიან მოხუცებულს, სახეზე მკაფიოდ ეტყობოდა, რომ სკლეროზი მორეოდა. სკლეროზი გადადებოდა მის გახუნებულ ტანსაცმელს და ლანდსაც კი, ღონემიხდილივით რომ გაწოლილიყო თავისი პატრონის ფეხებთან. კაუჭიან ჯოხზე ხელეზდაყრდნობილი უცნობი დაძაბული თვალებით მიშტერებოდა ხოლმე ცას, ხან ხეს, ხან საკუთარ ლანდს, თითქოს პირველად ხედავს და უკვიროს.

მიუახლოვდებოდა თუ არა ზაალი, ფიტული უეცრად შეიჩხებოდა და შეღწავლებდა:

— მოქალაქე, რომელი საათია?

მობუცს ხმაც სკლეროტული ჰქონდა. ფოსტიდან დაბრუნებისას გომარელი ნაბიჯს აუჩქარებდა, თითქმის ჩაუქროლებდა ჭიქარს, რომ დაღარაჩებულ ფიტულს დრო არ მისცემოდა ეკითხნა, მაგრამ ვერ იქნა და ვერასოდეს გაიარა ისე, რომ იგივე ხმა არ დასწეოდა:

— მოქალაქე, რომელი საათია?

ამის გაგონებაზე ნერვიულად გააქროლებდა და სანამ მოსახვევს მიიღწევდა, მუდამ ის შემაწუხებელი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს კვალდაკვალ მისდევდა შუბისებერ უსიცოცხლო ორი ცივი თვალი.

ერთხელ, დილით, ზაალმა გაბედა და უთხრა დას:

— მე მგონია, საკმარად დავყავით აგარაკზე. თვეზე მეტია, აქ ვართ. თუ მკითხავ, სავსებით საკმარისია...

ეთერმა წაუყრუა.

— არ დაგიმალავ, ქალაქი მომენატრა. უსაქმოდ ყოფნა ცუდად მოქმედებს ჩემზე... როცა არაფერს აკეთებ, უნებურად პირისპირ რჩები საკუთარ თავთან და მარტობას განიცდი. ვერ წარმოიდგენ, რა დამტანჯველი გრძობაა... სიამოვნებით დაუბრუნდებოდი ჩემს სამუშაო მაგიდას...

ეთერი ღუმდა.



ზაალი იძულებული გახდა პირდაპირ ეთქვა:

— კიდევ მთელი თვე ამ ყრუ ადგილზე? არა, ეს აუტანელი იქნება ჩემთვის. რაც მალე წავალთ, მით უკეთესია. თუნდაც ხვალ...

ეთერმა ბოლოს თვალი შეავლო:

— შენთვის საჭიროა ზღვის ჰაერი, — მშვიდად თქვა, მაგრამ ისეთი კილოთი, რის შემდეგ შეკამათება წარმოუდგენელი იყო. თქვა და საათზე ანიშნა, საუზმის დრო დადგაო.

პირველი შემთხვევა იყო ბოლო წლების მანძილზე, როცა მან არავითარი ანგარიში არ გაუწია ძმის სურვილს. პირველი და, ამიტომ ცოტა საკვირველიც ზაალისთვის. — „მეტი ძალა არაა, უნდა დავრჩე“, — ბედს დამორჩილდა და მერე ისიც გაიფიქრა: თავისი რომ გაეტანა, ეთერს ამით შეუტრაცყოფას მიაცუნებდა. ის ხომ ძმაზე ზრუნავდა, მხოლოდ მასზე ფიქრი აიძულებდა უჩივლელად აეტანა მრავალგვარი გასაქირი, რომელიც აგარაკზე ყოფნას თან სდევს. გაზაფხულის მიწურულიდან სულ რჩევა-რჩევამი იყო, სად წაეკვანა. ზაალი, რომელმაც ერთხელ გულის ნეკროზზე ჩამოაგდო სიტყვა. ქართული აგარაკების ამბავი რომ კარგად იცოდა, ყველაფრით მომარაგებული ჩამოვიდა. არ დაიზარა წამოეღო ჭურჭელი, ჩაიდნები, ელექტროღუმელები, ბატარა ქვამბებიც. გაწვალდა, თავი არ დაზოგა. და ყოველივე ამის შემდეგ აიძულო ნავარაუდევზე უფრო ადრე აიყაროს, ეს ხომ ადამიანის აბუჩად აგდებას უდრის! და მერე ვისი!

გომარელს სიტყვა აღარ დაუქრავს ქალაქში დაბრუნებაზე და იმ დღიდან ყველაფერი ძველებურად წარიმართა. ისევ მომამზერებელი ერთფეროვნება, ისევ მოწყენილობა და სიცარიელის გრძნობა... მადეძარას ზარზე პირველი საუზმე, აივნიდან ეთერმა ამინდი შეამოწმა, გააცილა წარადისკენ მიმავალი, იქ კი ისევ ის, რაც გუშინ და გუშინწინ, — მინავლებული ზღვა და, როგორც ყოველთვის, თეთრი კარავი დასალიერზე...

იმ დილით მეორე უცნაურობა მოხდა: მზიანი იყო და მაინც არ გამოჩნდა კარავი... იქნებ ადგილი იცვალაო, თვლებით ყველგან მოიფათურა და უეცრად დაინახა, რომ ზღვაში ვიღაც ცურავდა. ისე შორს იყო, ოდნავ ჩანდა.

— „თავზეხელაღებული ვინმეა“, — გულში თქვა და არ ესაიამოვნა, რომ ადამიანი ძალიან დაცილებოდა ნაპირს. ეს ხომ ერთგვარი გაჯიბრება და ფაშილარობაც იყო სტიქიონთან, რომელმაც არავითარი შეზღაურება არ იცის.

ზღვის თვალთვალი, ალბათ, მალე მობეზრდებოდა ზაალს, ერთ გარემოებას რომ არ მიექცია მისი ყურადღება. ამ წუთებში ისე ეჩვენა, თითქოს რაღაც ცვლილება მომხდარიყო ზღვის პერსპექტივაში. სხვა დროს უსასრულო ლურჯი უდაბნო, მუდამ ზვიადი და გორგოზი, ახლა როგორღაც მოთვინიერებულყო, თითქოს ალერსიანიც გამხდარიყო და ხალისითაც დაპყოლოდა გაბედულის ნება-სურვილს.

ღამით ცა მოიკუბრა. ხშირად ელავდა, ქუხდა და კოკისპირულად მოწვიმა. ორი დღე-ღამე ბობოქრობდა ზღვა, ტალღები ნაპირზე გადმოდიოდნენ და ახრიალებულ ქვიშას თავის სიღრმეში მიათრევდნენ.

მესამე დილას გამოიღარა და, როგორც ყოველთვის, ზაალმა ფიქვნასს მიაშურა. ჩამოგდა თუ არა თავის მერზე, დაინახა, რომ აქოჩრილ ტალღებში, არც თუ შორს, ქალი დაცურავდა. მიჩერდა და ენიშნა, — ის უნდა ყოფილიყო, ვისაც წინა დღეებში ხედავდა. ხან მხარტულით, ზოგჯერ გულადმა გაწოლილი მისრიალებდა, ჩაყვინთავდა, ფეხებით უფათქუნებდა და ეთამაშებოდა წყალს.

— „ზღვის ალია, ნამდვილი სირინოზი!“ — გაღიმებული, ხან შეფიქრიაწებული უყურებდა ზაალი.

შუადღის საუზმეს რამდენიმე წუთი

სმარტო კლდისაზვილი  
სირინოზი



აკლდა... ეთერი, ალბათ, უკვე აივანზე დგას და ელოდება...

ის იყო შინ დაბრუნება დააპირა, ნაპირისკენ გამოსცურა ქალიშვილმა, მალე კიდევაც ფეხი დადგა ქვიშნარზე, გადაიცვა და ხეივანისკენ წამოვიდა. მოაბიჯებდა ნელა, ფრთხილად, თითქოს უჭირდა ხმელეთზე სიარული, ხელებსაც იშველიებდა ხოლმე და მკლავების ქნევით წონასწორობას იცავდა. რამდენიმე წუთის წინ ზღვაში ის სულ სხვანაირა იყო, — თამამი, გახარებული, უკიდევანო სივრცით მოხიზლული და თავდავიწყებამდე მისული, — ახლა კი, მოდუნებული, მძიმედ მოითრევდა ტანს, თითქოს უცხო და უჩვეველი ყოფილიყო მისთვის მიწა, თითქოს მხოლოდ ზღვაში საცხოვრებლად გაჩენილიყო. თითქოს მართლაც არამიწიერი არსება არისო, მხოლოდ მაცნე სამყაროა, ადამიანთა მიწაზე იმიტომ გამოსული, რომ თვალი ახლოდან შეაეღოს და მოსინჯოს, რა არისო მწვანე მცენარეებით მოკაზმული გარემო... იქნებ ეს განმეორება იყო უძველესი თქმულებისა, თუ როგორ დაიწყო სიცოცხლე დედამიწაზე? სწორედ ისე, როგორც იმ ბირველმა ადამიანმა, ახლა ამ გოგონამ ბირველად გადმოაბიჯა ხმელეთზე... თუ ასეა, კეთილი იყოს შენი მოსვლა, მშვენიერო მიონავ! ჩვენი დედამიწა წარბტაცია და მრავალ საკვირველს ნახავ აქ, ის ბევრად უფრო მრავალფეროვანი და მიმზიდველია შენს მრისხანე სტიქიონთან შედარებით!

ზაალი დაუფარავი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა და კიდევაც სიამოვნებდა, რომ ქალიშვილი უახლოვდებოდა... აი, თურმე, როგორი ყოფილა ის, ვინც აგერ რამდენიმე დღეა მის ყურადღებას იქცევს და ვის გამოც არაერთხელ შეშფოთებულა!

ქალიშვილმა შეამჩნია, რომ მამაკაცი თვალჩაივლებით უცქერდა, უნებურად დაიმორცხვა და როცა მერხთან გაიარა, გაუბედავი ღიმილით, ანგარიშმიუცემლად თავი დაუკრა. ზაალისთვის ეს მოულოდნელი იყო, მაგრამ საბაბი მიეცა გამოლაპარაკებოდა და დაეტუქსა:

— თქვენ ძალიან გაბედული გოგონა ყოფილხართ, — მიმართა ოდნავ მკაცრად, — მაგრამ გირჩევთ, აგრე ნუ გაუთამამდებთ ზღვას...

მის სიტყვებში ქალიშვილმა მზრუნველობა და ამასთანავე მოწონებაც იგრძნო.

— არა, ბატონო, მე ხომ არც ისე შორს შევდივარ წყალში... — მოკრძალებულად შეხედა, შეჩერდა, ესიამოვნა ფიქვების ჩრდილში სიგრილე და უფრო მიუახლოვდა ზაალს. — ხელს ხომ არ შეგიშლით, თუ ცოტა ხნით აქ შევისვენებ?

— დაბრძანდით, — შესთავაზა ზაალმა და თვითონაც ჩამოჯდა. — ეს მერხი მარტო ჩემი კი არ არის...

— მხოლოდ თქვენია, — თქვა ქალიშვილმა, — მუდამ მარტო ზიხართ აქ... მე იქიდან გხედავთ ხოლმე და... — შეყოყმანდა, მერე გაბედა: — თქვენ ჩემთვის ერთგვარი შუქურა ხართ, კავშირი ნაპირთან...

— აი, თურმე, რა ყოფილა! — თქვა ზაალმა.

ქალიშვილი შეცბუნდა: — ხომ არ გეწყინათ, შუქურას რომ შეგადარეთ?

— არა, ჭირიმე! აბა რა საწყენია, როცა შუქურად მიგიჩნევენ! — გაეცინა ზაალს.

— მე კი ვიფიქრე, ბატონო ზაალ, ტუტუცად ჩამთვალეთ, — ყრუდ ჩაილაპარაკა ქალიშვილმა.

— საიდან იცით ჩემი სახელი? — გაუკვირდა გომარელს.

— თქვენ ვინ არ გიცნობთ, ბატონო ზაალ...

— არა, მაინც საიდან?

— აქ მითხრეს, რომ საავარაკოდ ჩამოსულხართ. მანამდე კი მხოლოდ შორიდან გიცნობდით. არაერთი თქვენი წიგნი წამიკითხავს...

— რასან ჩემი ვინაობა გცოდნიათ, თქვენიც გამაგებინეთ, — ხელი გაუწოდა ზაალმა.

ქალიშვილი აღმოჩნდა ახალბედა გეოლოგი ნანა გელაშვილი. უთხრა ისიც, რომ ჩამოვიდა ქალაქიდან და ცხოვე-



რობს ნათესავთან, აი ამ წარაფის გა-  
დაღმა.

— მაშ თქვენ ქალაქიდან ჩამოხვე-  
დით? — თითქოს ნაღვლიანად შეხედა  
ზაალმა. — მე კი მეგონა, სირინოზი  
იყავით და კარაფში გედოთ ბინა...

ნანას ვერ გაეგო, რას ეუბნებოდა და  
გომარეულმა უამბო იმ მირაჯზე, რომელ-  
საც ხშირად ხედავდა ზღვაში.

— სირინოზი განა ზედაპირზე ცხოვ-  
რობს? მისი ბინა წყლის სიღრმეშია, —  
გაიღიმა ქალიშვილმა.

— ჰო, მაგრამ არც კარავი ჩანს ყო-  
ველთვის. თქვენ ის, ალბათ, ხან ქვევით  
ჩაგაქვთ, ხან ამოატივტივებთ, როგო-  
რადაც ყინი მოგივლით, იმის მიხედ-  
ვით... — ზაალი ხუმრობით ელაპარაკე-  
ბოდა და უფროსისათვის ჩვეული  
მფარველური კილოც ემჩნეოდა, სწო-  
რედ ისეთი, პატარებს რომ მიმართავენ  
ხოლმე და ილუზიას უქმნიან, თითქოს  
მათ შორის ასაკობრივი განსხვავება არ  
არსებობდეს.

ნანამ ხშირად გაიცინა:

— არა, სირინოზთან საერთო არაფე-  
რი მაქვს. არც კული, არც თევზის ქერ-  
ცლი, როგორც ხედავთ!

— არ მჯერა! — განზრახ სერიოზუ-  
ლი გამომეტყველება მიიღო ზაალმა, —  
მე კარგად გხედავდით ნაპირიდან,  
ლურჯი ფერის თმა გქონდათ და თვა-  
ლებიც ისეთი...

— დმერთო ჩემო, 'ლურჯი ფერის'?  
ახლა ხომ დარწმუნდით, რომ თმა და  
თვალები სულ სხვა ფერის მაქვს?

— ლურჯი ფერის იმას აქვს, ვისაც  
შორს ზღვაში ვხედავ ხოლმე, — ჩუმად  
თქვა ზაალმა. — მე მინდა ისევ ძველი  
წარმოდგენა მქონდეს თქვენზე.

— გული გაგიტყდათ, ნამდვილი რომ  
მნახეთ? — მორიდებული კოკეტობით  
იკითხა ნანამ.

— აბა რას ამბობთ! — გამოცოცხლ-  
და ზაალი. რა თქმა უნდა, თქვენ ის მი-  
ონა ხართ და ტყუილად ცდილობთ სხვა  
ვინმედ მომაჩვენოთ თავი... ოღონდ,  
გთხოვთ, ნუ გაუთამამლებით ზღვას. გა-  
მოგიტყდებით, მუდამ ვეღვავ, როცა  
ისე შორს ხართ.

— ვიცი, იქიდან ვამჩნევ ხოლმე, რე-  
თველს მადგენებთ...

— მიჯაგრელებით ამისათვის?

— ოი, არა! კიდევაც მიხარია! — წა-  
მოიძახა ნანამ. — ხალისი მემატება და  
უფრო შორს მინდა გავცურო!

— მერედა, რად შევებით მაგას?

— თუნდაც იმიტომ, რომ თქვენ გა-  
გაკვირვოთ.

ზაალმა კოპები შეიკრა:

— თუ აგრეა, აღარ გამოგჩნდები აქ!

— აი, თქვენ გუშინ არ მოსულხართ,  
მე კი... — ნანა გახარებული იყო, რომ  
გომარეული მასზე მზრუნველობას იჩენდა  
და მეგობრულად ესაუბრებოდა. — მე  
კი სულ აქეთ მეჭირა თვალი და თქვენს  
გამოჩენას ველოდებოდი.

— როგორ თუ გუშინ? იმ ღელვაში?

— ის რა ღელვა იყო! უფრო დიდ  
ტალღებში შევსულვარ ხოლმე! —  
ჯულუბრყვილოდ დაიკეხნა ნანამ.

— ეგ უკვე ნამეტანია! — მერხიდან  
აღდა ზაალი. — დღეიდან აქ ველარ მნა-  
ხავთ... სულაც არ მინდა თქვენი და-  
ღუბების მიზეზი გავხდე!

— ნუ, ნუ იხამთ მაგას! — აღდა ნა-  
ნაც. — აქ ხომ თქვენი საყვარელი ად-  
გილია. ძალიან გთხოვთ, ყოველდღე  
მოდიო!

— მხოლოდ ერთი პირობით, — კუმ-  
ტად თქვა ზაალმა, — თუ ნაპირს დიდ-  
ზე არ დამოორდებით!

საათს დახედა, დაყოვნების დრო  
აღარ იყო და აჩქარდა. ისინი ერთად  
დააღვნენ გზას და მალე წარაფის ბო-  
ლოს მიადწიეს.

— მაშ ხვალიდან ჩემი გამგონე იქნე-  
ბით, არა? — დამეშვიდობა ზაალი. —  
შევთანხმდით?

— შევთანხმდით! სიტყვა სიტყვაა! —  
ხალისიანად დაპირდა ნანა.

იმ დღეს პირველი შემთხვევა იყო,  
რომ ზაალს საუზმეზე მისვლა დაუგვი-  
ანდა. ეთერი საყვედურით შეხვდა, მაგ-  
რამ ალერსიანი მოზოდიშებით ზაალმა  
გამოისყიდა დანაშაული, დაამშვიდა, მა-

სერგო კლდიაშვილი  
სირინოზი

შიწვე მიუჯდა სუფრას და არც ერთ კერძზე უარი არ უთქვამს. უარი კი არა, მაღიანად ილუქმებოდა და, კარგ გუნებაზედაც რომ იყო, ეტყობოდა თვალეზში, რომლებშიც თითქოს სხივი ჩადგომოდა.

●  
 მთელი შემდეგი კვირა ეთერი დიდად კმაყოფილი იყო... ჰო, ცდამ ფუქად არ ჩაუთარა, კეთილი ნაყოფიც გამოაღო... მისთვის სამჯსოვრო იმ ერთ დილას, როცა ზაალმა თბილისში დაბრუნების სურვილი განუცხადა, ეთერი, კინაღამ წავიდა დათმობაზე და მხოლოდ უკანასკნელ წუთში შეიკავა თვინი, რომ ძმის კაპრიზს არ დამორჩილებოდა. მაშინ რომ ზაალს სიმტკიცე გამოეჩინა და დაეჩინებულად მოეთხოვა წაველა, აღარ გაუწევდა წინააღმდეგობას და ახლა უკვე დიდი ხნის ჩასული იქნებოდნენ ქალაქში. მაგრამ, მიღობა ღმერთს, აღარ უხატრა და, აი, ყველაფერი სასურველად წარიმართა. ზაალი ახლა შეუდარებლად უკეთ გრძნობს თავს, გამოცოცხლდა, და რაც მთავარია, დილიდანვე, განსაკუთრებით კი ფიქვების წარაფიდან დაბრუნებისას, ყოველთვის ისეთი მადა აქვს, როგორც ფიზიკური შრომის შემდეგ მოწივებულ ჯანმრთელ მამაკაცს...

ზაალის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილება ეთერმა იმას მიაწერა, რომ ზღვის პავამ თავისი კეთილი გავლენა მოახდინა... ჰო, სავსებით გაუმართლდა იმედი! აგერ ერთი კვირაა არ შეუწინააღმდეგებელი სახეზე სევდიანი ჩრდილი, რომელიც წინათ ბევრჯერ გადატურბენდა ხოლმე სახეზე. ეგ კი არა, ისეთი ზალისი მიეცა, რომ ზაალი ახლა თავის გარეგნობასაც მეტ ყურადღებას აქცევს. აი, გუშინ, მაგალითად, ნაცრისფერი შარავალს ტილოს თეთრი შარვალი აჩნია, ოუქც უკანასკნელი ისე მალე ისერება, რომ დილით ჩაცმული, საღამო ხანს გასარეცხი ხდება და შინამოსამსახურე გული-სამრევად ბუზდუნებს ამის გამო... ჰო, არა მხოლოდ გაჯანსაღდა, სულიერადაც აღორძინდა, თითქოს ახლად იშვა. რა

თქმა უნდა, ეს ასეა, ეთერი ხომ აქამდე ფერში არ მოტყუვდება და, გულში უზისო თითქოს, უცბადვე ყოველივეს მიუხვდება, ხმაზედაც შეატყობს თავის აღზრდილს, რა გუნებაზეა, თვითეული მისი მოძრაობა. უბრალოდ ხელს ჩაქნევა ყველაფერს უმაღვე გააგებინებს... რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ იმავე წუთში არ იგრძნოს ძმის განწყობილება და უცბადვე არ გამოიცნოს მისი საიდუმლო! ზაალი მუდამ ზოგავს და ცდილობს აარიღოს საწყენის გავებას, ზოგჯერ ისე მოაჩვენებს თავს, თითქოს არაფერი აწუხებდეს, მაგრამ ეთერი, აბა, რის ეთერია, თუ მაშინვე არ მიუხვდა რა რამე გამოებარა! დიახ, ფუქად არ ჩაუთარა შრომამ, გაუმართლდა იმედი!

●  
 ნანასთან შეხვედრა და საუბარი ნოთხოვნილებად გადაექცა ზაალს. როგორც კი მოათავებდა დილის საუზმეს, თითქოს საშური საქმე ჰქონდა, მაშინვე თავის მერხისკენ გასწევდა. გასცდებოდა თუ არა ხეივანს, თვალეზი ზღვისკენ გატურბოდა და ყურადღებით მოსინჯავდა იმ ადგილს, სადაც ნანა ეგულბოდა. დიდხანს ძებნა არც სჭირდებოდა, წუთი და, უკვე გარკვევით ხედავდა, როგორ დაეცურებოდა წყალში ის დაუდგარი გოგონა. უყურებდა, თვალს არ აცილებდა, მაგრამ ახლა შინში აღარ ჰქონდა, რომ მას, ვინც მართლაც სირინოზივით ნავარდობდა საშინო მორევში, შეიძლებოდა რაიმე უბედურება მოსწეოდა. ეჩვენებოდა ხოლმე ისიც, რომ მათ შორის უხილავი რაღაც კავშირი იყო გამბული და რომ სწორედ ამის გრძნობა ათამამებდა და თავის ძალაში რწმენას აძლევდა სტიქიასთან შეთანხმებულ ქალიშვილს.

ზღვაში ნავარდით რომ გულს იჭერებდა, ნანა, ბოლოს, ხელის ერთი ძლიერი მოქნევით შემოტრიალდებოდა. ნაპირისკენ აიღებდა მიმართულებას, ჩვეულებრივზე სწრაფად გამოსცურავდა და, როგორც კი ხმელეთზე ფეხს მოიკიდებდა, მერხისკენ გაეშურებოდა.

— ამჯერად კი აუცილებლად გაეუწყ-



რები, რომ დაპირებულ სიტყვას არ ასრულებს და შორს შედის წყალში! — სანამ ნანა მერხამდე მოაღწევდა, მუღამ თავის თავს ეუბნებოდა ზაალი.

მაგრამ მაინც ყოველთვის ავიწყებოდა თავისი მუქარა. ან კი როგორ შეიძლებოდა გულიდან არ გადავარდნოდა, როცა ნანა ახლო მოვიდოდა თუ არა, შეანათებდა თავისი თითქმის ბავშვური სიწმინდით საესე თვალებით, მოვიდოდა და თან მოიტანდა ზღვის სურნელებას და მის პირველყოფილების სიწმინდეს. რამდენიმე წუთს ისინი ისხდნენ ჩრდილში, მერე დაადგებოდნენ გზას და წარაფის ბოლოში დაემშვიდობებოდნენ. რომ ხვალ ისევ შეხვედროდნენ ერთმანეთს.

ასე მეორედებოდა მთელი იმ ცვირის განმავლობაში და ზაალი ისე შეეჩვია ამას, რომ ვერც წარმოედგინა, თუ შეიძლებოდა სხვაგვარად დაწყებულიყო დღე. ასე მეორედებოდა ყოველი დღე და ეს გახდა არა უბრალო აჩემება და მიჩვევა, არამედ აუცილებელი დამუხტვა იმისათვის, რომ მერე, დაძინებამდე, მზნედ და ხალისიანად ყოფილიყო.

II

ეს იყო პარასკევს, დილით. წინა დღეებისაგან განსხვავებით ნანა აღრე ამოვიდა ზღვიდან. როგორც ყოველთვის, ზაალი გაპყვა წარაფის ბოლომდე, სადაც ისინი ჩვეულებრივად ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ საუზმემდე ვერ კიდევ ბევრი დრო იყო დარჩენილი და გადაწყვიტა განეგრძო გზა ნანასთან.

მალე ჩაიარეს მთავარი ქუჩა და, როგორც კი კურორტის განაპირა უბანს გასცდნენ, ლერწმის შამში დაიწყო. პატარა, ხშირ ტყეში გრილოდა და შტოები ალავ ისე გადაბმოდა ერთიმეორეს, ბილიკი აღარ ჩანდა.

გზას ნანა მიიკვლევდა და ხანდახან იძულებული ხდებოდა ხელი ჩაეკიდნა მცენარეებში განსლართულ თანამგზავრისთვის, რომ სამშვიდობოში გაეყვანა.

— მე დამენდეთ, მომყევით! — ისმოდა ხოლმე მისი შემავლუიანებელი ხმა.

ზაალი დარცხვენილი იყო თავის უილაჯობის გამო და, სულ უმწეო რისხვით არ ჩვენებოდა ქალიშვილს, ნამალადევი ალტაცებით წამოიძახებდა ხოლმე:

— ნამდვილი ტევრია, პირდაპირ ისეთი, ველური ბუნების პირველალმომჩენებს რომ უნახავთ!

— ერთი თქვენც, ისე გიკვირთ, თითქოს მართლა ჭუნგლებში ვიყოთ! — იცინოდა ნანა.

ქალაკი თანდათან გამეჩხერდა და ვანიერი ბილიკით სიარული უკვე სასიამოვნოც იყო. ზაალმა ჭუნგლებზე ჩამოავლო სიტყვა და, როგორც თვითონ ეგონა, ხატოვანდ უამბო იმ პირველყოფილების თავისებურ სილამაზეზე. ნანამ ბოლომდე მოუსმინა და მერე ღიმილით უთხრა:

— ოხ, რა მაღალფარდოვანი ლაპარაკი გუყვარებით, თითქმის იმგვარი, ცრუკლასიკურ ტრაველიტში რომ იცინან!

გომარევი დაიბნა. ნანამ ეს უმალვე შეამჩნია, მაგრამ უკან აღარ დაიხია: — გარდა ამისა, ისე მიამბობლით, რომ გეტყობათ, მხოლოდ წიგნებში წაკითხულით წარმოგიდგენიათ რა არის ტყე და, საერთოდ, ბუნება...

— თქვენ ძალიან მკაცრი ყოფილხართ! — წაიბუტბუტა ზაალმა.

— აკი მიჩვენდით ამასწინათ, ყოველთვის გულახდილი ვიყო! ამიტომ მეგონა, რომ... — ცოტა არ იყოს, შეცბუნდა ნანა.

— არა, სრულიად არ მწყენია! — შეეცადა ზაალი გაქარვებია მისი უხერხულობა. — მეტსაც გეტყვით, მართალი ხართ!

— რახან აგრეა, ვათამამდა ნანა, — არც იმას დავგიმალავთ, რომ ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს საათთაქო სასწორზე სწონითო თვათიულ სიტყვას, სანამ ხმამალა გაიმეტნდეთ, თითქოს კიდევაც შიშობთ თქვათ რაიმე... არც ამაზე მიჯავრდებით?

— არა, რა თქმა უნდა, არა! — გულ-

სიგო კლდიაშვილი  
სირინოვი



ღიწთ იცინოდა ზაალი. — მუდამ ავე-  
თი პირდაპირი უნდა იყოთ. თურმე მეც  
ბევრი რამ უნდა ვისწავლო თქვენგან!

ის მართლაც არ იყო ნაწყენი. ეგ კი  
არა, ისე ეჩვენა, ნანა რომ თანასწორი-  
ვით მიმართავდა, ამ ამბავმა წაშალა მათ  
შორის ზღვარი, რომელიც აქამდე ბორ-  
კავდა და გადაუღახველად მიაჩნდა.  
წაშალა და, როგორღაც, დაახლოვა კი-  
ლევაც ერთმანეთთან.

— თქვენც ნუ დამზოგავთ, ნურა-  
ფერი დამიფარავთ ხოლმე, — თქვა ნა-  
ნამ.

— მაძლევთ ამის უფლებას?  
— ამისათვის რა უფლებაა საჭირო...  
წინ უფრო თქვენთვის!..

— კეთილი, ვისარგებლებ ოდესმე! —  
ჩაილაპარაკა ზაალმა.

— ოი, რა კარგია! — ისეე გახალის-  
და ნანა. — ახლა კი გამიგონეთ, ერთი  
აზრი დამებდა... იქნებ მართლა შევძლო

და გამოვდგე თქვენს მასწავლებლად.  
თქვენი ავარაკისა და მერხის გარდა აქ  
აზსად ყოფილხართ. მინდა კონცხის მი-  
დამოები გაჩვენოთ. ღმერთმანი, კმაყო-  
ფილი დარჩებით... ვაკვივონიათ რაიმე  
მებაღურთა ახალშენზე? ცხადია, არა-  
ფერი... ჯერ იქ წავიდეთ, ნავით სულ  
ახლოა, ბევრს ისეთს თქვენითვის უცხოს  
ნახავთ, ვერც ერთ წიგნში ვერ ამო-  
იკითხავდით. მერე გაჩვენებთ უძველეს  
შუქურას ნაშთებს, გარემო სოფლებს,  
ბლანტაციებს. რამდენიმე საათში და-  
ვივლით მანქანით...

ლერწმიანს გასცდნენ და მწვანედ  
გაშლილ ვაკეზე გავიდნენ. მინდვრის  
ბოლოში ამართულიყო გორაკები, რომ-  
ლის კალთებზე ჩაის ბუჩქები ხარობდა.

— ეგერ სახლიც, სადაც მე ვცხოვ-  
რობ! — ფერღობის ძირზე ანიშნა ნანამ.

ზაალს უნდოდა ეთქვა, რომ დილად  
მოსწონდა აქაურობა, მაგრამ დღემილი  
არჩია. შიშობდა, ისეე რაიმე მალა-  
ფარღოვანი არ დასცდნოდა. ერთხელ  
კიდევ მიმოიხედა და ჩუმად, გაუბედა-  
ვად თქვა:

— კარგია! ღმერთმანი კარგია!  
უეცრად ნანამ წაიძრო სანდლები და  
ფეხშიშველმა გაიარა მოღზე. ჯერ რამ-

დენიმე ნაბიჯი გადადგა, მერე სწრაფად  
გაექანა წინ, შემოირბინა წრე, გული  
იჭერა და დაბრუნდა.

— რომ იცოდეთ, რა სიამოვნებაა,  
როცა ტიტველი ტერფით ეხები მი-  
წას! — აჩქარებით სუნთქავდა, მზემო-  
კიდებული სახე სიხარულით და ახალ-  
გაზრდული სიფიცხით განათებოდა.

ზაალმა სახლამდე გაცილება დააპირა,  
მაგრამ ნანამ გადაათქმევინა:

— მზე შეგაწყუხებთ ამ ტრიალ მი-  
ნდორზე. თქვენ ისედაც ბევრი გაიარეთ.  
არ დაგავიწყდეთ, ხვალ მებაღურებთან  
მივდივართ... მამ ღილაქის! — ხელი  
გაუწოდა ნანამ. — ჰო, მართლა, ჩაი-  
ვით რაც შეიძლება უბრალოდ და, რაც  
მთავარია, ქილოფის ქუდი დაიხურეთ.  
არ გაქვთ? მე მოვიტანთ!

სანდლები ხელში დაიკავა და ბალახ-  
ზე გავლით წავიდა.

ავარაკისკენ ზაალი კარგ გუნებაზე  
გაბრუნდა. მიდიოდა ისე, თითქოს ჩი-  
ნოხსნოდა ტვირთი, აქამდე რომ წლო-  
ბით დაათრევდა. სიმჩატეს გრძნობდა,  
გარემო ბევრად კეთილი ეჩვენებოდა.

### III

შაბათს ნანა, რატომღაც, არ მოვიდა.  
შუადღემდე ელოდებოდა ზაალი და  
მხოლოდ მაშინ დასტოვა მერხი, იმედი  
რომ გადაუწყდა.

ნანა არც მესამე დღეს გამოჩენილა.

— ალბათ, ავად გახდა... — სხვა მი-  
ზეზი ვერ წარმოედგინა. მაგრამ თუ  
ავადმყოფობა არა, ცხადია, ისეე რა-  
ღაც სეროზული ამბავია, ზღვას აგრე  
აღვილად არ დათმობდა... ასეა თუ ისე,  
მის თავზე სასიკეთო არაფერია...

რამდენიმე წუთს ყოყმანობდა, მერე  
გადაწყვიტა და ნანას სახლისკენ გზას  
დაადგა.

წარაფის ბოლოში, სადაც მთავარი  
ქუჩა თავდებოდა, გადაუხვია მარცხნივ,  
გაიარა ლერწმიანი, გავიდა მინდორზე  
და იქ ჩაის ბუჩქებით ამწვანებული გო-  
რაკი რომ იწყებოდა, ცისფრად შედგები-  
ლი, სვეტებზე შემდგარი ოღა დაინახა  
ფერღობის ძირში.

— რა თქმა უნდა, ავად... — რაც



უფრო უახლოვდებოდა, თანდათან ეძალეზობოდა ეს ფიქრი.

მინდორი უფრო გრძელი გამოდგა, ვიდრე ამას თვალი აჩვენებდა. ჩრდილი არსად იყო და შეეცადა მალე გაველო უჩვეულოდ მწვანე, შხამიანი ფერის ხშირი ბალახით დაფარული ადგილი. ცხელია მზის გულზე და მიწაც მძიმე, ნესტიანი ხვატით ორთქლავდა.

როგორც იქნა ჩაათავა მინდორი, გადაიარა ზღვისკენ მდორედ მიმავალ ნაკადულზე გადებული ბოგირი და მაშინვე მიადგა მალალი ტრიფოლიატით შემოღობილ ეზოს ჭიშკარს.

შავებში ჩაცმული შუახნის დედაცაც თავზაიანად შეხვდა უცხო სტუმარს:

— ნანა ავად არისო?! — გაოცება გამოჩნდა მის ნაოჭიან სახეზე, — არა, ბატონო, რამდენიმე დღეა, რაც წავიდა... დიახ, შაბათს დილით!

დედაცაცა უამბო, რომ სამი დღის წინათ ნანას მანქანით მოაკითხა ორმა ვაჟმა... ისინიც ახალბედა გეოლოგები ყოფილიყვნენ, ერთ მეზობელ მთიან რაიონში მომუშავე ექსპედიციის წევრები... საღამო ხანს მოვიდნენ, გვიან ღამემდე ვახშამს შეეჭკეოდნენ, მოილხინეს, გარიყრაჟზე კი ნანა მანქანაში ჩასვეს და გზას გაუდგნენ...

— თქვენ რაო, ბატონო, საშურო საქმე გქონდათ მასთან?

— ისეთი არაფერი... სულ მცირე რაღაც... დიახ, უმნიშვნელო რამ... — ზაალს ვერ მოეხერხებინა დალაგებულად ეთქვა, შეეცადა არ გამოეჩინა თავისი გაკვირება და მხოლოდ მაშინ, როცა ჭიშკრისკენ გაბრუნდა, ჰკითხა ის, რისი გაგებაც ახლა ძალიან უნდოდა: — არაფერი დაუბარებია თქვენთვის? აი, თუნდაც ის, რომ ჩემთვის გეცნობებიათ გამგზავრების ამბავი?

ზაალმა თავისი ვინაობა უთხრა, მაგრამ მისი სახელი სრულიად უცნობი აღმოჩნდა დედაცაცისათვის. მან ჯერ გააქინა თავი და მერე გულგრილად უთხრა:

— არა, არაფერი დაუბარებია... მაინც რა გნებავდათ მისგან?

— ჰო, მაგრამ, როგორც ვიცი, ნანა

ერთხანს კიდევ უნდა დარჩენილიყო აგარაკზე... — პასუხის ნაცვლად ყრტილ ჩაილაპარაკა ზაალმა.

— დიახ, აგრე ამბობდა, მაგრამ... — ჭიშკარში გააცილა დედაცაცმა, — მიგრამ აღარ დაიცადა. მის ამხანაგებს რაღაც მადნეული აღმოუჩინიათ და ისე გაუხარდა, მაშინვე გადასწყვიტა მთებში მათთან წასვლა. ვერაფრით გაუღვათქმევიანე... — ეს თითქოს წყენითაც თქვა და ბოლოს ნაღველნარევი დიმილით დაუმატა: — ახალგაზრდები გახლავან, ბატონო, ხომ იცით მათი ამბავი, სისხლი უდუღო, მოუსვენრები არიან. მით უმეტეს ჩემი დისწული... აქ ის მოწყენილად იყო, ჰო და, აი, დაჰკრა ფეხი და გაიქცა...

\* \* \*

უკან წამოსული ზაალი თითქოს სიცარიელეში მიაბიჯებდა... როცა თავის მერხამდე მოაღწია და ფიჭვების ჩრდილში დაისვენა, მხოლოდ მაშინ მოავიწყდა, რომ შავებში ჩაცმული დედაცაცა იქნა და ცხელი მინდორი გაიარა... ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს დიდი დრო გასულიყო იმის შემდეგ.

იჯდა და ზღვას გაჰყურებდა... რამდენიმე დღის წინათ ის შმაგი იყო და ხმაურით ავსებდა გარემოს. ახლა კი დაბატარაებული და მინავლებული ეჩვენებოდა ეს ლურჯი უდაბნო.

ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფიქრები ირეოდნენ თავში, სწრაფად ენაცვლებოდნენ ერთიმეორეს და, ხშირად, მოსაბეზრებლად უბრუნდებოდნენ მწვანე ბალახით დაფარულ მინდორს, შავებით შემოსილ დედაცაცს, ბოგორს ნაკადულზე და მერე ისევ დასიცხულ მინდორს და ისევ შავებში ჩაცმულ დედაცაცს...

ზღვის ზედაპირზე მგზს გრძელი ხეული გაველო და ლაპლაპებდა. თვალით გაზომა, მიაჩერდა და წუთიერად ეჩვენა, რომ იქ, ცისკიდურზე, სადაც ზღვა და ცა ერთდებოდა, ისევ გამოჩნდა დი-

საგო კლიაჟვილი  
სირინოზი



დიხნის უნახავი თეთრი კარავი. ჯერ მკრთალად ციალებდა, თანდათან ხორცი შეისხა და ისე ცოცხლად იდგა, თითქოს მირაჟი კი არა, ნამდვილად არსებობდა... ეს ხომ მიონას კარავია, ოღონდ ახლას ცარიელია და ამოდ ელოდება პატრონს...

კარგად იცოდა, რომ მისი სევდა წანას წასვლით იყო გამოწვეული. ჰო, მაგრამ რა იყო ეს? ნუთუ ის, რაც აქამდე არ განეცდებოდა და რის შესახებ მხოლოდ წიგნებში წაეკითხა? ფიქრი ამაზე სასაცილოდ მიაჩნდა... აბა, რაღა დროს მისი გატაცება! არა, აქ სხვა იყო რაღაც, სხვა უფრო დიდისა და ღრმა მიზეზის გამოძახილი. ნანა რომ მოულოდნელად წავიდა, ამაში, აბა, რა ბრალი უნდა დასდოს... მას, ხომ, თავისი ცხოვრება აქვს, თავისი ჭაბუკური ფიქრები და განცდები, რაც შუახანს მიახლოვებულ კაცი-სათვის ხშირად გაუგებარიც არის. ნანა მოიქცა იმგვარად, როგორც მისმა ბუნებამ და ხალისმა უკარნახა...

ცდილობდა გაემართლებია ყველაფერში და არ დაენისლა თავისი მოგონება იმაზე ფიქრით, რომ მათი შეხვედრა მხოლოდ შემთხვევითი ეპიზოდი იყო, რაც ზოგჯერ ხდება ხოლმე მიყრუებულ აგარაკზე. სევდას დაერთო აბეზარი და უსარგებლო ფიქრი იმაზე, რომ თვითონ არ ჰქონია ახალგაზრდობა, რომ ის დღეები როგორღაც დაკარგულიყო, რომ იმ წლებსა და დღეებზე დასდებოდა და რომ გვერდით ჩაუარა რაღაც ისეთმა, რაც აუცილებელი აღაშინის ბედნიერებისათვის... ჰო, გვერდით ჩაუარა და ასცდა რაღაც კარგი და ნათელი. ამის მაგივრობა კი ვასწიეს წიგნსაცავებმა, არქივებმა, ძველმა ფოლიანტებმა, რომლებსაც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ჩაჰკირკიტებდა... ვითომ აუცილებელი იყო ეს? ქარაფ-შუტობა იქნებოდა, რა თქმა უნდა, მეცნიერულ მუშაობაზე ხელისაღება და, საერთოდ მისი უარყოფა, მაგრამ მეცნიერებას შესწევს კი ძალა ჰარმონიული და საესტეტიკო ბედნიერი გახადოს ადამიანი? აქამდე თვითონ არასოდეს დაეჭვე-

ბულა თავისი გზის სისწორეში, მაგრამ აი, უეცრად, სრულიად უეცრად, აბოვი-და ზღვიდან მიონა და აიძულა გადაეხედნა წარსულისათვის... იმ ერთ დილას მიონას რომ ხმელეთზე ფეხი არ დაედგა, ყველაფერი ისევე ძველებურად იქნებოდა...

ემშაკმა დალახვროს, ბოლოსდაბოლოს მომბაზვრებელია ამაზე ფიქრი, დროა განთავისუფლდეს ამ აკვანტებული ბოდვისაგან!

ამასთანავე მოაგონდა, რომ ჭაბუკობის წლებში, ცოტა არ იყოს, სანტიმენტალური იყო და, ალბათ, ყოველივე ის, რაზედაც ახლა ნაღვლიანობს, იმ ძველი ხასიათის გამოძახილია... ჰო, მომბაზვრებელი და სასაცილოა ამაზე ფიქრი და უნდა მოიშოროს სამუდამოდ!

უეცრად გაახსენდა, რომ დიდხანია აღარ მიუკითხავს ფოსტაში... იქ, ალბათ, ქალაქიდან გამოგზავნილი წერილები იქნება დაგროვილი... სულაც არ ინტერესებს მათი წაკითხვა, მაგრამ...

თითქოს შეშინდა ვინმეს ხელი არ ჩაეკიდნა და არ გაეშვა, უმაღვე ადგა და ფოსტას მიაშურა. გაიარა წარაფი, გაციდა მთავარ ქუჩაზე და გზის ნახევარი უკვე გავლილი ჰქონდა, როცა ელდა-ნაკრავივით შეჩერდა: იქ, სადაც უზოს სიდრემში მწვანედ შედებული ერთსართულიანი შენობა ჩანდა, ტიშკრის გვერდით მილუჩსმულ ფიცარზე იჯდა სკლეროზით დაავადებული ფიტული და თავისი მომნუსხველი ცივი თვალებით მისკენ იხედებოდა. დაინახა და მაშინვე თითქოს მისი ღნავილიც მოესმა:

— მოქალაქე, რომელი საათია? მაშინვე გატრიალდა და ანგარიშმიუცემლად ისევ მერხს დაუბრუნდა.

იჯდა და მოწყენილად გაჰყურებდა ზღვას. როცა ერთხელ მაჯის საათს თვალი შეავლო, დაინახა, რომ შუადღის საუზმის დრო დამდგარიყო... ეთერი, ალბათ, უკვე აივნინდან უთვალთვალებს ხეივანს და ელოდება...

მძიმედ, უნდომლად წამოიღგა და თავის სახლისკენ წავიდა.





1966 წ. პოეტმა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა იმოგზაურა ყარაქალპაკეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. კარჭაპით იმოგზაურა ამუღარიზზე, რომელსაც ძველად ჯეონს უწოდებდნენ. ამ მოგზაურობით არის შთაგონებული ეს ლექსები.

# X ე ო ნ ი

## გამარჯობა, ხვარაზმელთა ქველთაქველო მიწავ!

წერო ჩრდილწაგრძელებული  
 აფარფატდა რწვევით, —  
 თვითმფრინავი ძველებური  
 ჯეონს შეჰყვა ზევეით.  
 და სათვალის მინასავით  
 პაწაწინა ფანჯრით  
 ჩაეჭერ სივრცე სხივნასვამი  
 თვალთ, როგორც ხანჯლით.  
 — გამარჯობა, ხვარაზმელთა  
 ძველთაძველო მიწავ,  
 ახალ შუქით ამავსე და  
 ახალ ფერებს მიწნავ.  
 შენი იყოს, თუ ინებებ,  
 დღეც და ღამეც ჩემი...  
 და დაყრილან დიუნები,  
 როგორც კამეჩები.  
 ცად ძლივს შეუღერებია  
 მიწას მწვანე ფერი,  
 ქარისფერა ველებია,  
 მზის და სილის ფერი.  
 მზე მისთელავს ცხელი ქოშით  
 ველებს ოკრო-ბოკროს  
 და ქარისფერ უდაბნოში

კრთის ჯეონის ოქრო.  
 და თუ ქვეყნად უთქვამთ  
 ღმერთი,  
 ჯეონია ღმერთი,  
 მშიერ მიწამ მისი შხეფით  
 ამოიგოს ფერდა.  
 როგორც ატმის კუნწულები,  
 აქა-იქ რომ ჰყრია,  
 მას სიმწვანის კუნძულები  
 მკერდზე დაუღვრია.  
 ძველისძველი ქალაქები,  
 მიწასავით ძველი,  
 ბაღები და ჭალაკება,  
 მღვრიე ჭავლით სველი;  
 დილა სხივდარძევებული,  
 მზის ღიმილი მწველი,  
 თვითმფრინავი ძველებური  
 და ჯეონის ველი, —  
 თითქოს მუდამ თანა მდევდა,  
 გულში შუქად იწვა...  
 გამარჯობა ხვარაზმელთა  
 ძველთაძველო მიწავ!

## უხაბელი ლექსი

გაზაფხულიდან შემოდგომამდე  
 ცაზე ვერ ნახავ ღრუბელს,  
 გაზაფხულიდან შემოდგომამდე  
 მიწა მზით ავსებს უბეს.  
 გაზაფხულიდან შემოდგომამდე

დგას ჭრელი ბუღის სვეტი,  
 გაზაფხულიდან შემოდგომამდე  
 მზე გვჩხვლეთს, ვით დანის წვეტი.  
 გაზაფხულიდან შემოდგომამდე  
 ცას არ ვარდება წვეთი.

თავისებური მხატვარი არის  
მკაცრი უდაბნოს ხვატი,  
ხატავს და ხატავს მზის ფერით არეს  
და არ იღლება ხატვით;  
თუ სადმე ნახავს სიმწვანის ნასახს —  
ხვადი ძაღლივით უყეფს,  
მაგრამ სადაც კი დაიგდებს გზასა  
წყალი მღვრიე და მსუყე, —  
ისე უეცრად გადაიკარგება,  
თითქოს არც იყოს ქვეყნად,  
მწვანე წალკოტი გადიქარგება  
დიდი სიცოცხლის ძეგლად.  
შხაპუნა წვიმით ჩასარეცხავი  
ფოთოლს აკვდება მტვერი,  
აქლემის რძეს სვამს ჩრდილში  
მეცხვარე

და დიდ ჯეონზე მღერის.  
მორბის ჯეონი დატოტებული,  
მწყურვალე მიწა ძღება,  
ბაღები, მწვანედ აღმოდებული,  
ველზე დაძრულან ზღვებად.  
გაზაფხულიდან შემოდგომამდე  
ცაზე ვერ ნახავ დრუბელს,  
შეხედე ბაღებს — მწვანე ხომალდებს —  
ჰკვეთენ უდაბნოს უბეს.  
შეხე ხვატის და ჯეონის ჭიდილს,  
ბაღებისა და უდაბნოს ჭიდილს  
ამ თვალმშუდგამ ველზე.  
ამის მნახველი ვით იყო მშვიდი,  
შენი ვაშაც და სიმღერაც დიდა  
უთხარ კაცს — ყოვლისშემძლეს.

### ყარაკალპაკეთი არაა უმთებო

ყარაკალპაკეთში არაა მთები,  
ყარა-ტაუსაც ვერ ეტყვი მთას;  
ბერდახს გაუშლია სიმღერის ფრთები  
და თვალმშუდგამ მთასავით დგას.

ახალგაზრდობა შეინარჩუნე  
ყოველთვის,  
სიბერე  
სიმძიმეა და ყინული.  
ამაღლდეს კაცის სიბრძნე ზღვასავით,  
მოვიდეს სიხარული ჯეონივით,  
არ ჩავვიქრეს სიმღერის ვარსკვლავი,  
მოდიდდეს სიყვარული ჯეონივით.

დადაღული სიყვარულის მწველ  
დაღით  
უდაბნოში დაბუბუნებს ბერდახი:  
— ერიდე სიძულვილის ჯოჯოხეთს,  
სიყვარული  
სამოთხე არის ხილული,

უსმინე სიცოცხლის შეძახილს,  
სიკეთეს გულს სანთლად უნთებდე! —  
მთასავით დამბუბუნებს ბერდახი.  
...ყარაკალპაკეთი არ ყოფილა  
უმთებო.

ბერდახი — ყარაკალპაკური ლიტერატურის  
კლასიკოსი.





1

მთელი დღე რალაცნაირად მოთენთილი ვიყავი — საშინლად ცხელოდა. შემოვლა რომ დამთავრდა, საორდინატოროში შევედი და ვენტელატორს მივუშვირე სახე. ცოტათი მომეშვა და სიგარეტი გავაბოლე, მაგრამ ნიაგმა ფერფლი სახეში შემომამყარა და თვალი ძალიან ამეწვა. ცრემლები წამომცვივდა, თვალი მოვისრისე და უცებ ტელეფონი აწკრიალდა. უხალისოდ დავწვდი:

— ბოდიში, გოგის სთხოვეთ, თუ შეიძლება.

— მე ვარ.

— გოგი ხარ? გამარჯობა გოგი, ვერ მიცანი? ოთარი ვარ!

— რომელი ოთარი... — ცოტათი დავიბენი.

— ოთარი, კაპანაძე!

— აა... გამარჯობა.

— გამარჯობა! გოგი, სიმამრი წევს ჩემი თქვენთან და თუ ძმა ხარ, ქვემოთ ჩამოდი, ვესტიბიულში.

— ახლავე.

ხალათზე დილეები შევიბნე და დერეფანში გავედი. მერე მარჯვნივ გავუხვიე და კიბეს ჩავუყუევი. ქვის კიბეზე გრილოდა, რამდენიმე საფეხური მსუბუქად ჩავიბრინე. ვესტიბიულში მიმოვიხედე და ოთარი მომვარდა:

— როგორა ხარ, გოგი, გაიცანი, ეს სიდედრია ჩემი. დედა, გაიცანი, ეს ჩემი მეზობელი იყო, ერთად გავიზარდეთ.

— სასიამოვნოა, რომელში წევს? — ვკითხე.

— ნერვულში.

— აა..

გარდერობში ორი ხალათი ავიღე და ოთარს მივეცი. სანამ ჩაიცვამდნენ, ცივად შეხვედრა არ გამომივიდეს-მეთქი და, ვკითხე:

— როგორა ხარ?

— კარგად, კარგად, — თქვა ოთარმა და გაახსენდა, — ოღონდ, აი, სიმამრი მყავს ავად და...



— არაფერია, ყველაფერი კარგად იქნება.

— რა იცით? — მკაცრად მკითხა ქალმა.

მხრები ავიჩიჩე.

ნერვული განყოფილება მესამე სართულზეა, ჩვენს ზემოთ.

— რომელი პალატაა?

— მეექვსეა მგონი... მეექვსეა, არა, დედა?

— მეექვსეა, მეექვსე... — თქვა ქალმა, — მე მგონი, არაა ძნელად დასამახსოვრებელი რიცხვი.

ძალიან ცხელოდა.

— როდის დააწვინეთ?

— წუხელ.

— აა...

პალატა ღია იყო. ჯერ ქალი შევიდა, მერე მე. წვერგაუბარსავმა კაცმა სუსტად წამოიკვნესა და ხელი ჩაიქნია. ქალმა უხერხულად აკოცა ლოყაზე. თვალი ავარიდევ. მერე ქალმა ჩანთიდან მაწონი, თერმოსი და ვაშლები ამოიღო.

ორსაწოლიანი პალატა იყო, მეორე ავადმყოფს დახვედე და გამიკვირდა — ძალიან მეცნაურა. თვალები მოვჭუტე, დაეცქერდი, ისიც სუსტი ღიმილით მითვალისწინებდა.

— ველარ მიცანი, ბიჭო? — მკითხა.

სულ შესცვლოდა ის ძველებური, მჭახე ხმა, მაინც ვიცანი — კოტე მასწავლებელი იყო. გულიანად გავუღიმიე, ხელი დავადე ხელზე:

— როგორ ბრძანდებით?

— ეჰ, რაღა როგორ... — მოიწყინა და მაშინვე დაამატა, — მაგრამ ფარხმალს მაინც არა ვყრი.

— ძალიანაც კარგი, რატომ უნდა დაჰყაროთ.

— აბა რა... წამოდგომა რომ შემეძლოს, მე ვიცი, რასაც ვიზამდი, მაგრამ... წარმოგიდგენია, გოგი, წამოდგომა რომ აღარ შემიძლია?

— არაფერია, არაფერი. ყველაფერი კარგად იქნება.

— მეც მაგის იმედით არა ვარ? მამ

არაღა, ტყუილად ვწვალობ? ამოტყუალა წამლებს განა ტყუილად ვყლაპავ?

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— ეეჰ, გოგი, გოგი, — მითხრა კოტე მასწავლებელმა და ძლივს ასწია ხელი, — ამ მკლავის შემხედვარე, განა ვინმე იფიქრებს, წარსულში ცნობილი სპორტსმენი რომ ვიყავი?

— რატომ... — და უცებ გამეხარდა, — მე ხომ ვიცი, კოტე მასწავლებლო.

— შენ კი, — ესიამოვნა, მაგრამ მაშინვე ტკივილმა სახე მოუღრიცა და ჩუმად მითხრა: — ეჰ, ცუდადა ვარ, გოგი, ცუდად...

გული მეტყინა. ჩემი საქმე ისევ მიყვარდა, მაგრამ ავადმყოფის დანახვაზე გული აღარ მეთანადრებოდა, რაღაც ნაირად, შევჩვიე. ახლა კი, კოტე მასწავლებლის შემყურეს, პირველი კურსის დროინდელი ოცნება ამეკვიატა — რაიმე სასწაული და, მორჩება!

— დიავნოზი? — ვკითხე.

— რა ვიცი... ყველა მეუბნება, არაფერია, გაივლისო.

— ახლაც მოვალ.

დერეფანში გავედი, სამორიგეოში შევიხედე. ნიკო მაგიდასთან იჯდა და ქილიდან ისპანახს ჭამდა.

— გოცირიძე შენია?

— ჰო, მოდი დამეწვიე.

— არ მინდა, რა აქვს?

— ოო, — ტუჩები ცხვირსახოციო შეიწმინდა, — გვერდითი ამოტროფიული სკლეროზი.

— უჰ... საბოლოო დიაგნოზია?

— კი, საბოლოო... რაა, ახლობელია შენი?

— არა, — ეთქვი და მაშინვე ავირიე, — კი, როგორ არა, კი...

— უჰ, — შეწუხდა ნიკო, — ძალიან ახლობელია?

— სკოლაში ფიზკულტურას მასწავლიდა.

— აა, — თქვა ნიკომ და საათს დახედდა, — როგორა ხართ სახლში?

— ისე, რა...



გუშინდელივით მახსოვს, ფიზიომზადების გაკვეთილზე პირველად რომ წავეყვანა დამრიგებელმა. იქ, უზარმაზარ დარბაზში, თავგზა აგვებნა. საოცარ ნივთებს ვხედავდით, ზღაპარში გვეგონა თავი — ვეებერთელა, დაგრეხილი თოკი, შვედური კედელი, გარინდული ორძელი, პრიალა ღერძი, ოჩოფეხებზე შემდგარი ტაიჭი, ოო, ეს ნამეტანი იყო ჩვენთვის. პირდაღებულნი ვთავალიერებდით დარბაზს, სანამ კოტე მასწავლებლის მკახე ხმამ არ შეგვაკრთო:

— პირველი პირველი კლასი-ი! სიმაღლის მიხედვით... — ქორული მზერა მოგვაგლო, — მოეწყვე!

სანამ სიმაღლის მიხედვით ჩავმწყრივდებოდით, კარგახანს ვიბოდილეთ — ერთმანეთს ვეტოლებოდით. მეორე მასწავლებელი კუთხეში, მაგიდასთან მიმჯდარიყო და თავჩაღუნული რაღაცას წერდა, კოტე მასწავლებელი კი გაქიშული იდგა ჩვენს წინ და ღიმილს იკავებდა. ლურჯი, სპორტული ტანსაცმელი შევწონდა და, საფეთქლებთან შერეული ჭადარის მიუხედავად, ძალიან მხნედ გამოიყურებოდა. რიხიანი, შემართული კაცი ვახლდათ, ტანად დაბალი იყო, მაგრამ არ იმჩნევდა.

— გფუფოო, სწორდი! — და უცებ მხრები აიჩეჩა, — ვაჰ, სწორდი აღარ იციო, კაცო? მარჯვნივ მიიხედეთ, მარჯვნივ, შენ არა, — უთხრა ყველაზე მაღალს, — შენ უნდა გიყურონ, მარჯვნივაც არ იციო? — და ღიმილით დაუმატა, — ეს რა ხალხში ჩავვარდით, კაცო?

— მაშ, მაშ, — თავაუღებლად დაიძახა კუთხიდან მეორე მასწავლებელმა.

ჩვენ გვეუხერხულა, მაგრამ...

— არა უშავს, — გაგვამხნევა კოტე მასწავლებელმა, — თანდათან ყველაფერს ისწავლით.

მერე ყველას ჩამოგვიარა, ნიკაბი ავვიწია, წელში გაგვმართა, უკან დაიხია, შეგვათვალერა და თქვა:

— აი, ყოჩაღ... აბა ახლა... — და გა-

იქიმა, — პირველი პირველი... სმენა ჩემსკენ გამოიხედეთ... ოო, ყოჩაღ... აბა რიგზე... გაითვალეთ!

— ერთი... ორი... — დავიწყეთ და თერთმეტამდე რომ მივედით, სიჩუმე ჩამოვარდა.

— ჰა, გაითვალე... მიდი, მიდი, — წააქეხა მეთერთმეტე მოსწავლე.

ის კი ხმას არ იღებდა.

— მიდი, ჰა, — ისევ წაათამაშა, მაგრამ მოსწავლემ ჩუმად თქვა:

— ჩვენ ათამდე გვასწავლა თვლა თინა მასწავლებელმა.

— ვაჰ! — ჩაიციხა და კეთილი ღიმილით შეგვათვალერა, — მეტი არ იციო, თქვე ლაყებო?

— მე ვიცი, — წამოიძახა რომელიღაც მოსწავლემ.

— სანამდე? — ეჭვით შეხედა კოტე მასწავლებელმა.

— ასამდე.

— ეჰ, ეგ რა არი, — ხელი ჩაიქნია, — აი, მე და შოთა მასწავლებელმა ათასამდე ვიციო თვლა. არა, შოთა?

— მაშ, მაშ!

— აბა, ყური გვიგდეთ, სმენა! შოთა, თერთმეტი!

— კოტე, თორმეტი.

— შოთა, ცამეტი!

— კოტე...

ზარი დაირეკა საღდაც „შოთა, ორას ორმოცთან“.

— თავისუფლად! — შეგვძახა კოტე მასწავლებელმა, — ეხლა თქვენ უკვე იციო, რა არის სმენა.

ასე ჩაიარა პირველმა გაკვეთილმა.

მეორე გაკვეთილი, ასე ვთქვათ, თეორიული მეცადინეობით დაიწყო.

— ბავშვებო, — მოგვმართა კოტე მასწავლებელმა, — ერთი რამ წესად უნდა მიიღოთ — ნურცერთ დღეს ნუ გამოტოვებთ დილის გამამხნეველ ვარჯიშს. მე ვიცი, ბევრი თქვენგანი სახელოვანი ადამიანი გამოვა — მეცნიერი, მოქანდაკე და ასე შემდეგ. მაგრამ თუ

**გურამ დონანაშვილი**  
კოტე მასწავლებელი





კაცს ვაქცაობა არა აქვს, რაღა კაცია? ჯერ ვაქცაი უნდა იყო, მერე სხვა ყველაფერი. ძველ რომში ფიზმომზადებას დიდი ყურადღება ექცეოდა. არა, შოთა?

— მაშ, მაშ!

— მე ამით იმას კი არ ვამბობ, რომ ყველა მეცნიერი სპორტსმენი იყო. არა, ვიმეორებ, რომ დილ-დილაობით მაინც უნდა ივარჯიშოს, რათა სხეული გაიკაჟოს და ორგანიზმი უფრო დაძლევეს დაძაბულ გონებრივ მუშაობას. თქვენ ჯერ პატარები ხართ და ალბათ ჩემი ნათქვამიდან ბევრი რამ ვერ გაიგეთ, მაგრამ თანდათანობით გაიგებთ. ახლა კი ენახოთ, ვინ როგორ დარბის.

სირბილში რომ ვაგვაჯობრა, აქლოში-ნებულეებს ასე გვესაუბრა:

— აბა, ბავშვებო, ვინც გაიმარჯვეთ, ყოჩაღ. მაგრამ დამარცხებულებმა ფარხმალი არ უნდა დაჰყაროთ. ბევრი უნდა ივარჯიშოთ დილაობით და პირველობაც თქვენ დაგრჩებათ. პირველობას კი, — გაიჭიმა, — ოო, პირველობას არაფერი სჯობია, დაფნის გვირგვინით შეგამკობენ. აი მე, — უფრო გამოსწია მკერდი, — საბავშვო ბაღში რომ ვიყავი, არა? — პირველი ვიყავი; სკოლაში რომ ვიყავი, არა? — პირველი ვიყავი; სამედიცინო ინსტიტუტში რომ ვიყავი — პირველი ვიყავი; ფიზკულტურის ინსტიტუტში ვიყავი — პირველი ვიყავი; ეხლაც აქა ვარ და...

დროულად შეჩერდა — მაგიდასთან მოკალათებული შოთა მასწავლებელი თვალანთებული მისჩერებოდა. ეს იყო პირველი ეგრეთწოდებული „ფსიქოლოგიური მომენტი“, რომელიც მე შვიდი წლისამ ვიხილე. სუნთქვაშეკრული მისჩერებოდნენ ერთმანეთს, მერე კი კოტე მასწავლებელმა ადვილად დასთმო:

— და ვცდილობ პირველი ვიყო.

ვითომც აქაო და არაფერიო, შოთა მასწავლებელმა სული მოითქვა და წერა განაგრძო, კოტე მასწავლებელი კი დაფიქრებული იდგა და ნელა აქნევდა

თავს. მერე წყნარად თქვა: — კარგი, — და ზარიც დაირეკა.

მესამე გაკვეთილზე შოთა მასწავლებელი აღარ იჭდა თავის მაგიდასთან და ამიტომ მთელი გაკვეთილი თეორიულ მეცადინეობას დაეთმო:

— მე რომ საჩვენებელი ვარჯიშით გამოვდიოდი, დარბაზში ტევა არ იყო ხოლმე, პირველ რიგში სულ გენერლები ისხდნენ. გამოვდიოდი თეთრ შარვალ-მაისურში, ჯერ რგოლებიდან ვიწყებდი, მერე ნახტომში გადავდიოდი ორძელზე, ღერძზე. ყველაფერი ერთნაირად მეხერხებოდა — ნუმერ პირველი სპორტსმენი ვიყავი. ტაშს რომ უკრავდნენ, ცოტათი მრცხვენოდა, არტისტი ხომ არა ვარ-მეთქი. ქუჩაში რომ გამოვიდოდი, შხაპმიღებული, ქალების ჩურჩული მესმოდა, აი, ეს არის გოცირიძე, აი, ეს არის... მაშინ ცოლი არა მყავდა... ჰო, ჩვენ დროს სად ტარდებოდა ან მსოფლიოს პირველობა, ან რაიმე ეგეთი... ევროპის პირველობა რომ ევროპის პირველობაა, ისიც კი არ ტარდებოდა. თქვენ რა გიჭირთ, ეხლა იმდენი ჩემპიონატებია, რომ... აფსუსს, გოცირიძე!

2

იმ დღეს კიკეთში ავედი, ცოლ-შვილთან. ავტობუსში ფანჯარასთან ვიჭექი, ნიავე სახეში მირტყამდა. წყნეთს რომ მიუვახლოვდით, საგრძნობლად ავრილდა. ნაძვნარი კი უხდებოდა იქაურობას. მაგრამ მაინც ეტყობოდა, ხელოვნურად გაშენებული რომ იყო. წყნეთს რომ გავცდით, ერთხანს ნამდვილი, ფოთლოვანი ტყე აედევნა გზას და ოდნავ ნოტიო, ჭანსალმა ჰაერმა თითქოს გამომიკეთა გუნება, მაგრამ ისევ კოტე მასწავლებელი გამახსენდა.

ზოგი იძახდა, სამედიცინოზე რომ სწავლობდა, ჯერ იმედი ჰქონდა ქირურგი გამოვიდოდაო, მაგრამ ვერ იქნა და ვერ შეეჩვია ადამიანის გაკვეთას, აზიზი გული ჰქონდაო; თერაპევტობაც ჰქუში არ დაუჯდა — რასაც ვერ ვხედავ, ვერ

ვხედავო, ფარმაცევტობაც დაიწუნა — რა ვაქცაის საქმეა აფთიაქრობა და რაღაცნაირად მერე ფიზმომზადების მასწავლებელი გახდაო. კოტე მასწავლებელი ხშირად ამაყობდა, სამედიცინო ინსტიტუტი წარმატებით რომ დაამთავრა და თავის თავს იმ პერიოდისათვის ინსტიტუტულ კოტეს ეძახდა.

უფროსკლასელებთან აღარ ჰყვებოდა თავის საგმირო შემთხვევებს, იმათ აღარ სჯეროდათ მისი. ჩვენ კი, ფეხბურთის ტრფიალნი, გაფაციცებით ვუსმენდით:

— ერთხელაც, მოსკოვში ვარ და დინამოს სტადიონზე წავედი. ვინმე მეკარეს საერთო საცხოვრებლიდან გამოვიყვან და გოლში ვურტყამ-მეთქი. ვაჰ, გავიხედე, თამაში არ ყოფილა! ჩვენი დინამო — მოსკოვის სპარტაკი. ლოქაში შემიყვანეს, როგორც წესი და რიგია. დავექეი. ვასო მაშინ მაგარ ფორმაში იყო, მაგრამ პარტნიორები არ უვარგოდა. მეკარე კი კარგი გვყავდა. მაგრამ მოსკოველები ძალიან მაგრები იყვნენ მაშინ, ზაც — მარჯვენა მალალ კუთხეში, ზაც — მარცხენა მალალ კუთხეში — ორით ნული არ წაიყვანეს! დარბის ვასო გამწარებული, მაგრამ რა ქნას, პარტნიორები არ უვარგოდა. ერთიც ვნახოთ, ვასო ჩვენი ლოქისაკენ გამოიქცა აუტის მისაწოდებლად და რომ დამინახა, სიხარულისაგან გაგიჟდა:

— კოტე, აქა ხარ? — მკითხა ქართულად.

— აქა ვარ, — ვუთხარი ქართულად. ვასომ ბურთი თამაშში შეიყვანა, ჩემთან მოიბრინა და მითხრა:

— კოტე, გაიხადე!  
— უხერხულია, — ვუთხარი მე.  
— რომ ვაგებთ, განა ის კი არ არის უხერხული? — სამართლიანად მისაყვედურა ვასომ.

გავიხადე.  
აქ კოტე მასწავლებელმა ამბავი დამთავრებულად ჩათვალა, მაგრამ ჩვენ მაინც გულუბრყვილოდ ვიკითხეთ:

— წააგეთ თუ მოიგეთ?

— სამით ორი.  
— ვის სისარგებლოდ?  
— ვისი იქნებოდა? — გაიკვირვა კოტე მასწავლებელმა, — ვისი — ჩვენი.  
შოთა მასწავლებელმა ძალიან მაგრად ჩაახველა და ყველამ შეეხედეთ — თითქოს სკამზე ვედარ ჩერდებოდა. წრიალებდა.

— იქიდან სპორტულ არენაზე წავედი, — განავრძო კოტე მასწავლებელმა — მეოთხედფინალი მქონდა კრივში. მოკლე, პირდაპირი დარტყმებით თავგზა ავუბნე მოწინააღმდეგეს, ნახევარფინალში გავედი; ნახევარფინალში ირიბი, მოკლე დარტყმებით მუხლი მოვკვეთე მეტოქეს, ფინალში გავედი: ფინალში...

— კოტე, შენთან რამდენია? — შოთა მასწავლებელი საათზე იხედებოდა.

— ოცი უკლია.  
— ვა, ჩემი გაჩერებულა, ხედავ? — შოთა მასწავლებელმა ჰალსტუხი გაისწორა, ჩაახველა და ძალიან მოულოდნელად დაიწყო:

— ერთხელაც, რელსებზე მივდიოდით მე და ერთი ქალი... ვხედავ; საპირისპირო მიმართულებიდან მოდიან ორნი, კაცები... როცა გვერდით ჩაგვიარეს, იმ ქალზე აუგი თქვეს... მე ავიღე და სულ რელსებზე ვარტყმევიწე თავი.

— ვისა? — დაინტერესდა კოტე მასწავლებელი.

— იმ კაცებს, ვისა...  
— ჰოო, — გაავრძელა კოტე მასწავლებელმა.

3

კიკეთში მეზობლის ბავშვის დღეონა ყოფილა და მიმიწვიეს. მასპინძლის გარდა არავის ვიცნობდი და შეწოვილი ვიჯექი სუფრასთან. საუბარი და მხიარულება არ გამოდიოდა და თამადამ ორი დიდი ჭიჭა ზედიზედ შესვა. ჩემ-

**გურამ დოჩანაშვილი**  
კოტე მასწავლებელი

თვის ვიყავი, სანამ ვილაც ენერგიული კაცი არ მომიტრიალდა:

— ბოდიში, თქვენ არქიტექტორი ხომ არ ბრძანდებით?

— არა, — გამიკვირდა, — არქიტექტორი არა ვარ.

— აბა?

— ექიმი.

— მართლა? მე არქიტექტორი მეგონეთ.

ერთხანს მეგობრულად შემომცქეროდა, მერე სახე მოეკმუნხა:

— არ მომწონს თქვენი პროფესია, პირში მიყვარს თქმა.

— რატომ? — გამიკვირდა.

— ძალიან ბუნდოვანი დარგია, მყარი კანონები არა აქვს. ხომ არ გაწყენინეთ?

— არა, რატომ.

ხბოს ხორცი გადაიღო და მდოგვეში ამოუსვა. ეტყობა, მდოგვე ნამეტანი მოუვიდა, რადგან თვალეები აეცრემლა და პური დასუნა. მერე ისევ მე მომიბრუნდა:

— იცით რა, თქვენ ხშირად ბრძანდებით პაციენტის ორგანიზმზე დამოკიდებულნი, ხომ სწორი ვარ?

ჩამეცინა:

— დიახ.

— მერედა, ეს კარგია?

— ბოდიში, ვერ გაგიგეთ.

— განა ეს კარგია-მეთქი, როცა ისეთ ავადმყოფობას გადააწყდებით, რომლის წინააღმდეგ ეფექტური საშუალებანი არ გეგულებათ?

გავღიზიანდი:

— თქვენ რას გვირჩევდით ასეთ შემთხვევებში?

— მე... მე რა უნდა გირჩიოთ...

— ერთის წუთით სმენა იყოს და გაგონება! — წამოდგა თამადა, — მე მინდა შევსვა ჩვენი მეზობლების სადღეგრძელო. კარგ მეზობლობას არაფერი სჯობია, დამერბმა ცუდი ამბები გვაშოროს, მაგრამ თუ რაიმე გაგვიკირდება, სანამ ძმა და და გაიგებს, კარის მეზობელი გაიგებს.

— ბოდიში, მაგრამ მე ხომ სწორი ვარ? ხომ არის ჭერჯერობით განუკურნებელი ავადმყოფობები?

— კი, რა თქმა უნდა.

— მაინც? პირაღნად თქვენ რომელი ავადმყოფობა მიგაჩნიათ ასეთად?

— აი, თენიდაც... — ღრუბელი ჩამომაწვა, — გვერდითი ამიოტროფიული სკლეროზი.

— დიდი ბოდიში, მაგრამ... — თამადა ჩვენსკენ იხედებოდა, — ძალიან გთხოვთ, სადღეგრძელო მაცალეთ.

— დიდი ბოდიში.

— კარგი მეზობელი კიბეზე რომ შეგხვდება, გულს გაგინათებს. შინ რომ ვბრუნდებით, თუ კარგი მეზობელი გეყავს, გვიხარია დაბრუნება. მაგრამ ხანდახან ისეთი შეგვხვდება, მტრისას... მაშინ ვერაზე ვცხოვრობდით, მღეთის ქუჩაზე...

— ბოდიში, — მიჩურჩულა ენერგიულმა კაცმა, — ეგ როგორი დაავადებაა...

— ზურგის ტვინის დაზიანებაა...

— დაწვრილებით მიაბნეთ რა, დაწვრილებით...

— ზურგის ტვინის გვერდითი სვეტები — ნერვების კონა ზიანდება, — აეჩურჩულდი მე, — ამ სვეტებში მოთავსებულია მამოძრავებელი ნეირონი, რომლის დაზიანების შედეგად ვითარდება დამბლა.

— არა და არ მოგვასვენა! რამდენჯერ მივედი, ტკილად ვუთხარი, ჩემო ძმაო, საყვარელო, არ ვარგა ასე, ნუ იქცევი ასე, აბა, გაგიგონია? ღამეები არ მეძინა, ღამეები, რა მოვახერხო-მეთქი... ბოლოს ავდექი და ვუთხარი...

— რა იწვევს მაგ ავადმყოფობას? — ჩუმად მკითხა ენერგიულმა კაცმა.

— ფიქრობენ, რომ ინფექციურია, — ისევ აეჩურჩულდი, — შეიძლება ოჯახური დაავადებაც იყოს, ახლა კი, ზოგიერთი ფიქრობს, — ფრთხილად მოვითქვი სული, — რომ ხერხემალზე ძვლოვანი წანაზარდები ვითარდება და ესენი ახდენენ დაწოლას ზურგის ტვინის მკვებავ არტერიებზე.



— ეს რომ ვუთხარი, მართლა არ დაიჯერა? ისეთი გამოიკვალა, ისეთი გახდა, რომ... აბრეშუმით, — სუფრაზე სიცილი გაისმა, — რა მექნა, სხვანაირად არ დამიჯერა და...

— დიდხანს მიმდინარეობს ეგ დაავადება?

— ახლავე, მგონი ამთავრებს.

— ასეა, ასე, კარგ მეზობლობას გაუმარჯოს.

— გაუმარჯოს! — მოულოდნელად დაიძახა ენერგიულმა კაცმა და სერიოზული სახით მომიბრუნდა — სრულ მზადყოფნაში იყო.

— ავადმყოფის ხანგრძლივობა დაახლოებით ორი წელია, — მაინც ვჩურჩულებდი, — უმეტეს შემთხვევაში იწყება ქვედა კიდურების სისუსტით, გადადის ზედა კიდურებზე, და როცა მიაღწევს მოგრძო ტვინს, სასიცოცხლო ცენტრები ზიანდება და ავადმყოფი კვდება.

— მერედა, — გაეხარდა ენერგიულ კაცს, — ამ შემთხვევაში რისი მაქნისი ბრძანდებით?

ენაზე ვიკბინე — ასეთ თავხედებთან გაჩუმება სჯობდა, მაგრამ ახლა აღარ შეიძლებოდა:

— თქვენ წარმოდგინეთ, სხვა ავადმყოფობებიც არსებობს.

— მაგალითად, რომელ ნერვულ დაავადებას ჰქურნავთ...

— მენინგიტებს, ხორეას.

— და ნამდვილად კურნავთ, არა?

— რა თქმა უნდა.

— რითი...

— ძალიან გთხოვთ, შესვით, — გაგვახსენა თამადაძე.

— მეზობლებს გაუმარჯოთ, — წამოდგა ენერგიული კაცი, — კარგ მეზობლებს გაუმარჯოთ.

— მეზობლებს გაუმარჯოთ, — დავლიე მეც.

— რითი კურნავთ?

— მენინგიტს ანტიბიოტიკებით, ხორეას — სალიცილის პრეპარატებით.

— აჰა.

შევათვალეიერე.

— ბოდიში, თქვენ რა პროფესიის ბრძანდებით?

— მე ფიზიკოსი ვარ.

— აა... — ჩავფიქრდი და გამახსენდა, — ცეცხლოვანი ბურთის მოძრაობის ტრაექტორიაზე რა აზრის ბრძანდებით?

— მე ცეცხლოვან ბურთზე არ ვმეუშაობ.

— არც მე გახლავართ ნევროპათოლოგი, ყელ-ყურში ვმეუშაობ.

— მართლა? — უგულოდ გაიკვირვა და უცებ დაინტერესდა, — აი, იცით, თქვენ რომ წელან ახსენეთ, სალიცილის პრეპარატები... რა ფერისაა?

— მოთეთრო ფერისა გახლავთ.

— აა...

ზიზლით შევცქეროდი.

4

მეორე დღეს საშინლად მტკიოდა თავი. დილიდანვე ჩამოცხა, უხალისოდ ავედი ავტობუსში. ფანჯარასთან დაჯექი და კოტე მასწავლებელი გამახსენდა, შეუქმნევლად მიიღია გზა.

კოტე მასწავლებელს ერთი ამხანაგი ჰყავდა, ზორბა, ულვაშა კაცი. ხშირად დაიარებოდა ჩვენთან, ფიზკულტურის დარბაზში. კოტე მასწავლებელს იმის დანახვაზე თვალები გაუბრწყინდებოდა და შეგკვანებდა:

— მეოთხე პირველი-ი, სწორდი!.. სმენა!

ხალისიანად გავიჭიმებოდი ხოლმე, ვიცოდით, როგორც მიესალმებოდა კოტე მასწავლებელი სტუმარს. ულვაშაც გაჯგიმული იდგა, ხელში გატიკინებული პარკი ეჭირა, ზემოდან კრიალა პამიდორებით.

კოტე მასწავლებელი მხედრული ნაბიჯით მიუახლოვდებოდა. ქუსლს ქუსლზე მიარტყამდა და რიხიანად იწყებდა:

მზიური საქართველოს დედაქალაქ თბილისის (წამით შეჩერდებოდა) ნუმერ ორმოცდამეექვსე სკოლის ფიზიკუ-

**გურამ დოჩანაშვილი**  
კობე მასწავლებელი



რი აღზრდისა და მომზადების მთავარ მასწავლებელს (პაუზა) ამხანაგ დავით ესტატეს-ძე რეხვიაშვილს გაუმარ...

— ჯოოს! — დავძახებდით ჩვენ.

— არ ვარგა! გაუმარ...

— ჯოოს!!!

— ატ, კარგი იყო, — და უღვაშას მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოართმევდა ხელს. მერე დინჯი, დარბაისლური საუბარი იწყებოდა:

— როგორა ხარ, დავით?

— კარგად, შენა?

— მეც კარგად, მაგრამ... შევარცხვინე, ვინც ეს კინო გამოუშვა.

— რომელი?

— „ტარზანი“, კაცო... სულ დამიგიჟდნენ ბავშვები, ერთი სული აქვთ, იყვირონ, იწვილონ, თოვზე აძვრნენ, მალედიდან გადმოხტნენ, რგოლებზე ჩამოეკიდონ...

— რა ქნან, კოტე, ბავშვები არიან...

— ჰა? — დაფიქრდა ჩვენი მასწავლებელი.

ისევ სმენაზე ვიდექით და თვალს არ ვახამხამებდით — რაღაც კარგის მოლოდინში სუნთქვა შეგვეკრა.

კოტე მასწავლებელმა ჩამოგვიარა და დაფიქრებული შემოგვეკეროდა. მერე უღვაშას მხარუკლმა ჰკითხა, ისევ ჩვენ გვათვალთვლებდა:

— გინდა, მივუშვათ, დავით?

— მივუშვათ, კოტე, რაც არის, არის...

— მეოთხე პირველი-ი! — მერე ჩუმად ჩაილაპარაკა, — დაიცა, ფანჯრებს დავკეტავ, ღირექტორმა არ გაიგოს... მეოთხე პირველი! — და ფართედ გაიღიმა, — ვისაც საითყენ გინდათ, იქით-ე-ენ... იარ!

გაოცებულნი ვუყურებდით.

— ჰა, არ გადამაფიქრებინოთ, — თითი დავეციქნია და მაშინ მოხდა, რაც მოხდა: ნახევარი კლასი თოვს მივეცივდით, ატყდა ერთი ჭიდაობა და ხელისკვრა — თოვზე აცოცება ყველაზე საოცნებო რამ იყო. მთელი „ყოჩები“ თოვთან ძიძგილაობდნენ, სხვები კი ამასობაში რგოლებზე ქანაობდნენ, ორძელზე თავდაყირა ჩამოეკიდნენ ფეხებით, შვე-

ლურ კედელზე აფოფხდნენ. ერთი იქს მოახტა, სპორტული ფეხსაცმელი გაიხადა და მათრახივით ურტყამდა, მეორე კალათბურთის ფარს კენწეროზე მოექცა და საშინლად აწვივდა. სხვები ბურთს ტყორცნიდნენ, საითაც მოეპრიანებოდნენ...

კოტე მასწავლებელი და უღვაშა კი კუთხეში იდგნენ, თვალს ახამხამებდნენ და უხერხულად ელიმებოდნენ...

რა თქმა უნდა, ყოველთვის ასე არ იყო, ხანდახან ასეთ საუბარსაც კი მოჰკრავდით ყურს:

— ქართულში რა გვაქვს?

— ყაყიტას ქურდი.

— არითმეტიკაში?

— სამოცდამეორე ამოცანა.

— რუსულში?

— იგივე.

— ფიზმომზადებაში?

— ლექსი.

კოტე მასწავლებელი ჟურნალს ამოიკითხავდა თუ არა, მაშინვე საქმეზე გადადიოდა:

— აბა, დოლენჯიშვილი, გული რისა უნდა ჰქონდეს ვაჟაკსა?

თემურა მწკრივიდან ორი ნაბიჯით გამოდიოდა:

— გული რკინისა!

— სრული პასუხი!

— ვაჟაკსა გული რკინისა!

— კეკელია, აბჯარი?

— აბჯარი თუნდა ხისაო!

— რაზმაძე, თვალნი?

— თვალნი ქორებულ მხედავნი!

— აბლუშელიშვილი, ზედ მუხლნი?

— შევარდნისანი.

— სრული პასუხი!

— ზედ მუხლნი შევარდნისანი!

— კარგია.

მერე კლასში რომ გადავედით, ძალიან უკლო თავის თავზე ლაპარაკს, იცოდა, ეშვით მოვეკიდებოდით, თანაც, ბოროტი ენები ამბობდნენ, მეორე თანრიგი ჰქონდა ტანვარჯიშში, ეგ იყო და ეგაო. სამაგიეროდ, უმცროსკლასელებთან ძველი კოტე მასწავლებელი იყო,

მთელი საბჭოთა კავშირის ნუმერ პირ-  
ველი სპორტსმენი ვიყავით. მხოლოდ  
ერთხელ, მეცხრე თუ მეათე კლასში  
ვიყავით, ვეღარ შეიმაგრა თავი:

— ხანდახან ცუდი ამბები მესმის და  
გული მწყდება. ჩხუბი კი უნდა იცოდეს  
ვაქცავმა კაცმა, მაგრამ რომ ორმა ერთ-  
სა სცემოს, ვამიჯია? ჩხუბის მეტი რა  
მიკეთებია, მაგრამ უდანაშაულო კაცს  
როგორ გავარტყამდი, რა გული გამიშ-  
ვებდა? ერთხელაც, — უცებ ოთხი-ხუთი  
კლასით უკან დავვწია, — ერთხელაც  
ერთი კაცი მოვიდა ჩვენს ინსტიტუტში  
ეცხეთიდან. კოტე ესა და ეს გვარი  
რომელიაო. მე გამოვედი და მოკლედ  
ვუთხარი, მე ვარ მეთქი. შენაო? — ამ-  
ხედა, შენა ხარ კოტეო? მე ვარ, საქმე,  
საქმე-მეთქი. მეო, მითხრა, დამრტყმე-  
ლი ვარო, ერთმა კაცმა მითხრა, კაი  
მაგარი ვაქცავი კი ხარო, მაგრამ ინსტი-  
ტუტელ კოტესთან მინც ვერ მიხვალო.  
აბა, დღეს გაირკვევა, მოვალ თუ ვერაო,  
წამოდი, დავარტყათო. მე ერთი კონტა  
საათი მეკეთა, ფიზკულტურის მინისტ-  
რის ნაჩუქარი, სწორედ იმ საათს დავ-  
ხედე და ვუთხარი — ეხლა საინტერესო  
ლექცია მაქვს პათანატომიაში და ლექ-  
ცია რომ დამთავრდება, ჩემი თავი შენ  
გენაცვალოს-მეთქი. ლექცია რომ გათავ-  
და, ინსტიტუტის ენოში გავედით. გაი-  
ხალა ტყაპუჭი — რკინა, გავიხადე პერან-  
გი — ფოლადი. ვუყურებ — მიყურებს,  
ვუყურებ — მიყურებს. ჰა, რაღას უც-  
დილო! მეთქი, სტუმარი ხარ-მეთქი, ჯერ  
შენ დამარტყი-მეთქი... კარგი — მოვი-  
და: დამარტყა — დამაბარბაცა, დავარ-  
ტყი — დავაზანზარე. დამარტყა — მკლა-  
ვში ძალა აღარა ჰქონდა, ხელი წავავლე,  
ავწიე, წერას აუტანიხარ, რა გიყო-  
მეთქი, ქვემოდან ვკითხე... ჩამამსვი, კო-  
ტე, ჩამამსვი, თითი მომიკაკეიაო... ჩა-  
მოვსვი, ხელი გამომიწოდა, გავუწოდე,  
წამოდი ეხლა, დავლიოთო... ვერა-მეთ-  
ქი... არა მკადრულობო, არაო? როგორ  
არ ვკადრულობდი, მაგრამ მე ჰისტო-  
ლოგიის გამცდენი ვიყავი?

— ერთი ის საათი გვაჩვენეთ, რა, მასწ...  
— უთხრა ორჯერ ჩარჩენილმა ანზორმა.

— რომელი საათი?... — გაუკვირდა  
კოტე მასწავლებელს.

— აი, მინისტრის ნაჩუქარი...

კოტე მასწავლებელი ერთხანს ისევ  
გაკვირვებული შესცქეროდა, მერე გა-  
ახსენდა:

— ჰოო... ის საათი გამიტყდა... — გა-  
მოცოცხლდა, — აი, სწორედ იმ მცხე-  
თელთან ჩხუბში გამიტყდა, ვაჰ, რა სა-  
ათი იყო?

## 5

შემოვლა რომ დამთავრდა, მესამე  
სართულზე ავედი. მეექვსე პალატაში  
შევაბიჯე, კოტე მასწავლებელს კედლი-  
საკენ ექცია პირი. ჯერ შეგონა, ეძინა, მა-  
გრამ მხრები უცახცახებდა. შეცუბნებუ-  
ლი მიეუახლოვდი და გავშრი — კოტე  
მასწავლებელი ტიროდა. დავიბენი, ვე-  
რასოდეს წარმოვიდგენდი, თუ იტირებ-  
და. პალატიდან ფეხაკრეფით გამოვსლა  
დავაპირე, მაგრამ ზედ კართან დამაწია:

— გოგი, დაიცა, გოგი!..

გულაღმა იწვა, თავი ოდნავ მოეტრი-  
ალებინა ჩემკენ და ეტყობოდა, რომ  
ესეც უჭირდა.

ერთხანს ჩუმი ვიჯექი, მერე კოტე  
მასწავლებელმა მკითხა:

— როგორა ხარ, ოჯახს ხომ არ მო-  
ეკიდე?

— კი.

— მართლა? შვილები თუ გყავს...

— მყავს. გოგო...

— მართლა? — გავხარდა კოტე მას-  
წავლებელს, — იცი, გოგო რა ტყბილია?  
მე რომ გოგო შემეძინა, ჯერ თითქოს  
მეწყინა — ბიჭი მინდოდა. მაგრამ ჩემს  
გოგოში ეხლა ასე ბიჭი რომ მომცენ,  
მინც არ გავცვლი. ჰე, — ჩაიცინა, —  
იცი, გოგო რა ტყბილია?

მეც ვიღიმებოდი. მერე ტყვიელმა  
სახე მოუღრცია და ისევ ჩუმი ვისხე-  
დი.

კოტე მასწავლებელი რაღაცას ფიქ-  
რობდა.

---

**გურამ დოჩანაშვილი**  
კოტე მასწავლებელი



— გოგი, — თავი ოდნავ უცახცახებდა, — ერთი რალაც უნდა გკითხო.

— კი ბატონო.

— გოგი, აი, ხომ არის ცხოვრებაში რალაც ისეთი, ნუ, ისეთი რამეები, რაც ნამდვილად სასარგებლოა, ნამდვილად... აი, თუნდაც მედიცინის დარგში, ჯანმრთელობისათვის...

— როგორ არა, აი, მაგალითად, თამბაქოს გადაჩვევა, კვების რეჟიმი...

— გოგი, — მუხლზე დამადო ხელი, — აი, დილის ვარჯიშიც ხომ ნამდვილად კარგია?

კოტე მასწავლებელი ღელავდა.

— რა თქმა უნდა, დილის გამამხნევებელი ვარჯიში ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევას, დამამშვიდებლად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, ამძლავებს შრომისუნარიანობას...

ხელები მკერდზე დაიწყო, უხერხულად ჩაიცინა:

— იცი რა, გოგი, მე რომ რალაც რალაც გვიყვებოდით, ის ნამდვილი კი არ იყო, მაგრამ მაინც... ნუ, როგორ კითხრა... ცოტათი მაინც ხომ გიბიძგებდით, სპორტი რომ შემეყვარებინა თქვენთვის... არა, მე კი ვიცოდი, თქვენგან ჩუქარინი და პაიჭაძე რომ არ გამოვიდოდა, მაგრამ... აი, დილის გამამხნევებელ ვარჯიშს მაინც მივაჩვიეთ მგონი, არა, გოგი?

— დიახ.

— დილაობით ახლაც ხომ ვარჯიშობ?

— დიახ, — არ შემეძლო, ტყუილი მეტქვა, მაგრამ თითქოს ამის საპასუხოდ მითხრა:

— იცი რა, გოგი, მარტო ტრაბახა კი არ ვიყავი, — ძალიან ღელავდა, — მე, უბრალოდ, ჩვეულებრივი მატყუარა კი არ ვიყავი... მე მგონი, ტყუილი ორგვარია — ბოროტი და კეთილი.

— რა თქმა უნდა, კოტე მასწავლებელი.

— არა, სამედიცინო ინსტიტუტი მართლა მქონდა დამთავრებული.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, ამჯერად ძალიან დიდხანს ფიქრობდა.

— იცი რა, გოგი, ხანდახან რომ ვირდები, ძალიან შორს მივდივარ მე. აი, ვთქვათ, წარმოვიდგინოთ, რომ მართლა პირველი სპორტსმენი ვიყავი — პირველი ფეხბურთელი, პირველი მოკრივე, მოფარკავე და ასე... მაგრამ იცი რა, გოგი, ხანდახან რომ ვუკვირდები, აი... აი, ვთქვათ, მართლა ვიყავი, არა? ეს თავისთავად კი ძალიან კარგია, მაგრამ ეხლა მე შენ გეკითხები, გოგი, მერე რა? ვთქვათ ვიყავი, არა, მერე რა? ა, გოგი?.. — და ძალიან ჩუმად დააყოლა: — მე მაინც მგონია, რომ მთავარი მაინც სხვა იყო, სულ სხვა რალაცა იყო მთავარი...

— რა... — დავიძაბე, — რა იყო მთავარი?

— ვიცი და არ გეუბნები? — მხრები აიჩიჩა კოტე მასწავლებელმა და ისევ მოედრიცა სახე.

ჯერ ყველაფერი არეულად მასწავლებელმა — უღვამას სტუმრობა, მეექვსე პალატა, პირველი გაკვეთილი, კოტე მასწავლებელი სპორტულ ტანსაცმელში და კოტე მასწავლებელი კედლისაკენ პირშექცეული, მოძიგდივე მხრებით... ახლა კი, რამდენიმე წელიწადი რომ გავიდა, ყოველთვის, როცა დილის გამამხნევებელ ვარჯიშს გადმოსცემენ, ანდა სპორტულ მაღაზიას ჩაუვული, ვგრძნობ, რომ ძალიან კარგი, კეთილი ღიმილი მეფინება სახეზე და მაგონდება საფეთქლებთან ჭაღარაშერეული, ლურჯ ტანსაცმელში გამოწყობილი რიხიანი დაბალი კაცი და მისი კეთილი ტყუილი: „პირველობას არაფერი სჯობია, დაფნის გვირგვინით შეგამკობენ. აი, მე, საბავშვო ბაღში რომ ვიყავი, არა? — პირველი ვიყავი; სკოლაში რომ ვიყავი, არა?...“

მაგრამ სადამოობით, როცა გრძელი დიდით დაღლილი, დაუსტებელი და ეჭვებაშლილი მივწვები, დაძინების წინ ჯიუტად ჩამესმის გაუბედავი ხმა:

„მთავარი მაინც სხვა იყო, სულ სხვა რალაცა იყო მთავარი...“



## თავთუხეზის ათეული

სეტყვასავით რეკს,  
დელგმასავით წვიმს:  
— ათეულო, წინ!..  
— ათეულო, წინ!..  
მეთაურის ძახილს  
მივანებებ თავს,  
გამიტაცებს შორს  
ფიქრის ორი ფრთა...

ვატყობ, ჩემი ქვეყნის  
ხილვით ვფოლადდები.  
მიაპობენ სივრცეს  
მინდვრის ხომალდები.  
ვხედავ ჩვენებურებს  
გახურებულ მკაში  
და მე მოგონების  
ძველ იალქნებს გავშლი.

წინაპრები წინათ  
ასე როდი მკიდნენ,  
ნამგლით მიჰყვებოდნენ  
დაყანებულ მინდვრებს.  
თითო ნამგლის პირზე  
ენტო თითო შზე და —  
თავთუხეზი თვითონ  
მიიწევდნენ ზედა...

ო, იმაშიც იყო  
რალაც აღმაფრენა,  
თორემ შუბლზე ცისკრას  
შუქი არ დამაფენდა;

თორემ ათეულის  
მეთაურის ძახილს  
როგორ მოჰყვებოდა  
შთაგონება მძაფრი...

სიტყვა „ათეული“  
ყანის მკაშიც რეკდა  
და გლესკაცი ამით  
ფასდებოდა ქვეყნად.  
ველზე ათეულად  
მწკრივდებოდნენ ძნები,  
გრძელდებოდა კვლავაც  
ჩვეულება ძველი.

გრძელდებოდა, რადგან  
საქართველოს ბედი  
მეომარის ბედთან  
შეკრულიყო ღვედით...  
როგორც ბრძოლის ველზე,  
ასე შრომის ველზე,  
ხიტყვა „ათეული“  
იყო ყოვლისშემძლე...

ძველ თქმას ძველებური  
შემართება ახლავს;  
სად ნამგალი ნამგლობს,  
ასე ითქმის ახლაც...  
ძნების ათეულშიც  
ათეული ძმაა  
და სიცოცხლის ლელო  
იმიტომაც გააქვთ!..





ავტობუსი კოლმეტრნობა „განთიადის“ ხეხილს ბაღების მახლობლად გზაჯვარედინზე გაჩერდა, კარი გაიღო, მოხუცი გადმოვიდა. ჭალარაშერეულმა მგზავრმა ხურჯინი ჩამოაწოდა, თან უსაყვედურა.

— რა იქნებოდა, წამოსულიყავი ჩენსას, ბიძია ბესარიონ! შენი ავადმყოფი ქვისლი მაინც არ გენატრება?

— სხვა დროს მოვალ, ჩემო ნესტორ! ჩემს ქვისლს გადაეცი, ყოჩაღად იყოს! მოხუცის ბოლო სიტყვები ადგილიდან დაძრულმა მანქანის ხმაურმა დაფარა.

ივლისის ცხელი ღლე იყო.

საკვირაო ბაზრობიდან დაბრუნებული მოხუცი, თავისი სოფლისაკენ შემთხვევით წამსკლელი მანქანის მოლოდინში ვზისპირად შედგა, შუბლი მოიჩრდილა, ტერასებზე გაშენებულ ჩაის პლანტაციებს გახედა.

შორს ლურჯად აყრილი სიმინდის ყანები მოჩანდა.

„მართლაც ეტყობა აქაურობას მზრუნველი ხელი“, — გაიფიქრა ბესარიონმა და ნესტორი მოაგონდა.

დილით ბაზარში შეხვდა ცოლის დის-შვილს... ერთმანეთი მოიკითხეს, ერთმანეთის ოჯახური ამბები შეიტყვეს და ბოლოს ნესტორი შეეკითხა.

— მოსავალს თქვენკენ როგორი პირი უჩანს?

მოხუცი უხერხულად შეიმშუშნა.

— მოსავალს თქვენ ვიქებენ, ჩემო ნესტორ! — მიუგო.

— შარშანდღევით ბევრს ვერაფერს დავიკვებნით... რაღაც ოთხიოდე მანეთი ფულად, ხუთი კილოგრამი მარცკლეული, ცოტაოდენი ყველი, თაფლი და სხვა წვრილმანი განაწილდა შრომადღეებზე, — შეიფერა ნესტორმა.

გულზე გასივდა ბესარიონი: „მთლად მამამისს არ დამსგავსებია ეს ობრი-შვილი?! სანამ ლოგინად არ ჩავარდა ის სულაძაღლებული, ტრაბახი ვერ მოიშალა და ახლა ამას არ დაუწყია?!“

ავტომანქანის ხმა მოისმა.

ბესარიონი ფიქრებიდან გამოერკვა, წინ წამოდგა, მძღოლს ხელი აუწია, გაჩერება ანიშნა... მაგრამ თითქოს ჯიბრზეო, მანქანამ მის წინ, მთელი სიჩქარით ჩაიჭროლა.

— ლაწირაკი! — გაბრაზდა ახალგაზრდა მძღოლზე მოხუცი, ისევ ხურჯინს მიუბრუნდა და კვლავ შეავლო თვალი ლურჯად მობიბინე სიმინდის ყანებს, საგულდაგულოდ მოვილილ ხეხილის ბაღებს.

„არა, ნესტორი არ სტყუის!“ მამ რა ეწყინა ბერიაცის ცოლის დისშვილისაგან? ლაღი რომ ჩანს, თავის სოფლის წარმატებაზე თამაზად რომ ლაპარაკობს?!

„არ წამახდინა ყაზახი?! — გაიფიქრა, — აბა რა უნდა მეპასუხა, ჩვენიან შრომადღეზე კილოგრამი სიმინდიც ძლივს გვერგო-თქო?!. ეჰ!“ — მოიღუშა ბესარიონი... თავისი სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამბაკო, საწყობის გამგე ტარასი და ბრიგადირი კირილე გაახსენდა: „ოხრისშვილები!... ისე ითხლიშებიან, გეგონება მამაპაპეულზე არიანო!... მართალია, მათთვის ხელში ნაჭურღალი არავის უნახავს... მაგრამ მამაპაპეულიც რომ არ დარჩენიათ, ასე საიდან ცხოვრობენ, თუ ხალხს არ ატყუებენ, თუ ჩემს ნაოფლარს არ ითვიებენ?!“.

რაიკომის ახალი მდივანი მოაგონდა: „როგორი გამოდგება?!“ წუხანდელი ლექციაც გაიხსენა. უსიამოვნოდ შეიშმუნა. ასფალტის მხურვალემა ფეხებს სწავდა, გულს უღონებდა... ვერ გაძლო მზეზე, დაავლო ხელი ხურჯინს და იქვე, მინდორში, აღმართულ ვეება ცაცხვის ჩრდილს შეეფარა.

ხურჯინი მიწიდან ამოჩრილ მსხვილ ფესვზე მიაყუდა, შუბლიდან ოფლი მიიწურა, სახე გახუნებული შავი სატინის ახალუხის სახელოთი შეიმშრალა... ჩამოჯდა, თალხი ქსოვილის თამბაქოს ქისა ამოიღო, ყალიონი დატენა, ოფლით დანამულ ასანთის კოლოფს წუმწუმინი მშრალი კიდე შეურჩია, ღერო

ღონივრად ჩამოჰკრა, ყალიონი გააჩაღა და ხურჯინს ნებევრად მიესვენა.

ცაცხვის განიერ ტოტებში ფუტკარი ყრუ, გაბმული ზუზუნით ირეოდა.

ქვემოთ დაშვებულ წვრილ ტოტზე, ფოთლებში მოელვარე ცაცხვის ყვავილთან მოზუზუნე ფუტკარი დიდხანს თრთოდა, ბოლოს ფრთები დაწურა, მოსხლტით ძირს დაეშვა, შემდეგ ერთბაშად გაშალა და ბესარიონის ყურთან გაიბზულია.

მთველმარე მოხუცი შეშინებული წამოიწია, „ტილოო!“ — წაიდუღუნა... მსხვილ ფესვზე წამოჯდა, ჩაფერფლილ ყალიონს ზემოდან ცერის ფრჩხილით დააწვა, მოსწია, ბოლი ამოეშვა და სიკრცეს გახედა.

თაკარა მზეზე თრთოლვით ლივლივებდნენ ჰაერის ქავლები.

ბესარიონი ცაცხვის ფართოდ დაფენილ ჩრდილს ფიქრიანი სახით დასჩერებოდა... ისევ წუხანდელი ლექცია მოაგონდა: „რაც უფრო მზანია დღე, მით უფრო მკვეთრად ისახება საგანთა ჩრდილები... ესე იგი, რამდენადაც უფრო დიდია ჩვენი დღევანდელიობა, მით უფრო იგრძნობა ცხოვრების მანკიერი მოვლენებიო!“ — თქვა ლექტორმა და სახალხო ქონების გაფლანგვა-დატაცების რამდენიმე ფაქტი აღნიშნა... ბოლოს ისეთი მაგალითიც კი დაასახელა ხეცსოფლელების ცხოვრებიდან, მოხუცს გაუკვირდა კიდეც: „ჩვენი წახდენა ამ უცხო კაცს საიდან გაუგიაო“.

ბესარიონმა ცაცხვის განიერ ტოტებს ახედა... ისევ დაკვირვებით გაჰკვირტა სივრცე. მერე მზის სინათლეზე მიმობნეულ ჩრდილებს ისე დააჩერდა, თითქოს ლამობდა, ახლა უფრო ნათლად წარმოედგინა ის, რაც წუხელ ლექციაზე გულგრილად მოისმინა...

შეკუმუნვნილი შუბლი გაეხსნა, სახის ღარებს ჩუმი ღიმილი შეეფინა.

მანქანის ხმა მოისმა.

გზისპირად მღვარი ბესარიონი ხელს

**ვიოგოი თელია**  
ენაკვიზატი



იწვედა, მძღოლს შორიდანვე ანიშნებდა, მანქანა გაეჩერებინა.

„ვოლგა“ მოხუცის წინ გაჩერდა.

ბესარიონი მძღოლთან მივიდა.

— სად მიდიხარ? — შეეკითხა და ღმაღვე შედგა... თითქოს ეგ სახე სადღაც უნახავს, ორფერად შეღებილი ავტომანქანაც ენიშნა.

მძღოლმა გვერდით მჯდარ კაცზე თვალით ანიშნა, უფროსი ის არისო.

ბესარიონი უცნობს მორცხვად მიუბრუნდა.

— უკაცრავად, ჩემო ბატონო... სხვა მეგონეთ! — მოიბოდიშა და გაბრუნდა.

— სად მიბრძანდებით, მოხუცო? — შეაყენა უცნობის ხმამ.

ბესარიონი შემობრუნდა.

— აგერ, ხევში.

— დაბრძანდით!

მძღოლი გადმოვიდა, ბესარიონს ხურჭინი ჩამოართვა საბარგულში ჩაკეტა.

მგზავრი უკანა სავარძელზე მოთავსდა. მანქანა დაიძრა.

ღია სარკმელში შემოჭრილი ნიავი სასიამოვნოდ აქირქილდა.

მძღოლის გვერდით მჯდარ ორმოციოდე წელს მიღწეულ კაცს ოდნავ მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა...

ბესარიონი უცნობს ფარულად უჭვრეტდა. „ჩვენებური არ უნდა იყოს!“ — გაიფიქრა, თანაც ცდილობდა მანქანაში ჯდომა შეეფერებინა, მაგრამ არ გამოსდიოდა. დაუბერტყავი ყალიონი უხერხულად შერჩენოდა ხელში, ზემოდან ცერი დაეფარებინა, ფრთხილობდა, სავარძელზე გადაკრულ სარჩულზე ფერფლი არ დასცვენოდა.

უცნობი ოდნავ შემობრუნდა.

— რამდენი წლისა ხართ მოხუცო?

— ოთხმოცს გადავაბიჯე, ჩემო ბიძია.

— კოლმეურნე ხართ?

ბესარიონს პასუხი შეუყოვნდა.

— ვიყავი, — მიუგო ბოლოს.

— ალბათ სიბერის გამო დაანებეთ თავი.

მოხუცმა გამომცდელად შეხედა უცნობს, უნდოდა შეეტყო, ვის ესაუბრებოდა: შემთხვევით გამვლელ მგზავრს თუ, იმ კაცს, ვისაც ჭირვარამს ეტყვიან.

— ამ მანქანით წინათ, მგზავრს დადიოდა! — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ბესარიონმა.

— ახლა მე დავდივარ! — ღიბილით მიუგო უცნობმა.

მცირე ხნით ორივე დადუმდა.

მანქანა მიჰქროდა... და მის პრიალა სახურავზე სწრაფი ფარფატით გადარბოდნენ გზის ორთავ მხარეს ჩარიგებულ კაკლის ხეთა ჩრდილები...

დუმილი ისევ უცნობმა დაარღვია.

— თქვენს კოლმეურნეობაში დაახლოებით რამდენი კაცი იქნება?

ბესარიონმა ისევ გამომცდელი თვალთ გახედა.

— ერთი, ეს მითხარი, ჩემო ბიძია, დამზადებას თავისას რომ ჩავაბაჩებთ, რაც დარჩება, თანაბრად ხომ უნდა განაწილდეს შრომადღებზე?

— რა თქმა უნდა!

— ჰოო! — გაიკვირვა მოხუცმა, — მაშინ ჩვენს კოლმეურნეობაში სამი წყერი ყოფილა.

— სამი?! — გაეცინა უცნობს, — თქვენ ხუმრობთ!

— ჩვენი რაიონის წინანდელ უფროსსაც ეგონა, ვხუმრობდი, მარა... ბოლოს ხუმარა თვითონ დარჩა!

ავტომანქანა რომელიღაც მშენებლობის ახლოს გაჩერდა, უცნობი გადმოვიდა... ბესარიონიც მოემზადა გადმოსასვლელად, მაგრამ თანამოსაუბრის ხმამ შეაყენა:

— იჯექით, იჯექით! სახლამდე მიგიყვანს, ხვალ მეც ამოვალ, გინახულებთ! — წარმოთქვა და მშენებლობისაკენ გაემართა.

— ვინ არის ეს მადლიანი კაცი? — ჰკითხა მძღოლს ბესარიონმა.

— რაიკომის ახალი მდივანია!

— მდივანი?! — გაიკვირვა მოხუცმა, — მამ არ შეემცდარავარ!

გვიანი ღამე იყო... სოფელს ეძინა... ღრუბლებს ჰაერი დახვთა.

შორიდან სატვირთო ავტომანქანის რახრახი მოისმა, მაგრამ უმაღლე მიწელდა.

სადღაც ძაღლმა შეყეფა.

სოფლის შუკაში ამბაკო და ტარასი უკუნებოდ მიაბიჯებდნენ.

— ოხერი, რა სიტყვა! არ იწვის ყველაფერი?! — დაარღვია ღუმელი ამბაკომ და ოფლად გაღვრილმა აბრეშუმის კიტელის ლილები ბოლომდე ჩაიხსნა.

— სიტყე მაშინ თქვი, ბესარიონმა თუ დაგვინთო ცეცხლი! — მიუგო ტარასიმ და ასანთი ნერვიულად გაჰკრა, პაპიროსს მოუკიდა.

— ჰმ, ბესარიონ, ბესარიონ! — ბოლომით წაიდუღუნა ამბაკომ, — საიდან შეხვდა ეს ენაკვიმატი ბერიკაცი მდივანს!

— მერე, ისეთი დაუნდობელი ვინმე ყოფილა, თურმე დანაშაულს ღვიძლ მძასაც არ აპატიებსო!

— ვაითუ არაფერი გამოგვივიდეს და ამდენი სიმინდიც დავკარგოთ! — ამბაკომ ურწმუნოდ შეხედა ტარასის.

— ბირიქით, სწორედ სიმინდით უნდა მოვუკეტოთ სალაპარაკო, თორემ ხვალ სულ მოგვთხრის.

— ავჩქარდეთ, მანქანამ არ მიგვასწროს.

აქა-იქ მამლის ყვირილი გაისმა. წვიმის თითო-ოროლა წვეთი ყრუდ ახმაურდა ფოთლებზე.

ისევ გაისმა მოტორის გრუხუნი და ცოტა ხნის შემდეგ სიმინდით დატვირთული ავტომანქანა ბესარიონის ეზოს მახლობლად, შუკაში ჩადგა.

აივანზე მწოლი, ძილგამკრთალი ბესარიონი ლოგინზე წამოჯდა, ყურები ცქვიტა, ქუჩიდან ლაპარაკი შემოესრია, მცირე ხნის შემდეგ ფრთხილი ძახილი გაიგონა.

— ბესარიონ! ბესარიონ!  
მოხუცმა ამბაკოს ხმა იცნო. «ეტუობა უქირსო», — კმაყოფილებით გაიფიქრა, მოაჯირს საცვლების ამარა მოადგა და ფრთხილადვე გადასძახა.

- რომელი ხარ?
- მე ვარ, ამბაკო!
- ჩვენი თავმჯდომარე? ხომ მშვიდობაა, ამბაკო ბატონო?!
- სიმინდრ მოგიტანე.
- სიმინდი?!

— ჰო, შენი კუთვნილი.

— ღმერთო მომკალი, მერე, შენ, თავმჯდომარე შეწუხდი მაგისთვის?!

— აბა რაღა მოხელე ვარ ჩემი კოლეგურნეებისათვის თუ არ შევწუხდი?!

— შენ ამბობ მაგას?!  
ამბაკო გაშრა.

— ბესარიონ, იწამე ღმერთი, — წინ წამოდგა მხარზე ტომარაგადებული კირილე, — გვითხარი, სად დავყაროთ სინინდი.

- კირილე ხარ?
- კირილე კი არა ოხრობა ვარ!
- ძართალს ამბობ, ჩემო კირილე!
- ბესარიონ სულწაწყენდილო, — ტარასიმ ნერვიულად შესისწორა მძიმე ტვირთი, — ასე ხომ?!

— ტარასი, შენც აქა ხარ?!

— ხომ დავგაჩოქე, სხვა რაღა გინდა, რას გვაწავლებ?

— აგერ ამოიტანეთ, ა, — თქვა მოხუცმა და აივნის ერთი კუთხიდან ხარახურების გაზიდვას შეუდგა.

ამბაკომ კიბის საფეხურები სასწრაფოდ აირბინა, ბესარიონს მიეშველა.

ტარასი, კირილე და მძღოლი ქშენით ავიდნენ, ტომრებს თავი მოხსნეს, სიმინდის ტაროები იატაკზე დაუშვეს.

მანქანა იცლებოდა, აივანზე ქარვისფერი ტაროების ხეავე დგებოდა... ბესარიონი ერთხანს კმაყოფილი იღიმებოდა, მაგრამ რაკი შეიტყო, სიმინდი ბევრად მეტი მოეზიდათ ვიდრე ერგებოდა, ჯერ ჩაფიქრდა, შემდეგ ამბაკოს უნდოდ შეხედა.

— ამბაკო, ხომ არ გეშლება და სხვის ნაოფლარსაც მე ხომ არ მათვლი?!

— ახირებული კაცი ხარ, ბესარიონ, ვისი ნაოფლარიცაა რას ძიობ, ვინ გედავება?!

მოხუცს პასუხი არ მოეწონა. თავმჯდომარეს წყენით შეხედა.

— მე ღვთის მორწმუნე ვარ, ამბაკო!

— ღმერთი ხუცებსაც შესძლებიათ, ბესარიონ!

— მერე, მეც შევიძულო და შენზე



ვილოცო?! ეს როგორ მკადრე ამბაკო?!  
ამბაკო ისე შექანდა, თითქოს სილა  
სტკიეცსო, მაგრამ რა ექნა?!

— გეხუმრე, რა გეწყინა, შე კაიკა-  
ცო! — წაილულლულა.

— აბა, ხუმრობა იქით იყოს და პარ-  
დაპირ გეტყვი: არც შენსას შევეიწუკე,  
მარა იცოდე, არც ჩემსას შეგარჩინთ  
ფრჩხილის ოდენს!.. ახლავე გადამიწონე  
ჩემი! — ისე წარმოთქვა, ამბაკო დარწ-  
მუნდა, მუდამ ხუმარა ბესარიონი უკვე  
ალარ ხუმრობდა.

დილით ყველამ იცოდა, ღამით ძღვე-  
ნით რომ ეახლნენ ბესარიონს... ბევრს  
იციოდნენ ხუმარა ბერკაცზე, ძღვე-  
ნით მისული სტუმრები, პატივისცემის  
ნაცვლად დილაძღე რომ გააჯახირა, საკ-  
სე მანქანით მიტანილი სიმინდი ხელის  
სასწორით ხელახლა რომ ვადააწონინა.

გულისწყრომით იხსენიებდნენ აშა-  
კოსა და მის თანამოსაქმეთა თავგასუ-  
ლობას და რაიკომის ახალი მდივნის  
ახალ სიტყვას ელოდებოდნენ.

მდივანს ადრე დილით ხევის საყოლ-  
მეურნეო ფართობებზე შემოეცლო, მე-  
რე სოფელს ეწვია... თავმჯდომარის კა-  
ბინეტში ამბაკოს, ტარასის და გამგეო-  
ბის წევრების თანხლებით შევიდა, სა-  
მუშაო მაგიდაზე მიდგმულ წითელ  
სუფრაგადაფარებულ მაგიდას მიუჯდა  
და ბესარიონი მოიკითხა.

ამბაკოსა და ტარასის ფერი ეცვალათ.  
ბესარიონთან კაცი აფრინეს.

მდივანმა ბოლო დღეებში შესრულე-  
ბული სამუშაოს მაჩვენებლები მოით-  
ხოვა... დაჯამებული არ არისო, მოახსე-  
ნეს...

შრომადღებების აღრიცხვა მაჩვენე-  
თო!

საანგარიშო დარგის მუშაკები დაფა-  
ცურდნენ, საქალაქდებები გაშალეს, და-  
ვთრებს ჩაულრმავდნენ.

ბესარიონი შემოვიდა, მდივანს  
სალმა.

— დაბრძანდით! — სთხოვა მდივანმა  
და თავისუფალ სკამზე ანიშნა.

ამბაკო და ტარასი სკამისაკენ ერო-  
დროულად გაქანდნენ, ტარასიმ დაასწ-  
რო, სკამი აიტაცა და ბესარიონს მიუბრ-  
ბენინა.

ბესარიონმა პატივი შეიფერა, დაჯღ-  
მდივანი მოხუცს მიუბრუნდა.

— მე მითხრეს, თქვენ კოლმეურნე  
ყოფილხართ!

ამბაკო და ტარასი ბესარიონს ფინიე-  
ბივით შესციცინებდნენ.

— მართალი უთქვამთ! — იყო პა-  
სუხი.

მდივანმა გაოცება არ შეიმჩნია.

— აბა, ერთი ამათაც უთხარი, — მდი-  
ვანმა ხელი გამგეობის წევრებისაკენ  
გაიშვირა; თქვენს კოლმეურნეობაში  
რამდენი კაცია გაერთიანებული?!

ბესარიონი ზუსტად ამ შეკითხვას თუ  
არა, მსგავსს მაინც ელოდა და პასუხიც  
არ დააყოვნა.

— ოთხნი ვართ, ბატონო.  
ხმამალა გადაიხარხარეს.

ამბაკო და ტარასი ცივმა ოფლმა და-  
ნანმა, თავიანთი გულისცემა თვითონვე  
ესწოდათ.

— გუშინ თქვით, სამნი არიანო...  
დღეს ოთხნი ვართო, ეს როგორ გავი-  
გოთ?

— გუშინ სხვა იყო, დღეს სხვაა, ჩე-  
მო ბატონო!

ისევ ხარხარი ატყდა.

ბესარიონი წამოდგა, მეჩქარებაო,  
მოიბოდიშა.

მდივანმა მადლობა გადაუხადა მო-  
ხუცს, კარამდე მიაცილა... შემდეგ გა-  
გეობის წევრებს მიუბრუნდა.

მცირეოდენი თითბირეს და გადააწე-  
ვიტეს: სასწრაფოდ მოეწვიათ საერთო  
კრება.



შემაშფოთებელი ამბები მოდის ყოველდღე საბერძნეთიდან. შარშანდელი გადართიალების შემდეგ ციხეებში და საპყრობილეებში იტანჯება მრავალი ათასი ბერძენი პატრიოტი. მათ შორის არიან ლიტერატურისა და ხელოვნების სახელგანთქმული მოღვაწეები. მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები ხმას იძალებენ თვითნებობისა და ძალადობის წინააღმდეგ და სოლიდარობას უცხადებენ თავისუფლებისათვის მებრძოლ ბერძენ პატრიოტებს. ებეჭდავთ საქართველოში მცხოვრები ბერძენი პოეტი ქალის ფოტულა იანაკოვლუს ახალ ლექსებს.

### „ავეროვის“ ეპო

ცნობილ ბერძენ პოეტ ქალს, საზოგადო მოღვაწეს ელი ალექსიუს, რომელსაც საბერძნეთის სამხედრო-ფაშისტურმა ხუნტამ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა და ამჟამად „ავეროვის“ საპყრობილეში იმყოფება

წერილი შენი  
მივიღე გუშინ  
და მე ავტირდი,  
ძვირფასო ელი,  
კითხვისას უცებ  
გაწვიმდა სულში  
და აშიშინდა  
სიტყვებზე ცრემლი, —  
ვით ნაკვერჩხლებზე  
წვეთები წვიმის...  
და კი არ ჩაქრა, —  
გაღვივდა უფრო —  
ცეცხლი,  
რომელიც შენს გულში ღვივის,  
ალი,  
რომელმაც მეც დამწვა  
უღვთოდ!

...ვეფერები და  
ყოველი სიტყვა  
უცებ იქცევა სახედ ან საგნად...  
ელი,  
სამშობლო შენსავით მიყვარს,  
სევდა ორივეს  
ზიარი გვთანგავს!...

წერილი შენი, —  
იმედის სხივი,  
მზისფერი დროშა —

ჩირადღნის დარი!  
სისხლში მოძმეთა  
ტკივილი კივის,  
ტანზე მეხვევა  
ელადის ქარი!

შავია ჩვენი  
სამშობლოს ზეცა  
და ჩვენც შავები  
გვაცვია, ელი!  
დადგება დრო და —  
ჩვენ ვიტყვი:  
„გვეცვა!“...  
და შეგვაშრება  
თვალეებზე ცრემლი.  
მზე გადმოხედავს  
ჩვეული ეშხით  
სუყველა სახლს და  
სუყველა ეზოს, —  
დღესასწაულის  
გიზგიზა მზეში  
გადავებვევით  
მანოლის გლეზოს!  
მაღე ვიქნებით  
მომსწრენი დღეთა —  
შურისძიების,  
თავგამეტების!  
და შეტევაზე

გადავლენ ერთად  
ჯარისკაცები  
და პოეტები!..

ელადა იბრძვის!  
ელადა ელის!..

ერთად ვიქნებით  
ზეიმის დროსაც;  
და მე შენს წერილს,  
ძვირფასო ელი,  
ავაფრიალებ,  
ვით მზისფერ დროშას!

თარგმან ავიჩი ქნალაქიშ.

## დედა და შვილები

### გოიას დედას

შენ დედა იყავი და არც იყავი,  
შენ ქალი იყავი და არც იყავი,  
შენ ვარდი იყავი და არც იყავი,  
ხე იყავ მსხმოიარე და არც იყავი.  
მოვარდა ქარიშხალი უცები,  
დაგწყვიტა, წაგართვა ფურცლები,  
მოვიდა ზაფხული ლამაზი, ლამაზი,  
აფეთქდა ყვავილი ათასი, ათასი,  
დგახარ გადამწვარი,  
დაბუგულ ტოტებით,  
ახალ გაზაფხულებს აღარ ელოდები,  
დარწა და ავდარში,  
მზეში და წვიმაში,  
დედაო, ვიჩოქებ მაგ დარდის წინაშე,  
დედაო, მართალო,  
დედაო, მრისხანე,  
მადლობა, ტანჯვის ქვეშ  
რომ არ დაიხარე.

მე ვკოცნი მაგ ხელებს ფაქიზად,  
ანაზღად,  
მაგ ხელმა ზოია და შურა გაზარდა!  
მეც შენი შვილი ვარ,  
მეც შენთან მიგულებ,  
ჩვენ ერთად დავამსხვრევთ სისხლიან  
ქვის გულებს.  
ჩვენ ერთად გავვივლით  
მხარდამხარ, მხარდამხარ,  
და თუმც მაგ ტოტებზე  
ყვავილი გადახმა, —  
ვიბრძოლებთ არ ატყდეს  
ქარები უცები,  
აროდეს დასცვივდეთ ყვავილებს  
ფურცლები  
დედაო, მართალო,  
დედაო, მრისხანე,  
ჩვენ ერთად გავყვებით  
მზიური მხრისაკენ!

### გეალოზ, გოია, დამ უფროსო!

აჰა, დამ, სუნთქვა ჩემი,  
აჰა, დამ, გული ჩემი,  
მკერდს ჭრილობა მოგიშუშდეს,  
ლამაზ თვალზე ტანჯვის ცრემლი.  
ჩემო დიდო სატკივარო,  
ჩემო თვალის სინათლეო,  
წამოდექი, გაიხარე,  
ახდა, რაც შენ ინატრეო:

დაჰქრის ჰანგი, ფრთავაშლილი,  
უშენობა მეტკინება,  
დიდი ქვეყნის დიდო შვილო,  
აღდექ, შესძელ შერკინება, —  
სამარესთან შერკინება,  
შენს მაჯასთან მაზიარე,  
ჩვენ ერთმა მზემ შეგვაერთა,  
ხალხთა ძმობა ვიზეიმოთ  
ხალხთან ერთად,

ხალხთან ერთად.  
აი, ჩემი მიწის პეშვი,  
ტანჯულ მხარის ცხელი მიწა,  
შენი სისხლი დაჰქუხს ჩვენში,  
მაგისუფალ გულებს ვიცავთ.  
აი, ესეც, ეს ვარდები,  
ზედ სისხლია გმირთა, მცირე,  
ისინიც ხომ შენდაგვარად  
სამშობლოსთვის გაიწირნენ.  
გმადლობ, ჩემო დიდო დაო,  
გმადლობ კიდეც, კიდეც, კადეც  
შენი გულის კოცონიდან

მათ რომ ცეცხლი წაუკიდე!  
გმადლობ, შენი ნორჩი ტანი  
სამსხვერპლოდ რომ მოგვიტანე,  
გმადლობ, შენი დიდი სული  
საუკუნეს დაასრულებს.  
შენ ბრძოლაში დაეცი და  
კვლავ ცოცხალი უხშობ გულებს.  
შენი გული, მზე ვითარცა,  
გახდა ხალხის საზიარო,  
ჩვენ ერთნი ვართ და ვეწნებით,  
დე, მხარდამხარ გავიაროთ!

### შურა კოსმოლოგიანსკის

როგორც ნიაღვარი,  
მთიდან მოვარდნილი,  
როგორც გაზაფხულის ლანჭერი გაბმული,  
შენ ზღვისკენ მიდიხარ ცეცხლიან წადილით,  
რომ მკერდით დაიცვა ხალხი და მამული.  
ფსკერზე ეშვებიან დამტყდარი გემები,  
დამტყდარი ლაშქრები ბრძოლიდან ილტვიან,  
ოჰ, შენი მკერდისკენ გზები რომ გაიგნო,  
მე წყევლას შევუთვლი, ძვირფასო, იმ ტყვიას.  
ზღვა დაცხრა.  
დაწყენარდა.  
ნაპირზე დედაა.  
იგი წყალს გასცქერის  
უნდოს და ტყვიისფერს.  
მან უნდა იცადოს, მას სევდა ედება  
და გულზე მოლოდინს დროშისებრ მიიფენს.  
ზღვა დაცხრა. შვილი კი...  
შვილი არ ბრუნდება  
და ზღვის სიმშვიდეში ის ამჩნევს სხვა ნიშანს:  
გული ხომ დედისა არასდროს ტყუევდება,  
ვაითუ ხელახლა მოელის ქარიშხალს.  
იგი დგას. ქაახის სხვა დედებს მრისხანედ,  
იგი ჭვრეტს სიმშვადისიქითა საფარველს,  
დედებო! აღსდგეთ! დედებო, ზღვისაკენ!  
ნუ, ნუ დავივიწყებთ საყვარელ საფლაგებს!

თარგმნა ნაზი კილასონიამ.





გრძელი, ერთსართულიანი სახლის წინ ბატარა ბაღი იყო. ბაღში ათწლიანი წითელი და თეთრი ვარდები, იასამნის მალალი ბუჩქი, ვაშლისა და ქლიავის ხეები ჰყვავოდა. ბაღის შუაგულში დაუბატყებელი სტუმარივით აეწურა მხრები ფიჭვის ხეს. ფიჭვი, საერთოდ, იშვიათობას წარმოადგენდა ამ კუთხეში და გზაზე ამვლელ-ჩამომვლელთა ყურადღებასა და გაოცებას იწვევდა. ფიჭვს, სხვა ხეებთან შედარებით, მუქი, გრილი ჩრდილი ჰქონდა. მის ძირში საგანგებოდ გამოჩორჩნილი, ხაწირის ტყიდან ჩამოტანილი ჭორკოები იდგა, და ნახევრად მიწაში ჩაფლული წაბლის უზარმაზარი სოკო მოჩანდა.

ჯიხუას ერთ-ერთ ჭორკოზე გაზეთი გადაეფარებინა და ზედ ჩამომჯდარიყო. წინ თერთილოვადარული მოლბერტი ედგა, მიწაზე სახურავგადახდილი საღებავის ყუთი გაეშალა, თვალები მიენაბა, ხელში ფუნჯს ატრიალებდა. ათამაშებდა. მერე, თითქმის მოსწყინდა ერთ ადგილზე ჯდომით, წამოდგა, მესერს გადაეყრდნო და ქუჩაში გადაიხედა. მოძველებული, დამპალი მესერი აყანაყილდა. «გამოცლა სჭირდება, ასე რამდენ ხანს ვამლებს...» — გაიფიქრა ჯიხუამ. მერე თვალი გზაზე მოატარა. ეძებდა რაღაცას. «აქ უნდა იყოს... ჰო, მგონი, აქ არის, — ერთ ადგილზე გააქავეა მზერა — სულ რაღაც ორი დღის სამუშაო თუ იქნება, ორმოცსანტიმეტრიან არხს გავთხრი და მიღებს ჩაყვრა, მთავარ წყალსადენს შევეურთებ და იხრიალებს წყარო, — ჯიხუას სახე გაუნათდა, — დე-

დაც აღარ გეწვალდება იმ სიშორიდან წყლის ზიდვით, ხეხილის მორწყევით...»

— შეილო, რას აკეთებ მანდ? — გაღმოსახა ამ დროს აივნიდან დედა.  
— არაფერს, ისე... — უკან გაბრუნდა ჯიხუა, კვლავ მიუჭდა მოლბერტს და ფუნჯი მოიმარჯვა.

— პურს არ შეჭამ? ცხელი პურია, ამ წუთას ამოეყარე თონიდან.

— არა, დედი, ემუშაობ.

— კარგი... — ქალი ოთახში შებრუნდა.  
ჯიხუამ წყლიან კიჭაში ამოავლო ფუნჯი. დაფერბა, ჭინჭით მოწურა. მერე ყავისფერი საღებავი გახსნა, ცოტა თეთრი გაურია, მიღებული ფერი იქვე მდგარ ჭორკოს შეუღარა და ხატვა დაიწყო. სულ ერთი ხაზი გაავლო ტროლზე — სწორი, ვერტიკალური ხაზი. შუბლი მოიფხანა და ჩაფიქრდა. ჩოჩქოლმა გამოარკვია. თავი წამოაწია და ქუჩისკენ გაიხედა. მთელი უბნის ბავშვები შეყრილიყყუნდნ და მათ კიშკარს მოსდგომოდნენ.

— დედა კრუნია, შეიძლება? — ეღრიჯებოდნენ ისინი აივანზე გადმომდგარ ქალს.

— არაფერს არ გავაფუჭებთ.

კრუნის მკლავები აცაპიწებინა, ხელები და წინსაფარი ფეხელში ჰქონდა ამოსერილი. ძლივსწამაწმენველ იმიდებოდა და ბაჟუს არ აძლევდა ბავშვებს.

— ფრთხილად ვივლით, დეიდა კრუნია.  
— შემოეხეტეთ, თქვე გასაწყვეტებო, ეს ყვავილები არ გადამივლოთ, თორემ კინკრით



დაგუსხსავთ ყველას! — დამუჭრა მათ ჰრუნია და ღიმილით შებრუნდა ოთახში.

— გმადლობთ, დეიდა ჰრუნია.

ბავშვები რიგრიგობით, ფრთხილად შემოდოდნენ და ჯიხუასთან იტუხებოდნენ. პატარები ფეხის წვერებზე დგებოდნენ და სიმ შესცქეროდნენ. ყველანი თვალდაჭყებოდათ იღვინენ და თითქოს ლაპარაკი აუკრძალესო, ღუმდნენ.

— გამარჯობა თქვენი, — ფხვზე წამოდგა ჯიხუა.

— სალამი, ძია ჯიხუა, — დაუბრუნა პასუხი ყველაზე მალაშა, ჭერათმიანმა ბიჭმა.

— ხელს ხომ არ შეგიშლით? — ამოიღგა ენა მერეში, ჰროლოთავლადამ.

— „ღლბათ ვილცამ დარჩავა, ხელი არ შეუშალოთო...“ — გაიფიქრა ჯიხუამ.

— არა, არ შემიშლით.

ბავშვები გათამამდნენ, უფრო ახლოს მიიწიეს.

— დასხედით, თუ გინდათ... დაიღლებოდათ ორღობებში ხეტიალით, — მწვანე მოღზე მიუთითა ბავშვებს ჯიხუამ.

— არა, ძია ჯიხუა, ასე ვიქნებით.

— კარგი, თქვენი ნებაა, — ჩამოჯდა ჯიხუაზე ჯიხუა, ფუნჯი საღებავში ამოაწო, მაგრამ ტიღოზე არ გულსამს, მოკვეთილივით დაღუშვა ფუნჯიანი ხელი. ბიჭები სუნთქვაშეკრული მისჩერებოდნენ, ცნობისმოყვარეობისაგან ლამის თვღები გაღმოსცივდით. ტიღოზე გავღებულ ერთადერთი სწორი ხაზი არაფერს ეღმებოდათ მათ. ბავშვებს უნღოდათ ჯიხუას წაბღის ხეები, თეორად აბრაღლებული ვარდები ან რაღმე ნაცნობი საგანი დეხატა. აინტერესებდათ, კარგი კაცი დაღგება, მონღომებული და ნიჭიერიო... და გუღისფანქღალით ეღოდნენ ბავშვები, რას მოიფიქრებდა ჯიხუა.

ჯიხუამ თავი ჩაქინღრა და ფიქრებს მიეცა. ათასი მოგონება, წარსუღის ათასი ამბავი უტრღიღლებდა თავში. მოგონებები კარტებივით ირღუნდნენ, ყირაზე დგბობდნენ. მერე ერთიმეორის მიყოღებით დაღადნენ, ერთ ხაზზე ჭარისკაცებივით ჩამწკრივდნენ, თავთავანთ რიგს დაღლოდნენ. ჯიხუამ მთავარსარდაღივით შეათვღოღრა ისინი და მწკრივის თავში მღგომს ხელი დაუქნია. კარტი მწყოზბრს გამოეყო, რიღლი დაიწყო; ისე სწრაფად რიღლებდა, თვღს ვერ შეავღებდი, მერე გაჩერღდა, სურათივით ჩამოეყღდა სივრტეში. ჯიხუას გაეღღმა. ეს ხომ ნაცნობი სურათი იყო... ახღობელი ადამიანის სურათი, წამისწამ რომ იციღვღდა სახეს. ჯერ იგი სღლ ბავშვი იყო, მოწაფის ფორმავი, წითელყღღსახვევიანი... მერე ფხვშიშვეღი, ტყი-

ღან ღორებს მოერეებოღდა... მას შემდღე წღღმა გაიარა, ახღა კვიწინებზე ბანტები გაეკეთებინა, წითელი ტურჩები ჭღტად მოეყღმა. სღლ ბოღს კი — უკვე შესამჩნვეად დასრულებულღი ქაღი, მეზობღებისა და ამხანავთა უმრავღესობის აზრით, მეტისარად და პრანწიო, ჯიხუასთან კი უსაყვარღესი ადამიანი, ერთადერთი სღლიერი მეგობარი ამ ქვეყანაზე... ამ ბოღო სურათში მას გულგადღიღი, კუბოკრული ჩითვის კაბა ეცვა, ოდნავ მოწყენიღი, სეკდიანი ჩანღა, წყღიანი თვღლები აღარ უციმციმებდა კვღვინდებურად. ქვედა ტურჩი ძღიქ შესამჩნვეად უთრთოღდა. დიახ, ეს იყო უქანაწყნელი სურათი...

კარგად ახსოვს ჯიხუას ეს დღე, საავღდმყოფოში რომ მოვიღდა მის სანახავად. სწორედ ის კუბოკრული ჩითვის კაბა ეცვა, ხმარისავით დასდგომოღდა თავზე. მიღელი საათი ზღმა არ აზოღღდა, თითქოს დამუწნღო. მერე უხმოდ გამოემშვიღობა და წყვიღდა.

— კიღევ როღის მოხვღა? — უნღოღდა დაეყვირა ჯიხუას, ძღიქს შეიკავა თავი, აღარაფერი უთქვამს.

— ვინ არის ეს გოგო? — შეეკითხა ჯიხუას მის გვერდით მწოღარე ავღდმყოფი. მას სამ ადღიღზე გადამტრეღოღდა წყვიღი, ტკივიღისაგან მიღელი დამუწნღ არ ეძინა.

— პარასკო ჰქვიღა, ამხანავია ჩემი, — თქვა ჯიხუამ.

— დიდებულღი გოგოა, — არღდაც შურით ჩაიღლაპარაკა წვიღმოტხიღმა.

საოცარი რამ მოხდა იმ წუღთში. ჯიხუას უცბად ეღექტროდნენივით დაპკრა რაღდაც მიღელს სხეულში და შემაზრუნუნად გააქრიღღა. თავბრუ დეხება, ტანში უცნაურმა ტკივიღმა დაღურა. მსგავსი რამ, მიტხიღ ძღღებს რომ უყენებდნენ ერთმანეთში, მაშინაც არ განეცაღდა. „ნეტავ ეს არ გეთქვა, — გაიფიქრა, გონს რომ მოეგო, — ნეტავი ეს არ გეთქვა, ძმობიღო...“ — მაღღღად გადახეღდა მეზობელს. ევრადერი გაეგო. პარასკოზე ბეერი კარგი სმენოღა აქამდღე. სოღელში ყვეღს მოსწონღდა იგი და აქებდნენ კიღეც, ლამაზი გოგოაო. ჯიხუას ყოვეღთვის განარბებია პარასკოს ქება და გული სიზარულღით აღღსო. დღღეს კი რა ემართებია? კვღავ დაღურა ტკივიღმა, და ლამის ღრღიღი დააწყვიღინა. თვღლებიღდან ნაპერწკლები გაღმოსცივღდა. ჰერზე რაღდაც შავი, უცნაური ლჭები დარიღდნენ. მათ ეღღვის სისწრაფით გახვრიტეს გაჭით შღღესიღი ქერი, გახვრიტეს თუნუქღს სხუწრავი, რიღორიღღით აიჭრნენ ცაში და საღდაც, უსანსრულღობაში გაუჩინარდნენ... მეტი აღარაფერი ახსოვს. რომ გამოერკვა, საწოღთან შემოჭარღული ექიმები დინახა. მათ შემწოთებულღი სანგე-

**მიღონ ხარგინო**  
ღაბარუნება

ბი ჰქონდათ. ზიხუს გაუქვირდა ამდენი თეთრ-  
ხალათიანის დანახვა და ირგვლივ მიმოიხედა.  
ფიციე ოთახი, იციეე ავადმყოფები. შეხვეული,  
თაბაშირში ჩასმული ფეხებითა და ხელებით. აი,  
მის გვერდით მწორლარე წვიემოტეხილი კაციც.  
საოცარია, ყველა მისკენ მოტრიალებულა და  
შეშფოთებულები შესკეროდნენ. „კი მაგრამ,  
რა მოხდა? — უეკირი ზიხუს და ვერაფერი  
გაუგია — ნეტავი რა მოხდა? უნდა კითხო ვინ-  
მეს...“ მერე შენიშნა, ექიმებს თანდათან გა-  
დაუარა შეშფოთებამ და სახეზე ღიმილი  
გაუქრთა.

— როგორა ხარ? — ჰკითხა სასთუმალთან ჩა-  
მომჯარბმა საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა, —  
რა მოგივიდა?..

— მე?.. — გაოკვირვა ზიხუამ, — რა უნდა მომ-  
სელოდა... მეძინა, სიხმარი ენახე.

— გეძინა? — ერაზმანეს გადახედეს ავადმ-  
ყოფებმა და ექიმებმა, ყველამ ვინც ოთახში  
იყო.

— ჰო, მეძინა, სიხმარი დამთავრდა და გამო-  
მეღვიძა.

— ფეხი, ფეხი ხომ არ გტყვი? — ხელი და-  
ლო მთავარმა ექიმმა თაბაშირზე.

— არა, ბატონო ექიმო, ფეხი კარგადა მაქვს.  
— ძალიან კარგი, თუ არ გტყვი, — წამოღდა  
ექიმი და ღიმილით კარისკენ გაემართა, თან  
თავის კოლეგებს გადაულაპარაკა რაღაცა.

სხეებიც მიჰყვნენ. ზიხუამ თავივე ამოიღო  
ხელი და ჩაფიქრდა. „ალბათ მართლაც რაღაცა  
მოხდა, თორემ ისე ტყუილებრალად ხომ არ  
დამაღვებოდნენ თავზე ყასბებივით იარაღებმო-  
მარჯვებულნი...“ მერე სიხმარი თავიდან ბო-  
ლომდე გაიხსენა.

— მაინც რა სიხმარი ნახე ასეთი? — შეე-  
კითხა ერთ-ერთი ავადმყოფი.

— რაღაც მრგვალი ლაქები იყო, რიალ-რი-  
ალით ავარდნენ ცაში, ჩვენი ოთახის ჰერი და  
სახურავი გახვრიტეს და გაუჩინარდნენ... —  
მოკლედ უთხრა ზიხუამ.

— უნდაღი სიხმარი გინახავს. ეს სიხმარი  
ვი არა, მოჩვენებაა...

„მოჩვენება? — თითქოს რაღაცა ენიშნა  
ზიხუს.

— რა ვიცი, რა ვიცი... — ჩაილაპარაკა თა-  
ვისთვის ზიხუამ, გვერდზე გადაბრუნდა. თავი-  
დან გაიხსენა, როგორც იყო: „სასთუმალთან,  
სკამზე პარასკო იჯდა. წყლიანი თვალებით მის-  
ჩერებოდა, ქვედა ტუჩი ძლოვს შესამჩნევად  
უთრთოდა. მთელი საათი დღმდა. მერე ადგა  
და წავიდა. ალბათ ევლარაფრის თქმა ვერ  
მოახერხა, უხმოდ ადგა და წავიდა. მერე? მე-  
რე რა მოხდა? მერე ჩამეძინა და სიხმარი ენა-  
ხე. არა, სიხმარამდე, ჩაძინებამდე მოხდა რაღა-  
ცა“.

— ის ლაქები თვალბს ხომ არ ჰვადენენ? —  
შეეკითხა მის გვერდით რომ იწვა, თვალბი  
იქნებოდა ნამდვილად...

„ჰო, გაახსენდა... სიტყვები ჰაერის ბუმბუ-  
ლებივით ამოტივტივდნენ გონების სიღრმიდან,  
თითქოს დიდი ხნის წინანდელ საუბარს იხსე-  
ნებდა. სწორედ მის მეზობელს უკუთვნოდა  
ის სიტყვები: — რა კარგი გოგოა, ვინ არის  
ეს გოგო?“ ეს იყო და ეს. მერე რაღაც ტყი-  
ვილმა დაუარა მთელს სხეულში, თავბრუ დაეხ-  
ვა და შავი ლაქები დაიხსნა, ლაქები ცაში გაუ-  
ჩინარდნენ, ჰო, ასე იყო.

— რა მოხარია? — ველარ გაიგო მეზობლის  
ნათქვამი ზიხუამ.

— თვალბი იქნებოდა, გაუმეორა იმ კაცმა.

„თვალბი?.. მართლა თვალბი ხომ არ იყო.“

— თვალბი?..

— მეც დამმართინა ასე, — თქვა იმ კაცმა.  
„ნამდვილად თვალბი იყო... მე სხვა რამ  
მეგონა“.

— თქვენ ხომ არ დავმართინათ ვინმეს? —  
სხეებს შეეკითხა ზიხუს გვერდით რომ იწვა. —  
აი, ბურანში ხართ, თითქოს რაღაცა გეჩვენე-  
ბათ, მერე აღმოჩნდება — ვილაცის თვალბი...  
მე ყოველთვის აბლომელო, საყვარელი ად-  
მიანის თვალბი მომლანდება... თქვენ ხომ  
არ დავმართინათ ვინმეს ასე? ყველანი ჩა-  
ფიქრდნენ:

— არა, მე არ დამმართინა, — თქვა თავშე-  
ხეულმა შუახნის კაცმა.

„ეს კაცი მართალია, წინასწარმეტყველებით  
ლაპარაკობს,“ ფიქრობდა ზიხუა.

— კი, მგონი მართლაც თვალბი იყო...

— ჰო, ხომ გითხარით, — გაუხარდა იმ კაცს,  
მისი ვარაუდი რომ გამართლდა.

„ნამდვილად თვალბი იყო, საოცარია,  
ღმერთმანი...“

— გოგოს თვალბი, არა?

— გოგოსი... კი.

— ვიცი, ვიცი; — თქვა იმ კაცმა.

— რა იცი? — შეეკითხა ზიხუა.

— მეც განმიცლია ასეთი რამ.

„ჰო, მე სხვა რაღაცა ვიფიქრე.“

— ჰო?

— მაშ შენ ამბობ, რომ შორს გადაიკარგნენ  
და გაქრნენ, არა? — სხვა საქმე არა ჰქონდა და  
ალბათ ამ თემაზე საუბრით სურდა შეექცია თა-  
ვი, ყველაფერს დაწერალებით ირკვევდა.

„გაქრნენ, მა რას იზამდნენ, მოჩვენება იყო,  
სხვა ხომ არაფერი...“

ზიხუს ეშინოდა, კვლავ ისეთი რამ არ ეთქვა  
ამ კაცს, რომ გრძნობა დაეკარგა და ამიტომ  
აღარ გაეპასუხა.

ის თვალბი მართლაც რომ გაქრნენ და,  
საუბედუროდ, სამუდამოდაც... იმ კაცის სიტყ-  
ვები სამგლოვიარო ზარის ეღრიალებით ჩარ-  
ჩა გონებაში. მას შემდეგ არა ერთხელ აღრი-  
ლებულან უხილავი ზარები, ეს ეღრიალი თით-  
ქოს აგონებდა რაღაცას, აფრთხილებდა და  
მოუხმობდა. ეს იყო ყველაზე მწკრულებლური  
წუთები მის ცხოვრებაში, ყველაზე ძნელი



წუთები. ახლაც სწორედ ის მაშინდელი განცდა დაუფლებოდა ჩიხუას.

— ძია ჩიხუა, ძია ჩიხუა, — გამოარკვევს ფიქრებიდან ბავშვებმა. იგი თეჩაქაინდრული იჯდა, ხელში ფუნჯს ატრიალებდა და წარმოღვენაში პარასკოს უკანასკნელ სურათს შესცქეროდა. სურათი სადღაც სივრცეში ეკიდა. კრეული, კუბორტული კაბა საოცრად უხდებოდა გოგოს. „ახლა როგორ აცვია? ახლა რას ფიქრობს, ახლა სად არის პარასკო?“

— აი, შეხედე, შეხედე ბუზი ჩაყარდა. — დაანახვა ჩიხუას კროლათვალეებამ.

ბუზი ზეთის საღებავზე დაჭრულიყო და სასოწარკვეთით ბზუოდა, აფრენას ლამობდა, მაგრამ ნამქერში გაჩხირულ მინქანასავით უფრო და უფრო ეფლობოდა.

— მამო რა ეგონა, საღებავს რომ ეტანებოდა, — წამოიძახა ვილცამი.

— ცოდვა, — ფუნჯის ტარით დაუწყო ჩხრეკა ჩიხუამ.

— მაინც ვერ იფრენს, — დაასკვნა კროლათვალეებამ.

— ასე გეგონოს, — არ დაუთანხმა ჩიხუა.

— აი, ნახე, ერთი რომ ამოიგანგლება, მერე წასულია მაგისი საქმე, — თავის ნათქვამზე იღვა კროლათვალემა.

ჩიხუამ ფრთხილად გაათავისუფლა ბუზი, ხელისგულზე დაისვა და სული შეუბერა. ბუზი ფრთამიტერეული თვითმფრინავით გადაპირქვედა, გადავორდა და ბალახში ჩაყარდა.

— ხომ ვთქვი, ერთხელ რომ ამოიგანგლება, მერე ვერაფერი უშველის, — უხაროდა კროლათვალემა ბიჭს.

— ყოჩაღ, სწორი გამოდქვი, — ხელი დაადო ჩიხუამ მხარზე გამარჯვებულს.

„რა კარვად თქვა, ერთხელ რომ ამოიგანგლება, მერე წასულია მაგისი საქმე, ვერ იფრენსო,“ — გაიფიქრა ჩიხუამ გუნებაში.

— გაგბანოთ, — იხუმრა ქერათმიანმა ბიჭუნამ.

ბავშვებს გაეცინათ.

ჩიხუაც აჰყვა.

ბავშვები გამხიარულდნენ, გათამამდნენ.

— რას ხატავ? — ხაზგაღებულ ტილოზე მიუღოთა კროლათვალეებამ.

— ჰო? ცხვარი მინდა დავხატო, ცხვარი ან თხა... მაგრამ ვერ გადამიწყვეტია, რომელი ვარჩიო, — იტრუა ჩიხუამ.

— ჩვენთან ცხვარია და ცხვარი დახატე; გახაფხულზე გამხდარია ცხვარი, შენ მსუქანი, გასაყრეჭი ცხვარი დახატე.

— ჯერ უნდა ვიფიქრო კიდევ, ასე უცბად მაინც ვერ დავხატავ, — თქვა ჩიხუამ.

ბავშვებმა მოიწყინეს და ერთმანეთს გადახედეს. მერე კვლავ მოღებრტსა და საღებავებს შეაჩერდნენ.

— ძნელია? — იკითხა კროლათვალეებამ.

— ძალიან ძნელია.

— აბა შენ რომ გაქვთ, ისინი როგორ დახატავენ? — ერთხელ გაზუთშიც რომ დაბეჭდეს, ჩვენმა მასწავლებელმა რომ გვაჩვენა... ან ის როგორ დახატე?

— ის მთები იყო... ცხვარი და თხა უფრო ძნელი დასახატია.

— ჰო? — გაუკვირდა კროლათვალეებს. სხვები კი ბელღურბივით განაბლუყვნენ, კურდღლეობით დაეჭირათ თვალები. მერე, თითქოს რაღაცა გაახსენდათ, ერთბაშად აჩოქოლდნენ, მოუსვენრობა დაეტყოთ. ერთმანეთს გადახედეს და სათითაოდ გაიძურნენ ბაღიდან. — რა კარგი დღეა ედგა, არა? — თქვა ჰიმკარში გასვლისას ერთმა.

— დაფაც და საღებავებიც. ყველა ფერის საღებავი ჰქონდა, მზესუშხირას ზეთით ბრწყინავდა.

— ამ საღებავებით უფრო ძნელია ხატვა, რომ იცოდეთ, — თქვა კროლათვალეებამ.

— მაგას რა ლამაზი უნდა, აბა ფერადი ფანქრებით მეც კი ვხატავ, — ჩაება საუბარში მეორე.

ჰიმკარში რომ გაილაღნენ, ახალნაყარი ფუტკარივით აზუზუნდნენ, ახმარდნენ, სტენა-ყიყინით შოედნენ ქუჩას. ჩიხუამ თვალი გადაეგნა. თავისი ბავშვობა მოაგონდა. მერე საღებავ-შემხმარი ფუნჯი კვლავ ჩაყო წყლიან ჰიქაში, ჰიქის ნახევზე შეწმინდა, ტყვიის ტუბიკებით გაესებულ ყუთზე მიადგო. არაფრის თავი არ ჰქონდა. ზანტად წამოიღვა. საფეთქლები მოისრისა და სახლში შევიდა. სახლს სქელი კედლები ჰქონდა და სასიამოვნოდ გრილოდა. ლოგინზე წამოწვა და თვალები მიუღლა.

— შევლო, ხატოს ხინკალი გელოდება. ახალი გახტულა, — თავზე დაადგა ჰრუნია, — ადე, ადე...

— არ მინდა, დედი, ჯერ არ მშია, — თუარა ჩიხუამ.

— ხინკალზე თვითონ ერეკლე ამოდიოდა ფშავში.

— ცოტას დავისვენებ და მერე, დავილაღე.

— მაშინ ფეხზე გაგზდი, ასე რას მოისვენებ.

— მე თვითონ, დედი, მე თვითონ გავიხდი.

— რამდენი ხანია, დედი არ გამიხდია შენთვის, — დაიხარა ჰრუნია.

ჩიხუა წამოიღვა, არ დაანება დედას ფეხსაცმლის გახდა. თვითონ შეიხსნა თამბაქო.

— მე ვერ შეგხსნიდი? — წელში გაიმართა ჰრუნია.

— განა ბატარა ვარ ისევე, თვითონ რაღა მიჭირს...

— კარგი, შევლო, კარგი!

დედას ნაოჭებით დასერილი, სვედიანი სახე ჰქონდა. ახლად შენიშნა ჩიხუამ, მთლად რომ გაქალარავებოდა თავი, ერთი შავი ღერი არ

**მირონ ხრბიანი**  
დაბრუნება



ვრია თბავს. „ჩერ რა დროს ქალარა, ოროცი-  
საც არ იქნება, ჩერ რა დროსია... — ფიქრობდა  
ჯიხუა.

ჭირნია უხმოვლად გავიდა სამზარეულოში.  
ოთახში თითქოს დიდი სევდა-ნალექილი და ფა-  
რული გულსტიკივით დატოვა. სევდიანად გა-  
მოიყურებოდა ლურჯქალაქადკრული ოთახის  
კედლები, ოდესღაც მამის მიერ ქალქიდან ამო-  
ტანილი პატარა ბროლის კაბი, წითლად შეღე-  
ბილი წიგნების კარბა... ჯიხუას სკოლის წლებს  
რომ აგონებდა. ამ სევდისა და მოწყენილობის  
მიზეზი თითქოს ჯიხუა იყო, იგი საშინლად გა-  
ნიცდიდა მის ირგვლივ თავმოყრილი ნივთების  
საყვედურით აღსაყვ ღაღადისს, წრიალმა აი-  
ტანა. და კარგა ხანს ვეღარ მოისვენა — „ჩერ  
რა დროსია... ჩერ რა დროსია,“ — მერამდენედ  
იმეორებდა გულში.

\* \* \*

შუა ზამთარი იღვკა. თეთრად გადაპენტილი-  
ყო ბაღი, ვაშლისა და ქლივის ხეები, ქუჩები,  
სახურავები. ეს სულ წუხანდელი თოვლი იდო.  
კარგა გვარიანად ჩამოყვარა. სიფხველებს ახა-  
ლი საქმე გაუჩნდათ — გადასათოვლი იყო სა-  
ხურავები, ქუჩაში გადასასვლელი ბილიკები,  
გზები.

— ჯიხუა, გაიხედ, თოვლი მოვიდა, — ახარა  
დედამ დილაუთენია.

— მართლა? — უმალ წამოიჭრა ზეზე ჯიხუა,  
საჩქაროდ ჩაიკცა და გარეთ გავარდა. ლავა-  
როს კუთხეში მიყუდებული ხის ნიჩაბი მონახა;  
მაგრად ჩაეღო ორივე ხელი და საქმეს შეუდ-  
გა: სულ პანტაფურით მიყარ-მოყარა მშრალი,  
ბუნებურულსავეთ მსუბუქი თოვლი, აივნის წინ  
ფართი, სასიარულო ღრეფანი გააკეთა, მერე  
ჭიშკრამდე ასე გაუყვდა და ქუჩაში გააღწია.  
ერთხანს შეჩერდა, ირგვლივ მიმოიხედა, რაღა-  
ცაზე ჩაფიქრდა, ბოლოს ნიჩაბზე მხარზე გაიღო  
და მეზობლისაკენ გასწია.

— საღ მიხვალ! — მიაძახა დედამ.

— პარასკოსთან გადაეღო, დედი, მოვეხმარებ.

— მალე დაბრუნდი, შევილო... მე წისასვლე-  
ლი ვარ, გაიგე?

— ნუ გეშინია, ახლავე.

ბელურები საცოდავად მობუზულიყვნენ მე-  
სერებზე, ხის ტოტებზე, თითქოს წყალში ქუჭმ-  
პალობინო, აბურძენილიყვნენ, იქმეზობდნენ  
და თავისთვის ეიშვებდნენ.

— პარასკო!.. — დაიძახა ხმამალა, ღრმად  
რომ შევიდა ეზოში. მის ხმაზე ბელურები  
დადრთხნენ. ფრიალ-ფრიალით აიშალნენ, სხვა  
ხეებს მიაშურეს.

— პა?... — გადმოღვა ავიგანე ამ ბელურები-  
ვით აბურძენული, თმაშლილი პარასკო, —  
ღამასწარი, არა?... — ჩამოაძახა ზევიდან.

ჯიხუა ვახალისდა, გათამადა პარასკოს და-  
ნახევარე, ქარბორბალსავეთ დაატრიალა ნიჩაბი,  
ლაფაროდან ქუჩამდე იმსიფართო გზა გაიყვანა,  
სატყვიროთ მანქანა თავისუფლად გაეტეოდა.

ჯიხუას ისეთი გრძობა დაუფლებოდა, თითქოს  
იალქნინი ნავით ზღვაში მიეტრიალო,  
მალი-მალ უსვამდა ნიჩაბს, რომ ჩქარა გაედწია  
ნაპირზე... ზღვა თეთრი იყო, თეთრი და თვა-  
ლისდამლულად ბრჭყვიალდა.

— საღ შევიდეთ? — ფაცხფუცხით ჩამოი-  
ბინა კიბე პარასკომ და ახალგადათოვლილი ბი-  
ლივით ჯიხუასთან გაჩნდა, მუშაობაში გართულ  
ბიჭს სახელდახელო დაკუმშული თოვლის გუნ-  
და უთავაზა, — აი, ესეც შენ, თოვლებზე-  
ტია... — მიაძახა და აკისკისდა.

— ასე, არა?... — მოუბრუნდა ჯიხუა, თან  
მარჯვენა ხელით საყლოში ჩაიყვინა თოვლს  
იღებდა, — ასე, არა? — მკლავში წაატანა ხელი  
გოგოს და შუა თოვლში გადაუძახა, — აი, თუ  
კარგია, იგორავე ახლა!

პარასკო პირქვე ვიშხლართა ნამქერში,  
მთლად თოვლში ამოიგანგლა, მაგრამ იხტი-  
ბარს არ იტებდა, სიცილი მაინც არ შეუწყვეტია.  
გვერდზე გადაბრუნდა და ქვემოდან შეატყრ-  
და ბიჭს, აღგომას არ აძირებდა.

ჯიხუა შეურთდა. მივიდა და ორივე ხელი  
გაუწოდა, წამოდებო. პარასკო დაიძახა, გაუძა-  
ლიანდა, მერე ერთბაშად დაითრია წელში მო-  
კაკეული ბიჭი. ჯიხუამ თავი ვეღარ შეიკავა და  
პირდაპირ ცხვირით ჩაეფლო ნამქერში. პარასკო  
სწრაფად წამოხტა ფეხზე და სიცილით გაიქ-  
ცა, — ვერ გადაგიხალ? როგორ გეგონა...

ბოლოს შერიგდნენ.

— შე კელამწუტა, როგორ მოგწონს ჩემი ბი-  
ლიკი? — თხილამურის ჯიხვივით ჩამოყვარდო  
ჯიხუა თავის ნიჩაბს და თავიმწონედ გადახე-  
და ვადათოვლოდ გზას.

— ვინაა კელამწუტა... მე ვარ კელამწუ-  
ტა? — გაძახარდა პარასკო.

— პო, წუხელ ვიფიქრე და სხვა ვერა მო-  
ფიფიქრე რა... ნამდვილი კელამწუტა ხარ, —  
გაიღობა ჯიხუამ.

— დამაცა, რა დღე გაყარო, მაგას ვინ შეგარ-  
ჩენს, — დაემუქრა პარასკო.

— წამო, ჩვენსას წაივდი.

— წამო...

სირბილით გავარდნენ ეზოდან. ქუჩა ყველა-  
ზე თოვლიან ადგილას გადაჭრეს და ჭიშკარს  
მიადგნენ.

— შეხე, შეხე, — ხელი წაატანა საყლოში  
ჯიხუას პარასკომ და უკან მოტრიალდა.

— რა იყო? — შემობრუნდა ჯიხუა.

ქუჩას ბაღისკენილების უბნიდან ყავისფერ-  
შლაპიანი ცხვირწაწვეტილი კაცი და დაგვაჭუ-  
ლი, ყურებთან ქელში ჩამჭვრალი ბიჭი მოუყვე-  
ბოდა. წელში სარივით გაკიმულ კაცს შავი  
ხელთათმინიანი ხელი ჩაეკიდა ბავშვისთვის და  
თითქოს გზას არც იკ უყურებდო, საღდაც პო-  
რიზონტს მისჩერებოდა.

— შუშუტა... პი! — ჩაიფხუტურა პარასკომ.

— საღ მიპყავს? — დაინტერესდა ჯიხუა.

მგზავრებმა გვერდით ჩაუარეს, კაცს არ მოუ-

ხედვს მათევენ, თითქოს არც კი შეუქმნევიათო. შეუქტამ კი თავით ფეხებამდე შეათვალთვარა ორთავენი და უხმოდ გაუღიმა. ასე, მათევენ თამბაქურნებელი მიჰყვებოდა მამამისს, ხანდახან ფეხი დაუსხლტებოდა ხოლმე, წაიფორხილებდა და კაცს ზღლზე ჩამოეკიდებოდა. კაცი მაღლა აქაზავდა, შეეშველებოდა და კვლავ პორჩონოსს გაუწვდენდა მზერას.

— მუშუტ!.. — მიძახა ხმაილა პარასკომ ბიკს, — ჰეკე, მუშუტ!

მუშუტას ნამდვილი სახელი კაცრიელი იყო. ეს მეტსახელი ერთი წლის წინათ პარასკომ შეარქვა და შერჩა კიდევ. მთელი უბნის ბავშვები ასე ეძახდნენ... კაცრიელი საშინლად ვერ იტანდა ამ ზედმეტ სახელს, ხშირად სიშწრისა და ბრანზისაგან ტირილი წასკვდებოდა ხოლმე, მაგრამ პარასკო ჯორზე შევდა და მინც არ ემშვეობოდა, არასოდეს არ დაუძახებდა თავის ნამდვილ სახელს... როგორ გაუბუსუნდებოდა ხოლმე ამ დროს გაბრაზებული კაცრიელი, უკრფლიანი სახე მოექუთვრებოდა, წამოჭარხლდებოდა, კიდევ უფრო დადაპარავდებოდა, კბილების კაქაწი აუტყდებოდა, თავს იბრუნებდა, მიტრიალდებოდა და სლუქუნით მიატრევებდა ბავშვებს, შინისაკენ წაიქნებულდებოდა.

— მუ-მუტ... ახალმობარშული ანტრია არ გაგიციდეს, ჩქარა, შინ გასწი! — მისძახოდა უკან ყურებამდე პირეხსნილი პარასკო და თან კისკის ატეხდა.

— გეხუმრებით, კაცრიელ, რა მოგივიდა! — შეებრალბებოდა ვილაცას ამხანაგი და მის დამშვიდებას შეეცდებოდა, მაგრამ კაცრიელს თავი ჩაქნინდა და აღარაფერი ესმოდა.

— მუ-მუტ, ანტრია არ გაგიციდეს, მუ-მუტ!.. — არ ეშვებოდა პარასკო. მერე ამხანაგებს გადაუღაპარებდა, — ნახეთ, ერთ საათში თუ ისევ არ მოგვალდებს...

მართლაც, გავიღოდა დრო და დამალობანას თამაშში გართული ბავშვები ვილაცის შეძახილზე მიუყრდნობდნენ...

— შეხედეთ, შეხედეთ, გამონდა!..

ბადურაანთ უბნისკენ შეტრიალდებოდა ასი თვალი. სოფლის გზაზე ვილაცის ლანი მოაბიჯებდა. წყენაგადიწყებულ, თითქოს არაფერ უიცი არ მომხდარაო, შემოვიღოდა ენოში და ზოიდან შინ მოპარულ ვაშლს ან ჩურჩხელას დააძრობდა, მინცდამინც პარასკოს გადასცემდა ამხანაგებისთვის გასანაწილებლად. პარასკო დაითვლიდა ბავშვებს და სწორად გაანაწილებდა „ნადავლს“. თავის წილსაც სხვას აძლევდა. კაცრიელს კი სურდა, რომ ყველაზე მეტი პარასკოს შეხედროდა და სწყინდა, თავისთვის რომ არ იტოვებდა. ვერა და ვერ მოინადირა ამ გოგოს გული... რამდენიმე ხნის შემდეგ პარასკო ისევ ატყდებოდა, ენამწარობდა, ყველაფერი თავიდან იწყებოდა...

— მუ-მუტ!.. — კიდევ უფრო ხმაილა დაიძახა პარასკომ.

— გაჩუმდი! — ხელი ააფარა ტუჩებზე ჯიხუმი, — მამამისი ვაივებს.

— გაიგოს რა, — ძლივს გამოსცრა პარასკომ, ჯახუს ხელი უშლიდა ლაპარაკს, — რას იზამს რა...

— რა თბილი ტუჩები გქონია, — უთხრა ჯიხუმი და უფრო მაგრა დააქირა ხელსგული.

— გასწი იქით! — მოიშორა ბიკი პარასკომ.

— რა „მუშუტა“ ავიტყდა, შენ გგონია, კარგ რამეს ეძახი? — საოცარი მხნე ნაბიჯით მიფრატუნდა მათთან ოთხმოცი-ოთხმოცდასუთი წლის მოხუცი, ბადურაანთუბნელი, კაცრიელის მეზობელი — თომა. მას ცალ თვალზე ტყავი ჰქონდა აკრული, წელში ჯორცხენას ნალივით მოკაკულოყო, გრძელ, გამხდარ ცხვირს ლამის თოვლს უწვდენდა, ხელები ზურგზე დაეწყო. საღდაც ქვევით მიკრუსუნობდა, მაგრამ ბავშვებს რომ გაუსწორდა, შეგერდა და მათ საუბარში ჩაერია — ა, თქვე ონაერებო, გგონიათ კარგ რამეს ეძახით?.. — კვლავ გაუმეორა ჭოშკართან შემდგარ ბავშვებს. თავი გვერდზე მიატრიალა, ინდაუდივით ქვემოდან აათვალიერა ორთავენი და პასუხს დაელოდა.

— ეხუმრებით, ძია თომა, — თავი გაიმართლა მოხუცის უეცარი შეყვირებით ოდნავ დაბნულმა პარასკომ.

— მოდით აქ, ჩემთან, მოდით, რაღაც ვითხრათ, — თითქოს მიწაში ეშმაკებს ესაუბრებო, ისე ჩიფჩიფებდა მოხუცი.

ჯიხუა და პარასკო მიუხაზოდნენ, მორჩილად დაელოდნენ, რას ეტყოდა მოხუცი თომა, სოფელში ქუემახვილობითა და პოლიტიკით მწარე ენით რომ იყო ცნობილი.

— იცით, ამას რაზე გეუბნებით? — დიწყო ხმაილა მოხუცმა, — ხომ ხედავთ, რას დავემსგავსე... ერთ დროს, ჩემს ჩველობაში, მე აი, ზემო სოფელში აბრაცუნე ლიქოელი რომ ცხოვრობს, იმის პაპს დაეცინოდი ხოლმე, თურქის ომში ჯარბუზანიტ ხერხემალი გადაუტეხეს და მოკაული დადიოდა, ხალხში დაეცინოდი და აი ხომ ხედავთ, იმაზე უარესი მე დამეშარათა, არც ხერხემალი გადამტეხია, არც თურქის ომში ვეყოფილვარ და არაფერი. ისე მოვიკავე. ეტყობა ღმერთს ჩემი საქციელი არ მოუვლდა თვალში და სამართლიანად დამსაჯა კიდევ... მეტსაც გეტყვით, ცხვირს ტყავს ხომ ხედავთ, — თომამ თვალზე მოისვა მარცხენა ხელი, — შვილებმა გამითელეს და ახლა თვალზე მაქვს აკრული, მარცხენა თვალით ვერ ვგრძნობ ნათელბუნლს... არ იკითხავთ, რა დამეშართა? ეს დიდი ხნის ამბავი კი არაა მინცდამინც... ჩვენისა კოლმეურნეობა რომ დაარსდა, მაშინდელია. ერთ დღეს ჩვენი სოფლი კლუბში კოლმეურნეობის კრება ტარდებოდა. მე დამაგვიანდა მისეღა. კოლმეურნეობის ახალ-

**მირონ ხარბიანი**  
დაბრუნება



მა ხელმძღვანელებმა მისაყვედურეს დაგვიანება, შენ ეს არ გეკადრებაო. მე, მივიხედ-მოვიხედე, ხალხს თვალს შევევალ-შემოვაველე და რაღაც ქაჯად და ეშმაკად, ღღოლოლაშვილების ბრუციანი ბაჩი-ბაყი გამახსენდა. იგი კოლმეურნეობის მეველედ მუშაობდა, სწორედ წინა კვირას კოლექტივის ყანაში ჩემი ღორები დაიჭირა და მთელი ქვეყანა შემეიყარა.

პო და იმაზე ვიყავი გაბრაზებული და არავინ რომ არ მეკითხებოდა, ისე წამოვყარანტალუ:

— კარგი მაგრამ, ბრუციანი ბაჩი-ბაყი სად-ღაა... რატომ ის არ ესწრება კრებას?..

მთელი დარბაზი ახარხარდა, ახმაურდა. ვიღაცე მისაყვედურა: რა ყინტორას მწინილით მკავე ლაპარაკი იციო. ხალხი რომ მიყწყარდა, ჩემდა საუბედუროდ, თვითონ ბაჩი-ბაყმა არ წამოყო პრეზიდენტიდან თავი? ისეთი ქოქოლა დამაყარა, მგლების ხროვა ვინატრე. — შე ისეთი, შე ასეთი, ენამყარალო და ოხრად დასარჩენო, თვითონა ხარ ბრუციანი, თორემ დამინახავდიო, სულ ამომგანგლა ქვეყნის ტალახში. თურმე პრეზიდენტი ამ მჯღარა ის მამაცხო-ნეუბული? მე კი ვერ შევინიშნე და ახლა კუზე პანტის გეახლებოდიო... ენაობდი, მაგრამ უკვე გვიანი იყო. მთელი ხალხი გადავიკიდე, კრებაც ჩავშალე. გუნებაჩაშხამული გამოვიქეცი ვინ. ამაზე მეტს გეტყვიო, — თითქოს ზღაპრის ყვებოდა თომა ძია, — იმ კვირას საჭირის ტყეში ავღი, ნაწვერალს ვაგროვებდი საჯალაბოდ. თითქოს პირველად ვიქნენდი ბუყბუდევიით ტყეში ნაძუნძულე-ვაზრდილი კაცი ნაჯახს, რომ აიგოო წიფლის ნაწვერალმა ნაფიფიტი, არც მაცია არც მიტხელო, მთვ ვაზელოლ თვალში არ მეტაკა ი ოხერი? მარცხენა თვალს სამუდამოდ გამოვეშვადობე კაცი... აღერ თუ გვიან შევეუროვიდი კიდეც, მაგრამ ერთი რამ დღესაც მა-ღარადებს და აი, თვალზე მტკად მაწუხებს, მშხამავს — იმ ოხრად დასარჩენ ბაჩი-ბაყა ბრუციანს არსად გადავეყარო გზაში და მისი სასაცილო არ გავხდე... ევრე სვოდნია, შეი-ღებო, სხვის დაცინვა-მასხრად ავდებას... — ღებამთავრა საუბარი ძია თომამ.

— ჩვენ ასე ვხუმრობთ, ძია თომა, ერთმანეთში, — ენა ამოიღდა ჯიხუამ, — აი, ამას, მაგალითად, კელამწუტას ვეძახით... — პარასკო-ზე მთუთთა მოხუცს.

პარასკო ღუმლით, თანაგრძობით მისჩერებოდა თომას. ეტყობა, ეცოდებოდა მოხუცი ჯიხუას ნათქვამი არ გაუგონია.

— ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ, „უფროს კაცს დაეჯერებასო...“ ჩემი მითქომს და თქვენ იციო ახლა... თომა ერთი შექან-შემოქანდა, თითქოს უნდოდა გაეგო, — ამ ლაპარაკში თოვლზე ხომ არ მივეყინეო. მერე ქანაობა-ქანაობაში შეტრიალდა, გზისკენ შებრუნდა და ქანქარით ჩაუყვა მოედნისაკენ.

— საწყალი მოხუცი, — ნაღვლიანად მარტო პარასკომ.

— ეს არის, მალე მოვილო? — ვადმოღდა აივანზე კრუნია.

ორივენი სიცოცხლა-ხარხარით შევარდნენ ეზოში. პარასკომ ორივე ხელით მოხვეტა თოვლი და კვლავ მიყარა წინ წასულ ჯიხუას.

— ახლა ნამდვილი თოვლის პაპა ხარ... უღვაშებელია გაკლია, — ექსკიხებდა პარასკო. — ძალო კრუნია, ძალო კრუნია, არ ჰგავს თოვლის პაპას?

— ეს ფურნის თავგი? ნამდვილი თოვლის პაპა...

— ფურნის თავგო, ფურნის თავგო... ხომ გითხარი... — სიხარულისაგან ადგილზე შეჩტა პარასკო, — ხომ გითხარი, თოვლის პაპა ხარმეთი.

ჯიხუამ საყვედურით გადახედა დედას, რატომ დაუმოწმე ამ კელამწუტასო.

— მე საწყაოში ხორბლის საარჩევად მივიღე ვარ, შედით და გათბით ცეცხლთან, ჯიხუა, სახლი არ მიატოვო, იცოდე, — დაარიგა ბიჭი დედას.

— რას მიგატოვებო, — ძალო კრუნია, — ჯიხუას ნაცვლად მიუგო პარასკომ.

— აბა, თქვენი იციო, შეშა ბლომიდაა და ცეცხლი არ გამოაქროთ.

კრუნია წყვიდა. ბავშვები მარტონი დარჩნენ. შემოუსხდნენ ღუმელს და რკინის კარში ჩატანიებული ნაჩერტებიდან მობრღვლილად აღს მისჩერებოდნენ.

— იციო რა? — დაარღვია ღუმელი პარასკომ, — ნურც შენ იტყვი კელამწუტას და არც მე დაგიძახებ ფურნის თავგს, კარგი? ფურნის თავგი უარესიცაა კელამწუტაზე, თუ არ გჯერა, ჰკითხე ვისაც გინდა.

ჯიხუას ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო, დათანხმებოდა თუ არა. მთელი წუხანდელი ღამის ნაფიქრ-ნაჯახის ასე უცბად წყალში გადაყრა არ უნდოდა. სულ კი დედამისმა გაუფუჭა საქმე, რამ გაახსენა მინც ეს „ფურნის თავგი? ისიც ახლა, პარასკოსთან?

— რათა ვარ ფურნის თავგი?

— თავგი ხომ იცი, რა ბინძური რამაა, მით უმეტეს, ფურნის თავგი. ფუ! დაიქანა პარასკო. — ისე არ გეგონს, გეგვენებოდე, შენი საქმეა.

— მოკლედ, ბედი გაქვს რაა, — გადახედა გოგოს ბიჭმა.

— ესე იგი, არც მე ვარ კელამწუტა და არც შენ — ფურნის თავგი, ასეა, არა?

ჯიხუამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ღუმელი ჩამოვარდა. ცეცხლის ტყრცილად უსმენდნენ.

ჯიხუამ შეშა შეუქეთა.

— შენ როგორ მოგონე „მუშუტა“? — შეეკითხა მერე გოგოს.



— კარაქს რომ ვღვებავდით, მაშინ გამახსენდა.

— მე მთელი ღამე შენს მეტსახელზე ვფიქრობდი წუხელ, რამდენი რამ მოვიგონე და გავიხსენე, მაგრამ ბოლოს მაინც კელამწუტა შევიგრიჩე... კარგია, არა?

— საღ კელამწუტა და საღ ფურნის თავიკი, ფიპ, — გაიოცა პარასკომა.

— ფურნის თავიკი დედაჩემმა გიხსრა, შენ ვერც მოიგონებდი.

— რომ მდომოდა, რას ვერ მოვიგონებდი, კიდევ უარესს მოვიგონებდი...

ამ დროს ლუმელში რაღაცამ გულისწამლებად დაიწყო.

— რა წუის? — იკითხა თვალდაჭყეტილმა პარასკომ.

— რა ვიცი, მხრები აიჩეჩა ჯიხუამ.

— შეშა წუის.

— არა, მატლი იქნება, წიფლის მატლი.

— მატლი?

— კოდალები ხის მატლს არ ჰქვამენ?

— მატლი წუის? რას ამბობ, — არ დაიჭერა პარასკომ.

— აბა, რა უნდა იყო?

ჯიხუამ კარი გამოხსნა. ღუმელიდან ერთი აღმოდებული ნაჩეხი გამოიღო, იატაკზე დააგდო. სწორედ ეს ნაჩეხი გამოსცემდა ხმას. მერე მარჯვედ ჩაუჭირა მამა და გარეთ გაარბენინა.

— წამო, ენახოთ, რაა ასეთი, — მოაძახა პარასკოს, — მერე ნაჩეხი თოვლში მოისროლა. თოვლმა შიშინი დაიწყო. ცხელი, აღმოდებული ნაპობი თოვლში ჩაიფლო, აბოლდა, ბოლოს მთლად გამოქრა, შიშინი-წულიც შეწყვიტა. ჯიხუამ ნაპობი ლაფაროში შეიტანა. პარასკოც თან მიჰყვა. სულ ნაყუწ-ნაყუწად აქციეს, დანაფოტეს, მაგრამ მატლს ვეღარსად მიაგნეს. შეშა არც ისე ფუტურა აღმოჩნდა. ფუტურა კი არა, ნედლი იყო, გულში სისველეგამჭდარი.

— ამაში მატლს რა უნდა, როგორ შეაღწევდა, — თქვა პარასკომ.

— აბა რა ეშმაკი წუოდა, — თავი წამოსწია ჯიხუამ.

— უეცრად საიდანღაც ქარმა კვამლის ბოლქვები წამოიღო. კვამლი მთელს ლაფაროს მოედო. პარასკოს თვალები აეწვა, ხელით მოიჭიკუნა.

— კვამლი მოდის საიდანღაც, — თქვა.

— კვამლი? — შეცბა ჯიხუამ.

პარასკომ კვილი მორთო. სახეგაფითრებული თრთოდა და გაკვირდა. მერე აივნისაკენ გავარდა. ჯიხუას თავბრუ დაეხვა, უცბად ვერ მოისახრა, რა უნდა მომხდარიყო. გაედევნა უკან გოგოს. ლიად დარჩენილი ოთახის კარიდან მუქი კვამლის ღრუბელი გამოდიოდა, სიღრმეში კი რაღაცა წითლად ეღვარებდა. ეს ცეცხლი იყო. ცეცხლი ტყარცალებდა. პარასკოს კვილი

მთელ სოფელს მოედო. მეზობლები თავბრუსტებით მოცივდნენ. ზოგს ნიჩაბი გაედგზოზებოდა. ახვეტეს, რაც ეზოში თოვლი ეყარა და ცეცხლმოდებულ ოთახში შეზიდეს. როგორც იქნა, ცეცხლი ჩაქრა, ნახევრად დამწვარი, ვუბეში ჩამდგარი იატაკი გამოჩნდა. ლუმლის ქვეშ იატაკის ფიციკები დანახორბეულიყო.

პარასკოს ამშვიდებდნენ. იგი გულამოჭდარი ქვითინებდა. სულს ძლივს ითქვამდა. ჯიხუა კვლავ გაოგნებული იდგა. გონს ვერ მოსულიყო. ყველაფერი რაღაც უჩვეულოდ სწრაფად და უეცრად მოხდა. სულ მისი ბრალი კი იყო. გული უეცდებოდა. თანაც დედამისის ეშინოდა. მალე ჰრუნიაც მოვარდა. ლოყებს იხოკავდა და შემოლოივით ათვლიერებდა ეზოში თავმოყრილ ზღვა ხალხს, ვიღაცას დაიძებდა. მეზობლები ამშვიდებდნენ. მერე ჯიხუა ჰქვამდა თვალი, აივნის სვეტთან ატუზულიყო და თავი ჩაეკიდა. ჰრუნიათ კვლავ მოატარა მზეცა. ისევ ეძებდა ვიღაცას. ახლო მეზობელზე, ნაბიღეპკიანთ ძუგარზე შეაჩერა მზერა. მას ხელი მოეხვია პარასკოსათვის და რაღაცას უჩურჩულებდა. ჰრუნიათ შეწყვიტა მოთქმა. თავისუფლად ამოისუნთქა, გულს მოეშვა. ოთახში არც კი შეუხვლია, პარასკოსთან მივიდა, ხელი გომოსლო და თან გაყოლია. მერე ჯიხუას ჩაჰკიდა მაკლავში და სამივენი ხალხისაკენ შემოტრიალდნენ. ჰრუნიათ ხალხს მიმართა:

— დიდი მადლობა, მეზობლებო, რახან მშვიდობიანობაა, აღარას ვდარდობ.

— კარგი ქალი ხარ, ჰრუნია, კარგი ქალი, — აჩოჩოლდნენ მეზობლები, ჰრუნიათ საქციელით აღფრთოვანებულები, — ყველა კი არ მოიტყუოდა შენსაივით.

— ამას დღევანე შევაკეთებთ, თითო-ოროლა ფიცის ჩადგმას რა უნდა, — გამოეყო ხალხს ნაბიღეპკიანთ ძუგარა, წედან პარასკოს რომ ამშვიდებდა.

— გაეკეთებთ, მა რა, — ერთხმად დაუმოწმა ხალხმა.

მერე ძუგარა ჯიხუასთან მივიდა და შეეკითხა:

— თქვენ სად იყავით, რას აკეთებდით?

პარასკო და ჯიხუა დუმდნენ. სად იყვნენ? ლაფაროში იყვნენ. რას აკეთებდნენ? მართლაც, რას აკეთებდნენ ლაფაროში? ამ მეორე კითხვაზე რა ეპასუხათ? ერთმანეთს გადახედეს. პარასკომ თვალთ ანიშნა, თქვი, რაც იყო, და როგორც იყო. ჯიხუამ დაიწყო:

— ლაფაროში გავედით მატლს დავეძებდით. ჩოჩოლ-კრიამული მიწყდა. ხალხი შემოგარდა, შემოეხვია ბავშვებს, რაეხს ლაპარაკობენო, ყური დაამბეს.

— მატლს დავეძებდით?

**მირიან ხარაშიანი**  
დაბრუნება

— ძია ძუგარა, მატლს დავეძებდით... — ნამტირალევი თვალებით ახედა პარასკომ. ლამის ქვითინი წასკდა.

ვერავინ მიხვდა, რას ნიშნავდა, მატლს დავეძებდითო. ზოგმა ვაოცებისაგან პირი დააღო, შუა ზამთარში მატლი სად გავიწილაო.

— ლუმელში შეშა წუღოდა, ვთქვი, მატლი იქნება-მეთოთ, პარასკოს არ სჯეროდა, მაშინ ლაფარშით გავიტანეთ ნაბობი და დავჩხვით.

— პო? — ამოხრიბილა სუნთქვაშეკრულმა ხალხმა, — თურმე რა ყოფილა.

— მერე ნახეთ? — შეეკითხა ძუგარა.

— ვერა, ვერ ვნახეთ, ძია ძუგარა. შეშა ნედლი იყო და მატლი როგორ შეაღწევდა.

— რა უნდა ყოფილიყო? — თვალები დააყუცა ოდნავ გათამამებულმა პარასკომ.

ხალხი უხერხულად შეიშუშუნა. ერთი ციკენა ვოგოს შევითვამ დააბნია. რას შეეძლო დაეწუღო ლუმელში? რა ჯანდაბა იყო ამისთანა? არავინ იცოდა.

— რა უცნაური ახალგაზრდობა მოდის, ა? — ვაოცებით თქვა ვილაცამ.

— აბა, კაცო, ჩვენს ღროში ამეებისათვის ვის სცხელდა, ზამთარ-ზაფხულ ტყე-ღრეში ვეგდემ, საქონელს ვმწყემსავდით, — უღვაშებზე ვადაისვა ხელი წარმოსადგემა მოხუცმა.

— მაგათხნობას მამაჩემი საყიზლაროდ მამა-ზადებდა, რას ამბობთ, ნაცროს საქექად ვის ეცალო. — ნიშნისმოგებით თქვა რაიონის კოლმეურნეობის მწყემსმა ლეჟურანთ აბრატუნემ. მას ხელში მწყემსის კობალი ეჭირა და თოხარიკი ცხენებით სცემდა ბოლთას, ადვილზე ვეღარ ჩერდებოდა, წრიალდებდა.

ძუგარამ ერთი ამრეზილად გადახედა მოხუცს, მერე ბავშვებს მიმართა:

— ნედლი შეშა იყო?

ხალხი დინტერესდა, რას იტყოდა ძუგარა იმ ოხერტიალი წულის შესახებ.

— ნედლი იყო, გულში წყალი ჰქონდა გამჭადარი.

— ო, წყალი ყოფილა, წყალი ორთქლდებოდა, ორთქლი კი წუღოდა, — ახსნა ძუგარამ.

— რაღაცა მეგონა, — თქვა კომბლიანმა აბრატუნემ და ერთი წუთით ბოლთისციმას თავი ანება, როგორც იქნა, ფეხი ფეხს მიადგა, ხალხის საუბარში ჩაერია. მერე ყველანი წავიდწამოვიდნენ.

ჭურწია მადლიერი მზერით აცილებდა ხალხს. სამივენი დღემდნენ.

მერე პარასკომ ჯიხუას გადახედა და რაღაცა ანიშნა.

ჯიხუა დედას შეაკერდა.

პარასკო უკანმოუხედავად გაემურა კიშკრიცენ. რაღაც მორჩილი, მისავათებელი ნაბიჯით მიდიოდა. კიშკართან შედგა, ჩადიჭრდა. მერე კვლავ გზა განაგრძო, ქუჩაში რომ გავიდა, ისევე გაჩერდა.

ჯიხუა გავიდა, დაწვია.

— რა იყო, პარასკო, რა მოგივიდა?... — არაფერი... საღამოს ჩვენთან ვადმოდო, ვიგუნდოთ, — დამნაშავესავით ვადმოხედა ჯიხუას, მერე უეცრად შეტრიოდა, ფეხი დაკრა და ცქაფი კურდღელივით გაუჩინარდა ორღობეში.

მეორე დღესაც ბაღში იჯდა. ოთახიდან ზურგინი სკამი გამოეტანა. ნებიერად გაეშლართა ფეხები. თვალები მიეფულა, ძილბურანში წასულეყო. მოღბერტი კვლავ წინ ედგა. მოღბერტზე გადაკრულ თეთრ ტილოზე ერთადერთი ავიისფერი ხაზი ჩამოესვდა. ეს იყო და ეს. ერთი საათის წინ გახსნილი ზეთის საღებავი გამშრალიყო. დღესაც წუხნადელივით დემართა: ამოაწო ფერში ყალბამი და ის იყო, ტილოზე უნდა გავსევა, რომ უეცრად ხელი ჩამოუყვარდა, რაღაცამ შეაკავა, შეაკონა. „რა მემართება, რა ვახდა ამისთანა, რომ ვეღარ მივინთავი? — გაიფიქრა ჯიხუამ, — ნეტავი რას ევლოლიავეები ამდნენ? პირველად ხომ არ ვემუშაობ პორტრეტზე?“ — კვლავ მოიკრიბა ძალი, ისევ ამოაწო ფუნჯი, მაგრამ ისევე გადაიფიქრა. „ეი მაგრამ, ბოლო-ბოლო იცი კი, რა უნდა დახატო? პორტრეტი? მაშინ ეს ხაზი რისი მანქინისია?“ შეეკითხა ვილაყ ჯიხუას. „რას ვხატავ? როგორ თუ რას ვხატავ, ჩემი საქმეა, რასაც დაეხატავ, — გაეპასუხა ჯიხუა უცხო ჩემს. „აბა დახატე, რაღას უცი?“ — ადავხატავ, მა არ დაეხატავ?“

მაგრამ ვერა და ვერ მოხდა თავი, ვერ გაუფიქრა ფუნჯი ტილოზე. თბილისში სხვაგვარად იფიქრობდა. იქ თითქმის ნათლად ხედავდა, ხელშესახებად ჰქონდა წარმოდგენილი, რაც უნდა გაეკეთებინა... გონებაში ათასჯერ დაამუშავა ვოგოს სახე, საით და როგორ არ მიაბრუნებოდა; როგორ არ დასევა და დააყენა... უწერილმანეს დეტალებამდე გაითვალისწინა ყველაფერი. ზეპირად იცოდა, რა ფერით შეესრულებინა ტუჩები, თმა, თვალები, რა მხრიდან დასცემოდა. უკი, რა ტანსაცმელი უნდა სცემოდა ვოგოს. ეს პორტრეტი რაღაც არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო. უკვე ორი წელია, ხვართლასავით ჩასწვნიდა მის სურვილს ეს აზრი და დღენიდავ მოსვენებას არ აძლევდა. უცნაური იყო ა ყოველდღე ფიქრობდა ჩაქდომოდა საქმეს, მაგრამ რაღაც ეშმაკად, თავს ვეღარ აბამდა. ვოგონას სურათი კი მუდამ გვერდზე რჩებოდა, ხელიდან უხსლტებოდა, ემალებოდა. მერე მიხვდა, რომ თბილისში ვერ შეასრულებდა ამ სამუშაოს. აუცილებლად შინ უნდა გასულიყო და იქ მისჯდომოდა მოღბერტს. შინ ყოველი ნივთი, ყოველი სავანი, ყოველი ხე და ბუჩქი, ქუჩაზე ჩარიგებული ბოძები, ფშვების ტოტებში შეყუყუელი ჩიტუნების ყივივი, თანაუბნელი

ბავშვების ყიყინ-გინასი, უღარდელი ხმაური, შენობები და ოღრთოღრთო სამარხილო შუკები თუ ბილიკები, ყველაფერი მათი ბავშვობის წლებთან, უღარდელ, ბედნიერ დღეებთან იყო დაავშირებული, ყველაფერი მათ ერთად გატარებულ დღეებს აგონებდა. ფიქრობდა, ეს ხეები და ეს შენობები, მიცვალებულებივით მდუმარები. ბავშვების ქაჩიკი და ჩიტუნების კრუალი დახმარებოდა სიფელში. ასე ფიქრობდა ჯიხუა, მაგრამ აი, ამოვიდა შინ, მეორე დღე-ღამეა, მისჯდომია მოლბერტს და ერთი ხაზის მეტი ვერ გაუვლია. ან რაა ეს ერთი უბადრუკი ხაზი? რის მაქნისია? რაში დასჭირდა? ზაზი ბამბუქის სტერიის ჰვადეა. სტერიი? რა შუაშია სტერიი? რა მოსდის ჯიხუას? ნუთუ ქალაქის ამბავი მეორდება აქაც? სულ სხვა რამე ვაგონდის? ხანდახან თვალს გაახელს, ქუჩის ვადაღმა, ორსართულიან შენობისაკენ გაპარებს შურას, თითქოს ეშინია, ეინმემ არ დამინახოს, იქით რომ ვიციქიბებით, ქურდულად იხედება. ოთახში დედასთან ვიღაც ქალი იყო. თავისთვის ლაპარაკობდნენ. ჭრუნია რაღაცას შესჩიოდა მეზობელს, თან ბაღში, ჯიხუასკენ ახედებდა. ჯიხუას ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩაესმოდა მათი სიტყვები:

— ორი დღეა ზი... ვე... გამი... რაა მაგის თავს, — ჭრუნია თითქოს მოთქემასო, დამწუხრებული ლაპარაკობდა. ის ქალიც აიყოლია, ცნობისმოყვარე, თანაგრძნობით აღსავსე თვალებით გამოიხედავდა ბაღში, ჯიხუასა და მის სახატავე მოწყობილობას ათვალავებდა.

ჯიხუა ისევ ქუჩის ვადაღმა, ორსართულიანი შენობისაკენ იციქიბოდა. ეს ორი დღეა, თითქმის თვალს არ მოუცილებია გრძელი აივნისათვის, მაგრამ ვერა და ვერ მოჰყარა თვალი. ცნობისმოყვარეობა ახრჩობდა. თითქმის სამი წელი სრულდებოდა, წამითაც კი არ მოეკრა გოგოსთვის თვალი. ახლა ისე მოქალა მისი ნახვის სურვილი, რომ მეტის ატანა აღარ შეეძლო. პარასკო კი არა და არ ჩანდა. „როგორია? რას აკეთებს, რას ფიქრობს, რა აცვია? ბედნიერია?“ უეტრად თავში გაჰყრა ახალმა აზრმა: „ამ აივანზე რა უნდა, ქმრისას იქნება... ქმრისას, რა თქმა უნდა... რა სულელი ვარ.“ ამის გაფიქრებამ გული დაწყვიტა და კიდეც უფრო შორეული და მიუწვდომელი გახდა გოგო. აღარც ძაძუმეშობეული ოთხკუთხა ჩარჩო ჩანდა აივნის ბოჭებს შორის. ხუთი-ექვსი წლის წინათ იმ ჩარჩოდან პარასკოს დედის, უღრთოდ გარდაცვლილი ლამაზი ქალის სურათი იზჩრებოდა. ნაღვლიანი თვალებით ათვალავებდა თავისი ხელით დამშვენებულ კარმინამოსს, ეზო-ბაღს, და შემობლიური სოფლის ქონგურებს, თითქოს სამუდამოდ ეთხოვებოდა ყოველივეს. ბოძებს შორის გაიმუღლა ძაძაზე სამგლოვიარო წარწერა ჯიხუამ გააკეთა. პირველად აკეთებდა სამგლოვიარო წარწერას,

უარობდა და ჭირვეულობდა, ეზარებოდა, მაგრამ პარასკომ სთხოვა, აუცილებლად შენ უნდა გააკეთო. დღეაჩემს სწორედ შენგან ესაიმოვნებაო. პარასკომ მამამისსაც სთხოვა, წარწერა ჯიხუასთვის გაეკეთებინებინათ. მამა ჯერ ყოყმანობდა, მაგრამ საბოლოოდ შეიღს ხართი ვერ გაუტეხა და დათანხმდა, მერე და მერე ძაძა წვიმებისაგან და ქარისაგან გახსუნდა, წარწერა წაშალა, გაფერმკრთალდა, პარასკოს მამამ რამდენჯერმე ვადაწყვიტა მისი ჩამოსხნა, მაგრამ გოგო არ ანებებდა, იყოს, რას ვიშლიო. ბოლოს მამამ მაინც თავისი ვატიანა და ჩამოსხნა. პარასკომ და ჯიხუა მამის მერვე კლასში სწავლობდნენ. სკოლიდან დაბრუნებული პარასკო მთელი წელიწადნახევარი შინიდან გამოსული არავის უნახავს. ვაზაფხულზე ნახეს პირველად — იღიმილი რომ გაუკრთა სახეზე. იმ დღეს ოდნავ სცრიდა. ამხანაგები ერთად ბრუნდებოდნენ სკოლიდან, ჯიხუა რაღაც სასაცილო ამბავს ჰყვებოდა და უეტრად თვალებს არ დაუჭერა, პარასკო ძლივშესამჩნევად იღიმიებოდა. ჯიხუას მოეჩვენა, თითქოს საადროდ მოზღვავებულ, ტალახანი გუბნისკვით შეზღვილ ღრუბლებს ვიღაცამ ნახაბი მოუქნია, შუაზე გააპო და ღრუბლებსშორის უეტრად ცხრათვალა მზემ გამოიხედა. მზის წუთიერმა სხეებმა რაღაც სასიამოვნოდ დაუჩრბინა მთელს სხეულში. გულამდე ჩასწვდა. თბილი ტრფილა მოჰგვარა. იმ დღიდან თანდათან გამოოცხლდა, იციონდა კიდეც, ძველებურად ლაზიანდარობდა და ატირებდა „შუშუტას“.

— შეილო, საცაა მიტინგი დაიწყება, გაიარე, თვალი დააწყურე, — ვაღმოსძახა აივნიდან დედამ ჯიხუას.

ჭრუნია და მეზობელი ქალი აივანზე ვაღმოდგარაყენენ და მისკენ იციქიბოდნენ.

— მთელი ახალგაზრობა იქ იქნება, გაერთობა მაინც კაცი, — თქვა მეზობლის ქალმა.

ჯიხუამ თვალები გაახილა და თავი წამოსწია. უეტრად ყარაო ეცა. წამით ბურუსში გაეხვიო ირგვლივ ყველაფერი. მერე ვადაუარა, ქალებს ვადახედა:

— ცოტას კიდეც წავიშუშავებ და მერე წავალ...

ჭრუნია ვაოცების ნიშნად მეზობლის ქალს ვადახედა, მერე, როგორც იქნა, ვამბედაობა მოიკრბა და ჯიხუას უსაყვედურა:

— შეილო, ორი დღეა ქვადავივით მისჩერებხარ მაგ მოლბერტს, თითქოს სალოცავი ხატი იყოს, თვალნაკრავივით მეუცნაურები, ვერც მითქვამს და გული მიცვდება...

ჯიხუას შეეცოდა დედა: ის ცამდე მართალი იყო ამ შემთხვევაში, ცამდე მართალი და საცოდავი. რაღაც კარგი უნდოდა ეთქვა, რაღაც

**მირონ ხერბიანი**  
დაბრუნდა



კარგი და სისიამოვნო, რომ მთლიანად გამოესყიდა და გაქვარწყლებინა მარტოხელა ქალისათვის ამ ორ დღეში მიყენებული წყენა და გულსტიკილი. უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვეღარაფერი მოახერხა. ესა უთხრა მხოლოდ:

— ვფიქრობ, დედი, ჯერ უნდა ვიფიქრო და მერე დავხატო, რა ექნა, ასეა...

— სულ ნუ დახატავ, შვილო, რად მინდა, თან თუ გადაეყვი, თუ სხვა აღარაფერი გეხსოვება ამ ქვეყანაზე... აღრე არ იყავი ასეთი, აღრე ისცილი გიყვარდა!

ამ დროს ჭიჭიარს ჩიხუას თანაკლასელი ამხანაგები მოადგნენ, უმრავლესობა სტუდენტები იყვნენ, საპირველმაისო დღესასწაულზე სოფელში ჩამოსულიყვნენ დასასვენებლად. ამხანაგები ჯერ ქალებს მესალმნენ, მოიკითხეს და სათითაოდ გადაკონცეს, მერე ჩიხუასაკენ გამოსწიეს.

— აი, თურმე სად იმალება, წამომვდარა გრილოში ბატონივით და ბუზებს ითვლის, — დაიძახა შუბლჯვარაანთ კეყერამ, უნივერსიტეტის ფრიადოსანმა სტუდენტმა. სხვებმა გაიციინეს. მერე სათითაოდ ჩამოართვეს ხელი და გულდაეგულ მოიკითხეს. უმრავლესობა გოგონები იყვნენ, ქალაქურად გამოპრანჭულ-გამოწყობილნი. მაშინვე სკოლის წლებზე ჩამოვარდა საუბარი. რა არ გაიხსენეს.

— თითქმის მთელი კლასი აქა ვართ, — თქვა აღტაცებით კეყერამ, ამხანაგები შეათვალიერა და — ერთი... ორი... სამი... — თითებზე ჩამოთვალა, ვინც აკლდათ.

„მთელი კლასი?“ — გაუკვირდა ჩიხუას.

— ოთხი გველია, სამი გოგო და ერთი ბიჭი, ამ გოგოების სინილა გაწყდა, ერთი რომ გათხოვდებთან, მერე ყველას და ყველაფერს იფიწყებენ...

— გვიანი ქმრების ბრალია, ჩემო კარგო, — გამოეჭიმება გოგოებს მალაღი, გამხდარი გოგო კუჭანური ცუცუქა, — ვნახეთ, როგორ ატანტალებ შენს ცოლს ამხანაგებთან, ოღონდ ვეადირზე, თუ ძმა ხარ, დროზე და, ვნახათ იმასაც... ასე არ არის? — მიმართა მან დანარჩენებს.

— ასეა, მა რა, — დაუმოწმეს ცუცუქას ერთხმად.

— ისე, ქმარს რომ სისერზე დისევამს, ისეთ გოგოს რა ვუთხარი მე, — დაიკვებნა სიდონია თათუკაშვილმა. ამ გოგონამ საფერწლო ტექნიკუმში მოწყობის მეორე დღესვე, ყველას გასაკვირად, პასპორტში, კომკავშირის ბილეთში, სხვაგან და სხვაგან თავისი სახელის წინა ოთხი ასო ამოღებია, ამხანაგ-მეგობრები კი დააფიცა, დღეიდან სიდონიას ნაცვლად ნია დამიძებთო, ნია თათუკაშვილი... ამხანაგებს ერთობებოდით, მაგრამ ნიას თვალების ბრალის გაურბოდნენ და თანდათან შეეჩვივნენ ამ ახალ სახელს. ნია, საერთოდ, უცნაური გოგო იყო, ამ ბოლო წლებში კი ყოველგვარ ზომას-საზღვარს გადა-

აჭარბა. იგი ამ წუთშიც ყველასაგან განიხილავდა მოდისადმი თავგამოდებული, უსაზღვრო ტრფილით, რაზეც აშკარად მეტყველებდა მისი ცირკის მასხარასავით მიხატულ-მოხატული წარბები, ახოხალაუბეულები, ზვინივით აქობილი, გაჩეჩილი თმა, გულსსოვრამდე ჩაღლილი საყენლო და ზომამზე მეტად მოკლე კაბა...

— იმტომ დავეგებრდები ვაუთხოვარი, ჩემო კარგო... — სიცილი დააყარეს ბიჭებმა.

— ვაუთხოვარი თორემ, სხვა არაფერ დარჩენილა ჩემს ვარდა, — არ დაიბნა ნია.

— სხვა რამეზე ვისაუბროთ, რა ამბავია, მთელს ქუჩაში იმისი... — ჩაშალა მათი ხუმრობა-კამათი ცუცუქამ, მის წინ ვროკოზე ჩამოხვდარ ნიას, პირი რომ დაეღო, ხელისგული აიფარა ტურჩებზე და ჩაჩუმდა.

„ოთხნი?... მხოლოდ ოთხი გველია?“ — ეცოტავებოდა რატომღაც ჩიხუას. ეგონა, რომ აქ ნახევარიც კი არ იყო მთიი კლასიდან, ნახევრის ნახევარიც არ იყო... ასეთი გრძნობა ჰქონდა. მართლა ავად ხომ არ გახდა? იქნებ პალეცინაციები აქვს? რაღაც უცნაური, უეკრანებელი სენითაა შეყვარობილ? თუ ასე არაა, რატომ ჰგონია, რომ აქ ნახევარიც არაა მთიი კლასიდან? აქი საგულდაგულოდ დაითვალა კეყერამ რამდენიც აკლდათ. მაშ რაღა აწყუხებს, რატომ არ აყვება სტუმრად მოსულ ამხანაგებს, რატომ არ გაიცინებს, როცა ყველანი იციინან და ხარხარებენ? განა სხვა დროს ასეთი პირმოქუფრული იყო?

— რას ხატავ? — შეეკითხა უეკრად ჩიხუას ცუცუქა და ცარიელ ტილოს დააქვერდა.

— ჰო, მართლა, — დაინტერესდნენ სხვებიც, — რა ჩავიფიქრებია?

— ეს სტიფი ხომ არაა? თუმცა არა, ბამბუკის ღეროს ჰვავს, — ტილოზე ჩამოსმულ ხაზზე იკითხა ცუცუქამ.

— არ ვიცი, ისე ჩამოუქსევი, მე თვითონ არ ვიცი, რა გამოვივა...

— საიდუმლოა?... — გვერდზე თავგადაგდებული დაეკრიჭა ნია.

— არა, არა... აი, ხვალ მოდი თ და ნახეთ, ხვალისათვის აუცოლებლად მოვათავებ, — დაღუფქრებლად შეჰპირდა ამხანაგებს ჩიხუა.

— კარგი ხვალ მოვალთ.

— კარგი იქნება... — დაასვენა ცუცუქამ, — წინდაწინ დაუმუშავებელი თემები მხატვრული ხორცშესხმის შემდეგ ხშირად უფრო საინტერესო გამოდის, ვიდრე გახარებულნი, დაგვმოხლო.

— ცუცუქა, თუ ღმერთი გწამს, გვითხარი, ბიოლოგიის ლექციებთან შეთავსებით ხელოვნებამცოდნეობის კურსებზეც ხომ არ დაიბრუნებ? — გაკვირება ვეღარ დამალა კეყერამ.

„კარგად თქვა, მართლა კარგად თქვა...“ — ჩიხუას მოეწონა გოგოს მსჯელობა. უცნაურა კიდევ მისგან ასეთი ლაპარაკი. სკოლაში



ცუტუკა საშუალო მოსწავლედ ითვლებოდა. რადიკალური გულჩახვეული და უთქმელი გოგო იყო. არაფრით არ განიჩრქოდა სხვებისაგან, ამიტომ იყო, ყველას გაუკვირდა, დამთავრებისთანავე ბიოლოგიურზე რომ ჩააბარა, მაშინ როცა მასზე უკეთესი ნიშნონსაღი, სკოლის ფართო დერეფანში გამოკიდული „წარჩინებულთა დაფის“ უცვლელი მოზინადრენი მიღებულია სიუბში ვერ მოხვდნენ. ჯიხუამ ახლა სულ სხვა თვალთ შეხედა ცუტუკას. იგი მართლაც გამოიჩინოდა გოგონებისაგან სადა, კონტა ჩაცმულობით. კაბის ფერი საუცხოოდ შეეხამებინა თმის ფერთან. მის ტანზე არაფერი არ იყო ზედმეტი, არაფერი არ ყვიროდა. თმა ბიჭურად, მოკლედ დეფენებინა. „ერთ-ყომა, რუსთაველზე წაწწას არ არის გადაყოლილი. შინ ზის და კითხულობს...“ — გაფიქვრა ჯიხუამ.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ პარადი რომ დაიწყება უჩვენო? — გაახსენდა კეყერას.

— უი, მართლა, დროა უკვე... — ზეზე წამოხტა ნია. მას სხვებმაც მიბაძეს. ყველანი წამოიშალნენ და წასასვლელად გაემზადნენ.

— ცოტა ხნით მიატოვე და წამოდი ჩვენთან, — სთხოვა ჯიხუას ცუტუკამ.

— წამოვალ, — უტბად დაეთანხმა ჯიხუა. საღებავების ყუთი დახურა. მოღებრტს გაზეთი ჩამოაფარა. ხელჯოხი აიღო და უკან გაჰყვა ამხანაგებს.

— ახლა ჩეროლან გასვლას ყველაფერი სჯობს, — თქვა ცუტუკამ.

— დიდებული ფიქვია, საერთოდ დიდებული ზადი გაქვს, ჯიხუა, — კიდევ ერთხელ მოავლო თვალი ბალს კეყერამ.

— დეიდა ჭურჭია კინჯარს ააყვავილებს, რომ შიინდომოს, — ჩაერია საუბარში ნია.

— ისე, რა, აი, წყაღს რომ გამოიყვანო... — წყალი უნდა გამოიყვანო? — დაინტერესდა ცუტუკა.

— ში, სულ რამდენიმე მეტრია წყალგაყვანილობამდე. აი, ამ ადგილასა დაახლოებით მილეში ჩაყრილი, — ხელჯოხი მოატარა ჯიხუამ გახურებულ ასფალტზე.

— კიდევ მეტი სიგრილე იქნება, დიდებულო... — ჯიხუა, მე როდის დამხატავ? — სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი ნიამ და ჯიხუასა და ცუტუკას შორის ჩაღვა.

— ამას რომ მოერჩები, მერე შენ დაგხატავ.

— არ მომატყუო ოღონდ, ერთ მხატვარს ვეცნობდი, ტყუილების გუდა იყო.

— ხომ გითხარი, მოერჩები და... — არა ზოზანი დამხატავ?

— თუ გინდა, დედიშობილა დაუდებნი, ისეც დაგხატავს, — მოუბრუნდა ნიას კეყერა.

— უსინდისო, — ფყინა ნიას, — ისე, რა-

ტომ არ დაუდებები, კაცმა რომ თქვას, უცხო ხომ არაა, ამხანაგია.

— აბა რაღა გაბრაზებს, საძაველო, — დაიწკრილა კეყერამ.

სხვები იციინდნენ, მაგრამ ნია არ აქცევდა მათ ყურადღებას.

— მამ ხვალდან, არა? — ხელი გამოსდო ჯიხუას და პასუხის მილოდინში დიმილით შეაცქერდა სახეში.

ჯიხუა ცუტუკას უყურებდა. ცუტუკას ლოყები შეფაცვოდა. სხვებივით იცინოდა ისიც, მაგრამ თვალები სხვაგან გაუბრუნდა, თითქოს ღრუბლის ფთილებს დაეძებდა პორიზონტზე და ხვალის ამინდს წინასწარმეტყველებდა. ამხანაგებს ცალყბად, ყასიდად იყო აყოლოლი. ახლა ჯიხუასათვის ეს გოგონა ახალი აღმოჩენა იყო და უხაროდა რატომღაც. შეეძლო მისთვის საინტერესო საკითხებზე ესაუბრა ცუტუკასთან, ეკამათა, ემსკლა და უფლი მოეოხებინა. სიცილ-ხარხარა კარგი იყო, მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი ჰქონდა. გაუთავებელი ხუმრობაც ბოლო-ბოლო მოსაწყენი ხდებოდა.

— მივიღვართ დემონსტრაციაზე? — გაახსენდა ნიას.

ყველანი წამოიშალნენ.

პარადი მალე დამთავრდა.

ჯიხუა და ცუტუკა ერთად მიდიოდნენ.

— თბილისში არც ერთ გამოფენას არ ვტოვებ უნახავს, — ამბობდა ცუტუკა, — შენი სურათებიდან იცი, რომელი მომეწონა ყველაზე მეტად? აი, მარტში, მხატვართა სალონში რომ იყო ექსპონირებული, მეგონი, თუ არ ვცდები „მწყემსი გოგონა“ ეტევა, როგორც კი სურათს მოვიკარი თვალი, თავი ჩვენს ტყეში, წიფლიანში ვიგრძენი. იმ დილით რაღაც უგუნებოდ ვიყავი, მე სულელმა რა ვიციოდი, თუ ასეთი სასიამოვნო სიურპრიზი მელოდა... ახლაც თვალწინ მიდგას ის გოგონა გრძელი წველით ხელში ჯიჩკზე რომ მიმჯარა და საქონელს გასცქერის. მეცნაურა, მაგრამ ვერ გაეხსენებ, ვინ უნდა ყოფილიყო, ვის ჰვავდა, შენთვისაც მინდოდა მეკითხა, მაგრამ ვერსად შეგხვდის... აჯადმიაში წამოსასვლელად კი ვეღარ მოვიცალე.

— ვის უნდა ჰვადეს, — თქვა ჯიხუამ.

— აი, თვალეტი, ახლაც ვხედავ იმ თვალებს... არ შეიძლება, ისინი არსად შენახოს, ეს ყოველად წამოაუღვენელია, ნუთუ მეხსიერება მლატობს და ყველაფერი ეს ყალბი მოჩვენება და სხვა არაფერი? იმ წუთში რა გრძობდა დამუფლვა, იცი? თუ გჭონდა როდისმე შემოხვევა, დიდი ხნის უნახავ ნაცნობს რომ შეხვდები შემთხვევით და ვერ გაეხსენებ, სად გი-

**მირონ ხარგიაძე**  
დაბრუნება



ნახავს და ვინ არის. მერე მთელი დღე ფიქრობ, ნერვებს იშლი და მაინც ვერ მოვიგონებია.

ჩიხუას კარგად ახსოვდა ის ნახატი. თავის ოთახში დახატა, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, მეთერთმეტე კორპუსში. ოთახში ოთხნი ცხოვრობდნენ. ყველანი ერთი პროფესიისანი იყვნენ — მომავალი მხატვრები. ერთი მანით შეპარობილი. პატარა ოთახი მოლბერტებით, ყუთებით, ნახშირი და უხმარი ტილოებით, პალიტრით, საღებავებით იყო გამოვსებული. ოთახის კედლები ჩიხუას და მის ამხანაგებს საგვარეულო ტყეებით ვაენაწილებინათ. თვითუღს თითო კედელი ჰქონდა თავისი ნამუშევრების კამოსაფერად, გამოსაკიდად. თითქოს ოთხი კაცი სწორედ ამ კედლების გამო შესასხლეს ოთახში.

ამ ოთახის ბინადართავან ყველაზე მოგებულები ჩიხუა და მისი თანაკურსელი — წალენჩხელი რეზო ჭორჭია იყვნენ. ისინი ოთახის გვერდით კედლების გასწვრივ იწვნენ და ფართობიც ყველაზე დიდი შეხვდათ, რადგანაც გვერდითა კედლები ფანჯრებისა და კარისაგან დაზღვეული იყო. სწორედ ამ ოთახში, რადღაც ორიოდ დღეში დახატა ჩიხუამ ის „მწყემსი გოგონა“. ბიჭები მორიგეობით რჩებოდნენ ხოლმე შინ და ისე მუშაობდნენ, რომ ერთმანეთისათვის ხელი არ შეეშალათ. იმ დღეს, ორ საათზე მიუჯდა მოლბერტს და რაც მოასწრო გააკეთა. მეორე კვირას, ისევ მისი ჯერი რომ დადგა, კვლავ განაგრძო მუშაობა და საღამოსათვის დაამთავრა კიდევ. გოგო, როგორც მოუღია თავში, ისეთი დახატა. არავინ არ ჰყოლია მხედველობაში, რომ მისთვის დაემსგავსებინა. ამ წუთში კვლავ წარმოიდგინა გოგო, წარმოიდგინა მისი სახე, თვალები, მზერა, გამომეტყველება... „ვისა, ვის უნდა ჰგავდეს?.. — მერე რაღაცამ გაპკრა თავში და ლამის ხმა-მალა აღმოხდა, ძლივს შეიკავა, თავი: — ნუთუ?.. ნუთუ მართლა? ნუთუ ეს მისი მზერაა.. მისი თვალებია?“ არა და წუთითაც არ უფიქრია იმ დღეს ჩიხუას, რომ იგი დაეხატა, მას რა ეშმაქმა დაამსგავსებინა?..

— მე მითხრეს, ახალგაზრდა შემოქმედთა გამოფენას ვაწყობთ და ახალი ნამუშევარი მოიტანე რამეო. მეც დაეხატე და მიგიტანე, ეს იყო და ეს... — ჩიხუას შეეშინდა, კიდევ უფრო არ დაეძვეებინა ცუცუქა. არ მიეკვლია გოგოს მათ საერთო მეგობრებში „მწყემსი გოგონას“ თვალებისათვის, შეეშინდა და ამიტომ განგებ, ნაძალადევი გულგრილობით წარმოსთქვა ეს სიტყვები.

— იგი ისეთი სევდიანი იცქირება, თითქოს ზაქი დაკარგა და აღარ იცის, რა ქნას, სად წავიდეს, სად ეძებოს... რას იტყვი ამაზე?.. — შეეითხა ცუცუქა.

„ზაქი დაკარგა? რა უცნაურია, ღმერთო ჩემო, საიდან ვახსენდა ზაქი?“

— დაკარგვისა რა გითხრა, უბრალოდ, მთელი დღე ხეტიალისაგან დაიღალა და ეს არის, ახლა ზის და ისვენებს, წვეპალა იმიტომ დავაშვებინე მიწაზე... ზაქი რომ დაკარგვოდა, მოქანცული, შემფოთებული იქნებოდა..

— ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობდი, ასე მგონია ახლაც... ხომ უფლება მაქვს, ჩემი აზრი გაიანდეს, თუნდაც იგი ავტორისას ეწინააღმდეგებოდეს. ამას წინათ ჩვენს ჯგუფში ლადო გულიანოვილის საღმისი ეწვია. ბატონმა ლადომ გეთხრა — „მხატვრული ტილოს აღქმა სხვადასხვანაირად შეიძლება...“ შენ ხომ არაფერი გეჭნება საწინააღმდეგო?..

— არა, რა უნდა მქონდეს... არაფერი. — გაეცინა ჩიხუას.

კარგა ხანს უხმოდ მიდიოდნენ.

— იცი რა? დღეს, მგონი, პირველად ახლა გაიდიო, გიყურებდი და მიკვირდა, — ენის ბორბიეთი თქვა ცუცუქამ.

— ჰო? — წარბები შეუმუნხა ჩიხუამ, — ეს მეორედ მესმის უკვე, თქვენს მოსვლამდე დედაჩემმა და მეზობლის ქალმაც მისაყვედურეს.

— კი მაგრამ... — საერთოდ ვარ ასეთი. ეტყობა ნამეტანი ჩავიციებ საკუთარ თავში. სამი წელი საკმარისია ამისათვის.

— ამხანაგები? ოთახში მართო ხომ არ ცხოვრობდი?

— ჩვენ, საერთოდ, ძალიან ცოტას ვლაპარაკობთ... კამათ-საუბარს დღემილს, უხმოდ ჯდომისა და ჯღაბნას ვარჩევთ ხოლმე... დღენიადაგ რაღაცას ვეძებთ ტილოზე, ვეძებთ, სხვადასხვა ფერს ვაღებთ, ეუტრობლებო, ხშირად არც გამოვლდის არაფერი. ჩემი ამხანაგებიც ჩემსავით სიტყვაძუნწები არიან, რომ იციოდ... — არა მგონია, რომ ყალბი და მოლბერტი იყოს დღემილის მიზეზი... ამ საკითხზეც ჩემი მოსაზრება გაიანდია..

— არ ვიცი... აბა სხვა რა უნდა იყოს?..

— მიზეზიც არის და მიზეზი. არსებობს საფუძვლიანი და უსაფუძვლო მიზეზები. ადამიანის ცხოვრებაში ზოგჯერ ერთი ბეწო, უმნიშვნელო შემთხვევა გადამწყვეტ როლს თამაშობს ხოლმე. სულით ძლიერი ადამიანებია არიან ამ გამოწვევის შემთხვევისაგან დაზღვეულნი. მაგრამ ისმის კითხვა: რა ჰქნან სუსტებმა, თუკი მიიწი ვარდახდებთ. შემთხვევათ ასეთი რამ? დიდი ხანი არაა, რაც ეს ფილოსოფია ამოვიკითხე საღდაც...

„ქარაგმებით ლაპარაკობს. იქნებ მიმხვდარიყველაფერი. იქნებ სკოლაშიც კი ამჩნევდა ჩვენს დამოკიდებულებას? ჩვენ ხომ სულ ერთად ვიყავით, ერთად დავბრბოდით. დაეხეტებოდით, სოფლის ღობე-ყორეებსა და ეზოებში? ერთად ვაძღვდით გაკეთებულს... მერე კი... ერთ მშვენიერ დღეს, შავმა კატამ გაირობინა ჩვენს შორის თუ რა იყო, ყველაფერს ხაზი გადაესვა. ყველაფერი თავდაყირა დადგა.“

განა ეს ისე ძნელი შესამჩნევია იყო? იქნებ ყველაფერი მშვენივრად იცის ცუცუქამ და იმიტომ მელაპარაკება ასე? ან იქნებ სხვა რა-მე აქვს მხედველობაში? აი, მაგალითად, ეს ხელჯობი... ბოკორმის ინცინდენტი... საავადმყოფო, სასწრაფო ობერაცია?..“

— გახსოვს ის დღე, ბოკორმის ციხეზე რომ ავედით. შაბათი იყო და ღამეც იქ დავრჩით... იქითობას მოხუცი, თმაქაღარა კაცი, გრძელველისივით ისიდორე ქისტაური წამოგვეწია ცხენით. ასვლისთანავე ციხის ეზოში სროლა გააჩაღეთ. როგორ დაჯახნა ისიდორემ ყველა. ბოლოს შენც გამოართვი თოფი და ხუთივე ტყვია ათიანში მოახვედრე. მოხუცმა ხმა-მალა გადიხარხარა და მხარზე დაგიტყაბუნა დაკოყრილი ხელი. აქეთ ჩვენ მოგვმართა:

— აი, ბიჭებო და გოგონებო... ჯიხუა ნამდვილი ვეფაცია... ჩვენი წინაპრები, ეს გოლიათი ციხე-სიმაგრე რომ ააშენეს, სწორედ ასე მარჯვედ სვამდნენ ტყვიას ტყვიაში... ყოჩაღ, ბიჭოსა!..

მერე ჩვენ გალაგანზე გადავდექით და ივრის ხეობას გავტყვეროდით. შენ მოხუცი აიყოლიე და შეითვლებით არ ასვენებდი. კარგად მახსოვს, სამლოცველოს ჩამონგრეულ გუმბათებს რომ შესტყვეროდი, როგორ ღვთისმოსავივით განიცდიდი გაშიშვლებული, დამსკდარი და თეთრი საღებავით გადალბუნებულ, მიღებული წმინდანების უხმო დაღადისს.

— ეს წმინდა იოსების კუთხეა, ჩემო ბატონო... — ამბობდა ისიდორე ქისტაური და ზევით წმინდა იოსების მრავლანაწიემარ და ნაქარვე კედელზე საცოდავად მითხლებილ სახეზე მიგიითებდა.

მაღლ სხვებიც დაინტერესდნენ. ყველანი სამლოცველოში შემოვიდნენ და თქვენ შემოგვხვებოდნენ.

— ესეც გიორგის კუთხე, — იოსების კუთხის მოპირდაპირე მხარეს წმინდა გიორგის ცერად შემართული შუბის წვერი და ყალყზე შემდგარი ცხენის ცალი ფეხილა მოჩანდა.

— რომელ საუკუნეშია აშენებული? — კითხვები დაეყარეს მოხუცს ჩვენმა ამხანაგებმა.

— ათას სამასი წლისა გამოჰყავთ და, რა ვიცი, აბა... —

— მეექვსე-მეშვიდე საუკუნეში... — გამოითვალა ვიღაცამ.

მერე ისიდორე ვიწრო გალავანში გავვიძღვა. მეფის საცხოვრისი დავათვალეოვით. მეფის საცხოვრისისაკენ მიმავალ ვიწრო ბილიკს კედლებზე ამოშენებული კედლები მონგრეოდა და გოგონებს გვეშინოდა იმ სიმალიდან ძირს გადახედვისა. ბიჭები აქეთ-იქით ჩამწკრივდით, ერთიმეორეს გადააჭდეთ ხელში და როგორც ძველად, ქორწილის დროს, ნეფე-დედოფალს რომ გაატარებდნენ ხმლებქვეშ, ისე გავატარეთ. ბოლოს სენაკები და ერთ-ერთ სადგომს

შემორჩენილი ძველებური ბუხარი, პურსაცხები და დათვალეოვით.

— ძველად, ომიანობის დროს აქ ამოდიოდა ხოლმე ბარიდან ხალხი, უმოთარესად ქალები, მოხუცები და ბავშვები. მათ ჭინჭელთგორისის, მიწისის, შედაციხისის, სასადილოსა, გრძელველისისა და სხვა სოფელთა მცხოვრებნიც უერთდებოდნენ. თავველიანი ვეფაცვიც მეფის ჯართან ერთად უჯარმისა და ივრის მისადგომებთან იყვნენ. ჩასადრებული, — თითქოს იმ ბრძოლების მონაწილე ყოფილიყო, ისე ვატაკებით გვიყვებოდა ისიდორე. ბოლოს ჭინჭარმოდებულ უჯარამზარ ეზოში ნანსნაკარები გვიჩვენა. ეს იყო ქვეის კედლით ერთიმეორისაგან გამოყოფილი საწოლი ოთახების ნანგრევები. ეზოს თითქმის მთელ სივრცეზე რომ ჩასდევდა. იმ ღამეს ისიდორე ჩვენთან დარჩა და რაები არ მოგვიყვია...

— კარგად მახსოვს, ისეთი გრძნობა შექონდა, თითქოს აღდგომა საღამო იყო და ჭრელ-ჭრულა ზღაპრებს მიყვებოდა ბაბუაჩემი... — თქვა გოგონებებში ჩაძირულმა ჯიხუამ.

— მეორე დღით, ქვევით რომ ჩავდიოდით, რამდენჯერმე გავგავროხილა, ფრთხილად იარეთ, ციკამო ბილიკია და ფეხი არავის დაგიკლდეთო... — ვანაგრძო საუბარი ცუცუქამ, — მართლაც ერთ ადგილას ბილიკი უფესურულზე გადიოდა და სიფრთხილე იყო საჭირო.

— კი მაგრამ, როგორ ამოზიდეს ამ ციკა-ბოზე ეს ქვეები, ძია ისიდორე? — შეეკითხა ვიღაცამ.

— ჰო?... — ჩაფიქრდა მოხუცი და მაგრად ჩაბლუჯა ცხენის სადავე, თითქოს შეეშინდა, არსად გამეჭკესო, — ივრის ხეობიდან ჩვენამდე მთელ სივრცეზე ხალხი ყოფილა ჩაყენებულ, ჰოდა, ერთმანეთს გადასცემდნენ თურქი რიყის ქვეებს... იმდენი ხალხი ყოფილა, რომა... ბოკორმის ციხის მაშინდელი მოძღვარი ამბობს კიდევ ერთგან, სადილობის ეამს სამი ლიტრა მარილი მუხარჩებოდაო. ლიტრა, შვილო, დღევანდელ ხუთ კილოგრამს უდრის... აბა, წარმოიდგინე, თხუთმეტი კილო მარილი ერთ ჰამზე რამდენ კაცს გაისტუმრებდა... რამოდენა ხალხი იქნებოდა, მაშა... — მერე მოხუცმა თავის ცხენს შეუცაცხუნა — წამო, შე ჭილაგაშენებულო. ცხენი შეჩვეული იყო ამ ბილიკებს, მაგრამ მაინც ფრთხილობდა და წინ წასვლის ნაცელად უქან-უქან იქაჩებოდა.

— რამ დაგავთა, ან სხვა თვალზე იყურები დღეს, ა? — შეეკითხა ცხენს ისიდორე და კვლავ შეუცაცხანა. ცხენი ისევ ეწინააღმდეგებოდა.

— ზოგჯერ ასე მოუვლის და ჯორივით გაციუტლებდა, ეს ოხერი... — ვავვაცნო თავისი

**მირონ ხარბიანი**  
დაბარშენბა



ულაის ეს ჩინებული თვისება ისიდორემ. მერე ამ ცენთან დაკავშირებით რაღაც საინტერესო ამბავს მოჰყვა. ძველისძველად, ვიღაც მხედარს დაუტრიაბანია, ამ ბილიჯე ცენს როგორც მინდა, ისე ჩაუკუნებო... მაშინვე გამოუყვანიათ ნამთვეი საჯანგებოდ შეკაზმული მერანი და ტრაბახასათვის გადაუციათ. მხედარი დაუფიქრებლად შეშხტარა უნჯივრზე და დეზი უკრავს ცენისათვის. კეისარს ჩაიკლებული არც ყოფილა, ფლოცი რომ დასცდენია ცენსა და უფსკრულში ჩაჩეხილან ორთავენი...

მოხუცს დამთავრებული არც კი ჰქონდა თბრობა, რომ უეცრად რაღაცამ მოგაიარა, თითქოს ზღისწყვრამ ავიტანა, ისიდორეს ცენის სადადეგ გამოართვი, წამოასკუბდი და იმ მხედარივით შეუძახე, ჰაიტ, ჰაიტო... თვალის უსწრავლად ჩაქანე საბელისწერო ბილიჯე და ბუჩქებში გაუჩინარდა... ყველანი შეეპარუნდით, ზავდითრდით, ერთხანს ვეღარაფერი მოვახეხეთ. მერე ვილაკეები ყვირილით გამოგადევნენ, მაგრამ აღარაუერი გესმოდა, მალე კი ცენის ფლოკების ხმაც მიწყდა. ირგვლივ მღუპარებამ დაისაღვტრა. არც ერთი არ ვიძირდი ადგილიდან, ყველანი გულისფანცქალით გავექროდით გრძელფელისის მისადგომებს, სადაც ციხიდან ჩამავალი ბილიჯი გამოდიოდა წიფლანარადან. დიდხანს, დიდხანს დიდვით სულშეგებულნი, გაოგნებულნი და აღარ ვიცოდით, რა მოგვემოქმედა, როგორ მოქცეულიყავით, რა ხდებოდა ქვევით, ტყის სიღრმეში? მერე, რომ არ გამოჩნდი, ეგვიც კი შეგვეპარა, ამდენს რად იგვიანებდნო. მოხუცი ჩვენზე მეტად განიცდიდა ამ ამბავს, მის ისედაც დაღარულ შუბლს ორი ნაოკი კიდევ მომატებოდა. მაგრამ მალე დაფარცხულ ყანასავით დაეწმინდა სახე და სიხარულით აჩიფჩივდა.

— ხომ ვითხარით, მამა-პაპათა გორისა-მეთქი... — სიხარულით მოგვმართა თვალგაშტერებულგანს. თვალი მართლაც შვარდენივით უჭრიდა ავი ამიტომაც ისროლა გუშინ მიხანში, შენც პირველი მან მოგვარა თვალი, ტყიდან რომ გამოხვედი და სფლოსკვენ გააქენე ცხენი.

— ვაშა!.. — ერთხმად შეეკვირეთ და ტაში შემოვკარით, მერე ხტუნვა-ხტუნვით, ერთი სიცილ-ხარხარით დავეშვით დაბლა... მოვაკებულზე რომ ჩავალწიეთ, მოხუცმა გვიხარა, აი, შვილებო, აქამდე ყოფილა თურმე გაწენებულე ძველად ვენახები, ახლაც ენახულობთ ხოლმე. მიწაში ჩარჩენილ ძველისძველ კირკინებებს... მაგრამ ურჯულთებმა ძირფესვიანად ამოყარეს ჩვენებური ვიშის ვაზით.

როგორ განვიციდით მოხუცის სიტყვებს. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ხარობდა ერთ დროს ვაზი და ახლა ერთ ძირს ვეღარსად შეხვდებოდა კაცი. ჩვენს მთაგორიან ფერდობებს

შესისხობორებულ-შერეველი ვაზის განადგურება, ერის ამოწყდომასავით საზარელდებოდა. დურება იყო. საიდან გააჩენ ყინვაგამძლე ვაზს, თუკი იგი ბუნებამ არ შეა? მაგრამ ამას ხომ ათეული წლები, საუკუნეები სჭირდება? ამ საუკუნეებში კი რამდენი ზარალი ნახა ხალხმა? ვინ იანგარჩენს იმ დანაკლისს. ერთი ძირი მაინც გადარჩენილიყო სადმე შემთხვევით, ერთადერთი ძირი... ერთი ნეკი მაინც დაეტოვებინათ იმ წყულებს ცეცხლოვანი დეზი, ამოუძირკავი. სპას რომ გაწყვეტდნენ მომხდურები, ერთ კაცს მაინც გაუშვებდნენ ამბის მომთხრობდა, ასეთი წესი იყო ძველად. ჰოდა, ერთი ძირი ვაზი რაღა გახდა ამისთანა...

ბოლოს, როგორც იქნა, მოვალწიეთ შენამდე. შენ მოლზე წამოწოლილიყავი და ისვენებდი. ცენი ნებაზე მიგეშვა და იქვე ერთ ნაბიჯზე თითქოს ბუნს იგერიებდნო, რაღაცნაირად ჩიუტად იქნედა თავს, მარჯვენა ფეხს მიწას ურტყამდა და ფრტუნებდა. მე მოხუცს შევხედე. ისიდორეს კვლავ დანაოკებოდა შუბლი, უეცრად დასვედიანებულყო. ცუდად შეინშა, და-ვაკვირდი. ახლა მომჩვენა, რომ ქვედა ტუჩიც უთიროდა, ცახცახს აეტანა. ახლოს რომ მივედი, ყველაფერი ნათელი გახდა. შენ ფერი აღარ ვედო სახეზე, უგრძობლად ეგდა და ძლივს შესამჩნევად სუნთქავდი. გოგონებმა კივილი მოკრთეთ. ზოგმა ლოყები ჩამოიხოკა. ატყდა ერთი ჩოჩქოლი და ვაი-ვიში. არავინ იცოდა, რა მოხდა. მერე მოხუცმა ცენს შემოუარა ირგვლივ და სამგლოვიარო ზარივით დაიფრიალა:

- გადაცივენულან... გადაცივენულან...
- კი, მაგრამ...
- ცენი დაშვებულა, გვერდი ატყავებია... ესე იგი, გადაუარინლია, — გაიმეორა მოხუცმა...
- მაგრამ იგი ხომ ცენზე იჯდა, როცა დავინახეთ.

— გადმოვარდა, მერე კვლავ შეჯდა. იხტიბარი არ გაიტეხა ყმაწვილმა! — ასხნა მოხუცმა. ჩვენ ახლა ცენს შემოვხვევით. მთელი მარჯვენა ფერდი სისხლში ამოსვროდა.

— ვიუტო, ვიუტო! — იძახდა ისიდორე და სისხლში ამოთხვრილ შარვალს გხდიდა. მოხუცს ჩვენც მივეშვევით და კრილობებს დაეუწყეთ ძენა. მაგრამ ვეღარსად ენახეთ. მოხუცი ფეხებზე გეფათურებოდა და კვლავ დაიფრიალა:

- ბარძაყის ძვალი... აი, წვივი!
- გოგონებდან ვილაკას გული გაუბდა ცუდად. მართლაც ამინელი შესახედავი იყავი. მარჯვენა ფეხი გადამსხვრეული გქონდა. ხელში ავიყვანეთ და კარგა მანძილზე ისე გატარეთ. მერე მოხუცმა რაღაცა მოისაზრა. კურტაკი გაიძრო, ცენს გადააფინა გასისხლიანებულ



ზურგზე და ბიჭებს უთხრა, ზედ შემოვსვათ, უფრო ჩქარა ჩავადწვეთ სამანქანო გზამდეთ...

ჩვეტი მხარი დაეჭვირეთ მოხუცს. მართლაც მალე ჩავადწვიეთ სამანქანო გზამდეს და პირველსავე მანქანას გაგაყოლეთ თბილისში... — ცუცუქამ დაამთავრა საუბარი და ღრმად ამოისუნთქა. ჭიხუა ფიქრებიდან გამოერკვა; სოფელი უკან მოეტრეფებინათ. ზემო თიანეთის გზაზე გასულყავნენ.

— დაგდალე ლაპარაკით, — თქვა ცუცუქამ.

— არა, რას ამბობ... რამდენი ხანია, ასე ღრმად არ ჩავფიქრებულვარ მაშინდელ ჩემს საქციელზე. დღეს ცხადლეე წარმოვიდგინე ხელახლა ყველაფერი... რა უცნაურია, მართლაც არაფერი ცვლის ადამიანს წლები, დრო.

— სწორედ ამისი თქმა მიხდოდა, ამიტომაც გავახსენე ეს ამბავი. განა ის უსიამო, ბრმა შემთხვევა არ ძვეს მხიარულებასა და გულჩახვეულობას შორის საზღვარად, ბოჭორბაზე რომ შევგმობხვ? — გოგო თამაზად, პირდაპირ ლაპარაკებოდა. რასაც ფიქრობდა, იმას ეუბნებოდა. დარწმუნებული იყო, ბიჭი არ უწყენდა, — აი, მაგალითად ეს ხელჯონი...

— ჭიხუა ამ წუთში სულ სხვა რამეზე ფიქრობდა: „როგორ ვერ ვაფასებთ ადამიანები ერთმანეთს, ვიდრე უცხო თვალით არ შევხედავთ — აი, ეს გოგო... რა იყო იგი ადრე სკოლაში? განა რითიმე განირჩეოდა სხვებისაგან? უცბად გავიდა რაღაც სამიოდე წელი და კვლავ შეხვდებოდა ერთმანეთს... უეტერად აღმოჩნდა: თურმე ამ გოგოს მისი ყოფილი ნაბიჯი ახსოვს. თურმე უამრავ საიდუმლოს ინახავდა გულში. გამორჩევა, რომ საქმაოდ ღრმად იხედებდა მოვლენებში და ყველაფერს სწორად თუ მცდარად, თავისებურად ხსნიას, ყველაფერზე თავისი დამოუკიდებელი შეხედულება გააჩნია...“

— რა ეუყოთ მერე, ამისგან ხომ არავინაა დაზღვეული... ეს ხომ ბრმა შემთხვევის ბრალია, განა ამ ხელჯონმა სიცილის უფლება წაგვართვა?..

„სწორედ ამაში ცდები... ყველაფერში მართალი ხარ. ოღონდ ამაში ცდები... — ფიქრობდა თავისთვის ჭიხუა, — და ძანაც კარგია, რომ ცდები, ადამიანი ყველაფერში მართალი არ შეიძლება იყოს, ადამიანს ბევრი რამ ევატიება.“

ჭიხუას ერთი შემთხვევა გაახსენდა: საშუალო სკოლა რომ დაამთავრეს, გამოსაშვები საღამო მოაწყვეს. საღამოზე ყველაღს შეთვრნენ: იტყვიან; იმღერეს, ბოლოს ქუჩას მოედგნენ. უკვე საქმაოდ გვიანი იყო. ზოგმა სახლში შეუხვია კიდევ. ჭიხუაც საქმაოდ მთვარლი იყო და შინ წასვლა გადაწყვიტა. უცბად შესასვლელთან კედელს აკრული გოგო და ბიჭი დაინახა ერთმანეთს ვადებევოდნენ, ადარაფერი ახსოვდათ ამ ქვეყანაზე. ჭიხუა დაიბნა, ნბიჭი კიდევ უფრო აკრია და ლამის წაიქცა. მხოლოდ ერთხელ გაიხედა კედელს აკრული წყვილისაკენ,

გუმანით იგრბნო, ვინც უნდა ყოფილიყვნენ. ღრმად იყო რატომღაც დარწმუნებული რომ გოგო მისი ნათესავი იყო — ცუცილას ბიჭი კი — თანდასუსტი. გულში უსიამოდ გაპარა რაღაცამ. ერთხანს იფიქრა კიდევ, მივიღო და ორივეს ვანანებ ამ საქციელსო, მაგრამ მერე ვაღაფიქრა, არ ჩათავლა რატომღაც საჭიროდ. არუელი ნაბიჯით გამოიღდა იქაურობას. მერე დადეს გოგოსას მივიღა. იგი ვაფთრებული შეაჩერდა ჭიხუას, მერე დაპკრა ფეხი და უხმოდ გავარდა ოთახიდან. მალე ისევ მობრუნდა და ლოგინზე გაიშლართა, ენა გამოუყოფა დაამიღმწესა. ჭიხუა ვაოცებული, ვაკვირვებელი მისჩერებოდა და მხრებს იჩიჩავდა, არაფერი მემსისო. მერე ენის რაღაც უცნაურმა, ყვირთელმა ფერმა ჩააფიქრა. რაღაცნაირმა ვიშმა მოიცდა. გოგოს თვალები მიელულა და თითქმის ხრიალბდა. ჭიხუა დაფთვებული მიეჭრა, ხელი შემოუჭირა უბაზე და ძალით გაახსენვინა პირი. უცტრად იოდის მკვეთრი სუნი ეცა. ახლა უკვე ყველაფერი ნათელი გახდა. დაფაცურდა, თავზარდაცემულმა საიდნდაც რძე მოაგებინა, ექიმები გამოიძახა, ნახშირი გააჩინა. საბოლოოდ, როგორც ენა, საფრთხემე გაიარა. მაგრამ ახლა თვითონ ჭიხუა გახდა ცუდად. თავში თითქმის კვერთხი ჩაარტყესო, თავბრულ დაეხვია. „ჩიხუა მაგრამ რაზე მოიწამლა თავი?“ — ჩაეკითხა ვილიცის იდუმალი ხმა. იქნებ რას ფიქრობს ეს ხალხი, ადამიანს ყველაფერი შეუძლია გაიფიქროს. მით უმეტეს ასეთ სკორობულ შემთხვევაში, სიკვდილ-სიცოცხლის საჯთბი რომ უნდა გადაწყვიდარიყო. „პოდა, რას ეტყვი?.. რას ეტყვი?.. რას ეტყვი?..“ — არეკა ვილიცა ავბდლით ზარებს და მათი ღრიალი ქრუანტილავით უვლიდა ტანში. პრადა, ვილიცა შეეკითხებოდა, ვილიცა აუცილებლად დაინტერესდებოდა, რა იყო ამ საბედისწერო შემთხვევის მიზეზი, როგორ გამოსულიყო მღგომარეობიდან ისე, რომ არც შამფური დაეწყვა და არც მწველი? სიმაართეს ხომ არ ეტყოდა ამ ცნობისმოყვარე ხალხს, ხელახლა თავის მოსაკველელად ხომ არ გაუხდიდა საქმეს ამ წერაატანილ გოგოს? არადა, ბლუქუნს ხომ არ დაიწყებდა. პასუხი კი არსაიდან მოდიოდა. ღმერთი არ სწყალობდა და ის იყო. წუხანდელი სიადუმლოების გაცემა-გამომხურება კი ამ საბედისწერო ცდის ხელახლა გამოიერებს მოსაწეებდა. ეს ყოვლად გამორიცხული იყო. მუშრა ჯანდაბა თქვის? ასეთი გამოთავანებელი არასოდეს ყოფილა. ვეღარაფერი მოისაზრა ისეთი, ცალი ხელით რომ მიინც ჩასკიდებოდა კაცი.

უცბად საიდნდაც გოგოს თანკალსელები გაჩნდნენ. ერთ-ერთი სლუქუნით დაეჭო სასთუმალთან და აკაცალებული ხმით უსაკეედტრა მეგობარს:

**მირონ ხარბიანი**  
დაბრუნება



— ნინის გულისათვის შეიძლება კაცმა თავი მოიწამლოს?

ჯიხუას თითქოს ბორკილები ახსნესო, ერთი თავისუფლად ამოისუნთქა. „ღმერთმა გიშველ- ლამს, ღმერთმა გიშველოს...“ — რამდენჯერმე გაიმეორა თავისთვის, თან ავადმყოფს გადახე- და, რომელიც, ეტყობა, კიდევ უარეს გასაჭირ- ში ჩაუარდნილიყო და სიმართლის გამოაშკარა- ების მოლოდინში თვალზე აბრიალებდა. ჯი- ხუას შენიშნა, როგორ დამშვიდდა გოგო და მაღლიერების გრძნობით გადახედა თანაკლ- სელს, რომელმაც სრულიად შემთხვევით იხსნა განსაცდელისაგან. გოგო აშკარად ილიმებოდა, ურცხვად ილიმებოდა, თვალურში შესცივინებ- და იცრავლივ შემოვარულ ხალხს, შობილებს, რომლებსაც თვალზე ცრემლები მოსდგამო- ღათ. ისინი კი ვერ მიხვდარიყვნენ, რა ხდებო- და. ჯიხუა კი გრძნობდა, რაღაც ბედნიერი იყო გოგო ამ წუთს. ბედნიერი იყო, იმიტომ რომ წუხანდელი ცოდვისაგან განიწმინდა, სოფელში კი გოგოსა და ბიჭის ხვეწნა-კონცანზე უძი- მესი, უსაშინელესი დანაშაული არაფერია: ერთი რომ ხმა გაეარდებდა, ეს გოგო იმ ბიჭთან ასე და ასე ნახესო, მეტე წასულია მისა საქმე- ეს იმას ნიშნავს, რომ იმ დღიდან მოყოლებუ- ლი, ყველა ექვსი თვალთ შეხედავდა, შემ- თხვევითაც რომ გაველო ვიღაც უცნობის გვერდით, რაღაც საშინელს იტყოდნენ, უშვე- ლებულ, გრძელ სადავეს მოაბანდნენ და საი- თაც მოისურვებდნენ, იქით გააქენებდნენ ახლ- გახებდნელი ულავივით. ახლა კი გოგო ბედნიე- რი იყო. ყოველივე ამას გადაურჩა, მთელი სოფლის სალაპარაკო არ გახდა. რაც მთავარია, ცოდვისაგანაც განიწმინდა. წუხანდელ ცთუნე- ბაზე ლამის სიკვდილის ფასად ავო პასუხი, მაგ- რამ მოხდა ისე, რომ როგორღაც გადარჩა... მათემატიკაში მიღებულმა ერთადერთმა ოთხი- ანმა უშველა, მედალი ხომ გავუტუქა, მაგრამ სამაგიეროდ სირცხვილისაგან იხსნა... დიდებუ- ლი საქმე გაუკეთა...

თითქმის ანალოგიური რამ ხდებოდა ახლაც. ამ ხელჯობმა, როგორც ჩანს, ბევრის თვალი და გონება წარიტაცა. სწორედ ბოქორმის ტრაგე- დიამ, ამ ხელჯობმა უშველა ჯიხუას იმ დიდი და ერთადერთი სულისმებერი გრძნობის დამალვა- დასამარებამში, რომელიც დღისადღეობითაც არ გამეჩხრაოყო, დღისადღეობითაც აღარ ასვენ- ნებდა. წმიდათა წმიდა საიღუმლო ხელშეუხე- ბელი, თვალშეუქვლები დარჩა ხალხისათვის, მეგობრებისათვის, ცუცუქასათვისაც კი, რო- მელსაც თითქმის ყველა დეტალი ახსენდა მათი ბავშვობის ხნიდან. ეს კი დიდ რამეს ნიშ- ნავდა ჯიხუასათვის. ამ წუთში ემაღლიერებოდა. კიდევ იმ დღეს, იმ ეშმაკს, რომელმაც ასე დაუფიქრებლად შემოსაყუბა ცხენზე, ემალიე- რებოდა უსიამოვნოდ დასასრულს, „ვლატეზე ძვლების ლაწაღუნს, დამფრთხალი ცხენის ჭიხ- ვის... ამ წუთში აღარაფერს ნანობდა ჯიხუა.

რამდენჯერ უფიქრია აქამდე: „უცხად მი- გრძნობა პარასკოსადმი რომ გამეკლავებოდა, რომ გავგო ყველას: ამხანაგებს, ნათესავებს, ბელთ, გავგო კაცრიელსაც, იგივე შუშუტას, რა ამბავი დატრიალებოდა? რა გუნებაზე დიდგე- ბოდა გოგო? მისი შობილები? კაცრიელის ნათე- სობა? რა თქმა უნდა, საშინელება იქნებოდა. ახლად შექმნილ ოჯახს წყალი ჩაუდგებოდა, დაინგრეოდა, სხვა რომ არაფერი, თანასოფ- ლელთა მიოქმამოთქმის, საექვეო ჩურჩული დაინგრეოდა...“ — ხანდახან სულში თითქოს ვიღაც ჩაუსახლებოდა და ჯიუტად ძიხბდა: „ჩანდაბას, რაც მოხდება, მოხდეს... მოსახდე- ნი, მოხდეს...“ ამ მოსახდენი უნდა მოხდეს, ან თვითონ შეეწირო ამ საიღუმლოს, შენ ხომ იმ გოგოთი ცხოვრობდი, იმ გოგოთი სუნთქვდი და სულდგმულობდი, იგი იყო შენი საწინა- საყვევლო, შენი ოცნება, სალოცავი ხატი, რო- ვორ ფიქრები, განა ასე იოლა ყველაფერის შე- დევა? ყველაფერის დაქარგვა? რაღას უშვებდი გატილობული სულის დაადისს, მოთქმას? იგი ხომ თანდათან ხმას იმაღლებს, თანდათან ძლიერდება, მიყუჩების ნაცლებს? ამ ღლიადისს ათასი ხელჯობა რომ დაიჭირო, ვეგარ დაა- ცხრობს, ეკლარ დამალავს, თვალი რომც წა- რიტყუოს, ყურთასმენას რაღას უშვებ? ყურ- თასმენას ვერ წარბათყებს... დიდი შეღავათია, ღმერთომინა, ხალხმა, ამხანაგებმა რომ არაფერი იციან. ხომ იცი, გაუტეგბარი არაფერი რჩება ამ ქვეყანაზე...“

— კარგად იყავი, ჯიხუა, აი ჩემი სახლიც, — გამოეშვიდობა ცუცუქა.

ჯიხუა ფიქრებიდან გამოერკვა: — კარგად იყავი. ხეალ ხომ გამოივლი ჩვენ- სას?

— აუცილებლად, ძალიან მაინტერესებს, რა გამოვივა...

ჯიხუმ მარტო განაგრძობ გზა. მხარმარჯვნივ გადახედა, ვიწრო შუკები გაიარა და თავის ქუ- ჩაზე გაეკლა. გრძნობდა, რაღაც უცნაური, სა- სიამოვნო განტვირთვა ხდებოდა მის სხეულში, თითქოს მახეში გამბული ჩიტივით ძუა ჰქონდა ყელზე მოჭერილი და შეახსენს. ახლა კი შეეშ- ლო, საითაც სურდა, იქით გაფრინილიყო, ველა- რაფერი შუაშინებდა, ველარაფერი შეაჩერებდა. ასეთი გრძნობა დაუფლებოდა ცუცუქასთან საუბრის შემდეგ. მაგრამ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომელი რომელს გადასწონიდა, ერთი რამ კი აუცილებელი იყო: უნდა გაეფანტა გარსემოტ- მისნული მღვმარე დრებულების წყება, გაეჩლია ჩინური კედელი, თავის მძიმე მარწუხებში რომ მოექციათ მისი სული. ყოვლად უნუგეშო, პრაქ- ტიკულად მიუღწევველ და განუხორციელებელ რამეზე ფიქრი მართლაც რომ წყლის ნაყვა იყო და სხვა არაფერი. გამოდის, რომ ეს სამი წელი წყალი უნაყავს, უნაყავს და მაინც ვერ უსწავ-



ლია ჭკუა. გამოდის, რომ სამი წელი სადღაც პორიზონტს მიღმა უსავანოდ დაფარატებდა...

უკვე შეადღე იყო. მზე მაგრად აქვრდა. სულისშემხუთველი სიცხე იდგა. ეს ახალა იგრძნო, ამ წუთში, მარტო რომ დარჩა. გარეთ კაცი არ ჭაჭანებდა. ვის რა უნდოდა ახლა გარეთ. ჯიხუამ ნაბიჯს აუჩქარა. დედა აივანზე გადმოდგარაიყო, ქუჩისკენ იცქირებოდა. ჯიხუამ შორიდან მოჰყრა თვალი. რაღაც მსგავსება შენიშნა დედამისა და მათს ერთსართულიან, ძველისძველ, შეუცეთებელ სახლს შორის. სახლი ჭრუნინასავით სედიანად გამოიყურებოდა, დაბალი, კრამიტყარლი სახურავი ქუდივით ჩამოეფხატა-ლაწვებამდე, თითქოს სისხეს იმალავდა, არავინ დამინახოს, არავინ მომკრას თვალით. ჯიხუა დედამთან მივიდა, ხელი მოხვია და გადაკოცნა. თავი მის მკერდში ჩარწო, ისე როგორც პატარაობისას სჩვეოდა ხოლმე და აქვითინდა. კარგა ხანს ქვიითინებდა, ჭრუნია კი ფეფრებოდა, ამ-შვილებდა, სათუთად უსვამდა დაკოქრილ თითებს ხუჭუჭა თმაზე. მერე დაწყნარდა. ისადინო. კვლავ თავის მოღბერტს მიაშურა და მშვიერი კაცივით დააცხრა, საღებავები გახსნა, ერთხელ კიდევ შეათვალიერა ხახჩამოსმული ტილო და გაუსვ-გამოუსვა ყალამი. თავულებლად მუშაობდა. კიდრე არ შემოაღამდა, ფეხზე არ წამოდგარა. სახეზე კმაყოფილების ღიმილი დასთამაშებდა. ასევე კმაყოფილმა ვაიხშორა, ჩაილიღინა, ტილოს გახეთი გადააფარა და სხვა ჩარღებთან ერთად თათბის შეიტანა.

— მოგეხმარო? — შეეკითხა ხინჯლის ხარშვაში გართულ ჭრუნინას.

ჭრუნინამ კიდევ ერთხელ ამოურია ხის კოვზით ქვაბს, რამდენიმე ცალი ხინჯალი ამოაყოლა, ხის ჯამში ჩაუშვა, ჯამი მიხუას გაუწოდა, გაუღინა და უთხრა:

— აი, ახლა მომეხმარე...



ორი წითელი ძროხა ჰყავდათ. სოფლის ნახირთან ერთად მირკავდნენ სამოვარზე. ჯიხუანთან თევში ორი დღე უწევდათ სამწყემსურში სიარული. პატარობისას, მამა რომ ცოცხალი ჰყავდა, იმას დაყვებოდა ხოლმე მთაში, ერთად ამოვებდნენ ნახირს. იქიდან მოყოლებული კარგად იცოდა, სად უფრო დაღინა, ნოყიერი ბალახი ხარობდა. მამამისი ხშირად იტყოდა მამინ, როდის გაიზრდება ჩემი ბიჭი, წალიღ რომ გაიჭოს ქამარში და მარტოკა დააბოტებდეს ტყეში.

ჯიხუა კარგად იცნობდა საადრეო და საგვიანო ყვავილებს. იოლად არჩევდა სასუტელას ისაგან. ვანსაყუთრებით უყვარდა გუგულის კაბა, ხარბიძრის რომ წააგავდა, და ცეცხლივით წითლად ბრიალებდა, ხიბლავდა გვირგვინსაგვარი ვარდაკაჭა, ყარბივით გვიანობამდე რომ შემორჩებოდა ხოლმე სათიბს და კიდევ ათასი ჭურის სხვა ყვავილი.

ზამთრობითაც მიღოდნენ ხოლმე ხანდახან ტყეში. ფიორს ეზიდებოდნენ დიღთოვლობისას, თევა რომ შემოაკვდებოდათ ცხვრებისათვის. ღარძლა ტომრებით შეიარაღებოდნენ და... სასაცილო იყო ხოლმე მამამისი — ავაზასავით დაძვრებოდა დათოვლილ ხეებზე. მერე ცხვრები თანდათან გაყიდ-გამოყიდეს. ორად ორი ძროხა შემორჩათ. მამა აღარ იყო ცოცხალი. ოჯახის თავკაცობა მასზე გადავიდა, დედის თქმა არ სჭირდებოდა, როცა მათი ჯერი მოვიდოდა, გაიჭობდა წალღს ქამარში და გაიჭოკავდა სოფლის ნახირს. მეორე დღეს დედამისი ეტყოდა ხოლმე — შვილო, შენს ჯერზე მეტს იწველიან ჩვენი ძროხებით. ჯიხუას ეცინებოდა, ეგონა, დედა ამას, რომ მასიამოვნოს, იმიტომ მეუბნებოდა. მაგრამ სხვა დროს მეზობლებაც იგივე უთხრეს, შენ რომ გავყავი, იმ დღეს საქონელს მწყემსის ხელი ეტყობათ, მალე მთელი სოფელი ამზე ალაპარაკდა. ჯიხუასთან რამდენიმე კაცი რჩევისათვისაც კი მოვიდა — საით, რა მხარეს გავალოთ საქონელი. ჯიხუას ეცინებოდა გულში. ნოყიერი სამოვრები ძველთაგანვე იყო სოფელში ცნობილი, მაგრამ ეტყობა, უგულისყუროდ დაყვებოდა ყველა საქონელს, ოღონდ კი ვალო მოვხადათ, მათი რიგი მოემთავრებინათ როგორმე და სხვას აღარა დაეიდევდნენ. ჯიხუა კი თვალმოუშორებლად დასდევდა უკან ნახირს, სიცხის დროს ჩრდილიანში ერკებოდა, წვიმების დროს კი ქუსნოს ჭლებლისაყენ მილაღავდა. ეს იყო და ეს. მთელი საიდუმლოება ამაში მდგომარეობდა. „გულისყური და თვალისყური დენენაბა საჭირო, მეტი არაფერი...“ — ფიქრობდა ჯიხუა. ასევე უთხრა რჩევისათვის მოსულთ. მაგრამ მის დარიგებულს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ის კი არა, მწყემსები ხშირად საქონელს გარეთაც კი ტოვებდნენ. ვიღას ჰქონდა რძეზე ფიქრის თავი: — სადმე მგლებმა არ დაგვიგლოჯონ ძროხებით, წუხდნენ მათი პატრონები. „უსულგულოდ მწყემსობაც კი არ ვარგა, ხომ ხედავთ...“ — ფიქრობდა ჯიხუა და მისი ჯერი რომ მოვიდოდა, კვლავ ანცივფრებდა ყველას. ძროხები დაბერილი ცურებს მათორებდნენ შინისაკენ, ზმუთილი აწყვებოდნენ კონსკრებს.

ჭრუნია მთელი ერთი კვირის მონაწევლ რძეს საღებებელში აგროვებდა. კვირის თავზე კი, თიხის ჭურჭელი რომ გავისებოდა, ლაფაროში, მარანსა და თონის გვერდით საგანებოდ გამოთლოდ ჯიქვებე დავამდნენ, დაბოლაგებისას გვერდზე სულის მოსთქმელად დატოვებულ ნაჩერტში რძე რომ არ გადმოდერლიყო ბამბუქის ანდა ღუღუღლასაგან გამოთლოდ სტირის — შეშუტას ჩაურჭობდნენ. საღებებელიც მზად

**მირონ ხარბიანი**  
დაბრუნება

იყო, შეგეძლო მთელი დღე გენჯღრია, გედღე-  
ზნა. ჯიხუა კარში გავარდებოდა, ქუჩას ვაღა-  
პრიადა, ორღობეში გაუჩინარდებოდა. ორსაო-  
რთულიანი სახლის წინ შედგებოდა და დაიძი-  
ხებდა:

— პარასკო... აუ, პარასკო..

პარასკო დამთხვეულივით გამოვარდებოდა  
კარში და მასთან განდებოდა:

— რას აწურულხარ, ხმა ამოიღე...

— მოდი რა, ვაბოლაოთ (ჯიხუა და პარასკო  
ასე ეძახდნენ კარაქის დღეებს).

— ახლავე, მოიცადე, — აივანზე ავარდებო-  
და პარასკო, ფეხზე თუ არ ეცვა, დაუღვერად  
წაყოფდა დაბალქუსლიანებში ფეხს, თავზე  
მსუბუქ, საგაზაფხულო, ცისფერხოვლებიან თავ-  
საფარს მოიხვევდა და ორივენი შინსიკენ გა-  
ვარდებოდნენ.

— აბა, თუ დამეწევი, — გიყვივით მოსწყდე-  
ბოდა ადგილს პარასკო.

ჯიხუა განგებ ჩამორჩებოდა რამდენიმე ნა-  
ბიჯზე და მერე დაედგინებოდა. ძლივსძლივს  
ბიბო, თავიანთ კიშკართანაღ უწვდენდა ხელს და  
გააჩერებდა.

— შენ რომ ვერ დაგეწეო... — ეტყოდა გო-  
გოს.

— რომ მღომოდა, ეშმაკიც ვერ დამეწეო-  
და, — ბანზე აუღვებდა აქლოშინებული პა-  
რასკო.

მერე ეზოში შევიდოდნენ.

— გამარჯობა, ძალო ჭრუნია, — მიესალ-  
მებოდა აივანზე გადმოდგარ ქალს პარასკო.

— შეხე, დედი, ვინ მოგოყვანე, — ეტყოდა  
დედამისს ჯიხუა.

— მერე ნელა ვერ წამოხვიდრით? ქვეყ-  
ნის გადასარჩინად მოდიხართ თქვენც.

— ვერ დამეწევი, გაიძახის...

— დამეწე, რო!

— შეხე ახლა მაგას! — აბილბილდებოდა ჯი-  
ხუა. — მე კი არა, შუშუტა გეწევა.

— „შუშუტა“ ვინ მიგვლია... — კაცრიელი-  
ვით დაიქყინებოდა და აზლუქუნდებოდა პა-  
რასკო.

— შენ გაწყდი, აბა... — სიცოცილო წასკდებო-  
და ჭრუნისა. ახლა მაინც მოასვენე ი ბიჭი, მა-  
შინაც ეყოფა...

— ჰა... ჰა... ჰა... — იცინოდა ჯიხუა.

— აბა, აბა, თავი გაანებეთ კაცრიელს, სსა-  
ცილოდ საკუთარი თავი აივადეთ, — დაუცა-  
ხანებდა მათ ჭრუნია.

ორთავანი ლაფაროში გავიდოდნენ, მჩეჩა-  
ვენივით მიუსხდებოდნენ რძით ვაბერილ სად-  
ღებელს აქეთ-იქიდან, ერთმანეთს მიბაჭენ-  
დნენ ფეხის გულებს. ჭურჭლის ბოლოებზე სა-  
განგებოდ დატანებულ სახელურში ჩაჰკი-  
დებდნენ ხელებს და აბოლაუვებდნენ. რძე  
ქვევარში ბაყბაყდევით თუყუთუყებდა, ბუყ-  
ბუყებდა, ცალ მხარეს აკრული საჭონლის ფეშ-

ვისაგან დამხაბებული სერა ბურთივით გამო-  
იბურცებოდა, დამარგვალდებოდა; დაეჭმებოდა  
რძის მოწოლისაგან, მერე კვლავ დაიხუტებო-  
და. შუშუტა ქსუტუნსა და ხროტინს მორთავ-  
და, ქსუტუნება... სლუქუნება. მალე კარებ-  
ში საიდანაც კაცრიელიც გამოჩნდებოდა, მოყ-  
რძალბებული, მოკლე ნაბიჯით შემოვიდოდა ლა-  
ფაროში, შორისალო აიტუხებოდა, მიესალმე-  
ბოდა. კარგა ხანს ასე გარინდებული შესცქე-  
როდა ორივეს, მერე პარასკოსთან მივიდოდა:

— მოიტა, ცოტა ხანს შეგენაცვლები, —  
ეტყოდა გოგოს.

— არ მინდა, — უხეშად პასუხობდა პარას-  
კო, — როდის ვთხოვე!

— ცოტა ხანს, რა? — დაედრიჯებოდა კაც-  
რიელი.

— ხომ ვითხარი, არა-მეთქი.  
მერე გაწილბული „შუშუტა“ ჯიხუასთან  
გადაინაცვლებდა. ჯიხუას შეებრალებოდა და  
თავის ადგილს უთმობდა სადღებელთან.

— არა, შუშუტასთან არ მინდა, — იძახოდა  
პარასკო და ხელს უშეებდა სახელურს.

„შუშუტასთანო“, — სახე მოედრებლბე-  
და კაცრიელს, მართლაც შუშუტასავით ქსუ-  
ტუნ-სლუქუნს მორთავდა და თვალების ჰიქ-  
ყენით გავიდოდა ლაფაროდან.

— ასეთი ქსუტუნა რომაა, სწორედ იმიტომ  
შევარქვი „შუშუტა“, — გულმოსული ამბობ-  
და პარასკო.

— ცუდად მტყევი.

— ქალაჩუნებს ვერ ვიტან.

ისევ მარტონი რჩებოდნენ. შიშველი ფეხები  
ერთერთისათვის მიებჯინათ და აიწონა-დაი-  
წონასავით აბოლაუვდნენ სადღებელზე. ჯიხუა  
გრძნობდა, როგორ გადმოდიოდა პარასკოს ფე-  
ხებიდან მის სხეულში რალაციანარი სიბიბო. პა-  
რასკოს გრძელი და გამხდარი ფეხები ჰქონდა.  
წვივებზე თეთრი, წვრილი ბუსუსები მოსდე-  
ბოდა. მოკლე ჩითის კაბა ეცვა.

— შარშან, გახსოვს, შუამდე ვეღარ გწვდე-  
ბოდნენ ჩემი თითები... — ამბობდა ახალი აღ-  
მოჩენილთ გახარებული გოგო და თავის გამხ-  
დარ ფეხს ჯიხუასას ატოლებდა.

— ფიჰ, რას ამბობს, შენ ყოველთვის ასეთი  
ხეხელა ფეხები გქონდა.

— ხეხელა შენა ხარ, — წამოენთებოდა პა-  
რასკო.

— არა, ისე გეხუმრე, გოგო, გაისამდე ნამ-  
დვილად დაეწევიან.

— აი, ნახე, თუ არა.

— გოგოს რომ დიდი ფეხები აქვს, იმაზე  
ცუდი არაფერია, მე რომ შეიხო.

— მე ისე მომწონს, მე გრძელი ფეხები მომ-  
წონს.

— მოგწონს და მოგწონდეს, თუ ასეა, მაშინ  
დილა-საღამომობთ ყოველდღე უნდა ავარჯი-  
შო...

— ჩატომაც არ ვავარჯიშებ!

მერე მოდიოდა „გაისიად“. პარასკო კვლავ ატოლებდა თავის ტიტულიანა ფეხებს ჯიხუ-სასს. მაგრამ ცერათითამდე ვერ უწევდნდა, იხტიბარს მაინც არ იტყხდა. ემუქრებოდა, მო-მავალ გაზაფხულზე ენახოთ, ვინ — ვისო.

ასე გადიოდა წლები. დღეები სწრაფად, თვალსა და ხელს შუა ქრებოდა. გადიოდა, ქრე-ბოდა და თან მიჰქონდა ცხოვრების რალაც ნა-წილი, ქურდულად, ჩუმად მიჰქონდა და მა-ლაგდა უჩინარ სამალავში.

იმ წელს უკვე პატარები აღარ იყვნენ, — მეცხრეში სწავლობდნენ.

— ვერ დაეწიენ? — პარასკომ მალა ასწია ფეხი და ზედ დაადო ჯიხუასას — დაეწიენ და გაუსწრეს კიდევ.

ჯიხუამ რალაც უცნაური ქრეოლა იგრძნო, თითქოს თბილი წყალი გადაასხესო, მთელს სხეულში ეღვამ დაღურა. თავბრუ დებოდა. უცბადვე მოეგო გონს და გაუხარდა, გოგომ ვერაფერი შენიშნაო, მერე კი მთელი დღე ფიქ-რობდა: „ვი მაგრამ აქამდე რად ვერ ვგრძნობ-დი ამ სითბოს, აქამდე რა იყო?“

პარასკომ შემუტა ამოაძრო სადღეგებლიდან. ნაჩერტში თითი ჩაჰყო და ამოტკლია მაგრამ არაფერი ამოჰყოლია:

— არ ჰყოფნის ჯერ, — უთანვე ჩაარკო შემუ-ტა.

ჯიხუა მის წვივებს მისჩერებოდა. „როდის დაუმსხვილდა ასე? როდის მოემატა ეს ხორ-ცი?...“ მოკლე კაბის ქვეშ თეთრი, ქალივით გლუვი კანი მოუჩანდა. ბუსუსები ოდნავ წა-მოზრდოდა, გადაყვითლებული ბალახვით მოს-დებოდა. კვლავ იგრძნო რალაც გამოუთქმელი, ქრეოლისმომგვრელი სითბო... ძილივით წამო-უარა რალაცამ და ლამის ჩასთვლიმა. მერე ისევ გამოერკვა, კვლავ გამტერებული მიაჩერ-და გოგოს ფეხებს.

— რას მიყურებ ასე? — გამოარკვია პარას-კოს ხმაო.

— ა, რა თქვი?

— უსინდისო ხარ!

— მე?

პარასკომ კვლავ ამოაძრო შემუტა. ნაჩერტ-ში თითი ჩაჰყო. თითს ამჭერად კარაქი ამოჰყვა. — ეყოფა, საკემრისად მდღღეებილა, — თქვა პარასკომ.

ჯიხუას გული დაეწურა: „ხომ არაფერი ვაწ-ყენინე? მომავალ კვირას რომ არ მოვიდეს? რა ემართ? — მოხმარებით რა მოხმარება უნდოდა, მაგრამ უკარგად მოდღღებავდა, მაგრამ თავი-დანვე პარასკოსთან იყო შეჩვეული, პარასკოს სიახლოვე სიამოვნებდა, უჩინოდ ყველაფრის ხალისი ეკარგებოდა.

— ძალო, ჭრუნია, — დაიძახა პარასკომ.

— რა იყო?

— შეიღღებია უკვე.

— ჰო? ასე მალე? აბა ხაჰოს გაჰმევეთ გასამრ-ჯელოდ.

— გმადლობთ. ძალო ჭრუნია.

ჭრუნია ოთახში შებრუნდა. დიდი, მოჭიქული თევში და მრგვალი ქვაბი გამოიტინა, საღღე-ბელს სერა შეასხნა. კარაქი მოაქურა, წყლიან ჯამში ამოიღო. შინ შეიბატოვა ბავშვები.

„ხომ არაფერი ეწყინა? — გული უფანცქა-ლებდა ჯიხუას, — ღმერთო ჩემო, ეს რა მომი-ვიდაო?“

ორივენი ოთახში შეჰყვენენ ჭრუნისა. მან მა-გიდასთან დასხა დღევანდელი მუშები და ხაჰო გამოუტანა, ჰამო, შეგერგათო. თვითონ გარეთ საღღეგბელს გასარეცხად გავიდა.

„მომავალ კვირას რომ არ მოვიდეს?“ — გუ-ლი უსკდებოდა ჯიხუას.

მომავალი კვირის მოლოდინში ღამეებს ათე-ნებდა და მისანივით წინასწარმეტყველებდა: „მოვა? არ მოვა?“

პარასკო ყოველთვის მოდიოდა. თითქოს არა-ფერიც არ მომხდარაო, მიუჭდებოდა საღღე-ბელს, ტერფებს ბივის ფეხებს მიაბჯენდა და თიხის წაქეულ ჭურჭელს ყურში ჩააფრინდებ-ოდა.

მაგრამ ჯიხუას თითქოს ეშმაკი შეუჩნდაო, თვალეები იქით გაურბოდა, სადაც საჭირო არ იყო. გოგოს სიახლოვე კვლავ თავბრუს ხვევდა და თენთავდა.

— რად მიყურებ ასე? — გამოარკვედა ფიქრი-დან გოგოს ხმა.

— მე?..

— შენ, აბა ვინ?..

— ???..

— უსინდისო ხარ!

„ღმერთო ჩემო, მომავალ კვირას რომ არ მო-ვიდეს?“ — გული უწუხდა მოლოდინში ჯიხუას. ასე გადიოდა დრო. ჯიხუასთვის იგი კვირე-ვით იზომებოდა. რალა ეშველებოდა, კვირადღე რომ არ არსებულებო? რა იქნებოდა, ძროხები რომ არ ჰყოლოდათ? არც უნდოდა ამაზე ფიქ-რი. პარასკო... პარასკო... პარასკო! — სხვა თით-ქოს აღარაფერი არსებობდა ამ ქვეყანაზე. დლი-სით, ღამით, ძილ-ღვიძილში მუდამეამს მასთან იყო პარასკო. არასოდეს არ შორდებოდა მის ფიქრებს გოგო...

მალე შემოდგომა მოვიდა. ძროხებმა წველას უკეს. საღღეგბე ქვევრი წინანდებურად ერთ კვირაში ველარ ივსებოდა. დრო თითქოს კევი-ვით გაიწეოდა, ახლა ათი დღე, ორი კვირა უხდ-ბოდა ლოდინი. ამასაც შეურთავდა, სხვა რა გზა ჰქონდა.

ერთ დღეს ჯიხუა და პარასკო მაგიდას უსხ-ნენ ოთახში. ჭრუნია ღუმელთან დაფუსფუსებ-და, ხაჰოს ხინჯალს ახვევდა. უეცრად კარზე დააკაუნა ვილაკამ. ჭრუნიათ თავი ანება ცომის გაბრტყელების და აივანზე გვიდა. მესობლოს ქალი მოსულყო. რალაც ჰქაქან-ლაპარაკი გაუბა

მირონ ხმარაგანი  
დაბრუნება

ჭრუნის, შიგნით არ შეჰყოლია, პირდაპირ ავიანზე საუბრობდნენ. სიტყვები ნაწყვეტ-ნაწყვეტად შემოდინოდა ნახევრად ღიად დარჩენილ კარში. უცბად ჯიხუამ დინახა, პარასკომ თვალები დაჰყვიტა და გაიხსნა, ხატივით გაფიქრდა. მერე ქეითინი აუვიარდა. ბავშვივით ქეითინებდა, ჯიხუა გოცებულნი მისჩერებოდა, ვერ გაერკვია, მართლა ტიროდა თუ „შუშუტას“ აჯავრებდა. მართლა ტიროდა. ჯიხუამ ხელი შემოჰხვია და უთხრა:

— პარასკო, მე თუ გაწყენინე რამე, მითხარი და თავს მოვიკლავ...

პარასკო ხმას არ სცემდა, გულამოძვარა ქეითინებდა.

— მითხარი, პარასკო, მითხარი, რა? — ლამის აზღუტუნდა ჯიხუა.

— შენ არა, რა სულელი ხარ, შენ არა... — ამოიღულღულა გოგამ.

— მართალს ამბობ? ესე იგი, ჩემგან არაფერი გწყენია, არა, პარასკო?

— ჰო, ჰო... რა უნდა მწყენოდ!

— აბა რა მოხდა, მითხარი, „შუშუტამ“ ხომ არ გაწყენინა?

— არა, არა.

— აბა რა იყო, — მხრებს იჩეჩავდა გაუგებრობისაგან ჯიხუა.

მალე ჭრუნია შემობრუნდა ოთახში. აცრემლებულ გოგოსთან მივიდა, ხელი შემოხვია, მკერდში ჩაიკრა და თბილად მიმართა:

— შვილო, ამიერიდან დედა გეყოლება, განა არ გიხარია?

„დედა ეყოლება? რის დედა, რა დედა! ვინ ეყოლება?“ — ჯიხუას პივნის ბოძებს შორის ჩამოკიდებული შევაძამაშემოკრული ლამაზი ქალის სურათი წარმოუდგა თვალწინ. დედა რა ხანია მოუცვდა პარასკოს, აბა რაზეა საუბარი? — ფიქრობდა პირდაფიქნილი ჯიხუა. მერე მეზობელზე დაქედდა. ალბათ იმან მოიტანა რაღაც ამბავი და პარასკომ მისი სიტყვები დაიჭიროა. მაგრამ ხომ შეიძლება, ტყუილი გამომდგარიყო? განა ცოტა ჭორი დადის სოფელში? მერე კი ნახევარი არ მართლდება.

მაგრამ ყველაფერი ასრულდა: პარასკოს მამამ სწორედ იმ შემოდგომაზე ცოლი მოიყვანა. პარასკოს უკვე დედინაცვლი ჰყავდა შინ. იმ ზამთარს დიდი თოვლი ჩამოიჯანა. პარასკო იშვიათად გამოდიოდა კარში. ხანდახან ჯიხუა ესტუმრებოდა ხოლმე და შეშის დაჩეხვაში ეხმარებოდა. ერთი-ორჯერ, შეშის ჭრისას პარასკოს დედინაცვალმა მოუტყურო. ერთხანს უხმოდ უყურა, მერე ნაძალადევი თავაზიანობით მიმართა:

— რატომ წუხნები, სახლშიც ბლომად გექნება სამუშაო...

ქალის სიტყვები ისე ეუცხოვა ჯიხუას, რომ ლამის ნაჯახი გაუვარდა ხელიდან. მაშინვე მიატოვა ყველაფერი და შინ წამოვიდა. ქალის ცი-

ვი, თევზივით უფერული თვალები საბუდამოდ დაამახსოვრდა. ის თვალები აშინებდა ჯიხუას. ერთხელ იგი და კაცრიელი ერთად მივიდნენ პარასკოთან. პარასკო წიგნს კითხულობდა. პარასკოს დედინაცვლი კარში შემოეგება ორთავეს, მოზრძანდით, მოზრძანდითო, — შეიბატიეა. ამის მტად ჯიხუასათვის ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს იმ დღეს. კაცრიელს კი რატომღაც თან გადაჰყავ, ძველი ნაცნობივით გაუბა საუბარი, უსაყვედურა კიდევ, ხშირად რატომ არ გამოივლი ხოლმე ჩვენსაო. პარასკო მართლა სახლში და ზოგჯერ სწყინდებაო...

იმ ზაფხულს კაცრიელის მამამ რაიონის კომპერაციიდან ცნაფერი „ვოლგა“ გამოიყვანა და იმაზეც ჩამოუვლო ლაპარაკი, — ცისფერი დიდებული ფერიაო. შენ თუ გსევამს ხოლმე მანქანაშიო, ტარებას თუ ვასწავლისო და ათასი, რალაცა გამოჰკითხა. ჯიხუა და პარასკო პირში წყალჩაფებულელებით დუმდნენ. ხმას ვერ იღებდა ვერც ერთი, უხერხულად გახევებულნი ერთმანეთს მისჩერებოდნენ... არც კაცრიელი იყო კარგ დღეში. პარასკოსაგან ცუდის მეტა არაფერი ახსოვდა დღემდე, ამ ქალის გულთბილი საუბარი კი უეცნაურებოდა.

ერთხელ, მისის კვირადღეს, პარასკო მაინც გამოიქცა სახლიდან და ჯიხუასთან ამოჰყო თავი. ჯიხუას მიადგა და უთხრა — შესადღებდა თუ გაქვს, წამო, მოგეხმარებო. ჯიხუა პარასკოს დანახვაზე ახტა-დახტა, სიხარულისაგან ლამის ცას ეწია. არაფრით არ მოელოდა პარასკოს მოსვლას. ეკლავ ძველებურად მიუსხდნენ ჭრუნისა მხარე პირთამდე ავსებულ კასრს, ერთმანეთს მიაწვენ ტიტლაკანა ფეხებით და სიცილ-ხარხარით შეუღებდნენ საქმეს.

— ჯიხუა, იცი, რა ძნელია შინ ჯდომა? — თქვა პარასკომ.

— ჰო, ალბათ... — თავი დაუქნია ჯიხუამ.

— სკოლა და სახლი... სახლი და სკოლა... დედაჩემი მეუბნება, შენი ხნის გოგოები უფრო თავდაპყრილები არიანო...

— თავდაპყრილებით? — თავაქინდრული ეკითხება ჯიხუა.

— შენ? შენ აღარ გენატრებოდი ხოლმე?

— მე? რა ვიცი აბა, — გაურკვეველად ბურტყუნებდა ჯიხუა, — რა ვიცი, აბა...

— უსინდისო! უსინდისო!

„მენატრებოდი? აბა ვინ მენატრებოდა.“

— იმ „შუშუტამ“ გული გამიწყალა, ყოველდღე ჩვენთანაა.

— კაცრიელი? — ცივად გაჰკრა რატომღაც ჯიხუას.

— ვიცი, შენ რატომღაც არ მოდიხარ...

— დედაშენს მოსწონს კაცრიელი, გახსოვს, იმ დღეს რამდენი ელაპარაკა... შენ კი ტყუილა გეჯავრება.

უეცრად თითქოს ბექვში გახტრებულ შანთი მოაბჯინესო, ვიდაცის მომწუსხველი მწერა იგრ-

ძნო, თითქოს ვიღაცა ბრახისაგან ანთებულ  
თვალეობით უტყებოდა, შანადღა... უცბად შებ-  
რუნდა და ლამის გაშრა, მოულოდნელობისა-  
გან ადგილზე გაქცევა — იგი იყო, საძინებელ-  
ოდ შემზადებულ ძერასავით შემართულიყო,  
დოიჩი შემოიყარა და თევზის უფერული თვა-  
ლებით სუსხავდა ყველაფერს. ჯიხუამ სხვა ეე-  
ლარაფერი მოახერხა, უკან წამოიღო ფეხები და  
ზღაზნებით წამოდგა ზეზე. დაშინაშეკესავით ჩაპ-  
კიდა თავი.

პარასკო დაიბნა. მას ფეხები ნებაზე გაეშ-  
ლართა. მოკლე, საშინაო კაბა მუხლზემოთ ას-  
ტურებოდა და თეთრი ბარძაყები მოუჩანდა. ხე-  
ლებით სადღეებლის სახეურზე გაშეშებოდა.  
სადღეებელი მის მხარეზე გადაიწოწა, პარასკო  
მტყუვამფრტვევესავით უჯდა. მის პატარა თვა-  
ლებში შიში და შეშფოთება ჩაბუდებულიყო,  
თითქოს მართლაც ბრძოლის ველზე იყო და  
ვაზნები შემოვლია, მტერი კი მარშით მოი-  
წვედა წინ, საცაა თავს წაადგებოდა. ბრახით  
ანთებულმა ქალმა დოიჩი ჩამოუშვა და პარას-  
კოსთან მიიჭრა, ნაწინაგებში ჩააგლო ხელი და  
მძლავრ აქანა, თითქოს სახინკლე ცოხს ზელსო.  
გოგო გაჯიუტდა, არ დაჰყვია ნებას, ხელი მაგ-  
რად ჩაჰკიდა კასრის სახელურს, მაგრამ კასრი  
გვერდზე გადაბრუნდა, ჯირკლადან ჩამოგორდა,  
მიწაზე დაეცა, ერთი ბლავყანი გააღინა და შუა-  
ზე გასცა. მთელი ჩუმა ბუყბუყით გადმოიღვი-  
რა გარეთ, პარასკოს კაბა დაუსველა...

— თურმე რა ვანცხრობამაი ეს ქალბატონი!  
უყვიროდა დედინაცვლი და კვლავ თმაში ჩაფ-  
რნოდა.

პარასკო თავივით გაუწეულიყო, ტკივილისა-  
გან სახე დამაწკოდა, მაგრამ მაინც არ დგებოდა.

— წაგათრიო შინ და რა დღე გაყაროს მამა-  
შენმა...

პარასკომ ღრიალი მორთო.

— შენ კიდეც არ გნახო ჩვენსას, გაიგე? ამ  
გოგოს თავი გაანებე ის გიჯობს. — აქეთ, განე-  
ვებულ ჯიხუას გადმოსძახა ქალმა.

ჭრუნია შორიანლო გამდგარიყო და დუმლით  
შესტყებოდა მათ ჩხუბს. უხერხულობისაგან  
გამშრალიყო და ხმას ვეღარ იღებდა. უნდოდა,  
რადაც ეთქვა, მაგრამ ენა ვეღარ მოაბრუნა. პა-  
რასკო ისევ ღრიალებდა, კიოდა: — მომეშვი...  
მომეშვი... მომეშვი! — თავიდან იშორებდა დე-  
დინაცვალს.

მალე მეზობლები მოცვიდნენ.

— რა ამბავია, რა მოხდა? — კითხულობდნენ  
ასინი.

ზოგიერთი ამბობდა:  
— აი, ქნოლიც ასეთი უნდა, თორემ დღევანდე-  
ლი გოგონები გარე-გარე სიარულის მეტს არა-  
ფერს აკეთებენ!

ქალმა, როგორც იქნა გოგო წამოაყენა, წინ  
გაიგლო. დასაკლავ ხმოსავით ბლაოდა პარასკო.  
ჩუმაში ამოთხერილს წაწვლით მიერეკებოდნენ

ლაფაროდან. მერე კიდეც ერთხელ გაიბრძოლა,  
წუთით ხელიდან გაუხსლბა ქალს, მკლავებგაშ-  
ლილი ქანიზე გამდგარ ჭრუნისათან გაიქცა, მაგ-  
რამ მაინც წამოეწია, საყურეში ჩააგლო ხელი  
და კვლავ წინ უბიძგა. ჯიხუა ბოძასკრული,  
მხრებნამოყრილი დამდგარიყო ლაფაროს სიღრ-  
მეში და დოულაბაისავით დაელო პირი.

— ასე მოულოდნეა, ახლანდელი გოგონები წინ-  
წალის მეტს არაფერს აკეთებენ, — ქოთქოთებდ-  
ნენ თავისთვის ქალები და პარასკოს დედინა-  
ცვალს ლოცავდნენ.

ჭრუნისა ზურგი მიექცია მათთვის ჩუმად,  
ჩუმად მოსთქვამდა.



ჯიხუას ფიქრებში ჩასთვლიდა. ძილში უცნაუ-  
რი სიხშირით ნახა:

ზღვის სანაპიროზე მიიბიჯებდა. ირგვლივ კა-  
ციის ჰაერზე არ იყო. ვიწრო, უკაცრიელ სანა-  
პიროს ჩრდილოეთიდან ჩამობრუნული, უღრანი  
ტყე ესაზღვრებოდა. ჯიხუა ქვიშიანი სანაპიროს  
ვიწრო ზოლზე მიიბიჯებდა და აბოთქრებულ  
ზღვას გასტყებოდა. ზღვა მოძრავ მთებს ჰგავ-  
და, დუქომოდგარი ღრიალებდა. ხანდახან, თით-  
ქოს უბიძგესო, ტალღად გამოქანდებოდა, დი-  
ქვიხინებდა და ულავივით შეტებოდა, შე-  
ტორტმანდებოდა, ცას გაკრულ შავ ღრუბლებს  
შეასტყებოდა... ჯიხუას ეშინოდა ამ ველური  
ღრიალის. დორბლიანი ულავების ჰიხინი რა-  
ღაც შემზარავად უვლიდა მთელ ხსუელში. და-  
უსრულებლად ხტოდნენ აზვირთებულ ოკეანე-  
ში ავბედითი ულავები და ისტერიულად ჰიხ-  
ვინებდნენ. მერე მიხვდა, რომ ეს ღრიალიცელი,  
მთელი ეს ხმაოთი ზღვის ტირილი იყო. ეს ზღვა  
მოსთქვამდა ასე შემზარავად. ლოყებს იბიჯე-  
და, ცასა და მიწას უამბობდა თავის ვასაქირს.  
ჯიხუას პირველად ესმოდა ზღვის გოდება. „რა  
დარდი აწევს ნეტავი ასეთი? ნუთუ ზღვასაც  
აქვს თავისი სადარბებელი? — ფიქრობდა თავ-  
ისთვის ჯიხუა და მიუყვებოდა სანაპიროს. სა-  
ნაპირო შლამიანი იყო, სველი. ჯიხუას უკან ნა-  
ფეხურები და ხელჯობის ღრმა ნაკვალავი რჩე-  
ბოდა. ხელჯობი ისე ღრმად ჩაიღოდა შლამში,  
ზოგჯერ ამბობოდა უჭირდა. ერთგან, მიწაზე  
ჩახრით დახატული ადამიანის ჩონჩხი შენიშნა.  
ვიღაცას სათუთად გაეგლო ხაზები, სათუთად  
გამოეყვანა თვალის ფოსოები. ჩონჩხი პირით  
ზღვისკენ იყო მიქცეული, ზღვის უსასრულო-  
ბას გასტყებოდა ამორღუნებული თვალთა უბეე-  
ბით... რაღაც უაზროდ და უმადურად გასტყე-  
როდა. ზღვის ტალღები ვეღარ უწყევდნენ ჩონჩ-  
ხამდე, იქვე ახლოს კვდებოდნენ...

„ეინ არის?.. რა უნდა აქ? — გაჰყრა ჯიხუას  
თავში, — არ სცივია? არ სწყურია? არ შია?.. არ  
ენატრება თავისი ზოლოგის კაბინეტი? მოს-

მიგონე ხარკინანი  
დაბრუნება

წავლემბის ცნობისმოყვარე თვლებზე? ვინ მიატოვა შუა გზაში ასე უბატრონოდ? ქარებისა და ხმელის ანაბარა?..“ ჯიხუას რატომაც შეებრალა იგი. „მოდო, წვეწლი და აღარ იქნება აქ, აღარ შესცივა, აღარ დაუოსდება ზღვისკენ ცქერით დღლილი, ამოღრუნტული ფოსობი, აღარ მოშივდება.“ — ჯიხუამ ხელჯობი მოიპარჯა და ჩონჩხის ხაზებს გაუსვ-გამოუსვა, მაგრამ ჩონჩხმა ახლოს არ მიიკარა ხელჯობი, რაჩხუნი დაიწყო და ცივად მოიშორა.

ზღვად უმატა ღრიალს. კვლავ შეახტენ ღრუბლებს ულაცები და მოძრავმა მთებმა ნაბიროსაკეც გამოსწიეს. მთები ათასგვარად იწველებოდნენ, იგრიბებოდნენ და ელვის სისწრაფით მოიწვედნენ მისკენ. წალკეით ემუქრებოდნენ ჯიხუას. ახლავე გაუტეე შენს გზაზე, თორემ ვაი შენს თავსო... მისძახოდნენ. ჯიხუა გაიქცა. შეეშინდა და გაიქცა. სხვა გზა არ ჰქონდა და უღრან ტყეს შეაფარა თავი, ნაპირს რომ გასდევდა მთელს სიგრძეზე. „რატომ გაცოფდა ზღვა?.. მე მინდოდა წამეშალა ჩონჩხი, რომ აღარ შესცივნოდა, არ დაოსებოდა ოკეანისკენ ცქერით ფოსობი...“ ზღვას კი ეწყინა. „რატომ ეწყინა ზღვას?..“ — ვერაფერი გაეგო ჯიხუას — ან იქნებ შემთხვევით ზღვამ გამოირიყა ჩონჩხი ნაპირზე, გამოირიყა და უკან დაბრუნებას ლამობდა? იქნებ სულაც იმ ჩონჩხზე მოსთქვამს ზღვა? და შესაძლოა, შავი ულაცები იმიტომაც გამოიქანენ ნაპირისაკენ ჰიხინი-ჰიხინით, რომ ფოლადის ფლოკებზე ეწვდინათ და უკანვე წარტაცათ ქვიშას მიკრული ჩონჩხი? წარტაცათ და შთაეწოთათ, სამუდამოდ გადაეშალათ ოკეანის იღუმალეობით მოკულ უსასრულობაში? აი, თურმე რატომ ჰიხინებდნენ ულაცები, თურმე რატომ ღრიალებდნენ ველური ღრიალით მოძრავი მთები?..“

ჯიხუა მალე დარწმუნდა თავისი ექვების სისწორეში. შინ რომ ბრუნდებოდა, მართლაც ვედარსად ნახა ჩონჩხი. ზღვას თავისი გეგმეებიანი, უკანვე დაებრუნებინა ნაპირზე შემთხვევით გამოჩევილი ძვლები, დამშვიდებულიყო, მიღწევარებადამცხრალი, გამაძლარი ხარივით გაწოლილიყო და იცოხნებოდა... ცმყოფილი, რომ თავისი საზოგადოებრივი სიდიდულობა, თავისი გაუმადლობის მსხვერპლი — ოდესღაც ადამიანი, ახლა კი ცარიელი ჩონჩხი, აღარ იყო ჯიხუას სანაპიროზე მუხუთის ექსპონატივით გამოფენილი. მან იგი უკან დაიბრუნა უკვე და ამიერიდან ველარაჟინ დაეჭვებოდა მის კაი კაობაში, ველარაჟინ — მთელს ღუნიაზე.

ჯიხუას გამოეფიდა. ეუცნაურა — ზღვის ნაცვლად ჩარჩოში მოჭედილ მამაკაცის პორტრეტს რომ ჰკიდა თვალი. მერვლა მიხვდა, რომ ყველაფერი, რაც წუხელის ნახა, მხოლოდლა სიზმარი იყო. ასეთი გრძელი და უცნაური სიზმარი არასოდეს ენახა. დედამისის ფანერები და ამოღო და ბალიდან ბედურების ყლურტული ისმოდა. ხან-

დახან გზაზე მანქანა ჩაიგრილოებდა, ხანაც ურემი ჩაივილიდა ჭრიალ-ჭრილით. სწრაფად წამოღვა, ტანე ჩაიცივა, პირი დაიბანა, ცოტა წაიხმეს, მერე მოღებრეს დაავლო ხელი და ფიქვის ქვეშ გაიტანა. როცა სამზადისს მორჩა, ჯორკო მიართა მოღებრტან და მუშაობას შეუდგა. თავაულებლად მუშაობდა. აღარაფერი ახსოვდა ამ წუთში, უსგამდა და უსგამდა ფუნეს ტილოზე, თითქმის ზებირად იცოდა წინდაწინ, სად უნდა გაეელო ხაზი, სად რა ფერი დაეელო, რომ ბოტივით მოქმედებდა.

შუალაისათვის თითქმის მოამთავრა ნახატი. საღდაც-საღდაც ფერები მოუმატა — გამუქმა, გააბაცა... კიდევ ერთხელ შეამოწმა შექჩრდილების ჰარმონიული მონაცვლეობა, ურთიერთშეხამება და მერვლა წამოსწია თავი. წაუსტენა და წაუღიონა. ამხანაგების მოსვლამდე სათაურები მიაწერა, ხაზები გადააფარა და გვერდზე მიდგა.

ამხანაგები, შეთანხმებისამებრ, ერთად მოადგინენ კარზე. „სიცილ-კისკისით შემოხვადნენ ეზოში და ფიქვის ხეს მიაშურეს. წინ ნია მოუძლოდათ. იგი, ცოტა არ იყოს, ურცხვად მოაფრალეებდა თავის ჭრელ-ჭრულა, მოკლე კაბას.

— დაამთავრე? დაამთავრე?.. — შორიდან მოსძახობდა ჯიხუას.

— შეგეცოლა ხელში, სირბილით გამოგვაქცუნა ყველანი — ჯიხუამ თუ დაამთავრა იმ ტილოზე მუშაობა, მერე მე უნდა დამხატოსო, — დაიჩიუა კეთვარამ.

— მართლა დაამთავრე? — იკითხა ცუცუქამაც. — ბოლო-ბოლო რა გამოგვიდა?

სხვებზე დაინტერესდნენ. ცმყოფილი ხარ? — იკითხებოდნენ აქეთ-იქიდან.

ცუცუქა პირველი მივიდა მოღებრტან. ფრთხილად მოაშორა გავთვი და სახეგაბლრულმა ამხანაგებისაკენ შემოაბრუნა.

ყველანი განცივდებოდნენ შესცქეროდნენ. ამ წუთში ისინი თვითონაც ნახატებად, სურათებად იქცნენ. ჯიხუა დაკვირვებით შეცქეროდა მათ სახეში. კარგად იცოდა, სიტყვები ნაცვლებად სარწმუნო იყო ამ შემთხვევაში. სახეზე კი უტყუროდ აღიბეჭდებოდა შთაბეჭდილება.

„ამას სხვა ვერაფერს მოიფიქრებდა,“ — ფიქრობდნენ ამხანაგები და თვალი ვერ მოეცილებინათ ტილოსათვის. ტილოზე საღდაცებელი იყო გამოხატული. იგი ფიცარზე იყო შედგმული. გვერდლად დიდგულასკან გამოთილილ შუშუტა მოჩანდა. ცალ მხარეს ბიჭი უჭდა, ორთავე ხელი სახელურში ჩაეელო და თავის მხარეს ჩამოეწვინა. ბიჭს ტიტლიკანა ფეხები სწორად ვანერტობი მიწაზე, აშკარად შეამჩნევდა კაცი — ცალი ფეხი მოკლე ჰქონდა. შორი-ახლოს მიწაში ჩადგმული თონე მოჩანდა. თონეზე ხელჯობი იყო მიყუდებული. საღდაცებელს მეთრე მხარეს აღარაფერს უჭდა... ქვევით კი ლამაზი ასობით ეწერა — „მოდო, ვაბოლაოო...“

ამხანაგები ჯერ ფერთა თამაშმა, საერთო პარ-  
მონიულობამ გაიტაცა, მერე დეტალურ გან-  
ხილვაზე გადავიდნენ. ცუცუქას პირველ მოედ-  
რულბა სახე, მისი დარდი სხეებსაც გადაედოთ.  
გრძელ-მოკლე ფეხები და თონზე მიყუდებულ-  
ლი ხელჯოხი ყველას უსიამოდ ეცა თვალში.

— რაღაც ავლია, — დასკვნა კეყერამ.

— ან იქნებ დამთარებელი არ არის?

„დამთარებელი?“.. შესაძლებელია, აკლია  
რაღაცა და ყველა ალბათ ვერც გაიგებს, მაგრამ  
ამას რა მნიშვნელობა აქვს? ეს სურათი მე ლექ-  
სიგით დავწერე, ისევე, როგორც გალაკტიონ-  
მა — „მერა“ და შესაძლოა სწორედ მისი გავ-  
ლენითაც, მაგრამ მე ხომ მის გამოქვეყნებას არ  
ვაპირებ? იგი ჩემი უბის წიგნაყის საიდუმლო  
ლექსია,“ — ფიქრობდა თავისთვის ჯიხუა.

— ეს ხელჯოხიც რომ მათაშორო, კომბალი  
რომ იყოს, კიდევ, ჰო...

— საერთოდ დიდებულია...

— აი ის ხაზი, მართლაც შეუშტა ყოფილა,  
— დაიკრიჭა ნია.

— ხომ მივხვდი მაშინვე! — თავი გამოიღო  
ცუცუქამ.

— შენ, ლეროო, მეტი არაფერი გითქვამს.

— ღეროში შეუშტა ვივლისსმე, ბამბუკის  
ღეროა-მეთქი, რომ ეთქვი.

— დიდი რამე გამოიცანი შენც, — ბანზე  
აუგლო კეყერამ.

— ჩემი რიგი არ მოვიდა? — კვლავ შეახსენ-  
და თავი ნიამ ჯიხუსა, — აქ დავჯდმე? აქ თუ  
აქა? ან იქნებ მოლზე წამოვწვი?

— ყველაზე საინტრესო მოლზე გაშხლარ-  
თული გამოხვალ...

— ცუცუქა, ლაზღანდარობის დროა ახლა? მე  
სერიოზულად ვეკითხები...

— ვაშლის ტოტზე ჩამოვიკიდე, ანდა აცოც-  
დი და ისე დაგხატავს, — საუბარში ჩაერია კე-  
ყერა.

— როგორც გირჩევნია, — უთხრა ჯიხუამ.

— მოლზე წამოვწვიები, კარგი?

— წამოწვი.

ნიამ ადგილი შეარჩია და წამოწვა.

„რისი თქმა სურდა?“ — მხრები აიჩინა ცუ-  
ცუქამ და კიდევ ერთხელ დააქტვრდა სურათს.  
ჯიხუამ გვერდზე შეაბრუნა ტილო და გა-  
ზეთი გადაადარა.

— ბალახი რომ ეწიწვნო, შეიძლება? —  
იკითხა ნიამ.

— მოძრავი არ გამოვიდეს, მოიცა, — გა-  
ლახარხარეს ამხანაგებმა.

— წიწნე, რამდენიც გენებოს, — უთხრა  
ჯიხუამ და მოლბერტზე ახალი ტილო გადაა-  
კრა.

ამ დროს მანქანის საყვირის ხმა მოისმა.  
მოსახვევიდან ცისფერი ვოლგა გამოსრიალდა  
და ნელა ამოუყვავა ზევითყენ. ვოლგის გამოჩე-  
ნამ ამხანაგებში რაღაც ჩოჩქოლი გამოიწვია.

— ისინი, ისინი — თქვა ცუცუქამ.

— მოდი, დავუძახოთ... — წამოიძახა კეე-  
რამ.

— ერთხმად დავუძახოთ, — დემოწმნენ  
სხვები.

— ერთი... ორი და... სამი...

— კაცრიეელ, პარასკოო!!! — დაიძახა ყვე-  
ლამ ერთხმად.

ჯიხუსა ტყეისავეთ მოხვდა მათი ხმა. ისეთი  
გრძნობა დაეუფლა, თითქოს ორ ნაწილად გაი-  
ხლიჩათ. მერე ეს ნაწილები შეერთდა, შეხორც-  
და, ერთი მთლიანი ვახდა. ჯიხუა გონს მოე-  
გო და ღრმად ამოისუნთქა. „რა მოვდის? გა-  
ნა რა მოხდა ისეთი?“ — ჩისძახა ვილაძემ.

მანქანა შეჩერდა. მერე კარი გაიღო. ვილაძე  
მალალი, აყლაყუდა ბიჭი გადმოვიდა, ირგვლივ  
შემოუარა „ვოლგას“, კარი გამოაღო და ახლა-  
გოგო გადმოიყვანა. „რამხელა ვაზარდილა... კაც-  
რიელი... კაცრიელი... რამხელა ვაზარდილა...“  
მერე ორთავენი ეზოში შემოვიდნენ.

— როგორც იქნა, ჩავივდეთ ხელში... —  
გაეხუმრა მათ კეყერა. — კიდევ ორი გვეკლი-  
თორემ მთელი კლასი აქ ვიქნებოდით...

მერე ვილაძე გაუთავებელი მისაღმებები, მი-  
კითხ-მოკითხვები.

ჯიხუა შეტბუნდა: სულ სხვანაირად ჰყავდა  
პარასკო წარმოდგენილი. მხიარული, პირმო-  
ცინარი, სისხლისფერი ტუჩებით. მაგრამ არა-  
ფერი ამისი მსგავსი, ფუფუნება და ცისფერი  
„ვოლგით“ რონინი პირუტყ მოხდომოდა. ტუ-  
ჩის კუთხეებთან მოკლე ნაკეცი დამჩნეოდა.  
თვალეში ის ძველი, ვნებისა და სიცოცხლის  
სხივი აღარ უკიაფოდა, გაფერქრთალეუბ-  
ლიყო, ვაზდარდყო, თითქოს დიდი სევდა რამ  
აწვა და დღენიადავ გუნებას უშხამაედა. „რამ  
შეცვალა ასე? რამ ჩაუქრო ვნებიანი თვალე-  
ბი? სად გაუქრა ის ძველი ყინი და სიჭიფტე?  
რატომ არ კისკიებს ბეჭეტი ალტყინებით?“

მერე ცუცუქას გადახვდა ჯიხუამ. ცუცუქამ  
ხელი ჩამოართვა პარასკოს და თვალი გამოა-  
ყოლა. ჯიხუსა შეეშინდა — არ ამოეცნო ცნო-  
ბისმოყვარე ვოგოს პარასკოს გამოხედვაში  
„მწყემსი ვოგოს“ თვალები. მაგრამ მერე დარ-  
წმუნდა, რომ მისი შიში უსაფუძვლო იყო. ეს  
თვალეები თითქმის არაფრით არ ჰკავდა პარას-  
კოს აელვარებულ თვალებს.

ჯიხუსათან კაცრიელი მივიდა და ხელი ჩა-  
მოართვა. კაცრიელს მსხვილი, დონდლო თითე-  
ბი ჰქონდა. ზევიდან დასცქეროდა. ჯიხუსა მოე-  
ჩვენა, თითქოს კაცრიელმა „ხეხელა“ უწოდა.  
„როგორა ხარ, ხეხელა...“ — ასე მოიკითხა.  
ჯიხუა მასთან შედარებით მართლაც ხეხელა-  
იყო. ბოლოს მან და პარასკომაც მოიკითხეს ერ-  
თმანეთი. პარასკოს მოთენილი ხელი ჩვარი-

**მიროს ხარკიანი**  
დაბრუნება

ვით ერბილა ჭიხუას, უცხად შეუშვა თითები, გაბედნიერება მიუღოცა.

— გმადლობთ, — რაღაც ირონიული სიცილით ვაუტრთა ტუჩებზე პარასკოს. ხმა ლამის უღროდ ჩაუწყდა.

— დღეს ყველამ მე უნდა შემომშალოს ხელი, — წამოიძახა მოლზე გამხლართულმა ნიამ, — მორჩით ბაზარს, რა მოვივიდით, ერთი საათია ნიანგვიით ვიტყვარტყები, დააცალეთ რა, ტილოზე ვადამიტანოს...

— უმჯობესია, ფეხზე წამოდგე, ნიანგობა მაინც ადარ მოგიწევს, — ურჩია სიცილით ცუცუქამ.

— არა, არა, არა, თქვენს ჭინაზე, ფეხს არ მოვიცვლი აქედან.

— არ მოიცვლი და იყავი...

— ახალი ნამუშევარი არ გინახავთ? — გაახსენდა უცხად კეყერას. კაცრიელსა და პარასკოს ხელი გამოსდო და ხეზე მიყუდებულ, გაზეთადაფარებულ ტილოსაკენ გაუძღვა. ტილო მათეკენ შემოატრიალა და გაზეთი შეახსნა, — ნახეთ და დატყბით!

კაცრიელს სახე გაუბადრა.

ჭიხუას უნდოდა კეყერასთვის დაეძახა, — თავი გაანებე იმ სურათსო, მაგრამ უკვე გვიან იყო. თანაც ხმა ჩაუწყდა, ზაფხადაცემული კანკალმა აიტანა. მასავით კანკალებდა პარასკოც. გრძნობდა ჭიხუა, როგორ კანკალებდა გოგო. მთელი სხეული უთრთოდა. მისკენ ზურგი იდგა, მაგრამ უკვე იცოდა, პარასკოს ცრემლით ჰქონდა სახე თვალები. არც შემცდარა. ყველას გასაოცრად გოგოს ტირილი აუვარდა. ეს იყო დედის გადევნებული ბავშვის ტირილით სულში ჩამწვდომი მოთქმა. პარასკო შესტყროდა ნახატს და თანდათან უმატებდა ხმას. შერე აღრიალდა. ყველანი გაოცებულნი შესტყროდნენ. ნიამაც ინება ფეხზე წამოდგომა. კაცრიელსაც ვერაფერი გაეგო. ჯერ გაოგნებული იდგა პარასკოს გვერდით, მერე ბეჭებზე ხელი შემოხვია და დამწვიდება სცადა. მაგრამ პარასკოს აღარაფერი ესმოდა.

ეზოში მეზობლებმა მოიყარეს თავი.

— რა მოხდა? — კითხულობდნენ ისინი.

— არაფერ არ იძლეოდა პასუხს.

პარასკომ უხეშად მოიშორა კაცრიელის ხელები, ამხანაგებისაკენ შემოტრიალდა და თითქოს შველს იხოხოსო, ცრემლად დაიღვარა, ცარიელ ხმად იქცა. პირისუფალივით მწარედ მოსთქვამდა.

ამასობაში კი ეზო ხალხით გაივსო.

ცუცუქა, კეყერა და სხვები შემოეხვივნენ ატირებულს. ამწვიდებდნენ, მაგრამ ამოგმანული ჰქონდა ყურები პარასკოს, აღარაფერი ესმოდა.

„აი, ის თვალები, ღმერთო ჩემო, „მწყემსი გოგონას“ თვალები, როგორ ვერ მიგხვდი

აქამდე!“ — გაოცებული იყო თავისი აღმოჩენით ცუცუქა.

„წმინდანის ფრესკა... კირწასმული წმინდანის ფრესკა...“ — ფიქრის უნარი წართმეოდა ჭიხუას და აზრადაცილი მიმტერებოდა ამხანაგ-მეზობლებს.

საიდანაც ჭრუნიაც გამოჩნდა. ამდენი ხალხი რომ დაინახა თავის ეზოში, ლამის გული წაუვიდა, ფერი დაკარგა. დაფეთებული შემოვარდა და მოზღვაებული ხალხი გაარღვია.

— რა მოხდა? რა იყო? — შეშინებული კითხულობდა.

— არაფერი, ქალო, არაფერი ისეთი...

პარასკომ თვალი რომ ჰკიდა ჭრუნისა, ამხანაგებს დაუძვრა და მისკენ გაიქცა. ხელები წინ გაიწვინდა, თითქოს ეუბნებოდა, დედი, ხელში ამიყვანეო და სლუქუნით გარბოდა მისკენ.

ჭრუნია ხელი მოჰხვია გოგოს, მკერდში ჩაიკრა, თავზე გადაუსვა დაკოყრილი თითები. უხმოდ ეალერსებოდა, აღარაფერს ამბობდა, თავისთვის ჩიფჩიფებდა ვაუტებრად რალაცას. გოგომ კისერზე შემოაქვო ხელები და გულამოძვარი მოთქვამდა.

ხალხი ჩოჩოლებდა, ყაყანებდა.

კაცრიელი კვინიხვით დარტობილიყო ვაშლის ძირას. უხერხულად აეწურა მხრები და მიწას ჩაშტერებოდა.

ნიას სერიოზული სახე ჰქონდა. ლოყებმეფაკლული შესტყროდა თანასოფელთ და რაღაც უხერხულად გრძნობდა თავს, წამდაუწუმ დაბლა ექაჩებოდა კბას.

„მწყემსი გოგონას თვალები... აი თურმე რა ყოფილა, რამდენი ვილაყბე წუხელის, ტყემალზე კი ვმჯღადარ.“ — ცუცუქა ხან „სადღებებს“ გადახედავდა, ხან იქვე ატუხულ კაცრიელს, ხანაც ჭიხუას და ჭრუნისა ჩახტუტულ პარასკოს შეავლებდა თვალს. „მე კი ტყემალზე ვმჯღადარ.“

ჭიხუამ ყუთში ჩაალავა ტყვიის ტუბიკები, ფუნჯები, სურათი გაზეთში შეახვია, ილიაში, ამოიჩარა, მეორე ხელში ხელჯოხი და საღებავების ყუთი დაიჭირა და კოჭლობით გავიდა ეზოდან.

— ჭიხუა, ჭიხუა! — გაედევნა უკან ნია და მკლავში ჩააფრინდა, — სად მიდიხარ?..

ჭიხუა უხმოდ ვანაგრძობდა გზას. აღარაფრის თავი აღარა ჰქონდა. გულის ბაგაბუფა უერთამყენას უხშობდა. უნდა წასულიყო აქედან, უნდა გაელოდა ამ ვაი-ვიშსა და მოთქმას. წუხანდელი, ნაპირზე გამორიყული სიზმრეული ჩონჩხივით თავის დედა ზღვას უნდა დაბრუნებოდა. მხოლოდ აქ თუ ჰპოვებდა სულიერ შეგებას. ზღვა მთებდა აზვირთებულყოფი და იღუმალი ხმით მოუხმობდა. მოუხმობდა, რათა სამუდამოდ მოეთქვა თავის ზვირთებში და თითქოს არცა ყოფილა რაო, ამოგმანული სამა-

ლავ-სახუნდარი მიეჩინა. ჯიხუა მიდიოდა ზღვის  
შესაგებებლად. ასე იყო საჭირო და...

მერე გზაზე გაექცა მზერა — მოეჩვენა,  
თითქოს ძველსძველი, დამსკლარი, მოცვეთილი  
მანქანის საბურავი მოგორავდა ქუჩაში. ჯიხუამ  
მზერა დაძაბა და კარგად გაარჩია. საბურავი კი  
არა, ზემოტუნელი მოხუცი თომა მოჩანჩალებ-  
და გზაზე. იგი კიდეც უფრო მოდუნულიყო, ვა-  
ზის გადაწვენილი ტოტოვით ჩაზრდილი მიწას,  
თითქოს ქვეყნენლისაკენ იცქირებო. ჯიხუას  
რომ დაუპირისპირდა, ერთი ქათამივით მოატ-  
რიალა თავი, ქვემოდან მოაბჯინა საოცრად  
მკვირცხლი თვალები და სალამი უთხრა.

— გამარჯობა, ბაბუა თომა... როგორ გიკით-  
ხოთ...

თომამ გზა განაგრძო. ჯიხუა ერთხანს კი-  
დედ გასცქეროდა მოხუცს, მერე შეტრიალდა  
და დაბლა დაუყვა. მეხსიერებაში ერთი შორეუ-  
ლი ზამთარი ამოტივტივდა. ჯიხუა და პარასკო  
კიშკართან ატუხულებდნენ და შლაპიან კაცს  
ადევნებულ ბიჭს დასცინოდნენ. გაახსენდა,  
როგორ მივიდა მათთან მოხუცი თომა და გა-  
კიცხა, — როგორ ფიქრობთ, „შუშუტა“ კარგი  
რამეა, რომ ეძახითო? და იმის დასადასტუ-  
რებლად რომ სხვას არ უნდა დასცინოს კაცმა,  
თავისი ცხოვრებიდან ზოგიერთი რამ მოუყვა.  
მოუყვა, მაგრამ მერე რა?.. ვინ იღო ყურად  
მოხუცის სიტყვები? ისინი ქარმა წაიღო და  
წაიტაცა...

მერე გუშინწინდელი ამბავი გაახსენდა. ბაღში  
ბუხი რომ ამოიგანგლა ზეთის საღებავში, გაფ-  
რენას ლამობდა, მაგრამ ვეღარ ახერხებდა. მე-

ზობლის ბავშვმა კი გონებაამახვილურად შე-  
ნიშნა:

— ერთხელ რომ ამოიგანგლება, მერე ვეღარ  
იფრენს...

იგი ამ წუთას სწორედ იმ საცოდავი ბუხი-  
ვით იყო ამოგანგლული, იმ საცოდავი ბუხი-  
ვით იჭაკებოდა, იჭაჩებოდა, იწყოდა საღდაც...  
თვითონაც არ იცოდა — საღ. არ იცოდა, შეძ-  
ლებდა გაქცევისა, გარდახვეწას?..

ნია უხმოდ, მორჩილად მიჰყვებოდა უკან.  
ავტობუსების სადგურში ბილეთები აიღეს და  
მანქანაში ჩასხდნენ.

— შენ აქ რა გინდა? — გამოერკვა ფიქრე-  
ბიდან ჯიხუა. გოგო მის გვერდით იჯდა, ხელ-  
კავი გაეყარა და მხარზე მიკეროდა.

ნიამ აღარაფერი უპასუხა, არც უკითხავს,  
საით მიდიოდნენ, რატომ მიდიოდნენ, კიდეც  
უფრო აეკრო მხარზე და თვალები მილულა.

ავტობუსი ხალხით გაიჭედა. სულ ბოლოს  
მძლოლი ამოვიდა მანქანაზე. როგორც იქნა,  
ჩართო ძრავა, და ადგილიდან დაძრა. მაღე  
უკან დარჩა მშობლიური სოფელი. თიანეთის  
აღმართებზე აუყვანენ, ჩეკურაანთ გორი უკან  
მოიტოვეს და ერწოს ღარში ჩაეშენენ. მგზავ-  
რები მხიარულად ლაზღანდარობდნენ, იცინოდ-  
ნენ. დრო გაჰყავდათ. ისინი კი უხმოდ ისხდნებ,  
ნიას თვალები მიეღულა და საღდაც ბურანში  
დაფარფატებდა. ბიჭი თავის საფიქრალს ფიქ-  
რობდა:

ცის მუქ პორიზონტზე ყალყზე შემდგარი,  
ფაფარაყრილი რაშები გამოჩნდნენ. საღდაც  
შორიდან მოისმოდა სანაპიროდან გამჭრალი  
ძვლებიან რაჩხენი. და ღმუღოდა ზღვა.





ცხენის ფეხის ხმა ჩამომესმა გზაზე გვიანი,  
წვიმის ფუსფუსი მომენატრა მძინარ ფოთლებზე.  
შენი ღიმილი მომელანდა სანდომიანი,  
როგორც სხაგების გადაფრქვევა მწვანე კორდებზე.

ალვის ხის ლანდი მენატრება, მზე როცა ჩადის,  
მთვარიან ღამით რომ მისდევენ მთვარის შუქს ძნები,  
ან სიჩუმეში აივანზე თუ ვინმე დადის,  
ან ერთგულებით გაგუდული შუადღის ხმები.

ამ საყვარულით დასუსხული ხეხილი ვკრიფე,  
ახლა მწყურია, ჭის ან წყაროს წყალი დამისხით,  
ის თეთრი კიბე მაგონდება, ქვის თეთრი კიბე,  
შემობურული მომცინარი იასამნის ხით.

მღვრიე წყალიდან რომ შემხედავს მთვრალივით მთვარე,  
მე შენი სუნთქვის ნაწილი ვარ, მშობელო მხარე!



შენს კალთას მიწის სურნელი უდის,  
მკერდს — აფეთქებულ აპრილის, კვირტის,  
შეინდე მონა სურვილის მრუდის,  
თუ სალოცავად წარსულში მადის.

ასე გიგონებ ღიმილმორეულს,  
მიყვარდა შენი ნამის დაშრობა,  
და აღტაცებას, ახლა შორეულს,  
მოუწყინარი ერქვა ბავშვობა.

თვალეში გენტო ფიჩხის კოცონი,  
და გემტვრეოდა სუსტი რტოები,  
იმდროინდელი გაოცებისგან,  
ახლაც კანკალებს ქუთუთოები.

ჩემი ბავშვობის უტკბილეს სიზმარს,  
გეპოტინები და ხელს ვერ გკიდებ.  
თვალეებს დავხუჭავ და დამესიზმრე,  
ისეთნაირი კიდევ და კიდევ.

მთები, რომლებსაც ბინდი ევლება,  
 და თეთრ კიბეს კი შენი ვერხვები,  
 აჩქარებული მატარებლიდან  
 მიტოვებული ფიქრით გეხები.  
 ბნელი, რომელიც შუქით გაიპო,  
 სინათლე თითქოს ნაცნობ ბაქნების.  
 და ღამემ ნელა როცა წაიღო,  
 მომხიბლაობა უცნობ საგნების.  
 იჭრება დიდი სიჩუმის ჩქერი,  
 იღვრება, როგორც ნიავის ტალღა,  
 ფუსფუსებს ყველა ბალახის ღერი  
 და უძირო ცა ციმციმებს მაღლა.  
 დიღო სიჩუმე, შენს დიად ლოდინს  
 ვინახავ ისე, ვით მარცვალს ხნულში,  
 გულის წასვლამდე ნათელი მოდის  
 და შეუმჩნევლად იღვრება სულში.  
 და თითქოს ქარი ხურავს დარბებს,  
 ისე მოგადა მთების ხმაური,  
 ვერხვების შრიალს ხსოვნა ალაგებს,  
 გამთენიისას შენ რომ ჩაუვლი.



## სამუშაო!

ორმოც ასწლეულს ითვლის მერქანი,  
რომელიც მკერდში გაქვს ჩახვეული,  
დღეს არ გჭირდება ფარად ბევთარი,  
დაძარღვეული გაქვს მთელი სხეული.

გამჭრალა წლები წარღვნის და სეტყვის,  
დღეებს ეხვევი უკვდავ ვენახად  
და ლოცვასავით ჩურჩულში გეტყვი:  
— გესურდა შენი მზე მზესთან გვენახა.

თებერვლის სუნთქვამ გაგამაისა,  
ფრთები გიბოძა მომავლის რწმენით, —  
თვალთა სინათლე,  
ორთავ თვალისა,  
რა ფერადებით წინ მიიწვევი.

გადარჩენილთათვის იარებს,  
მუხავ, ფოლადო,  
მუხავ, ძლიერო! —  
დღეს შენი სული დროშად ბრიალებს,  
საამაყოფ და საბედნიეროდ!

## ჩემი მამულის ყანა

შენთვის ტაძარი ვაგე,  
შენთვის სანთელი მენტო, --  
მლაღადებელო ბაგე,  
ყანაო, ჩემო ღმერთო.  
ჩემო მხსნელო და სუნთქვავე,  
ხნულში ჩუქურთმისმჭრელო,  
წყაროს ჩქერივით სუფთავე,  
კვლავ განათე მზეო,  
გზები, სავალი გზები,  
შენ გაგვინათე ასე,  
ჩვენი მომავლის ფრთები!  
ისევე ბაბინებს ყანა,  
აშორდა მძიმე ხვედრი,  
ის დღემდე მოიყვანა  
ძალამ გუთნის და... მხედრის.  
...გაქრა მიმწუხრის ბინდი,  
ყანა შრიალებს ჩემი, —

სამშობლო მზისკენ მიდის,  
წარღვანანახი გემი.  
სპობდნენ და...  
ველარ მოსპეს,  
ესმოდა ტკბილა ნანა, —  
ყანა ეძახის მომკელს,  
ჩემი მამულის ყანა!

## გაგაფსული და ქალიშვილი

ველზე კისკისით გარბოდა ცირა  
გზა-გზა ფანტავდა მინდვრის ყვაფილებს  
და ჰგავდა აგი საოცარ სიზმარს,  
აპრილის ხმებით ტოტებდახუნძულს.  
და... მას ჩქერივით მიაქანებდა  
გაურკვეველი სურვილის ფრთები.  
მაღალი ჩრდილი მიწას გართხმული,  
იყო ლბილი და ჰაეროვანი.  
გახვეულაყო სხივთა მარმამში  
და მზეც მოსდევდა თავგამეტებით,  
რომლის გაშლილ და ოქროსფერ თმაზე  
ვნებით არწევდა აპრილი სხეულს.  
...ცირა, კისკისით გარბოდა ველზე  
და აოცებდა კვირტების სკდომა.  
ის კი გარბოდა და არ იცოდა,  
სად გარბოდა და რატომ გარბოდა, —  
ხოლო უბიდან მას აშინებდა,  
ნელი ფაჩუნი თოთო კვირტების.





### საღვ. კვლიათი

## ქარაჯალი დონჟუანი

არ ვიცი რით აიხსნება: ზოგჯერ აღამიანები პირველი შეხვედრისთანავე ისე დაახლოვდებიან, იმდენ საერთოს იპოვიან, რომ განუყრელი მეგობრები ხდებიან. ზოგჯერ კი კიდეც იცნობენ, ზშირადაც ხვედებიან სხვადასხვა საქმის ვაშო, მაგრამ რატომღაც ერიდებიან ერთმანეთს, ქუჩაში შემთხვევით შეხვედრისას უცნობეებით ჩაივლიან. ასეთი ანაზღუელი მეგობრობაც გაუგებარია და გულგრილობაც. ამის ახსნას ცდილობენ შინაგანი ლტოლვით ან ანთიპათიით, მას უკავშირებენ მაგნეტიზმს ან სხვადასხვა ფსიქოლოგიურ ფაქტორს. ვისაც სულთა გადასახლევისა სჭერა, უფრო შორს მიდის და ამბობს: ეს აღამიანები თავის წინამდელ ცხოვრებაში მეგობრობდნენ ან მტრობდნენ ერთმანეთს და სწორედ ეს ადრინდელი დამოკიდებულება განსაზღვრავს მათ დღევანდელ ურთიერთობასო. ეს ჰიპოთეზები ახალს არაფერს ამბობენ—პრობლემა ვადაუჭრელი რჩება. უეცარი ურთიერთსწრაფვა ან ანტიპათია არ არის უკავშირებული არც ფსიქოლოგიურ ფაქტორთან და არც აღამიანის ფიზიკურ თვისებებთან.

ერთი საოცარი ამბავი შემთხვავა: ახალი წლის წინაღამე იყო. ტრადიციული, გაუთავებელი და მომქანცველი მისვლა-მოსვლის თავიდან ასაცილებლად გადავწყვიტე, დღესასწაულის დღეები საღამე მყუდრო ადგილას გამეტარებინა. ბევრი ფიქრის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიღე, რომ შორს წასვლა არ ღირდა, მით უმეტეს, არც დრო მქონდა იმდენი და არჩევანი ქერაჯზე შევჩაერე.

საშვი რომ ავიღე, უკვე საღამო იყო, კაფე „ჩაღე“-ში შევედი, გავაბოლე; რძთან ყავას შევემტეოდი და ხალხს ვათვალთვარებდი. შევამ-

ჩნე ვიღაც ჩასუქებული კაცი შორიდან მომესალმა და ჩემი მაგიდისაკენ წამოვიდა. როცა დავუკვირდი, ვიციანი ჰასან შაბგარდი — თ წელზე მეტი იყო, არ მენახა.

საოცარია: დროთა განმავლობაში ზოგიერთი ძალიან იცვლება, ზოგზე კი დრო სულაც არ მოქმედებს. ჰასანიც ასეთ აღამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა. ისეთივე ბავშვური, მომლიმარი და მიაშიტი სახე ჰქონდა, მხოლოდ შის ჩაცმულობას და მისხრამოხრას რაღაც ნაძალადეობა ეტყობოდა: ალბათ მეტი შთაბეჭდილების მოხდენა თუ სურდა.

თვითონ გამახსენა, თორემ აღარც გვარი მახსოვდა მისი; სკოლაში ჰასან ხანს ექვახდით. სკოლის ეზოში მოთამაშე ბავშვებში უხალისოდ იდგა ხოლმე, გაყვითლებული, ჩამომხმარი ჰასანი. ჩაცმა-დახურვას ყურადღებას არ აქცევდა, მუდამ გახსნილი საყელო და მტვრიანი ფეხსაცმელი ჰქონდა, რაც კარგად ეხამებოდა მის უსიცოცხლო გარეგნობას. ჰასანი წონასწორობას ადვილად ჰკარგავდა, მაგრამ სწრაფად მშვიდდებოდა; ამიტომაც იქცა ჩვენს ყაჩაღანა ამხანაგების გართობისა და წვალების ობიექტად — რატომღაც მას „მეყურტნე“ შეარქვეს.

ახლოს არ ვიკარებდი, თითქოს ჩვენს შორის რაღაც იღუმალი უთანხმოება არსებობდა. ახლა კი, ასე შინაურთულად რომ მოვიდა ჩემს მაგიდასთან, მართალი ვითხრათ. გამიხარდა კიდეც — ალბათ დრომ თავისი გაიტანა და ეს აუხსნელი ანტიპათიაჟ გამიქრა. ჰასანი შეცვლილიყო, მოსუქებულიყო, ხალისი და სითამაშე მომატებოდა.

დაჯდომისთანავე იხმო ოფიციალტი და არაკი შეუკეთა. ჰიქას ჰიქაზე ცლიდა და მალე კარგ



ხასიათზე დადგა. გრძნობების ამყოლი და ავხორცი ქასანი თავის ასაკზე უფრო ხნიერად გამოიყურებოდა. ცხოვრებაზე გული გასტეხოდა, რაზეც ტუჩის კუთხეში გაჩენილი ღრმა ნაკბები მტყუყველებდა. მათკება მისი ვაძლიერებელი ინტერესი საყუთარი თავისადმი — ყოველ წამს სარკეში იხედებოდა, ჰალსტუხს ისწორებდა. რაც უფრო ეკიდებოდა სასმელი, მით უფრო ბავყუერ, მიამბრ გამომეტყუყველებას იღებდა.

ბოლო ყოველგვარი შესავლის გარეშე მითხრა: დიდხანია, რაც ერთი ცნობილი მსახიობი ქალი შემყყვარდა, ევროპულ ყვიდაზე აღზრდილი, ვაღენიანი ნაცნობობა ჰყავს და საკმარე მდიდარიცაო, მერე რამდენჯერმე გამიმყორა:

— ერთი წელი შორიდან ვებრფოდი, დაახლოებას ვერ ვებდადი; ამას წინათ შემთხვევა მომეცა და გავიქანი.

გყვითხე: დროებით ხარ გრატაცებული, თუ სერიოზულად ფიქრობ რამეს-მეთი.

— თუ დამთანხმდა, ცოლად მინდა შევიერთო. ერთი რამ მბრყოლებს, ძალიან დიდი ხარჯი მაქვს. თითოეული შეხვედრა კაფეში ათი-ათუთმეტი თუმანი მიჭდება, მაგრამ ქვის კავხეთქავა და ფულს ვიშოვი, ამ ქალისათვის არც ბოროტმოქმედების ჩაღენას მოვერიდები. მთავარი სიყვარულია! პირობა უნდა ჩამოვართვა, შეიცვალოს ცხოვრება. ამას წინათ შინ მყავდა, დედა გავაცანი. დედაჩემის თხოვნაზე ჩვენთან დარჩენილიყო საცხოვრებლად, უპასუხა, მტერს არ ვესურვებ ამ თთხ კედელში გამომყყუდევისო. ყოველთვიურად 250 თუმანი პანსიონისათვის და 250 თუმანი რესტორნებსა და დანსინგებში მხარჯება. ხეალ სიღამოს აქ შემოაარე და ვავაცნობ.

— ხეალ სიღამოს მე ქერეჯში ვიქნები.

— რას უნებნები? ახალ წელს ქერეჯში უნდა შეხვდე? თუ მარტო აპირებ წასვლას, ჩვენი წამოსვლით, მგონი, არაფერი დამავდება. ხარჯი ნაკლები იქნება და მოგზაურობაში უფრო ახლო ვავიციობთ ერთმანეთს.

— ურიგოდ არ მჩვენება, მაგრამ საშვისა რა ვქნათ?

— ეგ ნუ გაფიქრებს. ასკერ მინც მიმგზავრია საშვის გარეშე. როლის აპირებ წასვლას?

— ხეალ, დილის 9 საათზე ყავინის კიშკრიდან ვავუდგები გზას.

— მეც ამ დროისთვის მოვალ. ზუსტად ცხრაზე ვავემგზავროთ. ახლა წავალ, ვავაფრთხილებ, თადარიგი დაიქირაოს.

გამარცა მისმა მოულოდენლმა გულწრფელობამ და ყალბმა პათოსმა. ბოლოს იმ ვადაწყვეტილებით დავშორდი ერთმანეთს, რომ მეორე დილით აღრიანად ვხას ვავდგომოდით.

დილით, ზუსტად ცხრა საათზე, ჰასანი თავის სატრფოსთან ერთად გამოცხადდა. ლამაზი ქალი იყო. ისეთი, წიგნებში რომ ხატავენ ხოლმე:

თხელი, პატარა ტანისა, წამყამები მოხატული ტუჩები და ფრჩხილები წითლად შეღებილი. პარიზის უკანსკენლ მოდაზე ჩაცმული, ბრილიანტის ბეჭდით თითდამყვენებული. ისე იყო გამოწყობილი, თითქმის წვეულებაზე მოსულიყო. ძველი ფორდი რომ დაინახა, საშინლად ვანრისხდა: „მე მეგონა საყუთარი მანქანა ვავედათ! ნაქირაებ მანქანაში არც კი ვმჭდარვარ“. ბოლოსდაბოლოს ჩავსხელით და მანქანამაც ქვერჯისაკენ აიღო გუზი. ჰასანი მართალი ვამოდგა — საშვი არ მოუთხოვიათ. სასტუმრო „ახალ საუყუენში“ დავინავდით. საკმოდ გრილოდა. სასტუმროს გარეშე, ბაღში, მადლი აღვის ხეები შრიალებდა. მოგრობ იენის ვასწვრივ თეთრი ოთახები იყო ჩამწყრიბებული. ეს ოთახები ისე ჰვავდნენ ერთმანეთს, თითქმის ახლა ჩამოვიდნენ ფორდის ქარხნის კონვეიერიდანო. ყოველ ოთახში სარკე იღვა და საექვო ფერის ვადასაფარებლებით ვაყუყობილი სამი ხის საწოლი. ალბათ ისინი დროებით მობინადრებინათის იყო ვანკუთენილი. აქ დიდხანს მარტო ვერავინ ვაძლებდა. აიენიდან ლურჯი მთავრეხილი ჩანდა. ზამთრის სუსხს ვადარჩენილი, თვალდაქვეტილი, ამბრტყელი ბელურები ვახუხულის სურნელებს დაეთრო, აღვის ხის ტოტებზე დანავარდობდნენ, სახლის კარებზე, სახურავებზე სხდებოდნენ, კიკიკებდნენ; ისეთი კრიამული აეტეხათ, რომ ყურთასმენა აღარ ეყო. ყოველივე ეს სოფლურ იერს აძლევდა სასტუმროსა და მის შემოვარენს.

როგორც კი დავბინავდით, სახელდახელოდ ჩამოვიცილო მტერე და აიენზე ვამოვედი. ჰასანისა და მისი სატრფოს მოლოდინში ბოლოს ევემდი. უცებ შევამჩნიე, რომ აიენის ბოლოში კაცი იღვა და რალაცას მანიშნებდა, როცა მომახლოვდა, კაცი ვაფე „ფარავნის“ ახალგაზრდა, მუდმივი სტუმარი ვიქანი. თანამეინახენი მას ხუმრობით დონეუანს ეახდნენ. ეს დარდიმანდი ახალგაზრდა ახლად გამომცხვარი მოხელე იყო. ნაცროსფერი ჰიჯაყ და ჩარლსტონის ფარეო შარვლი ეცვა. ასეთი შარვლები ექვსი წლის წინათ იყო მოდაში. თმა ბრილიანტინით ჰქონდა ვაზინთული, მანიკურიან თითზე კი ყალბი ალმასის ბეჭედი ეკეთა. ვამომელაპარავა. ვილაყ სომხის ქალს ჩამოჰყოლოდა, სამი დღე ქერეჯში ვავტარებინა. ახლა კი ის ქალი თერანს ვამგზავრებელიყო და საღამოს თეთონაც აპირებდა წასვლას. ამ დროს ფარშავანგივით ვაფხორილი ჰასანი და მისი ხანში მოვიდნენ. მე დონეუანი წარვუდგინე მათ. შემდეგ ერთად შევედით სასაიდლოში და მავიდას შემოყუსხედით. როგორც ჩანს, ჰასანი და მისი სატრფო მოგზაურობით კმაყოფილები იყენენ. ხანუშმა ჰასანს მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— ჩვენ შორის რალაც შინავანი სწრაფავა.

**სადამე ჰედაიტი**  
**ქირეჯელი დონეუანი**

დამაიწყდა მეთქვა: ჰასანი და ჩემი ძმა ვაჟ-  
როლი ვაშლით ჰგავდნენ ერთმანეთს, ჩემმა  
ძმამ, რაც ცოლი შეირთო, თავი შემაჯავრა. არ  
ვიცი, რა მოხდა. ბოლოს იძულებული გავხდი  
სახეობებლად სხვაგან გადავსულიყავი. გულ-  
წრფელი და კარგი დამოკიდებულების  
მოტრფივალე ვარ. არაფერს დავიშურებ კარგი  
ადამიანისათვის.

ხანუმი ვაღდგობოდა. დონეჟანმა თავისი  
ოთახიდან გამოიფინა შემოიტანა. ფირფიტა  
დაღო და ყოველგვარი ცერემონიების გარეშე  
დაიწყო ხანუმიან ცეკვა, დიდხანს ცეკვავდნენ,  
ჰასანი ვაფთხებული შეპყრებდა ხანუმს,  
კბილებს აღრქობდა.

ნასადილეს სუფთა პერზე ვასიერება გა-  
დაწყვიტეთ. ჩალუსის გზაზე მივსიერობდით.  
დონეჟანმა ჩამიჩურჩულა: „დღესაც დავრჩები“.  
შემდეგ კი ხანუმს ისეთი გულბილი საუბარი  
გაუბრა, თითქოს დიდხანს ნაცნობები იყვნენ.  
მოგონილ ამბებს ჰყვებოდა, გაუთავებლად ქა-  
ქანებდა, ასე რომ ჩვენ ხმის ამოდების საშუა-  
ლება არ მოგვცა.

ჰასანმა თითქოს სწრაფი გადაწყვეტილება მი-  
იღო, მიუახლოვდა ხანუმს, მაგრამ გააყვებულმა  
ქალმა ხმაყ არ ამოაღებინა:

— თავი მაღლა ასწიე, რით დალაქავე ტანი-  
სამოსი?

დაბნეული ჰასანი განზე გადაგა. დონეჟანმა  
ზალტო გაიხადა და ხანუმს მოახურა, მეც მი-  
ვეახლოვდი.

— რა ბედნიერია, ვინც აქ სხობრობს, —  
ამბობდა დონეჟანი, — საუცხოო პერი, მდინარე,  
ხეები. ერთ თვეში აქ ყველაფერი აყვავდებ-  
და. შესანიშნავია მთვარიან ღამეს ამ მდინარის  
პირას ქლომა, გამოიფინო თან თუ გაქვს... აფ-  
სუს, როგორ დამაიწყდა ფოტოაპარატის წა-  
მოღება?

გზაზე მოდიოდნენ ახალ, დალიანდაგებულ  
ქუროთუბებში გამოწყობილი გლეხები, მათი ბავ-  
შეების ფერადფერადი ტანისამოსით მთელი გზა  
აჭრებდნენ იყო.

ხანუმმა დასვენება ინება. დონეჟანმა მდი-  
ნარის პირას მყუდრო ადგილი შეარჩია და  
ჩვენც ქებებზე ჩამოვსხდით. ადიდებული მდი-  
ნარი ბორჯავდა და მღვრიე წყალი ხმაურით  
მიქრუნდა. ჩვენს თვალწინ შესანიშნავი სანაპი-  
ო გადაიშალა: შორს მოხანდა მთავრების  
დათოვლილი მწვერვალები.

დათბა, დონეჟანმა პიჯაკი გაიხადა. რაც იქ  
ვიყავით, ენა არ გაუჩერებია, — ყებოდა თავის  
სატრფოსზე, ფრანგულ სუნამო „კოტიზე“, სიკ-  
ვარულსა და პატოსენებაზე, კავასიურ ცეკ-  
ვებზე, უთავბოლოდ მიედ-მოედებოდა. ხანუმი  
კი პირდაღებული უსმენდა.

„ეს რა არის, ადრე უნდა გენახეთ, რა შარ-  
ვალი მქონდა! წინა კვირას ახმანავთან ერთად  
თვითმფრინავით ვიმგზავრე: ვადმოსვლისას  
ფეხი ქვეს წამოვკარი და შარვალი მუხლზე

გადამისცა. ამ შარვლის შეკრება „ლუქსმა“  
ოცდახუთი თუმანი დამიჯდა. ფეხი რომ დამი-  
შავე, მაშინვე ეტლით ამერიკელების სასა-  
ყოფოში, ექიმ მაქთაოლისაკენ გავემგზავრე-  
მანუგემა: ბელი კაიო, კვირისტავი რომ გვინ-  
დეს გატეხილი და მოკლდებოლი. სამი დღის  
შემდეგ საავადმყოფოდან გამოვეწერე... თვით-  
მფრინავიდან რა ლამაზად გამოიყურება სახლის  
სახურაგები, ჩემი სახლი, სეფასპაროსი შეჩე-  
რის გეგმათი და დავინახე. ხალხი ჭინჭკული-  
ვით მოჩანდა. თვითმფრინავი დაბლა რომ ქ-  
ვებოდა, გული ვადამიქანდა“.

დასვენების შემდეგ კვლავ ქერვისაკენ გა-  
მოვბრუნდით. გზაში ყველანი კარგ გუზებაზე  
ვიყავით: ჰასანი და დონეჟანი კავასიურ მე-  
ლოდიას უსტვენდნენ, ხანუმი ცეკვავდა და ფეხ-  
საცემლზე ქუსლი მოტყდა. აწუწუნდა:

— ეს ფესასემელი ორი კვირის წინათ ბა-  
ტიასთან ვიყიდე. დონეჟანს შემოხევა მი-  
ეცა, რომ უკრალდება გამოჩინა, ქვით შეაკე-  
თა ქუსლი და შემდეგ ჩააცვა. ამ ხნის განმავ-  
ლობაში ხანუმი დონეჟანის მკლავზე იყო დაკ-  
რდობილი.

გაცოფებულ ჰასანს გადავიწყდა, რაც კა-  
ფეში მიიხრა და ჩამიჩურჩულა: „არა, მკვას-  
ცოლად არ მოვიყვან, მივატოვებ, ვერადგერ-  
მოუტხებრე — შინ რომ არ ჩერდება, ამას კი-  
დევ როგორღაც აიტანს კაცი, მაგრამ თვისუფ-  
ლება მოინდობ, სრული თავისუფლება“.

ბინდებოდა სასტუმროს რომ მივალყუთ.  
გაშლილ სუფრაზე რამდენიმე ბოთლი არაყი  
და ნაირნაირი საშემლი იწყო. იქვე გამოიფინ-  
ნიც იდგა: დონეჟანმა გამოიფინა აამუშავა და  
ხანუმთან განუწყვეტილ ცეკვავდა. გააღმასე-  
ბულ ჰასანს გულზე ცეცხლი გვიდებოდა, სი-  
რაზეს ვერ ფარავდა. დონეჟანს ნართაულად  
მიმართავდა:

— ქირიმე, ჩემი სატრფო ხომ არ შეგიყვარ-  
და? თუ ასეა, ახლავ გავეყრები.

დონეჟანმა გამოიფინა ახალი ფირფიტა-  
დადა. თვითონ კი საწოლზე ჩამოჯდა. ვაისმა  
ვიოლინის ქვიოინი.

— მე საცოლ მყავს! შენ რა გგონია?  
დონეჟანმა საფულედან ნაღვლიანი ქალსვი-  
ლის ფოტოსურათი ამოიღო, ხელი გადაუქა-  
ცა და თვალზეც ცრემლი მოაღდა.

ხანუმს გრძნობა მოერია და დონეჟანს მიუ-  
ცა. ცეკვა რომ როგორმე შეწყვიტა, ჰასანმა  
მსახურს ბანქო შემოატანინა და დონეჟანი სა-  
თამაშოდ მიიწვია. ხანუმი გამხარულდა, არაყის  
ეპუებოდა, ჰასანის გულის გასახტოდ გრაპო-  
ფონზე ახალი ფირფიტა დაღო და საცეკვაოდ  
გამიწვია. ცეკვის დროს ყოველმხრივ ცდილობ-  
და ჩემი ყურადღება მიეპყრო, რამდენჯერმე  
ხელი მომიჭირა, სახითაც მომიმალურსა.

ჰასანმა დრო იხელთა, ანგარიშის გასწორება

1 ფესასემლის ცნობილი ჩეხური ფირმა.



დააბრა, ბოლშა და ბრაზი დონეუანზე გაღმონათხია: თამაშის დროს ცდილობდა მოწინააღმდეგე გაეკურებინა, ჰიჭყინებდა, ყალბათანდობდა. როცა ცეკვა დაემათავრეთ, ხანუმმა ერთი ლაზთიანი სილა გააწნა და უთხრა:

— წადი, დამეკარგე, რას ჰგავხარ? რა მეკურტნესავით იქცევი! წითრის!

აბილიბილბული ჰასანი ხანუმს მიმეტრებოდა და ბოლით გულზე სკვდებოდა. უნებლიედ ჰალსტუხის გასასწორებლად ხელი ასწია და ღია საყუდისი შეარჩა ხელში. დონეუანმა ბანქოს თავი დაანება და ხანუმთან კვლავ ცეკვა დაიწყო. ჰასანი ოთახიდან გავიდა. დონეუანმა გრამოფონზე ტანგოს ფირფიტა დადო.

ჰასანი შემობრუნდა, ოთახს თვალი მოავლო, ხელი მოჰკიდა და აივანზე გამიყვანა: ხელები უკანკალებდა, საფეთქლებზე ძარღვები დაჰვეროდა, თვალები დაჰკეტილი ჰქონდა, ქვედა ტუჩი ჩამოადგებული, ისეთი ჩანჩურა და შეუხედავი იყო, რომ შისი მოწაფეობის წლები გამახსენდა. ხელს არ მიშვებდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა:

— გუშინ რომ მესაუბრე, მეგონა, მარტო აბირემბილ წამოსვლას. შენი ბრალია, ეს ვის ვადავჯიღე. შენ ჩემი ნაცნობი მინცა ხარ, ევ კი ვინ არის, რომ ჩემს სატრფოს უნებართვოდ ეცეკვება. ვერაფერი ზრდილობაა. შეგანებინე, რომ შავშუურად იქცევა და თავხედობას თავი ანებოს. ტრაბახობას: საცოლეს ათი ოთხი თემანი დავაბარჯყო. ვითომ შეყვარებულია—გრამოფონს უსმენს და ტირის, ევ საყენეი თავის ქათმებს დაუყაროს. ჩემი ნებასთვის გარეშე რატომ ცეკვავს? მაგის მისატყუებელი კბილი რა ხანია მოვიცვალე. ეგეთი საცოდავი მიჯნური ბევრი მინახავს. შენი ნაცნობი რომ არ იყოს, ვახვენებდნენ სეირს. არა, ამ ქალს ძალიან თავისუფალი ხასიათი აქვს. ადრეც ეგრძნობდი, მაისთან ცხოვრება გამოძინელებოდა... წავალ, ახლავე წვიალ, აქ რა გამაჩერებს.

— მომისმინე... ერთ ღამეს ვეღარ ვაძლებ? წადი, სახეზე წყალი შეისხი, გონს მოდი, ნუ კიუტობ. ზედმეტი რომ ვადაკარო, ის ვალაბარაკებს. დღეს ხომ ახალი წელია, ცუდად არ დაგეკვებოს.

ჩემმა ლაბარაკმა ჰასანი სულ გააგიჟა, წუმწუმ-მსავით აენტო: ოთახში შევარდა, ხანუმის ჩანთიდან ფული ამოიღო და მსახურს მანქანა შეუყვება, რომ იმწამსვე ქალაქს გამგზავრებულყო. მედად, სასტუმროს ეზოში მანქანა იდგა. ჰასანმა გივივით მოავლო ეზოს თვალი, მძინარე მძლოლის მივარდა:

— ახლავე წამიყვანე ქალაქში, რამდენსაც მომთხოვ, მოგეკემ! ჩქარა! მძლოლი თვალების ფშენვით წავიდა მანქანისაკენ.

— ყურს ნუ უდგებ, მთვრალია და სისულელეს ჩმახავს, წადი, დაიძინე, — ეუთხარ მძლოლს. ისიც, თითქოს ამას ელოდაო, დასაძინებლად წავიდა.

ამ დროს სასტუმროდან გაცოცხლებული ხანუმი გამოვარდა, მანქანასთან მიიჭრა და ჰასანს უყვირა:

— მიწა დაგაყარე, შენ ხომ კაცი არა ხარ, მეკურტნე ხარ! შენი კუბო მენახოს! — შემდეგ მე მომიბრუნდა, — ადრე მეკოლებოდა, თორემ ამის შეყვარება როგორ შეიძლება. მაგას ჩემი რძლისნაირი ქალი უნდა ჰყავდეს ცოლად, — და ისევ ჰასანს მიუბრუნდა, — ადექი, ახლავე ადექი, ოთახში შემოდი, იქ მოგელაბარაკები! ამ ჯრღომულში ვინღოდა ჩემი დატოვება? აი, მიწა კი დაგეყაროს!

თავგზაბნეული ჰასანი ძლივს შევიდა ოთახში, ლოგინზე დავარდა, სახეზე ხელები აიფარა და აქვივთინდა:

— არა, არა, რაღა ჩემი სიცოცხლე... ქალაქს გავემგზავრები... ჩემი აღსასრული დადგა, სიგიჟემდე მიმიყვანა... უნდა წავიდე... კმარა. დღემდე ვფიქრობდი, რომ ჩემი სიცოცხლე შენ გეკუთვნოდა... არა, არა... გავემგზავრები და გზაში მანქანიდან გადავვარდები, უფსკრულში გადავიჩეხები, კმარა!

ეს არა მარტო ზუსტი ციტირება იყო უბაღლებული ბულვარული რომანებისა, არამედ ჰასანიც ამ ნაწარმოებების გმირად იქცა. ჰასანი ალაპარაკდა ამ რომანების ენით, უფრო მეტიც, იგი ამ რომანის გმირადც მოგვევლინა. ეს ქედმაღალი ადამიანი, თავს რომ ადავსის უყადრებდა, ახლა სრულად მოშვებული, დავლაბაკავებული და გამათხოვრებული თავის სატრფოს სიყვარულსა და თანაგრძნობას სთხოვდა. ტახტზე უზარმაზარი ხორციის მთასავით ახუტულავენბულიყო და იტანჯებოდა, თუმცა მისი თავმოყვარეობა იღნახული იყო, მაგრამ მიინც სასაცილო შთაბეჭდილებას ტოვებდა. ხანუმი კი აშკარად გრძნობდა თავის უპირატესობას, გამარჯვებულს ზეიმობდა და დონეუანს მიყვარდა ჰასანს ამასაკარავებდა:

— ვაეთრე, შე ბრევივო! არ ვიცოდი თუ ასეთი ქუთათხელი იყავი! — შემდეგ მე მომიბრუნდა, — შეხედეთ, ნამდვილი მეკურტნეა. ვეცილობდი, კაცი გამეხანდა, ახლა კი რასა ჰგავს! არ ვიცოდი, თუ ასეთი რეგენი იყო, თორემ აქ როგორ წამოყვებოდი?! მოგზაურობისას უფრო ადვილად ვიგებ ადამიანის ხასიათს. შეხედეთ, როგორ ადია საწოლზე? რაც კი უნდა ეცადოს, მაინც მეკურტნეა! როგორ მოვტყუედი? კიდევ კარგი, დროზე მიხვდის. ამასთან ცხოვრება როგორ შეიძლება!

ჰასანი გულამოსყენით ტირიდა, შევტყუე ზედმეტი ვიყავი, ისინი მარტო დავტოვე და დონეუანის ოთახში შევედი. ყველაფერი ირეული იყო, გრამოფონის ნემსი ფირფიტის ბოლომდე გასულიყო და ღრუბალი გაჰქონდა, გა-

**სადამე ჰედაიათი**  
ქვეყნის დონეუანი



ლემილი, ფერწასული ღონეუანი ტახტზე ედო, მაგრად შევანჯღრიე.

— რა მოხდა?, — მკითხა, — რა ჩემი ბრალია, თუ ჩხუბობენ? თვითონ დიწყო: „მიუკარხნარა“, არა უფრო სწორედ, ასე მითხრა: „სამპათიური ყმაწვილი ხარო“. ცეკვის დროს ხელი მომიჭირა, ორჯერ კიდევ მაკოცა. მე არავიფარო მიზანი არა მქონია. ჩემი საცოლეს ერთი ღერი თმა შირჩენია ათას ასეთ ქალს. შეამჩნევდი, ბანქოს თამაშის წინ ოთახიდან გავედი, საღებავი უნდა მომეკიდებინა სახიდან, კოცნის დროს რომ დამსვარა.

— არა, არც ასე საქმე. მე ხომ დავუკვირდი, მიგხვდი, რა ჩიტეც არის. ეს არ ჰგავს იმ ნაზ ასულებს, თავდაპირველად უცოდველ ანგელოზებად, სიწმინდისა და უბიწოების განსახიერებად რომ მოგვაჩვენებენ თავს. საიდანღაც ვაშრონდება გულქვა ახალგაზრდა კაცი და ატყუებს მათ. ვერ გამოვიცა, გულქვა მამაკაცებს როგორ უფარდებიან ეს მიაშიტი ქალიშვილები ზელში და რატომ არ იქცევა ეს ამბავი სხვა ქალიშვილებისათვის მკუთის სასწავლებელ მაგალითად? ეს ქალბატონი ბევრ ახალგაზრდა ბოროტმოქმედს გააცურებს, წყაროზე წაიყვანს და მწყურვალს დააბრუნებს.

ეს აურზაური ღონეუანმა ასტეხა, მაგრამ არაფრად აგდებდა, რადგან ასეთი აყალმაყალი მას ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა. მიგხვდი, ეს უაზრო ყბედობა, სასაცილო მანერები, ბაქიობა, მანქვა-გრეხა და კომწიობა გამოხატავდა მის

ბუნებას, და შესესატყვისებოდა იმ გარემოს, სადაც იგი ტრიალებდა.

დილით კარზე დამიკაკუნეს, გავალე: ჰასანის სატრფო იყო, ხელში ჩემოდანი ეჭირა.

— მე ყაზვინს მივემგზავრები დასთან. ჰასანი წუხელ წავიდა. მინდა გამოგეტხოვოთ.

— ძალიან საწყენია. ცოტა მადროვეთ და შემდეგ ერთად წავიდე თ ჰასანის საქმენელად.

— არაეითარ შემთხვევაში კირსაც წაუღია, მაგის სახლის გაგონებაც კი არ მინდა! ჩემ ლასთან მივდივარ. მომატყუა, აქ ჩამომიყვანა და ლამე გამეპარა!

პასუხის გაცემაც ვერ მოვასწარი, ისე სწრაფად გავიდა ოთახიდან. ხუთი წუთის შემდეგ ღონეუანი გამომეცხადა ჩემოდნით ხელში.

— შენ საღა მიდიხარ?

— ქალაქში საქმეები მაქვს, გუშინ არ უნდა დავრჩენილიყავი. გამომეშვიდობა და წავიდა.

მარტო დავრჩი. არსად არ მეჩქარებოდა. თითქოს გაზაფხულის ჰაერმა დაათროო — ბელურები ერთამულით შეხვდნენ დიღას. იქნებ წუხანდელი ამბებიც გაზაფხულის ბრალი იყო. ჩემი თანამგზავრები ბელურებივით ხომ არ გაბრუდნენ?

ნასაუზმევს სასეირნოდ გავედი. სასტუმროს ხმაურით ჩაუარა დანჯღრეულმა მანქანამ და ყაზვინის გზაზე ძლივს გავიდა. მძლოლის უკან ღონეუანსა და ჰასანის სატრფოს მოკვარი თვალნი.

სპარსულიდან თარგმნა თანხიჯ კეზელხანამ



## პოლუგანზ ბოკჩაჩი

# ეს ჩვენი მანიფესტია

მოიხადეთ მუხარადები! მუხარადები მოიხადეთ — ომი წაეგეთ!

დაიქსაქსნენ ასკულები... ასკულები, ბატალიონები, არმიები, უზარმაზარი არმიები. მხოლოდ დახოცილთა ლაშქარნი დგანან კიდევ. დგანან თვალწვედენი ტყეების დარად, მრუშედ, ლალისფრად... ხმაილა ჰგოდებენ. ქვემეხები კი პირქვე დამხოვილან, როგორც გაყინული, ნამარხი ცხოველების ქვადქცეული ჩონჩხები, სიბრაზისაგან ლილისფერი დასდებიან. მუხარადებს ენავი ეკიდება. მოიხადეთ ეანგმოდებული მუხარადები — ომი წაეგეთ!

ჩვენი კარდალებით გამხდარ ბავშვებს ახლარძე დააქეთ, წყალწყალა რძე. ყინვისაგან ბავშვებსაც ლილისფერი დასდებიან. რძეც ლილისფერია სიღუპურის გამო.

ამიერიდან აღარასოდეს არ ჩავდგებით მწყობარში საყვირის ხმაზე და, როცა დავგიღრიალებენ, არასოდეს არ მიუვებ: „არის!“ აღარ ჰქუხს ქვემეხები და აღარ ღრიალებენ ფელდეველები... ვიტყვით და ვიმღერებთ მაშინ, როცა მოგვეპრიანება. მაგრამ აღარასოდეს არ ვუმღერებთ მორახხახე ტანებზე და ალბურ ედელვაისს, რადგან დაღუმდნენ ტანები და ფელდეველები. ედელვაისი კი სისხლიან სიმღერათა გუგუნს დაუქანია. აღარც გენერლები მოგვემართვენ „შენობით“ ბრძოლის წინ, საზარელი ბრძოლის წინ.

შოშისაგან აღარასოდეს არ ვამოგვეცხება კბილები ქვიშით, — უკრაინის ტრამალის, კირენაიკის ან კიდევ ნორმანდიის ველების ქვიშით და აღარც ჩვენი სამშობლოს მწარე ქვიშით. არა-

სოდეს არ გვექნება ბრძოლის წინ მცხუნვარე, შლეგური განცდა ტვინსა და ჯანში.

აღრინდებულად აღარ გავგებხარდება, როცა ვინმე იქნება ჩვენს გვერდით. ხედავ: შენს გვერდითაა, თბილად არის და სუნთქავს, აბოყინებს, ლიღინებს ღამით — როცა წინ მიდის. ბოშების მსგავსად არასოდეს არ გავგებდნიერებს ერთი მთელი პური და ხუთი გრამი თუთუნო, ან კიდევ ორი ილია თივა. ჩვენ ხომ მარშით არასოდეს აღარ გავივლით ერთად, რადგან ამიერიდან ყოველი ჩვენთაგანი მარტოდმარტოდ ივლის. ეს კარგია და მიიმეცა: ღამით, წინსვლის ღროს გვერდში არ გაუადვს ჯიუტად მობუზღუნე კაცი, რომელსაც ყველაფერი ესმის, არასოდეს არაფერს ამბობს და ყველაფერს იწელებს, ითმენს.

და თუკი ვინმეს ღამით ტირილი მოუნდა, შეუძლია იტიროს, რადგან აღარ დასჭირდება სიმღერა, სიმღერა შიშით.

ახლა ჩვენი სიმღერა ჯანია. აგზნებელი, ცივებ-ცხელების მომგვრელი ჯანია ჩვენი მუსიკა. ამაღლებველი, შლეგური სიმღერა, რომელსაც თან სდევს დასარტყელი საყრავთა ფხაჟფუჭი, ბრაგარტუგი და არა ძველი, სენტიმენტალური, ჯარისკაცული მოძახილი, ზოგჯერ რომ გაისმოდა სადმე და ჩვენ ვარამს გვიზნობდა: სიმღერას, რომელსაც წვერუბანგულლი, შემაძრწუნებელი შესახედლობის მამაკაცთა გუნდი სანგრებისა და საბარგო მატარებლების მიუსაფარ ბინდებულში მღეროდა პირის ჰარმონიკისა და რკინის ჩხარჩხურის აკომპანიმენტით.

ეს იყო მამაკაცთა ვეჯატური სიმღერა, და

არაფინ უდგებდა ყურს ბავშვების ღნავილს, ქვეშეთა ლილისფერი ტუჩების მიერ მოგვრილი შიშის უქუცდებას რომ ლამობდნენ.

ეს იყო მამაკაცთა გმირული სიმღერა და არაფის ესმოდა მათი გულების მოთქმა, როცა ამოსვრილები, კუჭყით დაფარულნი, წვეგრავუბარსავეები და ტილებდახვეულნი „ვაშა და ვაშას“ მღეროდნენ.

ეს იყო მამაკაცთა სიმღერა, ჯარისკაცული მოძახილი, სენტიმენტალური და ლალი, ვაჟაკური და ომახიანი, ყმაწვილკაცებიც ვაჟაკეუ მივით რომ აგუგუნებდნენ. და არაფის ესმოდა, როგორ ეძახდნენ ღდას? არც ავანტიურისტი აცის უკანასკნელი შეძახილი ესმოდათ, შეშხარავი შეძახილი — ვაშა და ვაშა იუპპაილი.

ჩვენი „ვაშა და ვაშა“ და ჩვენი მუსიკა ცეკვაა ხახადაფრენილი უფსკრულის თავზე და ეს მუსიკა ჯაზია. უკეთუ ჩვენს გულსა და გონებას ზომ ასეთივე ციებცხელებიანი რიტმი აქვს: მღელვარე, შლეგური, მბორგავი და დაუოკებელი.

ჩვენს გოგონებსაც ასევე ფიცხი ბუღისი უცემთ მკლავებსა და ბარაკებში. მათი სიცილი ხრინწიანი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი და ტლანქია კლარნეტის ბკერებივით, თმა კი ფოსფორივით უტყრიალვით, თითქოს ცეცხლი უკიოიათ და მათი ვული სინკოპური რიტმით ფუთაქვს — ნაღვლიანი სიმშავით, სენტიმენტალურად. ასეთნი არიან ჩვენი გოგონები — ჯაზის მავგარნი, და ლამებიც, გოგონების მსგავსად ჯაზისებურნი, მგზნებარნი, ციებცხელებიანი და მღელვარნი არიან.

ვინ უნდა დაწეროს ჩვენთვის ახალი მოძღვრება პარმონიაზე? ჩვენ აღარ გვევრდება „კარგად ტემპერირებული კლავირი“, ფორტეპიანოები — ჩვენ თვითონ დისონანსით ვართ აღსავსენი.

ვინ დაოსდება ჩვენთვის კვილით ან დაოსებულთ ვინ უნდა მოგვაროს შვება? ნატურ-მორტები აღარ გვევრდება — ხმამაღალია ჩვენი ცხოვრება.

არც გრამატიკაში გავაფული პოეტები გვევრდება. გრამატიკისათვის მოთმინება აღარა გვეოფნის. ჩვენ ცხარეზე ცხარედ მოქვითიუნ გრძობები გვიდა, რომელნიც ხეს „ხეს“ ეტყვიან და დიაცს კი „დიაცს“, ჰოსაც ამბობენ და არასაც. ხმამაღლა და გარკვევით ამბობენ სამგზის — ყოველგვარი კავშირებითი კილოს გარეშე.

აღარც წერტილ-მძიმებისათვის ვაქვს დრო და პარმონიაც ვეადუნებს. ხოლო წყნარი ცხოვრება ვეაძბუნებს, უკეთუ ჩვენი ზეცა ღამლამობით ლილისფერია, ხოლო ლილისფერი არ ვეაძლევს გრამატიკისათვის დროს, ლილისფერი ხომ მკვეთრია, თვალშეუდგამი და შლეგური. ყველაფერს ლილისფერი ადევს: საკვამლე მილებს, სახურავებს, სამყაროც ლილისფერია.

ჩვენს მიერ აქეთ-იქით მიმოყრილ ვეამებზე ამოღამებული ფოსოებია: ყინულოვან ქარბუქში ლურჯი სევდით შემოვარულან მკვდრების თვალები; ქვემეხების იისფრად მძინვარე ცივი სახეები და ჩვენი გოგონების ლილისფერი კანი ყელზე და მკერდის ოღნავ ქვემოთ...

ლილისფერია: ღამე, ღამშეულთა გმინვა და მემამბონეთა ჩურჩული. და აი დგას ჭალაქი ასე ლილისფრად ღამეულ ლილისფერ ჩანჩქერში.

და სიკვდილით აღსავსეა ღამე, ჩვენი ღამე, რადგან ჩვენი ძილი სავსეა ჭიდილით. ჩვენი ღამე ბრძოლის ველის ზათქითა და ზრალით მოცული სიზმარეული სიკვდილია. და მათ, ვინც ღამით ჩვენთან რჩება, ლილისფერმა გოგონებმა ეს იციან და დილით კიდევ უფრო ფერმკრთალნი არიან ღამეული სიდუხჭირისაგან. დილაც მარტოობითაა დაზაფრული და ჩვენი მარტოობა კი მავნი, დილით, მიწისაგითა: მყიფე და ცივი, მთლოდ გამჭვირვალე — ეს მამაკაცის მარტოობაა. ჩვენ დავკარგეთ დედები მჭკინვარე ქვემეხებთან. მხოლოდ ჩვენი კატები და ძროხები, მკბენარები და ჭიკაულები, მხოლოდ ისინი იტანენ ასეთ დიდსა და გათოშილ მარტოობას. იქნებ ისინი ჩვენებრ ახლო არ არიან მიგრირლნი ერთმანეთთან? ან იქნებ სამყაროსთან უფრო ახლოს არიან, ამ უკიდევანო სამყაროსთან, რომელშიც ჩვენი გული ღამის გაიყინოს?

რის გამო ბობოქრობს ჩვენი გული? — ლტოლვის გამო. ხელყუმბარის მიერ ამოთხრილი ორმოდან, დედასავით რომ ვეკვროდიტ მეორესაკენ გაქუცვის გამო. და შიშისაგანაც დედავს ჩვენი გული, ვინაიდან ჩვენ მხოლოდ გუშინ დავუსხლტით ბრძოლის ქარცეცხლს, ხახადაფრენილ ქვემეხებსა და... გამოვიქციეთ.

ყური მიპაყარ, რა ამბობია შენი სულის უფსკრულებში. შეგზარა განა? გესმის მოცარტის მელიოდები და ჰერმანილის კანტატების ქაოტური ქორალები? კვლავაც გესმის ჰოლდერლინი? კვლავაც ცნობ მას — სისხლისაგან მთვრალს, აჭრელებულსა და ბალდურ ფონ შირახთან ხელიხელ ჩაიკდებულს? გესმით ჯარის-

კაცის სიმღერა? გენისა ჯაზი და ლუთერის სავალბლო?

მაშინ შეეცადე იარსებო შენი ლილისფერი უფსკრულების თავზე. უკეთუ დილა ბალახით დაფარულ მდელოებისა და გაფისული სახურავების თავზე რომ ამობრწყინდება, მხოლოდ შენგან მოდის. და ყველაფრის უკან კი, ყოველივეს მიღმა, რასაც შენ ღმერთს, დინებასა და ვარსკვლავს, ღამეს, სარკეს ან კოსმოსს, პილდეს თუ ეველინას უწოდებ — ყველაფრის მიღმა ისევ და ისევ შენ დგახარ: მარტოეული, გათოშილი, შესაბრალოსი, დიადი... შენი სიცილი, შენი ვარაზი, შენი კითხვა, შენი პასუხი — ყველაფრის უკან სამხედრო ფორამში, შიშველი, ან ასე თუ ისე, გამოწყობილი, ლანდივით მოფარვატე, უცხო, თითქმის შემზარავ, წარმოუდგენელ გრანდიოზულ განზოგადებაში, შენ თვითონ ხარ: შენი სიყვარული, შენი შიში, შენი იმედო...

და როდესაც ჩვენი გული, ეს საბრალო, დიდებული კუნთი უკვე ვეღარ უძლებს თავის თავს და, როცა ჩვენს გულს სურს აგვარაყუოს ამ სენტიმენტალური ამბებით, რომელთა კერძიც ჩვენა ვართ, სწორედ მაშინ ვხდებით ერთობ ბანალურნი. და ოდეს იესო ან ის სულით ფაქიზი, რომელიც ზმანებებში მუდამ თანა გვდებს, ღამით გვეუბნება: შენ, ჰეი, იყავ კეთილი! — მაშინ ჩვენს თავხედურ აღვირაზნობას ჩვენს სჯულად ვიცხადებთ და ვკითხულობთ: კეთილი, უფულო იესო. მერე და რატომ? ჩვენ ხომ ასევე ტკბილად გვეძინა მკედარ ივანებთან ერთად; ზმანებაში კი ყველაფერს ვცხრილავდით ტყვიამტრქვევებით: ივანებს, მიწას, იესოს.

არა, ჩვენი ლექსიკონი არ არის ლამაზი, თუმცა სქელია. ის ჰყარს ისევე მწარედ, როგორც დენთი. მეფეა, როგორც ტრამპლის ქვიშა. მყრალია და ხმაურიანი, როგორც ბრძოლის ველი. ჩვენ კადნიერად მოგვუქვს თავი ჩვენი მგრძნობიარე რილესეული, გერმანული გულით. თავი მოგვუქვს რილესეული; უცხო და დაკარგული მოქმით, რომელიც ჩვენი გულის ხეშაღას გამოხატავს, და რომელიც ანახდევულად ცრემლებს მოგვეგრის ხოლმე. მაგრამ ჩვენ არ გვინდა ცრემლების ოკეანეები დაეაყენოთ, თორემ ყველანი შივ ჩავიხრჩობით. ჩვენ გვსურს უხეშები ვიყოთ, თამბაქო და პამიდორი მოვიყვანოთ და თვით ლილისფერ სარეცელამდე, თვით ლილის-

ფერ გოგონებთანაც კი ხმაურიანი შიში ტყვედვდეს. თან გდევდეს, რადგან ჩვენ გვიყვარს ხმაურიანი, ხმაყალი მონაცემი, რომელიც რილესეული არაა, რომელიც ჩვენ გვიხსნის ბრძოლების სიზმარულ ჩვენებათაგან და გაგვათავისუფლებს ღამეების, სისხლით მორწყული ყანობირების და კაეშინიანი ლტოლვით აღსავსე სისხლიანი გოგონების ლილისფერ უფსკრულთაგან.

უკეთუ ომმა ჩვენი გული როდი გააქვავა — ეს არ იფიქროთ! არც უხეშები და ქარაფშუტები გავუხდივართ. ჩვენ ხომ ჩვენი გამხდარი მხრებით სამყაროსავით მიძიმეს და სანთელივით გაფითრებულ მრავალ გვამს ვატარებთ. და ცრემლებიც არასოდეს ისე უხვად არ მოგვედგომა თვალებზე, როგორც ამ ბრძოლების შემდეგ. ამიტომ გვიყვარს ხმაურიანი, ხმაყალი, ლილისფერი კარუსული ჯაზური მუსიკით, რომელსაც იგი ჩვენი უფსკრულების პირზე ააქდერებს: ზათქითა და ზრიალით, ოინბაზურად, ლილისფერად, ფერად-ფერად და, შესაძლებელია, შლეგურადაც. ჩვენი რილესეული გული კი, ვიდრე ჯამბაზი დაიყვილებდა — სამგზის უარეყავით. და ჩვენი დედები მწარედ მოსთქვამდნენ. მაგრამ ისინი ზურგს არ გვაქცივენ; არა, დედები არა!

და ჩვენ გვინდა დედებს აღვუთქვათ: დედებო, ამისათვის როდი დაიხიციენ ადამიანები — მეტროპოლითა მარმარილოს ძეგლისათვის, რომელსაც საუკეთესო ადგილობრივი ქვისმთელი ბაზრის მოედანზე აგებს — მწვეან ბალახით გარსშემოვლებულს, ქვრივებისა და პროტეზიანთათვის განკუთვნილი მერხებით შემუქულს. არა, ამისათვის არა! არა, იმიტომ არ დაზოცილან ადამიანები, რომ ცოცხლად გადარჩენილებმა იცხოვრონ ახალწვეულთა ფოტოებითა და ჰინდენბურგის პორტრეტებით მორთულ მყუდრო ოთახებში. არა, ამიტომ არა!

და არც ამისათვის დავარეს ადამიანებმა სისხლი თოვლში, ცივსა და სველ თოვლში, თავიანთი მჩქეფარე სისხლი, რომ ახლა მათი შვილები გაბრძვივნ ომზე შტუდლინგრაბებმა, რომლებმაც ჰერ კიდევ მათი მამები ასე მარჯვედ მოამზადეს ომისათვის. (ლანგერმარკსა და სტალინგრადს შორის მხოლოდ ერთი მათემატიკური საათი იყო). არა, დედებო, თქვენ ამისათ-

**ვოლფგანგ გორკირი**  
**ეს ჩვენი მანიშისტია**

ვის არ დახოცილხართ ყოველ ომში ათი ათასჯერ!

ჩვენ ვალიარებთ: ჩვენს მორალს აღარაფერი ესაქმება საწოლებთან, ძუძუებთან, პასტორებთან ან ქვედატანებთან; ჩვენ აღარაფერი დავგრჩენია იმის გარდა, რომ კარგები ვიყოთ, მაგრამ ვის შეუძლია გაზომოს ეს „კარგი“? ჩვენი მორალი ჰემმარიტებაა. ჰემმარიტება კი სიყვდილივით ახალი და უმოწყალოა, თუმცა მისებრ სათუთია, მოულოდნელი და სამართლიანი — ორივენი შეიველნი არიან.

ჰემმარიტება უთხარ შენს ამხანავს, ვასძარცვე იგი შიმშილობის უამს, მაგრამ მეერ გამოუტყდი მაინც. ნუ შეუთხზავ შენს შვილებს წმიდათა წმიდა ომის ამბებს. სიმართლე უთხარი, ისე ნათლად აუწერე, როგორც არის: აღსავსე სისხლით, ცეცხლითა და ყვირილით. მოატყუე დამით გოგონები, მაგრამ დილით, დილით კი სიმართლე უთხარი. უთხარი, რომ შენ მიდიხარ სამუდამოდ. იყავი კეთილი, როგორც სიკვდილი...

ჩვენ უარყოფენ ვართ, მაგრამ სასოწარკვეთილების გამო კი არ ვამბობთ „არას“. ჩვენი „არა“ პროტესტია. და ჩვენ, ნიჰილისტებს მოსვენება არა გვაქვს ამბოხის დროსაც. რადგან არარაოქაში ისევ „პო“ უნდა ავაგოთ. სახლები უნდა ავაშენოთ ჩვენი „არას“ უყიდევანო სიყვრილეში ყუმბარებისაგან ამოთხრილი ძაბრების, სანგრებისა და პირდაფენილი, დახოცილთა მკერდების ზეგარდმო. სახლები ავაშენოთ ნიჰილისტების გაწმენდილ ჰაერში — სახლები ხისა და გონების, ქვისა და აზრების. რადგან ჩვენ გვიყვარს ეს გიგანტური უდაბნო, რომელსაც გერმანია ჰქვია. ეს გერმანია გვიყვარს ჩვენ ახლა; ახლა გვიყვარს ყველაზე მეტად. და არ ვესურს დავიხოცოთ გერმანიისათვის. გერმანიისათვის სიცოცხლე გვინდა ლილისფერ უფსკრულებზე. ო, ეს ავი, მწარე და უხეში ცხოვრება! ამ უდაბნოსათვის, გერმანიისათვის, ჩვენს თავზე ვიღებთ მას. ჩვენ გვინდა ეს გერმანია ისე გვიყვარდეს, როგორც ქრისტიანებს თავიანთი ქრისტი: უკეთუ ეწამა იგი.

ჩვენ გვჭურს გვიყვარდეს დედები, რომელთაც ყუმბარები დატენეს საკუთარი შვილებისათვის. ჩვენ უნდა გვიყვარდეს ისინი ამ ტანჯვისათვის. სარძლოებიც გვიყვარდეს, რომელთა გმირებს ახლა ბრჭყვიალა მუნღირები აღარ აცვიათ, და საკუთარ ქმრებს გორგოლაკებთან სავარძლებით დაასეირნებენ.

გმირებიც გვიყვარდეს, პოლდერლინსკის გმირები, რომელთათვის არც ერთი დღე არ ყოფილა საკმაოდ ნათელი და არც ერთი ბრძოლა საკმარისად შემზარავი — გესურს გვიყვარდეს მათი გატეხილი სიამაყისათვის, მათი ღამის დარაჯთა ნირშეცვლილი, ფარული ცხოვრებისათვის.

გვიყვარდეს გოგონაც, რომელზედაც ღამის პარკში ერთმა ასეულმა ძალა იხმარა, რომელიც დღესაც ერთავად უწმაწურად იღანძლება და საავადმყოფოდან საავადმყოფოში მომლოცაობს — გვიყვარდეს მისი ტანჯვისათვის.

და გვიყვარდეს ჯარისკაციც, რომელიც ველარასოდეს ისწავლის სიცილს. და ისიც, ვინც ახლაც მოუთხრობს შვილიშვილებს ოცდათერთმეტი მოკლულის ამბავს, ღამით მათი ჰაპის ტყვიამფრქვევის ცეცხლმა რომ დაცხრილა.

ჩვენ გვსურს გვიყვარდეს ყველა ისინი, რომელთაც ეშინიათ, უჭირთ და ქედმოხრილნი არიან; გვიყვარდეს მთელი მათი საცოდაობით. გვიყვარდეს ისე, როგორც ქრისტიანებს უყვართ თავიანთი ქრისტი — უკეთუ ეწამა იგი — რადგან ისინი გერმანიას წარმოადგენენ. და ეს გერმანია ჩვენ ვართ თვითონ. და ეს გერმანია ხომ კვლავ ჩვენ უნდა ავაგოთ არაფრისაგან, უფსკრულების თავზე: ჩვენი მწუხარებისაგან, ჩვენი სიყვარულით. და თუკი გვიყვარს ნანგრევებადქცეული ქალაქები მათი ნაყარტუტის გამო, ასევე გვინდა გვიყვარდეს ჩაფერფლილი გულები — მათი ვარამის გამო, მათი გადამწვარი სიამაყის, დანახშირებული სამოსელის, გარუჯული რწმენის, დამსხვრეული ნდობისა და დაკარგული სიყვარულის გამო. მაგრამ, უბირველეს ყოვლისა, დედები უნდა გვიყვარდეს, თერამეტისანი იქნებიან თუ საშოცდაათი წლისანი, რადგან დედებმა უნდა მოგუცენ ძალა ამ ნანგრევებადქცეული გერმანიისათვის.

ჩვენი მანიფესტი სიყვარულია. ჩვენ გვსურს ქვებიც გვიყვარდეს, ჩვენი ქალაქის ქვები, რომელთაც კვლავაც ათბობს მზე, კვლავაც ათბობს ბრძოლების შემდეგ...

ჩვენ გვინდა კვლავც გვიყვარდეს ქართველი, ჩვენი ძლიერი ქარი, რომელიც ისევ და ისევ მღერის ტყეებში, უმღერს წაქცეულ დარეებსაც...

და მყუდრო, მოყვითალო ფანჯრები, რომელთა მიღმა რილეს ლექსები ვისმის...

გვიყვარდეს ვირთხებით სავსე სარდაფებიც,

სადაც შიმშილისაგან ლილისფერი დასდებოთ ბავშვებს.

გვიყვარდეს მუყაოსა და ხის ქოხბალები, რომლებშიაც ჭრაც სჭამენ და იძინებენ, ზოგჯერ მღერიან, ხოლო ხანდახან იცინიან კიდევ ადამიანები, ჩვენი ადამიანები... რადგან ეს გერმანიაა.

ნია. და ჩვენ გვინდა გვიყვარდეს იგი, ჩვენ — ამ ქვეყნიდან ყანგომღებელი მუხარადებისა და გაჩანაგებელი გულების ამბრა შეთენილთ. მიუხედავად ყველაფრისა კიდევაც გვიყვარდეს იგი ამ ახირებულსა და შუღუვარ მსოფლიოში. გვიყვარდეს მარად და მარად!

# ჰ ა მ ბ უ რ ბ ი

ჰამბურგი!

ეს უფრო მეტია, ვიდრე ქვების, სახურავების, ფანჯრების, შპალერების, საწოლების, ქუჩების, ხიდებისა და ფარნების გროვა. მეტია, ვიდრე ფაბრიკის საყვამლე მიწები და ავტომობილების საყვირი; მეტია, ვიდრე თოლიების ხარხაირი, ტრამვაის რახარხი და მატარებლების გრიალი; მეტია, ვიდრე გემების სირენები, მოღრქილუ ამწეები და საცეკვაო მუსიკა — ი, ეს განუხაზღვრელად უფრო მეტია!

ეს წადილია ჩვენი ყოფნისა, არა სადმე და როგორმე ყოფნისა, არამედ აქ და მხოლოდ აქ — ალსტერსა და ელბას შორის, — მხოლოდ ისე ყოფნისა, როგორც ჩვენ ვართ, აქ—ჰამბურგში.

ამას ვაღიარებთ და არ გვრცხვინია, რომ ზღვის ქარებმა და მდინარის ნისლმა მოგვხიბლა და მოგვაჯადოვა დაგრჩენილიყავით აქ, აქ დაგრჩენილიყავით! და რომ ეს ალსტერის ვუბურამ გვატუნა, სახლები ავეგო მის ირგვლივ, განიერმა, ნაცრისფერმა მდინარემ გვატუნა ზღვითა სივრცეებში აფრიაშლილი გავყოლოდით ჩვენს კაშინან ლტოლვას; წავსულიყავით, ქარს გავყოლოდით, რათა კვლავ უკან დაებრუნებულიყავით, შინ დაებრუნებულყავით სამშობლოს სევდით დასნეულებულნი და მორჩილნი, ჩვენი პატარა ნაკადულისადმი სევდით მოცულნი, ამ ნაკადულებისა, მწვანე მუხარადებიან კოშკურებსა და მოწითალო-მონაცრისფერო სახურავებს შორის ლაღად რომ მოჩჩრიალებენ.

ჰამბურგი: ქვის კოშკების ტყეა, ფარნებისა და ექსსართულიანი სახლებისაგან შემდგარი; ქვის ტყე, რომლის ქვაფენილები ჯალისნურად მონანავე რიტმით ტყის მიწას წააგავს, და რომელზედაც ზოგჯერ ღამლამობით მიცვალბულოთა ფეხის ხმა გეგმის.

ქალაქი: პირველყოფილი ცხოველი, მბორგავი და მქშინაევი, ცხოველი აღსასევ ეზოებით, მი-

ნებითა და ოხერა-ვაებით, პარკებითა და მხირული შეფახილებით; პირველყოფილი ცხოველი — მზის შუქზე მოეღვარე თვალბიანი, ვერცხლისფერი, მახუთოვანი სარიდი არხებით! პირველყოფილი ცხოველი, მთვარის შუქზე მოციმიციმე თვალბიანი: მთროლვარე, მბეჭუტე-ფარნებიანი!

ქალაქი: სამშობლო, ზეცა, დაბრუნება; სატროფო — ზეცასა და ჯოჯოხეთს შორის, ზღვასა და ზღვას შორის; დედა — მდღეობებსა და მუჩეჩებს შორის, ნაკადულსა და მდინარეს შორის; ანგელოზი — ძილსა და ღვიძილს, ნისლსა და ქარს შორის.

ჰამბურგი!

და ამიტომაც ვენათესავეებით მათ, ვინც პარლემში, მარსელში, სან-ფრანცისკოსა და ბომბეიში, ლივერპულსა და კამბუჯატიში ცხოვრობს, — მათ, ვისაც ისე უყვარს პარლემი, მარსელი, სან-ფრანცისკო და კამბუჯატი, როგორც ჩვენ ჩვენი ქუჩები, მდინარე და ნავთსაყუდელი; ჩვენი თოლიები, ნისლი, ღამეები და ჩვენი ქალები.

ოჰ, ჩვენი ქალები, თოლიები რომ უწყეწევენ კულულებს. ან იქნებ ეს ქარია? რა თქმა უნდა, ქარია, — იგი ხომ მოსვენებას არ აძლევს ქალებს, არც მათ კაბის კალთებსა და არც მათ კულულებს. ქარი ზღვაზე თუ ნავსადგურში მეზღვაურებს თავგადასავალს რომ დასტყუებს ხოლმე და მერე ჩვენს ქალებს თავბრუს ასხევს თავისი გამბული სიმღერით შორეულ სივრცეზე, სამშობლოს სევდაზე, გამგზავრებასა და ცრემლზე, შინ დაბრუნებასა და უნაზეს, უტყბებს, მღელვარე ხვეწა-აღერსზე.

ჩვენი ქალები ჰამბურგში, პარლემში, მარსელში, სან-ფრანცისკოსა და ბომბეიში, ლივერპულსა და კამბუჯატი და ჰამბურგში, ჰამბურგში!

**ვოლფგანგ ბორჰარტი**  
ჰამბურგი

წვენ ასე კარგად ვიცნობთ მათ, ასე გვიყვარს ისინი, მეტადრე მაშინ, ოდეს ქარი თავხედური სტეგენით ორიოდ წამით დაგვანახებებს მათ მუხლებს, როცა იგი ანაზღაურელი სინაზით გაგვუმასპინძლდება და ჰაეროვან კულულებს ცხვირზე მოგვილაძენებს: საყვარელი, საამური ჰამბურგის ქარი.

ჰამბურგი!

ეს უფრო მეტია, ვიდრე ქვების გროვა, ერთ უთქმელზე მეტი. ეს მარწყვით დახუნძლული და აყვავებული ვაშლის ხეებით შეფერილი ველღობია ელბის ნაპირებზე — ყვავილებით გადააბნეილი და ქალწულთა დარად გაუფერჩქნელი ბაღებია ალსტერის სანაპიროზე აღმართული ვილებისა.

ეს არის ლოცმანთა თეთრი, ყვითელი, ქვიშისფერი და ღია-მწვანე დაბალი სახლები და კაპიტანთა „ბუდეები“ ბლანკენზეს ბორცვებზე. მაგრამ ეს ფაბრიკებისა და ნავსაშენების უღიმღამო და ხმაურიანი კვარტალებიცაა, რომლებიც ქონის, კუბრის, თევზისა და ოფლის სუნად ჰყარან. ოჰ, ეს არის ალსტერის პირას და გარეუბანში მდებარე პარკების დამეული სიტკბოება, სადაც ტრფობის სანეტარო დამეუბში ჰამბურგელები იქნებიან. ის ქეშმარიტი ჰამბურგელები, რომლებიც სულით არასოდეს არ ეცემიან და სწორ გზას არ კარგავენ. ხოლო ყველაზე სეგბედნიერნი კი ამ უკვდავ ცხოვრებაში სურნელოვან ბალიშებიანი და ბაყაყების ყიყინით გარემოცული ნაფთა შესცურდებიან ხოლმე მთვარიან ალსტერზე!

ჰამბურგი!

ეს არის ტროიკული, შლეგური ხეები, ბუჩქები და ყვავილები მამუტის სასაფლაოზე, ჩიტების ქლურტულით გადაყრუებული, ყველაზე

მოვლილი უღრანი ტყე მთელს ქვეყანაზე, სადაც მიცვალებულნი ზმანებებში ატარებენ სიკვდილს და თოლიებზე, გოგონებზე, ანძებსა და გალავნებზე, მაისის საღამოებსა და ზღვის ქარებზე ოცენობენ. იგი როდი ჰკავს შწირსა და გლეხურ სასაფლაოს, სადაც მიცვალებულნი (მწყობრში განლაგებულნი, კვიდოს ღობეებით შემორაგულნი, ფურისულითა და ვარდის ბუჩქებით მოკაზმულნი) უმზურენ ცოცხლებს და ძალუენებურად იზიარებენ მშრომელთა და მშობიარეთა ოფლსა და გოდებას — ოჰ! ესენი ვერასოდეს ვერ დატკებთან თავიანთი სიკვდილით! მაგრამ ოლსდორფში, მიცვალებულნი, უკვდავი მიცვალებულნი უკვდავ სიცოცხლეზე არ ლაყბობენ — უკეთუ მათ არ ძალუთ დაივიწყონ ქალაქი, თავიანთი ქალაქი!

ჰამბურგი!

ეს არის ჰაღარაშერეული, უცილობელი, გარდაუვალი უსასრულობა იმ მიუსაფარი ქუჩებისა, სადაც ჩვენ ყველანი დაგიბადენით და სადაც ერთ მშვენიერ დღეს უნდა მოგვადეთ. — და ეს ხომ შემზარავად უფრო მეტია, ვიდრე მარტოოდენ ქვების გროვა!

ჩაიარე ამ ქუჩებში და ცხენივით დაბერე ნესტოები: ეს სიცოცხლის სურნელებაა! ბავშვის სახეეეები, კამბოზო, ხავერდის დივანი, ხახვი, ბენზინი, ქალწულის ოცნებები, დურგლის წებო, ყავა, კატები, ნეშის წვერები, არაყი, ავტომობილების საბურავები, ტუჩის პომადა, — სისხლი და ოფლი — ეს სურნელია ქალაქის, სუნთქვავა სიცოცხლის: მეტია, გაცილებით მეტი, ვიდრე ქვების გროვა! ეს არის სიკვდილი და სიცოცხლე, შრომა, ძილი, ქარი და სიყვარული, ცრემლები და ნისლი!

ეს წაიღია ჩვენი ყოფნისა: ჰამბურგი!

თარგმანა ნიკო ლაღინაძე.





## კეჩე შეპათია

### ძმარს გული ნატყვიარი

ათასობით კომკავშირელი ახალგაზრდა მამაკურად იბრძოდა დიდ სამამულო ომში. დიადი გამარჯვების შემდეგ მათაც შეეძლოთ თანატოლებთან ერთად ყოფილიყვნენ ღირსეული მამები და სამაყო მოქალაქენი, შემოქმედებითი შრომის წარჩინებულნი, ფოლადის მღნობელი მუშა თუ ინჟინერი, ემრავლებინათ ქართული ოჯახი, მამულის ხეავი და ბარაქა, მოეყვანათ პური და ყურძენი, ჩაი და სიმინდი, ეშენებინათ ელექტროსადგურები და ცირტუსოვანთა ბაღები...

მაგრამ არ დასცალდათ, — ომმა, მამულის დაცვის დიდმა საქმემ მოითხოვა მსხვერპლი და ბევრი მათგანი შინ არ დაბრუნებულა... მათ მოასწრეს მხოლოდ ჯარისკაცად გახლამა, სპეტაკად ატარეს მამულოშვილის წმინდა სახელი, სიცოცხლის ფასად დაიცვეს სამშობლო, რათა დაემკვიდრებინათ მშვიდობა და მომავლის გზები გაეკაფათ თანატოლთა და თანამომეტოა შვილებისა და შვილიშვილებისათვის. მათი ურყევი მრწამსი იყო: — იცოცხლე და იბრძოლე დედამშობლოს სასახელოდ, ხალხის საბედნიეროდ!

ასეთები იყვნენ ისინი, ღირსეულად ატარეს ფრონტზე, ბრძოლაში, კომკავშირული ბილეთი და გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე.

ჩვენს წინ დევს ბრძოლაგადახდილი, ომის წინაღობისდელო ნიმუშის ხუთი კომკავშირული ბილეთი. აქ წარმოდგენილია მათი ფოტობირები, მაგრამ ეს ასლები ვერ ამბობენ იმას, რასაც გრძნობ, რასაც განიცდი, როცა ხელთ გიპყრია თვით ეს კომკავშირული ბილეთები. თითქოს დედსაც ტყვეისა და თოფისწამლის სუნი აქვს თვითველ მათგანს, გრძნობ მისი პატრონის,

ახალგაზრდა კაცის მაჯისცემას, გულის ძგერას, მის შემართებას, მის მედგარ წინსვლას, მტერთან შეჯახებას და ბრძოლაში გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულს; იმ მძიმე ტივილსაც მწვეველ გრძნობ, როცა ტყვიამ თუ ნაღმის ნამსხერვემა დასჭრა და თბილი, სპეტაკი სისხლით შეიღება ვაჟკაცის გულმკერდი, — „ჰაი, დედასა! რა დროს...“ რომ აღმოხდათ ფერდაკარგულ ბავთავანს... დიახ, ეს კომკავშირული ბილეთები უკვე დიდებულ მეომარულ რელიქვიად ქცეულან, მაგრამ ცოცხალი მოწმენი არიან სამშობლოსათვის თავდადებული ჯაბუკების გმირობისა და უკვდავებისა.

ძნელა მღელვარების გარეშე უცქირი ბრძოლის ქარცეცხლში გამობარებულ კომკავშირულ ბილეთებს! ზოგმა ის ომის წინ, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის დროს მიიღო და ასე ჩაღვა საბრძოლო მწყობრში, ასე ვაიდა იარაღით ხელში ბრძოლის ველზე და ვაჟკაცურად შეხვდა მტერს. ზოგს მორიგი საბრძოლო ამოცანის ჩინებულად შესრულების შემდეგ, სანგრებში მისცეს თანაოლკელმა კომკავშირულგზმა რეკომენდაცია კომკავშირის რიგებში შესასვლელად და იქვე, ცეცხლის ხაზზე საზეიმოდ ჩააბარეს კომკავშირული ბილეთი. ამიტომაცაა, რომ ზოგიერთის საწევრო წიგნაკში ფოტო არ არის ჩაყრული, მაგრამ თავად ამ ახალგაზრდის ჯარისკაცური ცხოვრება და მისი კომკავშირული ბილეთი მეტყველებენ ღირსეულ სახელსა და დიდებაზე.

კანონიერად შეუძლიათ იამაყონ მათმა მშობლებმა და საქართველოს კომკავშირმა, ასეთი შვილები რომ აღუზარდეს დედამშობლოს!

ზოგი მებრძოლის კომკავშირული ბილეთი

ავტომატის ტყეების დაუცხროლავს, ზოგს ქვე-  
მების თუ ნალმსატყორცნის ყუმბარის ნაშხერე-  
ვი მოხვედრია. ეს ნატყვიარი საბრძოლო შემა-  
რთების და მეომრული თავდადების უქცნობი  
ნიშანია, ახალგაზრდა მებრძოლი კაცის ქეშმა-  
რიტი მამულიშვილობის დასტურია!

ვინ არიან ეს ახალგაზრდა გმირები, კომკავ-  
შირის მიერ აღზრდილი მამულიშვილები, რომ-  
ელთა უყვადვ სახელსა და ღირსებას მუდამ  
პატივისცემით, მოწიწებით ახსენებენ მათი თა-  
ნაოლკელები და თანამემამულენი? ამ კითხვა-  
ზე, მათ ლამაზ ცხოვრებაზე, მათ თავგადასავალ-  
ზე, ბრძოლის ველზე გამოვლინებულ სამშობ-  
ლოს უსაზღვრო სიყვარულზე, ხალხის უანგარო  
სამსახურზე მოკლედ, მაგრამ მაკეთილ თვითონ  
მოგვითხონენ მამულისათვის თავდადებული  
ახალგაზრდა ქართველი ჭაირკაცების კომკავში-  
რული ბილეთები...

მძიმე ყოფილა ომში ნაადრევად დაეკაცე-  
ბულ ქაბუტთა ხვედრი და თავგადასავალი. მათ  
მხოლოდ ოცი გაზაფხული უნახავთ. უსაზღვ-  
როდ უყვარდათ სიცოცხლე, გამოდიოდნენ ცხო-  
ვრების ასპარეზზე. არავის უნდოდა სიკვდილი  
და არც არავის უფიქრია მისზე. ომის გზაზე  
სიცოცხლის სიყვარულით, მხნედ და იმედიანად  
მიაბიჯებდნენ... ამ გრანობით იყო გამსჭვალული  
მათი ფრონტული სამკუთხა ბარათებიც, —  
კარგად ვარ, ბიჭებიც კარგად არიან, მტერს ვუ-  
რტყამთ, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებაო!

აი, ისინიც, ახალგაზრდა ბატრიოტები:  
— ტურავა ალექსანდრე დიმიტრის ძე —

ზობის რაიონიდან. 1922 წელს დაბადებულ.  
1938 წელს შესულა კომკავშირში, კომკავშირუ-  
ლი ბილეთი — № 6172549, გააცემული საქართვე-  
ლოს კომკავშირის ზობის რაიკომის მიერ.  
უკანასკნელი საწევრო გადასახდელი ოქტომბერ-  
ში შეუტანია...

— გომური ირაკლი გიორგის ძე —  
დუშეთის რაიონიდან. 1923 წელს დაბადებულ.  
1939 წელს მიუღიათ კომკავშირში, კომკავშირუ-  
ლი ბილეთი № 6264065. 1939, 1940 და 1941  
წლებში საშუალო სკოლის მოსწავლე ყოფილა,  
ხოლო 1942 წლიდან მებრძოლია. მისი კომკავ-  
შირული ბილეთი ათ ადგილას ტყვიანობა დაცხ-  
რილული... იგი მხოლოდ 19 წლისა იყო მაშინ...

— კოტორიევილი ალექსანდრე ვარლამის ძე —  
მთიანეთის რაიონიდან. 1922 წელს დაბადე-  
ბული. კომკავშირის რიგებში შესულა 1940 წელს  
კომკავშირული ბილეთი № 12361950. 1942 წლი-  
დან ოცი წლის ახალგაზრდა მებრძოლი იფრონტ-  
ზე იყო. მშობლიურ კავკასიას იცავდა...

— კელაპტარიევილი გიორგი ლუკას ძე —  
1922 წელს დაბადებული. ჭარბი მიიღეს კომკავ-  
შირში, 1942 წლის ექვს ივლისს. კომკავშირუ-  
ლი ბილეთი № 14684430. ავესტოდან ბრძო-  
ლებში მონაწილეობდა... მხოლოდ სამი თვის  
საწევროს შეტანა მოუსწრია.

— ბოჩორიევილი ალექსანდრე მიხეილის ძე —  
ბმა — ბრძოლაში დაცემული მამულიშვილის  
უყვადების ამბავი!..

1919 წელს დაბადებული. კომკავშირელი 1939  
წლიდან. კომკავშირული ბილეთი № 5297370,





დონის როსტოვის ანდრეევის რაიონიდან ყოფილა...

ეს მოკლე, ძუნწი მონაცემებიც ბევრ რამეს გვეუბნებთან ამ ახალგაზრდა პატრიოტების თავდადებასა და მამაცობაზე.

იქნებ ამ ქაბუჯი გვირების თახტოლებმა, თანაპოკლებმა თუ, „წითელი კვლის შაძიებლებმა“ გვითხრან თავიანთი სათქმელს და სრულად აღვადგინოთ დაუეიწყარი ჭარისკაცების სახე და საბრძოლო დამსახურება..

სამშობლოსათვის თავდადებული ამ ახალგაზრდების კომკავშირულ ბილეთებზე შავი მელნით, მოკლედ აწერია: „დაიღუპა ბრძოლაში“. ამ წარწერაში გულისდამწველი აზრისა და ეაკატური შინაარსია! — მათ სიკაბუჯის წმინდა გულით, ღირსეულად შეასრულეს უწმინდესი ფიცი მამულის ერთგულებისა, თავიანთი მშვენიერი, ახალგაზრდული სიცოცხლე მსხვერპლად მიიტანეს დედასამშობლოს საკურთხეველზე!..

სამშობლოსათვის ბრძოლის ველზე თავდადებულთა უკვდავსაყოფად ვადიდოთ ახალგაზრდა მებრძოლთა ეაკატური გული და წმინდა სისხლი, რომელიც გვირთა ძარღვებში ჩქეფდა! მათთან ერთად იბრძოდა ფრონტზე კაჭკაჭირელი მწვერაფი, ზუგდიდელი შოთა ფიფია, ძველი ბოლშევიკის გაიოზ ფიფიას ღირსეული შვილი..

1942 წლის 8 ოქტომბერი. მიმიე და უჩვეულო თადარიგს შესდგომიან ქართველი მეომრები მთების კალთებზე, დაბა ბილიში, რათა მეომრული პატივისცემით მოძმეთა მიწას მიაბარონ ბრძოლის ველზე მამაცურად დაეცხული თანამოიარაღე. მეომრებთან ერთად აქ მოსულან თანაშემამულებთან ფრონტზე სტუმრად მყოფი ქართველი მწერლები: გიორგი ქუჩიშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, კარლო კალაძე,

სოლომონ თავაძე და ერემია ქარელიშვილი, რათა ძმურად, მშობლიურად გამოეთხოვონ საზოგადოებრივად, პატივი სცენ მის ნათელ ხსოვნას და თავდადებას.

ხელში აქაური, მთის შემოდგომის ყვავილუი უკირავთ, ქული მოუხდიათ და წუთიერი მღუმარებით აცილებენ მებრძოლ ახალგაზრდას უანასკნელ გზაზე... მათთან ერთად იქ მოსულან ექთანი ნინო ჩქია, ქირურგი ვასო ბაბუხაია და სხვები.

გულბილი გამოსათხოვარი სიტყვა თქვა უფროსმა პოლიტელმძღვანელმა ვასილ გრეკევმა... პატარა ფიცარზე მოკლე წარწერა გააკეთეს: „აქ განისვენებს სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლი შოთა ფიფია“. სალი კლდის ნატეხიც დაუდეს თავით!

თოფები ზეადმართეს მებრძოლებმა, ერთობლივი ბათქი მისცეს. ექომ შორს წაიღო ეს ხმა.

„გულმოგუგუნე, მქუხარე ჩანგიო დღეს თქვენს ბანაკში

ძმურად ჰოხუნლი, მოგესალმებით საგმირო პანგიო — თქვენი ბრძოლებით აღტაცებულნი: ნუმც დაგიხრიათ,

სისხლით ნაბანი, მებო, ეგ დრაშა,

რომ თქვენ — ფითლად კაშკაშა,

არწივებს საქართველოსას — მთანიც მოგძახიოთ

ვაქკატურ ვაშას!“

— ბრძოლაში შურის საძიებლად გაჭრილ გმირებს თან გააკავთ გიორგი ქუჩიშვილის აქვე, ფრონტზე დაწერილი ეს მებრძოლი, მხნე სტრაქონები...





# ჩვენი ალკიონაჟი

## მირონ მესხიელი

### არავისკირელი ქალიშვილები

ახლა იქ გაჩაღებული დოღია, „სულთამრავლობის ხანა“; საქონლის ბლავილი მოსდებია არემარეს, ნაზამორალ, ტაოაშლილ ძროხებს მწვანით შემოსილი მთები მოუხმობენ... მკლავდაკაპიწებულო, ჭანმაგარი დედაკაცები ჭიჭურ ჩაფრენიან ხსენიან ცურებს... მთელი სოფელი ფეტკრის სკასაიეთ აყრილა, აყრიამულეებულა, დიდპატარაიანა გამოსულა სათიბებსა და ყანებში. იჭრება ახალი სარწყავი რუები, ბელტებად გადადის სახორბალე მიწა... კვირაობით და უქმე დღეებში კერაზე შედგმულ კარდლებში იყრება და იხარება მსუყე ხაჭოს ხინჯალი. ფშაველო, ნაჭაფი მამაკაცები შუბლს გახსნიან, გადანახული ყიპიტაურის კათხებს ასწევენ, სადღეგრძელოს იტყვიან, ყველა კაიკას დალოცავენ და მოიგონებენ... სახელოვან წინაპრებს გადასწვდებიან, გადასძახებენ, სიტყვას ეტყვიან...

სოფლის უფროსს, ქაღაროსან კაცს, გასული საუკუნიდან მოსულს, მრავალჭირგამოვლილს, მრავალ უბედურებანახულს უხალისო აუგი წამოსცდება გარდასულისა:

— ზოგიერთს მხოლოდღა დღესასწაულები და ხატობა-ღბინები აგონდება... თუ გახსენება, ისიც გაიხსენე, შე ბედოვლათო, რაღაც უბადრუკი სამანის გულისათვის მშობლიური სოფლიდან რომ წამოგყარეს დედაბუდიანად, გუდრუხში გამოგაქციეს, ჰინჯარაული იყავი და აღარა ხარ... შენი წინაპრები ოდიოვან ფიცხელაურთა მოღმამსანი იყვნენ და გორთემამელები გახდით, ის გაიხსენე, ჭალაბში შიმშილი რომ სუფთადა და, მკლავმაგარსა და ჩანიანს, ოჯახზე თვალდადებულ პატიოსან აღამიანს ზმირად აღარ შეგეძლო ჩაგეცმია და გეცმია ბალღებისათვის, როგორც რიგია... ის მტრობა და სისხლისღერა, ომები და უბედურებაც გაიხსენე, თორემ ხატობა და ლუდის სპა ვის დაუწყებია. ახლა სულ სხვა დროა, თუ მკლავი გეყარვა და ღობეცოვრე გდებას არ ხარ დაჩვეული, არა გაგვიკირდება აღამიანს...

მერე იწყება კაფიობა, სიმღერა, სიცილი... ბოლოს შედიან სახლებში, დადილი სხეული დასვენებას ითხოვს, ჭრება სინათლეები, დღმილი ისადგურებს, რათა ხვალინდელ დღეს მეტი ხმაურით შეეგებონ, რათა არ გადაიწვას რიხიანოსი სიცილ-ხორხოცისა, კარგი სიტყვისა... მთები დუმან, სახლები დუმან, დუმილი გასულიერებულა... მხოლოდ არაგვი...

მხოლოდ არაგვი არ ემორჩილება დღეღამის კანონს. არაგვი თავის ძველისძველ კალაპოტში ძველისძველ სიმღერას მოიძღვრის, მამა-პაპათაჲ პაპისპაპათა რიხიან სიმღერას, ოდესღაც ისინი უსმენდნენ, ახლა ჩვენ ვუსმენთ ამ შემოძახისლს, ამ სიმღერაზე ტკილი არაა მოიძეება აღმათღუნიაზე და ვერც ერთი გართ გასული ფშაველი უმტკიუნეულოდ, სხვათაშორის ვერ მოიგონებს არაგვს, მთებში შეუქუთულ სოფელთა აე-კარგის მოზიარეს... შესაძლოა ყველა მდინარემ შეიკვლოს კალაპოტი, არაგვი არ შეიკვლოს, მაშინ იგი დაკარგავს თავის ხმას. შესაძლოა მკვიდრმა ფშაველმა მიატოვოს თავისი სოფელი, ვაჟს არაგვი კი არავად დაჩეხება...

\* \* \*

სათოღლავი სამჭროდან კონვეიერებით მოედინება სანართე ნელღული — ბამბისა და ვისკოზის პროცენტული ნაერთი. გრმელი, ორმხრავი სართავი მანქანები ინაწილებენ ბამბის გორვლებს. გოგონას თითები აწევა ელექტროლოლას. წამიც და, ირგელოვ ზრიალი ისადგურებს. დგანდვარებენ მანქანები, ელექტროდენი ყრუანტელად უვლას 312 თითისტარს. ისინი იწყებენ როცვას, ტრიალს, ფთილა იწყებება, იგრისებება და მასრაზე ეხვევა... მასრა ხორცს ისხამს, თანდათან მკვიდრდება, მსხვილდება, შეუმჩნეველად შედის „მწიფობის ხანაში...“

პატარა გოგონა ღიმილით მიდი-მოდის მანქანებს შორის...

— ჩვეულებრივად მრთველის ნორმას ექვე-  
სასი თითისტარი შეადგენს, ესე იგი ორი  
მანქანა... აი, ჩვენი საბედა ათასამდე თითისტარს  
ემსახურება — მეუბნება თბილისის სართავ-  
სატრიკოტაჟო ფაბრიკის № 2 სართავი საამქროს  
უფროსი ექტორი გამყრელიძე, შუახნის, სანდო-  
მინანი სახის კაცი. — საბედს თანასოფელი  
ეთერ სუარიშვილი კი — ათას ორას თითის-  
ტარს...

საბედა ხან იქ განდება — ხან აქ. წამით გაი-  
ვლევებს, თვალს შეავლებს მასრებს, გაწყვეტილ  
ძაფს მიამამს მისორსკლავს...

— ათას თითისტარზე დაახლოებით ათას  
ორასი წყვეტა მოდის... ეს იმ შემთხვევაში,  
თუკი საფთოვება საამქრომ კეთილსინდისიერად  
იმუშავა და მაღალ ხარისხის ნედლეუ-  
ლი მოგვანოდა. მაღალ ხარისხში იგულისხმება  
ბამბისა და ხელოვნური ნაწარმის — ვისკოზის  
პროცენტული ფარდობითობა; 100 პროცენტ ბა-  
მბაზე 18-20 პროცენტი ვისკოზა უნდა მოდიო-  
დეს... მაგრამ სიზუსტის დაცვა ყოველთვის არ  
ხერხდება, ეს კი, რა თქმა უნდა, მრთველის „კი-  
სერზე გადადის“... ხშირწყვეტიანობას სხვა ფაქ-  
ტორებიც განაპირობებს, მაგალითად, მანქანის  
უწყისეობა... შესაძლებელია, რომელიმე ლილ-  
ვაკმა, ჭანჭიკმა ისე არ იმუშაოს, როგორც საჭი-  
როა... მე იმისი თქმა მინდა, რომ მთავარი მანისც  
მრთველის ოსტატობაა... წამიერი უყურადღე-  
ბობაც კი საკმარისია, რომ ნართი ჩაიშალოს,  
თითისტარი მოცდეს და გეგმა ჩაგვიარდეს.  
საბედა და ეთერი ყოველთვის დიდი გადაპირბე-  
ბით სრულდებიან გეგმებს...

— ვინ დათვლის, რამდენ „რკიანს ეხაზათ“  
მანქანებში... — იღიბება საბედა, — ერთი  
წამის წინ ნანახი ნართი შეიძლება მაშინვე  
გაწყდეს, ამიტომ ჩქარა უნდა აკეთებდე შენს  
საქმეს... ჩქარა და ლამაზად. ძაფის აბმასაც გაა-  
ჩნია, ნართი ერთნაირად ჩამოქნილი უნდა  
იყოს... ჩვენგან იგი სხვა საამქროებში, სხვა ფა-  
ბრიკებში მიდის და, ხომ იცი... სინდისის საქ-  
მა...

— მოგეხსენებათ, პრემიაზე წარდგენა გემის  
შესრულებაზეა დამოკიდებული. — განაგრძობს  
საამქროს უფროსი, — ახალ ეკონომიურ რე-  
ფორმაზე გადასვლის შემდეგ პრემიების რიცხვ-  
მა საგრძობლად იმატა. ჩამოგიტოვით, თუ გე-  
ნაბათ:

1. საუკეთესო მრთველების, ბრიგადირებისა  
და ნართჩამომსწენელების პრემია. გაიცემა წელი-  
წადაში ორჯერ. მას ლებულოს ერთდროულად  
ორმოცდასთი საუკეთესო მუშა...

2. კვარტალური პრემიები ცვლებზე, კომპლე-  
ქტებსა და ბრიგადებზე.

3. თვიური დაავლების დროული შესრულება  
ნართის მიხედვით.

4. წლიური პრემია უწყვეტ სტაჟზე...  
როგორც ხედავთ, წამახალისებელი ფაქტორ-  
ებით საქმოდ მდიდარია ჩვენი ფაბრიკა. სა-  
ბედამ და ეთერმ კი თავისებური რეკორდები  
დამყარა — ოთხივე პრემიის მფლობელი გა-  
ხდნენ. ეს კი ნიშნავს, რომ მათი გასული წლის  
საშუალო თვიური გამოშვებებმა 170-180 მანე-  
თია. ას ოთხმოც მანეთს კი, მგონი თქვენი რე-  
დაქტორებიც არ ლებულობენ, ასეა, არა?..

— მშობლები ავადმყოფობდნენ და ცოტა  
გვიკირდა. ავადმყოფობაც რომ არა, ხუთი შვი-  
ლის რჩენა, ისიც მთის სოფელში, არ იყო იოლი  
საქმე. მე შეიღვებში ყველაზე უფროსი ვარ და  
ამიტომ ძალიან განვიცდიდი ყოველივეს, მიწ-  
დოდა რაღაცით მივშველებოდი ოჯახს, მაგრამ  
რა შემეძლო, მწყემსად ხომ ვერ დავდგებო-  
დი... ჩვენი სოფლის ოთხსულელი რომ დავმთავ-  
რე, ჩარგალიმ გადავედი სასწავლებლად. ჩარგა-  
ლი გულდრუხიდან საქმოდ შორსაა და ფეხით  
მიხდებოდა ყოველდღივად სიარული... მალე ჩირ-  
გლის შედრწლელიც მოვიტოვე, შვიდ კლასზე  
დარჩენას არავითარი აზრი არ ჰქონდა, საშუალო  
სკოლა ახლომანო არსად იყო, მე კი აუცილუ-  
ბლად უნდა დამემთავრებინა სწავლა... ნათესაე-  
ბი, მშობლები და მასწავლებლებიც მაქვს ზედ-  
ნენ, ჩემი ფრიალები წყალში გადასაყრელად  
არავის ემეტებოდა. უნდა მესწავლა, მაგრამ  
სად? როგორ?..

ოთახი ორსაწოლიანია, კოხტად მილაგებუ-  
ლი. ეუთხემი სარკიანი ტანსაცმლის კარადა  
დგას. იქვე, პატარა მაგიდაზე საყარევი მანქანა  
შემოუდგამთ. გართ, აივანზე ვარკებილი, გა-  
პრიალებული ჭურჭელი ალაგია. ყველაფერი  
ისე გამოიყურება, როგორც ოჯახში. „თბილი-  
სის სართავ-სატრიკოტაჟო ფაბრიკის საერთო  
საცხოვრებელი“ სახლად შემორჩენია კორ-  
პუსს. აივნიდან კარგად მოჩანს დიდი ქალაქის  
არტერიები, ახალშენებლობათა ხარაჩოები,  
წეროებითი აუღუყუღავებულ ამწეთა სილუე-  
ტები... შორს, შორს, ჩრდილოეთით, სიმწვანე-  
შერეულ მთათა კონტურები იხაზება... მთები...  
მთები...

— გულრუხში რა დავგრჩებოდა შეუშინეკელი,  
ხალიჩების ქსოვაზე კი ჭკუას ვკარგავდით. პა-  
ტარებს განსაკუთრებით დათუნებისა და მელი-  
ების ცქერა ვვიტაცებდა. რა სათუთად და ლა-

**მირონ მესტიელი**  
არაბმისიონი კალიგრაფი

მზად გამოჰყავდათ ისინი ფშაველ ქალებს. და-  
ზგის გამართვა თითქმის ყველამ იცოდა. საგან-  
გებოდ გამოთლილ ყდებს დააყენებდ-  
ნენ, კედელზე მიაყუდებდნენ, რვილებს მია-  
კრებდნენ, დაქსელავდნენ, გარას გაუყრიდნენ,  
გარავს ქეღს დაშვენადნენ, მერე ხეჩუქავდნენ.  
მოკაუტებელი ხის ჯოხით, ამოძრავებდნენ,  
ასწევ-დასწევდნენ, საბუკველით დაბუკავდნენ  
და... ხალიჩა მზად იყო.

ოთახის კედლებს ამშვენებდა:

- მინიანი,
- ირმინი,
- ერთმთავარიანი,
- ორმთავარიანი,
- ვაჭულეტოლმთავარიანი,
- და ცერულა ხალიჩები...

სალამობით ოთახის უფროსები პატარებს  
გვიყვებოდნენ ზღაპრებს იმ დათუნიებსა და  
ირმებზე, მგლებსა და იმდებზე, ხალიჩები-  
დან რომ იცქირებოდნენ. ხალიჩები ზღაპრე-  
ბად იქცეოდნენ — ლამაზ, იღვამლებით მოცულ  
ზღაპრებად და ჩვენს ხელში ისადგურებდნენ.  
ზამთრის ღამები აღარ იყო გრძელი. „ეს ხალი-  
ჩები ხომ დედამ მოქსოვა, როგორ გადაიქცენ  
ზღაპრად?“ — გვიყვირდა ბუშუებს. რა ვიყო-  
დით, ხალიჩის ქსოვასაც თუ ბრძენი მეზღაპრის  
უკიდევანო ფანტაზია სჭირდებოდა?..

საწვლის გაგრძელების საკითხი რომ დადგა,  
ამ ხალიჩებმა, ფარდაებმა და ჩოხებმა მიშე-  
ლეს. მაშინათვე საქსოვი ფაბრიკა გამახსენდა.  
„ქალაქში უამრავი საქსოვი ფაბრიკა, წყ-ლ-  
ვიმუშავებ, თან ვისწავლი, თავსაც ვირჩენ-  
— გამიღვება თავში. სასაცილოა, მაგრამ მაშინ  
მეგონა: ფაბრიკაში ქსოვილებს ისეთსავე და-  
ზგებზე და ისევე ქსოვდნენ, როგორც აქ —  
გუდრუხში...“

და ჩამოვედი კედელზე...

\*\*\*

— ჩვენს ფაბრიკაში ხუთთათსზე ბეტი კაკუ  
მუშაობს. მოწინავე კომკავშირელი უამრავი  
გვეყავს, რომელი ერთი დავისახელოთ. ეთერი  
სუარიშვილისა და საბედა გორთემაშვილის გი-  
მორჩევა მაინც შეიძლება. ორივე ფშაველია, სო-  
ფლო გუდრუხიდან მოვიდა... ჰო, სართავი საა-  
მერო ფაბრიკაში ყველაზე ძნელი უბანია და  
ახალგაზრდობა დიანტერესდებოდა, თუ კარგ-  
დასწრდით მათზე... თქვენი თვლით ნახეთ  
ვოგონები და დარწმუნდებით ამაში... — ამბობს  
კომბინატის დირექტორი გიორგი შარქიაძე... —  
ეს ვოგონები ფაბრიკას პროფტექნიკურმა სას-  
წავლელებმა გამოუტანა...“

\*\*\*

— პროფტექნიკუმის მერე საშუალოც დავა  
მთავრე... დღისით ვმუშაობდი, დამე ვსწავლო-  
ბდი... რა იქნა უნდა, ხელი მეშლებოდა, მაგრამ  
ფაბრიკის დირექტორი, კომკავშირის კომიტე-

ტი, ყველა, ვინც მიცნობდა, რითაც შემი-  
ლო მანუგეშებდა და მეხმარებოდა... შენგებდა  
ბის, ამხანაგების თბილი სიტყვა ბეჭის ხისხავა  
ჩემთვის... აი, ამ ორსწოლიან ოთხშიც ფა-  
ბრიკის კომკავშირის კომიტეტმა შემასახლა, რო-  
გორც მოწინავე... სამინიო პირობები კარგე კა-  
რგია, გვაქვს ტელევიზორი, ველებულობთ ეურ-  
ნალ-გაზეთებს... ხელფასს ვერც ერთი ჩვენი-  
განი ვერ დაემტრება... მე, მაგალითად, ბევრი  
აღარ მჭირდება... ზონილ-პიანოებისათვის  
არა მცდება ჯერხობით, არცა მაქვს უფლება,  
ჩემს თავს იქით ველარავის ვხედავდე... გუდრუ-  
ხში ხომ დიდი ოჯახი დარჩა, ოჯახი, სადაც  
ოთხი ბავშვი იზრდება... ბავშვებს კი სჭირდ-  
ბათ რძე და პური... რძე და პური, რომ ნაღ-  
რევედ არ დაკაცდნენ...“

\*\*\*

— გამარჯობა საბედა... — ცვლის გადასაბა-  
რებლად მოვიდა ყვარული თამრიკო არაბული.

— ამა შენ იცი... — ხელს უსვამს სართავ  
მანქანას საბედა... — აქ ყველადფერი რიგზეა...

— მოდიხარ, საბედა? — ელოდებიან ამხ-  
ნაგები: იზაიდა შუკიკიძე, ბაბუია ხამიტაშვი-  
ლი, ელისო ქავთარაძე, მაცყალა გულბათაშვი-  
ლი, ნორა ჩაჩანიძე...

— გამარჯობათ, გამარჯობათ... — ესალმე-  
ბიან მეორე ცვლის მუშები შინ მიამავალთ... ხუ-  
თათისი „გამარჯობა“ ითქმის ყაბრიკაში... ხუ-  
თათისი „ნახვამდის“.

ტკბილად, ღიმილით, ხალისიანად ესალმებიან  
და ეშმივდობებიან ერთმანეთს მუშები...

\*\*\*

— ბინაში ფულს არ ეიხდით... ეს კი დიდი  
შეღავათია... სალამობით, კვირაში სამჯერ, მო-  
სამზადებლად კურსებზე დადივართ... შარშან არ  
გამიმართლა, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვა-  
ბარებდნე ჩემი პროფილით, წელს იმელი მაქვს...  
მე და ეთერის, სხვათაშორის, ერთი ბელი დაგ-  
ეყვა, მოვდივართ ერთ ჯგუფს. ერთი ბილიკით,  
ერთი სათავიდან. თითქმის ღლე არ გავვიტრე-  
ბია უერთმანეთოდ. პროფტექნიკური სასწავლე-  
ბლისა და საშუალო სკოლის მერხებზე გვერდა-  
ვევრდ ვისხედით, შინ ერთად ვბრუნდებოდით  
და ერთ ჰერტეშ ვიძინებდით... პირველი შემო-  
ხვევა, კიდე ხნით რომ დაგვირდით... ეთერი  
კომკავშირმა პოლონეთში გაგზავნა ტურისტუ-  
ლი საგზურით, როგორც მოწინავე ახალგაზრ-  
და, იგი მართლაც შეუღარებელია, ოთხ დაზგას  
ჩვენს საამქროში მის გარდა ვერავინ პატრო-  
ნობს... ერთი ბელი დაგვეყვა-მთქი, არც იმას  
გაუმართლა გასულ წელს, უცხო ენებზე აბა-  
რებდა... მაგრამ არა უშავს, მომავალს იმედს  
თვლით ვუყურებთ... ჩვენს ღელის გავიტანო,  
როგორც იქნება, თორემ არ გვაპატიებენ. გუდ-  
რუხი არ გვაპატიებს, ჩარგალი და საფშალოს  
მთები გვიწყენენ, არაგვი დაგვემტრება... მთე-

ბმი კი ზმირად ავდივართ ხოლმე, გული არ გვითმუნს, ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლამ გვიშველა... ნათესაეების, მშობლებისა და დაძმობა ნახვის წყურვილს ვეკლავთ... გამგზავრების მოლოდინი ქალაქში ჩამობრუნების მეორე დღიდანვე იწყება... დღეები სწრაფად ჩაქროლებენ, კვირებად დახვადებიან და... სანაპიროს ავტოსადგურიდან გაუღდება ჩრდილოეთისაკენ ცხვირა ავტობუსი... და აი, ჩვენ ისევე შინა ვართ... ბავშვებს საჩუქრებს ვურიგებთ, დანაზოგ ფულს ვუბრუნებთ დედას. განა ეხალინებათ გამორთმევა, — შვილო, თავს მიხედე, ქალაქში წყალიც ფულზეაო... მაგრამ, ასეა საქირო....

\* \* \*

ასეა... ყოველგვარი პირადული და „ჩემი“ ექვემდებარება საერთოს, „ჩვენს“. ესაა ძირეული წესი ჩვენი ცხოვრებისა. ასე, ერთმანეთის ხელის ბანით მოდიოდა ქართველი ხალხი უძველესი დროიდან.

რა შეედრება იმას, რომ შენი ადამიანური ვალი მოიხადო ქვეყნის წინაშე, ყველასა და ყველაფრის წინაშე. რამეთუ ქვეყნიერებამ, ყველამ და ყველაფერმა შეგქმნა და ფრთები გიბოძა შენ — უნდა ზიდო შენი საწვევარი, ვიდრემდიონსი ძალგძს... აი, მაგალითად, საბედა...

\* \* \*

— ყველას, ვინც დაზგებს ვუბრიალებთ, ორი სახლი, ორი ოჯახი გვაქვს, ოჯახი, სადაც დავიბადეთ და, ოჯახი — სადაც ვმუშაობთ, სადაც ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს და სადაც აშკამად ვცხოვრობთ. ჩვენი ძალები და სახსრე-

ბი თანაბრად, საქიროებისამებრ იხარჯება ორ-ერთად თავზე. მართალია, ძნელია, მაგრამ ზომ ვიციტ, იოლი რაცაა.. რამდენი საოცარი, დიდი საქმე გაკეთებულა, ახალგაზრდობა დიდი საქმეებისათვისაა მოწოდებული... და გაკეთდება უფრო მეტი...

\* \* \*

საერთო საცხოვრებელში უცხოთა შესვლა აკოპალულია. კორპუსის მორიგეში, შავგვერდებში კაცმა საბედის გადახელა, გაუღიმა, მერე შე მომმართა:

— მიბრძანდით, მიბრძანდით, საბედა ისეთი ვოგოა, რომ... — აღარ დაამოაერა ბოლომდე. „მაინც როგორი ვოგოა?“

\* \* \*

ახლა უკვე ვიცი, როგორი ვოგოცაა!..  
 — ნახვამდის საბედა...  
 — იარს ჩაგაცილებთ .  
 -- არ მინდა, დაისვენეთ.  
 — არა, ჩამოგყვებით...

\* \* \*

...ახლა იქ გაჩაღებული დოლია, „სულთამრავლობის ხანა“. საქონლის ბლავილი მოსდებია არეშარეს. ნაზამორალ, ტოაშლილ ძროხებს მწვენით შემოსილი მთები ეძახიან... მკლავიკაპიწებელი, ჭანმაგარი დედაკაცები ჭიჭურ ჩაურენიან სხენიან ცურებს... ფშაველი მამაკაცები დოლფარებსა და საბატკნებს აკოწიწებენ ლაფარობში...

ახლა იქ ვაქას მთები ფიქრობენ და ღმუის ძეგლი არაგვი...!





გუგამ ასათიანი

## «მერანი» და მისი ავტორი

წერილი პირველი

რომანტიზმის სულმა ჩვენს სამყაროს ახალი ეპოქის გარიყრაეზე გადაუქროლა...

ეს იყო განახლების ნიშანი და ყველგან, სადაც კი მისი ქარიშხლიანი სუნთქვა მისწვდა, ნისლგადაყრილი მწვერვალებივით აღმოცენდნენ პოეზიის უცნაური კმნილებები.

ახალ დროთა დადგომა კაცობრიობას ტიტანურმა პიროვნებებმა ამცნეს.

მათი უკვდავი ამბოხი, ქედუხრელობა, შეუფრთხელებელი ზიზღი ძველი სამყაროს ყველა მონური ცრურწმენისადმი, თავდავიწყებული სწრაფვა მომავლისაკენ და წინათგარჩობის განსაკუთრებული ნიჭი, მათი ტრაგიკული ოპტიმიზმი — ბიბლიურ დროში დანთებული უქრობი სვეტიცონ გზას უნათებდა თავისუფლებისათვის მებრძოლ რაინდებს.

ამ ახალი სულიერი ფორმაციის აღამიანებზე ხშირად ამბობდნენ, რომ მათ მეტეორებივით გადასერეს პოეზიის კაბადონი. მართლაც, ბევრი მათგანის გამოჩენა სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა თანამედროვეთათვის. მათი ცხოვრების გზაც უცეკარი და ხანმოკლე იყო.

მაგრამ გამოხდა ეამი და ჩვენ ვხედავთ, რომ რომანტიზმის სული უკვალოდ არ დაფერფლილა.

წინაპართან განაღებული შთაგონების დიდი ხანძარი დღემდე კაშკაშებს და, როგორც მალალი სამხეცარპლო ქურა, ახალ ზეარაკს მოელის მზისმაძიებელთა ამაყი მოდგმისაგან.

რომანტიკოსებმა გაა გაუკვალეს „შემდგომად მაგალ“ მოამეთა თავგანწირულ სულისცეცებას. მათი პროტესტანტული მსოფლმხედველობა, მათი რევოლუციური მაქსიმალიზმი, მათი ცრემლი და სისხლი ახალ ენერგიაში გადაიღვარა და აღამიანთა დიდი მასების მოძრაობას მისცა ბიძგი.

ბაირონისა და ჰიუგოს მიერ შექმნილი წინასწარმეტყველური სახეები მთელი XIX საუკუნის მანძილზე შთაგონებდნენ ევროპის

ბარიკადებზე მღვარ მეამბოხეებს. ლერმონტოვის „თეთრი იალქანი“ თვითმპყრობელობასთან შეუფრთხელებელი ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. ხოლო „მერანის“ ავტორის მოწამებრივი ხვედრა შურისგების წყურვილით ანთებდა ქართველ რევოლუციონერთა სახელოვან თაობებს.

აღამიანები, რომელთაც შესძლეს ნანგრევებად ექცათ ძველი სამყარო, გამსჭვალულნი იყვნენ კაცობრიობის რევოლუციურ წინამძღოლთა მიერ დანერგილი რომანტიკული სულისცეცებით.

სიძნელე მათ მიერ განვილი გზისა გააადვილა წინამორბედთა რაინდულმა შეუპოვრობამ.

სწორედ ამ აღამიანთა შესახებ წერდა ვ. ი. ლენინი: «Величайшая почесть, о которой мечтали революционные вожди человечества, оказалась их достоянием:

Эта почесть состояла в том, что по телам доблестно павших в бою товарищей прошли тысячи и миллионы новых борцов, столь же бесстрашных, обеспечивших этим героизмом массы победу»<sup>1</sup>.

რომანტიზმი, როგორც სამყაროს პოეტური ხედვის თავისებური ფორმა, მნიშვნელოვან გარდატეხას მოასწავებდა კაცობრიობის მხატვრულ აზროვნებაში.

ამ მიმდინარეობის მოწინავე წარმომადგენლები ხელოვნების მთავარ დანიშნულებას ხედავდნენ არა მხოლოდ ობიექტური რეალობის ზუსტ ასახვაში. მათთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო მხატვრული შემოქმედების აქტიური, გარდაამქმნელი, რევოლუციური მისია.

რომანტიკოსთა ენაზე მხატვარი არის შემოქმედი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რადგან იგი ქმნის ახალ რეალობას. შემოქმედების ამ ჰუმანიტარული აქტიუ ხელოვანი ეფუძლება

<sup>1</sup> В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 37, стр. 171.



გარე სამყაროს. ადამიანის თავისუფალი ნება იმარჯვებს აუცილებლობის ბრმა ძალბზე და მათ თავისი მაღალი მოთხოვნები მიხედვით წარმართავს.

ამ თვალსაზრისით — ხელოვნების აქტიური მისიის ამ ღრმა განცდილობა და რწმენით — რომანტიკოსთა მემკვიდრეობა განსაკუთრებით ახლობელია ჩვენთვის. რადგან სწორედ ჩვენმა დრომ გახსნა რეალური პერსპექტივები ადამიანურ ზრახვათა ზღვარდაღებელი განფენისა და ობიექტივიზაციისათვის.

რომანტიკოსებმა თავისი შემოქმედების მთავარ საგნად აქციეს კაცობრიობის თანდაყოლილი სწრაფვა უსასრულობისაკენ, მისი ახლის ზეიადი, ოკეანისებრი მიმოქცევა, მისი ამაყი სიზმრები, განახლების ურყევი რწმენა და შემოქმედელ ფანტაზიის განსაცვიფრებელი უნარი.

რომანტიზმი ნიშნავდა და ნიშნავს იდეალისადმი თავდადებულ, უკომპრომისო ერთგულებას. ამის გამოც იგი განსაკუთრებით ახლობელი და საცნაური თანამედროვე ადამიანის თვითშეგნებისათვის, რადგან ყოველდღიური ყოფის, ემპირიული სინამდვილის წვრილმანთა მიღმა იგი საშუალებას გვაძლევს მკაფიოდ გავარჩიოთ მთავარი, არსებითი — ამქვეყნიური ღწვისა და ბრძოლის ნამდვილი აზრი.

ასეთი რწმენის გარეშე შეუძლებელია თვით იმ სოციალური სინამდვილის არსებობა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. რადგან ეს უკანასკნელი, როგორც ახალი სინამდვილე, როგორც ადამიანთა ურთიერთობის მანამდე უცნობი, უჩვეულო, პრინციპულად განსხვავებული ფორმა, წარმოიშვა ჰუმანურობის ყველაზე მაღალი იდეალისადმი ლტოლვისა და მასობრივი ჰეროიზმის უმძლავრეს ტალღაზე.

როგორც ცნობილია, რომანტიზმის მხატვრულმა მოძღვრებამ თავისი აღმოცენების პირველი დღიდანვე საფუძველშივე უარყო ე. წ. კლასიციტური ხელოვნების კოსმოპოლიტური სული. საკვირველი არ არის, რომ ეს ახალი მოძღვრება განსაკუთრებით ცხოველ ძალას იძენს ჩვენს დროში, როდესაც ეროვნული თვითგამორკვევისა და თავისუფლების იდეა საყოველთაო მოძრაობის დროშად იქცა.

„რომანტიზმი, — მისი ერთ-ერთი პირველი მანიფესტის ავტორის, სტენდალის სიტყვით, — ნიშნავს, მიაწოდო ხალხებს იმგვარი ლიტერატურული ნაწარმოებები, რომელთაც, ამ ხალხთა ზნეჩვეულებებისა და რწმენის თანადროული მდგომარეობისამებრ, შეუძლიათ მათთვის ყველაზე მაღალი სიამოვნების მინიჭება“<sup>1</sup>.

..... რას შეტყვევებს რომანტიკული თეორია:

ყველა ხალხს უნდა ჰქონდეს თავისი გან-

საკუთრებული, საკუთარი ბუნების შესატყვისი ლიტერატურა, ისევე როგორც ყოველი ჩვენთაგანი საკუთარი სხეულისათვის შესაფერ სამოსის ირჩევს“<sup>2</sup>.

ეროვნული თვითმყოფლობის ეს უაღრესი განცდა ახალი დროის ქართულ პოეზიაში ნიკოლოზ ბარათაშვილმა შემოიტანა.

მის მიერ მოხდენილი პოეტური რეფორმაციის ერთ-ერთი ძირითადი ქანქატი სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ქართული ლექსის შინაარსი და ფორმა საბოლოოდ განწმენდილიყო არაორგანული ლიტერატურული გავლენებისაგან და ნაციონალური გულისთქმისა და აზრის შესატყვისი იერი შექმნიდა.

ბარათაშვილის შემოქმედებაში თავისი წმინდა, აუზღვრეველი სახით გამოიხატა ქართველი ხალხის პოეტური გენია, მისი სულის ახალი თრთოლვა და ეპოქისეული განწყობილებები.

მართალია, „მერანის“ ავტორის ენა, სპეციალისტების რწმენით, უხვად შეიცავს არქაულ ელემენტებს, მაგრამ პოეტური მეტაფორების ფორმა ბარათაშვილის შემოქმედებაში მაინც აშკარად ნოვოტორულია, რადგან იგი, როგორც მთლიანი პოეტური სტილი, მხატვრული აზროვნების თვისობრივად ახალი პრინციპების რეალიზაციას მოასწავებს. როგორც მხატვრული ხერხი, ეს იყო ერთადერთი შესაფერისი საშუალება ეროვნული თვითშეგნების ისტორიული შინაარსის გამოსახატავად.

ბარათაშვილის შემოქმედების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა, მის მიერ შექმნილი სახეების ფართო რეზონანსი, მისი ადგილი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრულია პოეტის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის ორიგინალობით.

რომანტიკულმა მიმდინარეობამ ყველა ქვეყანაში განსაკუთრებული ნაციონალური ელფერი მიიღო, ყველგან, სადაც კი მას შესაფერისად მყარი კულტურული ფუძე დახვდა.

ბაირონის შურისმგებელი გმირები, ლეოპარდის აზიელი პასტორი, მიცკევიჩის ფარისი, ბარათაშვილის მერანი ერთი ეპოქის ტივილმა და სულისკეთებამ აღმოაცენა, მაგრამ ამ ტივილს ხშირად სრულიად სხვადასხვაგვარი მიზეზი ელო საფუძვლად.

ამის გამო, ვიდრე ქართველი პოეტის მემკვიდრეობას ეპოქის საერთო ლიტერატურულ პროცესთან კავშირში ვაჩვიხილავთ, ჩვენთვის აუცილებელია მისი შემოქმედების ეროვნული სათავეებისა და იმ შესაბამისად განსაზღვრული ადგილის დადგენა, რომელიც მას ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში გაუკუთვნება.

2 იქვე, გვ. 111.

**გურამ ასათიანი**  
„მერანი“ და მისი ავტორი

<sup>1</sup> Стендаль, собр. соч. в 15 тт., т. VII, стр. 26.



არსებობს აზრი, რომ ბარათაშვილი უცხო მოვლენაა ქართულ პოეზიაში. ეს შეხედულება ჭერ კიდევ გასულ საუკუნეში ჩამოყალიბდა.

1881 წელს ეურნალი „ივერია“ წერდა: „ჩვენს ლიტერატურაში ბევრს ნიკოლოზ ბარათაშვილი მართოდ მართო ჰგონია; ბევრსა ჰგონია, რომ ეს პოეტი რაღაც უდნაური მოვლენაა და რაც იმის ლექსებში გამოხდა და აზრის გამოთქმული, საქართველოს ნიადაგზედ არ არის აღმოცენებული“<sup>1</sup> (დაყოფა ჩემია, გ. ა.).

ასეთ შეხედულებას უთოვოდ ჰქონდა თავისი ობიექტური მიზეზები. მეტად აშკარა იყო სხვაობა, რომელმაც ბარათაშვილის პიროვნება იმთავითვე მკვეთრად გამოარჩია თავისი დროის ლიტერატურულ ფონზე. მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილი მაინც კანონზომიერი მოვლენაა ჩვენი ეროვნული კულტურის ისტორიაში და მთელი მისი შემოქმედება უპირველეს ყოვლისა (მიუხედავად დასავლურ ლიტერატურასთან აშკარა შეხმანებისა) სწორედ საქართველოს, ქართული მწერლობის „ნიადაგზედ არის აღმოცენებული“.

ქართული რომანტიზმის ისტორია (თუ ამ ლიტერატურული ტერმინის ფართო მნიშვნელობას ვიგულისხმებთ) შეიძლება დაიწყოს ძველი ქართული სასულიერო პოეზიის პირველი ნიმუშებიდან.

არსებობს მთელი რიგი მოტივებისა, ზომლებიც სათავეს სწორედ ამ წყაროებიდან იღებენ, შემდეგ გადააზრებულ სახით გვხვდებიან რუსთაველიდან — უფრო გვიან ალორძინების ხანის პოეტებთან, საბოლოოდ ყალიბდებიან გურამიშვილის პოეზიაში და ამკვარი გზით XIX საუკუნემდე აღწევენ.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულ სასულიერო პოეზიას, კერძოდ ჰიმნოგრაფიას საფუძვლად დაედო ბიბლია — ძველი და ახალი აღთქმის რელიგიურ-ფილოსოფიური კონცეფცია და კონკრეტული წარმოდგენები.

ქართული „დაბადება“ მეტად მნიშვნელოვანი წყაროა ბარათაშვილის შემოქმედებისა. არსებობს ბარათაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების მთელი კომპლექსი, რომლის საბოლოო ამოხსნა პრაქტიკულად შეუძლებელია ამ პირველწყაროდან მონდინარე ნაკადის გაუთვალისწინებლად.

ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც რომანტიკოსი, ამ თვალსაზრისით გამოწვევის როლი წარმოადგენს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

XIX საუკუნის ევროპული რომანტიზმისათვის ბიბლია — საერთოდ ქრისტიანული ლიტერატურა იქცა თითქმის ისეთივე მნიშვნელობის წინამძღვრად და საყრდენად, როგორცა ე. წ. კლასიციკლური მწერლობისათვის ანტიკური ხელოვნება წარმოადგენდა (ნიმანდობლივია, რომ

რომანტიკოსებმა ელინური სამყაროდან კუთრებული ყურადღებით გამოარჩიეს მხოლოდ ერთი პერსონაჟი — ოლიმპიელთა მიერ მოკვეთილი, კაცობრიობისათვის წამებული პრომეთე).

ქრისტიანული მწერლობა იყო ძირითადი არსენალი რომანტიკოსთა მრავალრიცხოვანი ლიტერატურული რემინისცენციებისა.

ბიბლიური წარმოშობისა, კერძოდ, რომანტიკული პოეზიის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა — სატანის, ლიუციფერის, დემონის, „სული ბოროტის“ სახე.

ახალი დროის რუსულ პოეზიაში ბიბლიური პირველწყაროს ანაბეჭდები უხვად მოიპოვება პუშკინისა და ლერმონტოვის პოეტურ ქმნილებებში.

ამ თვალსაზრისით ქრესტომათიულ ნიმუშს წარმოადგენს მათი ორი, ერთი და იმავე სახელწოდების ლექსი: „Пророк“.

პუშკინის „წინასწარმეტყველის“ სიმბოლიკის საფუძვლად უდევს, კერძოდ „ესაიას წინასწარმეტყველებიდან“ ნასესხები ხილვა ღმრთისა და მისი ექვემდებარე ანგელოსისა.

ძველი და ახალი აღთქმიდან ნასესხები წარმოდგენები, ახალ-ჩვეულებანი და სახეები გამოყენებულია აგრეთვე ლერმონტოვის „წინასწარმეტყველში“ და თავისებურ ელფერს აღწევს მთელი ამ ლექსის სტილი.

„ესაიას წინასწარმეტყველების“ კვალი შემჩნევა ბარათაშვილის ლირიკაშიც. საერთოდ, მის პოეზიაში მკვიდრად არის შესული ბიბლიური ნაკადი („წიგნი იობისა“, „წიგნი სიბრძნისა სოლომონისა“, „სახარება“). მაგრამ განსაკუთრებით ხშირად ძველი აღთქმიდან ბარათაშვილი მიმართავს „ფსალმუნს“ („დავით წინასწარმეტყველესა და მეფისა გალობას“) და „ეკლესიასტის“.

ბარათაშვილი პირველი ქართველი პოეტი არ ყოფილა, რომელიც ამ წყაროს დაეწევა. არ უნდა დაგავიწყდეს, რომ მას წინ უსწრებდა გურამიშვილი, ხოლო ათეული საუკუნით აღრე ქართულ პოეზიაში ბიბლიური წარმოდგენები და განწყობილებები უკვე ცოცხლობდნენ და ვითარდებოდნენ მთლიან პოეტური სისტემის სახით.

აკად. კ. კეკელიძის სიტყვით: „თუ ჩვენ ავიღებთ უძველესი ხანის საეკლესიო სტილის მწერლობას, დავინახავთ, რომ იობის წიგნისა და ეკლესიასტიის კავშირი ლეიტმოტივია მისი“<sup>2</sup>.

ლიტერატურის ისტორიკოსისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამა თუ იმ შემოქმედებში და მსოფლმხედველობრივი მრწამსის რაობა, არამედ მისი ჩამოყალიბების კონკრეტული მასტიმულირებელი ფაქტორები, მისი ისტორიული გენეზისი.

<sup>1</sup> ქ. „ივერია“ 1881 წ. № 7.

<sup>2</sup> საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, III, 1963 წ. გვ. 153.





რელი წიგნი იყო არა მხოლოდ ძველი საეკლესიო პოეზიის წარმომადგენელთათვის, არამედ საერო მწერლობისთვისაც. მისი კვალი ჩანს „ვეფხისტყაოსანში“ (იხ. ქვემოთ), აღორძინების ხანის პოეზიაშიც; გურამიშვილთან მოიპოვება ამ წყაროდან მომდინარე მთელი რიგი აშკარა რემინისცენებისა.

ტაძრის დამხობის მოტივი ბარათაშვილის ლირიკაში შეიძლება შემოქრილიყო ესაიას დრამატული ხილვების ზეგავლენითაც, სადაც ზედზედ ეცემიან და პირისაგან მიწისა აღიგვენიან ძველისძველ ქალაქთა ბუენი, ტაძრები და კერბთა ქანდაკებანი:

„აჲ დამასკო აღებულ იქმნეს ქალაქთაგან, და იყოს დაეცემულბად. დატევებული უჯუნი-სამდე, სამწყსოთა და განსაჭმწმებლად...1  
„დაეცა ბაბილონი, და ყოველი ქანდაკებულნი მისნი და ჯელით ქმნულნი მისნი შეიმუსრნეს ქუჭყანად მიმართ...2  
„დაეცა ბილ შეიმუსრა დაგონ, იქმნეს ქანდაკებულნი მათნი მკეცად და საცხოვრად...3 და სხვ. (შდრ. „გაქრა ტაძარი და უდაბნო ჩემდა მღუმარებეს“).

რაც შეეხება თვით „ტაძრის“ სახეს, აღსანიშნავია, რომ ეს უცანასკნელი დავითის გალობაში გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობით წარმოგვიდგება, როგორც ღვთის—უზენაესი სულის სამყოფელი, და ამ სახით არაერთგნის, შეიძლება ითქვას, **მეთოდურად** მეორდება (ამ მხრივ „დავითნი“ ერთგვარად გამოირჩევა „დაბალების“ სხვა ტექსტებისაგან).

მოგვაქვს სათანადო ადგილები:  
„ჭირსა ჩემსა ვხადე უფალსა და ღმრთისა ჩემისა მიმართ ღალად ვყავ, შეისმინა **ტაძრით წმიდით** მისით ხმისა ჩემისა, და ღალადება ჩემი მის წინაშე მიიწიოს ყურთა მისთა“4. „ისმინე უფალო კმა ვედრებისა ჩემისა, ვედრებასა ჩემსა შენდამი, აღპყრობასა კელთა ჩემთასა **ტაძრისა** შენისა მიმართ **წმიდისა**“5. „ქმამან უფლისამან განამტყიოს ირემნი, და განცხადანის ზღნარანი, და **ტაძარსა წმიდასა** მისსა თქუას ყოველმან ვინ დიდება მისი“6 „...მოყვასი მისნი მიგერთუნენ შენ, მიგერთუნენ შენ გალობითა და სიხარულითა, და შეიყუანენ იგინი **ტაძარსა მუღუფისასა**“7.

დავითის საგალობელშივე ვხვდებით ღვთაებრივი ლამპრის (სანთლის) ანთების მოტივსაც: „რამეთუ შენ აღმინითა სანთელი ჩემი უფალო, ღმერთო ჩემო, განმინათო ბნელი ჩემი“8. ამ მოტივის განვითარებას ვხვდებით ქართულ სასულიერო პოეზიაში, კერძოდ, იოანე მტკეპეა-

თან: „სოკლიერნი აღანთენ შენ **ლამპრებსა** (დასდებულნი წმიდისა ევეთმისნი — **ღმრთისა** ბარათაშვილის: „მუნ ერთო მარად უქრობელი, წმიდა ლამპარა“9).

აღსანიშნავია აგრეთვე ის ადგილი „დავითნი-დან“, სადაც განცხადებულია უზენაესის გულთამილიავე ძალა: „უფალო შენ წინაშე არს ყოველი გულის თქმა ჩემი და სულთქმა ჩემი შენგან არა დაეფარა“8.

სწორედ ეს წარმოდგენა, რომელიც შემდგომ ქრისტიანული რელიგიისა და ღვთისმსახურებას ქვაკუთხედად ლეცა, საფუძვლად უდევს ბარათაშვილის ლექსის „ჩემი ღოცვის“ უცანასკნელ სტროფს:

„გულთა-მხილავო, ცხად არს შენდა გულისა სიღრმე;  
შენ უწინარეს ჩემსა უწყყო, რაც ვიზრახო მე...“

დაეუბრუნდეთ „წმიდა ტაძრის“ მოტივს. როგორც აღვნიშნეთ, „დავითის გალობაში“ ამ სახეს გარკვეული შინაარსი აქვს: „წმიდა ტაძარი“ ღმრთის — უზენაესი სულის სამყოფელია. ბარათაშვილთან მისი სიმბოლური გააზრება **ითი-ქმის** იგივეა; მაგრამ „ითიქმის“-ს, ამ შემთხვევაში, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. რადგან აქ ჩნდება პირველი ზნარი, რომელიც თანდათან ღრმა, გადაულახავ უფსკრულად გაწევა და სამუდამოდ დააშორებს პოეტის სულიერ სწრაფვას ქრისტიანული ღვთისმეტყველების ძირითად კონცეპტუალურ წარმოდგენებთან.

„ტაძარი“ ბარათაშვილის ლექსში არის არა მხოლოდ უზენაესის სამეუფო, არამედ „სოფლის ღელვისაგან“ განწმენდილი, ციური სიამიანი „აღვსებული“, ამადლებული სულის „შესაფარიც“.

ეს მეორე — პიროვნული, სუბიექტური ნაყადი აქ თანდათან პირველ პლანზე გამოდის და დომინანტურ ადგილს იკავებს.

პიროვნული განცდები რელიგიურ სამოსელშია გახვეული („მუნ გუნდრუქის წილ შეესწირავდი წმიდას სიყვარულს“ და სხვ), მაგრამ თავისი შინაარსით ისინი ცოცხალი ინდივიდუულის, კონკრეტული პიროვნების სულიერ მოქრაობებს განასახიერებენ.

„სიყვარული“, რომელიც „ტაძარს“ აგებს, მხოლოდ ღვთის სიყვარულს როდი ნიშნავს. ამ სიტყვას ბარათაშვილთან აშკარად ახალი, კონკრეტული ადამიანური შინაარსიც გააჩნია.

ლექსი „უპოვე ტაძარი“ სინამდვილეში მთლანად ერთი გამოლია მეტაფორაა, რომელიც სიმბოლური ასპექტში (ქრისტიანული სიმბოლიკის ხერხებით) გამოხატავს პოეტის სულიერი ბიოგრაფიის რეალურ ფაქტს.

ცხადია, ფორმა და შინაარსი აქ ორგანულ

1 წინასწარმეტყველება ესაიასი თავი იზ.  
2 " " თავი კა.  
3 " " თავი მვ.  
4 დავითნი. კანონი გ.  
5 " კანონი დ. ფსალმუნი კზ  
6 " " ფსალმუნი კვ  
7 " " ფსალმუნი მდ.

8 დავითნი. კანონი ვ. ფსალმუნი ლზ.





ანტითეზა უკანასკნელ სტროფში გადატანილი. ამ ორ მონაკვეთს შორის ვითარდება მოტივი „აღუვსებელი საწყაულისა“. როგორც აღვნიშნეთ, ეს მოტივი ბიბლიური წარმოშობისაა. მაგრამ ბარათაშვილთან მისი განვითარება თვისობრივად ახალ ელფერს იძენს.

„ეკლესიასტეში“ მთელი აქცენტი ამოების იდეას განეკუთვნება. „სულის აღუვსებლობა“ მხოლოდ დამხმარე არგუმენტია ამ იდეის დასამტკიცებლად. („ყოველი შრომა კაცისა პირსა შინა მისსა, და სული მისი არა აღივსოს“). ბარათაშვილისათვის „სულის აღუვსებლობა“ საინტერესოა უპირველეს ყოვლისა როგორც ადამიანური ბუნების თვისება:

ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღვსოს,  
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?

მართალია, პოეტის ფიქრი გარკვეულ კალაპოტში მიედანება, მას ჯებირივით გასდევს ეკლესიასტეს ლიტმოტივი .... და აღიძვრან იმავე მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან! ...

...მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მივღოს, მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე... და ა. შ.

მაგრამ ამ ტრადიციულ ჩარჩოში მღთავსებულა ცოცხალი, მტკივნეული, გადაუტრეული კითხვა, რომლის სავანია არა უზენაესის არსი, არამედ ადამიანის სულის რაობა, მისი თანდაყოლილი დაუკმაყოფილებლობა მოპოვებულობით, მისი მარადი „შფოთვა და დრტყინვა“.

ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღვსოს? ...

თვით ბარათაშვილიც ხომ მთელი თავისი სულიერი წყობით იმ პიროვნებათა რჩეულ რიგს განეკუთვნებოდა, რომელთაც არასოდეს სწვევით არსებულთ კმაყოფილების გრანობა.

ლექსის უკანასკნელი სტროფი („მაგრამ რადგანაც კაცნი გვეკიან“...) უშუალო ანტითეზაა ამოების ეკლესიასტიკული იდეისა. აქ ფხზელი, მშვიდი ინტონაციით არის აღიარებული სოფლის წესი, უფრო სწორად, მისი შეფარდებითი ღირებულება ადამიანისათვის, რომელიც სოფლის შვილია და ამის გამო იძულებულია დამორჩილდეს, „მისდიოს“ მის ძველთაძველ კანონს.

მაგრამ შერიგების ინტონაცია, რომელიც მთელ ამ სტროფს განმსჭვალავს, აშკარად აცდენილია ბარათაშვილის მსოფლმხედველობრივ ძიებათა მთავარ, წარმმართველ ნაკადს.

შერიგების მოტივები სხვადასხვა ასპექტით ვლინდებოდა ბარათაშვილის სულიერი ევოლუციის გზაზე. თუ ამ ლექსში პოეტი „სოფლის“ წესთან შერიგებას ცდილობს, „ჩემი ლოცვა“ თავდავიწყებული ცდაა რელიგიური რწმენით

ნით განსვენების და დამშვიდებისა. „საფლავი მეფის ირაკლისა“ ნაკარნახევია ისტორიულად განსაზღვრულ სინამდვილესთან შეგუების, მისი გამართლების ასეთივე ამაო წადილით.

ადამიანისათვის საერთოდ შეუძლებელია მხოლოდ უარყოფის პათოსით, გამუდმებული სიძულვილით, ან შურისძიების წყურვილით არსებობა. მით უმეტეს ძნელია ეს შემოქმედი პიროვნებისათვის, განსაკუთრებით სიზაბუჯის კამს, როდესაც მთელი მისი არსება ობიექტურ გახსნას და დამკვიდრებას მოითხოვს.

არსებულთან შეთვისების წადილი ე. წ. „მიმოკრისი“ ინსტინქტი, არაერთი საბედისწერო კომპრომისის მიზეზად ქცეულია დიდი ადამიანების ცხოვრებაშიც. ვაგისენით გოეთეს ფილისტერული ცთუნებები, პუშკინისა და გოგოლის მოულოდნელი „მოქცევა“...

ბარათაშვილისათვის ეს იყო მხოლოდ განუხორციელებელი, ამაო ცდა, მისი გენიის მთავარი თვისება სახეებით გამორიცხავდა შერიგებას პრაქტიკულ შესაძლებლობას.

ლექსში „ფიქრნი მტკერნი პირას“ მთავარია არა პოსტკრიპტუმში ფორმულირებული სოფელთან შეთვისების იდეა, არამედ მარადიული „დრტყინვის“, „შფოთვის“ თემა, რომელიც პოეტის შემოქმედებაში განუხრელად ვითარდება, იზრდება და თავის ზენიტს „მერანში“ აღწევს. „...დასცხერ რისხვასაგან და დაუტევე გულის წყრობა, და ნუ ეშურები...“

რომელთა დაუთმონ უფალსა, მათ დაიკვდრონ ქტყყანა...  
**ხოლო მშუღთა დამკვდრონ ქტყყანა და იშუტმზდნენ პრავალითა მშვიდობითა**— წერია საღვთო წერილში.

ამ სიტყვებს საუქუნეთა მანიძილზე უქადაგებდნენ ადამიანს.

ხოლო ბარათაშვილის ლექსის დაწერიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ რუსეთის გულში, პუშკინის ახალგაზსნილ ძეგლთან, უკანასკნელი გაფრთხილებასავით გაისმა შერიგების მკაცრი გენიის ხმა: „Смирись гордый человек!“

მერანის ამაცი მხედრისთვის სამუდამოდ მოჭრილი იყო უკანდასახევი გზა. იმედი, რომელიც მას ახალი სივრცეებისაკენ უხმობდა, მოითხოვდა ახალ რწმენას და მან საბოლოოდ უქუავადო ეკლესიასტის მომუნსხავი კაცმანი.

„მერანში“ სასრულ წერტილს აღწევს ბარათაშვილის პროლეგია ამოების იდეასთან. რადგან მისი ტრაგიკული ოპტიმიზმი უპირველეს ყოვლისა მომავლის, წინსვლის მძაფრ განცდაზეა დაფუძნებული.

და მოვიბუთო მე ყოველი სოფლისა, და შრომა ჩემი, რომელსა მე ვშურები მზესა ქტმშე, რამეთუ დაუტევებ მას კაცსა ყოფადსა შემდგომად ჩემსა. და ვინ უწყის ბრძენ იყოს

1 დავითნი. თავი ე.



ანუ უგუნურ, ანუ ხელმწიფებდალ აქუს ყოველ-  
თა. შრომათა ჩემთა რომელსაც დავშუქრ, და  
რომელი ბარც გბრძნობდი მუხსა ქაქუშე, და ესეცა  
ამაიოება\*1.

— ეკლესიასტეს ამ დამორგუნველ, განა-  
იარაღებულ სეპტაციონს „მერანის“ ავტორმა  
დალუბრისპირა შემდგომად ყოფილ მოძმის —  
კაცობრიობის რეალურ პერსპექტივის იდეა,  
მომავლის, მარადიული წინსწარაფვისა და გა-  
ნახლების რწმენა:

ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს  
განწირულის სულის კვეთება!  
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო  
ჩემო, მაინც დარჩება,  
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიმნელე  
გზისა გაუადვილდეს,  
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის  
წინ გამოუქროლდეს!

ასეთი იყო ჰუმანიზმის, მოყვასისადმი, მოძ-  
მისადმი სიყვარულის ის ახალი მოძღვრება,  
რომლის ქურუმი და მქადაგებლად „მერანის“  
ავტორი მოეკონია ახალ საქართველოს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიკულ გენია  
ქრისტიანობის წიაღში აღმოცენდა. მის შთაგო-  
ნებას, წარმოდგენებს, სულიერ სწრაფვას საღვ-  
თო წერალობა და ძველი ქართული სასულიერო  
მწერლობის იდეები ასახრდობდნენ. ეს იყო  
ერთ-ერთი მთავარი სახრდო, რომელმაც მისი  
შემოქმედი სული მოაწიფა. და მსგავსად იმი-  
სა, როგორც ნაყოფი უარყოფს თავის აღმომ-  
ცენებელ მარცვალს, ისე უარყო და გარდაიქ-  
მნა პოეტის ცნობიერებაში ქრისტიანული მსოფ-  
ლგაგების ძირითადი მცენებები.

ქართული ორიგინალური მწერლობის ისტო-  
რიაში ბარათაშვილის შემოქმედება დამაგვირ-  
გინებელი საფეხურია ევილუციის იმ მრავალ-  
საუკუნოვანი გზისა, რომელიც ძველი სასული-  
ერო პოეზიით იწყება.

შემკვიდრებობითი კავშირი აქ იმდენად ცხა-  
ლია, იმდენად მჭიდრო, რომ ეს გზა ზოგჯერ  
სიგრცეში მკაფიო გავლებულ უწყვეტ ხაზად  
წარმოგვიდგება, ხოლო შემეგრთებულ ბურჯებად  
რუსთაველი, თეიმურაზი, ვახტანგ VI და და-  
ვით გურამიშვილი ჩანან.

ამ თვალსაზრისით უპირველეს ყოვლისა აღ-  
სანიშნავია ზოგიერთი აშკარა შეხვედრა.

როგორც უკვე ითქვა, ქართული სასულიერო  
პოეზიის ბათოსი შეიძლება ფორმულარებულ  
იქნას იოანე მტბევერის სიტყვებით: „სოკოლიერ-  
ნი აღანთენ შენ ლამპარნი!“ (ამს წინ უსწ-  
რებს იოანე მინჩხის: „აწ განიღვიქა!“\*2).

„სულიერ ლამპართა აღნთებას“ საეკლესიო  
ლიტერატურაში კონკრეტული რელიგიური ში-

ნაარსი აქვს. მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით  
ეს მოწოდება გულისხმობს საერთოდ აღმნიშნ-  
შინაგანი ცხოვრებისადმი განსაკუთრებული ინ-  
ტერესის აღმოცენებასაც. ქრისტიანული მოძღვ-  
რების თანახმად, სულის აღნთება, განცხოველე-  
ბა, განღვიქება და ეკვირბულია ობიექტური,  
„ხორციელი“ ბუნების დათრგუნვასთან.

აღმნიშნის სულის უხრწნელი, „ზეციით მოსუ-  
ლი“ მშვენიერებისა და წარმავალი, მიწიერი  
„ბუნების“ დაბირისპირება ერთ-ერთი წამყვანი  
მოტივა ქართულ სასულიერო პოეზიაში.

„რამეთუ შეცვალეს მათ ოხრწნულად მო-  
კოვდავი ბოვნება“\*3 — იოანე მტბევერის ეს ლა-  
ბიდარული ფორმულა რვა ნახევარი საუკუნის  
შემდეგ გაშლილი პოეტური სახით წარმოგ-  
ვიდგება ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „რად  
ჰყვიდრი კაცსა“.

ქრისტიანული ლოცვები ჩვეულებრივ გარკვე-  
ული ნიმუშის, ეტალონის მიხედვით იქმნებოდა.  
სტილის ორიგინალობა აქ მხოლოდ მკაცრად  
განსაზღვრულ ფარგლებში იყო დასაშვები. ბა-  
რათაშვილის „ჩემი ლოცვა“ სახეთა ორიგინა-  
ლური მეტაფორული გახარებით უკვე ახალ  
თვისებას იძენს და დამოუკიდებელ პოეტურ  
ნაწარმოებად აღიქმება.

მაგრამ დამახასიათებელია, რომ ამ ლექსის  
ყველაზე ხატოვანი მესამე სტროფი თავისი სიმ-  
ბოლიკური შინაარსით აშკარად ეხმანება ქარ-  
თული სასულიერო პოეზიის ორ ძეგლს. მხედ-  
ველობაში გვაქვს დასდებულნი კონსტანტი კა-  
ხასანი და დასდებულნი წმიდისა აღდგომისანი  
(IV) იოანე მტბევერისა:

„შენ რომელი წყაროხსა მისგან ცხოვრებასა  
ასოვამ“\*4 „ღმდვანი ამაონი. გოვლის სიტყვო-  
ვანი ჩემნი მქდომ მექნენს მე. ოვწყალოდ აღრ-  
ძოვლნი მტერისა მიერ ზაკოვით. არამედ შენ  
ქაღწოვლი. მიმიძელო მე მყოვდროხსა ნავთისა-  
ყოვდელსან.“

გავისვენოთ ამის შემდეგ ბარათაშვილის ლექ-  
სის მესამე სტროფი:

„ცხოვრების წყაროვ, მასე წმიდათა  
წყალთაგან შენთა,  
დამინთქე მათში საღმობანი გულისა სენთა!  
არა დაქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ენებისა,  
არამედ მოეც მას სადგურთა მყუდროებისა!“

რასაკვირველია, ასეთი შეხვედრების არსე-  
ბობა გაპირობებული უნდა იყოს უწინარეს  
ყოვლისა საერთო პირველწყაროს — ძველი და

- 3 ი. მტბევერი XIII სენება წმიდათა მამა-  
თა. 95.
- 4 დასდებულნი კონსტანტი კახასანი — 210.
- 5 იოანე მტბევერი IV — 110.

**გურამ ანატოიანი**  
„მირანი“ ლა მისი ანტორი

\*1 ეკლესიასტე. თავი ბ.  
\*2 ი. მინჩხი, I დასდებულნი წმიდისა აღდგო-  
მისანი X.



ახალი აღთქმის ძირითადი ტექსტების გავლენით.

მაგრამ საცნაურია, რომ ბართაშვილის ლირიკის საკვირველი მიმღეობის ძალით ნაწილობრივ მაინც შემოუნახავს ქართული სასულიერო პოეზიის წარმომადგენელთა ლექსიკისა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ლიტერატურული სტილის ზოგადი თავისებურება (ასეთი შორეული შესანიშნავი მაგალითები გვაქვს მხოლოდ XIX ს. სხვა მწერლების შემოქმედებაშიც. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამ მხრივ იოანე მტბეvariის დასდებელი. საილუსტრაციოდ მოგაქვს ერთი ადგილი II დასდებულადან: „ღმობრწყინდა მზე სიმართლისა და განანათლა კიდენი ჭოყუყანისანი“. შდრ. ი. ჭაკვაძის „აჩრდილის“ დასაწყისი: „ღმობრწყინდა მზე დიდებულად და განანათლა ქვეყანა ბნელი“).

არა ნაკლებ საგულისხმოა ის შინაგანი ნათესაობა, რომელიც ზოგიერთი რელიგიურ-ფილოსოფიური მოტივისადმი ინტერესსა და თავისებურ მიდგომაში მჟღავნდება.

ბართაშვილის მთელ ბიოგრაფიასა და შემოქმედებას შინაგან თემად ვასდევს პოეტის გარშემო რეალურად არსებული სამოქმედო სარბილის აუტანელი სიფიჭოვე. „ველად გაქრის“, „სიმშობლოდან გარდახვევის მოტივი „მერანში“ ამ მძაფრი შეგნებითაც არის გაპირობებული.

გავიხსენით 1843 წლის 21 აგვისტოთი დათარიღებული წერილი გრ. ორბელიანისადმი: „...კაცი მიიდა რომ ამ პატარა ღრეკლდეს გამოყვანოს და დავდეგ ვაშლილს ადვილს. ოპ, რა თავისუფლად ამოვისუნთქე მამინ, რა ხელმწიფურად გარდახვედავ ჩემს ასპარეზსა!“

ამ სიტყვებს პოეტის წერილი კონკრეტული შინაარსი აქვთ. მაგრამ როდესაც ბართაშვილის მთელი შემოქმედების სულისკვეთებას ვითვალისწინებთ, ისინი ჩვენს შეგნებაში გაცილებით ფართო, სიმბოლურ მნიშვნელობას იძენენ.

რომანტიკული სულის ტანჯვა „საწუთროს“ ეიწრო არტახეზში თავის წარმოშობით გარკვეულ მეკვიდრეობით კავშირში იმყოფება ქრისტიანულ წარმოდგენებთან.

„რომელთა იწროება გზისა და საკვირველისა ოზბიროებით განვლეთ ცხოვრებაჲ ესე და ფართოვებასა ზეცისა მიეწიენით“! — მიმართავს იოანე მტბეvari „ღმერთმემოსილთა“ მამათ.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში ნიკოლოზ ბართაშვილი იყო ის პიროვნება, რომელიც ყველაზე მწვავედ განიცდიდა თავისი ღრის პრაქტიკულ შესაძლებლობათა შეზღუდულობას. ეს იყო უკმაყოფილება როგორც პირადი ბედობლით, ისე სამშობლოს ზედღრითაც, საზოგადოებრივი ცხოვრების სიღატაკითა და პროვინციული ყოფის უპერსპექტივობით.

უკმაყოფილების ეს მძაფრი გრძობა შემოქმედებაში უნივერსალურ ელფერს იძენს:

„მაგრამ მე გვაშში სული ვერა მომთავებია!“

— ეს სიტყვები თავისი განწყობილებით აშკარად ავტობიოგრაფიულია.

„ფართოვება ზეცისა“ სიყმიითვე იტაცებდა პოეტის შვრას. მისი პირველი ჰაბუქური ლტოლვაც „ზენაართ სიმყოფ“ უსაზღვროებისაკენ არის მიმართული და მამადიათზე „ამათების დასაშობად“ ასული 16 წლის გიმნაზიელი თითქოს იმეორებს შორეულ წინაპართა გზას:

„მთასა მალღასა სათნობათასა აჰქვედით. ღირსო. და ღრთით მხილველისა თანა იხილეთ ღმერთი. თოვლით სოფლისადათა. მამანო. სძლიეთ სოფელსა და სოფლის მკყობელსა ბნელსა და ისწავენით მცნებანი საღმრთოება შოკვისანი“<sup>2</sup>...

— იოანე მტბეvariის საგალობლის ეს ადგილიც დაეთო წინასწარმეტყველის გალობით არის ჩაგონებული:

— „უფალო ვინ დავშენოს კარავსა შენსა, ანუ ვინ დავმკვდროს მთასა წმიდასა შენსა...“

1879 წელს პოეტის მსოფიანმა ბიამ გრ. ორბელიანმა ასეთი შინაარსის ბართი გაუგზავნა ილია ჭავჭავაძეს:

„ჩემო ბატონო, კნიაზო ილიავ, დავბერდი და შეუდექ სულის გზასა, ვკითხულობ დავითნსა და აი რა დაინა ამ კთხვისაგან...“

**ფხალმუნით**

ვინა ავღიღებს მალღასა მას მთასა წმიდასა, სადა მგალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას?..

...სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ.

ვის არ შეეხო ზაქვრის გესლი ძმისა განკითხვად“<sup>3</sup>...

მთაწმინდაზე ასვლა ჰაბუქი ბართაშვილისათვის სიმბოლური ქესტი იყო. შემოღამების იდუმალეობით მოცულ ბინდში მღვარი პოეტი სულის დამშვიდებას ცდილობს და ზენაართა ნათელი სამყაროსკენ აღაპურობს თვალთ. მაგრამ მისი ცდა „ღმრთის ხილვისა“, უზენაესთან ფიქრითა და გულისთქმით შეერთებისა უწყვე ამოა:

...აწყა რა თვალნი ლაქვარდს გიზრდვენ,  
მეის ფიქნი შენდა მოისრავიან,  
მაგრამ შენდამი ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!

<sup>2</sup> ი. მტბეvari XII სენება წმიდათა მამათა — 40.

<sup>3</sup> საქართველოს მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. გრ. ორბელიანის პირადი ფონდი, 6-5327.

<sup>1</sup> ი. მტბეvari. XIV დასდებელი I.



მე შენსა მკვრეტელს მავიწყდება  
საწუთრობა,  
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ძვირებს  
სადგურს  
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთის აქ ამოგება...  
მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი  
განგებას ციურს.

(საინტერესოა, რომ „შემოღამების“ პირველ ვარიანტში (1833 წ.) ბარათაშვილი „ციურნი განგების“ ნაცვლად ხმარობს ქრისტიანული საკულტო ლიტერატურისათვის სპეციფიურ ეპითეტს: „მაგრამ ჰაერშივე განქარდების, ვერ ჰსცნობს უცნაურს.“ უცნაური“ ქართულ სასულიერო პოეზიაში, ისევე როგორც საერთოდ მთელს ქრისტიანულ მწერლობაში, ღმერთის სინონიმია. შტრ.: ავთანდილის ლოცვა: „უცნაურო და უთქმელო“...).

ბარათაშვილისათვის უკვე სამუდამოდ გაწყვეტილია ის კავშირი, ის შემაერთებელი ხიდი რომელიც მის საწუთრობაში მდებარე წინამორბედთ, სათნოების მთაზე ურყევი რწმენით ამაღლებულ წმინდა მამათ საშუალებას აძლევდა, უშუალო სახსლოვე ეგრძნოთ უზენაესთან და მისი უხილავი არსება „სოფლისა თვალით“ განეკვრიტათ.

ეს ძველისძველი გზა ხსნისა—ქრისტიანული მართლმორწმუნეობის გზა — უიმედოდ დახშულია „შემოღამების“ იქით აღშფოთებული ავტორისთვის. ამის გამოა, რომ იგი ასეთი გამძაფრებით დაეძებს ახალ რწმენას, ახალ გზებსა და ახალ იმედებს.

ბარათაშვილისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ „სოფლის ძღვეა“; მის არა ნაკლებ აწუხებს იმ ძალის რაობა, რომელმაც ამიერსამყაროს წესი განსაზღვრა. ქართველი პიზნოგრაფებისა და გურამიშვილისაგან განსხვავებით, ის მხოლოდ საწუთროს როდი წუნობს. „მერანის“ ავტორის შეუპოვარი, უქომპრომისო დავა თანდათან ვრცელდება თვით განგებაზეც, ბედისწერაზეც და მისი საბოლოო მიზანიც ამ უკანასკნელის მიერ ზღვარდებული მიჯნის გადალახვაა.

როგორც ვხედავთ, ბარათაშვილის მეგვიდრეობითი კავშირი ძველ ქართულ სასულიერო პოეზიასთან, საერთოდ შუა საუკუნეების ქართულ ქრისტიანულ კულტურასთან მეტად რთული და წინააღმდეგობრივია. მიმღობისა და უარყოფის ელემენტები აქ ურთიერთგამაპირებებელ მთლიანობას ქმნიან და თვალსაჩინოდ წარმოგვისახავენ იმ რთულ გზას, რომლითაც „რომანტიკული სულის“ ევოლუცია წარმართა ქართულ ნიდაგზე, ქართული კულტურისა და მწერლობის წიაღში, აღრეული შუასაუკუნეებიდან ვიდრე ბარათაშვილამდე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ გზაზე შემაერთებულ ბურჯებად კლასიკური ხანისა და აღორძინების პერიოდის უდიდესი წარმომადგენლები დგანან.

ბარათაშვილის შემოქმედების კავშირი ძველ

ქართულ საერო მწერლობასთან და ამ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურული მასალა საფუძვლიანად არის შესწავლილი ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში.

ამის გამო ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ შედარებით ნაკლებგამუქებულ ფაქტზე შევჩერდებით.

ბარათაშვილის შეხმიანება რუსთაველთან პირველად ი. მეუნარგამი შენიშნა. განსაკუთრებით საინტერესოა ს. ჩიქოვანისა და პ. ინგოროყვას მიერ დადგენილი პარალელები „მერანისა“ და „ვეფხისტყაოსანს“ შორის.

პ. ინგოროყვას სიტყვით, „ბარათაშვილის თავგანწირული მხედარი, ველად გაპრილი, რათა „მოძმესა მისსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“ უნებლიეთ მოგვაგონებს სხვა თავგანწირულს მხედარს, რუსთაველის პოემის გმირს ავთანდილს, რომელიც აგრეთვე გაპრილია ველად და მოვლის მსოფლიოს, რათა მოძმესა მისსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“<sup>2</sup>.

ი. მეუნარგის, ს. ჩიქოვანისა და პ. ინგოროყვას მიერ დადგენილი პარალელებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი შეხედურა:

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა  
წინაპართ საფლავებს შორის,  
ნუ დამიტროს სატრფომ გულისა, ნულა  
დაამეცეს ცრემლი მწუხარის...  
(„მერანი“)  
„თუ საწუთრომან დამამხოს ყოველთა  
დამამხობელმან,  
ღარიბი მოვეკვდ ღარიბად, ვერ დამიტროს  
მშობელმან,  
ველარ შემსუღრონ დაზრდილთა და ვერცა  
მისანდობელმან“...  
(„ვეფხისტყაოსანი“)

ჩვენ გვინდა აქ ერთ გარემოებას მივაქციოთ ყურადღება. რუსთაველის ზემოთ ციტირებული სტრიქონები თავისი შინაარსით უშუალო კავშირშია „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ სტროფთან:

ვა, სოფელი, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ,  
რა ზნე გჭირსა,  
ყოვლი შენი მონღობილი ნიადამცა ჩემებრ  
ტირსა.  
ხად წაიყვან საღურსა, ხად აღლუხვრი  
საღლი ძირსა.

<sup>1</sup> მეუნარგია, ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა. ქართული მწერლები. ს. ცაიშვილის რედაქციით. ტ. I 1954 წ. გვ. 228.

<sup>2</sup> პ. ინგოროყვა. ნიკოლოზ ბარათაშვილი. წიგნში: ნ. ბარათაშვილი ლექსები პოემა წერილები. 1939 წ. გვ. XXX.

**გურამ ასათიანი**  
„მერანი“ და მისი ავტორი



მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან  
განაწირსა.

რუსთაველის ეს აფორისტული სტროფი უბრალო ფილოსოფიურ სენტენციას როდი წარმოადგენს. თავისი შინაარსით ის იმდენად მამაფრია, რომ მასში გამჟღავნებული ლირიკული განცდა ავტობიოგრაფიულ შთაბეჭდილებას ტოვებს. აქ ქვეტექსტში თითქმის აშკარად აეუღლისხმება, პირადი თუ არა, ყოველ შემთხვევაში რღავე უღარესად ახლობელი სულიერი გამოცდილება.

აღსანიშნავია, რომ „სადაურსა სად წაიყვანა“-ს მოტივის ანარეკლი სხვადასხვა ვარიაციებით გვხვდება მომდევნო საუკუნეების პოეტურ ძეგლებშიც, კერძოდ, აღორძინების ხანის მწერლობაში.

„რად, სოფელო სხვა არ დასწვი ჩემებრ,  
მე მქენ დასადაგე?  
გლახ ლხავარი სასიკვდინე ყველა მე მკარ  
დასადაგე!  
დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად  
აგე?“

სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა  
აშენე და სად აგე?

(თეიმურაზ I „ჩივილი სოფლისადმი“).  
კიდევ უფრო აშკარად ჩანს „ვეფხისტყაოსნის“  
კვლი იოსებ ტფილელთან.

„თაო ჩემო, სად მოჰკვდები ანუ ვისსა  
სამარესა,  
რას დალახავ ქვეყანასა, იარები სამ არებსა,  
მოშორდები მოყვარეთა, შენ ხარ ვისსა  
სამარესა?  
სამყოფთაგან გააბეზრდი, კარსა გავლი  
გასარებსა.“

გახტანგ VI ბედს შესჩივებს:

„დაუტრევე სახლ-სამყოფი, თვისინი ტოშნი,  
მონა რები,  
დავკარგულვარ უცხოს თემსა, ვარ არვისგან  
მონარები...“

გურამიშვილის „საწუთროს სოფლის სამღერავეში“  
არის ასეთი სტრიქონები:

„ამად ვემღური საწუთროს, თორემ სხვა რა  
მაქვს სადაო?  
სად მომიყვანა სად მყოფი, კიდევ მიყვებარ  
სადაო?  
მამა, ღედა, ძმა თვალითა ვეღარა მხედავს,  
ადაო.“

არანაკლები სიმამართ ძღერს იგივე მოტივი  
ბეისიკთან:

„უტხონი თემით, სოფლის ცემით  
გავიგარენით,  
უტხოზნი ვარდნი ამა დარდით  
დავიბზარენით...“

ძველი ქართული პოეზიის ამ ტრადიციად  
ქცეული მოტივის სათავეებთან მარტო რუსთა-

ველი როდი დგას. კლასიკური ხანის მწერლობაში  
ბამ ჩვენ შემოგვინახა ერთი, ვერ კიდევ წარმოადგინა  
ლოოდ გაუშიფრავი ლეგენდა — სამშობლოდან  
გარდახვეწილი პოეტ-მოგზაურის ფანტასტიკური  
სათავადასავლო ამბავი. ეს მოტივი ასახულია ჩახრუსხადის  
„თამარიანის“.

აკად. აღ. ბარამიძის სიტყვით, „უცნობი მოგზაურის  
სათავადასავლო ამბავი არსებითად ფრაგმენტი  
და, ვადარჩენილი სახითაც ეს მკირე პოემას  
წარმოადგენს, ახლა შეუძლებელი ხდება იმის  
გარკვევა, თუ რით უკავშირდება ეს ფრაგმენტი  
საბოტო ლექსების კრებულს. ყოველ შემთხვევაში,  
თავისი შინაარსით, ავტორის განწყობილებით და რამდენადმე ფორმითაც  
ფრაგმენტი განუე დგას და დამოუკიდებელი  
ნაწარმოების ხასიათს ატარებს.“<sup>1</sup>

აი, რას ვკითხულობთ „თამარიანის“ 59, 61, 62, 63 და 64-ე სტროფებში:

ჩემსა მოყმესა, ლომთა მოძმესა,  
ვის არად ღუნდის სახლი და კარი  
დამმეტეს მქმნელად: გაიბრის ველად.  
სადგურად მქონდეს ლომთა შამბნარი.  
არვისად სწორად, წვიგდის შორად,  
ინდოელს იყვის მისი საზღვარი.  
ამოელის პინდნი, ხანნი და ჩინნი,  
არა რად უჩნდის მას მათი ზარი...  
...დამტყდიან ცანი ცვლავ განველო ზღვანი.  
დაგრჩი უსულოდ, მართ ვითა მკვლარი!  
...მოვლნის ქალაქნი, ზღვისა ალაგნი,  
სრულად ეგვიბტე, არაბთა მკარი.  
... რა მას ვიგონებ, ვერას ეიფონებ,  
ველთა გატარასა ოდენ მზა ვარი.  
ძეს საზედ საქმელად მფრინველთა, ასრე  
გამიტდა ჩემი ამა, მთავარი.  
ცულდ მაშვრალია ესე სოფელი  
ქოველთა თვისევე ესრეთ მზა არი.“<sup>2</sup>

„თამარიანის“ მოყვანილი ფრაგმენტის შინაარსი  
საგულისხმოა რამდენიმე ასპექტით.

პ. ინგოროყვა თავის გამოკვლევაში „ჩახრუსხადე-  
ზედ პოეტი მოგზაური“<sup>3</sup> ამ ფრაგმენტს ავტობიოგრაფიულად  
თვლის. აკად. აღ. ბარამიძის აზრით, „გაურკვეველი რჩება  
ვინაობა პოეტი-მოგზაურისა... გამოთქმული მოსაზრება,  
ვითომც პოეტი-მოგზაური იყო მცხოვრებ ჩახრუსხადე  
ან შოთა რუსთაველი, არ არის დასაბუთებული“<sup>4</sup>.

ასეა თუ ისე, უღარესად საყურადღებოა, რომ რუსთაველის  
ემოქსის საქართველოში არსებობდა

<sup>1</sup> ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966 წ. გვ. 128.

<sup>2</sup> თამარიანი ჩახრუსხადისა. 1937 წ. გვ. 34-36.

<sup>3</sup> იხ. ყურნ. „კავკასიონი“, 1924 წ. № 1-2, 3-4.

<sup>4</sup> ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1968 წ. გვ. 129.

რეალური, ბიოგრაფიული წარმოსმობის ვერსია „ველდ გაპირლ მოყმეზე“, რომელიც თავისი ზოგადი ნიშნით უთუოდ ეხმარება „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსს და მისი სიუჟეტური აღნაგობის ეროვნული წარმომავლობის სასარგებლოდ მეტყველებს („ვაიკორის ველად, საღვთურად ჰქონდეს ლომთა შამანის... და სხვ.)“.

ამ თვალსაზრისით, სხვათა შორის, ნიშანდობლივია ერთი დეტალიც: „თამარიანში“ ველად გაპირლი მოყმე „ძეს საღმე საქმლად მფრინველთა“, ასეთია ავტორის მიერ წარმოსახული მისი გარდახვეწის, ქვეყნად ხეტიალის ტრაგიკული ფინალი. აღსანიშნავია, რომ ეს მოტივი გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“ და, რაც მთავარია, სწორედ ამ მოტივი ეხმარება ბარათაშვილის „მერანის“ შესაბამისი ადგილიც:

შდრ.: „ვეფხისტყაოსანი“:

„შენთვის მოკვდები, ვაგზდები ყორანთა დასაყვიარად“.

„მერანი“:

„შვი ყორანი გამითხრის საფლავს... მივალალებენ სეაენი მყვიარნი.“

ამ ორ აშკარად მონათესავე პოეტურ სახეს შორის დევს თეიმურაზ პირველის ასეთივე მძაფრი ტრაგიკული განცდით განსმკვალული ხილვა:

„მოკვდე — მიწაც აღარ მინდა, ჩემზე მხეცნი მოაწივე“<sup>1</sup>.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სამშობლოდან ბედისა და თავდადასავლის საძიებლად გაპირლი მოყმე, რომელსაც „არად უჩნდის სახლი და კარი“, ჩახბუხბუხის პოემაში პოეტად სჩანს (სპარსეთში ყოფნის დროს, სულთანის კარზე, მას წარმოუთქვამს ლექსები: „იგავნი უთხრნის, მეფენი უქნის, მათდავე სწორად მათი ლაშქარის“).

ამ თვალსაზრისით „თამარიანის“ პერსონაჟი — მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთი პირველი სახეა რომანტიკული სულსიკვთებით ამოძრავებელი პოეტისა. მისი ტრაგიკული ოდისეა მთლიან ისტორიული ეპოქით წინ უსწრებს ბაირონისა და რემპოს გარდახვეწას, ხოლო ქართული მწერლობის ისტორიაში პოემის ეს ფრაგმენტი XVII და XVIII საუკუნის სეველმწვეტილ პოეტთა მარტივლოვის თავისებურ ბრელუდიად ედრის.

ჩახბუხბუხის „ცუდ-მაშვარლი სოფლისა“ და რუსთაველის „სადაურსა სად წაყავან“-ს მოტივი საბედისწერო წინასწარმეტყველებასავით უხდით სწორედ ამ ქარიშხლიანი ეპოქის პოეტებს — თეიმურაზს, არჩილს, ვახტანგს, საბას, მესიქსა და გურამიშვილს — „სამშობლოდან კიდევანწმინლ“, ქვეყნისა და საკუთარი ბედის ამო მაძიებელთ.

ს. ჩიქოვანის სიტყვით „მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნის ქართველი პოეტები და მწიგნობრები უმთავრესად სერვანტესისებური თავგადასავლური ბიოგრაფიის მქონე პიროვნებები იყვნენ. ხოლო მეცხრამეტე საუკუნის ქართველმა პოეტებმა გარეგნულად უფრო სადა და ჩვეულებრივი ცხოვრება გაწვლეს“<sup>2</sup>.

აღნიშნული კონტრასტი უთუოდ ბარათაშვილის ცხოვრებაზეც ვრცელდება. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი პოეტებისთვის ბიოგრაფიულად უცხო არ ყოფილა მშობლიურ „სამყოფთაგან“ მოწყვეტით, მამულთან ნაძალადევი „მოშორებებით“ გამოწვეული ნოსტალგიის მტკივნეული განცდა. განსაკუთრებით ეს ითქმის 1832 წლის შეთქმულების მონაწილე მწერალთა და მოღვაწეთა შესახებ. ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, სოლომონ დოდაშვილისა და დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფიაში არის მთელი რიგი შტრიხებისა, რომლებიც თითქოს ახალ ვითარებაში იმეორებენ წინაპართა ცხოვრების დრამატულ პერიპეტოებს.

1834 წელს, საქართველოს მოცილებული, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ჯანითა და ენერგიით სავსე გრ. ორბელიანი წერს მანანა ორბელიანს:

„...ვითუ მალე ჩემთვისაც ასე დარეკონ და საფლავი ჩემი გასთხაროს მხარეა უტვანს; შორს ყოველთა ჩემთა გულისა საყვარელთვანს და არა ერთი ცრემლი არა დაეცი მინასა, საუკუნოდ ჩემს დამფარველსა — თუმცა სიკვდილი ყველგან სიკვდილია, მარა გულს კი სურს, რომელ უქანასენელი ოხერა ესმას მისთა მახლობლთა: რომელ თვალთა მიმოხედონ და უქანასენელ იხილონ მოყვანსი თვისნი და არა უცხონი გულგრილნი დაუდევნელის სახითა“<sup>3</sup>.

ამ წერილის შინაარსი უცნობი არ უნდა დარჩენიყო პოეტის ყრმა დისწულისათვის. გრ. ორბელიანის ეს განწყობილება პოეტურად გამჟღავნდა ლექსში „ჩემს დას ეფეშის“, რომელიც სამშობლოს დაკარგვის პირველი სასოწარკვეთით მიცულმა პოეტმა 1835 წელს დაწერა რიგაში:

მისთვის ვლოცავ ცას, შავნი დღენი ჩემთვის  
შთომილნი  
არ შექსწყდენ, ვიდრე კვალად ჩემთა თვალთ  
არ გიხილონ,  
და მაშინ, ოდეს საუკუნოდ მიცულუო  
თვალნი,

<sup>2</sup> ს. ჩიქოვანი. რჩეული წერილები. 1963, გვ. 123.

<sup>3</sup> გ. ორბელიანი. წერილი მანანა ორბელიანისადმი, 1834 წ.

**გურამ საბთიანი**  
„მერანი“ და მისი აზტორი

<sup>1</sup> ანთოლოგია ტ. II, 1928, გვ. 52.

მშობლიურ მიწა ხელთა შენთა გულს  
დამაყარონ.

ამრიგად, სამშობლოდან გარდახვეწის, „სადა-  
ურსა სად წაიყვანს“ თემა XIX საუკუნის პო-  
ეზიაშიც შემოიჭრა არა წმინდა ინერციის ძა-  
ლით, არამედ როგორც მწვავე, ცხოვრებისე-  
ული, ემოციალურად უღარესად აქტუალური  
მოტივი (ზედმეტი არ იქნება აქვე გავისენოთ  
აღ. ჭავჭავაძის ცნობილი სტრიქონები: „ამას  
ვსტორ, რომ ვშორდები თვალთ დამტირებსა,  
თვარა ვით შევეუკრეთ ტანჯვა-ჭირებსა“... და  
სხვ.)

1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა ხვედ-  
რამა მეტად დიდი ზემოქმედება მოახდინა ყრმა  
ბარათაშვილის შეგნებას. „მერანში“ მითხოვე-  
ბა მთელი რიგი ავტობიოგრაფიული მოტივე-  
ბიც. განსაცვიფრებელია, კერძოდ, პირადი ბედ-  
იღბლის ამგვარი მისნური წინათგარჩობა:

„ნუ დაემარხო ჩემსა მამულში, ჩემთა  
წინაპართ საფლავებს შორის“...

„მერანში“, ისევე როგორც „ვხოვე ტაძარი“,  
უწინარეს ყოვლისა, პოეტის პირადი განცდის,  
პირადი სულიერი გამოცდილების ნაყოფია,  
ბიჭობა, როგორც ეპოქალური ნაწარმოებია,  
როგორც გენიალური მხატვრული კმნილება, თა-  
ვისი შინაარსით იგი ამავე დროს ეროვნული  
ცხოვრების გამოცდილებასაც ემაყრება.

ქართული ერის სულიერი ბიოგრაფია, ძველი  
ქართული მწერლობის უცვლად სახეებში გან-  
საგნებული ეროვნული ისტორიის დრამატიკაში  
— აი ის მთავარი წყარო, რომელიც ასაზრდო-  
ებს და განსაზღვრავს „მერანის“ პათოსს.

სხვარიც შეუძლებელია იმ შინაგანი სიღრმისა  
და მონუმენტურობის, იმ თითქოს დროისა და  
სივრცის თვალუწვდენელ განიჭზე პრაკტიკე-  
ბული განცდის ახსნა, რომელიც ერთთავად  
გამსჭვალავს მერანის ოთხ (მესამე, მეოთხე, მე-  
ხუთე და მეექვსე) სტროფს.

აკად. ნ. მარმა „მერანს“ კატასტროფის წინა-  
შე მდგარი ერის მონოლოგი უწოდა. ბარათაშვი-  
ლის სეკდა განვრცობილია 'გოქის პერსპექტი-  
ვაში. ამის გამო მისი თავგანწირული ხულის-  
კვეთება თანაზიარია ბაირონის, შელის, პუშ-  
კინის, ჰინეს, ლეოპარდის, მიცევეჩიხისა და  
ლერმონტოვის სულიერი სწრაფვისა.

მაგრამ ამ სევდის სათვე ეროვნული თვით-  
შეგნება და მისი მძლავრი ნაკადი მშობლიური  
მწერლობის წიაღიდან მომდინარეობს. (ცხადია,  
ილია ორბელიანის თავგასასვალი, ტყუეობა და  
ტყუეობიდან გაქცევა, მხოლოდ გარეგანი საბა-  
ბი იყო „მერანის“ დასაწყობი. ლექსის ძირი-  
თადი იდეა გაცილებით ადრე მომწიფდა). სამ-  
შობლოდან გარდახვეწის მოტივი „მერანში“ გა-  
ცნობიერებულია როგორც საუკუნოვანი მწუხა-  
რება, როგორც ძველისძველი თანმსდები წყეუ-  
ლა და საბედისწერო მსხვერპლი. ამ ლექსის

მღელვარე, „დაქანცულობით თავგანწირუ-  
ლი ინტონაციაში თითქოს ასეადად ისმის სი-  
ლი გზებისა და გზავჯარედინების კაეშანი და  
წინაპართაგან განვლილი სივრცის დამთრგუნ-  
ველი უნუგეშობა. რუსთაველის მკუთუნარე წი-  
ნათგარანობის ხმას აქ თან ერთვის ასტრაბადისა  
და ასტრახანის მიწაზე აღმზარდა ტრავედის  
შემზარავი ეყო, დასავლეთის უტენო გზებზე  
კარდაკარ მავალი კათლიოკე ბერის შეკვიბუ-  
ლი გმინეა და კიუსტრინის ლიაში ჩაუღული  
მხედრის მწარე ქვითინი.

მერანის ამაყი მხედრისათვის უცხო არ ყოფი-  
ლა „სამყოფთაგან გაბეზრების“ აუტანელი  
გრძნობა.

ვიდრე თავის სანუკვარ მიზანს („ბედის სა-  
ძღვარს“) მიუახლოვდებოდეს, ბარათაშვილის  
მხედარი ვაღდებულა ბლომდე გაიაროს ამ  
მწუხარე სალხინდლის გზა და წინაპართა მძიმე  
ხვედრს ეზიაროს.

ეს უგრძესი შარა წინამორბედთა უსასიო  
ცრემლით და წამხდარი იმედებით არის მო-  
კირწყულელი, ხოლო მათ სისხლიან კვალზე მარ-  
ტოდ მავალ მგზავრს ქარიშხლის ზარი და ყო-  
რანთა ავბედითი ხმა მიაცილებს.

ასეთი იყო გზა, რომელიც მერანის თავგანწი-  
რულმა მხედარმა აირჩია.

მინც ბარათაშვილის შემოქმედებაში გარდაბ-  
ვეწის მოტივი ახალი, ქართული პოეზიისათვის  
მანამდე უცნობი ასპექტით არის გააზრებული.  
„მერანის“ კონცეფციის ეპოქალური სიახლე  
სხვათა შორის იმაშიც გამოიხატა, რომ აქ,  
ყველა წინამორბედი პოეტური ძეგლისაგან  
განსხვავებით, „მამულთან მოშორებება“ წარმო-  
სახულია, როგორც წინასწარი გაცნობიერებუ-  
ლი, შინაგანი მოთხოვნილებით ნაკარნახევი,  
ნებაყოფლობითი აქტი.

თუ ვახტანგ VI-სა და გურამიშვილისათვის  
სამშობლოდან იძულებითი ემიგრაცია პირველ  
რიგში მწუხარე გოდების სათავეა, ხოლო თე-  
იმურაზის „ჩივილში“ დამთავრან დაშორე-  
ბის ფაქტი განცდილია, როგორც ბედის ყველა-  
ზე მძიმე, „სასიკვინე“. ოახვარი, თუ რუსთა-  
ველიდან მოყოლებული ქართულ პოეზიაში  
სოფლის ბრუნვის ეს უღმობელი წესი („სა-  
დაურის სად წაყვანა“) „ნიადაგ მწარე ტი-  
რილის“, საწუთროს „დამამზობელი“, „გუტუ-  
ნელი“ არსით შემდრწუნებისა და უსასობის  
საგანი იყო, „მერანში“ გარდახვეწის აქტი თავ-  
განწირული მხედრის საბოლოო მიზნის („ბედის  
სამძღვრის გარდატარების“) აუცილებელი წი-  
ნამირობაა და ამის გამო მწუხარებას, რომელ-  
საც მამულთან მოშორებება იწვევს, აქ მხოლოდ  
შეფარდებითი ხასიათი აქვს.

რაა, მოვშორდრე ჩემსა მამულსა, მოაკლდე  
სწორთა და მეგობარსა...

თუ:

...ცუღათ მინც არა ჩაივლის ეს განწირული  
სურლის კვეთება!



უფრო მეტიც, ბარათაშვილიან განშორების ტყეილი, უცხო მხარეს გარდაცვალების, „უბატრონოდ“, „ოხრად“ დაღუპვის წინათვრძნობა გადგება სრულიად ახალ სახეიმი, „ზვანობით“ განსულებებისას. რადგან აქ აუცილენული უბედურების, კატასტროფის მოლოდინში შესულია ფარული ნეტარების, თავგანწირვით აღურთოვანიცაა.

— ქარიშხლის „ზარი“ და „ღრილა“, მოვალაუ სხვათა გამაყიარი ხმა — პოეტის ეს შემზარავი რეჟიემი — მწუხარე, საგანგაშო ხმებით ავებს „ტიალი მინდვრის“ უდაბურებას, მაგრამ მას შინაგან მუსიკალურ თემად გასდევს ექსტატიური აღფრთოვანების, დღესასწაულებრივი განწყობილების მოტივიც.

**ნებაყოფლობითი** გარდახევის თემით „მერანის“ ლირიული გმირი შორეულ ნათესაობას ავლენს ძველი ქართული პოეზიის მხოლოდ ერთ პერსონაჟთან — „თამარიანის“ ველად გაქრილ პოეტთან, ვისაც ასევე „არად უჩნდის საჭლი და კარი“ (აღსანიშნავია, მაინც, რომ „თამარიანის“ ავტორის მიერ გმირის ეს თვისება, ისევე როგორც მთელი მისი თავგადასავალი, განცილია როგორც მწარე სინანულის საგანი).

თავისი სულიერი წყობით ბარათაშვილის მხედარი ახალი ეპოქის დღემო პირშუთა, იმ ეპოქისა, რომლის მშფოთვარი სუნთქვამ პოეზიის ზედაპირზე ამოატევიდა შეუპოვარ მეოცნებეთა საკვირველი სახეები — შატობრიანის რეჟე, ბაირონის ჩაილდ პაროლდი და მიცევიჩის ფარისი.

მისი ფორმანივი რაშის თავდაიწყებულ ქენება შორეულ სივრცეთა იმ დაუძღველი მიზიდულობის ძალით იყო გამოწვეული, რომელმაც დაახლოებით იმავე წლებში ლერმონტოვის თეთრი იალქნის შეუჩერებელ ქროლვას მისცა დასაბამი, ხოლო სათუყუნის დამლევს რუმბის მთვრალი ხომალდის ფანტასტიური გზები განსაზღვრა.

ბედმა აქაც დასცინა ქართულ პოეტს. თუ მისი სულიერი თანამომძენი შორეულ ნიუებსა და კონტინენტებს აღწევდნენ, ნიკოლოზ ბარათაშვილს „ქალაქიდან ორას ვერსზედ“ მოუხდა აფრის დაშვება. ნახიყენი და განჯა, აი, უკიდურესი წერტილები მის მიერ სიცოცხლეში განწლები გზისა.

უმოქმედობის, პრაქტიკული უპერსპექტივობის ტრაგედიამ აქაც იჩინა თავი და ათიქის იმისთვის, რომ სვედაწყველილ პოეტთა ძველისაველი ადოქმა აღსრულებინა — როცა მას გარშემო უიმედოდ დაიხშო ყველა გარეგანი გზა — „მერანის“ ავტორმა შეძლო საკუთარი სულის სიღრმეში აღმოეჩინა ახალი სივრცე და ამგვარად უსასრულობის, მარადიული სრბოლის დიად განცდას ზიარებდა.

მთელი თავისი შემოქმედებით ბარათაშვილი უპირველეს ყოვლისა საკუთარი ეპოქის სულიერ მიზანსწრაფვითა თანაზიარა. როგორც ში-

ნარის, ასევე ფორმა მისი ქმნილებისა ზუსტად მიგვანიშნებს საუყუნის ისტორიულად განსაზღვრულ მიდრეკილებაზე, მისი სახით ჩვენ გვაქვს XIX საუყუნის მსოფლიო რომანტიკული პოეზიის უადრესად ნიშანდობლივი, ტიპური ნიმუში.

მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული რომანტიზმის სათავეებს (ამ სიტყვის ფართო გაგებით) ბევრად უფრო ადრეული საუყუნების სიღრმეში მივყევართ.

ქრისტიანულ-რომანტიკული პათოსი, რომელიც ერთთავად განმსუვალავს ჩვენს სასულიერო პოეზიას, შემდგომ, ტრანსფორმირებული სახით, ქლასიკურ მწერლობამდე აღწევს და მეტად ღრმა დაღს ამჩნევს მთელ მის ვანეთარებას.

აქამდე ჩვენ ძირითადად შევეხეთ ცალკეულ ლიტერატურულ მოტივებს, რომლებიც ბარათაშვილის შემოქმედებას ძველი ქართული მწერლობის ტრადიციებთან აკავშირებენ. ამ მრაველსახოვან კავშირთა სრული წარმოდგენისათვის აუცილებელია ქართული ლიტერატურის-მცოდნეობაში დღდგენილი მთელი რიგი პარალელების გათვალისწინება (განსაკუთრებით საგულისხმოა ამ მხრივ პ. ინგოროყვას, ს. ჩიქოვანის, ა. გაყერელას, კ. აკეილიძის, აღ. ბარამიძის დავიკრებები).

ამის შემდეგ ჩვენი მთავარი საზრუნავია იმ არსებითი, ძირითადი ხაზის გამოყვება, რომელიც, როგორც ძველი ქართული მწერლობის სიღრმეში მომდინარე, საკუთრივ რომანტიკული ნაყაღი, ბარათაშვილის შემოქმედებაში აღწევს თავის საბოლოო გამლას.

სასულიერო პოეზიის ძველების შემდეგ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა რუსთაველის პოემა.

პერიოტიული სული, რომელიც მთელ „გვეხსიტყაოსანს“ გამსუვალავს, ამ პოემაში მხატვრულად ხორცშესხმულია იდეალიზებულ სახეებში, მათ რომანტიკულ სიმბოლიკაში.

სწრაფვა იდეალურისაკენ, სრულყოფისაკენ წარმოადგენს რუსთაველის პოემის მთავარ პათოსს. მაგრამ იდეალური „გვეხსიტყაოსანში“ არსად არ რჩება კონკრეტული, მატერიალური განხორციელების გარეშე. რუსთაველის პოეტურ სამყაროში პირობითი სიმბოლოები, იდეალი, გადატნითი მნიშვნელობის შემცველი ნიშნები თვალნათლივ ცოცხლებიან, ახალ სულს იღამენ და ახალი სრულქმნილი, ხორცშესხმული არსებობისთვის იღვიძებენ. სულსმიერო, იდეალური აქ გამუდმებით მიილტვის თავისა ხორციელი განსახიერებისაკენ, მატერიალურისაკენ, ხოლო მატერიალს ასევე გამუდმებით ეჭრება იდეათა სფეროში და თავის ცოცხალ, „თბილ“ ფორმებს კარნახობს მათ.

ამ თვალსაზრისით სავსებით სწორია ცნობილი

**გურამ ასათიანი**  
„მერანი“ და მისი აბტორი



ინგლისელი მეცნიერი მორის ბოურა, როდესაც შეასაუბრებინ დასავლურ ლიტერატურათმცოდნეობის, ხაზგასმით აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის ავტორისთვის დამახასიათებელ რეალობის თავისებურ გრძნობას.

„აქ ერთმანეთს უპირისპირდება — წერს ბოურა — რუსთაველის საღი დამოკიდებულება კაცობრიობის მიმართ და ფრანგების ტრადენცია, ყველაფერი აბსტრაქციად და ალეგორიად აქციონ. შართალხა, თავად რუსთაველი თავის პოემას „აღეგორიულს“ უწოდებს, მაგრამ იგი ისე საფუძვლიანად ამუშავებს თითოეულ თემას, რომ ჩვენ უშუალო წარმოდგენების მიღმა არასოდეს ვეძებთ სხვა აზრს.“)

ბოურას მოსაზრება ზუსტ დაკვირვებას ეყრდნობა, მაგრამ თვით შედარება აქ ცალმხრივია, რადგან ყურადღების ცენტრში მხოლოდ განმსახვავებელი ნიშანი დგას. საქმარისია „ვეფხისტყაოსანს“ სხვა კუბით შევხედოთ და ეს კონტრასტი მაშინვე დაპყარავს თავის აბსოლუტურ მნიშვნელობას.

თუ რუსთაველის პოეტურ სამყაროს კლასიკური (ანტიკური) ხანის ნიმუშებს შევუბნობთ, აღმოჩნდება, რომ ბოურას მიერ აქცენტირებული სხვაობა წინაგანი ნათესაობის მარცვალზე არის აღმოკენებული.

ვეფხისტყაოსნის სახეებს უკვე აშკარად ეტყობათ კლასიკური წარმოდგენებიდან რომანტიკულ სფეროში გადასაცვლების, მათი თავისებური გადანერგვის ნიშნები. რუსთაველის პერსონაჟები, მიუხედავად მათი ხასიათების ეპოქური იერისა, რაც მათ კლასიკურ ეპოსთან აკავშირებს, პიროვნების სულიერი ცხოვრება ახალსავე თვალსაზრისით უკვე სრულიად ახალ საფეხურს მოასწავებენ. ხასიათის შემდგენელ პლასტებად დანაწევრება აქ უკვე სახეზეა და მხატვრის ახალ შემოქმედებით ამოცანას განაპირობებს.

ავთანდილის ხანგრძლივი ოდისეია, რომელიც ზოგადად გარგვანი ნიშნებით — ფაქტობრივებით, ცთუნებებით — ჰომიროსისა და ვერგილიუსის ვმირთა თავგადასავალს ენაშტრება, არსებითად ახალი ხასიათის წინაგანი მოპარაუებით არის გამდიდრებული.

ავთანდილი ძალზე ხშირად იწვევს ირაციონალურისაკენ, ძალზე ხშირად ნებდება საკუთარი სულის ქვეცნობიერ ძალებს, ძალზე ადვილად გადადის ექსტაზში და სპირიტუალურ კავშირს ამყარებს ცსათან. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი „გადავარდნები“ მას უფრო ხშირად ემთხვევა, ვიდრე ტარიელს. ავთანდილის ხასიათში არანაკლები რაოდენობით მოიპოვება იმ ამაფუძებელი ნივთიერებების მზავი, რომელსაც თითქოს ყოველ წუთში შეუძლია საბოლოოდ მოწყვიტოს მისი აღტკინებული სული მიწიერ მიზიდულობას.

რომანტიკული სულისკვეთება რუსთაველთან

განსაკუთრებით შიშველი სახით გამოიხატება მის „ლირიკულ“ ნაწილებში, კერძოდ, ნეტარების ლის ანდერძში და ნესტანის წერილში ტარიელისადმი.

ღმერთსა შემეცდრე, ნუთუ კვლა დამხსნას  
სოფლისა შრომასა,  
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა  
ძრომასა.

მომცეს ფრთენი და აფრინდე, მივხვედ  
მას ჩემსა ნდომასა,  
დღისით და ღამით ვეხვედდი მზისა ელვათა  
კრთომასა.

— ეს სტროფი ნესტანის წერილიდან რუსთველოლოგთა მრავალმხრივი დაკვირვებებისა და მსჯელობის საგანს წარმოადგენს. ჩვენ აქ ყურადღებას ვაუბნავთ მხოლოდ ორი ასპექტით.

სტროფის მესამე სტრიქონი („მომცეს ფრთენი და აფრინდე“), ჩვენი ფიქრით, აშკარად დაკავშირებულია ბიბლიის ერთ მეტად ნიშანდობივ ფრაზასთან: „და ვთქუ, კინმუც მცნა მე ფრთენი ვითარუც მტრდისანა და აფრინდე მე და განვიცენო“.<sup>1</sup>

აქ აღსანიშნავია „დაბადების“ ქართული თარგმანის ტექსტისა და ვეფხისტყაოსნის შესაბამისი სტროფის აშკარა ლექსიკური თანხვედრა, ხოლო მთავარია ის, რომ რუსთაველი აქ მიმართავს დავით წინასწარმეტყველის გალობის სწორედ იმ ადგილს, რომელიც თავისი სულსკვეთებით განსაკუთრებით ახლობელი აღმოჩნდა ქრისტიანული მსოფლმეგრძნებისათვის.

ასეთია ამ სტროფის მნიშვნელობა რეტროსპექტული ასპექტით, ხოლო ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით ვეფხისტყაოსნის ეს სტრიქონები ჩვენ წარმოგვიდგება ქართული რომანტიზმის, რომანტიკული მსოფლგაგების პირველ მანიფესტად, რომელიც თავის თავში მარცვალვით შეიცავს გურამიშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ ხილვებს.

ვეფხისტყაოსანი სამყაროს მხატვრული დაკავრობისა და დაუფლების კლასიკური ნიმუშია. „დაუფლება“ აქ თანაბრად განვრცობილია ორ სიბრტყეში. სამყარო, რომელსაც რუსთაველის გარეუბი საკუთარი სულის სიღრმეში ატარებენ, არანაკლებ დიადი და მშვენიერია, ვიდრე მათი გარემომცველი ქვეყნის ფერდაუფლები მშვენება. სივრცეები აქაც თვალშეუფენელად იშლებიან და აღამაინ უკვე განციფრებათ ჩსცქერის მის თვალსაყრდენად ახალ უფსრულთა სიღრმეს. მან უკვე იგრძნო საკუთარ „სურვილთა დიადობანი“ უკვე მიხვდა, რომ მისი ნდომის გარდუქვლობა, მისი სწრაფვა მარადიულო სინათლისკენ აღმსიერად ჩვეულებრივი, მიწიერი არსებობის შესაძლებლობებს. ამ შეგრძნებიდან იღებს სათავეს რომანტიკული ამაღ-

<sup>1</sup> დავითნი კანონი 7



ლები და ბათოსი. და მიანც, რუსთაველის გმირთა ხასიათები მთლიანია. სწორედ ეს მთლიანობა, „ერთიანობა“, რომელსაც ბოტრა რუსთაველთან შენიშნავს, მკვიდროდ აკავშირებს ვეფხისტყაოსანს კლასიკური პოეზიის იდეალებთან. კერძოდ, ავთანდილის ხასიათის გამომწვევად მთლიანობა თვალნათლივ ჩანს ვამოკლნილი მის მოქმედებაში, მისი ცხოვრების საერთო წესში, რომელსაც ყოველთვის გონიერად მოტივირებული, დასრულებული ხასიათი აქვს.

შინაგანი ჭიდილის, გადაყარდნის, ექსტატიური აღმადრენის ვერგია აქ, როგორც წესი, თავის ბუნებრივ გამოსავალს პოეებს პრაქტიკულ, რეალურ მოქმედებაში და სწორედ ამ გზით იდეკატორ ფორმში განხორციელებული დასრულებული მთლიანობის სახით წარმოვადგება.

ვეფხისტყაოსანში აღდგენილია ქრისტიანული მწერლობის მიერ გაუქმებული შინაგანი თანხმობა ადამიანის სუბიექტურ სამყაროსა და მის გარემომცველ ობიექტურ სამყაროს შორის. რუსთაველის გმირთა ყველაზე ამაღლებული წადილი, ყველაზე რომანტიკული იდეალება მაინც აქ, ამ ქვეყნად პოეებზე თავიანთ ვანხორციელება. სულისმთიერი სინათლე და ჰარმონია აქ ძლიერ უყუენეთისა და ჭაოსის ძალებს, მშვენიერება აქ სახიერდება ცოცხალ, სრულყოფილ სახეებში.

მთლიანობა, შინაარსისა და ფორმის სრული ჰარმონია ერთიანად გამსჭვალავს „ვეფხისტყაოსანს“ მთელ მხატვრულ ქსოვილს. იგი ვამოხატულია, როგორც პერსონაჟთა სახეებისა და მეტაფორული სისტემის, ისე სუბიექტური კომპოზიციის ზუსტ სიმეტრიებში, რუსთაველას სტროფის მყარ, ფოლადისებურ ნაქედობაში.

კლასიკური სისადავისა და ზომიერების დახვეწილი გრძობა ვეფხისტყაოსანში ვამუღმებით აწესრიგებს როგორც პოემის ძირითად ფაბულურ სტრუქტურას, ასევე მისი უმცირესი შემადგენელი ნაწილების ჰარმონიულ წყობასაც.

მაგრამ ეს ჰარმონია, ეს მთლიანობა, თავის თავში დასრულებული, სადა და ნატიფ კონტურებში გახსნილი, მკვიდრად ნაგები შენობა ამავე დროს გამდიდრებულია შინაგანი პერსპექტივის საოცარი, თითქმის უსასრულობაში გატყუარცილი სიღრმით.

ვეფხისტყაოსანში მიღწეული ჰარმონია ესთეტიკური თვალსაზრისით უკვე შესამჩნევად განსხვავდება ხელოვნების კლასიკური იდეალიზმთან.

ეს არის თვისობრივად ახალი, სრულიად განსაკუთრებული, უჩვეულო თანხმობა, რომელიც კლასიკური და რომანტიკული იდეალების ჰარმონიულ შეუღლებას გელისხმობს.

ამ თვალსაზრისით ვეფხისტყაოსანი თავისი დროისთვის იყო თითქმის უნიკალური ცდა შეურიგებლის შერიგებისა.

ეს ორი პოლუსური ნაკადი (კლასიკური და რომანტიკული, „წარმართული“ და „ქრისტიანული“) შემდგომი საუკუნეების მანძილზე თანდათან განილტვება ერთმანეთისაგან და კვლავ შეურიგებელ წინააღმდეგობას ქმნის.

თეიმურაზ პირველის, არჩილისა და ვახტანგ მეექვსის შემოქმედებაში, რომელნიც ძარიდად რუსთაველის პოეტური სამყაროს გაუღონის ქვეშ არიან მოქცეულნი, უკიდურეს პერტიკულამდე მისული რომანტიკული იდეალებში (თეიმურაზის „ჩივილი სოფლისადმი“ და „წამება ქეთევან დედოფლისა“, სიყვარულის მისტიკური კონცეფცია ვახტანგთან) კიდევ თანაარსებობს ხორციელ სიამეთა თავისებურ კულთან (თეიმურაზის „მეჩამა“, ვახტანგის „საბუნდად გულისა“).

ასევე წინააღმდეგობრივია აქ თანაარსებობა, ერთის მხრივ, სოფლისაგან კრიტიკული ვანდგომის, ხოლო, მეორეს მხრივ, პრაქტიკული მოქმედების აუცილებლობის მოტივებისა. ამ მხრივ სანიშნოა არჩილის აღსარება: „სოფელს ვაგინებ, მაგრამე მიყვარს და ვერ ვესხნებია“ („ლექსნი ასდაათნი“).

მაგრამ ეს ორი მოტივი აქ აშკარად ეკლექტიკურ მთლიანობას ქმნის, და სწორედ ამით განსხვავდება სამყაროს ჰარმონიული განცდის იმ ორგანული თვისებისაგან, რაც ვეფხისტყაოსანის მთელი მხატვრული შინაარსის განმსაზღვრელია.

შემდგომ ხანებში ქართული კლასიკური პოეტური მსოფლგაგების შინაგანი რღვევის პროცესმა კიდევ უფრო ინტენსიური ფორმა მიიღო სასაბოლოოდ გურამიშვილისა და ზეისიის (განსაკუთრებით მისი მიმდევრების) ლირიკაში ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოეტური მსოფლგანცდის სახით გამოვლინდა.

ზეისიის „ტანო ტატანო“, რომელშიც რაფინირებული სახე შეიძინეს ძველი ქართული სატრფილო ლირიკის მოტივებმა და პოეტურმა ხერხებმა, თავის მხრივ იქცა საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიციის წყაროდ, თავისებურ ლირიკულ კარბადინად, რომელშიც მისი მიმდევრები მზა პოეტურ რეცეპტებს ამოიკითხავდნენ. საინტერესოა, რომ ზეისიის ერთგულ შეგირდთა სიაში გვხვდება ნიკოლოზ ბარათაშვილის ორი მოგვარეც: ზაალ ბარათაშვილი („სუბილბულ მწუხარებს“) და ბარათაშვილი („...ნუ მწუკვ მიჯნურო“).

ზეისიკური ნაკადი ქართულ პოეზიაში დაკავშირებული იყო წარმართული მგრძობლობის კულტთან, რომელიც ძირითადად ტრადიციული აღმოსავლური მეტაფორიზმის ხერხებით პოეებდა თავის პოეტურ განხორციელებას.

თვითონ ზეისთან სიყვარული. ტრაგიკული განცდა. ეს ინტონაცია ინერციის ძალით ვადა-

**შურამ ასათიანი**  
„მმრანი“ ღა მისი ავტორი

დის მისი მიზამაგვლებების შემოქმედებაშიც, მაგრამ თანდათან ჰკარგავს თავის შინაგან გამართლებას და თავისებური გალანტური თამაშის იერს იღებს; ეს არის თამაში გრძნობებით, სახეებით, რითმებით.

აღ. ჭავჭავაძისთან, რომელმაც ბესიკის ვაგონი განიცადა, სიყვარულის განცდა არსებითად მოკლებულია ტრაგიზმს. უბედურება, ტრიკული აქ გრძნობის პირობითი ელფერია.

ბესიკის შემოქმედებაში აუცილებელია გამოვარჩიოთ ის, რაც მისი შემოქმედი პიროვნების ცოცხალ მთლიანობას შეადგენდა და ის, რაც ლიტერატურული ტრადიციის სათავედ იქცა. როდესაც გურამიშვილისა და ბესიკის ანტიპოდურ ხასიათზე ვლაპარაკობთ, ჩვენ უწინარეს ყოვლისა მხედველობაში გვაქვს ბესიკის შემოქმედების მეორე მხარე: ე. ი. არა მისი ლირიკის ცოცხალი მრავალსახოვნება, არამედ ის ძირითადი თვისება, რომელიც ლიტერატურული ვაგონებისა და მიზამების საგნად იქცა.

კიდევ უფრო მრავალფეროვანია დღით გურამიშვილის პოეტური მემკვიდრეობა. მაგალითად „ქაცვია მწყემსი“, თუ მის სერიოზულ მხატვრულ ნაწარმოებად ჩათვლით, აშკარად შეტყობამო „დავითიანის“ ძირითადი კონცეფციისა. თუმცა, ჩვენი ფიქრით, ეს პოემა ზერელე ლიტერატურული ვარჯიშის ნაყოფს უნდა წარმოადგენდეს, სავარაუდოა, რომ ეს არის რაღაც არამართულ, ნახევრად ფოლკლორული ნახევრად ლიტერატურული ნაწარმოების თავისუფალი თარგმანი („ქაცვია მწყემსი“ ვერსიფიკაციის თვალსაზრისითაც არაორგანულია ქართული პეუნისათვის).

გურამიშვილის პოეზიაში განუზომლად უფრო მკაფიოდ, ვიდრე მისი ეპოქის სხვა რომელიმე პოეტის შემოქმედებაში, მოჩანს ცოცხალი, არამირობითი პიროვნება თავისი ცოცხალი, რეალური, არამირობითი განცდებით. აქ იღვიძებს ინტერესი რეალური ადამიანის შინაგანი სამყაროსადმი, სულიერი ცხოვრებისადმი.

გურამიშვილს ეკუთვნის მოწოდება, რომლის ექიმ ახალი საუკუნის ზღურბლამდე მოაღწია და ბარათაშვილის პოეზიაში განხმაურდა ახალი სიძლიერით:

ნუ გძინავს, სულო, აწ გაიღვიძე,  
რომ არ შეიქმნა ლამპარ შრეტელი!

(შდრ. ბარათაშვილის წერილი გრ. ორბელიანისადმი: „შინაგანი ხმა... მეუბნება, ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ...“) გურამიშვილის ენაზე ამ სიტყვებს კონკრეტული ლამპარათული მნიშვნელობა აქვთ. „სულიერი ქაბრიანო დანთების“ მოტივი მას მემკვიდრეობით აქვს მიღებული ძველი ქართული სასულიერო პოეზიიდან. მაგრამ აქ არის მნიშვნელოვანი განსხვავება. „აწ განიღვიძე, რომელსაც ეგე ეძინავს. ნებსით ჭორციოთა ზეცისა მეოჯგო“. — იოანე მინჩხის დასდევ

ბელნი ეს სიტყვები მიმართულია ლმერთისადმი (ამას უვალდებენ „დასნი მღვიმეში“ ლმერთს ქრისტეს, აღდგომის წინ) გურამიშვილთან „ნუ გძინავს სულო, აწ განიღვიძე!“ ეხება არა უზენაეს სულს (ღმერთს), არამედ ადამიანს.

მაინც, ადამიანის პიროვნება გურამიშვილის პოეზიაში, მიუხედავად უკვე ნათლად გამოკვეთილი ინდივიდუალური თვისებებისა, ჯერ კიდევ შეზღუდულია, სუსტია, ზოგჯერ აშკარად უსუსტოა ღვთისა და ქვეყნის წინაშე. ადამიანი აქ საბრალოდ გამოიყურება უზენაესთან შედარებით და ხშირად განგებ, გადაჭარბებით იმდაბლებს თავს.

მე ვით ვიტყვი შენს ქებასა,  
ნაწვართი ვარ ვით პირტყვი,  
მიწინდა და ჩემს მანეთს  
მიგზინთ კვერთხი ვარდალტყვი.  
ვით ენაზო, განმიწმინდე  
მე ცოდვილსა ბრალთა ტუტყვი...  
და სხვ.

„დავითიანში“ არის ადგილები, სადაც ავტორის გულწრფელობა ზენიტს აღწევს. საერთოდ ეს პოემა დაწერილია განსაკვირვებელი უშუალოებით და სწორედ ასე, როგორც ცოცხალი ადამიანის ნამდვილ, არავამოვონილ განცდათა უშუალო, ზუსტი პოეტური ანარქული, შეგნებულად გათავისუფლებული მთელი რიგი ტრადიციულ-ლიტერატურული პირობითობისგან, მკვეთრად უპირისპირდება ბესიკის ლირიკულ სამყაროსა და პოეტიკას.

ასეთ უაღრესობამდე მისული სიწრფელით დაწერილ ადგილებში პოემის ლირიკული გმირი ჩვენს წინ წარმოდგება, როგორც ადამიანი უმწეო არსება:

რით გარდვიხადო მე, ღმერთო,  
ეგე-ვითარი ვალობა,  
რაც შენ მომავე საესებით  
ურტიცხე შენი წყალობა?  
უწვრთნელ ვარ, არა ვიცი რა  
დავითის ფსალმუნთ ვალობა,  
ვთხოვ უმეცარსა შემიწოდო,  
ჩემი ცოდვა და ბრალობა.

ამ თვალსაზრისით ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკული გმირი მეტად განსხვავდება გურამიშვილისგან. ბარათაშვილი, როგორც ლირიკოსი, პირველი დიდბუნებოვანი პიროვნებაა ქართულ პოეზიაში, რომელსაც არ დაუკარგავს უზენაესის რწმენა, ამგვარ უკვე იკრწნო საკუთარი სიმაღლე, თავისი შინაგანი ძლევამოსილება და „სურვილია დაიდობანი“.

ბარათაშვილის სულიერი ნათესაობა გურამიშვილის პოეტურ სამყაროსთან ძირითადად სათავეს იღებს რომანტიკულ სულისკვეთებაში, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ „რჭულში“ არის განცხადებული:

**ხორცია მიწა ტალახი,  
საწუთროს ფეხით ნალახი;**  
სული უსხეულ მყოფელი,  
აქვს საუკუნო სოფელი.  
ხორცი მკვდარ-ხმელი ზალახი,  
აყოებულად ნანახი:  
სული ცხოვრების მპყრობელი,  
ვით ბაზმა გაუქრობელი.

სწორედ ეს ქრისტიანული წარმოდგენა ხორციელი და სულიერი მშვენიერების ურთიერთ-საპირისპირო ბუნების შესახებ არის გაღრმავებული და თავისებური ესთეტიკური პრინციპის ხარისხში აყვანილი ბარათაშვილის ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა“:

ამ თვალსაზრისით გურამიშვილი ქართული მწერლობის ისტორიაში ჰუმარტი წინაპარია ბარათაშვილისა.

გურამიშვილთან, როგორც ადრეული რენესანსის ქრისტიანულ ხელოვნებაში, რომელიც დემოკრატიული, მდაბიური სულით გამოირ-

წეოდა, ჯერ კიდევ არსებობს უხეში სინამდვილის, ყოფის, დაუხვეწავი ატრიბუტები. ისინი საკმაოდ დიდ ადგილს იკავებენ პოეტის მიერ შექმნილ ტილოზე, თუმცა გურამიშვილისთვის „ყოფა“ წუთისოდლის მტვერია, რომელიც ადამიანის უკვდავ სულს უნდა ჩამოერეცხოს.

ბარათაშვილთან სული უკვე განწმენდილია, მას უკვე განვლილი აქვს ლირიკული კათარზისი და თავისი წმინდა, მარადიული, ამაღლებული, ძლევამოსილი სახით გვევლინება. აქ ყველაფერი ელავს და კაშკაშებს უკვდავების მარადიული იდეით. და, რაც მთავარია, ბარათაშვილთან ადამიანის სული — პიროვნება — უკვე გრძობს თავის სუვერენულ მდგომარეობას არა „მხოლოდ“ სოფლის, არამედ ბედისწერის, განგების მიმართაც.

ასე გამოიყურება დაახლოებით ის გზა, რომელიც „რომანტიკული სულის“ განვითარებამ გაიარა ქართულ პოეზიაში ადრეული შუასაუკუნეებიდან ბარათაშვილის ეპოქამდე.





## ზაქარია შველიძე

### ლენინური წრთობის სარდალი

უკვადია ლენინური წრთობის იმ გმირთა სახელები, რომლებიც სამოქალაქო ომის მრასხანე დღეებში უდროოდ დაიფარდნენ დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დაცვისათვის ბრძოლაში. დღეს კომუნისმის მშენებელი საბჭოთა ხალხისათვის კიდევ უფრო ახლობელი და საყვარელია სამოქალაქო ომის გმირთა სახეები. ეს აღამიანები, ნახევრად შიშველ-შშიერნი, მაგრამ რევოლუციის სულით აღფრთოვანებულნი, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ კბალებამდე შეიარაღებულ და ყოველმხრივ აღჭურვილ უცხოელ ინტერვენტებსა და შინაკანკონტრარევოლუციას. ისინი იხოცებოდნენ, მაგრამ არასოდეს იჩქებდნენ რევოლუციის მტრების წინაშე. მათ დიდების შარავანდელით შეამკეს ლენინის დროშა, რომელიც ნახევარი საუკუნეა ამაყად ფრიალებს საბჭოთა სახელმწიფოს თავზე და კომუნისმის გზას უნაუბს მსოფლიოს მშრომელებს.

სამოქალაქო ომის ბევრი გმირი ვერ მოესწრო მტრის ურდოებზე საბოლოო გამარჯვების ზეიმს. ისინი, მტრის ტყვიით უდროოდ განგმირულნი, ვერ კიდევ სრულიად ახალგაზრდები მიიბარა მშრომელთა ოფლითა და სისხლით მორწყულმა რუსეთის მიწამ. მაგრამ მათი სახელები არ დაკარგულა: ისინი ცოცხალ ლეგენდებდ შემორჩნენ მშობლიური ხალხის ხსოვნას. და, მართლაც, ქვეშაობიდან უსაზღვრათა რევოლუციის რაინდებისადმი ხალხის სიყვარული. თაობიდან თაობას გადაეცემა ხოლმე თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის დაეცემულ მებრძოლთა საგმირო საქმეები; ლეგენდებში ცოცხლდება რევოლუციისათვის თავდადებულ რაინდთა სახეები. ახალგაზრდა თაობა იზრდება მათ სახელოვან ტრადიციებზე. ლეგენდებდ ქცეული აღამიანები მძლავრ ზემოქმედებას ახდენენ უკეთესი მერამისისათვის მებრძოლთა უღრკეი ხასიათის ჩამოყალიბებაზე. ახლის ძიებისა და ცხოვრებისეული სიძნელეების დაძლევისას

ისინი ცდილობენ მოიქცნენ ისე, როგორც მათი საყვარელი გმირები მოქმედებდნენ. სწორედ ამიტომ ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა ლიტერატურას, რომელიც რევოლუციის რაინდთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავს. შეიქლება თამამად ითქვას, რომ ასეთი ლიტერატურა გადამწყვეტ როლს თამაშობს პარტიულობის სულიკეთებით ახალი თაობის აღზრდის დიდ სახელმწიფოებრივ საქმეში.

უკანასკნელ წლებში ქართველმა ისტორიკოსებმა და მწერლებმა საყურადღებო წიგნები დაწერეს საბრძოლო-რევოლუციურ თემატიკაზე. გამოცემულ იქნა ისეთი ბიოგრაფიული ნარკვევები, როგორცაა: „მიხა ცხაკია“, „ფილიპე მახარაძე“, „სერგო ორჯონიძე“, „გიორგი თელია“, „საშა გეგუქორია“, „შალვა ელივა“, „მამია ორახელაშვილი“, დოქ. ფ. ლომაშვილის მეცნიერულ-მხატვრული ნარკვევ „გიორგი სტურუა“, ი. ლისაშვილის ზომანი „ლადო კეცხოველი“ და სხვ. რომლებმაც გამოსვლისთანავე ფართო აღიარება ჰპოვეს მკითხველთა შორის.

მიუხედავად ამისა, ქართველ მკითხველთა თაროები ვერ კიდევ ღარიბია მეცნიერულ-დოკუმენტური მოთხრობებით. ჩვენი მეცნიერება და მწერლები ქართველ საზოგადოებას არ ანებიერებენ ამ ენარის თხზულებებით. მკითხველია ინტერესი კი ასეთი ლიტერატურისადმი ერთობ დიდია. ამის ნათელი ილუსტრაციაა ის ფაქტი, რომ დ. ფურმანოვის მხატვრულ-დოკუმენტური მოთხრობის „ჩაპაევის“ გამოცემები (მათ შორის ქართულიც) სულ რამდენიმე დღე თუ „სძლიტს“ წიგნის ბაზარზე. ამ წიგნით მკითხველთა მხურვალე დაინტერესება აიხსნება არა მარტო მისი დიდი შემეცნებითი ღირებულებით, არამედ იმითაც, რომ ასეთი ენარის ლიტერატურა ერთობ ცოტაა. ამ ვარემოებზე სავსებით სამართლიანად მიუთითა ავად. ა. ბერგმა ვაზ. „პრავდაში“ გამოქვეყნებულ თავის სტატიაში. მისი სიტყვით,



ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ ძლიერ ცოტაა მეცნიერულ-მხატვრული მოთხრობები და ცოცხალი ნარკვევები, იმითაა გამოწვეული, რომ ერთობა მცირეა ამ ქანრში მომუშავე ავტორთა რაოდენობა („პრავდა“, 1967 წ. 16 აბრილი).

ამ მხრე კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაა საქართველოში. ამიტომაც მისალმების ღირსია გამოვეყოლოთ „სახბოთა საქართველოს“ მიერ დოც. აკაკი ირემიძის წიგნის „ცოცხალი ლეგენდის“ გამოქვეყნება. თუ რა დიდი ინტერესით შეხვდა ქართველი საზოგადოება მეცნიერულ-მხატვრული ქანრის ამ ნაშრომს, ამის ნათელი დანასტურებაა ის, რომ იგი პირდაპირ დაიტაცეს მკითხველებმა.

ა. ირემიძის მხატვრულ-დოკუმენტური მოთხრობა „ცოცხალი ლეგენდა“ ვადმოგვცემს სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის, ქართველი შევიარდნის — ვასილ კიკვიძის ცხოვრებასა და რევოლუციურ საქმიანობას. კითხულობთ ამ წიგნს და თქვენს თვალწინ ცოცხლდება ქართველი რევოლუციონერის, სწორუპოვარი გმირისა და ნიჭიერი სარდლის კეთილშობილური სახე, მისი საბრძოლო ცხოვრების ვნა. ეს წიგნი თავიდან ბოლომდე შეუნელებელი ინტერესით იკითხება.

სარეცენზიო შრომა სათავგადასავლო-ბავარდული ჩასიათის ისეთ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის, რომელშიც არაფერია „გამონაგონი“, „შეზნული“. მისში ყველაფერი მტკიცე საბუთებზეა და არგუმენტებს ეყარდნობა, — მაგრამ მხატვრულმა აღლომ, ფაქტების, მოვლენებისა და ამბების რეალურად დანახვისა და აღქმის უნარმა ა. ირემიძეს შესაძლებლობა მისცა ისეთი სიყვარულოთ, სიმართლოთა და გაუხვადებლად დახატვა თაგის გმირები, რომ მათ ცხოვრებასა და რევოლუციურ საქმიანობას აუღელვებლად ვერ გაეცნობით. ა. ირემიძე განყენებულად კი არ მოგვითხრობს ლეგენდარული კიკვიძის ცხოვრებისეულ გზაზე, არამედ თვითონაც განიცდის თაგის გმირის ქირსა და ლხინს, გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულს თუ დროებითი წარუმატებლობით მიყენებულ ტკივილს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მკითხველზე წიგნის ემოციურ ზეგავლენას.

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი თაგის მოთხრობის მთავარ გმირს — ვასილ კიკვიძეს იზოლირებულად, გარემო-სამყაროდან მოწყვეტლად კი არ გვიჩვენებს, არამედ ღრმად ანალიზებს და ხატავს იმ გარემოს, რომელშიც ასეთი ინდივიდუალური თვისებების (შორსმჭვრეტელი, გამბედავი, სიმართლისათვის თავდადებული) მქონე ახალგაზრდა იწრთობოდა. ავტორის სიტყვით, ვ. კიკვიძის მოკლე, მაგრამ შინაარსიან ცხოვრებას მუდამ გზას უშუქებდა ბოლშევიკთა პარტიის წარმმართველი, ორგანიზატორული და დამარზმველი ძალა. იგი ყოველთვის იყო პარტიის ერთგული ჯარისკაცი და ასეთად დარჩა ამ დრომდე, ვიდრე მტრის

მუხანათურმა ტყვიამ სისხლიანი წერტილი ახდაუსვა მის მოკლე ბიოგრაფიას. საერთოდ, ა. ირემიძის ნაშრომი თავიდან ბოლომდე ჯარტიულობის სულსკვეთებთაა გაღუნული.

„ცოცხალი ლეგენდა“ იწყება მოსკოვში, წითელ მიედანზე ვასილ კიკვიძისა და ვლადიმერ მაიაკოვსკის შეხვედრის ამაღლებული სცენით. ვ. კიკვიძე კრემლიდან გამოდის. იგი ვ. ი. ლენინთან საუბრის შთაბეჭდილებათა ტყვეობაშია. გამვლელებს ვერ ამჩნევს. კიკვიძე ალბათ ვვერდს აუღლიდა თვით ვლადიმერ მაიაკოვსკისაც, რომ უქანასკნელი არ გადავლდა მას. გაიბა ვაცხოველებული საუბარი. მეგობრები იგონებენ ქუთაისის გიმნაზიაში ერთად გატარებულ დღეებს. ცენობებენ ერთმანეთს განშორების შემდგომ ამბებს. ავტორი ახერხებს ვაკუნის მიმდევარს რუსი და ქართველი ხალხების ამ ორი სამაყო შეილის მეგობრობის დეტალები (გვ. 6-7).

მაიაკოვსკი იგონებს ორთავსთვის საყვარელ ქუთაისს, გიმნაზიაში გატარებულ წლებს, არალეგარულ რევოლუციურ წრეში მუშაობას ორპირის ქუჩაზე, შეხვედრებს ტ. ტამიქსთან, პ. იაშვილთან, ვ. ჯიქისთან; პირველი რევოლუციის ქარაშლიან დღეებში მათს მონაწილეობას დემოკრატიებში, პროკლამაციებისა და მოწოდებების ვაცრელებში, ბარიკადებს მოწყობაში. პოლიციასა და ქანდარმერისთან შეტაკებებში და ა. შ. კიკვიძე კი მეგობარს მოუთხრობს თაგის თავგადასავალს: თუ როგორ ვადაარჩინა იგი თებერვლის რევოლუციამ სიკვდილით დასჯას, რომელიც ჯარში რევოლუციური მუშაობისათვის სამხედრო-საეულ სასამართლომ გამოუტანა; ლაპარაკობს იმაზე, თუ რევოლუციონერმა ჯარისკაცებმა როგორ აირჩიეს იგი ჯერ ჯარისკაცთა სიდივიზო კომიტეტის თავმჯდომარედ, ხოლო შემდეგ ფრონტის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ...

მაიაკოვსკისა და კიკვიძის ამ შეხვედრილი და საუბრით ისვენება მეცნიერულ-მხატვრული მოთხრობის კვანძი. მომდევნო თავებში კი წითელ მიედანზე შეხვედრისას მოთხრობილი ამბები საარქივო დოკუმენტებსა და სხვა პირველწყაროებზე დაყარდნობთ ისეა გამოლილი და ზორქმესხული, რომ მკითხველი ინტერესით იკითხულობს წიგნის თავებს. მის წინ თანდათან იშლება ქუთაისში რევოლუციური ბრძოლების სცენები, მათში ახალგაზრდა მაიაკოვსკისა და კიკვიძის აქტიური მონაწილეობის სურათები. ქუთაისელი პატარა ბიჭი ვასილ კიკვიძე მკითხველის თვალწინ იზრდება, რევოლუციურ ბრძოლებში იწრთობა და ვეკაცდება. ავტორი მსაწოდებს მკითხველს ვ. კიკვიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ დოკუმენტებს, რომ

**ზაპარიზ უვლიძე**  
ლენინური წრთობის სარდალი



ისინი მეცნიერულ მნიშვნელობასაც ინარჩუნებენ და ემოციური გავლენის მოხდენის უნარსაც.

განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს ნაშრომის ის თავები, რომლებშიც აღწერილია ვ. ი. ლენინთან და ნ. ი. პოდვოსისთან ვ. კიკვიძის შეხვედრისა და საუბრის ამბები. ავტორი აქ პირველწყაროებზე დაყრდნობით აჩვენებს დიდი ბელადის ტიტანურ შრომას წითელი არმიის შექმნისა და გამოწრებისათვის. ვ. კიკვიძის მავალითვე მკითხველი ხედავს, რომ ვ. ი. ლენინი პირადად იცნობდა წითელი არმიის სარდლებსა და მეთაურებს, წარმართავდა მათ სამხედრო-რევოლუციურ საქმიანობას. ავტორის სიტყვით, ბელადს „შეძლო ამომწურავად დაეხმასათვის მრავალი სამხედრო მოღვაწე, არმიების, დივიზიებისა და ცალკეული შენაერთების მეთაურებიც კი“ (გვ. 175).

სარეცენზო წიგნში დოკუმენტებზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რომ ვ. კიკვიძე ერთი აკვის განმარტებაში ორჯერ შეხვდა და ესაუბრა ბელადს. ლენინისა და კიკვიძის მეორე საუბარს ესწრებოდა სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი, უმაღლესი სამხედრო ინსპექტორის თავმჯდომარე ნ. ი. პოდვოსი. იგი მაშინ შევიდა ლენინთან, როდესაც ის კიკვიძისთან საუბრობდა. „იცნობდეთ, — უთხრა ლენინმა შემოსულ პოდვოსისს, — ეს ამხანავი კიკვიძე, უკრაინის მეითხე არმიის სარდალი. მან მოკვლია რამ საინტერესო მიამბო გერმანელებისა და ჰაიდმაკების წინააღმდეგ ჩატარებულ ბრძოლებზე... ახლა მისი არმია ტამბოვშია. ვფიქრობთ იგი გამოდგება დასაყრდენ ბაზად წითელი არმიის რევოლუციური ნაწილებს შექმნისათვის“ (გვ. 178). როდესაც დიდად აღდრთოვანებული კიკვიძე გამოეშვეილა ლენინსა და პოდვოსისს და წაივია, დიდმა ბელადმა ასე დაასასიათა ახალგაზრდა ქართველი სარდალი: „კიკვიძე მეგდარი, შემტევი მეთაურია. მე ბევრი რამ მსმენოდა მის შესახებ. პირად საუბარშიაც დავრწმუნდი, რომ იგი უაღრესად ერთგული, ნიჭიერი სამხედრო მოღვაწეა“ (იქვე). კიბხულთა დოკუმენტურად დასაბუთებულ ამ სტრიქონებს და ამაყობ, რომ დიდი ბელადის ეს სიტყვები ეხება შენს თანამემამულეს, სულ რაღაც 22 წლის ქაბულს.

წიგნში დამაჩერებლადა მოთხრობილი, თუ როგორ შეიქმნა რევოლუციური ფორმირების პირველი საბჭოთა დივიზია, თუ როგორ გახდა პირველი საბჭოთა სამხედრო შენაერთის მეთაური ქართველი შვეარდნი — ლეგენდარული კიკვიძე. აქვეა მოტანილი ნ. ი. პოდვოსის მიერ კიკვიძის დივიზიის შემოწმების შემდეგ ვ. ი. ლენინისადმი გაგზავნილი დეპეშის ტექსტი. საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო კომისარი სამხედრო საქმის სხვა სპეციალისტებთან ერთად მაღალ შეფასებას აძლევს დივიზიის პირადი შემადგენლობის მომზადებასა და კიკვიძის ორგანიზატორულ ნიჭს პოდვოსის მოახსენებ-

და ბელადს, რომ კიკვიძის მიერ ახლად ფორმირებული საბჭოთა ნაწილებმა განაცვიფრეს სპეციალისტები მამაცური შესახედაობით, კარგი მომზადებით, სწავლების მოწყობით“ (გვ. 182).

ვ. ი. ლენინის განკარგულებით კიკვიძის დივიზია სამხრეთის ფრონტზე გაიგზავნა. აქ, ცარიელისათვის ბრძოლებში, კიკვიძელებმა თავიანთი გმირული მოქმედებით ისეთი წარმატებები მოიპოვეს, რომ ალაპარაკეს საბჭოთა რუსეთის მთელი პრესა. კიკვიძის მებრძოლთა საგმირო საქმიები კარგადაა დახასიათებული ნ. ი. პოდვოსის დღეობაზე ნაწილებად ცნობილ დეპეშაში, რომელიც მან კიკვიძეს გაუგზავნა. „თქვენდამი რამუნებელი დივიზია, — წერდა იგი, — რომელსაც სიამაყით ჩემსას ვუწოდებ, ბრძოლაში უფრო უკეთესი აღმოჩნდა, ვიდრე სწავლებაზე ტამბოვში, როცა საშუალება ჰქონდა აღმენიშნა მისი კარგი მოქმედება. ახლად უდიდესი სიხარული აღვნიშნავ, რომ არ შეეცვლადარგარ... დიდება თქვენ, ჩვენი სიამაყენო, დიდება თქვენს ბელადს ამხანავ კიკვიძეს. წინ, კიკვიძის დივიზიაზე, ყოველთვის წინ და მხოლოდ წინ. თქვენ დაიხიციებთ ან გაიმარჯვებთ — ამიერიდან ასე სჯერა მთელ რესპუბლიკას, ამიერიდან ეს სიტყვებია ცნობილია, როგორც თქვენი დივიზიის დევიზი, დივიზიისა, რომელიც ახალგაზრდა, მზარდი ძალების მქონე რუსეთის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სიამაყეს წარმოადგენს“ (გვ. 222).

წიგნის ამავე თავში ავტორის მოჰყავს სხვა ახალი დოკუმენტური მასალებიც, რომლებიც ახლებურად ფენს შუქს ცარიელის ბრძოლაში კიკვიძის მონაწილეობის სურათს. ასე, მაგალითად: ჯერ ერთი, ირკვევა, რომ ცარიელისათვის ბრძოლების მძიმე დღეებში ვ. ი. ლენინის ინიციატივით სახეობსაბჭოს მიუღია საგანგებო გადაწყვეტილება — შეექმნა ცარიელის რკინიგზის კვანძის სახეობსაბჭოს კომისიის თანამდებობა. ეს უაღრესად პასუხსაგები საქმე დაუცისრებიათ ჩვენი მეორე თანამემამულესათვის — გერმანელი ოკუპანტების, პეტლიურელებისა და მანდაჩევის წინააღმდეგ უკრაინაში წარმოებული ბრძოლების სახელოვანი მონაწილის, მესამე და შემდეგ განსაკუთრებული არმიის ყოფილი სარდალის, პროფესიონალი რევოლუციონერის — ვესევი ჩიქვანიასათვის. ავტორი პირველწყაროებზე დაყრდნობით მიმზიდველად მოგვითხრობს ამ პოსტზე ე. ჩიქვანიაის საქმიანობაზე, რაც პირდაპირ დაეკავშირებულა კიკვიძის მოღვაწეობასთან. აღწერილია ფრონტზე ა. ჩიქვანიაის შეხვედრები კიკვიძისთან, ორჯონიკიძისთან, სტალინთან. ავტორის მიერ აქ პირველად ქვეყნდება ა. ჩიქვანიაის დეპეშა ვ. ა. ანტონოვი-ოვსენკოვისადმი. ეს დეპეშა ნათვლად წარმოადგენს გვაძლევს ჩიქვანიაის ორგანიზატორულ საქმიანობაზე. დეპეშაში ლაპარაკია ორჯონიკიძესა და სტალინთან ერთად ჩიქვანიაის მიერ შემუშავებულ ცარიელ-



წის დაცვის ოპერატიულ გეგმაზე, რომელიც შემდეგ წარმატებით განხორციელდა.

დღემდე ცნობილი იყო, რომ ვ. კიკვიძე 1918 წლის ზაფხულში ცარიცინის ფრონტზე მეთაურობდა მხოლოდ მე-16 დივიზიას. ავტორის მოაქვს ახალი საარქივო მასალები, რომლებიც უარყოფენ ამ თვალსაზრისს. ირკვევა, რომ კიკვიძე აქ მეთაურობდა არა მარტო დივიზიას, არამედ მთელ ზოპიორის ფრონტს. ხოლო ამ ფრონტში შემავალმა დივიზიამ მე-16 ნომერი მიიღო 1918 წ. 14 ოქტომბერს პოდვოიასკის დასაკუთრებული ბრძანებით (გვ. 152). ფრონტ-ში, რომელსაც კიკვიძე სარდლობდა, გარდა აღნიშნული დივიზიისა, შედიოდა მირნოვიცა და შამოვის საჯარისო შენაერთები. კიკვიძის ფრონტის ჯარებს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის 1918 წ. 14 ივნისის ბრძანებით ევალებოდა გრაიაზი-ცარიცინის გზის დაცვა სადგოლოვლიამდე (გვ. 198).

ახალ დოკუმენტებზე დაყრდნობით ავტორი პირველად გვიჩვენებს სამხრეთის ფრონტზე ვ. კიკვიძისა და ნ. ი. პოდვოიასკის საბრძოლო თანამეგობრობის სურათს. წიგნი მოთხრობილია ამ ვულთბილ მხრუწველობაზე, რომელსაც იჩენდა ქართველი გმირი რუსი ხალხის სახელმწიფო შვილის ნ. ი. პოდვოიასკის მიმართ სავადამყოფოში, სადაც იგი იწვა დივერსანტების მიერ მატარებლის აფეთქების დროს მიღებული დამავეების გამო.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სამხრეთის ფრონტზე კიკვიძისა და ჩიქენაიას საქმიანობის ირგვლივ ავტორის მიერ ბევრი, მის მიერ პირველად მივლული საარქივო მასალა თავმოყრილი. რაც დიდად ამაღლებს წიგნის მეცნიერულ ღირებულებას.

წიგნის ბოლო თავებში აღწერილია ლეგენდარული გმირის უკანასკნელი ბრძოლები. მისი სახედისწერო მარშრუტი მომავალი საბრძოლო პოზიციების დასათვლიერებლად, სადაც მტრის მუხანათური ხელით გასროლილმა ტყვიამ მის სიცოცხლე მოუწყრა. აღწერილია გლოვის ოღებები სამხრეთში, ჩამოსვენება მოსკოვში და დაკრძალვა ვაგანკოვის სასაფლაოზე. აქ მოტანილი ახალი მასალებით ავტორი ადგენს, რომ კიკვიძე გარდაცვლილი არა 11 იანვარს (1919 წ.), როგორც აქამდე იყო ცნობილი, არამედ 12 იანვარს დილის 7 საათსა და 30 წუთზე. სხვათა შორის, ავტორი ახალ თარიღს გვთავაზობს კიკვიძის დაბადების შესახებაც. დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში კიკვიძის დაბადების თარიღად მითითებულია 1894 წელი, ა. ირემაძის მიერ მოტანილი ახალი მასალიდან კი ჩანს, რომ იგი დაბადებულია 1895 წლის 28 თებერვალს.

სარეცენზიო წიგნიდან ჩანს, რომ ვ. კიკვიძეს დიდი ბეღადის ზრუნვა თავის უკანასკნელ ვაზნეც არ მოჰკლებია. ვ. ი. ლენინმა, როგორც კი მიიღო საშუალო ცნობა კიკვიძის დაღუპვის შესახებ, მაშინვე გასცა განკარგულება მისი ცხედრის მოსკოვში გადმოსვენებისა და ვაგან-

კოვის სასაფლაოზე დაკრძალვის შესახებ. ლენინის მითითებით შექმნილი სახელმწიფო კომისიის ა. ლუნაჩარსკის თავმჯდომარეობით მოსკოვის ვოგზალზე შეგდა სამგლოვიარო მატარებელს. ვაგანკოვის სასაფლაოზე ვ. კიკვიძის ცხედართან ა. ლუნაჩარსკიმ წარმოთქვა მხურვალე სიტყვა, ხოლო ვლადიმერ მაიაკოვსკიმ მისი სიტყვის მეგობრის კუბოსთან წაიკითხა თავისი ახალი ლექსი „პარტეზან მარში“.

წიგნის მიმართ გვაქვს ზოგიერთი შენაშენა და კეთილი სურვილი.

ნაშრომის მე-11 გვერდზე ავტორი ვ. კიკვიძის დაბადების შესახებ, დიდი საბჭოთა ენციკლოპედისაგან განსხვავებით, ახალ თარიღს გვთავაზობს (1895 წელს, ნაცვლად 1894 წლისა). ამასთან არ სწნის თარიღთა ასეთი დაღმუხველობის მიზეზს და არც თავის მოსაზრებას გვთავაზობს იმის შესახებ, თუ ამითვე რომელი თარიღია უფრო სანდო, და რატომ, რაც მკითხველს გაურკვეველ მდგომარეობაში ადგებს.

ნაშრომის მე-9 გვერდზე ავტორი წერს, ქუთაისელი რევოლუციონერები პოლიციის პოლკოვნიკ ქოქრაშვილის სახლის სარდაფს იყენებდნენ არალეგალური სტამბისა და რევოლუციური საქმიანობისათვის, მაგრამ არ ვან-მარტავს, თუ როგორ ახერხებდნენ ამას რევოლუციონერები. აქ მკითხველს შეიძლება ისეთი წარმოდგენა შეექმნეს, თითქოს ქოქრაშვილი თანაუგარძობდა და მხარს უჭერდა რევოლუციონერთა საქმიანობას.

დაუხსტებას მოითხოვს ზოგიერთი თავის დასათულება. მაგალითად, თავში — „სამტრედია-სა და ონი“ ვრცლადაა საუბარი ისეთ საკითხებზე, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ამ ადგილებში კიკვიძის საქმიანობასთან. იგივე ითქმის თავში — „შევიდობი, შევიდობი, უკრაინაზე“. უკრაინისთან ვ. კიკვიძის გამოშვებობების გარდა აქ დიდი ადგილი აქვს დათმობილი რუსეთის სხვადასხვა ქალაქებისათვის სისხლისმღვრელი ბრძოლების აღწერას.

175-ე გვერდზე ავტორი წერს, ვ. ი. ლენინს „შეველი ამოწურავად დაესახელებინა მრავალი სამხედრო მოღვაწე“. ორიგინალში, სადაც ნაცვ ეს სიტყვაზეა გადმოქართულებული, „დაესახელებინა“ მაგერად წერია „დაეხასიათებინა“. თითქოსდა ეს „შევიდობი“ შეედიოდა, მაგრამ იგი დიდ გაუგებრობას იწვევს.

მართალია, სარეცენზიო ნაშრომი დოკუმენტურ-მხატვრული თხზულებაა, მაგრამ, რადვანაც მისი ავტორია არა ბელეტრისტი, არამედ მკვლევარი-ისტორიოსი, პირველ რიგში მას მეცნიერული გამოკვლევის მნიშვნელობა ენიჭება, ა. ირემაძეს კი ზოგჯერ ისე იტაცებს მოვლენათა მხატვრული თხრობა, რომ თავისი ნათქვამის მეცნიერულ დასაბუთებას ივიწყებს. ამი-

**ზაპარიზი ვეპლიძე**

ლენინური წითლის სარდალი

ტომ მკითხველიც უხერხულობაში ვარდება — არ იცის ვის მიაკუთვნოს წაკითხული სიტყვები, ავტორის ფანტაზიას თუ დოკუმენტურ მასალას. ნაშრომს რომ მეცნიერული აბარატურა ჰქონდეს, მაშინ ადვილი არ ექნებოდა ასეთ გაუგებრობას.

ნაშრომი მოიგებდა, ავტორს მოკლედ მაინც რომ ეჩვენებინა მე-16 დივიზიის ბედი ლევენდარული მეთაურის დაღუპვის შემდეგ. ამ დივიზიამ ხომ სასტიკად იძია შური საბჭოთა რესპუბლიკის მტრებზე. მისმა მებრძოლებმა და მეთაურებმა შემდგომ გაამდიდრეს კიკვიძის დროინდელი გმირული ტრადიციები. კიკვიძის დივიზიამ სახელოვანი ფურცლები ჩასწერა საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომშიც. მე-15 დივიზია, რომლის პოლიტიკურ კომისრადაც მუშაობდა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს გამორჩენილი მოღვაწე, სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი, ვასილ პავლეს ძე მჭავანაძე, სამამულო ომის ფრონტებზე მუსრს ავლებდა ფაშისტ დამპყრობლებს.

ჩვენი შენიშვნები არ ამცირებენ ავტორის ამ მეტად საჭირო წიგნის მეცნიერულ და მხატვრულ ღირებულებას. დიდ საიუბილეო წელს ამ წიგნის გამოშვებით გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ მეტად კარგი საჩუქარი მიუძღვნა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს. ა. ირემაძის წიგნში მოთხრობილი ამბები ვ. კიკვიძის შეხვედრებზე ვ. ი. ლენინთან, მის მეგობრულ, რევოლუციურ და საბრძოლო თანამეგობრობაზე ვ. მაიაკოვსკისთან, ნ. პოდვოსკისთან, გ. ბელოვთან, ვ. კონდრაშინთან და რუსი ხალხის სხვა სახელოვან შვილებთან, აგრეთვე ვ. კიკვიძის ახლო ურთიერთობაზე უკრაინელ, ბელორუს, სომეხ, აზერბაიჯანელ, ჩეხ, პოლონელ, რუმინელ, ჩინელ და სხვა ეროვნების ადამიანებთან, რომლებიც მისი სარდლობის ქვეშ იბრძოდნენ, ერთნაირად დააინტერესებს როგორც რუს, ისე სხვა არაქართველ მკითხველსაც, ამიტომ ამ წიგნის რუსულ ენაზე გადთარგმნა ჩვენ საჭირო საქმედ მიგვაჩნია.



# ანა კალანდია

ანა კალანდიას პოეტური გზა ფოთლის ძარღვებით დატოტილია ნათლად გასარჩევი ბილიკებით, მცირე გადასახვევებით. მას უყვარს ლალი შესვენებაც ამ ფართო გზაზე (სწორედ ასე შეიქმნა მისი მშვენიერი ციკლი ლექსებისა „ღმევეში“), ან თვალის გადავლება ადრევე დაწყობილი პოეტური სივრცისათვის. ზოგჯერ კარგა ხნით შეჩერებულა კიდევ შემოქმედებით გზაზე, მაგრამ ამ მშვენიერი მოგზაურობის არც ერთ მონაკვეთსა თუ მოსახვევში მოულოდნელ ან საბედისწერო გზაჯვარედინებს არ გადასწყდომია და პოეტური მიმართულება არ გაუმრუდებია.

ერთი სახეცელილების მოწმენი კი მაინც გაცნობი. სწორედ მაშინ, როდესაც ანა კალანდიას რამდენიმე ათეული ლექსი ჯერ გამოქვეყნებულ არც იყო და ქართული მკითხველი მათ ხელნაწერით ეცნობოდა, ამ ლექსებში საოცრად გულგახსნილ, შთაგონებით გაბრუნებულ მხატვარს ვაეცანით, რომლის ნატიფი ლირიკა თითქოს ჯერ შეუმშრალი ნათელი საღებავებით და მაცოცხლებელი წყაროს გულხეობით პოეზიის ლხინზე გვიწვევდა. უფრო მოგვიანებით, როდესაც პოეტი რამდენიმე კრებულის ავტორი გახდა, მისი მგრძობელობა და, შესაბამისად, ლექსის პოეტიკაც საგრძობლად შეიცვალა. თემებისა და პოეტური სახეების განყენებულობა აშკარად წინა პლანზე წამოიწია, პოეტური ფორმაც უფრო სტატიურად გახდა და პოეტური მინიშნება არსებით გამომსახველობით ხერხად იქცა. ცნობილი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, მისი პოეტური ხმა „სურდინის ქვეშ“ გაისმოდა, თუმცა მხატვრული ჰერმეტიკობის თითქმის ყველა ნიშანი მის შემოქმედებით თემატურას ისე არ შეეხო, რამდენადაც სახეობრივ-მეტაფორისტულ სისტემას და, ამდენად, ავტორის მხატვრულ ხელწერას მკვეთრი ინდივიდუალური იერი შესძინა. სულიერი მომწიფე-

ბის ხანა ანა კალანდიას შემოქმედებაში გარეგნულად დაახლოებით ამგვარი ნიშნებით აღინიშნა.

პოეტური მინიშნების კულტურას ჩვენში მკიდროდ უკავშირდება ვალაკიონ ტაბიძის შემოქმედებით ტრადიციას. ანა კალანდიამ ამ ლიტერატურულ ტრადიციაში თავისი კილო, ცოცხალი ინტონაცია შეიტანა. თანამედროვე ლექსის კომპაქტურობას მან იმპრესიონისტულად გაშლილი, მრავალმეტყველი და თითქოს შინაგანი ილუმინების შემცველი სტროფიკა დაუპირისპირა. პოეტურ მინიშნებაში მან არა მარტო „აისბერგის პრინციპი“ დაიცვა, არამედ საენისა და მოელენის საკუთარი წვდომის უნარი დაადასტურა. აი როგორ იკითხება სიყვარულის თემა მის ფსიქოლოგიურად ზუსტ, ქალურობის უღრმესად კდემამოსილ გამოხატვაში:

ნუ მიახლოვდები შენ, ცისკრის ვარსკვლავო,  
 ნუ მიახლოვდები:  
 ხომ ხედავ, შიშისვან მიწაზე გართხმულან  
 კვლავ ჩემი ტოტემი...  
 ო, ნუღა შემოქცევ კვლავ ბედნიერების  
 ყოველი წამით...  
 — რას ამბობ, ეს არის... სხვა ილუმინებით  
 აღვსევის ყამი!  
 — ნუ მიახლოვდები შენ, ილუმინება,  
 ნუ მიახლოვდები!

ავტორმა თავიდანვე კარგად იცოდა, რომ ხატოვან მინიშნებაში „თავისუფალი“, „დატოვებული“, „თეთრი“ ადგილები ემოციურად ყველაზე დატვირთულია. ლექსის შინაარსს, ასეთ შემთხვევებში, სწორედ მისი ემოციური ხასიათი ჰქმნის და თუკი სურათის მთლიანი აღდგენა ლირიკულ ლექსში არ მოხერხდა (თუ მიზანშეუწონელია), მისი ემოციური „წყაითხვა“ შეადგენს კიდევ არსებით პოეტურ დირებულებას. ლექსში „იქ არის თეთრი სამლოცველო...“



შენიჭურთ ბრძოლების თითქოს ერთი ფრაგმენტითაა ჩახატული ჰამილკარის სახლგაგამარჯვება რომელთა აფრებიან სომალდებზე. მოსიანს პალმებიანი ზღვის ნაპირის ნისლიანი კონტურებიც... და მათ გვერდზე, ისე თითქოს ოცდაათი ასწლეულს არ გაეგლოს, „სანტა მარიას“ თეთრი ეკლესია; მათ — ცივილიზაციის ამ სხვადასხვა დროის ორ მოვლენას — თანამედროვე ადამიანი ერთად „უყუბრებს“, ერთ ემოციურ და ერთ დროულ მთელში აქცევს. ასეთ „როტულ“ შემთხვევაში, მხატვრულ მინიშნებას ლექსში ძირითადი განმარტავადებულ ფუნქცია გვს მინიჭებული და სურათის განსაძღვლად არა მისი ნაწილების მთლიანობა, არამედ ემოციური სიმძაფრე და მთლიანობაა საჭირო, რასაც ავტორი აღწევს კიდევ. ამასთან დაკავშირებით გვინდა დავიმოწმოთ ცნობილი საბჭოთა ფიზიკოსის მარკ აზბელის სიტყვები მისი სტატიიდან „მეცნიერებისა და მისი ენის შესახებ“ («Литературная газета», № 21, 1968): «...Настоящую литературу можно многократно перечитывать — она каждый раз наполняется новым смыслом и содержанием, поскольку то и другое исходит от нас, а мы, наше восприятие и способность к сотворчеству зависят от многих причин, да и меняются со временем. В этом смысле информация, заключенная в произведении искусства, весьма своеобразна. «Объективная» информация сравнительно невелика, однако «потенциальное» содержание, в принципе, почти бесконечно велико, ибо подготовленная форма очень подвижна и может вместить очень разное наполнение. Работает великий принцип дополнителности: чем меньше информация, чем она менее конкретна, чем менее жестки ее рамки, тем больший допускается простор для фантазии в этих заданных рамках, тем больше потенциально возможное содержание, но зато тем выше неопределенность, тем больше многозначность, а значит, тем сильнее отличается восприятие разных людей, тем больше творчества требуется от читателя».

სხვა ლექსში „ასეთი დარი თუ იყო მაშინ?“ პოეტურ მინიშნებას და სიმბოლიკას ყოვლისმომცველი ხასიათი აქვს მინიჭებული და, ამგვარად, ასპინძის სახელოვანი ბრძოლის დრამატული სურათები ორ ბრწყინვალე სტროფშია გაშხატული: გათენების სურათი, საბრძოლო მომზადება («იღვა თბილისი, როგორც ერეკლე, ზამლშემართული ნარის ციხესთან»), ბატალური სცენის ვაღბოცემის მეტაფორული ენა («ღრუბლები როკვით დაიძრნენ ქარში და მიაშურეს ლოლისფერ მთათს...») და ბოლოს თბილისის აკ-

ლება. სხვა დროს ჩვენ შემთხვევა გვეთქვა, რომ მიუხედავად ლექსის ამგვარი ფუნალისა, მთლიანი განწყობილება და მხატვრული დინამიკა იმაზე მიუთითებს, რომ დამარცხების შემთხვევაშიც თავდასხნისა და მომავლის ზეიმის შინაგანი რწყმნა უფლებას იძლევა მტერს მორალურად ზვიდან უყურო და შინაგანად გაგამარჯვებული ადამიანის სულისკვეთებით იცხოვრო.

ანა კალანდაძემ შექმნა პოეტური პაუზის (ინტონაციური მრავალწერტილის...) საკუთარი კონცეფცია; მხატვრულ პაუზას, პოეტური მეტყველების დაყოვნებას საკუთარი ინტონაციური და თვით შინაარსიული ინტერპრეტაცია გამოიქცნა. ამის მავალითები ზშირია მის ლექსებში, მაგრამ ამ მხრივ გამოირჩევიან აქ... რა გაძღბდა უამეარსკვლოდ?“ „თქვენ ჩავიხედავთ კლდეების გულში?“, „აქ საუფლოა მთავარის“, „ლუსასზე და რიცა“, „ოვლი ავა-გურისის მთების“, „ვარსკვლავები“, „გსასობებ ისევ“ და ზოგიერთი სხვა. (თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მისი „პაუზები“ ზოგჯერ მონოტონური და მათი ემოციური ხასიათი ერთბაშად ნოვან ჩანს). მხატვრულ პაუზას, არსებითად, ხმის მოდულაციის ახალი განზომილება შეაქვს ლექსში: ეს არა მარტო შეჩერებაა პოეტური ენების განვითარების ნახევარგაზე ან შესევება გრძნობის უმაღლეს ტალღაზე, მისში ზოგჯერ მკითხველის ფსიქოლოგიური მომზადება გათამაშებული მამდრ პოეტურ მოვლენისადმი. უფრო ზშირად კი პოეტი ფრანზს არბოლებს, რიტმულ ნახატ ტალისებურ მომზადებას ანიჭებს და ჩურჩულის ინტიმობას უმკვლავებს. ამგვარი ხანდაზმული შეჩერებები სიუჟეტის ფონს ჰქმნის ნაწარმოებში (თუმცა ანა კალანდაძის ლექსების ამ „სიჩუმესაც“ თავისი მელოდია აქვს).

პაუზური რიტმი დასჭირდა მას ცნობილ ლექსში „ღრუბლები“. რით იყო ეს გამოწყველი? ამ შემთხვევაში ფრანზის შიდა ხანმოკლე შეყოვნებები არა მარტო ევრსიფიკატორული რიტმული ხერხს იყო, არამედ უფრო სერიოზული, დროის განცდის გამომხატველი მხატვრული საშუალება: დროის ხანგრძლივობის თუ უსასრულო დინების ემოციური გამოსახვა. ცაზე მამავალი ეს ღრუბლები თითქოს დროის მსვლელობის ადამიანისთვის თვალსაჩინო და ნივითურად ხელშესახები მხატვრული სიმბოლოა. ლექსის ფაქტურა და მხატვრული მასალა („მათ გადაიარეს ცა პირამიდების, ხეთა და მილია... ზღამრული უტარტუ, ქართული მინდვრები...“) იძლევა ისტორიის განცდას, ისტორიული დროის მხატვრულ შეგრძნებას, მაგრამ ის თითქოს შეიკონსპირებულია გარესამყაროს ბუნებრივ სიციცხლესთან, ბუნებასთან, რომელსაც მენსიერება არა აქვს.

ცნობილი რუსი კრიტიკოსი ვ. ოგნევი თავის საინტერესო წერილში ანა კალანდაძის პოეზი-

ის შესახებ წერდა, რომ ლექსში „ღრუბლები“ დასმულ კითხვას დასასრულ პასუხი არ მოეპოვება. კერძოდ, სტრუქტურაში:

ღრუბლები... კვლავ საით მიდიან ღრუბლები?  
რა ვიცო... მიდიან...

მისი აზრით, მათი ცხოვრება ფორმაში, კითხვის ნიშნით დაბოლოებულ აზრში პასუხი უნდა ჩანდეს ან იგულისხმებოდეს. ლექსის მხატვრული და ემოციური ლოკაია, როგორც ითქვამს, უპირისპირებს ორი მოვლენის განსხვავებულ ხასიათს: დროის ყოვლისმპყრობელ და უსასრულო განცდას ისტორიის ბორბლის შეუჩერებელი ბრუნვის მხატვრულ განცდასთან, ცივილიზაციის ისტორიის რამდენიმე ფურცელს ბუნების დად წინაშე. მათ უპირისპირებაში ამ უპირისპირების აზრი, შინაგანი დასკვნა იმათივე ნაგულისხმევი და მხატვრულად რეალიზებულია. თვით ლექსის კომპოზიციურ აგებულებაშიც — ვერა ნახევრებია ღრუბლების მსგელოება (ღრუბლები, როგორც დროის პირობითი მეტაფორა) ისტორიულად ცნობილ ადგილებზე; ხოლო ლექსის მეორე ნახევარში მათი შეუჩერებელი სვლა უსასრულო დროის შეუცნობი გზით — ჩანს ავტორის „პასუხი“.

ანა კლანდაძის შემოქმედებისათვის, არსებობდა, დამახასიათებელია ლექსის მონოლოგიური ფორმა („ამ სურით სვამენ“, „ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვარ ვდგევარ“, „გულს დამდეგ ხელი შენი, ძლიერო“, „შენ მომყვებოდი, ო, დიდებულო“ და სხვ.) მაშინაც კი, როდესაც მის ლექსებში სასაუბრო ფრაზები და დიალოგიური ფორმები ჩართული, ხშირად ისინი საკუთარ თავთან, საკუთარ ექვემდებარე და ფიქრებთან გასაუბრებს უფრო ჰკავს. სიღრმისეული პოეზია, ადამიანის სულის ფრთხილი, მაგარი მკაცრი მორალურ-პოეტური განსჯა და ინტროსპექტული ანალიზი ავიღოთ ეფემერა ამგვარ „აღსარებით“ პრინციპს. ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდი პოეტური ტრადიცია, ამ მხრივ, თავის ანარეკლს პოელოზს პოეტის ზოგ ლექსში; შინაგანი მონოლოგი, თანამედროვე მკითხველის გემოვნებისთვის ოდნავ მოქცეული ლოცვისებური ფორმები პოეტური აღსარებისა, საკუთარ თავთან „მარტოდ დარჩენის“ ყველაზე ეფემტური ფორმა, ყველაზე კლასიკური, მთლიანი და სწორხაზოვანი საშუალებაა ავტორის უღრმესი ფიქრის, საზრუნავის ან სულიერი ტივილის გამოსახატვად.

ნაწილობრივ ამგვარი მონოლოგიური ფორმათა შესრულებული „ფეხი დამადგით“. უფრო სწორედ, ეს ლექსი პოეტის თავისებური გასაუბრებაა დავით აღმაშენებელთან — „გალობანი სინანულისანი“ ავტორთან, თუმცა კი ნაწარმოები სწორედ დავითის მონოლოგიით იწყება. დღემდე მხოლოდ ვარაუდები არსებობს იმის შესახებ, თუ რითი იყო გამოწვეული სახელოვანი მეფის ეს მძაფრი სულიერი რეზინიცია თუ ზნობრივი კრიზისი, რომელმაც გამოიწვია

„გალობანი სინანულისანი“ შექმნა. ცოტა ნიშნავს თქმა იმისა, რომ დავით აღმაშენებელი, დიდი პოლიტიკის გამტარებელი წინა აზრისა, თავისი სახელმწიფოს გარშემო და მისი მეთაურობით აწესრიგებდა ამიერკავკასიის ხალხთა კონსოლიდაციისა და კულტურული მშენებლობის ისტორიულ საქმეს; ამ გარემოებათა გამო მას, როგორც პიროვნებას და მორწმუნე ქრისტიანს, ცოდვისა და „სინანულის“ ზნობრივი შეტევა არ უნდა განეცადა. შესაბამისად ადასტურებს დავით აღმაშენებლის პიროვნული თვისებების სიდიადეს და გარკვეულ წარმოდგენას ქმნის მის ღრმად ადამიანურ სულზე. ცხოვრების ბოლო ხანებში სიკვდილის განცდით შექმნილი ეს კულტურული ძეგლი შეიძლება ვერც ითმუნდეს დავითურებებს და უფრო ქრისტიანულ-საირტიტული სტრუქტურით იყოს შთაგონებული. დავით აღმაშენებელი „თავის თავის მკაცრი მსაჯული ყოფილა, — წერს ივანე ჯავახიშვილი, — და „გალობანში“ თავის თავს ყოველგვარ ბრალსა სდებს და მართოდნ დღათვის განუსაზღვრელ კაცთმოყვარეობის იმედითა აქვს. როდესაც ჩემი აღსასრულის წამი დადგესო, მომხიბლავის გულწრფელობით და შემზარავი ძლიერებით აქვს ნათქვამი „გალობანი სინანულისანი“ და „ჟამი რაი წულღილთა ამოფრენათაი წარმოდგეს, ზარი მეფობისაი წარხდეს და დიდებთა დაშრტეს, შენობანი უქმ იქმნენ, ყვეილოვნებთა დაქნეს, სხუამან მიიღოს სკიპტრათი, სხუასა შეუდგენ სპანი, მაშინ შემოწყალო მსაჯულო ჩემო! განარაიღოს წიგნი დღეს-შინა სასჯელისასა და მე ქედ-დადრეკილი წარმოვიდგე განკითხვად, მსაჯული მართლ სჯიდეს, მსახურთა რისხუთა ქროდის, მართალნი ნეტარებდეს, ცოდვილთა ჰკუემდეს ცეცხლი, — მაშინ შემოწყალო, იესო ჩემო!“

შუა საუკუნეების ამ ისტორიულ-ადამიანურ დოკუმენტს ანა კლანდაძე სავესებით თავისებურ პოეტურ კომენტარს უკეთებს. ეს პოეტური კომენტარი — გულწრფელი განცვიფრებაა. განცვიფრებას იწყებს ცხოვრების საერთო ფონზე სახელოვანი ადამიანის ზნობრივი თვითგვიშვება:

— ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი  
ყოველმან,

წყალობა ჰყავით...  
საქართველოს ყოვლის მპყრობელმან  
ვისურვე, დავითო...  
ფეხქვეშ გაცვიფრეთ საფლავის ლოდი  
ყურძნის მტკენებით...  
— ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო,  
მიუტკევი?  
ღირს მსახურებდი ქართულ მიწა-წყალს,

**გურამ ანანავა**  
ანა კლანდაძე



რაა ვადარდებს?  
 გასწიე იგი „ნიკოფსიითგან  
 დარუბანდამდე“..  
 თუ... ეს მაღალთა თავმდაბლობაა  
 ოღიბთ და ოღიბთ?  
 თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, მეფეო,  
 რაღა ჰქნან ცოდვილთ  
 სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის  
 ვერსით მპოველთა?  
 — გულზე დამადგით, ფეხი დამადგით  
 გულზე ყოველთა.



როგორც ითქვა, მხატვრული აზროვნების ზო-  
 ვი ფორმით ანა კალანდაძის მედიტაციური ლი-  
 რიკა საგრძნობლად უახლოვდება ნ. ბარათაშ-  
 ვილის პოეზიის ცნობილ ნიმუშებს („ჩემი  
 ლოცვა“, „გზოვე ტაძარი“). ანა კალანდაძის  
 ლექსებში — „ნუ მიმცემ ეჭვთა: იმონვენ სულ-  
 სა“, „შენს თეთრ ტაძარში სიწმინდეს ვპოვებ“,  
 „მე მივსდევ შენს ხმას, ცათაფრენად რომელიც  
 მიხმობს“ ან „გასასებ ისევ, დე, კვლავ მიმ-  
 ცენ“. შესამჩნევია ნიკოლოზ ბარათაშვილის  
 არა მარტო ზომიერად არქაული ლექსიკის ზე-  
 გავლენა, არამედ ლექსის ტონალობის, პოეტუ-  
 რი ხმის „რეგისტრის“ და, რაც მთავარია, პო-  
 ეტური ეთოსის თანამსგავსება.

თანამედროვე ქართველი პოეტებიდან ანა კა-  
 ლანდაძის ლექსებში თავიდანვე იგრძნობოდა გა-  
 ლაქტიონ ტაბიძის პოეტური ინტონაციის სასი-  
 ამოვნო გავლენა. ეს ზეგავლენა ბოლო დროში  
 შექმნილ ლექსებშიც იჩენს ხოლმე თავს. თუ არ  
 ეცდებით, ასეთ სტილისტურ შეხვედრებს უნდა  
 ჰქონდეს ადგილი ორ ლექსში, რომლებიც დე-  
 ლის ხსოვნისადმი მიძღვნილი („თუ არის რა-  
 იმე, თუ არის“, „ბრწყვიალებს მზეზე აჭარის  
 ქელი“):

თუ არის რაიმე, თუ არის...  
 თუ არის რაიმე — გფარადგეს...  
 გათავდა... გათავდა... გათავდა...  
 მარადის... მარადის... მარადის...

ამავე 1966 წელს დაწერილ ლექსში „გორი-  
 დან თითქმის უფლისციხემდე“ პირველივე  
 სტრიქონები გალაქტიონ ტაბიძის დრამატული  
 ინტონაციით უნდა იყოს შთაგონებული: „ამ  
 უკაცრიელ კლდეთა კალიებზე, ამ ბამბის ქულა  
 ღრუბლებში თითქოს ღლაღდებს ვიღაც... („ამ  
 ბნელი ღამით ვიღაც დადის საქართველოში,  
 ამ ბნელი ღამით ვიღაცა კენისის“). რაც შეეხე-  
 ბა 1945 წელს გამოქვეყნებულ ლექსს „ფოთ-  
 ლები... ფოთლები...“ სამშუხლოვანი დაქტილუ-  
 რი რიტმით და პოეტური განწყობილებით ის  
 გალაქტიონ ტაბიძის ცნობილი შედევრის „ქა-  
 რი ქრის...“ შესანიშნავ პოეტურ ვარიაციას  
 წარმოადგენს.

ასეთი პოეტური მსგავსება-პარალელიზმები

არა მარტო იმიტია გამართლებული, რაზეც  
 სი შემთხვევები ხშირია თითქმის ყველა დიდ  
 პოეტთა შემოქმედებაშიც, არამედ იმიტაც,  
 რომ ზეგავლენა თუ პოეტური მანერისა და  
 სახის შემოქმედებით ვარიაცია ნაყოფი-  
 ერი ხდება იმ მხრივ, რომ აღიღრუბს ავტორს-  
 და ზოგჯერ არანაკლებ საინტერესო მხატვრულ  
 პრობლემებს იძლევა. ამასთან დაკავშირებით,  
 გვინდა სხვა მასალაზე დაყრდნობით, ნათელ-  
 ყოთ ჩვენი მისახრება. ფართოდაა ცნობილი  
 1915 წელს დაწერილი ბორის პასტერნაკის  
 ლექსი „მარბურგი“, მაგრამ კიდევ უფრო ცნო-  
 ბილია ორი შესანიშნავი ადგილი ამ ლექსიდან  
 (ნაწარმოები სასიყვარულო მოტივზეა შექმნი-  
 ლი):

...В тот день всю тебя от гребенок  
 до ног,  
 Как трагик в провинции драму  
 Шекспирову.  
 Носил я с собою и знал на-зубок,  
 Шатался по городу и репетировал.

...Чего же я трушу? Ведь я, как  
 грамматику,  
 Бессоницу знаю. У нас с ней союз.

არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ პასტერ-  
 ნაკის საყოველთაოდ ცნობილი ეს სტრიქონები  
 პოეტურ ნათესობაში იმყოფებოდეს ჰაინრიხ  
 ჰაინეს არანაკლებ ცნობილ ლექსთან „Es-  
 stehen unbeweglich“ (ციკლიდან „ლირი-  
 კული ინტერმეცო“) და სახელდობარ მის ბოლო  
 ორ სტროფთან. ჰაინეს ლექსი შედარებით უფ-  
 რო ითმენს მის თხრობითად გადმოცემას: მრ-  
 ვალ ათასი წლის განმავლობაში ვარსკვლავები  
 უმძიმროდ დგანან და დაგვიქვირან სიყვარუ-  
 ლით. ისინი რაღაც ენაზე საუბრბენ, მაგრამ  
 ჯერ არც ერთ ფილოლოგს არ ძალუქს ამ ენის  
 გაგება. მე კი ეს ენა შევისწავლე და არც ვი-  
 ვიწყებ; გრამატიკად სატრფოს სახე გამოვადგა.  
 ჩვენთვის აღისაშვებია, რომ პასტერნაკის ზე-  
 მომოყვანილი ორი სხედასხვა სტროფის ტრო-  
 ბიკა გამიღრებულთ, გაშლილი სახე-მეტაფორა  
 იყოს ჰაინეს პროზაულად მოყვანილი ლექსის  
 ბოლო სტრიქონთა პოეტური სახეებისა. და თუ  
 ეს მართლაც ასეა, პასტერნაკის ლექსი ამით  
 თითქმის არაფერს ჰკარგავს. მისი სტრიქონეზა  
 საესებით ახლებურად, შემოქმედებითად იყო-  
 თებდა და უთარესად შთამბეჭდავია.

თუკი ლიტერატურის მეშვეობით სურს პოე-  
 ტური ტროპიკისა და ლიტერატურული გავლენ-  
 ნების გენეტიკას ჩაწვდეს, ამაში მის ხელს ვე-  
 რაინე შეუშლის, მაგრამ ფაქტია, რომ შემოქ-  
 მედებითად ათვისებული მხატვრული ზეგავლენ-  
 ა უფრო ხშირად კეთილისმყოფელი ხასიათი-  
 საა. ჩვენი აზრით, ამაში გვარწმუნებს როგორც  
 „მარბურგის“, ისე ანა კალანდაძის ლექსისა  
 („ფოთლები... ფოთლები...“) მაგალითი.



„მკვდართა მზე ვარ“ საეგზეთო თანამედროვე მსოფლმაცდითა და ლექსის თანამედროვე ფაქტურით არის განხორციელებული. ავტორის მკრიზობლობა მისში განსაკუთრებით გამახვილებულია. ნაწარმოებში დღის მიწურულის პოეტური ხილვაა გადმოცემული; ნაცხოვრები დღე დამთავრდა და დღისა და ღამის ამ გასაყარზე ადამიანი ბუნდოვან მელვარებას თუ შეცბუნებას განიცდის: „გული ეხურება“. და სანამ მიწაზე მწუხრი ჩამოწვებოდეს, ადამიანი ემზადება შესცვალის დღის ცხოვრების რიტმი მისგან განსხვავებული რიტმით, შეუდგეს ახალ საქმიანობას ანდა მცირე ხნის შესვენებას მიეცეს. ლექსი თავისუფლად იკითხება სიმბოლურ პლანში და სიკვდილ-სიცოცხლის მომიჯნავეობის განცდას გადმოგვცემს. ეს მძიმე ადამიანური განცდა პოეტს უადრესად დახვეწილ პოეტურ სახეებში და ოსტატური ფორმებით აქვს შესრულებული.

მკვდართა მზის ხალხური თქმულება კარგადაა ცნობილი ქართველი მკითხველისთვის. სხივები მკვდართა მზის სითბოს მოკლებულია და უცნაური, უკანასკნელი შუქით ასხივებს პოეტის მიერ დახატულ იდუმალეობის მოსილ პეიზაჟს. მკითხველის სმენით შეგრძნებაში მკვიდრდება დრამატული ნოტები ბელურების წიგნებისა, რომელსაც ლირიკული გმირი — „მკვდართა მზე“ — თავისებური ლხენით ისმენს და ამით გრძობის ზუსტ დახასიათებას იძლევა. გამოთქმული ვნებებისა და შინაგანი დრამატიზმის მაუწყებელია მხატვრულად მოულოდნელი სახეები „ნახევარსიცოცხლისა“: ლირიკულ გმირს „გული ეხურება“, მაგრამ ორთქლად მომავალი მძიმე ნესტიანი სუნთქვა მიწის ირაციონალურ ერთიანობაში ნაკადულის მსებუქ სიმღერასთან. გრძობათა წინააღმდეგობა, თუმცა ერთდროული ნათესაობაც, ლექსის ემოციური სიმღერისა და ორიგინალობის მხატვრული საფუძველია. თითქოს შეხებით შეგრძნებულა დაფუძნებული ლექსის ერთ-ერთი ცენტრალური სახე: რტოზე შერჩენილ გამხმარ თესლს კენკავენ და იტაცებენ ბელურები. აქი ლექსის ლირიკული გმირი მკვდართა მზეა, რომლის საინტერესო ფსიქოლოგიურ სურათსაც ხატავს ავტორი:

სხივიმკრთალი, სხივიმკვდარი მკვდართა მზე ვარ,  
ჩემს სხივებში ევიციეებენ ბელურები...

ამ ნაწარმოებით ანა კალანდაძე ცხოვრების განწირულების მალაჩრებელი არაა. და თუ ლექსში გამაძვრებული, ოდნავ ასკეტობისკენ მიხრულ ხმები გვესმის, ეს უთუოდ იმიტომ, რომ ყოველი ადამიანი, პოეტი იქნება ის თუ სხვა ხელობის წარმომადგენელი, დღისა და ღამის ამ გასაყარზე „ფიქრობს იმაზე, რაც განუთვორებლად გამოგვივთხოვა და ჩვენს წარსულად იქცა.

ანა კალანდაძის პოეტური მემკვიდრეობის ლოგიკურ ნაწილს შეადგენს მისი სამოქალაქო თუ პუბლიცისტური შემართებით აღბეჭდილი ლირიკა, რომელიც ამ ბოლო წლებში საგრძნობლად წინ წამოიწია, და ქეშმარიტი პოეტური ენებიანობით ხასიათდება. მართალია, პოეტური მასალა მისი პოეზიის ამ ნაწილში განყენებულიობით გამოირჩევა და ხშირად „ციცხფერ ვრლებზე ისახვიან თეთრი ღრუბლები“, „ვარ მარად ვარსკვლავთა მჭერტელი“, „გაბრწყინებული იყო ტაძარი“ და სხვ.) ბიბლიურ-მითოლოგიურ სამოსელშია გახვეული; მიუხედავად ამ თავისებურებისა, სამოქალაქო ლირიკის იდეურ-მორალური სიმძაფრე ყოველთვის ზუსტად აღწევს მიზანს და შოამბეჭდაობით გამოირჩევა. ის მკვლაროდ უკავშირდება საღღისის საკრიბოროტო საკითხებს:

გაბრწყინებული იყო ტაძარი,  
ციცხლმა აავსო და თვალთა სხივმან...  
ხმა გუგუნებდა გუმბათიონით:  
— „შექმენ საფასე, ვერ ვარყვანს მღიღმან!“  
შეხს ლამაზ სახეს კელაბატრის ალი  
მიღმა ქვეყნიურ სინათლეს ფნდა...  
ხმა გუგუნებდა ისეც და ისეც:  
— „სახლს ნუ ააგებ ქვიშისა ზედა!“  
გადგს შორეული, მომწვანო ეკლავ  
ქერუბინისი, ცათა მყოფისა...  
კვლავ ჩურჩულებდა მოხუცი მათე:  
— „შენ ხარ მარილი ამა სოფლისა!“  
ვაიცისკრებულა იყო ტაძარი...

მის ლირიკაში ბოლონეთის თემა ორგანულადაა ჩართული. ეს არც გასაკვირია, ანა კალანდაძის წინაპარი დედის მხრიდან პოლონელია. იქნებ აქედან მოდიოდეს ის სიყვარული, რომლის სითბოთიც გამოზარდა ლექსები, მიძღვნილი პოლონური ხალხისადმი, თუმცა თითქმის ყოველ მათგანს მძაფრი სოციალური მოტივირება აქვს. ასეთებია: „ოლივეს კათედრალურ ტაძარში“, „კვლავ ამაყი იყავ, ჩემო პოლონეთო!“, „იან ბუტინსკის (ჩემს წინაპარს)“ და სხვა.

სულიერი ღირებულება ანა კალანდაძის პოეზიის არსებითი მხარეა. ეს არის ის მთავარი ფასეულობა და პოეტური გზა, რომლითაც იგი მიემართება და გზას აგნებს საკუთარი სულიერი დამოშინებისა და აღდგენისკენ. სწორედ ისე, როგორც მისი პოეტური წინაპრები იტეოდნენ, სიცოცხლისა და სიყვარულის მოტივები, შემოქმედებისა თუ ზნეობრივი სიწმინდის პრობლემები მან პოეზიის საგნად აქცია და საკუთარი ეთოსის, სულიერი ფასეულობების შექმნე განასახიერა. სულიერი შემოქმედების წყურვილი — მისთვის მოუტყავი წყურვილია. ესაა მისი პოეზიის მამოძრავებელი ძალა.

**პურამ ანანაძე**  
ანა კალანდაძე

ავტორი პლასტიკური სახეებით შესრულებულ თავი ზოგიერთ პოეტურ პეიზაჟში იძლევა ბუნების დრამატულ, შინაგანად ნაგონობ სურათს. ორ ლექსში („შენ ემზადები თოვლისათვის“, და „შექვენ ჩავიხედავთ კლდების გულში?“), რომლებიც 1961 წელსაა დაწერილი, დედაბუნების სურათების მღვლეარე, გვიანული განცდაა მიცემული. ამ შემთხვევაში ბუნების ობიექტური სილამაზე ავტორისთვის მეორე პლანზე ინაცვლებს და ბუნების ამა თუ იმ მოვლენას ან საიდუმლოს კლასიკური ტრადიციის პერსონაჟის ენით გვიხსნის. ეს ბუნების მოვლენათა უბრალო პერსონიფიკაცია არაა. ზამთრის, კლდის გულის ან მღვმარე მიწის „საიდუმლო“ მისთვის მართლაც საკუთარი ბიოგრაფიის ნაწილივით განიცდება, რადგან ადამიანის (და პოეტის იქნება კიდევ უფრო მეტად) ცხოვრება მათ მართლაც მჭიდროდ უკავშირდება.

ამვე თვალსაზრისით საინტერესოა პოეტის დამოკიდებულება საკუთარ სამწერლო მოვალეობისადმი, რადგან მას მართლაც ამგვარი პრინციპული, თავისთვის გარკვეული „დამოკიდებულება“ გააჩნია. ზოგჯერ პოეტი ორთა საუბარსაც მართავს თავის უღრმეს პოეტურ მოწოდებისთან და ამ შინაგან დიალოგში წყვეტს მისთვის მნიშვნელოვან შემოქმედებით საკითხს. ჩვენ ეს დიალოგური ფორმები ხშირად შეიძლება საგანგებოდ შემუშავებულ ხერხად მივიჩნიოთ („ვინ ჩამჩურჩულებს, ვინ ჩამჩურჩულებს“, „ასე ვკითხულობ შენს ძველ ეტრატზე“), მაგრამ საესებით სარწყველია ისიც, რომ პოეტი ასეთ საუბარს უმართავს თავის პოეტურ ორეულს, საკუთარ სულიერ აღმოფხვრებას. ლექსში „ვინ ჩამჩურჩულებს“ ჩანს ფარული, მღვლევარე შინაგანი კამათი, მაგრამ არა მისი აღმოცენებისა და განვითარების საფეხურებით, არამედ მისი მიწურული, დასკვნითი სურათი; მკითხველი მხოლოდ მინიშნებით ხედავს ამ შინაგანი სულიერი კვიდლის არა მარტო შინაარსს, არამედ იმასაც, რომ მას თავისი წარსული და ისტორია აქვს („ო, მამატიე ეს გულცივობა...“). ამავე დროს ეს არის ლირიკული გმირის აღთქმა, პოეტური აღთქმის მიცემა, რომლის დაცვა ან არდაცვა საბედისწერო უნდა გახდეს მწერლის მოწოდებისათვის. ავტორი გვესაუბრება შესაძლებელი „გულცივობის“, პოეტურ შთაგონებისადმი — „დიდებულ რჩეულისადმი“ — ერთგულების შესაძლებელი დარღვევის, „უსასოდ“ დატოვების შესახებ; მაგრამ ამ სტრიქონთა ნაშედეგი შინაარსი პოეზიისადმი ერთმანხურებას და პოეზიის უმაღლესი აზრისა და არსების ხილვის გულისხმობს.

ანა კალანდაძისათვის მისაწვდომია ამგვარი შინაგანი ხილვა. სულიერი იმპულსიდან, სულიერი ვნებებიდან ის ქმნის ადამიანის უმაღლესი არსებობის კანცდას, ესწარაფვის პოეტური მდგომარეობის ამოღებულ ხილვას. ამგვარ მხატვრულ მსოფლგანცდას მაღალ სულიერ რე-

გისტრში აწყავს საკუთარი არჩევანი, ავტორის პოეტური სამყარო და შემოქმედებითი უწყვეტობა.

„ხელოვნება ითხოვს მსხვერპლს“, ეს გამოთქმა მორალულ, თითქმის ოლიოზურ ფრაზად იქცა. პოეტი ქალი აღრევე იცნობდა ამ გამოთქმას, მაგრამ შინაგანი პასუხისმგებლობის გრძობა იგივეს უკარანხებს, კვლავ ამ აზრთან აბრუნებს. „მაღალი მსხვერპლის“ იდეას ის მკვერტელობითად კი არ იკვლევს, არამედ ცოცხალი მხატვრული პრაქტიკით და ცხოვრებისეული ცოდნით სწვდება და ასაბუთებს. მას შეუძლია თვალის გაღწევის სინამდვილეს და შილოს იგი თავისი სირთულით და წინააღმდეგობებით, რადგან ამის გარეშე მისთვის არ არსებობს შემოქმედება. პოეტი თითქმის თავის სათუთ გულისხმას აწრთობს იმ სიმწელებში, რომელიც ცხოვრების გზაზე შეხვედრია, მეორე მხრივ კი — იმ „სხივთა კანკალით“ მოსულ შთაგონებაში, რომელიც არანაკლებ რთულად და ბედნიერს სუეროდ მიუჩნევია. აქ არის შემოქმედების შემარბიტი სათავეები; ასე აღწევს პოეტი მხატვრულ სიმართლეს; ასეთია ანა კალანდაძის მხატვრული მრწამსი, რომელსაც ავტორი შინაგანი იმპერატივის სიმტკიცეს და ზნეობრივ „რიგორიზმის“ სიმკაცრეს ანიჭებს („შენს იქით არსად წვაა ბუღბუღი“, „ასე ვკითხულობ შენს ძველ ეტრატზე“, „შენ მომყვებოლო, ო, დიდებულო“ და სხვ.):

მე მივსდევ შენს ხმას, ცათაფრენად რომელიც მიხმობს,

მე ვუსმენ შენს ხმას, იღუმალსა რომელიც მითხრობს,

მე ვიღებ იმ მსხვერპლს, რას სამსხვერპლო შენივე ითხოვს,

შენივე მწუხრით ავივსები, ესოდენ წრფელი, ო, შენ მარადის მომეხლე სხივთა კანკალით, თან დაგიმარხავს, როგორც მარტოვლი, ჩემი გულის მღუშმარე ფსკერი.

შემოქმედებითი დაქვეება ხშირად მწერლის სულიერი სიმწიფის გამოზნატეელია და მხატვრული განვითარების თავისებურად ახალ მიზნებზე მითითებს. ეს ზნეობრივ-ესთეტიკური თვითკრიტიკულობა შესაძლებლობას იძლევა არ დაჰკარგო სინამდვილის გრძნობა და საკუთარ რწმენას ლირებულება მიანიჭო. თვითკრიტიკულობა მხატვრის ბუნებრივი მდგომარეობაა. „განძალ გრვევბი: მექმნები შიშად და არა ხუნხანად“... — ამგვარად გამოზნატავს ანა კალანდაძე ერთერთ ლექსში პოეტური კრიზისის უხილავ საშოშრობებს. პოეზია მისთვის სულიერი ძიებების ერთადერთი თავდობია, ზნეობრივი და ესთეტიკური გრძნობის მშვენიერი წონასწორობა; მაგრამ ამ მწყობრ პლასტიკურ სამყაროში, როგორც მისი ზნეობრივი ანტიუფისი, დროდადრო თავს იჩენს სულიერი დრტინვა, შინაგანი დაუქმყოფლებლობის მოტივი.

რით შეიძლება მისი ვადალახვა და ვაფანტვა? ხშირად იმით, რომ მწერალი თავის შემოქმედებით შინსა და მღელვარებებს საკუთარ პოეტურ თემად აქცევს და ამგვარად „ათენიერებს“ — თავისუფლება მთვან.

მწერლობის ამ თავისებურ მხარეზე შესანიშნავად აქვს ნათქვამი ანა კალანდაძის საყვარელ პოეტს, სიმონ ჩიქოვანს. ერთგან ის წერს: „ნამდვილი პოეტი მთამსვლელივით მუდამ მწვერვალისაკენ მიეშურება, თუმცა აღმართზე ნისლი ექვივით ელობება და სიმნელე გზისა უორკედება. ერთხელ შემოჩენილი ეჭვი მეც დიხანანს მქონდა აკვიატებული, ვიდრე იგი პოეზიის თემად ვაქციე, გულის ნამცეცებით კვეხე და მგონია, მოვათენიერე. მუდამ მაკვირვებდა ყველა დაუემკვებელი, ნარგიზოვით საკუთარ თავზე შეყვარებული შემოქმედი“.

ზემომოყვანილ მსჯელობის დროს ნაწილობრივ მხედველობაში გვქონდა შესანიშნავი ლექსი „შენ მე ყოველთვის მომცემ წყნარ საღვურს“, რომელშიც ავტორი პოეტური პლასტიკის დახვეწილი ენით სურათოვნად განგვიცდევინებს საკუთარ სასიცოცხლო იმედებს, მცირე ექვს და სულიერი თანაზიარობის ბედნიერ სამკვიდროს:

შენ მე ყოველთვის მომცემ წყნარ საღვურს  
სულთ დასამკვიდრებს  
და მშვიდთა ცათა ამოენთება  
ვარსკვლავი კიდეთ,  
დაუბრუნდებთ თავისი ფერი  
დიდებულ ნაძვებს  
და კვლავ სიხუმე მოიცავს ყოველს,  
ვითარცა ტაძრებს...  
განძიდ გპოეებდი: მექმნები შიშად  
და არა ლხენად...  
თუ ჩაქრე, მეცა მივდრკები ქრობად,  
ფოთოლთა ცვენად...  
თუ არა — მუდამ დამიბრუნდება  
ჩემივე რწმენა,

მზე დიდებული — ვით ლამაზ მინდერებს...  
შენ მე ყოველთვის მომცემ წყნარ საღვურს  
სულთ დასამკვიდრებს.

უფრო ნათელი ლირიული ტონებითაა შესრულებული ლექსი „რა ვარ? სტეირი ვარ!“ შემოქმედებითი აქტის „ბედნიერება“, შემოქმედების შინაგანი სიხარული დაკავშირებულია მის შინაგან თავისუფლებასთან. პოეტის აზრით, მხატვრული შემოქმედების პროცესი, — პოეტური ამღერება — ჰგავს ქარის თავისუფალ ქროლვას ნელ, ბუნებრივად ტანაყრილ ქალაში, რომლის რტოებიდან შემდეგ მომხიბლავი სტეირი — „პანის ფლიტა“ გამოითლება. გრძნობის ეს პირველშობილება ლამაზი მეტაფორული გაზრებით არის გამოხატული. საერთოდ, ანა კალანდაძისთვის დამახასიათებელია რთული მეტაფორული წარმოსახვა. მეტაფორის მაოლხატოვანი სტრუქტურა მის პოეტურ „ანბანში“ და პირველსათავეებშია მოცემული და ფესვგამდგარი. ამის გარეშე მისთვის პოეტური ენა და წარმომსახველობა არ არსებობს. პოეტური ასოციაციების სიახლე და სიღრმე სამყაროს ხილვის მისეული, მხატვრული-ინდივიდუალური კანონია.

ლექსი „რა ვარ? სტეირი ვარ!“ ერთ-ერთი იმათგანია, სადც ავტორი გვაცნობს თავისი პოეტური ბიოგრაფიის ყველაზე ძლიერ წუთებს, ლექსის დაბადების მტანჯველ სიხარულს, რომელიც მას ცრემლებამდე აღელვებს. ლექსი მის მიერ შექმნილი ახალი სინამდვილეა, რომლითაც საკუთარ ნებას, პირად განუმეორებლობასა და, ამდენად, საკუთარ მაღალ სიცოცხლეს ამკვიდრებს. ავტორს ყველაზე მეტად მაშინ აკმაყოფილებს ეჭვი თავის „უძლიველობაში“, ყოველმპყრობელობაში, საკუთარ შემოქმედებით სისრულეში. ეს ლექსი ერთ-ერთი ადრეული ნაწარმოებია (1945 წ.) და ნათლად მიუთითებდა ავტორის მხატვრული (მეტაფორული) აზროვნების განვითარების კარგ მომავალზეც.



## ჩვენს ყარალაშვილი

# ჰერმან ჰესე

ამბოჯენ, თომას მანი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ სწევია იტალიური შვეიცარიის მთებში მდებარე პატარა სოფელ მონტანიოლას, დიდხანს უძებნია ერთი სახლი და როცა მიუგნია, ჰიშკარზე დიდი აბრა დახვედრია წარწერით: „გთხოვთ ნუ გვესტუმრებთ“. თომას მანს ფანქრით მიუწერია: „გეთილი, როგორმე სხვა დროს. თქვენი თომას მანი“, გამობრუნებულა და წასულა. ვინ იცის, რამდენად მართალია ეს ამბავი, მაგრამ იმ დროს თომას მანი მართლაც სწორედ ამ სახლის ხშირი სტუმარი იყო.

პალაოთ კამეტოში — ასე ეძახდნენ სახლს — 1919 წლიდან ცხოვრობდა დიდი გერმანელი მწერალი, ჰუმანისტი ჰერმან ჰესე. ჰერმან ჰესე, კრიტიკოსების აზრით, ყველაზე უფრო გერმანელი მწერალი, მრავალი პრემიის ლაურეატი (ფონტანეს, კელერის, რააბეს, ნობელის და სხვათა) მშვიდობისათვის დაუღალავი მებრძოლი, ძალიან დიდი ხნის მანძილზე მსოფლიოში არ იყო ცნობილი. როდესაც მას 1946 წელს ნობელის პრემია მიანიჭეს, ბევრი გაოცებით კითხულობდა, ვინ არის ნეტავ ეს ჰესეო.

ჰერმან ჰესე ფრიად თავმდაბალი, მორიდებული, გულჩათხრობილი და თავის თავში ჩაკეტილი კაცი იყო. ის გაურბოდა საჯარო ლექციებს, პრესას, რადიოს, საზეიმო საღამოებსა და იუბილეებს; ცდილობდა გამიჯნოდა საზოგადოებრივ ცხოვრებას; წიგნებსა და მუსიკაში ეძებდა თავშესაფარს. მისთვის უტხო — იყო თვითრიკლამა, თვითგანდიდება, საჯარო გამოხატვა. მთელი სიცოცხლე განმარტოვებულ ცხოვრებას ეწეოდა. ეზოს ჰიშკარზე დიდი დაფა ჰქონდა მიკრული წარწერით — „გთხოვთ ნუ გვესტუმრებთ“. რა თქმა უნდა, ეს წარწერა თომას მანისათვის არ იყო განკუთვნილი. წარწერას უნდა დაეცვა მწერალი მრავალი

ეურნალისტი, რეპორტიორის, თაყვანისმცემლისა თუ უბრალოდ ტურისტისაგან, რომელიც საჭიროდ თვლიდა დასათვალიერებელ ღირსშესანიშნაობათა სიაში მწერალიც ჩაერთო.

ნობელის პრემიის მინიჭების შემდეგ ჰერმან ჰესეს სახელი მთელი მსოფლიოსათვის გახდა ცნობილი. მისი პოპულარობა დღითიდღე იზრდებოდა. პერიოდული გამოცემები გაივსო წერილებით, რომლებიც მწერლის შემოქმედებას ეხებოდა. უზომოდ გაიზარდა კრიტიკული ლიტერატურა მასზე. მაგრამ მწერლის ცხოვრებაში ამ პოპულარობას და სახელს არავითარი ცვლილება არ მოუხდენია. ის ისევ სიწყყარება და სიმშვიდეში, იტალიური შვეიცარიის მყუდრო სოფელში განმარტოვებულ ცხოვრებას განაგრძობს.

ვერ ვიტყვი, რამ ჰერმან ჰესე ნობელის პრემიის მიღებამდე მკითხველისათვის სრულიად უცნობი იყო. მართალია, მას არ იცნობდა ფართო საზოგადოება (თუმცაღა არც მისი გვიანდელი პოპულარობა გახლავთ კონან დილილსა და აგატა კრისტის ყაიღის პოპულარობა), მაგრამ სამშობლოში მას დიდი ხნით ადრე მიიჩნევენ სიტყვის შესანიშნავ ოსტატად; — მისი სახელი ცნობილი იყო სხვა ქვეყნების ლიტერატურულ წრეებშიც. ჰერმან ჰესეს ამთავითვე დიდად აფასებდნენ. თ. მანი და რ. როლანი, კ. ტუხოლსკი და ა. ცვაიგი, ა. ჟიდი, ტ. ს. ელიოტი და სხვები.

ამჟამად ჰერმან ჰესე აღიარებულია ახალი გერმანული ლიტერატურის ერთ-ერთ ფუძემდებლად და უბრალოდ აღასებდნენ. თ. მანი და რ. როლანი, კ. ტუხოლსკი და ა. ცვაიგი, ა. ჟიდი, ტ. ს. ელიოტი და სხვები.

მწერლის სიწმინდე, აღამიანისადმი სიყვარული, ჰუმანისმი მის წიგნებს ახლობელს ხდის როგორც გერმანელი, ასევე სხვა ქვეყნების მკითხველისათვის.



ჰერმან ჰესე დაიბადა 1877 წლის 2 ივლისს, ეიურტემბერგის პატარა ქალაქ კალვში ნავოლდზე, თეოლოგის ოჯახში. ამ დღის შესახებ დედის აღწერა პატარა ცნობა შემოგვინახა: „როშაბათს, 1877 წლის 2 ივლისს, მძიმე დღის მიწურულში, საღამოს შვიდის ნახევარზე, უფალმა გვიწყალობა მხურვალოდ ნანატრი შვილი — ჰერმანი, ძლიერ დიდი და ლამაზი ბავშვი, რომელიც იმთავითვე მშვიდაა, ღია ცისფერ თვალებს სინათლისაყენ ატრიალებს და ხახის მზისაყენ დამოუკიდებლად აბრუნებს; ის ჯანმრთელი, ღონიერი ბიჭის განსახიერება“.

ჰერმან ჰესეს მამა — იოჰანეს ჰესე, ესტონეთში დაბადებული და გავრდილი, ერთი ჩემი, დეტონისისევი აღმამიანი იყო. რუსეთიდან მას დიდი სამოყარო და უამრავი მოგონება ჩამოჰყვა, რითაც პატარა ჰერმანის ატიობადა ხოლმე. მწერლის დედა — მარია გუნდერტ-დიუბუა, იმ დროისათვის ძალიან ვანათლებული მისიონერი — ჰერმან გუნდერტის ქალიშვილი იყო. სწორად ჰერმან გუნდერტის სახლში გაატარა მწერალმა ბავშვობის პირველი წლები. წიგნებმა, ინტურმა ნიღბებმა, ბუდასა და ძველი ჩინური ტაძრების სურათებმა, რომლებითაც სავსე იყო პაპის კარადა, დიდად სამოყარო და მამის მოყოლილმა ამბებმა ესტონეთზე ღრმა კვალი დატოვა მგონობიარე ბავშვის გულში.

ჰესე ადრე იცეტება საკუთარ სამყაროში, უყვარს ბუნების წიაღში მარტო სიარული, მდიანის ნაპირის ანეკსით ხელში ჯდობა და ფიქრი, ანდა ბალახში გულადმა წოლა და თეთრი ქათქათა დრუბლების ცქერა.

მწერლის ნაწარმოებებში ხშირად ვხვდებით ბავშვობაში განცდილი შთის გამოხახილს. პატარა ჰერმანის შიშს ჰვერიდენ მის გარშემო არსებული, რაღაც შეუცნობელი იდუმალი ძალი. ჰესეს ბავშვობაში გავიწილი ჰქონდა ზღაპარი ზარბაზზე, რომელიც მოკლეს და მერ მიწაში ჩამარხეს. მაგრამ საიდუმლოება ეკლესიის ზარმა გასთქვა. ის ყოველ ღამე გაბმულად გუგუნებდა: ბარ-ბარა. მკვლელებმა ზარიც მიწაში ჩამარხეს, მაგრამ მისი ხმა იქიდანაც მოისმოდა. პატარა ჰერმანს, რომელსაც ეს ამბავი ღრმად ჩასწვდა გულში, ეკლესიის ნამდვილი ზარის რეკა ყოველთვის ძალიან აშინებდა.

ჰერმანში ადრე იღვიძებს სინამდვილისადმი (ეს სინამდვილე მას „უფროსების გაუგებარ გაკითხინებლად“ ესახებოდა) წინააღმდეგობის, პროტესტის გრძობა. ადამიანები მისთვის რაღაც უცხო ძალია და ის გაურბის მათ. პატარა ჰესე თითქოს ცდილობს სამყაროს იმ ერთიანობის შენარჩუნებას, რომელიც შედგომ მწერლის შემოქმედების ერთ-ერთი წამყვანი აუბა ხდება და რომელიც „უფროსებს“ დისონანსი შექმნობდა. ეს დისონანსი ბავშვისათვის სინამდვილეს გაუგებარს და საშიშს ხდიდა. 5 წლის ჰერმანი ჯადოქრობას ნატრობს, რათა შეძლოს ამ საშიში სინამდვილის დაძლევა.

დედა „უფროსებში“ გამოჩაყლის შეადგენს იგი ისეთი სინაზთა და თვადიფიყებით უყვარს ჰერმანს, როგორც მხოლოდ პატარა ბავშვებს შეუძლიათ. დედა მისთვის სიმშვიდე და ნუკეშია. ღამე თუ დღემდ შუბლზე არ აკოცა და არ მოეფერა, ჰერმანი ისე ვერ იძინებს.

ჰერმან ჰესეს პირველი შთაბეჭდილებები, პირველი განცდები უშუალოდა დაკავშირებული მშობლადურ ქალაქთან — კალვთან. მწერალი ამბობს, რომ თუკი რამ დაუწერია ტყეზე, მდინარეზე, წაბლის ხის ჩრდილზე, თუკი სადმე აღწერს ნაძვის სურნელებას — ყველაფერი ეს კალივა. კალეს ჩვენი ვხვდებით პატარა რომანში „ბორბლის ქვეშ“. კალი აღწერილია „მოოხრობებში კელვანზე“, ზღაპრებში და სხვაგან. ეიურტემბერგის ამ პატარა ქალაქში ჰერმან ჰესე 1890 წლამდე ცხოვრობდა. კალი სამუდამოდ დარჩა მწერლისათვის სათუთ და შწინდა მოგონებად, რომელსაც ის ხშირად უბრუნდებოდა განცდებითა და კრიზისებით აღსავსე ცხოვრების მანძილზე.

1890 წელს ჰერმან ჰესე ტოვებს კალვს, და სასწავლებლად მიემგზავრება ჯერ გიოპინგენში, მერე მულბრონის მონასტერში. სწორედ მულბრონის მონასტერში სწავლის წლებში განსაკუთრებით მწვავედმა ჰესეს დამოკიდებულება სინამდვილისადმი. პატარა ჰერმანს, რომელსაც სურდა გავგო „თუ რას ეუბნება ერთი ტყის ბუტბუტა მეორეს“ და „როგორ ხდება, ხეები რომ ფესვებით ყვავის სუამენ“, არ შეეძლო სასწავლებელში გაბატონებული მშრალი სქოლასტიკა აეტანა. ის თავის შინაგან სამყაროში იცეტება და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა დაიკავს იგი მონასტრის მესვეურთაგან, რომლებიც სახელწოდოს ერთგულ მოხელეებს ზრდიან, და ვერ ითმენენ პოეტურ და თავისუფლებისმოყვარე პიროვნებას.

თეოლოგი კონფლიქტების შემდეგ ჰესე გარბის მონასტრიდან, მისი შორეული წინაპრის — პოლდერინის მსგავსად, ათვრადუსიან ყინვაში ის ცდილობს, რაც შეიძლება შორს გაიქცეს, დალილ-დაქანცული თთვის ზეინში იძინებს, მაგრამ ქანდაკებები მიაგნებენ და უკან დააბრუნებენ.

1906 წელს ჰერმან ჰესე წერს პატარა რომანს „ბორბლის ქვეშ“. რომელშიც აისახა მწერლის მულბრონში სწავლის პერიოდი. „ბორბლის ქვეშ“, ისევე როგორც პ. მანის „პროფესორი უნრატი“, ანდა ემილ შტრაუსის „ამხანაგი პაინი“, მძაფრი ჩივილია პრუსიულ გერმანიის გაბატონებული, ადამიანის გამაუპიროვნებელი და დამახასიარებელი აღზრდის სისტემის წინააღმდეგ.

მულბრონის მონასტრიდან გაქცივის შემდეგ ჰერმან ჰესე ერთხანს კანშტადში სწავლობს, მერ გამოემცემლობაში ეხმარება მამას და ბოლოს

რაფო ჟარალაშვილი  
ჰერმან ჰესე



მღშობას იწყებს — ჰაყენჰაუერის წიგნის მა-  
ლაზიაში ტიუბინგენში.

1899 წელს გამოდის ჰესეს პირველი ნაწარ-  
მოები — ლექსთა კრებული „რომანტული საბ-  
ღერები“ და პროზის პატარა ტომი — „ნახეა-  
რი საათი შუალამის შემდეგ“, რომელიც რ. მ.  
რილკეს თბილ რეცენზიას იმსახურებს. ამჟვე  
წელს ჰერმან ჰესე ბავუნში რ. რაიხის წიგნის  
მალაზიაში იწყებს მუშაობას.

1902—03 წლებში ის ორჯერ მოგზაურობს  
იტალიაში, 1905 წლიდან კი თავისუფალი მწერ-  
ლის ცხოვრებას ეწევა. მწერალ პაულ ილიას  
რეკომენდაციით ს. ფიშერის გამოცემლობამ  
შესთავაზა ჰერმან ჰესეს, თავისი ნაწარმოები ამ  
გამომცემლობაში გამოაქვეყნოს. სწორედ ფი-  
შერთან გამოდის 1904 წელს ჰესეს რომანი  
„პეტერ კამენცინილი“, რომელმაც ვენის ბა-  
უერანუფელის პრემია დაიმსახურა და ავტორს  
სახელი გაუთქვა.

1904 წელს ჰესე ცოლად ირთავს 36 წლის  
მარია ბერნუოლის და სახლდება მიყრდნულ  
სიოფლ ვიენაშიოფენში ბოლენზეზე, სადაც ი-  
ვილიზაცია მხოლოდ ვახუთების სახით თუ აღ-  
წევს. აქ ის განმარტებით ცხოვრობს, ტკბება  
ბუნების სიმშვენიერით და ბევრ დროს ატა-  
რებს თავის პატარა ბაღში. წერს ესეებს „ბი-  
კანი“ და „ფრანც ასიზელ“, აღსანიშნავია აგ-  
რეთვე მოთხრობათა კრებული „მეზობლები“  
(1908), მუსიკალური რომანი „გეტრტულ“  
(1910) და ლექსთა კრებული „გაზანი“ (1911).

მხატვარ ჰანს შტურცკერთან ერთად იხილ-  
ეთში მოგზაურობის შემდეგ, ჰესე თავის ცო-  
ლით და სამი შვილით ბერნის მახლობლად,  
მხატვარ ალბერტ ველტის ყოფილ სახლში, გა-  
დადის. აქ მთავრდება მწერლის სოფლური იდი-  
ლია. პირველი მსოფლიო ომი უტევს დაამსხვ-  
რებს მოჩვენებით მყუდროებას, რითაც მწერა-  
ლი თავის მოტყუებას ცდილობდა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე  
ჰერმან ჰესე ომის მოწინააღმდეგეთა რიგებშია.  
„ნოიე ციურხერ ცაიტუნგში“ მწერალი ათე-  
სებს სტატიას „ო, მეგობრებო, ნუ გამაგონებთ  
ამ ხმებს“, სადაც კატეგორიულად ილაშქრებს  
ომის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ჰესეს მოწოდე-  
ბას, რომ „სიყვარული სიძულვილზე მაღალია,  
უზივიერეთვაგება რისხეაზე მაღლა დგას, მშვიდო-  
ბა კი ომზე უფრო კეთილშობილურია“, —  
ვერმანაში არავითარი დადებითი გამოძახილი  
მ მოპყლია. მწერალმა ვერ შეძლო კავშირის  
დამყარება ისედაც მცირერიცხოვან ომის მო-  
წინააღმდეგეებთან — ჰაინრიხ მანთან და ლე-  
ონარდ ფრანკთან, ეს უკანასკნელიც იმ ჩანად  
იქვე, შევიცარიაში იმყოფებოდა. სამაგიეროდ,  
ჰერმან ჰესეს გამოეხმაურა დიდი ფრანგი პუ-  
მანისტი რომენ როლანი.

ათეული წლების შემდეგ ჰესე იხსენებს, თუ  
რა დიდი სიხარული მოუტანა მას პატარა წე-  
რილმა საფრანგეთიდან: „მე მყავდა თანამგზაგ-  
რი, თანამოაზრე, კაცი ჩემსავით მგრძნობიარე

ომის სისხლიანი უაზრობის მიმართ და მადამ  
ანი, რომელიც აღსდა ამ უაზრობის წინააღ-  
დეგ... ამ კაცის სიცოცხლის უკანასკნელ დღე-  
ებამდე ჩვენ მეგობრები ვიყავით... არც ომის  
წლებში, არც ომის შემდეგ მე როლანთან სა-  
კუთრივ პოლიტიკური საუბარი არ მქონია, მაგ-  
რამ არ ვიცი, შევძლებდი თუ არა მისი სიამ-  
ლოვისა და მეგობრობის გარეშე იმ წლების ვა-  
დატანასა“.

ომის პერიოდი მეტად მძიმეა ჰერმან ჰესეს-  
თვის. 1916 წელს მან დაკარგა მამა, ამას დაე-  
მატა ცოლის ხანგრძლივი ავადმყოფობა, მწე-  
რალი ხშირად ილაშქრებდა ომის წინააღმდეგ  
ვახუთ „ლიბიჟ ინტერნეტარ ცაიტუნგში“, რომ-  
ელსაც ის 1917 წლამდე რედაქტორობდა. ამ  
გამოსვლებმა მთელი გერმანული პრესის აღშ-  
ფოთება გამოიწვია. ჰესეს იმ ხანად ჩვეულებ-  
რივ „სამშობლოს მორალტა“ და „არამზადს“  
უწოდებდნენ. ყოველივე ამან, პირველ რიგში  
კი თვით ომმა, ჰერმან ჰესეში მძიმე მსოფლ-  
მხედველობრივი კრიზისი გამოიწვია. უფრო გვი-  
ან ჰერმან ჰესე ასე იხსენებს იმ საშინელ დროს:  
„დაიწყო მსოფლიო ომი, — წერს ის, — დაიშ-  
ხერა ჩემი თავისუფლება და დამოუკიდებლო-  
ბა, დამიღდა მორალური კრიზისის პერიოდი...  
და სანამ მე ომის შედეგად სამსახურგობრივად  
ვადატვირთული და მორალურად სულ უფრო  
და უფრო სასოწარკვეთილი ვიყავი, ყველაფე-  
რი, რაც კი მანამდე ჩემს ბედნიერებას ქმნიდა,  
ნელ-ნელა იფუშებოდა, ქრებოდა“.

ნერვოზულად დაავადებული მწერალი მცირე  
ხანს დაჰყოფს ლუტცერის სანატორიუმში. აქ  
უმიგობრდება ცნობილი ფსიქიატრის იუნგის  
მოწავებ იქი ლანეს. თანამედროვე ფსიქოთე-  
რაპიის შესახებ მათი საუბრების შედეგია რომ-  
ანი „დემიანი“ (1919). რომანს დიდი წარმა-  
ტება ხვდა წილად.

1919 წლიდან ჰერმან ჰესე ტესინში ცხოვ-  
რობს. პალაო კამეტოში მწერალი ბერნიდან  
თავის საყვარელ დიდ მაგიდას გადმოატანინებს.  
ეს მაგიდა ხდება ჰერმან ჰესეს შედეგების —  
„სტების მგლის“ და „გლასპერლენშპილის“  
შექმნის მოწვე. ამ მაგიდაზე იწერება მწერ-  
ლის ასზე მეტი წიგნი და ბროშურა. მათგან აღ-  
სანიშნავია „ზიდპარტა“ (1922), „მთავარაკე“  
(1925) და „კლინგსორის უკანასკნელი ზაფხუ-  
ლი“ (1920).

1924 წლამდე ჰესე მარტონელა ცხოვრებას  
ეწევა. ცოლს ის 1919 წელს გაეყარა. 1924  
წელს მეორედ თხოულობს ცოლს, მაგრამ მა-  
საც ერთ წელშიაღიშნა.

მონტანიოლაში ჰერმან ჰესე ბევრ დროს ატა-  
რებს თავის ბაღში; ხანდახან დილაადრიან  
იღებს ფუნჯს, საღებავებს და საღმე ფერდობზე  
თავის ფიქრებს ნახ ავეარელში აქსოვს. მხატვ-  
რობით მისი გატაცება იმდენად დიდია, რომ  
ერთხანს სერიოზულადც ფიქრობს მწერლო-  
ბას თავი დაანებოს და მხატვრობით ირჩინოს  
თავი.



გერმანიაში იშვიათად მოგზაურობს, მხოლოდ მოხსენებების წაითხების მიზნით და ისიც უხალისოდ. ვაიძარის რესპუბლიკის იმთავითვე უნდობლად უყურებდა. როცა 1931 წელს თომას მანმა პრუსიული ხელოვნების აკადემიის წევრობა შესთავაზა, ჰესემ უარი უთხრა. მის არ სურდა არც ერთ გერმანულ ოფიციალურ კორპორაციაში მონაწილეობა, რადგან თვით რესპუბლიკის ეკეთ უყურებდა, ხშირად უწოდებდა მას უსულღო და უპრინციპო სახელმწიფოს, რომელსე 1918 წლის რევოლუციის მონაპოვარი სრულიად გამკრალიყო. „დემონური ძალები“, რომელთა ბატონობის საშიშროება გერმანიაში მწერალმა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს იწინასწარმეტყველა, უკვე მოქმედებდნენ. ბიურჟუაზიული კულტურა უფსკრულის პირას იდგა: სული (Geist) სულ უფრო და უფრო უფასურდებოდა. დგებოდა უხეში ძალის ბატონობის ეპოქა. ეს ყველაფერი საოწარვეითებებს ჰკვირის მწერალს.

მორალურმა კრიზისმა და დეპრესიულმა მდგომარეობამ, მსოფლიო კულტურის შესანიშნავი მონაპოვრების დაკარგვის საშიშროებამ და მიჰმა, რომ აღამაინის არსებობას აზრი არა აქვს, მოელი სიმძაფრით ვადმოხეტია ჰერმან ჰესეს რომანში — „სტების მეგლი“ (1927).

ამ რომანმა კიდევ უფრო გაუთქვა სახელი ავტორის. შემოქმედების გვირგვინამდე „გლასპერლენშვილიამდე“ ჰერმან ჰესემ კიდევ ორი მნიშვნელოვანი ნაწარმოები შექმნა — „ნაიციტი და გოლდმუნდი“ (1930) და „დილის ქვეყანაში მოგზაურობა“ (1932).

1931 წელს ჰესემ ნინო აუსლენდერზე ქორწინდება. ეს შესანიშნავი ქალი, ხელოვნების ისტორიკოსი და საუცხოო ზღაპრების ავტორი, მწერალს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მხარში უდგას. უზომოდ დიდია მეუღლის მხარდაჭერა და ამ მხარდაჭერის მნიშვნელობა ჰესესთვის გერმანიაში ფაშისტთა ბატონობის წლებშიც.

ნაიცისტურ გერმანიაში ჰესეს არასასურველ მწერლად თვლიან და დევნიან. 1935 წელს ვილი ვესპერის ჟურნალი „ნოიე ლიტერატურ“ წერს: „გერმანელი მწერალი ჰერმან ჰესე ახლა სამშობლოს მოღალატის როლში მოგვევლინა... ჰერმან ჰესე ესარჩლება ებრაელებს და საზღვარგარეთ ჩვენთვის მანვე წარმოდგენას აერტყება გერმანიაზე“.

ჰერმან ჰესეს, რომელმაც ბევრად ადრე იწინასწარმეტყველა გერმანიის კრაზი, დროადადრო ლამისა სულ დაეკარგოს აღამაინობისა და ჰუმანიზმის რწმენა. სულიერ დეპრესიაში მყოფი მწერალი შეეხება მხოლოდ მეგობრებთან მიმოწერაში, ბუნებასთან კავშირში და, რაც მთავარია, მწერლობაში ხედავს. 1947 წელს ის წერს რუდოლფ პანეცის: „როდესაც ყველა გერმანულად მოლაპარაკე მწერლის ფიზიკურ და სულიერ არსებობას საფრთხე მოელდა, მე მივ-

მართე ყველა ხელოვანისთვის მხსნელ საშუალებას — პროდუქციას და დავებრუნე ქვეყნებს, რომელიც იმდროინდელი სიტუაციის გველენით ძალიან შეიცვალა. ჩემთვის მთავარი იყო ორი მომენტი: შემექმნა სულიერი სივრცე, სადაც მოზმამდელი მსოფლიოს გიბრზე სუნთქვას და არსებობას შეეძლებოდა და მეორე — ბარბაროსული ძალების მიმართ სტუმის წინააღმდეგობის შესაძლებლობა მეჩვენებინა“.

მწერლის არსებობისათვის აუცილებელ სივრცეს წარმოადგენდა რომანი „გლასპერლენშვილი“. ეს ნაწარმოები 1933-47 წლებში დაიწერა და 1943 წელს გამოვიდა შვეიცარიაში, რომანმა მთელი მსოფლიოს აღიარება ჰპოვა. ჰერმან ჰესეს ამ რომანისათვის 1946 წელს ნობელის პრემია მიენიჭა.

ამავე წელს მწერალი დააჯილდოვეს გოეთეს სახელობის პრემიით. 1950 წელს ჰესემ ვილჰელმ რაბეს პრემია მიიღო, 1955 წელს კი გერმანულ გამომცემლობათა მშვიდობის პრემია. მწერლის ნაწარმოებები ითარგმნა უამრავ ენაზე. იაპონიაში ის ყველაზე პოპულარულ გერმანულ მწერლად ითვლება. ინდოეთში მისი რომანები შეიღ დაილექტურა ნათარგმნი. უზომოდ ვიზირდა მწერლის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კრიტიკული ლიტერატურა. ზედიზედ გამოვიდა რამდენიმე სქელტანიანი ზიბელიოგრაფია. 1954 წელს ჰერმან ჰესეს მიანიჭეს pour la merite-ს ორდენის მშვიდობის კლასის საპატიო წევრის სახელი. დაარსდა ჰერმან ჰესეს სახელობის ლიტერატურული პრემია.

შემოქმედების უკანასკნელ პერიოდში მწერალმა გამოაქვეყნა ესეები „ომი და მშვიდობა“, „გოეთეს“, აგრეთვე მოთხრობათა კრებული და გვიანდელი ლირიკის ერთი ტომი. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ჰერმან ჰესე დიდ გამომცემლობით მუშაობას ეწეოდა.

ჰერმან ჰესეს სახელი დიდების შარავანდედითაა მოსილი. დღითიდღე იზრდება მის თაყვანისმცემელთა რიცხვი. ის კი ძველებურად განმარტებულ ცხოვრებას განაგრძობს შონტანიოლაში. მისი სახლი სოფლის განაპირასაა. მწერანში უცებ ვერც კი დაინახავ. ლუგანოს ტბას გადაყურებს. მწერალი ხშირად ზის ხოლმე ჩაფიქრებულ მზის ჩასვლისას სახლის ავანზზე, ან პატარა ბაღში ფუფუსებს. გამხმარ ფოთლებს და ფიჩხებს ფოცხით შეაგროვებს, ცეცხლს წაუქიდებს და მერე დიდხანს ზის ჩაუცქელი. სუსტი, დაავადებული თვალები ცეცხლისთვის უკრ მოუშორებია — რაღაცაზე ფიქრობს. ვერაფერ ვერ ბედავს მისი მყუდროების დარღვევას. ცოლი თუ წამოახტრავს ხალათს — არ შესცივდესო — და მანინვე გაშორდება. მოხუცი ხშირად იმეორებს ხოლმე ერთ ძველ ჩინურ სიმბრძნეს: „კაცი რომ და-

**რეზო ჟარალაშვილი**  
ჰერმან ჰესე



ბერდება და თავისას გააკეთებს, ის სიჩუმეს უნდა შეეჩვიოს, სიკვდილს უნდა დაუმეგობრდესო". მწერლისათვის სიკვდილი მოულოდნელი და საშინელი არ ყოფილა. ის წყნარად გარდაიცვალა 1962 წლის 9 აგვისტოს 85 წლის ასაკში.

პერმან ჰესეს შემოქმედების გაცნობისას მხედველობაში უნდა მივიღოთ როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ფაქტორი. სუბიექტური ფაქტორის ქვეშ მე ვგულისხმობ მწერლის დაბვეწილ, მეტისმეტად მგრძობიარე პიროვნებას; შვაბურ პიეტისტურ ატმოსფეროს, რომელშიც თავის დროზე იზრდებოდნენ ჰოლდერლინი, შელინგი, ჰეკელი; აღმოსავლური სამყაროსადმი სიხალისე, რაც შემდგომ ინკლურა და ჩინური აზროვნებისადმი სწრაფვაში ვლინდება; ჰესეს მუსიკალობას, ნერვოზულ ავადმყოფობასთან დაკავშირებით მწერლის ფსიქო-ანალიზით ვატყვებამ.

ობიექტური ფაქტორი საერთოა დასავლეთის ყველა მწერლისათვის. ესაა ბერეუზაზიული კულტურის — ფილოსოფიის, სოციალოგიის, რელიგიის, ხელოვნებისა და ლიტერატურის — კრიზისი; ესაა დასასრულის განწყობილება დასავლეთის სულიერ ცხოვრებაში.

ამ ობიექტურ ფაქტორებში მუდმივი დაუკმაყოფილებლობა, სულიერი ტანჯვა და შინაგანი დისპარმონია გამოიწვია. შეიძლება ითქვას, რომ პერმან ჰესეს მთელი შემოქმედება შინაგანი წონასწორობის აღდგენის ცდა და დაკარგული პარმონიის ძიება იყო.

„ზეღვდილა ევროპაში სასიამოვნო კურიაზად იქცა“, — წერს მწერალი გ. კელერისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ წერილში. ის სრულყოფილია, რომელიც კელერს და მის გმირებს ახასიათებდა, მეოცე საუკუნეში შეუძლებელი გახდა. ახლა ადამიანი სამყაროში მხოლოდ ალოგიკურობას, ქაოსს, აბსურდს ხედავს. იკარგება მათგანინებულ პრინციპი — ლმერთი. იკარგება სამყაროს მთლიანობა, მისი პარმონია. ამას ემატება ის, რომ ადამიანი თავის თავში არ არის დატყუებული. მთლიანობას ის საკუთარ თავშიც ვერ პოულობს. შინაგანი სამყარო მას სულიერი და ფიზიკური საწყისების ბრძოლად ესახება. ამ ბრძოლაში ფიზიკური, ბიოლოგიური თითქმის ყოველთვის იმარჯვებს. უფრო მეტიც, ადამიანი ქვეცნობიერი ბიოლოგიური, უმთავრესად სექსუალური ლტოლვის მონაა, სულს არავითარი ფასი არა აქვს. ადამიანი დაყვანილია ცხოველამდე. ლმერთს და რწმენას მოკლებული, ის უშეშოდ დგას ამ საშინელების, ამ აბსურდის წინაშე და ვერსად ვერ ხედავს გამოსავალს.

პერმან ჰესეს, რომელიც ასეთ მსოფლმხედველობრივ კრიზისს განიცდის, ცდილობს აღადგინოს წარსული მთლიანობა, ნახოს რაიმე გამოსავალი ამ უაზრობიდან. მწერლის ყოველი ახა-

ლი ნაწარმოებიც ამ ძიების მომდევნო სტეპი ხურს ასახავს.

ახალგაზრდა მწერალი ცდილობს გაცილებს საზოგადოებას და განმარტოებაში ნახოს შეება. თავის პირველ ლექსებში ის უმღერის ლამეს, ვარსკვლავებს, მდინარის ლმერთს ტალღებს და ციციანთელებს, თეთრ ღრუბლებს და ყვავილიან ყვავილზე მოფარფარებულ პებლებს.

რომანტიული ტენდენციები შეიმჩნევა ჰესეს პირველ დიდ ნაწარმოებში „პეტერ კამენცინდში“.

ამ რომანში მწერალი ევროპულ ცივილიზაციას ბუნების დიდებულ სურათს უპირისპირებს. ჰესეს ხაზს უსვამს, რომ ბუნება, სამყარო ერთი მთლიანობაა, ადამიანები კი ვარსებობთ მხოლოდ როგორც ამ მთელის ცალკეული ნაწილები. რომანის ერთ-ერთი გმირის პირით მწერალი ამბობს: „მე მსურდა თანამედროვე ადამიანისათვის ბუნების დიდებულო, უტყუი ცხოვრება ახლობელი და საყვარელი გამეხადა; მე მინდოდა ადამიანისათვის მესწავლებინა დედამიწის მაკისკვისისათვის ყურის მიგდება, მთელის ცხოვრებაში მონაწილეობა; მსურდა მას პატარა, პირადი ცხოვრების მისწრაფებაში არ დაევიწყა, რომ ჩვენი ლმერთები და ჩვენი თავის ქეარ შექმნილნი კი არა ვართ, არამედ დედამიწის და კოსმოსური მთლიანობის შევილები და ნაწილები“.

ჰესესთვის ბუნება პარმონიისა და მთლიანობის სიმბოლოა. მას ჰგონია, რომ გაიქცევა რასავლური კულტურის კრიზისისა და უიმედობის განწყობილებას, თუკი ადამიანს ბუნების ნაწილად განიხილავს, თუკი ადამიანის სიცოცხლეს ბუნების ცალკეულ გამოვლენად, ცალკეულ ნაწილად მიიჩნევს.

„პეტერ კამენცინდის“ გამოვლიდან ხუთი წლის შემდეგ, რომანში „გეტრუდი“ ბუნების აღიღოს მუსიკა იკავებს. ახლა მუსიკაა სამყაროს გამაერთიანებელი, ის უნივერსალური, პარმონიული ძალა, რასაც მწერალი ეყვება. რომანის ერთ-ერთი გმირის პირით პერმან ჰესეს ამბობს: „ხსნას, განთავისუფლებასა და დავიწყებას სხვადასხვა გზაზე ხარბად ვეძებდი; შეცნობა და თავისუფლება მწყუროდა. ვეძებდი ლმერთს და თუ ყველაფერი მუსიკაში ვპოვე, მე მხოლოდ ბეთჰოვენს და ხასს არ გველოხმობ. ის ფაქტი, რომ სამყაროში მუსიკა არსებობს, რომ ადამიანს შეიძლება დროადირო ტაქტი ამოკარავდეს და რომ მისი არსება შეიძლება პარმონიით იყოს სავსე, ჩემთვის მუდამეა ღრმა ნუგეშს და მთელი სიცოცხლის გამართლებას წარმოადგენდა“.

მუსიკალურ რომანს „გეტრუდს“ მოსდევს მხატვრის ცხოვრების ამსახველი რომანის „ცხენების ფერდობი“.

1919 წელს კი გამოდის რომანი „ღემიანი“. თუ აქამდე ჰესეს მთლიანობას და პარმონიას საკუთარი მე-ს მიღმა, შინაგანი სამყაროს გარე-

შე, ბუნებაში ვეძებდა, ახლა ის სუბიექტურს, შინაგანს მიმართავს. „ღემიანი“ იწყება „ვზა შინაგანისაკენ“.

მწერალი ამბობს, რომ ნება არა აქვს „მთელ მსოფლიოს სივრცე და გულჭევაბა უსაყვედურის“. ადამიანმა უნდა თავისი თავი შეივინოს და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი შინაგანი პარმონიის მოპოვება. რომანში ჰესე უარყოფს ქრისტიანულ მოძღვრებას, რომელიც ადამიანის ბუნების ერთი ნახევრის (ფიზიკურის) დათრგუნვას მოითხოვდა, და ცდილობს იპოვოს სულიერისა და ფიზიკურის შერწყმის გზები. შინაგანი პარმონიის სიმბოლოდ აქ ძველი იუდეური ღვთაება აბრაჰა გვევლინება, რომელიც თავის თავში ღმერთს და ეშმაკს შეიცავს ერთდროულად.

მომდევნო რომანში „ზიდპარტა“ ჰესე აღმოასჯულურ, კერძოდ, ინდურ სამყაროს მიმართავს. „ზიდპარტა“ ამბავია ერთი ბრაჰმანის შევილისა, რომელიც სამყაროს წვდომისა და დაჩქევის ხელოვნების სურვილით შეპყრობილი სამანასთან მიდის და თავის თავში ჩაეკეტვისა და განზავების გზით ამქვეყნიური ტანჯვიდან თავის დაღწევას ლაშობს. მაგრამ ვერც სამანა და ვერც შემდგომში ბუდა გოტამა მას ვერ აკმაყოფილებენ და საბოლოო დასკვნა, რომელსაც იგი ცხოვრებიდან გამოიტანს, შემდეგია: შეუძლებელია ქვეყნიერების დაძლევა, პირიქით, ერთადერთი გზა ადამიანისთვის არის სამყაროს მთლიანობაში აღქმა, მისი მიღება. ამგვარად რომანის მიხედვით ჰერმან ჰესეს ინდურ ფილოსოფიაში, პირველ ყოვლისა, სამყაროს მთლიანობის, სავანთა ურთიერთდამოკიდებულებისა და ერთიანობის იდეა ხიბლავს.

ინდური ფილოსოფიის გამოაჩინოს სამყაროს ერთიანობის შესახებ ვაჟოლუბა ჩვენ სამი წლით გვიან დაწერილ რომანშიც „მოვარაკა“. აქ ჰესე წერს: „მე არაფერი არა მწამს ისე ღრმად, როგორც ერთიანობა, არავითარი წარმოდგენა არ არის ჩემთვის ისე წმინდა, როგორც ის, რომ მთელი სამყარო ღვთაებრივი ერთიანობაა. მთელი ბოროტება კი იმაში მდგომარეობს, რომ ცალკეული თავს მთელის ნაწილად აღარა გრძნობს, და „მე“-ს ზედმეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება“.

ჰერმან ჰესეს მთლიანობისა და პარმონიისაკენ მისწრაფება თითქმის ყველა მის ნაწარმოებში იგრძნობა. მაგრამ არც ერთი ნაწარმოები არ იძლევა საბოლოო, ამომწურავ პასუხს დისმულ კითხვაზე. გამოსავალი ყოველთვის პირობითია და მწერლისათვის შეეძა არ მოაქვს. ამ მიზეზში შემდეგი საფეხურია იუმორი და ირონია.

თუკი სინამდვილე იმდენად სახარელი და დისპარმონიულია, იმდენად აუტანელი და მალეღებელი, რომ ამ სინამდვილეში ადამიანის არსებობაც კი აზრს კარგავს, იქნებ შეიძლება მისი დაძლევა სწორედ არასერიოზული მოღვაწით, სიცლით, ირონიითა და იუმორის მეშვე-

ობით. „ღიბხ, — პასუხობს ამაზე ჰესე, იუმორით ამის ატანაც შეიძლება, კაზარმების, ვაგზლების, ლიტერატურული მოხსენებებისა და სიცილით, სინამდვილისადმი არასერიოზული მიდგომით, წარმადობის ცოდნით ყველაფრის ატანა შეიძლება... ჩვენ ამ სასაცილო სამყაროს არ უნდა ვცეთ პატივი და სერიოზულად არ უნდა მოვეკიდოთ მას“.

„სტეპის მგელში“ რომანის გმირი, ცხოვრებისაგან მეტად დაღლილი და გულგატეხილი ინტელიგენტი პარი ჰალერი „მაგიურ თეატრში“ მოხვდება. აქ მან ცხოვრების აზრი უნდა პოუვოს. მაგრამ ცხოვრების აზრს მხოლოდ ირონიით გამსჭვალული ადამიანი პოუვებს. „მაგიურ თეატრში“ შესვლისას პარი ჰალერი შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „აბა, კარგ გუნებაზე დადექით. ამ დაწესებულების მიზანია, კარგ გუნებაზე დაგაყენოთ და სიცილი გასწავლით... თქვენ აქ იუმორის სკოლაში ხართ, სიცილი უნდა ისწავლოთ, ყველაზე უმაღლესი იუმორი კი მაშინ იწყება, როდესაც ადამიანი თავის პიროვნებას სერიოზულად აღარ ეკიდება“.

ამავე რომანში პარი ჰალერი ესაუბრება გოეთეს. ჰალერი პოეტს ეუბნება, რომ მან, რა თქმა უნდა, ვანჭკობდა ადამიანის ცხოვრების ორჭოფულობა და უიშედობა, რომ მანაც განიცადა წუთიერების სიმშვენიერე და მისი საკვალაო დაქანობა; იცოდა, რომ სტლის მშენიერი სიდიადის წუთებს დამოკიდებული ერთფეროვნება მოჰყვება, რომ ადამიანს წარმატება აქვს მისკილი. გოეთესათვის ნათელი იყო ადამიანის არსებობის ტრაგედია და მიუხედავად ამისა, ის რწმუნას და ოპტიმიზმს, ცხოვრებისადმი სიყვარულს ქადაგებდა.

„ეს არის ის პირმოთენობა, რომელსაც ჩვენ გსაყვედურებთ“, — ეუბნება ჰალერი გოეთეს. პოეტი იღიმება და პასუხობს: „ძლიერ სერიოზულად ეკიდები, ახალგაზრდავ, ბებერ გოეთეს... ჩვენ, უეცრადვე, სერიოზულობა არ გვიყვარს. ჩვენ ხუმრობა გვიყვარს. სერიოზულობა, ჩემო ბიჭო, დროის საქმეა; ის დროის ვალაბუთისაგან შედგება. ერთხანს შეცდები ვაფასებდი დროს და მინდოდა ის წლამდე მიმეღწია. მარადისობაში კი, იცოდე, დრო არ არის. მარადისობა წამია, რომელიც მხოლოდ ზუმრობისათვისაა საკმაო“.

ჰერმან ჰესეს შემოქმედებისათვის დამახასიათებელია სტლის და ბუნების, ხელოვნებისა და ბიურგერის vita activa-ს და vita contemplativa-ს დაპირისპირება.

მწერლის სიმპატიები თითქმის ყოველთვის სტლის და სულიერის მხარეზეა. ის თითქმის ყველგან ცდილობს სტლის პრესტიჟის აღდგენას, სულიერის დაცვას ფიზიკურის წინაშე. მაგრამ ეს სიმპატიები არასდროს არ გადადის

**რეზო ჟარბლაშვილი**  
 ზერმან ჰესე



ცალმხრივობაში. თითქმის ყველგან ჰესე, სულისაღმი სიმპატიების მიუხედავად, სინთეზისაკენ ისწრაფვის. ის ამ ორი პოლარული მხარის შერევებას ცდილობს. ამ სინთეზის გამოხატულება ეწოდება სინკლურის სწრაფვა შინაგანი პარმონიისკენ და აბრაქას კულტი „დემიანში“, საქსოფონისტ ბაბლოს დახმარებით ცხოვრების არსის წედობა პარი ჰალერის მიერ „სტეპის მეღში“ და სხვა. სულისა და ბუნების შერევებას ცდილობს ჰერმან ჰესე თავის უკანასკნელ რომანშიც „გლასპერლენშვილი“.

„გლასპერლენშვილი“ ჰერმან ჰესეს შემოქმედების კვინტესენციას წარმოადგენს. რომანში მთორდება თითქმის ყველა მოტივი, რომელსაც ჩვენ მერსლის შემოქმედებაში ადრე ვხვდებით. ეს არის გრანდიოზული ნაგებობა და მის ცალკეულ ნაწილებს ის იდეები და მოტივები შეადგენენ, რომლებიც ათეული წლების მანძილზე ჰესეს სულიერ ცხოვრებას ქმნიდნენ. „გლასპერლენშვილი“ არის პასუხი ყველა მანამდე დასმულ შეკითხვაზე. შეიძლება ეს პასუხი არ არის დამარწმუნებელი და დამაყვარებელი, მაგრამ ის გამსჭვალულია ცხოვრებისადმი, ადამიანისადმი სიყვარულით, ადამიანის ბედის განმტკიცებით, ჰესეს ჰუმანიზმით.

რომანი 1943 წელს გამოვიდა და მაშინვე მთელი ლიტერატურული საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცია:

გლასპერლენშვილი არის ფანტასტიკური მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელსაც თავის დროზე საფუძვლად დაედო ბატარა ხის საკრავი. იგი წარმოადგენდა ჩარჩოზე დაჭიმულ რამდენიმე ათეულ სიმს, რომელზეც სხვადასხვა ზომისა და ფორმის ხელოვნური მგაგალიტი იყო ასხმული. ყოველ მარგალიტს კაცობრიობის სულიერი განვითარების რომელიმე ერთი სფერო შეესაბამებოდა — თეოლოგია, მუსიკა, ისტორია, ფილოლოგია და ა. შ. ამ მარგალიტების მრავალჯვარი კომბინაციები ქმნიდნენ გარკვეულ სულიერ სურათს.

თავშესატყვევად შექმნილი ინსტრუმენტი შემდგომში საფუძვლად დაედო სულის მსახურთა დახვეწილ და განვითარებულ თამაშს, რომელიც მოითხოვდა მეცნიერების ყველა დარგისა და ხელოვნების ღრმა ცოდნას.

ამგვარად, გლასპერლენშვილი არის თამაში, რომელიც მოიცავს ბიურგერული „კულტურის“ „შინაარსს და ფასეულობებს“. იგი ბიურგერული ეპოქის კულტურული მონაპოვრების საფუძველზე სულიერი უნივერსუმის შექმნის ცდაა.

გლასპერლენშვილის ძირითად შინაარსსა და საფუძველს მუსიკა წარმოადგენს. მუსიკას ეფუძნება აგრეთვე იმ საზოგადოების ცხოვრება, რომელიც გლასპერლენშვილის ირგვლივ იქმნება და რომლის უზენაესა თამაშის სრულყოფა და სულიერი უნივერსუმის შექმნა.

მუსიკას შესწევს უნარი მოხსნას წინააღმდეგობა კანონსა და თავისუფლებას შორის (მუ-

სიკაშიც ხომ გარკვეული კანონები მოქმედებს და ამასთანავე მუსიკოსი უსაზღვროდ თავისუფალიცაა), ბიურგენებასა და საზოგადოებას შორის, და ამიტომაც ის მომავლის საზოგადოებაში მაორგანიზებულ პრინციპად იქცევა. ჰესე აქ ძველ ჩინურ სიბრძნეს ეყრდნობა, რომლის მიხედვით მუსიკის კეთილდღეობა კულტურის, მორალისა და საზოგადოების კეთილდღეობასთანაა გაიგივებული. მუსიკა ადამიანის პირად ცხოვრებაზე საფუძვლად ედება.

უნდა ითქვას, რომ მუსიკაზე ლაბარაკისას ჰესე ყოველთვის კლასიკურ მუსიკას ვარაუდობს. შინაგან პარმონიას მწერალი ნახულობს იმ მუსიკაში, რომელშიაც ჯერ ფენი არ ჰქონდა გადგმული ბურჟუაზულ ინდივიდუალიზმსა და რომელშიც, მწერლის აზრით, ჯერ არ იყო დარღვეული სამყაროს პარმონია. ასეთ მუსიკას ჰესე კლასიკურს უწოდებს და მას აღმზრდელით ფუნქციას ანიჭებს.

აღაიანებები, ასე შემსრულებლები, რომლებიც ემსახურებიან გლასპერლენშვილს, ქმნიან გაურთიანებას — ორდენს. ეს ორდენი მდებარეობს გამოვლილ ქვეყანაში — კასტალიაში. კასტალია არის სულის იერარქია, სულის ბატონობის სამეფო, რომელიც ფარგლებში ფელეტონისტური ეპოქის (ასე უწოდებს ჰესე ბურჟუაზიული ეპოქის უკანასკნელ სტადიას) ნანგრევებზე (რომანში მოქმედება დაახლოებით 2 400 წელს ხდება). ამ ორდენის ფარგლებში მწერალი კლილობს სულის რეაბილიტაცია მოახდინოს, აიყვანოს იგი სათანადო სიმძლავრე და გერმანიაში ბობოქარ ბარბაროსულ ძალებს დაუპირისპიროს.

ამ ფონზე მოთხრობილია გლასპერლენშვილის მაგისტრის, იოზეფ კნეჰტის ამბავი. კნეჰტი ჯერ კიდევ ბავშვობაში ხვდება კასტალიაში, შუაგულს იქ, აქტიურად მონაწილეობს ორდენის ცხოვრებაში და ბოლოს გლასპერლენშვილს მთავარი მაგისტრის წოდებას იმსახურებს. ის თავიდანვე თავს სულის სამსახურში აყენებს და საერო ცხოვრებას უპირისპირდება.

იოზეფ კნეჰტი, ჰესეს რომანების ბევრი პერსონაჟივით, მაძიებელი გმირია. კნეჰტი ავსებს გერმანული ლიტერატურის იმ მაძიებელი გმირების რიგს, რომელიც იწყება პარციფალით და ელჰლემ მისიტერს, ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენს, ფუსტს, ჰაინრიხ ლესს, ჰანს კასტორპს და ბერგ სხვას მოიცავს. იოზეფ კნეჰტის განვითარებაც ორ საწინააღმდეგო მხარეს შორის მიმდინარეობს — სული და ბუნება, სულიერი და ფიზიკური.

მთელი რომანის განმავლობაში გმირი ცდილობს სულის სფეროში დარჩენას. მაგრამ რომანის დასასრულს იგი შიდის იმ დასკვნაზე, რომ ადამიანი არ უნდა გაურთოდეს ცხოვრებას, რომ მან „შობად“ უნდა გაიაროს ცხოვრების ყველა საფეხური. ადამიანის ცხოვრებას აზრს, ფიქრობს კნეჰტი, სხვა ადამიანებისადმი სიყვა-



რული ანიტებს. აქ ჰესეს რომანში იჭრება მსხვერპლის მოტივი. ეს მოტივი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანმა თავის ცხოვრებას უნდა შეხედოს, როგორც სხვა ადამიანებისადმი მიტანილ მსხვერპლს. იოზეფ კნეტიც ცხოვრებას ერთ-ერთი მაღალმთიან ტბის ტალღებში ამთავრებს. მისი სიკვდილიც მსხვერპლია, რომელიც მას მოაქვს ახალგაზრდა პლინიო დესანინორისადმი, ვაჟყვება რა მას ყინულოვით ცივ წყალში.

გლასპერლენშმილი ჰერმან ჰესეს შემოქმედების მწვერვალს წარმოადგენს. მწერალი აქ მიიღის იმ დასკვნამდე, რომ სამყაროს მულღვიე მოძრაობა განვითარებაში მყოფი მთლიანობაა. ადამიანი არის ამ მთლიანობის პატარა ნაწილი. მასში ერთმანეთს სულიერი და ფიზიკური საწყისი ებრძვის. ის უნდა მათი სინთეზისაკენ ისწავოდეს. ადამიანში ბევრია როგორც ექვიკისეული, ისე ლეთაებრივი. მან ეს უნდა იცოდეს, უნდა ეცადოს დაძლიოს ეშმაკისეული და თავისი თავი სხვა ადამიანთა სამსახურში ჩააყენოს. თავის პიროვნებას რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება უნდა მიაქციოს. მოყვრის სიყვარული, სხვებისათვის თავის მსხვერპლად მიტანაში უნდა ჰპოვოს მან ცხოვრების სიბრძნე. ის ადამიანია და ამიტომ არ უნდა გაუბრძოდეს ცხოვრებას. ადამიანმა ლაღად უნდა გაიაროს ცხოვრების ყველა საფეხური და სიკვდილსაც მომღიმარე უნდა შეხედოს.

ესაა ის საბოლოო დასკვნა, საბოლოო პასუხი, რომელსაც რომანში ვეთავაზობს მწერალი.

ჰერმან ჰესეს წერის მანერა ფრიალ საინტერესოა. თავის თავზე ის ამბობს: „ფიქრობ, როგორც ლიტერატორი, მე ყოველთვის ტრადიციას მივყვები; მცირე გამოჩაყვების გარდა, ნახშირი ფორმით და გაცალულები გზით და სქემით ვემყაფილდები, არასდროს არ ვისწრაფოდი ფორმალურად ახალი შემქმნა, ავანგარდისტი და გზის გამკვლევი ვყოფილიყავი“.

თ. მანი კი ჰესეს რომანზე „დემიანი“ ამბობს, რომ ის „ექსპერიმენტალური გამგედაობით ულისს“ არ ჩამოუვარდება. „გლასპერლენშმილს“ თ. მანი ასე ახასიათებს: „ამ უმანკო და გაბედულ, ოცნებით აღსავსე და ღრმად ინტექტუალურ ნაწარმოებში ყოველ ნაბიჯზე ძველთან კავშირს, მოგონებას, გადმოცემას და იღუმენტებას ხვდები, მაგრამ რომანზე ვერ იტყვი, თითქმის ის ეპიგონური იყოს. მას გულითაღობა ახალ, სულიერ, რევოლუციურ საფეხურზე აყვავს — რევოლუციურზე არა პირდაპირი პოლიტიკური ანდა სოციალური გაგებით, არამედ სულიერი და პოეტური გაგებით: ეს ხელოვნება გრძნობს და ხელდავს მომავალს“.

ჰ. ჰესეს და თ. მანის სიტყვებში ჩვენ არ უნდა დავინახოთ წინააღმდეგობა. ჰესე მართლაც არ ისწრაფოდა ფორმალურად ახალი შემქმნა, ავანგარდისტი და გზის გამკვლევი ყოფილი-

ყო“. მისთვის მუდამ უცხო იყო ფორმით ვარჯიში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქმის მისი პრინციპული პოზიციისა და ფორტანეს და ეკლერის პროზა ყოფილიყოს. დრო თავის დაღს ასვამს მის შემოქმედებას და თუმცა ჰერმან ჰესე სულიერად ბიურგერული კულტურის მემკვიდრეა და „ტრადიციონალისტი“ (ამ სიტყვის კარგი გაგებით), მისი რომანში სწორედ ფორმის მხრივ წარმოადგენს ახალ ნაბიჯს გერმანული პროზის განვითარებაში.

მწერალი გაბედულად არღვევს კლასიკური ეპოსისა და რომანის ტრადიციულ ფორმებს. მის ნაწარმოებებში ერთმანეთს ერწყმის უანტიკატიკა და რეალობა, სიზმარი და მოგონება; ხდება დრათა დაახლოება; ახალი ნაწარმოების არქიტექტონიკაც. ასე მაგალითად, „სტეპის მგელში“ მწერალი გამოცემლის (ფიგურა, რომელსაც თვით მწერალი ეფარება) წინასიტყვაობის შემდეგ ათავსებს თვით რომანს — ეურ-ნალისტ პარი ჰალერის ჩანაწერებს. ამ ჩანაწერებში ჩართულია პატარა ესე სტეპის მგლის ბუნების შესახებ, რომელიც რომანის გმირის-ბიუსის ქურჩის გაიყიდვებს (პირობითი, აბორაგლური პერსონაჟი) უჩუქნია. ეს ესე იბრუნებულია რომანის ტექსტისაგან განსხვავებული შრიფტით და იმათივე ექვევს კმათხვევის განსაკუთრებულ ყურადღებას. რომანში გმირი ესაუბრება გოეთეს (სიზმარში) და მოცარტს (ფანტასტიკურ „მაგიურ თეატრში“). „მაგიურ თეატრში“ ხდება გმირის დაყოფა მრავალ ნაწილად. ახლა ჩვენ საქმე გვაქვს არა ერთ პარი ჰალერთან, არამედ ათობით და ასობით პარი ჰალერებთან, რომელთაგან თვითელს თავისი ინდივიდუალური სახე გააჩნია (ერთი მთარაყეფ ახალგაზრდა, მეორე განმარტოებული ჰემისინტი, მესამე შუა ხნის რაინობრივი ინტელექტუალი და ა.შ.). ეს შესაძლებლობას აძლევს მწერალს გააანალიზოს გმირის შინაგანი ბუნება, მისი სულიერი სამყაროს ილუსტრირება მოახდინოს.

ტრადიციული ლიტერატურული ფორმების ადგილი დარღვევა მეტსაკლებად მთელი თანამედროვე ბურჟუაზიული ლიტერატურისთვისაა დამახასიათებელი და იგი, როგორც ყოველთვის (გაეხსენოთ თუნდაც გერმანული რომანტიკოსები) სრულ შესაბამისობაშია კროზისისა და დისპარმონიის შეგრძნებასთან, რომელიც განსაზღვრავს როგორც საზოგადოების, ასევე თვით ავტორის ცნობიერებას. მაგრამ გერმანული რომანტიკოსებისაგან (მაგ. ფრ. შლეგელისგან) განსხვავებით, ჰერმან ჰესეს რომანის კომპოზიციის თვითნებურ და შემთხვევითი კი არ არის. არამედ გარკვეულ სისტემასა და კანონს ექვემდებარება, რომელიც კლასიკური ნაწარმოების კომპოზიციის კანონებზე ნაკლებ მომთხონი არ არის.

**რაიზო შარალაშვილი**  
ჰერმან ჰესე



ტრადიციული რომანის ფორმის დარღვევა იმაშიც გამოიხატება, რომ ჰესეს ნაწარმოებს გარეგანი და ფაქტობრივი პლანის გარდა გააჩნია შინაგანი და ფილოსოფიური პლანი. ამბავს და სიუჟეტს აქ ის ფუნქცია აღარ აკისრია, რაც ტრადიციულ რომანში. მართალია, სიუჟეტი ინარჩუნებს დამოუკიდებელ მნიშვნელობასაც, მაგრამ მისი ძირითადი ფუნქცია პირობითია. სწორედ ამბავის და სიუჟეტის იქითაა მოცემული ძირითადი, ფილოსოფიური მხარე (ამგვარი ორპლანიანობა ძველთაგანვე იყო ცნობილი — მაგ. იგავში, სადაც ძირითადი აზრი სიუჟეტის იქით იყო საძებნი და სადაც მოქმედი პირობები და ამბავი მაშინ იძენდა კუშმარიტ მნიშვნელობასა და სისავსეს, როცა ეს ძირითადი აზრი, „მორალი“ ამოკითხებოდა. მაგრამ იგავისგან განსხვავებით, სადაც ორპლანიანობა ამ ეპოქის დიდაქტიკური და სატირული მიზნებით იყო გამოწვეული, თანამედროვე ეპიკური ნაწარმოების ორნიშინანობა სიღრმეში სვლის, ფაქტობრივ ამბავს იქით კუშმარიტი არსის განკვერტის სურვილითაა გაპირობებული).

ამრიგად, რომანის ემპირიულ მსვლელობაში ცალკეული მოვლენები და პერსონაჟები ფაქტურად ძირითადი ფილოსოფიური პლანის პირობითი ნიშნები, სიმბოლოები და მინიშნებანია.

„გლასპერლენშპილში“ თითქმის ყველა პერსონაჟის უკან რეალური აღამიანი იმალება, თითქმის ყველა პერსონაჟი იქცევა კაცობრიობის სულიერი ცხოვრების გარკვეული სფეროს სიმბოლოდ. ასე, თომას ფონ ტრავეში შეგვიძლია თომას მანი ამოვიკითხოთ, პატერ იაკობუსში — იაკობ ბურკპარტი, ალტმუსიციმისტერში — გოეთე და ა. შ.

მაგრამ აქვე მინდა საგანგებოდ აღვნიშნო, რომ ჰერმან ჰესე ამ პუნქტში მაინც არ იჩენს ისეთ ცალმხრივობას, როგორც კაფკას, ჯოისის და სხვათა ნაწარმოებებს ახასიათებს. მის რომანებში მნიშვნელობა აქვს ორივე სიბრტყეს, როგორც „გარეგანს“, ისე „შინაგანს“, როგორც ემპირიულ და ფაქტობრივ, ისე ფილოსოფიურ და სიმბოლურ პლანს. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ძირითადი მნიშვნელობა ჰერმან ჰესეს გვიანდელ ნაწარმოებში მაინც ვალატანის, სიღრმისეულ ფენას ენიჭება.

ჰერმან ჰესეს რომანი ინტელექტუალურია. მწერალი ფართოდ იყენებს ესეს და ფილოსოფიურ ექსკურსებს ცოდნის სხვადასხვა სფეროში და ეს მკითხველისაგან დიდ ერუდიციას მოითხოვს.

ნაწარმოების ინტელექტუალიზმს მსვლელობის ლირიულობას და მუსიკალურობას უფარდებს. მკვლევარები ჰერმან ჰესეს ფრაზის მუსიკალობაზეც კი ლაპარაკობენ. მწერლის აზრით, მუსიკა, განსაკუთრებით კი ბროზის მუსიკა, „ერთ-ერთი იშვიათი, ნამდვილად მაგიური და ნამდვილად ჯადოსნური საშუალებაა, რომელსაც დღესდღეობით ფლობს პოეზია“. მუსიკითაა გაღუნული არა მარტო ჰესეს ნაწარმოების „შინაგანობრივი მხარე, კომპოზიცია („სტეპის მგელა“ ისე მკაცრადაა ავებული, როგორც კანონი ან ფუგა“ — ამბობს მწერალი), არამედ თვით ფაქტურა, ისე რომ ტექსტი მუსიკალური ქლერადობას იძენს. ეს ქლერადობა კი სიტყვთა შერჩევასა და დალაგებაზე, ფრაზის რიტმსა და მელოდიუზაზე დამოკიდებული.

ჰერმან ჰესეს ნაწარმოების ენა სადა და კრიალაა. მასთან ვერ ვნახავთ გრძელ პერიოდებს, ვადატივორთულ და უზომოდ რთულ წინადადებებს.

ნაკლებად ხვდებით ლანდშაფტს, დიალოგს, ძირითადი სიუჟეტური ხაზიდან გადახვევას. მკითხველის ყურადღება ყოველთვის ძირითად ამბავზე, მთავარი გმირის ისტორიაზეა კონცენტრირებული. უმარავი ჩართული ესეც, ავტორის ვრცელი განსჯები და პატარა ექსკურსები ძირითადი პრობლემის უფრო ღრმად და საფუძვლიანად გაშუქებას ემსახურება. ამასთანავე ჰერმან ჰესე ახვეწილი იუმორის პატრონაა.

ირონია მისი რომანის გვირგვინია. ის მსუკვლავს მწერლის მთელ ნაწარმოებს, მიმართულია რომანის გმირების, საზოგადოების, თვით ავტორის და მისი თვალსაზრისის წინააღმდეგ და ბოლოს იუმორთან ერთად დამოუკიდებელ იდეურ მნიშვნელობასაც იძენს.


ირონია ნაწარმოებში მაშინ ჩნდება, როდესაც ავტორი მასალას აღიქვამს, როგორც ფიქციას, როგორც თავისი ფანტაზიის პროდუქტს, და არ ცდილობს შუა საუკუნეების შილმანისეით მის ნამდვილ ამბად გასაღებას; ერთი სიტყვით, როდესაც მწერალი მასალას საკმარისადაა დაშორებული. მაიწერს რა ნაწარმოების ავტორობას ფიქტიურ, არარსებულ პიროვნებას, თვითონ კი ეფარება რა გამოშვების ნიღბს, ჰერმან ჰესე კიდევ უფრო აღიდებს ავტორსა და ნაწარმოებს შორის არსებულ დისტანციას. ამგვარი ხერხი მას მასალისადმი ირონიული მიდგომის უდიდეს შესაძლებლობას აძლევს.

ჰერმან ჰესე ირონიის გამოსავლენად სხვადას-

ხვა ხერხს მიმართავს. ასე მაგალითად, ირან-  
ულობის ძლიერ ეფექტს კმნის თანამედროვე  
მკითხველისათვის ის გარემოება, რომ „გლას-  
პერლენშპილში“ 2 400 წელს „მომხდარი“ აშბა-  
ვი ჟამთააღმწერლის სიზუსტით, პედანტურობი-  
თა და, რაც მთავარია, სერიოზულობითაა მო-  
თხრობილი. ვარდა ამისა მკვლევარები აღნიშ-  
ნავენ საკუთარ სახელთა კომიზმს ჰესეს ნაწარ-  
მოებებში და სხვა.

ჰერმან ჰესეს შემოქმედება ფრიად ვრცელია  
და მისი საფუძვლიანი ანალიზი გაცილებით  
მეტ ადგილს მოითხოვს, ვიდრე საკუთნალო  
სტატია იძლევა ამის შესაძლებლობას. წინამ-

დებარე წერილი მიზნად ისახავდა გაეცნო ქარ-  
თველი მკითხველისათვის გერმანული ლიტერა-  
ტურის ეს შესახიშნავი ოსტატი. მე მსურდა  
ჩვენს მკითხველთან ერთად გადამედგა მხოლოდ  
პირველი ნაბიჯი იმ დიდებულ სამყაროში, იმ  
შემოქმედებაში, რომელზედაც თომას მანნა ერ-  
თხელ თქვა: მიუხედავად მწერლის (ჰერმან  
ჰესეს — რ. ყ.) დროადადრო უცნაური განმარ-  
ტოებისა, მიუხედავად დროისა და სამყაროსად-  
მი ზურგშექცევისა, ეს შემოქმედება, რომელ-  
საც ფესვები მშობლიურ გერმანულ რომანტუ-  
ლობაში აქვს გამდგარი, ჩემთვის თანამედროვე  
ეპოქის უმაღლეს და უწმინდეს სულიერ ცდასა  
და ძალვას წარმოადგენსო.



# საბჭოთაო ქრონიკა

ბაჩანა ბრეგვაძე

## მცდარი თვალსაზრისი

ქურნალ „ცისკრის“ ამა წლის მეოთხე ნომერში დაიბეჭდა ა. თაყაიშვილის ვრცელი წერილი „ენა ძველი, ენა ახალი“, რომელშიც ავტორი მიმოიხილავს ზეიად გამსხვებულად, რევოლუციურად, ზურაბ კიკნაძის, რომან მიმინოშვილის, გივი შაპნაზარის, თამაზ ჩხენკელისა და ამ სტრუქტურების ავტორის ლიტერატურულ-მთარგმნელობით მრღვაწეობას. ა. თაყაიშვილის მიზანი მკაფიოა: მას სურს დაამტკიცოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილ მთარგმნელთაგან „დამახასიათებელია არქაიზაციის მძაფრი ვანცდა, ძველი ქართულისაგან დაბრუნების დაუოკებელი სურვილი“ და რომ ამ სურვილის ხორც-შესხმა „ერთგვარი პოზისა და მანერულობის“ დაღს ასვამს მათ თარგმანებს. რა თქმა უნდა, წერილის ავტორი არ კმაყოფილდება მარტოდენ ლიტონი განცხადებით და მრავალრიცხოვანი მაგალითების ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე ცდილობს დაასაბუთოს საკუთარი მოსაზრების სისწორე. სხვა საქმეა, როგორ აანალიზებს მაგალითებს და როგორ ასაბუთებს, რომ მთარგმნელთა ამ ჯგუფის შემოქმედებით პრაქტიკა — „ეს არის სალიტერატურო ენის ნორმებიდან მეთოდურად გადახვევის შესანიშნავი ნიმუში“. მაგრამ ვიდრე მსჯელობისა და არგუმენტაციის ა. თაყაიშვილისეული მანერის დახასიათებაზე გადავიდოდეთ, წინასწარ უნდა ითქვას შემდეგი: სალიტერატურო მაგალითების ერთი მესამედის ციტირებისას დაშვებულია უბრალო შეცდომები, რასაც ზოგჯერ აბსურდამდე დაჰყავს ციტირებული პასაჟის აზრი. არის შემთხვევები, როდესაც ამ ნების თუ უნებლიეთ დაშვებულ შეცდომებს წერილის ავტორი თავისთვის ხელსაყრელ ინტერპრეტაციას აძლევს. ყველაფერი ეს საკ-

მაოდ მძიმე და დამაფიქრებელ სურათს ქმნის. მიემართოთ ფაქტებს:

1) 140-ე გვერდზე ა. თაყაიშვილი წერს: „ერთგან ორმაგი მრავლობითია გაპარული: „მკვდრებს ამოვიყვან, ცოცხლები შევამენ. ცოცხლები აღემატებიან მკვდრები“ („გილგამეში“). აქ ან ცოცხლებს უნდა იყოს ან ცოცხალთ“. „არსებობს „გილგამეშის“ ზ. კიკნაძისეული თარგმანის ორი გამოცემა; ერთი მხატვრულია, რომელშიც მოტანილი ადგილი ასე იკითხება:

„მკვდრებს ამოვიყვან ცოცხლების შემკემლო და მკვდრები ცოცხალთ აღემატებიან“ („გილგამეში“, ნაკადული, თბილისი, 1963, გვ. 52). მეორე — აკადემიურ გამოცემაში მართლაც გაპარულია კორექტური შეცდომა, მაგრამ მხოლოდ ერთი:

მკვდრებს ამოვიყვან, ცოცხლები შევამენ, ცოცხლებს აღემატებიან მკვდრები“ („გილგამეშის ეპოსი“, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., თბილისი, 1963, გვ. 44). როგორც ვხედავთ, ერთი ორმაგი მრავლობითი კორექტორს გაეპარა, მეორე კი წერილის ავტორმა „გაპარა“ და, ამრიგად, შემთხვევითი შეცდომა „კანონზომიერ“ მოვლენად აქცია.

2) 134-ე გვერდზე „ილიადას“ რ. მიმინოშვილისეული თარგმანის ერთი სტრიქონი ამ სახითაა ციტირებული:

„ვერცხლის მშვილდაო, გვედრებ ქრისტეს, ქომაგო ქველო“. ქრისტე „ილიადაში“! მთარგმნელი აქ არაფერე უშაშაა (იხ. „ელადის მუხა“, ნაკადული, 1963, გვ. 15). ამ „სენსაციური აღმოჩენის“ ერთპიროვნული ავტორი ა. თაყაიშვილი გახლავთ.

3) 130-ე გვერდზე ამგვარ უაზრობას ამოკითხავს კაცი: „ჩამოკრულ ზარებს სამრეკლოსის ნასროლი კენჭით“ (ს. კაპუტიაინი). „ლიტ. გაზეთის“ 1963 წლის 4 იანვრის ნომერში კი (სადაც ეს ლექსია დაბეჭდილი) ვკითხულობთ:

„როგორ ფრთხებოდით, ცას ელტვოდით რა დაფეთდით, ჩამოკრულ ზარზე სამრეკლოსი, ნასროლი კენჭით, — მტრედები, ჩემი მშობლიური მხარის მტრედები“...

4) 128-ე გვერდზე წერილის ავტორს მოაქვს ციტატა „გიტანჯალიდან“ — „შუადღის ხვატში აზრიალდნენ მუნარი ფთოლები“... — და ღრმად აზროვანდა შენიშნავს: „მუნარიათვის დღევანდელი კუთვნილი კ თანხმონის მიმატება (მუნარი) არაფერს დაარღვევდა (გარდა ავტორისეული სუბიექტური პრინციპისა)“. მაგრამ არც ის დაშავებდა რასმე, რომ ა. თაყაიშვილს „გიტანჯალის“ ქართული თარგმანის პირველ და ერთადერთ სრულ გამოცემაში ჩაეხედა: აქ ის ნახავდა, რომ „მუნარის“, ისევე როგორც ცოტა ზემოთ ციტირებული „დაუნებას“ ნაცვლად, ყველგან წერია „მუნარი“ და „დაუქნება“ („გიტანჯალი“, ნაიადელი, 1960), და, ამრიგად, თავიდან აიცილებდა გულისგამაწვრილებელ ტაგტოლოგიას (წერილის ავტორი ხუთჯერ უბრუნდება ამ სიტყვას).

5. ანატოლ ფრანსის ერთ-ერთი შედევრის სათაური — „ბატონ ევრომ კუანიაარის აზრები“ წერილში ყველგან ციტირებულია როგორც „ბატონ ჯერომ კუანიაარის აზრები“. ეს ალბათ დაუდევრობის ბრალია, თორემ განა ენათმეცნიერმა ა. თაყაიშვილმა არ იცის, რომ „ჯ“ ბევრა ბასოლტურად უცხოა ფრანგული ენის ფონეტიკური სისტემისათვის? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავის სადისერტაციო ნაშრომში „ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები“ (საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., თბილისი, 1961), ის დაწვრილებით ანალიზებს არა მარტო ქართულ, არამედ ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, ძველ ბერძნულ და ძველ სომხურ იდიომებსაც.

6) დიდი ფრანგი ფილოსოფოსის — ბოსჰუეს — გვირის დაწვრილებაში ა. თაყაიშვილი, ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, ზედმეტად მიიჩნევს ბოლოიდურ „ე“-ს; 128-ე გვერდზე ორჯერ ვკითხულობთ: ბოსჰუ (?!). თუმცა ეს, წერილის ავტორის სიტყვებითვე რომ ვთქვათ, შესაძლოა ე. წ. „ეკონომიის ტენდენციის კერძო გამოვლენაც“ იყოს. (მკითხველს აქვე შევახსენებ, რომ ბო ძიუ-ის ნაცვლად ის წერს ბო-ძი-უ, გვ. 145).

7) 140-ე გვერდზე ა. თაყაიშვილი წერს:

„არქაიზაციის პრინციპის დარღვევად გვეჩვენება აგრეთვე სიტყვის პარალელური ფორმების (ძველისა და ახლის) ერთად წარმოდგენა, ზოგჯერ ერთსა და იმავე ავტორთანაც კი მაგალითად, „ბატონ ჯერომ (sic!) კუანიაარის აზრებში“ ვკითხულობთ: „...ანგელოსი მიწაზე დაეშვა კაცის სახით და მსხემის სამოსით“ (ფრანსი); ცოტა ზევით წერია: „ეგ თქვენი ანგელუსი — თალღითა და ყალბათანდი“ (?). გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა ითქვას, რომ „ანგელუსი“ „ანგელოსის“ პარალელური ფორმა კი არაა, არამედ ნაწარმოების ერთ-ერთი მოქმედი პირის საკუთარი სახელი.

მაგრამ შევეშვათ ამ უამურ მაგალითებს და მივუბრუნდეთ ა. თაყაიშვილის მსჯელობის სტილს. საფულისხმოა, რომ არქაიზმების პრობლემისადმი მიძღვნილ მის ვრცელ წერილში ყველაფრისათვის აღმოჩნდა ადგილი (ასე განსიხეთ, „იუმორისტულ-საბორტული წიადსვლებისთვისაც“ კი: ჭიდაობა, კრივი, ფეხბურთი, ხელბურთი, წყალბურთი...), გარდა თვით არქაიზმის დეფინიციისა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ ჭეშმარიტად გამოვსახებულ განმარტებას: „ესაა (ე. ი. არქაიზმი, ხაზი ჩემია, ბ. ბ.) ემპირიულად არსებული მასალა, რომელიც ძივს ჩვენგან დამოუკიდებლად და ყველამ აქვს მისი სარგებლობის უფლება“ (გვ. 127).

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ მეცნიერებისათვის მიუღებელია ამგვარი არაფრის მოქმედი ცნებები. ამიტომ მოგვიტევეს ა. თაყაიშვილმა, თუ ჩვენ არ დავეძაყოფილებით არქაიზმის მისეული განმარტებით და შევეცდებით უფრო ზუსტი და რაციონალური დეფინიციით შევეცვალოთ იგი. აი, როგორ განმარტავს არქაიზმს „ღიღი საბუთა ენციკლოპედია“ (მართალია, მეცნიერული კვლევისას ენციკლოპედებს არ იმორჩევენ ხოლმე, მაგრამ ეს გზა იჩიბა თვითონ ა. თაყაიშვილმა, და ეგვეც არ იყოს, ენციკლოპედია ყოველთვის სიტყვა-ძუნწია და ლაკონიური): „არქაიზმი — მოძველებული და ყოველდღიურ მეტყველებაში ხშირებიდან გამოსული სიტყვა ან გამოთქმა. უპირატესად იხმარება ლიტერატურაში, როგორც სტილისტური ხერხი ამაღლებულობისა და წარსული ეპოქის რეალისტური კოლორირების შესაქმნელად... არქაიზმის, როგორც პოეტური ხერხის ხმარება, შეიმჩნევა ლექსიკაშიც, მორფოლოგიასა და სინტაქსშიც“.

როგორც ვხედავთ, შესაძლოა სიტყვა ან სიტყვათა მთელი ჯგუფი აღარ იხმარებოდეს ყოველდღიურ მეტყველებაში, მაგრამ ეს როდეს გვართმევს მხატვრულ ლიტერატურაში მათი გამოყენების უფლებას. ნიკ. რილენკოვი მარ-

**ბანანა ბრამვამაძე**  
მცდარი თვალსაზრისი



თებულად წერდა „ლიტერატურნაია როსისა“ 1967 წლის 1 დეკემბრის ნომერში: «Слово, порожденное духовной жаждой народа и жившее в свое время полноправной жизнью, может устареть, но не может умереть. Выйдя из ежедневного обихода, оно отправляется в заповедные запасы, откуда может быть извлечено в любой день и час», არც შეიძლება სხვაგვარად იყოს, რადგან ყოველი მრავალსაუკუნოვანი მწერლობის ენა არა მარტო ეროვნული კულტურის განუყოფელი ნაწილია, არამედ ერის ენობრივი სავანურის ორგანული ინტერდინტიც. ამიტომაც, რომ ენა, სანამ ის არ მომკვდარა, არასოდეს არ გვევლინება, როგორც გაყინული, ერთხელ და სამუდამოდ ჩაოყალბებული, სტამბილური სისტემა. ის მუდმივ მოძრაობასა და მოქმედებაშია. ერთი ფრანგი მეცნიერის ხატოვანი თქმით, «ენა თითქმის ბოლოსას სეცემს (va-et-vient) ძველსა და ახალს შორის».

გადავხედოთ ამ თვალსაზრისით ეროვნული სამწერლო ენების განვითარების ისტორიას. თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „პუშკინის ენა“ (1935), აკად. ვ. ვ. ვინოგრადოვი პოეტის შემოქმედების ბოლოდროინდელი პერიოდის შესახებ წერს: «Эти годы в творчестве Пушкина — период окончательной канонизации церковнославянского языка как одного из структурных элементов русской литературной речи» (стр. 118).

უფრო ქვემოთ აკად. ვ. ვ. ვინოგრადოვი ასე ახასიათებს თანამედროვე რუსული სალიტერატურო ენის შემქმნელსა და კანონმდებლის შემოქმედებაში საეკლესიო-სლავური ენის სტილისტური გამოყენებისა და მისი ლიტერატურული ასიმილაციის ფენომენს: «В творчестве Пушкина... церковно-книжный язык дробится на множество стилистических осколков, на множество образов, выражений с разной экспрессией, с разными задачами развития. Оторванные от церковно-библейской почвы, вынесенные за пределы религиозно-мифологической действительности они становятся очень подвижными, плавкими и, входя в сочетание с другими формами стиля, с другим миром символов и выражений, составляют многообразие стилистических композиций и идейных концепций» (стр. 155).

პუშკინის გენიამ საბოლოოდ დააკანონა თანადროულ რუსულ სალიტერატურო ენაში საეკლესიო-სლავურის ხმარება და, ამრიგად, ვხედავთ რუსულ მწერლობაში სლავიანიზმების ცხოველყოფილ ნაკადს; და მართლაც, არქაიზმებს არაერთგზის მიმართავენ ლ. ტოლ-

სტოი, ლერმონტოვი, სალტიკოვი, შჩეღოლინი, დ. მერქუცოვსკი, ა. ტოლსტოი, ი. ტინიანოვი; სლავიანიზმები დიდი რამასიათებულია ისეთი სიმბოლისტი პოეტისთვის, როგორც იყო ვიარ. ივანოვი, არქაიზმებით უხვად სარგებლობდა ვ. მაკოვსკიც (იხ. БСЭ, изд. I, т. 3, стр. 517; Слов. лит. терминов, М.—Л., 1925, т. I, стр. 74; Кратк. лит. энцикл., М., 1962, т. I, стр. 330, А. Звяковский, Поэтич. словарь, М., 1966, стр. 49). არ შევცდებით, თუ ამ სიას შევავსებთ ისეთი სახელებით, როგორცაა ანდრეი ბელეი, მარინა ცვეტაევა და ბორის პასტერნაკი.

საინტერესოა, რა მდგომარეობაა ამ მხრივ უცხოურ მწერლობასა და სალიტერატურო ენებში. ერთ კომპეტენტურ ფრანგულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში ვკითხულობთ: „ზოგიერთი ზვენი ავტორი საკმაოდ ხშირად სარგებლობს არქაიზმებით: ჯენიარი, დე ლაფაიეტი, ბოსჰუე, რასინი, ნოლიე, ბალზაკი; ეტიუფანენი, თ. დე ვილი. თ. გარტიე, სენტ-ბევი, ვილმენი, დე ვარანტი არაერთგზის მიმართავენ არქაიზმებს. „მენიპეს სატირის“ ავტორები, შონტენი, რენიე არქაიზმებს იყენებენ არა მარტო ყოველ გვერდზე, თამამად შეიძლება ითქვას — ყოველ სტრიქონშიც. მაგრამ არქაიზმები ყველაზე უფრო ხშირად მიიწეკორნელის, მოლიერი-სა და ლაფონტენის თხზულებებში გვხვდება... თუმცა თავისი განვითარების ყველა ფაზაში მარტო ფრანგული როდი იყენებს არქაიზმებს. ანალოგიური მდგომარეობაა ნორმალური კონსტიტუციის ყველა ენაში (dans tous les idiomes constitués normalement). ასე მაგ., ჩინურს უმაღლეს საფეხურზე ასყავს სოციალური არქაიზმებისადმი. ეს ეხება არა მარტო ცალკეულ სიტყვებისა თუ გამოთქმების მოდუსებს, არამედ საერთოდ მთელს ენას, მთელს მის სისტემას... ასეთივე სურათია სანსკრიტისა და არაბულში. ეგვიპტის ყველა თანამედროვე ენა განუწყვეტლივ ხმარობს არქაიზმებს (toutes les langues modernes de l'Europe usent perpétuellement d'archaïsmes). გერმანულში, ინგლისურში, იტალიურში, ესპანურში და ა. შ. არქაიზმები რეტოსვეროლს ასრულებენ, როგორცაა ფრანგულში. შეიძლებოდა უსასრულოდ გაგვეგრძელებინა ეს ჩამოთვლა... (Grand Dictionnaire universel du XIXe siècle).

მაგრამ ეს მიიწეკორნელის XIX ს. ლექსიკონია, დღეს კი, ა. თაყაიშვილის სიტყვით, თურმე „საგრძნობლად გაიზარდა წარსულის ორიენტაციის არავამზიარებელთა რიცხვი“, რომელთა მეზობრებრედ (და ერთადერთ წარმომადგენლად

დას. ეგროფული მწერლობის მასშტაბით) წერილი სომერსეტ მოემი გვევლინება, რაც თავისთავად არ არის სწორი. ჯერ ერთი, კომიკურ შთაბეჭდილებას სტოვებს მოემის ციტატებს უადგილო დამოწმება და მისი „უბადლო სტილისტი“ რანგში აყვანა: „შესანიშნავად თქვა ამგვარ ვითარებაზე სომერსეტ მოემმა“... „აქვე ვაეხსენებთ უბადლო სტილისტის მოემის ცნობილ ფაქტობილებას“... „სწორედ ასეთი შედეგების მოჭარბებამ ათქმევინა მოემს“... მაშინ, როდესაც მოემი სულ სხვა საკითხებს ეხება, რამდენ თვალნათლივ დარწმუნდება ყველა, ვინც 35-38 გვერდზე გადაშლის მოემის წიგნს „Подводня итоги“. ხოლო თუ მაინცადამაინც საჭიროა უბადლო სტილისტის დამოწმება, ბერნარდ შოუსაც მოვუძღვინოთ: „ინგლისური ენა — ეს არის შექსპირის, მილტონისა და ბიზლიის ენა“. აი, რას წერს ფრანგი მწერალი ანდრე მორუა არაგონის პროზის შესახებ: „არაგონი ერთ-ერთი თვალსაჩინო მწერალი ჩვენი დროის ორ ან სამ ყველაზე დიდ ფრანგ პროზაიკოსთა შორის. ერთის მხრივ, მას შეუქალია წეროს სალაპარაკო ენაზე. ყველაზე უკეთ მან დაიჭირა ცოცხალი ფრანგული მეტყველების მუსიკა... ხოლო მეორე მხრივ, მას გააჩნია უზარმაზარი კულტურა. მან შთანთქა ყველაფერი ის, რასაც ყველანი კითხულობენ, და ისიც, რასაც არავინ არ კითხულობს. მას უყვარს შუასაუკუნეების ძველი კოლოკვიების „ფილორცებში ხეტიალი“, მას ფიჭურ სიამოვნებას ანიჭებს ფრანკში იმგვარად დალაგოს სიტყვები... როგორც ეს ბუნებრივი იყო XVI საუკუნის პოეტისათვის, თუმცა კი დღეს გვაოცებს ჩვენ. ეს ჯადოქრულ დისონანსებს ჰქმნის, რითაც აღვლევებს და იტაცებს მკითხველს. უკეთესი ფრანგული პროზა არ არსებობს“. (ინოსტრ. ლიტ. 1965, № 10).

ფრანგი მეცნიერი რენე ეგორჟენი წერს: „მგერი თანამედროვე მწერალი ხალისით მიმართავს არქაიზმებს (De nombreux écrivains contemporains archaïques voloniers)“ და ნიმუშებად მოაქვს ნაწყვეტები ისეთი თვალსაჩინო ფრანგი მწერლების ნაწარმოებებიდან, როგორც არიან ქორე დიუამელი, ანრი დე მონტერლანი და სხვ. (Difficultés et finesses de notre langue, Paris, 1952, p. 274, 332).

რაც შეეხება „მთელ რივ კულტურულ-პრაქტიკულ ღონისძიებებს“, რომელთა გატარება ა. თაყაიშვილს წარსულის კულტურულ მონაწილეთა „გათანადროულებს“ ტანდემიად უსახებ, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ისინი არასწორად ესმის წერილის ავტორს. და მართლაც, თუ „არსებობს შექსპირის ლექსიკონები, გამოდის მისი დრამების ადაფტირებული (უნდა იყოს — ადაპტირებული, ბ. ბ.) თარგმანები,

ოღონდ უცხოელთათვის კი არა, ინგლისელებისათვის, თანამედროვე ინგლისურთა „შესრულებული“ (გვ. 127), — ეს წარსულსგან პარის ბრუნება კი არა, წარსულის უფრო ღრმად წვდომის ცდაა მხოლოდ, ან, იქნება, ა. თაყაიშვილს მართლა პგონია, რომ ეს „ადაპტირებული თარგმანება“ ინგლისელი მკითხველისათვის ოდესმე შეცვლიან შექსპირის უქკნობ, მარად ცოცხალ სიტყვას?

წერილის ავტორი სასტიკად ცდება, როცა იქვე იმევილებს ძველი ბერძნულისა და ძველი რომის მავალითებს; რადგან „ძველი ქართული“ და „ახალი ქართული“ აბსოლუტურად სხვა რიგის კორელატებია, ვიდრე „ძველი ბერძნული“ და „ახალი ბერძნული“, „ძველი რომული“ და „ახალი რომული“, ან თუნდაც საეკლესიო-სლავური და თანამედროვე რუსული ენა. მიუხედავად ამისა, ა. თაყაიშვილი ისეთი კატეგორიული ტონით მსჯელობს, თითქოს თვით კემშარტება დადგებდეს მისი პირობა: „იგორის ლაშქრობის“ ძველი ტექსტი ისევეა გასაგები თანამედროვე რუსისთვის, როგორც „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენთვის“. თუ ასეა, საკითხავია, რატომღა აქვთ „რუს მოსწავლეებს სახელმძღვანელოებში ორ სვეტად მოცემული „იგორის ლაშქრობის“ ძველი რუსული და მისი ახალზე თარგმანის ვარიანტები“? ზომ არა სურს ა. თაყაიშვილს, რომ ჩვენს ბავშვებს რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ნაცვლად მის „გაახალქართულებულ“ ვარიანტს ასწავლიდნენ სკოლებში? მაღლობა ღმერთს, ქართულ ენას საამისო არა სჭირს რა, და ეს იმიტომ, რომ ძველსა და ახალ ქართულს შორის არასოდეს გაწყვეტილა სისხლხორცული კავშირი. ამ მხრივ, ქართული კემშარტი უნიკუმია იმ ენათა შორის, რომლებზედაც საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა მთელფილოს სხვადასხვა ხალხის ლიტერატურა. ზუსტად 40 წლის წინ საინტერესო ცდა ჩაატარა მიხეილ ჯავახიშვილმა: „მოვისურვე გამეგო, რა ცვლილება განიცადა ქართულმა საუკუნეთა მანძილზე. ამისთვის ისეთი ცდა მოვახდინე: საინფორმაციო სამი ნაწყვეტი ავიღე — თითო ფორმა „წამება წმინდისა შუშანიასის“ (იაკობ ხუციესი, V ს.), „ამირან დარეჯანიანი“ (მოსე ხონელი, VII ს.) და „საბრძნე სიცრუის წიგნი“ (ს. ს. ორბელიანის, XVII ს. დამლევი). ეს ნაწყვეტები მეც წვაიკითხე და კიდევ ორ მკითხველს წვაიკითხე: საცაოდ განათლებულს საშუალო მკითხველს და წერაკითხვის მცოდნე გლეხს. თან დაგინიშე და დავთვალე გაუგებარი ზიტყვები. შედეგი ასეთია: ვერ გავაგებთ:

**ბაჩანა ბრეგვაძე**  
მცდარი თხავალსაზრისი

ავტორი	მე	ს.შ.	გლეხმა	სულ
იაკობ ხუცესის	23 ს.	58 ს.	98 ს.	179
მოსე ხონელის	19 ს.	41 ს.	48 ს.	108
ს. ს. ორბელიანის	11 ს.	21 ს.	48 ს.	80
სულ	53 ს.	120 ს.	194 ს.	367 ს.

(ჩრეული თხზულებანი, 1964, ტ. VI, გვ. 349-50).

მე სპეციალურად დავთვალე რამდენი სიტყვაა „მუშანიის წამების“ ერთ ნაბეჭდ თაბახში: 6000-მდე. რა თქმა უნდა, რაოდენობა „სუფთაა“: სიტყვები მეორდება. მიუხედავად ამისა, შედეგი მაინც განმაცვიფრებელია იმ დროის კვალობაზე, როცა უნივერსიტეტი სულ რაღაც ათიოდე წლის დაარსებული იყო, ხოლო რა დონეზე იდგა ძველი ქართული ტექსტების მეცნიერული შესწავლისა და გამოცემის საქმი, — კარგად მოეხსენება თვითვე ჩვენგანს.

აი, რატომაა, რომ ძველი ქართული ლექსიკური მასალა ყოველთვის იყო ახალი ქართული მწერლობის ერთ-ერთი მასაზრდოებელი, მისი ენობრივი სტრუქტურის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი. აი, რატომ წერდა ივ. ჯავახიშვილი თავის წერილში „ქართული ლექსიკონის შესახებ“: „ქართული ენის ბუნებისა და თვისებათა გამოშვებული მასალების ამოსაყრედად მკვლევარმა ჯერ ქართული ორიგინალური ნაწარმოები უნდა გადაიკითხოს და შეისწავლოს (მაგ. ქართ. წმიდათა ცხოვრებანი, საისტორიო და პოეტური თხზულებანი და სხვა), შემდეგ თარგმანი. ლექსიკური მასალების შესაგროვებლად უნდა ამორწყული იყოს ისეთი დაუმუშავებული წყარო, როგორც არის დაბადება, ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, მსოფლიოს ეკლესიის წმიდათა ცხოვრებანი და სხვა. სამეცნიერო ტერმინოლოგიის აღსადგენად და შესამუშავებლად საჭიროა სამღვდელმსახური, საღვთისმეტყველო, საფილოსოფიო, საისტორიო, საამართლო, საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ძეგლებისა და საბუთების, ამასთანავე XVIII-XIX საუკ. სახელმძღვანელოების შესწავლა და ამ წყაროებიდან ყველა მასალის ამოკრება“ (ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 170). აი, რატომაა ძნელი არ დავთანხმებით პროფ. შ. ძიძიგურის სიტყვებს: „არც ერთ ენას არ აქვს იმდენი შესაძლებლობა არქაიზმების თავისუფალი და უმტკივნეულო გამოყენებისა, რამდენიც ქართულ ენას“ (მწერლის ენა, თბ., 1957, გვ. 21).

— კი მაგრამ, — იკითხავს წერილის ავტორი, — მე ხომ გარკვევით ვწერ, რომ არქაიზმების წინააღმდეგი კი არა ვარ, არამედ მათ „პიარი“, „თვითმიზნური“ ხმარებისათ. — კე-

თილი და პატიოსანი; ახლა ენახოთ, რააქვინი „მანქანებით“ ცდილობს იგი ისეთი შეფუთვითა ლეხის შექმნას, თითქოს ჩვენ „თვითმიზნურად“ ვხმარობდეთ არქაიზმებს. როგორც უკვე ითქვა, ავტორის მოაქვს დიდძალი საილუსტრაციო მასალა. ყველაფერი ეს — კონტექსტური და უსულგლოვად ამოვლევადი, ერთად დამავებული, ერთმანეთში უთავბოლოდ აღუფხვლიდა შვიი პეტიტით აწყობილი, — კეშმარტივად უსიამოვნო გრძნობას აღძვრავს მკითხველს. ამასთან, არცერთი სიტყვა იმის შესახებ, თუ რა დროხათა გაბნეული ეს არქაული მასალა იმ უზარმაზარ ლიტერატურულ პროდუქციაში, რომელმაც თვითველი ჩვენგანის არა ერთი და ორი წლის შრომა შეიწროა.

სანიშნოა ა. თაყაიშვილის „ობიექტრობაც“: ერთის მხრივ, ის მოემის სიტყვებით ვეციკინებს: „საკიროა ვწეროთ მხოლოდ ჩვენა დროის მანერითო“, მეორეს მხრივ კი თანამედროვე ქართულ მწერლობაში არქაიზმების ხმა-რების შემთხვევებს ლ. ასათიანის ერთ-ერთ ლექსში დადასტურებულ „განვედ“-ით ამოსწურავს, და ისიც, თურმე ნუ იტყვიო, ციტირებული ლექსის მთლიანი წყობისთვის „ორგანულად ვერ ჩაითვლება“. ყველას და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საკმარისი იყო ა. თაყაიშვილს უფრო გულდასმით ვადავიკითხუნდაც რ. თვარაძის „ლიტერატურული წერალები“, რომელსაც იგი ორჯერ იმოწმებს; აქ 144-ე გვერდზე ის ნახავდა ასეთ სქოლიოს: „სკითხველის ყურადღებას მივაქცევ იმ გარემოებას, რომ გალაკტიონ ტაბიძე სისტემატურად ხმარობს ისეთ სიტყვებსა და ფორმებს, რომლებიც „ძველი“ ქართულის კეთნელეადა უნდა გამოვაცხადოთ უმუქველად, თუკი ზემოთ ნახსენებ თვალსაზრისს გავიზიარებთ. აი ისინი: რაიც, აწცა, მობიბინეთა ამ არეთ ბედი, როს-მე, ოდეს, შთენილი, ვითარ, ამოღქმნილი, განსაცდელი ფრიალი, შთართული, განვლის, მთოვარე, ვლიან ღრუბელნი, ნიაღვარმან, სენა, ხილვად უცხო, ყნოსვად კეთილი, გარდამოვიდეს, ამბიბო ესე, ვევე, მკურეტენ ქანდაკნი და მრავალთ სხვა“...

ამის შემდეგ ისიც ვიკითხოთ, როგორ ფლობს ა. თაყაიშვილი ძველსა თუ ახალ ქართულს, როგორ ესმის მშობლიური ენის ბუნება (მკითხველს შევახსენებ, რომ „მშობლიური“ ა. თაყაიშვილისათვის მხოლოდ ახალი ქართული გახლავთ, იხ. გვ. 140; ძველი — „უცხოა“ მასთვის, იხ. გვ. 138) და რამდენად შეუძლებლად შეუძლია გამოკოს ერთი ენობრივი შრის ლექსიკური მასალა მეორისაგან? დავიწყოთ ძველი:



141 გვერდზე ა. თაყაიშვილი მისაყვედურებს, არ-უხსტკა მნიშვნელობით ხმარობ სიტყვა „მლმობელსო“. მისი აზრით, „მლმობელი“ უნდა ნიშნავდეს იმას, ვინც (ან რაც) ტყვილს გვაყენებს. თუმცა მე რა მეთქმის, როცა ეს სიტყვა თვით რუსთაველთანაც კი „მოსთვის მოულოდნელი მნიშვნელობით წარმოგვიდგება“ თურმე: „მუნ შემოწყალოს თქვენ-მაცე გულმან მოწყალებ-მლმობელმან“. შტრ. ნ. ჩუბინაშვილი, „ქართული ლექსიკონი“: „მლმობელი — გულისშემამტკივარი“. იუსტ. აბულაძე: „მლმობელი — გულშემამტკივარი, თანამგერანობა“. აკ. შანიძე: „მლმობელი — ლმო-ბიერი“. აი, სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს სიტყვისადმი პედანტურმა, ფორმალისტურმა დამოყიდებულებამ.

134-ე გვერდზე ა. თაყაიშვილი წერს: „არ არის ჯერ კდელებსა და სულხან-საბას ლექსიკონში არცერთი საინტერესო სიტყვა, რომელსაც ახალგაზრდა მთარგმნელთა ენაში ადვილი არ ეზღვისო“. ეს, რა თქმა უნდა, ვადკარბებულნი ქებაა ჩვენდა მომართ, მაგრამ ა. თაყაიშვილს ისეთივე გულმოდინებით რომ ეჩხრიკა ძველი მეგობარი და ლექსიკონები, როგორც მის მიერ „განქაჩებულ“ მთარგმნელს, მაშინ უთოდდ თვოდან აიცილებდა ამგვარ კურობს: „ქებათა ქების“ ზ. კიკნაძისეულ თარგმანში ხმარებულ სიტყვას „მეტრფე“ წერილის ავტორი ასეთ მსჯელობას მოაყოლებს: „დღეს **სატრფო** გვაქვს. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ფორმა მთარგმნელს განსხვავებული მნიშვნელობითა აქვს ნახშირი: **მეტრფე** — ეპი, **სატრფო** — ქალი. ასეთი დიდებულებების ხელოვნურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩანს, ავტორს **მეტრფე** ძველი მიმოებრების ნალოებით გაუკეთებია“ (ისევე ფორმალისტმა) არა, „**მეტრფე**“ ზ. კიკნაძის არ „გაუკეთებია“: ესა იოანე პეტრიწის მიერ ერთი უველაზე ხშირად ხმარებულ სიტყვათაგანი. აოსანიშნავია, რომ გვერდ სიტყვა რამდენჯერმე იხმარა ს. ყაუხჩიშვილმა პლატონის „ნადიმის“ გარჩევისას (ბერძნული პლატონატურის ისტორია, ტ. 1, 1950, გვ. 441, 443).

არც ახალი ქართულის მიმართაა უკეთ საქმე. წერალს ავტორი თვითნებურად აკერებს არ-ქულობის იარაღს ისეთ სიტყვებს, რომლებიც დღემდე არავის მიუჩნევია არქაიზმებად. 137-ე გვერდზე ვკითხულობთ: „**დაკოდილი** ძველ ქართულში **დაჭრილის** ნიშნავს, დღეს **დასაჭურისებულს**“. ვის ვერწმუნოთ, ა. თაყაიშვილს თუ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს“, რომლის მიხედვითაც „დაკოდილის“ უზირველესი მნიშვნელობა დღესაც „**დაჭრილია**“: **დაკოდილი** — ...1. დაჭრილი. „რას ერჩი მაგ ზიქს, თათარო? ხომ ხედავ, დაკოდილია? (რ. ერისთ.). მე მინახავს შველის ნუკრი, დაკოდილი ეგად ველად (ი. ევდ.). **დაკოდილი გული** — გადატ. ნატყენი, ძალიან ნაწყენი. ერთ-

ხელ დაკოდილ გულს ველარაფრით გაამრთე-  
ლებო „(ხალხ)... შტრ. აგრეთვე ვაჟა-ფშაველას: „... ლამაზო პირიმზევე, როგორ შორს ხარ ჩემზედ, მაგრამ მაინც როგორ მიკლავ გულს! (ქუჩი)“. **გ. ტაბიძე**: „და მონადირემ დაკოდა შველი“.

136-ე გვერდზე ა. თაყაიშვილს ასეთი კომენტარითურთ მოაქვს ფრაგმენტი ჩემს მიერ თარგმნილი „ფედონიდან“: „შევიყარენით, გმოკვევება **მეყარე**, რომელიც კარს გვიღებდა ხოლმე და გვითხრა დავლოდებოდით“ („ფედონი“). შტრ. ოთხთავი: „ამას **მეყარემან** განუღლის... **მეყარე** დღეს სპორტულ მოედნებზე, „**ჩრასპორტულ**“ კართან კი **კარისკაცი** (შვეიცარი) დვას! (თუმცა **კარისკაცი** სამეფო კარზე მყოფ პიროვნებასაც კეცია)“.

გადავშალით „განმარტებით ლექსიკონი“: „**მეყარე** — ... 1. შესასვლელი კარის დარაჯი. მეყარემ კოშკის სავერცხი გააღო და ... მიიხახა გარეთ მდგომს: „რა გინდა? (ბ. ლორთქ)...“

შვეიცარზე აღარაფერს ვიტყვი და **კარისკაცს** იმავე ლექსიკონის მიხედვით ერთადერთი მნიშვნელობა აქვს: „**კარისკაცი** — ... ძვ. კარის მსახური, თანამდებობის პირი მეფის კარზე“.

134-ე გვერდზე ისევ ფრაგმენტი „ფედონიდან“: „... სადაც **ღვიდება**, ფცესს იღვამს თესლივით“; დღეს — **ღვიდება**“. ცოტა ქვემოთ ამას ასეთი შენიშვნა მოსდევს: „... სადამდე შეიძლება ვიაროთ ასე? ხომ არსებობს რაღაც საზღვარი, რომლის იქით გადასვლა უხერხულიცაა? **ღვიდება** რით შეიძლება ჯობდეს **ღვიდება-ს**?“...

მივმართოთ ისევ „განმარტებით ლექსიკონს“: „**ღვიდება** — 1. ჩაღდება (ცეცხლი)... 2. გადატლიერდება, ღრმავდება, მწვავდება... 3. იგვება, რაც **ღვიდება**... 4. ფუცდება, ამოდის (ცომი)“. მაშინ რადუნაც **ღვიდებას** ერთადერთი, მტკიცედ ფიქსირებული მნიშვნელობა აქვს: „**ღვიდება** — ... ღვიე გამოაქვს (თესლს), ამოცენებას იწყებს. სიმინდის თესლი... **ღვიდება** („**კომუნისტები**)“; იქვე, ცოტა ზემოთ: „**ღვიე** — ... თესლიდან ახლად გამოსული მცენარე განვითარების პირველ ფაზაში“...

ძალაუნებურად გახსენდება ვაჟა ფშაველას სიტყვები, ციტირებულნი რ. თვარაძის ზემოთ დასახელებულ წიგნში. „... ხშირად გამოვინიშნავი რაღაც ჩვენის მწერლისაგან სამღურავი — დაძველებული, უვარგისი ფორმები ნურ შემოგაქვს მწერლობაში. რაც დაძველდა, ანუ ვარგა, ის უნდა ვავიტანოთ და სანაგვეზედ გადავადლოთ... ამისთანა სამღურავი, რა თქმა უნდა, უმცირესბის ბრალია და, ხომ მოგხსენებთ, უმცირესბისათვის თამამი არა იქნება რა“.

ქვემოთ მოგვაქვს იმ სიტყვების სია, რომელთაც ა. თაყაიშვილის მტკიცების საწინააღმდე-

**ბანანს ბრეშკამი**  
**მცხარი თვალსაზრისი**

გოლ, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ არ მიიჩნევს არქაიზმებად: **როს, გარეშე, მდრტინავი, გონი, გენია (ლექსიკონში — გენი);** ნეიმანის „სინონიმთა ლექსიკონში“ — გენი(ა), **პოი, წარსოცავ, ყოველს, მდულარება, ყრბა, კმედება, ფრიად, მგდრი (ლექსიკონში — მგედრები, მგედრებელი), გასქდეს (ლექსიკონის მიხედვით, გასქდება იგივეა, რაც გასცდება; „გასქდება“ ხმარობენ ვაჟა ფშაველა და ე.კ. გაბაშვილი), გშთება (ლექსიკონში — შთება), სპეტაჟი, ცხოველი, ათაყანებს, ჩხრეკა, დაივსე (ლექსიკონში — დაავსებს, დაივსება), დავზრტიმ (ლექსიკონში — დავზრტს, დავზრტა, დავზრტილი), გაბრძნობილი, უბირი, ზვაობა, უფილი, ლორწი, მეყესულად (ლექსიკონში — იგივეა, რაც მეყესულად), იჟვი (ლექსიკონში — იგივეა, რაც ეჟვი; „იჟვს“ ხმარობენ შ. არაგვისპირელები, ნ. ლორთქიფანიძე, გ. ლეონიძე), ხალბუნი, მგამბებელი, უფლისწული, სეფეწული (შკითხველს შევახსენებ, რომ ამ სიტყვას ა. თაყაიშვილი „არქაიზმებისად“ ნათლავს), დუხჭირი, თესხ, მიჩანს (ლექსიკონში — უჩანს), მემარუშე, გამძვინვებული, სასლო, ვნებული, იფქლი, ხურგება, მთხვარი და მრავალი სხვა.**

ახლა მიეხედოთ იმ სიტყვებს, რომელთაც „განმარტებითი ლექსიკონი“ არქაიზმებად თვლის, მაგრამ რომელიც ჩვენ კი არ გამოგვიჩინებია და გვიჩინებია პირველად, არამედ მუდამ იხმარებოდნენ და იხმარებიან ქართულ მწერლობაში (ფრჩხილებში ვსვამ სიტყვათა იმ ფორმებს, რომლებიც მოტიანილია ლექსიკონში და ქართულ მწერლებს ვვარებს, რომლებიც ციტირებულიან არიან მასში; აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლექსიკონს არ ევალებოდა აღერაცხა თვითიული სიტყვის ხმარების ყველა ცალკეული შემთხვევა): მოვანება (შ. რუსთაველი, ა. წერეთელი), მოიქეც (მოიქეცა — ნ. ბარათაშვილი, შ. შლემელი), აშთობ (მოაშთობს — გ. ბარნოვი, კ. გამსახურდია), ყამი (ა. ჭავჭავაძე, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ა. ყაზბეგი, შ. არაგვისპირელი, ი. გოგებაშვილი, ი. მაჩაბელი, ა. ბელიაშვილი), განქარდა (განქარდება — ს. ს. ორბელიანი, ვ. ბარნოვი), მუნ (შ. რუსთაველი, ი. ჭავჭავაძე), მეოხი (ლ. არდაზანი, ი. მაჩაბელი; მეოხება — ი. ჭავჭავაძე, ა. ცაგარელი), ვით (შ. რუსთაველი, ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე), ნავემი (ი. ევლოშვილი, კ. გამსახურდია), შეუჭირდა (შეჭირდება — ვაჟა ფშაველა; შეჭირება — შ. დადიანი; შეჭირებულ — ი. ჭავჭავაძე, ე. ნინოშვილი, ვაჟა ფშაველა), მიწყვი (შ. რუსთაველი), არს (შ. რუსთაველი, ა. წერეთელი, ნ. ბარათაშვილი), ნაყლუღვანი (ი. ჭავჭავაძე), სავტა (ი. ჭავჭავაძე, გ. ბარნოვი), მოხლტის (ხლტის — შ. დადიანი; ხლტომა — ვ. ბარნოვი), წვრთიდა (წვრთის — ვ. ბარნოვი), ლბილი (რუსთაველი, ნ. ბარათაშვილი, გ. ტაბიძე), უბოვარი (ს. ს. ორბელიანი; წვრთის ავტორს ვთხოვ მიმასწავ-

ლოს, სად ნახა „უბოვარი“ „შეუბოვარის“ მნიშვნელობით), უცნობო (რუსთაველი, რ. ერისთავი), კაბა (რუსთაველი, ა. წერეთელი), ვახიშვილი, შეჭფრფინავს (გ. ლეონიძე, პ. კაკაბაძე; შეჭფრფინავს — ი. მაჩაბელი, შ. დადიანი), ვიუფლო (იუფლებს — ი. მაჩაბელი, ი. გოგებაშვილი), დავშერი (დაშვრება — ი. ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა), მიორტყეხს (მიორტყახს — ს. ორბელიანი, ი. გოგებაშვილი, ა. წერეთელი, ს. ჩიქოვანი), ეთრე (სთნავს — დ. გურამიშვილი; თნება — რუსთაველი, თნება — ა. წერეთელი), გეჯები (ეჯება — დ. გურამიშვილი, ს. მაგლობლიშვილი; აჯა — ი. ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა), მტილი (ი. ჭავჭავაძე, გ. ერისთავი), კხაბე (ხაბის — დ. გურამიშვილი), სირი (რუსთაველი, ნ. ბარათაშვილი, რ. ერისთავი; შდრ. სირაქლემი), საზორველად (ზორვა — დ. გურამიშვილი, ა. წერეთელი), კირთება (ბაჩანა, ი. გრიშაშვილი), ძნება (ს. ს. ორბელიანი), მეზვერე (დ. ჩუბინაშვილი), ხანაგა (რუსთაველი, ს. მაგლობლიშვილი, ი. ჭავჭავაძე), შიიები (ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. ლეონიძე), ცხრობანი („გუსრობანი“, ცხრო — შ. დადიანი; ცხრობა — ვ. ბარნოვი, ბაჩანა), ნატყეხავი (დ. ჩუბინაშვილი, შ. დადიანი), უშქარი (ს. ს. ორბელიანი; ამავე სიტყვას ლაღო ასათიანიც ხმარობს), მსტოვარი (კ. გამსახურდია; მსტოვრობა — რ. ერისთავი), რამეთუ (ლ. ქიჩელი), უკეთუ (ვაჟა-ფშაველა), ევზომ (რუსთაველი, ს. ჭავჭავაძე), წიად (დ. გურამიშვილი), გარნა (ი. ჭავჭავაძე), თვინიერ (ი. ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა), უფროე (ი. ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა), ფერბით (შ. დადიანი), დავანებული (დ. თურდისპირელი), ამო (რუსთაველი, ი. მაჩაბელი), მოყივნება (ა. ყაზბეგი; ყივნება — რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა; მოყივნება — ბესიკო; მოყივნებულ — გ. ლეონიძე), ამრუმებენ (კ. გამსახურდია), ვუყიღე (უყივის — ა. წერეთელი, შ. არაგვისპირელი, ა. მირცხულავა; უყიღებს — კ. გამსახურდია, ი. მაჩაბელი), უვის (ი. გრიშაშვილი), იწრო (გ. ბარნოვი, ა. წერეთელი, შ. დადიანი), და ა. შ. და ა. შ.

რამდენიმე შენიშვნა ნართანთან მრავლობითთან დაკავშირებით. ა. თაყაიშვილი წერს: „ნართანნი მრავლობითი ის მორფოლოგიური ოდენობაა, რომელიც განსაკუთრებულ არქაულ იერს ანიჭებს ფრზას (ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანს)“. ჰქონდა თუ არა მას ამის თემის უფლება? როგორც ვნახათ, — არა. აი, რას წერს ა. შანიძე: „სახელთა მრ. რიცხვის ფორმები ქართულში ორგვარია. ერთი უფრო ახალ ქართულში იხმარება (და ძველში ნაკლებად) და პირველს ვეძახით, მეორე კი უფრო ძველ ქართულში იხმარებოდა (და ახალში ნაკლებად) და მეორეს ვეძახით... ზოგჯერ პირველ მრავლობის „ახალს“ ვეძახიან და მეორეს — „ძველს“. მაგრამ ამ შემთხვევაში „ახალი“ და „ძველი“ იმას არ ნიშნავს, თითქო ერთი მხო-



ლოდ ახალ ქართულში იხმარებოდეს და მეორე მხოლოდ ძველ ქართულში" (ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 47—48). ამრიგად, წერტილის ავტორს, უკეთეს შემთხვევაში, შეეძლო ეთქვა, რომ ნართიანი მრავლობით ერთობა არქაულ შეფერვებას ანიჭებს ფრაზის და, ეგვიტ არ იყოს, ანაირი არგუმენტაციით — „ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანს“ — ა. თაყაიშვილის დღევანდელ შეფასებას „დაამტკიცოს“, რომ მასზე მართლაც არაა გონიერი არსებანი (წიროდან „ასე ჩანს“).

ამ „ურყევ“ საბუთს მოსდევს გაუთვებელი მსჯელობა იმის შესახებ, რომ „გრამატიკის ის უბანი“, რომელსაც მორფოლოგიას ეძახიან, ნართიანი მრავლობითის „ქარბი“ ხმარების გამო ჩვენთან თურმე პირწმინდად არქაიზირებულია. მაგრამ წერტილის ავტორი არ ეძაოფილდება მართოდენ „წმინა“ და ჩვენი „სტილისტური ტენდენციის“ „სამხრულბლადაც“ იყენებს ზემოთხსენებულ „მორფოლოგიურ ოდენობას“: 131-ე გვერდზე მას ამ სახით მოაქვს ციტატა „ბატონ ვერომ კუხნიარის აზრებიდან“: „იმედსა და ლობიერებაში განგმემციციებინათ თავი, გვევარებოდეთ უზოვანი, მოგეხილათ სნეულნი, გავკრებოთ გლახანი, გენუგეშებინათ უნუგეშონი“... რომელსაც ასეთ „სტილისტურ ანალიზს“ უკეთებს: „უკანასკნელ პასაჟში, გარდა ნართიანის მრავლობითის თანმიმდევრულად გამოარჩებისა“; უკიდურესადაა მოწესრიგებული სიტყვათა განლაგებაც: არსებითებს წინ უდგას ზმნები და ერთ ფრაზაში რამდენიმე ტოლი მონაცემთის მოსალოდნელობა... ეს დაძაბულობის და გარეგნულ ბრწყინვალეობის საფრთხეა დაღვეს, რაც... ხელს უშლის ნაწარმოებში ტკბობას, მომბეზრებელ შთაბეჭდილებას ქმნის და აღმაშენებელ მოთხოვნებს წარმოშობს... ამ პატარა პასაჟის ციტირებაში ორი უხეში შეცდომაა დასვეებული (გვევარებოდეთ კი არა, არამედ — გვევითხათ), გარდა ამისა ფრაზა უმოწყალოდაა უზურპირებული (მას არც თავი აქვს და არც ბოლო), მაგრამ მე სხვა რამ მაინტერესებს: როგორ გააჩვენდა სტილისტურად ა. თაყაიშვილი ასეთ წინადადებას: „ქეთოს... ყოველთვის და ყოველგან ჰქონდა ტკბილი ალერსი ყველა ბავშვისათვის, ცრემლი უტებდურათთვის, სუგეში დაჩაგრულთათვის, შემწეობა გაპირებულთათვის, მოწყალება გლახათათვის“ (წინადადება აღებულია ი. გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობიდან „იპინანსა რა ჰქმნა?“).

დასასრულ, ჩვენ მივადექით ფრიალ საგულისხმო საკითხს. 139-ე გვერდზე ა. თაყაიშვილი წერს: ყოველივე იმის შემდეგ, რაც ითქვა „თარგმანის ენას ვუდგებთ უკვე ძველი ქართულის პოზიციიდან, მისი ლიტერატურული ნორმების გათვალისწინებით. ვფიქრობთ, ამ ტენდენციის გამოვლენის დროს ერთი პირობის და-

ცვა აუცილებელია: ასე თუ ისე დასრულებული მონაკვეთი მაინც უნდა გაიმართოს ძველქართულად. ამ მსჯელობა თითქმის პირადოქსული გამოვლენის ამდენ ხანს ვსაყვედურობდით. ასე უკარბად ნუ ხმარობთ არქაიზმებს და ახლა ეთხოვლობთ, რატომ მთლიანად ძველქართულად არ არის გაწყობილი ტექსტიო. მაგრამ ამას ვაკეთებთ გარკვეულ მოსაზრებით: ვარჩევთ, რამდენად ბოლომდე თანმიმდევრული არ არიან მთარგმნელები არქაიზმების მიმართ, არა როგორ უშლის ხელს ამ პრინციპის დარღვევა მასალის მთლიანობაში აღქმას. მაგალითად ფრაზაში: „ვევრებდი ხრწანდისა შემტვიზულ სიცოცხლეს ჩემსას, და შევიცანი წარმატებულ წუთისოველი“ (დანტე), პირველი ნაწილი ამსოლულტურად ძველია, მეორე — უდავოდ ახალი ასევე, „მამამან ჩემან დიდად შემცოდა, მე სხვისი ცოდვა აღარ დავიდე“ — აქაც პირველი სტრიქონი პირწმინდად არქაიზმია მეორე კი — სავსებით სასაუბრო ინტონაციის მქონე“.

მეოთხეულის ყურადღებას მივაქვეყნო ა. თაყაიშვილის სიტყვების აპრიორულ, „ამსოლულტურ“ სიტყვ. იგი ისეთი კატეგორიული ტონით მსჯელობს, თითქმის საქმე ეგებოდეს არითმეტიკულ ფორმულას  $2 \times 2 = 4$ . მაგრამ რაკი თავი უდავოდ მართალი ჰგონია, ნუ შევედგებით, არ ღირს. მე აქაც სხვა რამ მაინტერესებს: რატომ ურევს წერტილს ავტორი ერთმანეთში ძველქართულად წერას, რასაც არავინ აპირებს. და ძველი ქართულის, როგორც სტილისტური ხერხის ხმარებას, რაც ნიშანდობლივია მის მიერ ჩამოთვლილ მთავრებულთა ენისთვის? ერთი მაგალითი პუშკინის „პოლტავიდან“:

«Сидел безвиный Кочубей,  
С ним Искра тихий, равнодушный,  
Как агнец жребно послушный.  
Телега стала. Раздалось  
Моление ликом громогласных  
С кадил куренья поднялось.  
За упокой души несчастных,  
Возмолвно молится народ.  
Святой невинности губитель,  
Узнал ли ты сию обитель...»

(ხაგასმა ყველგან აკად. ვ. ვ. ვინოგრადოვისა. დასახ. ნაშრ., გვ. 142).

თუ ა. თაყაიშვილი ა. თაყაიშვილია, მან მოტანილი ნაწყვეტი ასე უნდა გააჩიოს: „ამ ზოგი სტრიქონი პირწმინდად არქაიზმია, ზოგი კი — სავსებით სასაუბრო ინტონაციის მქონე... რაც ხელს უშლის მასალის მთლიანობაში აღქმას“. ხოლო აკად. ვ. ვ. ვინოგრადოვი სხვაგვარად ფიქრობს:

**ბაჩანა ბრეგვაძე**  
მცდარი თვალსაზრისი

«Церковнославянская лексика и символика в авторском изложении не только создают величавый фон эпико-драматической повести в «летописно-русском» духе, но и устанавливают идеологический критерий, риторические нормы оценки и освещения лиц и событий, с одной стороны, в аспекте религиозного «исповедничества», с другой стороны — в аспекте не столько одического, сколько «летописного» патриотизма» (стр. 142).

ცალკე უნდა აღინიშნოს ა. თაყაიშვილის «ეპოპრივი დისკრიმინაცია»: მას უფლება აქვს თავისუფლად იხმაროს «განესტვისა», «განსგავსება», «წარმოჩენა», აღნიშნულ მთარგმნელთა ენაში კი «სრული ზინსწინების ხმარებას დღეს არსებულთა ზუსტ ეკვივალენტად გამართლება არ ეძებება»; მას შემოღია იხმაროს «ზემოთ» და «ზემოთ», «მათ შუვენიერ თარგმანებს» და «მათ მხატვრულ-ინდივიდუალურ სტილს», ჩვენ კი პარალელური ფორმების ხმარება «არქაიზაციის პრინციპის დარღვევად» გვეთვლება; როცა შენ წერ: «...რომელშიც ჰგავს ეკ პოტიეცია» — ეს უფოდ ქართული ენის ბუნების შერყვანა, თვითონ კი სრულიად «უმტკივნეულოდ» ხმარობს: «ინფინიტივს ძალუქს»; თუ ჩვენ ვხმარობთ «წარბნი აზიდა» (და არა «წარბნი აზინა») — ეს მას «აწუხებს» და «აღიზიანებს», თვითონ კი უყოყმანოდ წერს: «მუხლნი მოიყარა» და ა. შ.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მთელი უბედურება მაშინ იწყება, როცა წერილის ავტორი თარგმანის თეორიის საკითხთა გარჩევაზე გადადის:

«...თაყაიშვილის აზრით დანტე თურმე «არ იძლევა არქაიზაციის საბაბს... პირიქით, იგი გადაუქარებლად აღიარებულია როგორც ნამდვილი შემქმნელი ეროვნული და პოეტური ენისა... აი, მესმის მსჯელობა! ქართულად სწორედ ამას ჰქვია «აბრუნდი». ხომ არ ჰგონია წერილის ავტორს, რომ დღეს «დანტეს ენაზე» ლაპარაკობს 50 მილიონი იტალიელი? აი, როგორ ახასიათებს დანტეს ენას იგივე იტალიური ენციკლოპედია, რომლითაც ის მე შევატყობ: დანტეს მიერ შექმნილი «იტალიური სალიტერატურო ენა — ესაა ტოსკანური, ან უფრო ზუსტად, არქაული და მწიგნობრული ფლორენციული დიალექტი» (Enciclopedia Italiana. Roma, 1949, V. XIX, p. 926). ოღონდ ა. თაყაიშვილისაგან განსხვავებით, იტალიელებს არქაულობა არასოდეს უტყვევიათ სალანძღავ სიტყვად. ნიკოლა ძინგარელის დღეს უკვე კლასიკურად ქვეული «იტალიური ენის ლექსიკონის» ბოლო (VIII) გამოცემის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: როცა საქმე ლექსიკონის შემოკლებაზე მიდგა, ჩვენ ამოვიღეთ უფერული ნეოლოგიზმები და კუთხური გამოთქმები, «სამა-

გიროდ ხელუხლებლად დაეკოვეთ ე. წ. მკაცრულად სიტყვები, თუმცა უფრო მკაცრად უნდა იქნებოდა უბრალოდ ძველი გვეყვარებოდა მათთვის, როგორც კუთვნილებისათვის ძველი იტალიური ენისა, რომელსაც ხმარობდნენ ჩვენი დიდი წინაპრები, ჩვენი ცივილიზაციის შემქმნენი, ჩვენი ნაციონალური ერთობის ფუძემდებენი, და რომელიც დღემდე იხარჩუნებს გაზაფხულისებერ ძალმოსილებას (იხ. primaverile vigore)». (Nicola Zingarelli, Vocabolario della Lingua Italiana, Bologna, 1959, p. XI). წერილის ავტორი მართალია, როცა წერს, რომ დანტე (სხევე როგორც ყველა სხვა გენიოსი), «ხალხური საწყისებითაა» ნასაზრდოები, მაგრამ რეალურ მხრივ ხალხური საწყისები ასაზრდოებდნენ დანტეს პოეზიას, რომელსაც, პოეტისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, «ხელი დასდევს ზეცამ» და მიწამ». სად გაქრა თეოლოგია და ფილოსოფია, სადაა ბუნებისმეტყველება და ასტროლოგია, ოკულტური მეცნიერებანი და მავია? რავენაში, დანტეს საფლავზე დღესაც ამოიკითხავთ დანტეს მეგობრის — პოეტ ჯოვანი დელ ვიჯილიოს მიერ შეიხსნულ ლათინურ ეპიტაფიას, რომელიც ამ სიტყვებით იწყება: Theologus Dentes, nullius dogmatis expertus — «ღვისმეტყველი დანტე, ვისთვისაც უცხო არ იყო არცერთი დოგმა» (Louis Gillet, Dante, Paris, 1941, p. 132). ქრისტიანულ თეოლოგიასა და ფილოსოფიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომელთა კარდინალურ საკითხებს «ღვთაებრივი კომედის» 1500-ზე მეტი სტრიქონი (პოემის ერთი მათედი) ვძღვნება (A. F. Ozanam, Dante et la philosophie catholique, Paris, 1840) დანტეს მსოფლმხედველობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ქალდეველთა მაგიური სიმბოვნითა და ზოროასტრიზმის უღრმესი მისტიკით (აქა, არის ეილე, დასახ. ნაშ., გვ. 95), პლატონისა და არისტოტელეს ღვთისმეტყველებითა და მუსულმანური ესპატოლოგიით (Miguel Asin Palacios, La escatologia musulmana en la Divina Comedia, Madrid, 1919). დანტეს უდიდესი მკვლევარი — სკარტაცინი წერს: «დანტეს წყაროები ქვეშაირად აღუარებელი: საღმრთო წერილი, წმ. მამათა თხზულებანი, სქოლასტიკოსი და მისტიკოსი ავტორობები... მის ზეზამთა თავს იყრის შუა საუკუნეების მთელი კოლნა: ფიზიკა, ფილოსოფია, თეოლოგია; კაცობრიობის ცხოვრების ყველა ელემენტი: ისტორია, პოლიტიკა, რელიგია; პოეტური შემოქმედების ყველა ელემენტი: ლირიკა, ეპოსი, დრამა, სატრა, კომედია; «ღვთაებრივი კომედის» სრულსაყოფად თითქმის ერთად შეიყარა ხელოვნების ყველა დარგი: არქიტექტურა — თავისი მკაცრი წესრიგით, სკულპტურა — რელიეფურობით, მხატვრობა — კოლორიტით, მუსიკა — ელვადობით, — ასე იშვა ქვეშაირად ორიგინალური პოემა, შესაძლოა ყველაზე ორიგინალური, ყველაზე



დიადი იმ პოემათაგან, რომელნიც ოდესმე შეუქმნია კაცის გენიას" (Dantologia, Milano, 1906, p. 366-67).

რაც შეეხება „ახალი ცხოვრების“ ენის არქაულობის საკითხს, პრობლემის სპეციფიკურობის გამო ზედმეტად ვივლი ყველა იმ არქაიზმის ამოწმებას, რომლითაც სახეებს „ახალი ცხოვრების“ დედანი, იტალიური ენის მკოდნე მკითხველს შეუძლია ამ თვალსაზრისით გადახედოს დიდად საინტერესო შენიშვნებს, რომლებიც თან ერთვის „ახალი ცხოვრების“ შემდეგ გამოცემებს: დანტე ალიგიერი, ახალი ცხოვრება, ფრანცესკო კოსტეროს წინასიტყვიებითა და შენიშვნებით, მილანი, 1890, გვ. 19-78; დანტე ალიგიერის ახალი ცხოვრება, პეტრო ფრატინელის წინასიტყვიებითა და შენიშვნებით, ფლორენცია, 1906, გვ. 51-118.

ყოველივე ამის შემდეგ მკითხველმა თავად განსახოს, რამდენად მართებულია ა. თაყაიშვილის ამგვარი დასკვნა: „თუ ასეთი ხალხური საწყობებით ნასაზრდოები პოეტის ვადმოტანა ამ აღმშენებელი, ბიბლიური სიდიდის ენით მთლად გამართლებული არ გვეჩვენება“ (აქვე მიხდა ვკითხო წერილის ავტორს: რას ნიშნავს „ბიბლიური სიდიდის ენა“?).

თ. ჩხენკელის თარგმანების მიმოხილვისას ა. თაყაიშვილი წერს: „...საერთო წყაროზე ორიენტაციის აღებამ, ჩვენი აზრით, ერთი უფერულ ობიექტზე შექმნა: ზოგჯერ ბიბლიური იერი მიეცა ისეთ მწერლებს, რომელთაც ამის ფიქრით კი არასოდეს ჰქონიათ. ერთხანად ამეტყველდა უიტმენი და ბო-ბი-უ (sic!), თავორი და ალიგიერი, აბუ-ლ-ალა-მარბი და ომარ ხაიამი“. მაგრამ წერილის ავტორს ავიწყდება, რომ ერთ ენობრივ პოზიციასზე დგომა სრულიადაც არ იძლევა საკმარის საფუძველს იმისთვის, რათა ხელაღებით განაცხადო: ეს იწვევს „განსხვავებული აზროვნებისა და მანერის პოეტთა გაერთიანოვნებას, მათი ენობრივი სტილის ნივლიერებასო“. განა გ. ქიქოძემ, ერთიანი ენობრივი პოზიციის მიუხედავად, ერთხანად თარგმანა ფრანგული ლიტერატურის ორი ისეთი განსხვავებული, თვითმუფთი შედეგრი, როგორცაა სტენდალის „წითელი და შავი“ და ალფონს დოდეს „წერილები ჩემი წისქვილიდან“? ჩვენ არაერთხელ ვნახეთ, რომ ა. თაყაიშვილი ანგარიშს არ უწყევს მასზე უფრო კომპეტენტურ ავტორთა აზრს. ასეა აქაც. აი, რას უწერს ნ. ნათაძე „მპავაგატიტას“ ქართულ თარგმანთან დაკავშირებით: „თ. ჩხენკელის უდავო დამსახურება არის ის, რომ აღნიშნული თარგმანი სტილიტურად და ინტონაციებით დიდად განსხვავდება მის მიერვე შესრულებული სხვა თარგმანებისგან, კერძოდ, რაბინდრანად თავორის თარგმანისგან, რომელიც აგრეთვე ინდურ პოეტურ სამყაროს ეკუთვნის“ („მპავაგატიტა“ ქართულად“, ცისკარი, 1963, № 11). რაც შეეხება თ. ჩხენკელის ენობრივ პოზიციას, იგი განპირო-

ბებულია თვით სათარგმნი მასალის სპეციფიკით. აღარაფერს ვიტყვი აღმოსავლელ პოეტებზე; მოვიტან მხოლოდ აკად. გ. ვ. ვინოგრადოვის სიტყვებს: «Церковно-библейский язык стал рассматриваться Пушкиным как характеристическая форма библейской поэзии, а также восточной поэзии, связанной с образами Библии» (დასახ. ნაშრ. გვ. 121).

ცალკე უნდა შევჩერდეთ უოტ უიტმენის პოეზიაზე. უიტმენზე მსჯელობისას მის უპირატესად განიხილავენ როგორც მასების, დიდი ქალაქის ხალხმრავალი ქუჩებისა და მოედნების, მისი ბობოქარი რიტმის მომღერალს. ეს თავისთავად სწორი აზრია, მაგრამ ცალმხრივი. არ შეიძლება უიტმენის შემოქმედების მეორე — სპირიტუალური მხარის იგნორირება. იხ. ამის შესახებ P. როლან, собр. соч. т. XIX, II, стр. 235-252. რამდენიმე დამახასიათებელი დეტალი ამ წიგნში: „1856 წელს ტროი ეუბნება უიტმენს, რომ „ბალახის ფოთლები“ მის აგონებს დიად აღმოსავლურ პოემებს“. „მერსონს მისი პოემები „მპავაგატიტას“ აგონებდა... რ. როლანის აზრით, უიტმენი ჰქცევობო-ვრად მიპყრობდა ვედანტური აზროვნების კვალს, რაც მაშინდელ ამერიკაში (ემერსონის წრეში) არავის დარჩენია შეუმჩნეველი. ეს უტუ პამსუნი აღნიშნავდა, რომ „ბიბლიის კითხვა უიტმენს უმაღლეს პოეტურ ნეტარებას ჰკვირდა. მის ლექსებში იპარება ბიბლიური გამოთქმები და აზრთა ბიბლიური მოქცევა“. და ბოლოს, ქ. ჩუკოვსკი უიტმენის შესახებ წერდა: „მას არ აბრკოლებს ღრა და სივრცე. თავისი გრძელი კუნძულის სილახე წამოწოლილი, იგი — იანკი, პალესტინის უძველეს ბორცვებზე ლამაზ და ტანად ქრისტესთან ერთად დასერილობს“.

რამდენიმე სიტყვა პლატონის ქართულ თარგმანთან დაკავშირებით; ა. თაყაიშვილი წერს: „ამრიგად, მთარგმნელის ინდივიდუალობის მძაფრად წარმოჩენა, მისი პრეტენზია, დადგეს ავტორის ყურადღების დონეზე, იწვევს მკითხველის გაღიზიანებას, უჩლურგებს ინფორმაციის ათვისების უნარს (მით უმეტეს, თუ სათარგმნი ავტორი პლატონია)“. „სტილის დაწოლით“ თავბრუდახვევად მკითხველს უჩნდება ბურუსით მოსილი განწყობილება (ექვთა, როგორსაც იმპროვისირებული ნახატი იწვევს!) და შინაარსზე რჩება ტკბილი მოგონების მსგავსობა“. ჯერ ერთი, ეშმაგმა იცის, რას ნიშნავს ეს „მისი პრეტენზია, დადგეს ავტორის ყურადღების დონეზე“, და, მეორე, იცნობს თუ: არა ა. თაყაიშვილი „პლატონის ღვთაებრივ ენას“ (მონტენის სიტყვებით), პლატონის სტილს? იცის თუ არა მან, რომ ბერძენი ფი-

**ზაჩანა ბრეგვაძე**

მცდარი თვალსაზრისი



ლოსოფოსის ქმნილებებში არა არის რა ისერი-  
გად კონსტრუქციონალიზმი, როგორც იდეა და  
ამ იდეის ექსპრესია — მხატვრული გამოსახვა?  
აი, რას წერს ცნობილი შვეიცარიელი ელვისტი,  
პროფ. ანდრე ბონარი პლატონის სტილის შესა-  
ხებზე: „...ყველაფერი ეს ჯერ კიდევ პლატონის  
უბრალოებაა... მაგრამ აი, ფრაზა თანდათანო-  
ბით გრძელდება და მოძრაობას იწყებს. შეიძ-  
ლება ითქვას, რომ ის არაკვა. ქარმა აშალა სი-  
ტყეების ბუჩქი. სიტყვები ბრუნავენ და ცისკენ  
მიისწრაფიან სულ უფრო და უფრო მზარდი  
სისწრაფით. ფრაზის ორბიტა ფართოვდება.  
საით მივყავართ ჯადოქარ ავტორს? არ ვიცი...  
ჩვენ მივეხლოვდით ციურ მნათობს, მზეს.  
უეცრად ვგრძნობთ, რომ გონება და სიყვარუ-  
ლი გვიხუტებს გულში. ამ შმაგი აღტკინების  
მდგომარეობაში ჩვენი აღქმა ჩვენსავე მიერ  
წარმოთქმული სიტყვების აზრისგან სულაც არ  
არის დამოკიდებული. ის ხორციელდება მომ-  
ნუსხველი ენის სილაბური ელერის მეშვეობით,  
ენისა, რომელსაც პლატონი ვირტუოზულად  
ფლობს, რომლითაც ის ეონგლიორობს... ჩვენ  
მონუსხულები ვართ. პლატონმა ჩვენ მოგვაჯა-  
ღოვა.“ (Греческая цивилизация, т. III,  
М. 1962, стр. 155).

რა შეიძლება ითქვას დასასრულს? ერთი გე-  
რმანელი ფილოსოფოსი თარგმანს „მეტემფსი-  
ქოსს“ — „სულის გარდასხულებას“ უწოდებ-  
და. ქართულ ენაზე მსოფლიო მწერლობის ისე-  
თი დიდი შედეგების თარგმნა (ანუ უცხოური  
სულის, უცხოური გენიის ქართული სიტყვის  
გარსში მოქცევა), როგორცაა „გილაგემი“ და


„ბაკავატეგია“, პომეროსის, პლატონის, დანტე  
შექსპირის და სხვათა გენიალური ქმნილებების  
მთარგმნელისაგან მოითხოვს მიელს მის შემოქ-  
მედებით პოტენციას და ოსტატობას, სულს და  
ინტელექტს, გულს და გონებას, ქართული ენი-  
საგან კი — მიელს მის სიმდიდრეს, მრავალფე-  
როვნებასა და ძალმოხილვას, ყველა მის შრეს,  
ყველა ფენას, ყველა ნიუანსს. გოეთე ამაყობდა  
გერმანულ მთარგმნელობითი სკოლის მიღწევე-  
ბით და გერმანულ ენაზე თარგმნილ მწერლებს  
„გაგერმანელებულ უცხოელებს“ („eingedeut-  
schte Fremde“) ეძახდა. განა ჩვენი „ვისრამი-  
ანი“ ასევე გაქართულებული „ვის-ო-რამინი“ არ  
არის? და განა იგივე არ ითქმის ქართული „ქი-  
ლილა და დამანას“ მიმართ? ამიტომ, ცოტა არ  
იყოს, უცნაურად გვეჩვენება ა. თაყაიშვილის  
საყვედური: „მეტისმეტად“ აქართულდებ უცხო  
ავტორებსო.

ამრიგად, როგორც ენახეთ, ა. თაყაიშვილის  
თვალსაზრისი საკმაოდ შორს დგას მეცნიერული  
სიზუსტისა და ობიექტურობისგან. წერილის ავ-  
ტორი ზერელედ, ზედაპირულად მიმოიხილავს  
ჩვენს თარგმანებს და ცუდად ერკვევა მათს  
ღირსება-ნაკლოვანებებში.

ჩვენ ვახსენეთ ნაკლოვანება. ნაკლისა და ლა-  
პსუსისგან არავინ არაა დაზღვეული. მე და, ვფი-  
ქრობ, ჩემთან ერთად ყველა მთარგმნელიც. მა-  
დლიერების გრძინობით მიიღებს ყველა შენი-  
შენას, ოღონდ, რა თქმა უნდა, ობიექტურს,  
მეცნიერული თვალსაზრისით გამართლებულსა  
და დასაბუთებულს.



# გეხნიეზეა



მოთარ ლოტოქიუანიძე

## «ვანის ქალაქი»

დღევანდელი დაბა ვანი რიონის მარცხენა შენაკადის მდ. სულორის უღამაზეს ხეობაშია განლაგებული. ვანის არქეოლოგიურმა ძეგლებმა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიიქციეს მკვლევართა და ენთუზიატ-მხარეთმცოდნეთა ყურადღება (მ. ბროსე, გ. წერეთელი, ა. სტოინაოვი, ე. თაყაიშვილი). 1947 წლიდან ვანის არქეოლოგიურ შესწავლას იწყებს საქართველოს მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიცია ნინო ხოშტარიაის ხელმძღვანელობით. 1963 წელს დროებით შეწყვეტილი არქეოლოგიური კვლევა-ძიება კვლავ განახლდა 1966-1967 წლებში და უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობის აღმოჩენებით აღინიშნა.

დაბა ვანის გორაკ-ბორცვიან ნაწილში, რომელსაც ახელდიანების გორას ეძახიან, თითქმის ყველა ეზოში, გზის ყოველ მონაკვეთზე ჩანს ალიზის მძლავრი კედლები და ქვათილებით ამოყვანილი საძირკვლები, ხოლო მიწის სამუშაოების დროს ხშირად ჩნდებოდა უძველეს ნაგებობათა ნაშთები, მდიდრული ნივთების შემცველი სამარხები. წლების მანძილზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ზღუდე-გალავანი, საზოგადოებრივი და საკულტო ნაგებობანი, ინტენსიური ცხოვრების ნაშთების შემცველი კულტურული ფენები. და აი, დიდ ინტერესს იწვევს საკითხი იმის შესახებ, თუ რა ტიპის ქალაქი იყო ამ ტერიტორიაზე, რა სახელით იხსენიებოდა იგი წერილობით წყაროებში და, შესაბამისად, რა ადგილი უკავია მას კოლხეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ რუკაზე.

ნინო ხოშტარიაის აზრით, დღევანდელი დაბა ვანისა და მის მეზობლად, სოფ. ციხესულორში

აღმოჩენილი ანტიკური ხანის ნაქალაქარი უნდა იყოს პლინიუსთან და კლავდიოს პტოლემეაოსთან მოხსენიებული ქალაქი სურბიუმი, ხოლო პლინიუსთან ნახსენები მდ. ფასისის შენაკადი, მდინარე სურბიუმი კი — თანამედროვე მდ. სულორი. ეს მოსაზრება არსებითად დამყარებულია თანამედროვე მდ. სულორის გეოგრაფიული სახელწოდებისა და პლინიუსთან ნახსენები სურბიუმის მეტად საუკვეო ფონეტიკურ სი-ახლოვეზე (სუ-ლ-ორი, სუ-რი-უ-სი).<sup>1</sup> ჩვენი აზრით, პლინიუსთან („ბუნების ისტორია“, VI, 11, 13) და კლავდიოს პტოლემეაოსთან („გეოგრაფიკული სახელწოდებები“ IX, 6) მოხსენიებული სურბიუმის ვანის ნაქალაქართან გაიგივებას ზელს უშლის თუნდაც თვით პლინიუსის ცნობა იმის შესახებ, რომ კოლხეთის ქალაქებიდან მის დროს (ე. ი. ახ. წ. I ს.) მხოლოდ სურბიუმი არსებობს. ვანში მდებარე ქალაქი კი, როგორც კარგადაა ცნობილი, ძვ. წ. I საუკუნეშია ძირფესვიანად დანგრეული. ამას გარდა ისიცაა აღსანიშნავი, რომ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში (ს. ერემიანი, ნ. ლომოური), უკვე კარგა ხანია, რაც სურბიუმი დამაჯერებლადაა ლოკალიზებული დღევანდელი სვირის მიდამოებში.

1. ნ. ხოშტარია, ანტიკური ხანის არქ. ძეგლები... „საქართველოს არქეოლოგია“, თბ., 1959 გვ. 223; მისივე «Археологические раскопки в Вани», „კავკასიურ-ახლოდ-მოსავლური კრებული“, II, 1965 გვ. 66; ამ მოსაზრებას იზიარებს გ. ლორთქიფანიძეც. იხ. «Некоторые вопросы истории Колхиды 11—I вв. до н. э. „მაცნე“, 1968, № 2, გვ. 124—128.



პროფ. სარგის კაკაბაძის აზრით, ახლანდელი ვანის ტერიტორიაზე მდებარეობდა ქალაქი ეა (აია), რომელიც თითქმის „უცვლელ“ არსებობდა XIV-XIII საუკუნეებში და საქმოდ ბრწყინავდა<sup>1</sup>. თავი რომ დავანებოთ იმ ფაქტსაც, რომ ძვ. წ. XIV-XIII სს საქალაქო (!) ტიპის დასახლებების კვალიც კი არ ჩანს ვანის მიდამოებში (ნაქალაქარი, როგორც ცნობილია, ძვ. წ. V-I სს თარიღდება), პროფ. ს. კაკაბაძის ზემოაღნიშნულ მოსაზრება, სამწუხაროდ, მთლიანად სრულად დაუსაბუთებელ განცხადებებსა და წერილობითი წყაროების (არსებითად პლინიუსის) თვითნებურ თარგმანსა და ინტერპრეტაციასზეა დაფუძნებული და ამიტომაც ვერა და დამაჯერებელი. აღენიშნავთ მხოლოდ იმას, რომ აია ძველ ბერძნულ მწერლობაში ზოგჯერ მთელი კოლხეთის უძველეს სახელწოდებად გვევლინება (ჰეროდოტე, 1, 2; VII, 193, 197; აპოლონიოს როდოსელი, II, 1267), ხოლო სხვა შემთხვევაში — ქალაქის სახელწოდებად (კალიმაქე კვირინელი, ტიმონაქსე, სტრაბონი, პლინიუსი, სტეფანე ბიზანტიონელი, საშუალო საუკუნეების კომენტარტორები). მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში, იგი არაა რომელიმე კონკრეტულ ქალაქის აღნიშვნელი და ანტიკურ წყაროებში აია ზღუდს სხვადასხვა ადგილებშია დასახლებული.

უკანასკნელ ხანებში გამოითქვა აგრეთვე მოსაზრება, რომ თითქმის დღევანდელი ვანის მიდამოებში მდებარეობდა ის ქალაქი, „რომელიც არგონავტიკის აეტორს აპოლონიოს როდოსელს კოლხეთის დედაქალაქად აქვს მიჩნეული და სადაც არგონავტებმა კოლხეთის მრისხანე მბრძანებელი აიეტი, მზის შვილი იხილეს... ეს ქალაქი ძვ. წ. IV-III სს კოლხეთის სამეფოს დედაქალაქი, მისი აღმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრი უნდა ყოფილიყო“<sup>2</sup>. აქ, ჩვენე აზრით, სახვებით უგულვებელყოფილია ის ფაქტი, რომ თვით აპოლონიოს როდოსელი აიეტის სატახტო ქალაქს (და შამსადაძემ, კოლხეთის პოლიტიკურ ცენტრს) უწოდებს „კუტაიას“ („არგონავტიკა“, II, 349, 403, 1094, 1267; III, 228; IV, 511). ამავე სახელით იხსენიებენ აიეტის ქალაქს ელინისტური ხანის სხვა ბერძენი მწერლებიც (ლიკოფონ ქალიკლეო, კალიმაქე კვირინელი). ქალაქი „კუტაია“ კი, კარგა ხანია, უკვე დღევანდელ ქუთაისთანაა გაიგივებული, რასაც მხარს უჭერს VI-ს ბიზანტიელ მწერალ პროკოპი კესარიელთან დაცული ტრადიციაც.

როგორც ვხედავთ, ვანის ნაქალაქარის შენახვებ გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება, მაგ-

რამ არც ერთი მათგანი ჩვენ, ჭარჭერობში ინიც, დამაჯერებლად არ გვეჩვენება იმიტომ, რომ ისინი არაა დაფუძნებული ძეგლის ხასიათის რამდენადმე დეტალურ ანალიზზე. ისეთი რთული და სერიოზული საკითხის კვლევისას, როგორცია ვანის ნაქალაქარის წერილობით წყაროებში მოხსენიებულ გეოგრაფიულ პუნქტებთან იდენტიფიკაციის საკითხი, პირველ რიგში აუცილებელია იმის დადგენა, თუ რა სახის არქეოლოგიური ძეგლებია დღემდე ვანში აღმოჩენილი, რა დანიშნულებისაა აქ გამოვლენილი თვითეული ნაგებობა და ამის შესაბამისად — რა ტიპის ქალაქთან გვაქვს საქმე.

ანტიკური ხანის ნაქალაქარი ვანში სამეფოს მოყვანილობის მაღალ ბორცვზეა განლაგებული. წლების მანძილზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოირკვა, რომ ძვ. წ. IV-III საუკუნეებიდან ეს ბორცი მძლავრი თავდაცვითი კედლებითაა გამოკრული, ამასთან — შესანიშნავადაა გამოყენებული ბუნებრივი პირობებიც — აღმოსავლეთი და დასავლეთი მხრიდან არსებული ღრმა ხევები. სასიმაგრო კედლებითა და ხევებით ვარშემორტყმული გორაკის ფართობი მთლიანად დაახლოებით 12 ჰექტარია და 3 ძირითად ტერასადაა დანაწილებული. ჩრდილოეთ ნაწილში გამართულია კარიბჭე, რომელიც ნახევარწრიული კოშკითაა დაცული და რთულ არქიტექტურულ კომპლექსს წარმოადგენს<sup>4</sup>. კარიბჭის ძირითად კედელს შიდა მხრიდან ედგმის საკულტო ნაგებობა, რომლის დასავლეთ კედელიან, ზუსტად შუაში, გამართულია ქვის საკურთხეველი (იგი წარმოადგენს ქვის საძირკველ აღმართულ ოთხწახნაგა სვეტს. რომელზედაც ორ საფეხურად დევს კარგად გათლილი ბრტყელი ფილები). საკურთხევის ირგვლივ იატაკზე აღმონდა გარკვეული რაოდენ დალაგებული 23 თხის ქუჩები: ჯამები, ქოთნები, წითელი სარტყლებით მორთული ორყურა ქილა და სამტუნა დოქები, აგრეთვე ზეთი ამფორა, რომელთაგან ორი ფეტვის მარცვლით იყო სასვე. ყველა ქუჩა რელიეფი ადგილობრივია, კოლხური! ისინი სამლოცველოში მოტანილ შეწირულობას წარმოადგენდნენ. ამ ნაგებობის გარეთ (მის სამხრეთ კედელთან) გამართულია მონოლითში ამოკვეთილი რიფი, რომელიც პროფ. ვ. ბარდაველიძის აზრით, შესაძლოა მსხვერპლად შეწირული ცხოველის სისხლის ჩასადგურებად იყო განკუთვნილი. ამ პატარა ტაძარს — სამლოცველოს 18 მეტრი სიგრძის რიყის წვრილი კვით მოკირწყლული საგანგებო მისასვლელი აქვს. ამრიგად, ქალაქის შესასვლელშივე საკულტო შენობაა აღმართული.

1 ს. კაკაბაძემ, უძველესი ქართული ქალაქი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 5.

2 ალ. ბოზოჩაძე, კოლხეთის სამეფოს დედაქალაქის ადგილმდებარეობის საკითხისათვის ძვ. წ. IV-III სს; საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე, XIV, № 2, 1967, გვ. 547-552.

3 ს. ყუბჩიშვილი, გეორგია, II.

4 დაწვრ. იხ. ნ. ხოშტარია, რ. ფუთუჩიძე, ოთ. ლორთქიფანიძე — არქეოლოგიური აღმოჩენები ვანში, „საბჭოთა ხელოვნება“, 1968, № 1.

მთელი ეს კომპლექსი ძვ. წ. IV-III საუკუნეებში აგებული და ქალაქის დანარჩენ ნაწილებთან ერთად ძვ. წ. I საუკუნეში დაზარებული და გადაშენდა.

კარიბჭის კომპლექსიდან სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 200 მეტრის დაცილებით აღმოჩენილია საკმაოდ დიდი ზომის კედლე ერთი ტაძარი, რომელიც ძვ. წ. II საუკუნეშია აგებული კედლე უფრო ძველი ნაგებობის ადგილზე (შემორჩენილია ძველი ნაგებობის წითლადმოღვნილი შესანიშნავი იატაკი). ტაძარი წარმოადგენს აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებულ მართკუთხედიან ტიპის სწორკუთხა ნაგებობას, რომლის პარალელური (ჩრდ. და სამხ.) კედლების სიგრძე 13 მეტრია, ხოლო დასავლეთი კედლისა 5 მეტრი. ტაძრის შიგნით, მის დასავლეთ ნაწილში აღმართულია სწორკუთხა კვარცხლბეკზე მდგარი მრგვალი სვეტი — საკურთხეველი. ტაძრის ჰემათა მოზაიკური იატაკი, რომელიც კირხსნარით გამაგრებული ფეთრი და ღია ვარდისფერი რიყის ქვებითაა შედგენილი. იატაკი მთლიანადაა დაზარებული და თითქმის სავანგობად აყრილი. ტაძრის მოზაიკური იატაკის ნარჩენებში აღმოჩენილია მდიდარი შემორჩენილი: კოლხური ქვევები და 40-ზე მეტი (!) ამფორა, 120 სპილენძის მონეტა. იქვეა ნაპოვნი სარიტუალო საგნები: რკინის სასაქმევლე, რომელიც ნატიფი სამკაულით (ოქვი და მარგალიტები, ვარდულები, მცენარის ფოთლოვანი ღეროები, ფრინველის გამოსახულებანი) მორთული ბრინჯაოს ფარფურით ყოფილა გარშემოკრული. კედლე უფრო საინტერესოა და დიდმნიშვნელოვანია იქვე აღმოჩენილი ცეცხლისაგან ძლიერ დეფორმირებული ბრინჯაოს ჭურჭლისა თუ სხვ. საგნის ფრაგმენტები. თითქმის მთლიანადაა შემონახული მისი სკულპტურული მორთულობა: ბრინჯაოს კლანჭები, ფრთავაშლილი არწივები, დიონისეს წრის სხვადასხვა დეტალები პორტლენდური გამოსახულებანი, გამარჯვების ფრთოსანი ქალღმერთის — ნიკეს 18 სმ. სიმაღლის ქანდაკება... მთელი ეს მონაპოვარი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ამ ტაძრის სიმდიდრესა და ბრწყინვალეობაზე.

ნაგებობათა მთელი წყებაა აღმოჩენილი აგრეთვე ბორცვის წვერზედაც. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ საფეხურებიანი ნაგებობა: შემორჩენილია სწორკუთხა ქვათილებით ნაგები 8 საფეხურიანი კიბე (თვითიული საფეხურის

სიგრძე 2,76 მ-ია, სიგანე — 0,35 მ, სიმაღლე — 0,19 მ). უკანასკნელი საფეხური გადადის სწორკუთხა მოედანში<sup>2</sup>. ეს საფეხურებიანი ნაგებობა თავისი გვეგმით სავსებით ანალოგიურია ელინისტურ ხანაში ფართოდ გავრცელებული იმ საკურთხეველებისა, რომლებიც ჩვეულებრივ ტაძრის წინ იყო ხოლმე აღმართული<sup>3</sup> და სადაც შეწირვის საზეიმო რიტუალი სრულდებოდა. საფეხურებიანი ნაგებობის წინ (ე. ი. მისგან დასავლეთით) გამოვლენილია ძალზე ფრაგმენტურული კედელი (დაახლოებით 8 მეტრის სიგრძეზე შემორჩენილი), რომელიც ნინო ხოშტარიას აზრით, ტაძრის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს (აღსანიშნავია, რომ იქვე, კედელში, ღრმა კრიბტაა ამოკვეთილი).

საფეხურებიანი საკურთხეველის გვერდით (მისგან ჩრდ-ით), დაახლოებით 2,5 მეტრის დაცილებით, დგას ზუსტად კვადრატული ნაგებობა, რომლის შიდა ფართობი 7 მ<sup>2</sup>. ნინო ხოშტარიას აზრით, ეს ნაგებობაც საკულტოა. საინტერესოა, საკურთხეველის სამხრეთით, თითქმის ხევის პირას აღმოჩენილი კედლე ერთი ნაგებობაც, ესაა თლილი ქვით ნაგები 3 კელღანის ნიშისებური შენობა, რომლის შიდა ფართობი მხოლოდ 2,5 მეტრია (სამხრეთი მხრიდანაა ღია). ნაგებობის შიდა კედლები ცეცხლისაგანა ძლიერ გაფითლებული, მაშინ როდესაც გარედან ცეცხლის კვალი არ შეიმჩნევა. ჩრდ. შავიზღვისპირეთშიაც, ოლბის ტემენისზე, აღმოჩენილია სავსებით ანალოგიური, თითქმის იმავე ზომისა და გვეგმის ნაგებობა, რომლის შიდა კედლებიც ცეცხლისაგანა დაწითლებული და დამსკვარი. ფიქრობენ, რომ ესაა მსხვერპლის დასაწვავი სავანგებო შენობა.

აღსანიშნავია კედლე ისიც, რომ მთელ ამ ფართობზე (ვეფლისხმობთ ბორცვის წვერს) გამოჩენილია ამჟამად უწყისიგოდ მოფენილი რიყის წვირის ქვები, რომლებიც არაა in situ, მაგრამ თუ გაიხსენებთ, რომ ელინისტურ ხანაში წესად იყო სამლოცველო-საკულტო ნაგებობების მისავლენების მოკირწყვლა (რაც ვაწმინდე კარიბჭესთან გამართულ ტაძართანაცაა შემონახული), ვფიქრობთ, გასაგები ვახდება რიყის სიმრავლაც. ჩვენი აზრით, ამ რიყის ქვებით იყო სწორედ მოკირწყვლული ზემოაღწერილ ნაგებობათა მისავლენები.

ამრიგად, ბორცვის წვერზედაც ისახება საკულტო-სატაძრო ნაგებობათა კომპლექსი, რომელიც ჩრდილოეთ მხრიდან მანძი 1,5 მეტრი სიგანის კედლითაა შემოსაზღვრული. ჩანს ამ კედლის ჩრდილო აღმოსავლეთ კუთხეც. ამ თავისუფ-

<sup>1</sup> დაწვრ. რ. ფუთურძე, ოთ. ლორთქიფანიძე, ვანის სავანური, გაზ. „კომუნისტი“, 1968 წ. 6 III, აგრეთვე — არქეოლოგიური აღმოჩენები ვანში, 1967 წ. „ძეგლის მეგობარი“, 1968, № 15 (იხეველბა).

<sup>2</sup> Н. В. Хоштариа, Арх. нсслед. „მასალები საქ. და კავ. არქ.“ II, 1959, გვ. 152, ნ. ხოშტარია, ანტიკური ხანის არქ. ძეგლები... ტაბ. XXI.

<sup>3</sup> ზუსტად ასეთვე საკურთხეველები აღმოჩენილია მილეტში, აკრაგანტში, სელინუნტში და სხვ.

ოთარ ლორთქიფანიძე  
„ვანის ძალბაძი“



ბური ვალანის კედლის გარეთ აღმოჩენილია რამდენიმე მღიდრული სამარხი, რომელთაც ნინო ხოშტარია ქურუმთა თუ კულტის მსახურთა სამარხებად მიიჩნევს.

ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის აღმოსავლეთ და ჩრდილო აღმოსავლეთ ფერდობებზეც აღმოჩენილია ძვ. წ. V-I სს ნაგებობათა ნაშთები. ვიდრე ტერასის თხემი არაა შესწავლილი, ძალზე ძნელია ამ ნაგებობათა ხასიათის შესახებ მსჯელობა. მინც უურადლებას იქცევს არქიტექტურული ფორმების სიმრავლე, რომელთა შორისაა პროფილირებული კარნიზის ნაწილები და, რაც სავანებოდაა აღსანიშნავი — თუთი კირქვისგან გამოკვეთილი თითქმის ნატურალური სიდიდის ლომის თავის გამოსახულებანი. მათგან ერთი — შენობის დეკორატიული მოსართავია, ხოლო დანარჩენი ორი კი — თითქმის ტაძრის ფრონტონის დამაგვირგვინებელი სიმა. წინასწარი ვარაუდით, ეს და იქვე აღმოჩენილი მრავალი სხვა არქიტექტურული დეტალი ეკუთვნოდნენ ოდესღაც მღიდრულად მორთულ ადრეელისტური ხანის ნაგებობას (ტაძარს?) რომლის ძიებაც ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

როგორც ვხედავთ, ვანის ნაქალაქარის თითქმის ყველა ძირითად უბანზე ჭრჭერობით არსებითად საკულტო-სატაძრო ნაგებობებია აღმოჩენილი. ყოველივე ზემოთქმულს უნდა დავძირიოთ ისიც, რომ როგორც არქეოლოგიური გათხრებისას, ისე შემთხვევითი აღმოჩენებით, ვანის ნაქალაქარზე უურადლებას იქცევს სიმრავლე სკეტის ნაწილებისა (ბაზა, კაპიტელი), რაც თითქმის მიუთითებს არქიტექტურული ორდერის განვითარებაზე და რაც აგრეთვე, უპირატესად, საკულტო-სატაძრო ნაგებობისათვისაა დამახასიათებელი.

ზემოთქმულს უნდა დავუმატოთ არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურებული კიდევ ერთი მეტად საინტერესო ფაქტი: ვალანის კედლის გარეთ, კარიბჭესთან ახლოს, როგორც ჩანს, იმართებოდა ხოლმე დღესასწაული მეღვინეობისა და მევენახეობის მფარველი ღმერთის — დიონისეს პატივსაცემად. ამის მოწმობაა იქვე აღმოჩენილი დიონისეს ტერაკოტური ნიღბი და რიტუალური დანიშნულების ორმოცამდე საყვავილე ქთანანი.

ამრიგად, დღემდე აღმოჩენილი არქეოლოგი-

ური ძეგლების მიხედვით, ვანის ნაქალაქარი თითქმის არ წააგავს „ნამდვილ“, „საერთო ქალაქს“. უკვე საკმაოდ თვალსაჩინოა ამ ქალაქში სატაძრო-საკულტო ნაგებობათა დიდი ხვედრითი წილი და თითქმის წამყვანი როლიც. ჩვენი აზრით, აქ სამეც უნდა გვეზონდეს ელინისტური ხანის კოლხეთის დიდ სატაძრო ცენტრთან ანუ სატაძრო ქალაქთან<sup>4</sup>. ეს უნდა ყოფილიყო იმავე რიგის ქალაქი, როგორც იყო ძველ ეგვიპტეში კარნაკი, ხოლო არქული და კლასიკური ხანის საბერძნეთში — ოლიმპია. დელფი, დელფი, დოღონა და სხვ. უფრო კი ელინისტური ხანის მცირე აზიის დიდი სატაძრო გაერთიანებანი: პონტის კომანა და ზელა, ზევსისა და აპოლონის ტაძრები კაპადოკიაში, დმერთების დიდის ტაძარი პესინუნტში, ოლბის სატაძრო სახელმწიფო კლიკიაში, ანაიტის ტაძარი არმენიაში და სხვ. კარგადაა ცნობილი, რომ ეს ტაძრები მხოლოდ საკულტო-რელიგიურ ცენტრებს კი არ წარმოადგენენ, არამედ იმავე დროს იყვნენ მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიური ერთეულები, რომლებიც ფლობდნენ ვრცელ მიწებსა და აურაცხელ ჰინდიდრებს.

ელინისტური მცირე აზიის სატაძრო ქალაქების შესწავლამ ცხადყო მათი არაჩვეულებრივი მრავალფეროვნება, როგორც სოციალურ-ეკონომიური წყობის, ასევე პოლიტიკური სტრუქტურის მიხედვით; ვხვდებოდა უმარტივესი ტიპი სატაძრო სოფლისა და ფრიად განვითარებული პოლისური ტიპის სატაძრო ქალაქი-სახელმწიფოები, ზოგჯერ სატაძრო ქალაქთა მთელი გაერთიანებანი და თეოკრატიული სახელმწიფოებიც კი. მიუხედავად პოლიტიკური ფორმების მრავალფეროვნებისა, ყველა ამ სატაძრო თემს ჰქონდა ერთი საერთო ელმანი: ყველა ისინი განვითარდნენ იმ უძველესი სასოფლო თემებიდან, რომლებიც ადგილობრივი ღვთაების ტაძრისა, თუ სამლოცველოს ირგვლივ ერთიანდებოდნენ და რაც აგრე კარგადაა შემონახული

<sup>4</sup> ძალზე ნიშანდობლივია, რომ ქალაქის ძვ. წ. I საუკუნეში განადგურების შემდეგ ამ ადგილზე აღარაინ დასახლებულა თითქმის XVIII საუკუნემდე, როდესაც ამ ბორცვზე ლეჩხუმოდან ჩამოსახლებული ახვლედიანები დამკვიდრდნენ. გვიანანტიკურ ხანაში ბორცვზე მხოლოდ დარბაზის შემთხვევა დადასტურებულა, ხოლო საშუალო საუკუნეებში კი აქ ეკლესია მდგარა. საინტერესოა სახელწოდება ვანიც, რომელიც უძველეს ტერმინადაა აღიარებული, ამასთან, როგორც ფიქრობენ, უპირატესად სამონასტრო და წმინდა ადგილების აღმნიშვნელია.

<sup>5</sup> შტრ. სტრაბონის „გეოგრაფია“, XII, 2, 3-6: XII, 3, 32, — 37.

<sup>6</sup> დაწერ. ოს. A. Г. Периханян, Храмовое объединение Малой Азии и Армении, М. 1959.

1 დაწერ. ოს. Н. Хоштариа, Арх. раск. в Вани.

2 ოს. რ. ფუთურიძე, ოთ. ლორთქიფანიძე, დასახ. წერილები.

3 ქ. რამიშვილი, დიონისეს გამოსახულებანი ტერაკოტა ვანიდან (მხსენება ისტორიის ინსტ. ასპირანტთა და ახალგაზრდა მეც. მუშაკთა კონფერენციაზე 1967 წ. 15. VI).



საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიაში ხეცურული თემების სახით<sup>1</sup>.

ელნისტური ხანის კოლხეთის დიდი სატაპრო ცენტრის შესახებ ცნობა I საუკუნის ბერძენი გეოგრაფოსის, სტრაბონის „გეოგრაფიაში“ შემონახული: ესაა „ლევკოთეას ტაპარო, ფრიქსეს აგებული, და მისი სამისნო, სადაც ვერქს არ წირავენ მსხვერპლად. ოდესღაც ის მდიდარი იყო, ხოლო ჩვენს დროს იგი ჭერ ფარნაკემ გაპარცვა, ხოლო შემდეგ მიითრიდატე პერგამონელმა“ (XI, 2, 17). ის ფაქტი, რომ ტაპართან სამისნოც იყო გაპართული, უძრესად საინტერესო და დიდმნიშვნელოვანია. სპეცი-ალურ ლიტერატურაში დადგენილია, რომ ტაპარი-სამლოცველო წარმოადგენდა არა მხოლოდ საკულტო ცენტრს, არამედ სატაპრო საქალაქო თემის ორგანიზაციულ ცენტრსაც. ყველა მნიშვნელოვან საკითხებს წყვეტდა უხუცესთა საბჭო, რომელსაც მთავარი ქურუმში წარმართავდა. საბჭოს მუდმივი სამყოფელი იყო სწორედ ტაპარი-სამლოცველო, რომლის საერთო-საკულტო ავტორიტეტი საკმაოდ ფართოდ გამოიყენებოდა. საბჭოს გადაწყვეტილება განიხილებოდა როგორც ვადეთების უზენაესი ნება-სურვილი, რომელიც მისანის ქადაგობის სახით ცხადდებოდა. ქადაგის წინასწარმეტყველება იურისდიქციის თავისებურ ფორმას წარმოადგენდა. ამასვე ადასტურებს ხეცურული ეთნოგრაფიული მასალებიც: ქადაგი ხევისბერის შემდეგ მეორე პირად ითვლებოდა, ხოლო მისი ქადაგობის საფუძველზე თემის ბჭე-ხევისბერნი, აღნიშნავს პრაქტ. ვ. ბარდაველიძე, ადგილობრივ საქმეებს არჩევდნენ და მათ შესახებ დადგენილება გამოქვეყნდნენ. სტრაბონის ცნობა ლევკოთეას „მდიდარი“ ტაპარისა და მისი სამისნოს შესახებ ამრიგად ვეაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ აქ ჩვენ მართლაც საქმე ვაქვს ელნისტური ხანის კოლხეთის მნიშვნელოვან და საესებით ჩამოყალიბებულ სატაპრო ცენტრთან<sup>2</sup>, სატაპრო ქალაქთან<sup>3</sup>.

1 ვ. ბარდაველიძე, ხეცურული თემი, საქართველოს მეცნ. აკად. შრომები, XIII, № 8, 10, 1452; მისივე, Земельные владения грузинских святилиц «Советская этнография» 1949, № 1.

2 ს. ჯანაშია, შრომები II, თბილისი, 1952, გვ. 153 — 154; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 410.

3 ტერმინი „ტოპირონი“ (ზოგადად სამლოცველოს აღნიშვნელი) რომ იმავე დროს სატაპრო ქალაქსაც აღნიშნავდა, კარგად ჩანს „გეოგრაფიის“ სხვა ადგილებიდანაც: იმავე ტერმინით იხსენიებს სტრაბონი ენიუს სატაპრო ქალაქს კაბადოკიაში (XII, 2, 3), აპოლონ კატ-

დიდ ინტერესს იწვევს ლევკოთეას ტაპარის ლოკალიზაციის საკითხი. ბერძენი გეოგრაფოსის ცნობაში (XI 2, 17) ეს ტაპარი „მოსხების ქვეყანაშია“. ამის გამო ფიქრობენ, რომ ლევკოთეას ტაპარი ისტორიული მესხეთის მიწა-წყალზეა საკულებული. მაგრამ ტაპარის აღწერისას დასახელებული გეოგრაფიული ნომენკლატურა, ჩვენი ვარაუდით, სხვაგვარი ლოკალიზაციის შესაძლებლობასაც იძლევა.

სტრაბონის ცნობით, „მოსხების ქვეყანა, რომელშიც არის სამლოცველო, იყოფა სამ ნაწილად: ერთი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე იბერებს და მესამე არმენიელებს“ (XI, 2, 18). ლევკოთეას ტაპარის შესახებ ბერძენი გეოგრაფოსის ცნობებიდან საესებით აშკარად ჩანს, რომ ეს ტაპარი „მოსხთა ქვეყნის“ იმ ნაწილში მდებარეობს, რომელიც „აქვთ კოლხებს“. ამაზე მიუთითებს ის, რომ „ლევკოთეას სამლოცველო“ კოლხეთის აღწერისასაა მოხსენიებული (XI, 2, 17)<sup>4</sup>. ვიდრე მერტი იგი მდებარეობს კოლხეთის „მდინარეების ზემოთ“. რა მდინარეებს გულისხმობს სტრაბონი? ამ ნაწყვეტში (XI, 2, 17), სადაც ლევკოთეას ტაპარია მოხსენიებული, სტრაბონი ასახელებს მდ. ფასისს, მაგრამ ერთი შეხედვით იგი ორ სხვადასხვა მდინარეს გულისხმობს. როდესაც სტრაბონი წერს: „...აღმა ცურვა შეიძლება შორაბანდე“ და რომ „ფასისზე მდებარეობს მისი მოსახლე ქალაქი, კოლხთა ემპორიონი, ვარშეობრატემული მდინარით, ტბითა და ზღვით“... (XI, 2, 17) საესებით აშკარაა, რომ მდ. ფასისში უნდა ვიგულისხმოთ დღევანდელი მდ. რიონი, უფრო სწორედ მისი ქვედა წელი და მისივე შენაკადი ყვირილი. მაგრამ იმავე პარაგრაფის (XI, 2, 17) დასაწყისში აღნიშნულია: „...დანარჩენი კოლხიდა მეტწილად ზღვასთან მდებარეობს: მიმდინარეობს მასზე ფასისი, დიდი მდინარე, რომელსაც სათავე არმენიიდან აქვს, რომელიც დებულობს გლაგოსის და ჰიპოსის, მახლობელი თემებიდან გამოშინარეთ“. ამ ნაწყვეტის მიხედვით, რამდენადაც ფასისის „სათავე არმენიაში აქვს“, შეიძლება დავესკვნა, რომ აქ ამ სახელით მდ. ჭოროხი იგულისხმება (ვთქვათ ისევე, როგორც უფრო ადრე პეროლოტე და შემდეგ ქსენოფონტიც ფასისის სახელით იხსენიებდნენ ერთდროულად არაქსისაც და რიონსაც). ასეთ შემთხვევაში, სრულად მართკუთხედ გადაწყვეტოდა ლევკოთეას ტაპარის ლოკალიზაციაც დღევანდელი მესხ-

ონღლის სატაპრო ქალაქს კაბადოკიაში (XII, 2, 5) და ვენასელი ზევისს სატაპრო ქალაქსაც მორიშენში (XII, 2, 5).

4 ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 153-154.

ოთარ ლორთქიფანიძე  
„პანის ჟალაქი“



თის ტერიტორიაზე, მაგრამ წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ სტრაბონის „გეოგრაფიაში“ საერთოდ არა ერთი უზუსტობაა. ეს იმით აიხსნება, რომ ბერძენი გეოგრაფისი ხშირად აღწერს ისეთ ადგილებს, სადაც თვითონ უშუალოდ არაა წამოყობი (ასეთია კოლხეთი). ასეთ შემთხვევაში სტრაბონი სხვადასხვა ლიტერატურული მონაცემებით სარგებლობდა და ზოგჯერ სხვადასხვა დროის ავტორთა ცნობებს მექანიკურად აერთიანებდა. ცნობა ფასისის არმენიდან მომდინარეობის შესახებ (XI, 2, 17) III ს. ბერძენი „გეოგრაფისის“ ერთგვარად უნდა მომდინარეობდეს (რომ ამ ავტორს ასეთი ცნობა ჰქონდა, ჩანს აბოლ. როდოსელის სქოლიასტის მიითითებდა). ფასისის სათავეებად არმენიის დასახლება ზოგჯერ მკვლევარს მიაჩნია იმის მოწმობად, რომ აქ („გეოგრაფისი“, XI, 2, 17) ფასისად ნაგულისხმევია მდ. ჰოროხი. ჩვენი აზრით, უფრო მართებულია სიმ. ჭანაშვიას ვარაუდი: „...ფასისის სათავეების შესახებ ძველ გეოგრაფებს არ ჰქონდათ უზუსტო წარმოდგენა. ფაზისის სათავეს მაგ., ჩვეულებრივად, სამხრეთით გულისხმობდნენ. სტრაბონი ამბობს, რომ ფაზისის სათავე არმენიაში აქვსო. ამიტომ აქ მესხეთის ის ნაწილი ნაგულისხმევი, რომელიც კოლხეთის აღმოსავლეთ ნაწილს სამხრეთიდან ეკრა, დაღო ფერასათის (ახალციხის ქედის) გასწვრივ, რომელ შთაშაივც ფაზისის სათავე იყო შეცდომით დადებული (მაგ. ვოქვათ, ფაზისის თავდაცად ხანისწყლის მიხედვით) I ეს რომ ასეა, ჩანს აგრეთვე სხვა ბერძენ ავტორთა ცნობებიდანაც, სადაც აშკარად როინ-ფასიდის სათავედ აგრეთვე არმენია დასახელებული (დიონისოს ავტორობით ცნობილ აბ. წ. II ს „პერაპეგის“, 87.94; სტრაბონ ბიზანტიონელი, „არმენია“<sup>2</sup> ხოლო რომელიც მწერლები ფასის-როინის სათავედ მიიჩნევენ ზოგჯერ „მოსხების მთებს“ (სოლონი, 15, 18) ან „მოსხების ქვეყანას“ (პლინიუსი, VI, 13). სიმ. ჭანაშვიამ მოაქცია ყურადღება იმას, რომ გაცილებით უფრო გვიან(1650-52 წწ.) იმერეთში მყოფი რუსი ელჩებიც. მდ. ყვირილის (ე. ი. ძველი ფასისის ზედაწელის) სათავედ აგრეთვე დაღო-ახალციხის ქედს თვლიან.<sup>3</sup>

ყურადღებას იქცევს სტრაბონის ცნობა იმის შესახებ, რომ ფაზისს, რომელსაც „სათავე არმენიაში აქვს“, ერთგვარად „გლავოსი და ჰიპოსი“ (XI, 2 17): დასახელებული მდინარეებიდან გლავოსის ლოკალიზაცია სულ ნათელი არაა.

ამავე სახელის მდინარეს იხსენიებს აბ. წ. III ს. ბერძენი გეოგრაფისი კლავდიოს პტოლომაოსი (VI, 6) და მას („გლავოსი“) მდ. „ფასის-როსის“ (ე. ი. ჰოროხის) შენაკადად მიიჩნევს. არც თუ ისე მარტივად წყდება „ჰიპოსის“ სახელით: პლინიუსის, პროკოპი კესარიელისა და სხვ. ავტორთა ცნობების საფუძველზე იგი ცნობისწყობითაა განვიხილეთ (ძვ. ბერ. „ჰიპოს“ ნიშნავს ციფს). თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კლავდიოს პტოლომაოსისა და არიანეს თხზულებებში მოხსენიებული „ჰიპოსი“ აწინავე კოდორადა მნიშვნელო. როგორც ვხედავთ, ჩვენთვის საინტერესო მდინარეების შესახებ ბერძენულ-რომაულ მწერლობაში ერთმანეთისაგან გამსხვავებული ცნობებია შემონახული. ამიტომ ლეცკოთას ტაძრისა და მასთან დასახლებული მდინარეების — ფაზისის, გლავოსისა და ჰიპოსის იდენტიფიკაციისა გადამწყვეტი მნიშვნელობა თვით სტრაბონის ჩვენებას უნდა მიენიჭოს. ამავე მდინარეებს სტრაბონი კვლავ იხსენიებს იბერიის აღწერისას (XI, 3, 4): „ქვეყანაში (ე. ი. იბერიაში — ო. ლ.) ოთხი შესასვლელია: — კოლხურ ციხე-სიმაგრე შორაბანზე და მასთან არსებულ ვიწრობებზე, რომლებზედაც ფასისი მიმდინარეობს, წყაროდ და ხშირად გემართება კოლხიდაში. ფასისზე 120 მილით გადაისვლება მისი მიხვეულ-მოხვეულობის გამო. წარმოიქმნება (ფასისი) ზემოთ მდებარე მთებში მრავალი წყაროსგან, ხოლო რომელთაში იღუპება სხვა მდინარეებს, რომელთა შორის არის გლავოსი და ჰიპოსი. ვაგისლი და სანაონოდ გამოსადეგი ჩადის პონტოში. ფასისზე არის იმავე სახელის ქალაქი (ე. ი. ფასისი — ო. ლ.) და მასლობლად — ტაბა“. ნაგებობთ აშკარაა, რომ ამ ცნობაში იგულისხმება მდინარე როინი და მისი შენაკადები. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სწორედ ასევე ესოდან ეს ცნობა უფრო გვიანდელ იმ ბერძენ ავტორებსაც, რომელნიც კოლხეთს სტრაბონის „გეოგრაფიაზე“ დაყრდნობით აღწერდნენ (შდრ. ბიზანტიურ ხანაში შედგენილი „სტრაბონის ქრესტომათია“, XI, I... ეესტათე თესალონიკელი, 689). ხოლო რამდენადაც ლეცკოთას ტაძარი სტრაბონის ცნობით „დასახელებულ მდინარეთა (ე. ი. ფასისის, ჰიპოსის, გლავოსის) ზემოთ მდებარეობს თითქოს გვიჩნდება საფუძველი ვიჯარაულოთ, რომ

1 ს. ჭანაშვია, შრომები, I, გვ. 158.  
 2 ვაგიხსენოთ, რომ სტრაბონის ცნობით „მოსხების ქვეყნის“ ერთი ნაწილი არმენიას ექვემდებარებოდა (XI, 2, 18).  
 3 ს. ჭანაშვია, შრომები, I, გვ. 152.  
 4 შდრ. ს. ჭანაშვია, „შრომები“, II, გვ. 280 (შენიშვნა 39-ე).

5 გამოთქმა „ზემოთ“ სტრაბონთან სხვადასხვა მნიშვნელობისაა (ჩანს, იმის მიხედვით, თუ როგორ წარმოადგენდა ამა თუ იმ გეოგრაფიულ ადგილს მისი წყარო). ხშირად იგი სამხრეთის მნიშვნელობითაა ნახმარი: I, 3, 21; XI, 2, 15 (ფ); XII, 3, 18. ზოგჯერ ჩრდილოეთს ან ჩრდილო აღმოსავლეთს აღნიშნავს XI 2, I; VI, 4, 2; XII, 3, 18.



დასახელებული სატარო ქალაქი რიონის ხეობაში მდებარეობდა და ასეთად ვანის ნაქალაქარი მივიჩნით. მაგრამ ამ ვარაუდს ეწინააღმდეგება თითქმის სტრაბონის მითითება (ორზუს აღნიშნული) რომ ტაძარი „მოსხების ქვეყანაში“ მდებარეობდა. სტრაბონის წინამორბედ (ჰეკატეოს მილეტელის, განსაკუთრებით კი — მეროდორეს) ცნობებით კი მოსხთა ანუ მესხთა საცხოვრისი დღევანდელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს და მის კიდევ უფრო სამხრეთით მდებარე ტერიტორიას მოიცავდა. ამიტომ ვლერ ლევკოთეს ტაძრის რიონის ხეობაში ლოკალიზაციას და მის ვანის ნაქალაქართან იდენტიფიკაციის სავარაუდებელ შეაძლებლობას ვღიარებდეთ, აუცილებელია გარკვევს, თუ რა საფუძველზე იგი სტრაბონის „გეოგრაფიაში“ „მოსხების ქვეყანაში“ დასახელებული.

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ მესხთა განაახლების („მოსხთა ქვეყნის“) საზღვრები სულ ნათელი არაა. მართალია, ერთ ცნობაში (რომელიც „მითრიდატეს ომების აღმწერთაგან“ მომდინარეობს) მოსხები კოლხების უშუალო მესობლები და ამასთან ზღვისპირაზე მობინდრენი ჩანან („გეოგრაფია“, XI, 2, 14), მაგრამ მინც მხოლოდ ამ ცნობით არ გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ სტრაბონის წარმოდგენით მოსხთა განსახლების ჩრდილოეთის საზღვარი ძვ. წ. I ს. აღწევდა მდ. რიონამდგ. საქმეს ვერ შევლის, ამ თვალსაზრისით, ვერც ამავე ავტორის მიერ არაერთგზის მოხსენიებული „მოსხური მთების“ ლოკალიზაცია (აღმ. პონტოს ქედის ნაწილი; შორიხის ქვემო წელიდან ტრაპეზუნტ-ბაიურეთის რაიონამდგ.)!

ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობების საფუძველზე აღიარებულია, რომ ახ. წ. მიჯნაზე (იხ. ვ. როგორც უფრო გვიან) მესხები დამკვიდრებული არიან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე. სტრაბონის ცნობით: „მოსხების ქვეყანა, რომელიც არის სამლოცველო (ლევკოთეს ტაძარი — ო. ლ.) სამადაა გაყოფილი: ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე იბერებს, მესამე არმენიელებს.“ (XI, 2, 18). ეს ცნობა ძვ. წ. II—I სს პოლიტიკურ ვითარებას ასახავს. სწორედ ამ დროს რომაელების მოძალბების შედეგად იბერია (ქართლის სამეფო) დროებით (ახ. წ. I საუკუნემდე) კარგავს რამდენიმე ოლქს: პარადრუს კალთებს, ხორზუნებს და გოგარუნებს (სტრაბონი, XI, 14, 5). მათგან, ჩვენთვის საინტერესო რაიონშია ხორზუნე, რომელსაც ვ. მელიქიშვილი კლავდიოს პტოლემეოსთან მოხსენიებულ კატარ-

ძენეს უკავშირებს და ისტორიულ კლარჯეთთან აიგივებს. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით ბერძნული „კოტარძენე“ ახლაც შემონახულია „გოდერძის გარდასვლის“ სახით, არსიანს ქედში რომ არის, და სამცხესა და აჭარის შორის შემეგრთებელი გზაა. სტრაბონის ცნობით, რომელიც ძვ. წ. II—I სს ვითარებას ასახავს: „ხორზუნე და კამბისინე უკიდურესი ჩრდილოეთი მხარეებია არიან (არმენიისა — ო. ლ.)... ევერიან კავკასიის მთებს და იბერიას და კოლხიდას“ (XI, 14, 4).

ამრიგად, ჩვენთვის საინტერესო ხანაში (ძვ. წ. II—I სს) არმენიისა და იბერიის პოლიტიკური საზღვარი თითქმის არსიანს ქედზეა სავარაუდებელი. უფრო ჩრდილოეთით კი „მესხების ქვეყანა“ იბერიისა და კოლხეთს შორისაა დანაწილებული. მათ საზღვარზე სტრაბონის ცნობით: „იბერიაში არის პატარა ქალაქი ფრიქსპოლისი, ცხლანდელი იდეისა, კარგად გამაგრებული ადგილი კოლხიდის საზღვარზე“. სავარაუდებელია, სტრაბონის მიერ მოხსენიებული იდეისა ძველი ქართული წყაროების (ლეონტი მროველი, „ქართლის მოქცევა“), ოძრეა. ეს უკანასკნელი დღევანდელი აბასთუმნის მიდამოებშია ლოკალიზებული და თავის დროზე, როგორც მოსაზღვრე ციხე — კეტავდა ზეკარის გადასასვლელსა და დასავლეთ საქართველოში გარდამავალ გზას (ლ. ჟილაშვილი). მაშინ გამოდის, რომ ახ. წ. II—I სს კოლხეთის შემადგენლობაში მოქცეულ „მესხების ქვეყნის ნაწილი“ მოიცავდა დღევანდელი ლაღა-ახალციხის ქედის (რომელსაც სოლინი „მოსხების მთებს“, ხოლო ვახუშტი ბაგრატიონი „მოსხის მთებს“ უწოდებს) სამხრეთ კალთებს მინც. ეს ტერიტორია უშუალოდ ევერის ვანის „ქვეყანას“ და მისგან ზემოაღნიშნული ქედითაა გაყოფილი. ამიტომაც შესაძლოა სტრაბონს თუ მის ინფორმატორს, ასეთი უშუალო სიახლოვის გამო, ვანის სანახებდა „მოსხების ქვეყანად“ მიეჩნია (საინტერესოა, რომ ამჟამადაც ვანის რაიონი ეკონომიურად: ტყით, სამოვრებით მკიდროდა

**3 Г. А. Меликишвили, К истории... გვ. 116.**

4 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I, თბ. 1950, გვ. 261.

5 ძველი ქართული წყაროების მიხედვით, ეს ოლქები უფრო გვიანაცაა ქიშობის საგანი, ვიდრე ახ. წ. I ს. 60-იან წლებში ქართლის სამეფო კვლავ საბოლოოდ არ შემოიმტკიცებს მას („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 50).

1 ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 226.

**2 Г. А. Меликишвили, К истории... გვ. 114.**

**ოთარ ლორთქიფანიძე**  
„მანის ძალაქი“



ახალიცხე-ადიგენის ოლქებთან დაკავშირებულ  
ლო). ამას გარდა, გამორიცხული არაა მესხთა  
ცალკეული ჯგუფების კოლონიზაცია რიონის  
დაბლობში.

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღიარე-  
ბულია მესხური ტომების შემოჭრის ფაქტი  
აღმოსავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ ად-  
რეოლინისტურ ხანაში და მათი როლი ქართ-  
ლის სამეფოს შემქმნის საქმეში. საკმარისია აღი-  
ნიშნოს, რომ ამ სამეფოს სახელწოდებაც —  
მცხეთა, მესხების ეთნიკურ სახელთანაა და-  
კავშირებული. გ. მელიქიშვილის აზრით, ამ  
დროს მესხური ტომების მომარაობის არეში  
მტკეპა აგრეთვე დასავლეთ საქართველოს  
გარკვეული რაიონებიც. შესაძლოა სწორედ  
ამის ანარკელი იყოს სტრახონთან (XI, 2, 14)  
და ზოგიერთ სხვა ავტორთან შემონახული  
ცნობა, რომლის თანახმად მოსხები (კერკე-  
ტებთან ერთად) კოლხების უშუალო მეზობლე-  
ბად და ზღვის პირის მცხოვრებლებად არიან  
წარმოდგენილი.

ასევე, რიონის დაბლობში ცალკეული მე-  
სხური ჯგუფების ელინისტურ ხანაში კოლო-  
ნიზაციის შედეგი უნდა იყოს ზოგიერთი ტო-  
პონიმიური მონაცემებიც. ასე მაგ. ლიონტი  
მროველის ცნობით, ქართლის პირველმა მეფემ  
ფარნავაზმა (ძვ. წ. III საუკუნის 70-იანი  
წლები) „აღამუნა ორნი ციხენი, შორაპანი და  
დიშნა“. ეს უკანასკნელი, დღევანდელი მთი-  
კოჭის მახლობლად, სოფ. დიშანაა (და  
მასადადმე, ვანის „ქვეყნის“ მოსაზღვრედ)  
აღმოჩენილი. გ. მელიქიშვილის აზრით, ეს  
სახელი მცირეაზიული წარმოშობისაა და  
მისი დამკვიდრება აქ მესხური ტომების შე-  
მოჭრას უკავშირდება. იმავე რიგის ტოპო-  
ნიმდაა მიჩნეული ლიხის „ტილფისი“,  
რომელიც სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ სოფ. ტო-  
ლუბთანაა (გურიამი) ლოკალიზებული და სხვ.  
ასე, რომ უკვე ელინისტური ხანიდან უნდა ვი-  
ვარაუდოთ დღევანდელ დასავლეთ საქართვე-  
ლოში პონტოს ქედის სამხრეთ კალთებზე (ის-  
ტორიული „მოსხთა ქვეყანა“) დამკვიდრებუ-  
ლი მესხური ტომების თანდათანობით შემოჭ-  
რა, რაც თვალსაჩინოდაა ასახული ახ. წ. VI  
ს. ბიზანტიელი მწერლის — პროკოპი კესარი-  
ელის ცნობებში („გუთებთან ომი“, VIII, 2,  
„სპარსელებთან ომი“, II, 28, III, 14), რომ-  
ელთა ანალიზის საფუძველზე გ. მელიქი-  
შვილი ასკვნის: „ამ ცნობებში მესხები წარ-  
მოდგენილი არიან ქართლ-იმერეთის ქედისა და  
მესხური მთების დასავლეთ კალთების ანუ  
ზემო იმერეთსა და გურიის მცხოვრებლებად“.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის მიხედ-

ვით, ვფიქრობთ მოულოდნელი აღარაა, რომ  
იყოს სტრახონის მიერ რიონის დაბლობის  
გარკვეული ნაწილის „მოსხთა ქვეყნად“ გა-  
მოცხადება და შესაბამისად ლეკეთიას სახე-  
ლით მოხსენიებული სატაპრო ქალაქის მდ.  
რიონის ხეობაში ლოკალიზაცია, რამდენსადაც  
მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მა-  
ნიშნებლად დასახლებულია მდ. ფასის-  
რიონი და მისი შენაკადები: პიპოსი — ცხენის-  
წყალი და გლავეისი — სულორი (?). თუ  
სწორია ეს ვარაუდი, მაშინ ვიმეორებთ, შეიძ-  
ლებოდა სტრახონის მიერ აღწერილი ამ „მდი-  
დარ“ სატაპრო ქალაქად მიგვეჩინა ვანის ნი-  
ქალაქარი, რომელიც მდებარეობს მდ. რიონის  
პარცხენა ნაპირზე (მისი დღევანდელი კალა-  
პოტიდან 1,5—2 კმ-ის დაკილვებით) მდ. სუ-  
ლორის ხეობაში, და რომელიც სადღესამდ  
გამოვლენილი ძეგლებით, სწორედ სატაპრო  
ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ქანი რომ თავის დროზე ძალზე მდიდარი  
ქალაქი ყოფილია, თვალსაჩინოდ მოწმობს არ-  
ქეოლოგიური მონაპოვარი. გათხრებისას აღ-  
მოჩენილი მრავალრიცხოვანი ქვათლილები,  
მრავალფეროვანი არქიტექტურული დეტალები,  
ქვისა და მარმარილოს პროფილირებული  
კარნებები, სვეტის ნაწილები, კედლის მო-  
სართავი დეკორატიული ქვის ჭურჭლები და  
მონუმენტური სკულპტურული გამოასახლე-  
ბანი (ლომის თავები), ოდესღაც რომ ამკობ-  
დნენ საკულტო თუ საზოგადოებრივი დანიშ-  
ნულების შენობებს, ნათელ წარმოდგენას  
გვიქმნიან ამ დიდებული ქალაქის გარგნულ  
ბრწყინვალეებაზე. ქალაქის სიმიდობის ყვე-  
ლაზე უფრო მკვერთმეტყველი მოწმობაა მაინც  
ოქრო-ვერცხლის ნივთების სიმრავლე. ჯერ კი-  
დეც 1876 წელს გაზეთი „დროება“ (№ 52)  
წერდა: „ისე წვიმა არ მოვა, რომ ახლედია-  
ნების კარებთან არ ჩამოიტანოს გორიდან ნი-  
აღვარმა ხან ოქროები, ხან ოქროს ძეწვეი,  
ხან ბეჭდები, ხან რა და რა ნივთიულობა...“  
ვანში ოქროს ნივთების ხშირ აღმოჩენებზე  
წერდნენ აგრეთვე გიორგი წერეთელი, ა. სტო-  
იანოვი და ე. თაყაიშვილი. და ბოლოს, რო-  
გორც ცნობილია, ოქროსი და ვერცხლის ნი-  
ვთები ძალზე მრავლადაა ნაპოვნი ვანში ნინო  
ხოშტაროს ხელმძღვანელობით ჩატარებული  
გათხრებისას. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1961  
წელს აღმოჩენილ ძვ. წ. IV საუკუნის მხოლოდ  
ერთ სამარხში ვერცხლის, ბრინჯაოს და პო-  
ლიქრომული მინის ჭურჭლებთან ერთად ნა-  
პოვნია ათასზე მეტი ოქროს ნივთი — სამ-  
კაული. მათ შორისაა მძაღლმხატვრული ოს-  
ტატობით შესრულებული მრავალფეროვანი სა-  
მაჭურები — ჭიხვის, ხბოს, ირმის თავის სკულ-  
პტურული გამოასახლებებით დამშვენებული.  
აგრეთვე ბეჭდები, ნაირსახოვანი საყურეები,  
მიწეები, დიადემა, ფიალები და სხვ. მდიდრული

1 გ. ცქიტიშვილი, ანტიკური ხანის  
შორაპანს საეროსთაის საკეთიხისთავის, „საქ.  
ისტ. გეოგრ. კრებული“, II, 1964, გვ. 83.



სამართლები და ცალკეული ოქროს ნივთები ნაპოვნი ნაქალაქარს სხვადასხვა უბნებზე- დაც და ვანის მუხობელ დაბაშიაფლებში.

ვანში დაგროვილი სიმდიდრის დასაცავად იყო, როგორც ჩანს, აგებული მრავალრიცხოვანი კოშკებითა და კოშკურებით გამაგრებული მძლავრი თავდაცვითი კედლები და ორმაგი რიგის კართი დაკული კარიბჭე. ეს გასაყებიცაა: სატაპრო ქალაქები უამრავ შემოწირულებითა და ფართუ სასაქონლო მეურნეობის წყალობით უმდიდრეს ორგანიზაციას წარმოადგენდნენ და ცნობილია, რომ დაღის კარგად ორგანიზებული სისტემა ჰქონდათ და საკუთარი ძლიერი არმიაც ჰყავდათ. სწორედ ეს აურაცხელი სიმდიდრე გახდა, უნდა ვიფიქროთ, მიზეზი ვანის ძველი ქალაქის ბრძაროსული ნგრევისა, რაც აგრეთ ნათლად ჩანს არქეოლოგიური გათხრების პროცესში: ძლიერი ხანძრისაგან გაწითლებული ალიზის და ქვის კედლები, ზოგჯერ საძირკვლიანად დანგრეული ნაკვობანი, დანაწირებულ ხის ძელები და კოშკები; გადამწყვარი და თითქმის წიდად ქცეული კრამიტები, თიხის კურკლები და სხვ. ნივთები.

ლევკოთეას „მდიდარი“ სატაპრო ქალაქი, სტრამონის ცნობით „ჯერ ფარსაქემ და ცოტა მოგვიანებით, მითრიადატე პერგამონელმა გაძარცვეს“ (XI, 2, 17), აქ დასახლებული ფარსაქე, პონტოს მეფის მითრიადატე ევატორის ვაჟი, ძვ. წ. 63—47 წწ განაგებდა ბოსფორის სამეფოს. მის მიერ კოლხეთის დალაშქერის შესახებ ცნობა მოგვცემა დიონისიუსის (XVII, 45, 4). ეს ლაშქრობა, როგორც ფიჭვბრენი, ძვ. წ. 59 წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო, ხოლო ძვ. წ. 47 წელს ფარსაქე იღუპება აჩანყებული მოხელის მანდრეს წინააღმდეგ ბრძოლაში. მანდრეს დასჯას და ბოსფორის შემოტევილებას რომაელები ავალბენ პერგამონის მეფეს მითრიადატე VII (ანუ როგორც მას უწოდებენ — მითრიადატე პერგამონელს), რომელმაც ძვ. წ. 47 წელს გაილაშქრა ბოსფორზე და იქვე დაიღუპა. სწორედ ამ დროს, ბოსფორში მსვლამდე გაძარცვა მან (როგორც ფიჭვბრენი საომარი ოპერაციებისათვის აუცილებელი მდიდარი ნადავლის ხელში ჩაგდება მიზნით) და უმოწყალოდ დაანგრია კოლხეთში ლევკოთეას სატაპრო ქალაქი. ხანმოკლე დროს მანძილზე ქალაქის ორჯერ დანგრევის კვალიც, ჩვენი აზრით, საკმაოდ ნათლად ჩანს ვანის ნაქალაქარზე, განსაკუთრებით — ცენტრალური ტერასის აღმოსავლეთ ფერდობზე. არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ ქალაქი დანგრეულია ძვ. წ. I

ს. პირველ ნახევარში (უფრო გვიანდელი მასალები ნაქალაქარზე, როგორც წესი, არ ჩანს). ქალაქის ცხოვრების სულ უკანასკნელი ეტაპი წარმოდგენილია ქვისა და ალიზის თავდაცვითი კედლების ნანგრევებით. ცენტრალური ტერასის აღმოსავლეთ ფერდობზე, კარგად ჩანს, რომ ეს სასიმაგრო კედლები სასწრაფოდ, ყოველგვარი წინასწარი მომზადებისა და სათანადო საძირკვლის გარეშეა დაშენებული თიხნარ ფენაზე, ხოლო ეს ფენა, რომელიც მრავლად შეიცავს სხვადასხვა არქიტექტურულ დეტალებს, თავის მხრივ რამდენადმე უფრო ადრე, აგრეთვე ძლიერი ნგრევისგანაა წარმოქმნილი. ამ ფენაშიც, ძვ. წ. I ს. პირველი ნახევარის კერამიკული ფრაგმენტები და მონეტები გვხვდება. ასე, რომ საკმაოდ ხანმოკლე დროს მანძილზე ძვ. წ. I ს. პირველ ნახევარშივე ქალაქი ორჯერაა დანგრეული. ეს არქეოლოგიური მონაცემებიც ეთანხმება სტრამონის შემოთხრობად ცნობას ლევკოთეას სატაპრო ქალაქის ორჯერ გაძარცვის შესახებ (ჯერ ფარსაქეს, ხოლო შემდეგ მითრიადატე პერგამონელის მიერ).

დაბოლოს, უნდა შევეხებით კიდევ ერთ საინტერესო, მაგრამ იმავე დროს მეტად რთულ საკითხს: რომელი ღვთაების სახელებზეა აგებული ეს სატაპრო ქალაქი? მართალია, სტრამონი ამ ღვთაებას ლევკოთეას უწოდებს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ესაა ადგილობრივი ღვთაება, რომელიც გარგვეული ნიშნებით უახლოვდებოდა დასახლებულ ბერძნულ ღვთაებას. რომ ბერძნებისათვის, უტოხო ხალხის რელიგიური კულტების აღწერისას, ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, მოვიტანთ პეროდოტეს ცნობას სკვითების ღვთაებათა შესახებ: „ისინი (სკვითები — ო. ლ.) თავიანთ სკმენ შემდეგ ღვთაებებს: ყველაზე მეტად ჰესტიას, შემდეგ ზევსსა და ვეას... შემდეგ აპოლონს, აფროდიტეურანიას, არესს და ჰერაკლეს... ჰესტიას სკვითურად ეწოდება ტაბიტი, ზევსს—პაპე ვეას—აპი, აპოლონს—პოიტისინი“ და ა. შ. (IV—59). სკვითური რელიგიის მეკლევარები ამტკიცებენ, რომ პეროდოტე სკვითთა ღმერთებს ბერძნული რელიგიის პერსონაჟთა სახელებით რაიმე ფორმალური ნიშნებით (ან მით უფრო, სახელობა თანხედომის გამო) კი არ მოიხსენიებდა, არამედ ემყარებოდა სკვითებისა და ბერძნების ღვთაებათა სიახლოვეს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს ამ ღვთაებათა იდენტურობას.<sup>3</sup>

3 М. И. Артамонов, Антропоморфные божества в религии скифов, «Археологический сборник», (Гос. Эрмитаж) 2, 1961, стр. 57 და შემდ.

1 იხ. А. Г. Периханиян, დასახ. ნაშრ. 33. 77—81.

2 В. Ф. Гайдукевич, Воспольское царство, М.-Л., 1949, стр. 313.

მთარ ლტომიერისიმი „ვანის ძალაში“



ვანი რომ წმინდა ადგილობრივი, კოლხური ქალაქი, ეს არავითარ ექვს არ იწვევს. ამის მოწმობაა არქეოლოგიური მონაპოვარი, სადაც ადგილობრივ ნივთიერ კულტურას წამყვანი ადგილი უკავია. ძალზე ნიშანდობლივია, რომ ტარბეში ძირითადად ადგილობრივი შეწირულ-ლობა წარმოდგენილი (უშირატესადა თიხის ქურქელი), რომელიც ქალაქის მკვიდრთა გემოვნებასა და რწმენას შეესაბამება. ამასთან ერთად შეიმჩნევა ელინისტური კულტურის ძლიერი გავლენაც, მაგრამ ეს საეგზეთი გასაგებია და ბუნებრივი: ელინისტური კულტურის გავლენა ამ დროს საკმაოდ ძლიერია მახლობელი აღმოსავლეთის ყველა მოწინავე ქვეყანაში (ბებრია, სომხეთი, ირანი), რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბერძნულ-ელინისტურ სამყაროსთან... ასე რომ, ლეკოეთის სახელთან უნდა ვგვაზღვროთ რომელიმე ადგილობრივი ღვთაება.

ლეკოეთა ბერძნული მითოლოგიის ძალზე საინტერესო და იმავე დროს, შეიძლება ითქვას, მჭიდროდ დაკავშირებულია. ამ სახელს ბერძნული სამყაროში, ზოგადად უფროდებდნენ ნათელ, თეთრ (ან თეთრად მოციმციმე თუ მოვლვარე) ქალღმერთებს და ამ ეპითეტით ჩვეულებრივ იხსენიებდნენ ინოს, ნერეიდებს და ზღვის ღვთაებებს. მაგრამ ფართოდ გავრცელებული მითოლოგიური ვერსიის თანახმად, ლეკოეთის უწოდებდნენ ბეოტიის მეფის ასულს — ინოს. იგი (ინო-ლეკოეთა) ზღვის ქალღმერთია: ზღვასთანაა მფარველი და გადამრჩენი. მაგრამ ინო-ლეკოეთის რელიგიური ბუნების შესწავლის საფუძველზე ამტკიცებენ, რომ თავისი წარმოშობით ინო-ლეკოეთა ნაყოფიერებისა და მოსაღვიანობის ღვთაებაა. ამის მოწმობაა მიჩნეული ინო-ლეკოეთის პატესაკემაღ შესრულებული მსხვერპლშეწირვისა და სხვა რიტუალის ხასიათი, აგრეთვე ზოგიერთი გადმოცემა, რომელიც პარალელს დემეტრეს კულტთან პოულობს. ამას გარდა ინო-ლეკოეთა ბერძნულ მითოლოგიაში გვევლინება, როგორც მხსნელი და აღმზრდელი დიონისეს — მცენარეულობის, მეგენახეობისა და მედინეობის ღმერთისა. ლეკოეთის რელიგიური ბუნების შესასწავლად მნიშვნელოვანია აგრეთვე თქმულება ტელქინებზე, კუნძულ როდოსის პირველ ქურუმებზე. მათ ასწავლეს როდოსის მცხოვრებლებს ლითონის მოპოვება და მისი დამუშავება, გამოიგონეს წისკელი და მრავალი სხვა. ტელქინებს ჰყავდათ ერთი და — ჰალია, ბოსელიონის ჰატრადო, რომელიც აპოლონის რისხვით შემინებულ, ზღვაში გადავარდა და იქა ლეკოეთად (ჰალია ლეკოეთა). ეს უძველესი მითოლოგიური ვერსიაც გვიჩვენებს ლეკოეთ-

ის რელიგიური ბუნების მრავალფეროვნებას. მაგ. ლეკოეთის კელტი ზოგიერთ ადგილებში მელიკინის მფარველი ღმერთის ასკლემპიოსის გვერდით მოიხსენიებოდა და მშობიარობის მფარველ ქალღმერთთან იყო გაიგივებული. ამასვე უნდა დაეუმატოთ, რომ ლეკოეთის კელტი სხვადასხვა სახით ფართოდ იყო გავრცელებული ბერძნულ სამყაროში და საერთოდ მთელს ხმელთაშუაზღვისპირეთში (ეგვიპტეში მაგ. იყო ლეკოეთის ქალაქი „ურბს ლეკოეთა“). ასეთ ვითარებაში როდესაც თითქმის შეუსწავლელია ანტიკური ხანის კოლხეთის რელიგია და სამაისო წყაროებზე არაა გერსათანადოდ გამოკვლილიც კი, ძალზე ძნელია დადგენა, თუ რომელი ადგილობრივი ღვთაება გაიგივებს ბერძნულ ლეკოეთასთან. უნდა შევინშნოთ, რომ ამგვარი იდენტიფიკაციის საფუძვლის განსაზღვრისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, ვინაიდან ძველადვე სხვადასხვა ხალხთა ღვთაებების გაიგივება მხოლოდ ზოგიერთი ფორმალური ნიშნით ხდებოდა. ასე მაგ. იგივე ლეკოეთასთან აიგივებენ ძველ იტალიურ ღვთაებას „მატერ მატურას“ (დილის თუ გათენების ქალღმერთის), ალბათ იმიტომ რომ ყოველწლიურად (II ივნისს) მის პატესაკემაღ გამართული დღესასწაულებას (ე. წ. მატრალიები) დღემდე საკუთარი ზეგნების ნაცვლად ხელში აყავდათ დისწულები: ინო-ლეკოეთაც ხომ დისწულის — დიონისეს აღმზრდელად ითვლებოდა...

ლეკოეთა, როგორც ენახეთ, განაყოფიერებისა და საერთოდ მიწისმოქმედების, კერძოდ მედიცინა-მევენახეობის (როგორც დიონისეს აღმზრდელი) მფარველი ღვთაება (ინო-ლეკოეთა). ამავე დროს ზოგჯერ იგი გვევლინება, როგორღაც მკვდელ-მელითონეთა მფარველ ღვთაებასთან კავშირშიც (ჰალია - ლეკოეთა), ზოგჯერ იგი ავადმყოფთა და, კერძოდ, მშობიარე ქალთა მფარველი ქალღმერთია (ელეაია - ლეკოეთა)... მაგრამ ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ ფაქტს, რომ ლეკოეთა თავისი გარეგნული სახით მაინც, წყლის ღვთაებაა, ყოველ შემთხვევაში, ბერძენთა რელიგიური წარმოდგენებით იგი წყლის მცხოვრებია (ბერძნული სახელით ხელოვნების ძეგლებზე ლეკოეთა გამოსახულია ზღვის ცხოველებით გარშემორტყმული ან ზღვის ვერძზე ამხედრებული თმაგაშლილი ქალის სახით) და მისი რელიგიური-მითოლოგიუ-

1 ამ თვალსაზრისითაცაა ალბათ საინტერესო ვანის ნაქალაქარე აღმოჩენილი და ზემოთ უკვე ნახსენები წყება ძეგლებსა, რომელნიც დიონისეს კულტთან არიან დაკავშირებული.



რი სახეც წყალთანა დაკავშირებული 1... ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ლეკოთეას სახელით სტრაბონი იხსენიებს კოლხეთის პანთეონის ერთ-ერთ უზენაეს ღვთაებას, რამდენადაც იგი სახელზეა აგებული კოლხეთის ყველაზე უფრო მდიდარი და ცნობილი სამლოცველო. ეს ღვთაება, როგორც ჩანს, ისევე როგორც ბერძნული ლეკოთეა, იყო, ნაყოფიერების ღვთაება, მაგრამ გააზრებული იყო, როგორც წყლის ქალღმერთი.

ვანში აღმოჩენილი ქალაქი რომ სწორედ ქალღმერთის სახელზეა აგებული, დასტურდება არქეოლოგიური მასალით: ნაქალაქარის კარიბჭესთან, ქვიშაქვის სწორკუთხა პოსტამენტზე აღმართულია 67 სმ. სიმაღლის სწორკუთხა სვეტი, რომელზედაც დგას თითქმის კვადრატული მარმარილოს კვარცხლბეკი. მის ზედა ნაწილში ამოკვეთილია სწორკუთხა ფაოსი, რომლის ნაპირები ტყვიითაა შევსებული, შიგნით კი შემორჩენილია ტყვიითვე ჩამაგრებული წვრილპარცკლოვანი მარმარილოს ფრაგმენტები, როგორც ჩანს, — ქალაქის მფარველი ღვთაების ქანდაკების ნაშთები. იქვე კედელზე ბერძნული ასოებით ამოკაწრულია: „გვედრები მუფე (ქალღმერთი)“ 2 ეს ქალღმერთი რომ ნაყოფიერების ფუნქციის მატარებელი იყო, შესაძლოა ამის დამოწმება იყოს კარიბჭესთან ვამართულ ტაძარში—საკურთხეველთან აღმოჩენილი შემწირულობის ხასიათი: ნაპოვნი ამფორები, რომელთაგან ორი ფეტვის მარცვლებით იყო სავსე. ფეტვი კი, მეგრული და სვანური ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით დიდ როლს ასრულებდა ნაყოფიერების ღვთაებებთან დაკავშირებულ საეულბო რიტუალებში. მისი გადმოჩენითა, როგორც ჩანს, სპეციალურად ახალი წლის საღვთისწაფლო რიტუალებში შემორჩენილია წესი: „ფეტვიან მუქს მეკვლე წყალში სამეგრ ჩაყოფდა და სინჯავდა, თუ ფეტვი მშრალი იყო, წელიწადი ტაროსიანი იქნებო, თუ სველი — ავღრიანი“ (ს. მიაკალია). მოსავლიანობის ღვთაებისადმი ფეტვის შეწირვა სვანეთშიცაა დადასტურებული (ვ. ბარდაველიძე) 3.

1 დანწ. Preller, Griechische Mythologie, I, გვ. 601 და შემდ. აგრეთვე წერილები ლეკოთეას შესახებ პაულისა და ვისოვას, როშერის, დარამბერისა და სალიოს ლექსიკონებში.

2 მ. ყაუხჩიშვილი, ვანის ბერძნული წარწერები, საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე, XVIII, № 1, 1967.

3 ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 121—124. მ. ისიკვე, სვანურ ხალხურ ღვთაებათა კალენდარი, თბ. 1939, გვ. 28.

მაგრამ ეს ფაქტები, რა თქმა უნდა, სრულყოფილია არაა საკმარისი, ვანის მფარველი ქალღმერთის ლეკოთეად გააზრებისათვის, რამდენადაც ეს უქანასკნელი ძირითადად მიანიჭებს წყლის ღვთაებას. ნაყოფიერების ფუნქციის მატარებელი წყლის ღვთაებათა დასებობა ძველ კოლხეთში არაერთი მონაცემით დასტურდება და ამ გარემოებას (წყლის კულტის ფართოდ გავრცელებას) გეოგრაფიული გარემოს სპეციფიურობით ხსნიან (კოლხეთის დაბლობის წყალუბიანობით) 4. ბერძენ მწერალს ფილოსტრატე უმცროსს, მდინარე ფასისში თითქოს უნახავს წყლის ღმერთის გამოსახულებაც. ძალზე საინტერესოა, რომ უძველეს კოლხურ მონეტებზე (ძვ. წ. VI—IV სს კოლხური თეთარი) ამომსახული ქალღმერთის იკონოგრაფიულ სახეს ანალოგიურ უძებნავს სირაქუსის მონეტებზე გამოსახულ არტემისთან (ს. მიაკალია, ა. ზოგრაფი, დ. ლენვი) და მასმასადაც, წყლის ღვთაებასთან: წყლის ღვთაებათა კულტის გადმონაშთები დასავლეთ საქართველოში უცნაურად ხანუმაშვდა შემორჩენილი, თუმცა ძლიერ სახეცვლილი (ქრისტიანული რელიგიის გავლენა ამს მიხეხი). აღსანიშნავია მაგალითად, სამეგრელოში შემორჩენილი დღესასწაული „მესლეობა“. ხალხის წარმოდგენით „მესლევი იყო წყლის ღვთა. რომელიც ამ დროს ზღვიდან ამოდიოდა“... ამას გარდა, გავრცელებული იყო რწმენა წყლის ღვთაზე („წყარბში ღვდა“), რომელიც „თეთრი ქალიშვილის“ (I) სახით იყო წარმოდგენილი 5. (გაეხსენოთ, რომ ლეკოთეა სატყუარსიტყვით „თეთრ ქალღმერთს“ ნიშნავს).

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ სტრაბონის ცნობებში ლეკოთეას სატყუარსიტყვის შესახებ ასახულია ვანში აღმოჩენილი ნაქალაქარი. ამით ვერ წყდება, რა თქმა უნდა, ნაქალაქარის ძველი ადგილობრივი სახელწოდების საკითხი (რამდენადაც ლეკოთეა, ჩვენი აზრით, იმ კოლხური ღვთაების სახელის ბერძნულად გააზრება, რომლის სახელზეცაა აგებული ეს სატყუარსიტყვი). ვერაჭირობით ახალ აღმოჩენებამდე; კვლეე უნდა ვიხმართო ვანის ნაქალაქარი“ ან „ვანის ქალაქი“, მით უფრო, რომ ეს ტერმინი („ვანი“) საკმაოდ არქაულია და ამ სახელის მატარებელი გეოგრაფიული პუნქტები ჩვენში უძველესი ქართული ლიტერატურული წყაროებითაა დადასტურებული.

4 დანწ. თ. მიქელაძე, ფასიანები... „მასალები საქართ. და კავკ. ისტ.“ 32, 1955.

5 ს. მიაკალია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ. 1941, გვ. 331—337.



პიგალი კოროვიჩი

## ამოძახილი

უკრაინელმა პოეტმა ვიტალი კოროტიჩმა ინახულა ამერიკა ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ის მღვლეარებით საესე დღეები დაიწყებოდა. შეხედა მარტინ ლუთერ კინგსაც. მის თვალწინ გადაიშალა რასობრივი უთანასწორობისა და ზანგი მრსახლეობის ტანჯვა-წვალების საზარელი სურათი.

„ამოძახილი“ უმეველად შევა ამერიკაზე დწერილ საუკეთესო ნაწარმოებთა ციკლში.

დაუტყვევ ევ უდაბნო,  
დაუტყვევ-მეთოქი,  
და მოთხარი, ო, მოთხარი,  
რა განცდა დაგეუფლა,  
უდაბნოდან რომ გამოხვედი

(ზანგების საეალობლებიდან — ასპირიჩუ-აოლს).

მოთხარით, მოვისმენიათ თუ არა ოდესმე მუსიკა, ისეთი მუსიკა, პირში სიმწკლარტეს რომ გაცრძნობინებთ, ხელებს ავატიციებთ, შუბლს ოფლით დაღვრვარავთ და გულში ყრმობის სიმღერას ავილიინებთ? თქვენ გგონათ სიყმაწვილის ლაღი განცდა აღარასოდეს განმეორდებოდა. ის სიმღერა დიდა ხანია მიგაგიწყდათ, სიტყვებიც აღარ გავონდებოდათ, მაგრამ ყველაფერი თავიდან დაიწყეთ, დაიწყეთ პირველი აჟორდის აქტერებისთანავე.

სამი ადამიანი უკრავს, ისინი თქვენ არ გიცქერნიან, არც ერთმანეთს უყურებენ: კონტრაბასს თავისი სათქმელი აქვს, საქსაფონს — თავისი, დოლიც თავისას ბუბუნებს.

მოთხარით, როცა ოთახში პაერი შესუთულია, სიგარეტები გაგითავდათ, უკანასკნელი ფინჯანი ყავა დალეულია, ხელები კი თამბაქოს, მუშაბისა და სანთლის სუნითა გაკვეთილი — სანთლისა, წამისწამ ნამწეს რომ აცლიდით — ხომ არ გიფიქრიათ მაშინ, რომ არსებობს ამქვეყნად მგლოდია, რომელსაც შეუძლია ძილი გაგიფრთხოთ, ფეხზე წამოაყენოს ყოვლად გულგრილი ადამიანი და აიძულოს იფიქროს, მაშინაც კი, თუ ფიქრს დიდა ხანია გადაჩვეულია?

უსმენ კოულმენის ტრიოს, მისი თეთრა საქ-

საფონის ოქროს ბგერებს, რომელსაც ჩახლართვია ჩარლი მოფატის დოლის მრთოლვარე რიტმი და კონტრაბასისტ დევიდის ყრუ ბუტბუტი.

ამერიკაში ამჟამად ყველაზე სახელგანთქმული ტრიო ბნელში უკრავს, რის გამოც მემქსიკეთა შავი ხელები და სახეები სადღაც ინთქმება, ჩანს მხოლოდ თვალები და კონტრაბასის ოდნავ განათებული სიმები. იწყება მუსიკა. ეს არ ვახლავთ სასიმღერო ან საცეკვაო ჰანგ. თქვენ ისმენთ მოუსვენარ, მშფოთვარე მუსიკას და ეს ზრინვა თუ დუმილი ტალღა-ტალღად რომ წყდება საქსაფონის თეთრ მილს — ბოზოქარი მუსიკაა მე ვესმენდი მათ კაფეებია და კლუბებში, დაეცებდი აბრებს, ვეკრთებოდი ნაცნობებს მათი გამოსვლის ადგილს. შემდეგ კი ზანგების ეკლესიაში მოვხვდი და მოვისმინე სპირიტუალს — ფსალმუნები. ის ფსალმუნები, რომლითაც ზანგები მიმართავენ ღმერთს, მიმართავენ ერთმანეთს. მაგალია გქესონის ხმაც პირველად იქ გავიგონე. ოპ, როგორ მღეროდა ის ქალი. განსვენებულ ჯონ კენედის — ამერიკის შეერთებული შტატების ოცდამეოთხეტიტე პრეზიდენტს ფსალმუნს რომ უგალობდა! შემდეგ კი გაისუნვა ზანგების პველიაველი სიმღერა: „ოპ, უფალო. რად არ შემწვევს ძალა, მეც შენსავით წყალზე ვიარო, მაშინ ხომ ვეღარ წამომეწეოდნენ ძაღლები და ნაყუწ-ნაყუწ ვერ დამფლტოდნენ“.

ეს ოღინდელი სიმღერა იმაზე, როგორ გარბოდნენ მონები მისიობიდან ჩრდილოეთისაკენ.



ამ სტრიქონებს კი წყერ გულგრილობაზე. რომელსაც ადამიანი ვერსაით გაემტყუა.

აშკარაში არ არსებობს მონობა. ბორკი-ლები და ჭაწვეები დიდი ხანია მუხუტულს ჩაბარდა. სპირიტუალსებიც ისტორიული სიმღერებია, მაგრამ მართო, ჭაჭვი როდია ადამიანის ნებისყოფის შემობრკელება.

მე ვნახე შავი ლეოსმშობელი, შავი ლეოსმშობელი და ყრმა იესო. ეს ხატი მიჩვენა ერთ-მა ლოს-ანჯელესელმა დირიგორმა, რომელიც ხელოვნების იშვიათ ნიმუშებს აგროვებდა. ყველა ერს სწავდა, საკუთარი ისტორია ჰქონოდა.

შავსა და თეთრ, ყვითელ და წითელკანიან ადამიანებს სურთ ნახონ ფილმები საკუთარ თავზე. სურთ უმოძღვრონ შეილებს საკუთარი ისტორია, ამერიკელი ზანგების უდიდესი ტრაგედიაა ის, რომ თეთრკანიანები მათ მფორებარისხეივან ადამიანებად თვლიან.

ყურნალ „ეპონის“ (ეს ყურნალი ჩიკაგოში გამოდის) შავი, საოცრად შავი თანამშრომელი მასაგულ ზემს გვერდით ღვას და თითებს რიგრიგობით ხრის: „გამობრძანდით საღამოს მიჩიგან-აუენილზე, დანახავთ, როგორ მიხარბაცებს ცხრა მთერალი მამაკაცი, მათ შორის მხოლოდ ერთია ზანგი, ჰოლა, შეუღლებულია, ვინმემ არ წამოიბახხს: „ერთი შეხვით იმ შავკანიანს, კიდევ გაღეშილა საღდაც!“. თუ თეთრკანიანები ტბაზე სროლას ასტეხენ „ჩიკაგო სან ტრისი“-დაწერს: „სროლა ცენტრში“, მაგრამ შავკანიანი ბანდიტი რომ დაიჭირონ, მანძინ დაბეჭდვენ: „ზანგმა მოკლა ბავშვი“.

მასაგულმ იცის, რა არის ყურნალისტიკა, იგი ხომ ყურნალ „ეპონის“ რედაქტორის მოადგიულა. ეს ზანგების ყურნალია. გამოდის კიდევ „ტენის“, „ვეტი“, „ნიუიუ დიკენსტი“, მაგრამ „ეპონი“ ყველაზე პოპულარულია. ჩიკაგოს ცენტრიდან 151-ე ავტობუსს უნდა გაჰყვეთ ვაშინგტონის ქუჩამდე, აქედან კი მესამე ავტობუსით მეთორმეტე ქუჩისკენ გაემგზავრებოდნენ. ეს უკვე ზანგების რაიონია. იქ არის სახლი. შორიდანვე მოჩანს მისი ბათქაშამოცლილი, დამსკდარი ფასლი, რადგან ზანგების ყურნალი — ეს ზღარეცილი აბრა და ბინძურშუშუბიანი კარია. ზანგი მართო შავკანიანს როლი ნიშნავს, ზანგი გეტოა—მუშტივით შეკრულ-შეკუმშული გეტო, რომელიც ყოველ წაბს მხად არას აფეთქდეს, აფეთქდეს დეტროიტში, ჩიკაგოში, მილვაგოში. ეს საბინელებია. არაკის ასამართლებენ ლინჩით ჩიკაგოში, ნიუ-იორკში, არც ლქონსფრად დაფერილ სან-ფრანცისკოში.

ღიბ. გეტო, გეტო! 120-ე ქუჩაზე ზანგების რესტორანში შევედი და დახლსკენ გავემართე. არც ერთი შავკანიანი ახლოს არ გამკარებია. ნახევარი საათის შემდეგ თეთრკანიანი პოლიციელი შემოხვებდა, გვერდით მომიჭდა და კბილებში გამოსტრა: „წასულიყავი აქედან, დღეს უშენოდაც ბევრი თავსატეხი საქმე მაქვს!“

ღიბ. მე სხვა სამყაროს ვეკუთვნოდი, თვითონ ვნებურად ვადვალხებ სადემარკაციო ხაზი, ამიტომაც ტომაც იყო, რომ ადამიანები გაცილებული შე-მომიქტროდნენ. ვერ გარკვეულიყვნენ, რა მოხდა... არა აქ ასეთ: ჰამენ, სემენ, ერთმანეთს ეტრფიან, მაგრამ თეთრკანიანები თეთრებთან არიან, ზანგებში — ზანგებთან. გამოწყალისზე ვა-ზეთება იმალლებენ ხმაო.

თვსელაც ძალზე ვამაც ბრწყინვალე ამერიკელმა პროზაიკოსმა რეი ბრედბერმ. მის მოთხრობაში მარსისა და დედამიწის მკვიდრთ არ შეუძლიათ ერთმანეთს გაარტყან, რადგან სხვადასხვა ვანზომილებაში იმყოფებიან და მათი თითები მხოლოდ ჰაერში დაფათურობენ, მხოლოდ ჰაერს ჰკვეთენ. ეს გულგრილობაა, ეს ტრაგედია, ჰელარადტეული, კუნთების გამოშრობილ ტკივილი.

მიწიანობისში ნიკოლტ-სტრიტზე, ბარში ზანგი ყვირილით მეუბნებოდა: „თქვენ არ მიმწვევდით კოქტეილზე, მუღმივად აქ რომ ცხოვრობდით, ცოლად არ მომათხოვდით და თქვენს დას და ვაჰყიდილთ საკუთარი სახლს, სადმე თქვენს გვერდით რომ დაეცახლებულიყავი“. ამ საბარლო ადამიანს იმუნად სჭეროდა თავისი მწარე სიმაართლე, რომ მე ვერაფრით შევძელი მისი გადარწმუნება. მე ხომ თეთრი ამერიკის მისტიზმარი ვახლდით, ის კი იყო უფრო ღარბი, ოფლით გაწუწული, შავი ამერიკის წარმომადგენელი, იმ ამერიკისა, იქვე გვერდით, მაგრამ სხვა ვანზომილებაში რომ არსებობს, ეს გეტოა, უსაზარესი გეტო, რომელსაც არა აქვს ევლები, არა აქვს ბორკილები, არ ჰყავს გუშუები.

მე მასხოვს ომის საშინელებანი და მბავს რასიზმი. ამის თაობაზე საუბარი მჭონდა ჩემს მეგობრებთან — გონებავახსნილ, კულტურულ ამერიკელებთან. ელაპარაკობდი გულსტკივილით, ჰინანულით. არა, რასაკვირველია. ესმით, უნივერსიტეტშიც უსწავლიათ, რომ შავკანიანები მათვან არაფრით განსხვავდებიან, მაგრამ რომ იცხოვრონ ერთ სახლში, ან სადმე გვერდი-გვერდ? „კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამთ!“ სტუმრად მოიწვიონ? „მერე რაზე ვილაპარაკოთ?“... ოპ, ეს გეტო, წყეული გეტო, სადაც ყოველი ადამიანი მარტყენა კიბის ზემოთ ატარებს ყვითელ ვარსკვლავს, ან ნიშანს „ოსტ“ (არაო, — მაწყვეტინებენ, — ეს სულაც არ ნიშნავს, რომ... რასა ბრძანებთო...).

ღიბ. ჩემი თანამოსაუბრე იცინიან, მუხლზე ხელს მიტყაუენებენ, „არც იმე საშოშია ეს ყველაფერი“, — მუღზნებიან.

ოპ, ეს ფორმულა. იგი აწერია ყველა დამარცხებული არმის დროშას. ადამიანთ ოწყებენ საუბარს ზანგების მდგომარეობაზე ამერიკაში და ამთავრებენ ვიეტნამელი უტხო ადამი-

**ვიტალი კორობინი**  
ამოხახნილი



ნების ბედზე კამათით. და ის ადამიანები უკვე აღარ არიან მათთვის უცხონი. ახალგაზრდებს ხუთ-ხუთი წლით უსჯიან პატიმრობას, რადგან უარს აცხადებენ დაზოცონ ვიეტნამელი მებრძოლები. მეშინები იწყებენ გულგრილობით და ამთავრებენ საკეტის მოძრაობით, ლულაში რომ აგზავნიან ტყვიას დამახასიათებელი ჩხაკუნით: — „უ-კლუ-ს-კლანი“, „უ-კლუ-ს-კლანი“. ყველა მსოფლიო ომი პროვოკაციით იწყებოდა. იყო ეს წამოძახილები მიუნქენის ლუდხანაში, თუ თოფის გასროლა პატარა, პროვინციულ ქალაქში და ყველა დამარცხებული ხალხებისა თუ ერის დროშებზე ამოქარგული იყო გულგრილობის მარადიული თეზისი: „არც თუ ისე საშინაო ეს ყველაფერი!“

და ქვეთინებდა ზანგი ნიკოლტ-სტრტიტზე, ოტელში: „განა მე შიმპანზე ვარ?“ ბარბენი დახლს წმენდდა და მრავალმნიშვნელოვნად შემომხურობდა: „ოჰ, ეს ზანგები, ეს ზანგები!“..

რამდენი წელია ჩაგჩიჩინებენ, ამერიკაც, რომ დროა დამთავრდეს სამოქალაქო ომი, რომ კონსტიტუციას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როცა იგი ცხოვრებისეულ პირობებს უსადაგება. ო, რა რიგ გულგრილი ხარ ჯერ კიდევ, დიდო ქვეყანა, და რა რიგ გწყინს, როცა ამას შეგახსენებენ; რა რიგადა ხარ შეყვარებული შენს მეშინანებზე!

მსავალი მუშტი დაჰკრა მაგიდას: „ჩემს შეილებს არა აქვთ არც ერთი წიგნი შეკანონათა სურათებით. ჩემი ქვეყნის არც ერთ სახელმძღვანელოში არაფერი დაწერილა ზანგ გენერლებსა და მოსამართლეებზე. ჩვენ გეხატავენ თქმობებზე პალმის ფოთლების შემოსაკრავით, და ყველა კოსმონავტი აი ამ ქალაღივით თეთრია.“

ჩვენ წყალს ვებრძვით, დიხს წყალს. გაჰყვით მას და ზედაპირი კვლავ შეიკვრება, რგოლები თულა ალივლივდება ზედ. ფიქრობთ, ალაბამაში უფრო გაუსაძლისია? იქ გახლავთ ნაძირალა რასისტის უოლესი. შეგიძლია წახვიდე ბარბიადებზე, იბრძოლო მის წინააღმდეგ. იქ ისერიან კიდევ. აქ კი სად უნდა ავგოთ ბარბიადი? ყველანი ხელს მართმევენ, ხელისგულები ისეთი ნაზი, ისეთი ფაფუკი აქვთ, დანა არავის უჭირავს, მაგრამ ამის გამო თავს უკეთ როლი გრძნობ. ჩვენ ხომ მეორეხარისხოვანი ადამიანები ვართ. მითხარათ, პოეტო, არსებობენ მეორეხარისხოვანი ადამიანები?“

ვამინგტონში მოსახლეობის სამოკდახეტი პროცენტი ზანგია, მაგრამ ეს ზანგები გონებენ მოახლე ქალს, მეპატრონის შეიღობა ცოლად რომ შეირთო — ძველი ჩვეულების მიხედვით, საღილ-ვახშამს მას კვლავ სამხარეულოში აჰმევენ. ზანგები მოსახლეობენ ვამინგტონის მთელ რიგ რაიონებში, თეთრკანიანები მეტწილად ქალაქის შემოგარენში, ან მგზობელ სამხრეთ რაიონებში არიან. მე ვნახე, როგორ გადაჯდა კაცი სხვა მაგიდასთან, როდესაც გვერდით ზანგი მიუჭდა, მაგრამ ამის გამო თეთრკანიანისთვის არავის გაურტყამს სილა, ყველანი ყავას შეეჭკეოდნენ. კაცს ესგრიან, ის კი მინც თავის გზით მიდის. მიდის მარტინ ლუთერ კინგი — ბრძენი ადამიანი, ნობელის პრემიის ლაურეატი და, როგორც უმრავლესობა ამბობს, ამერიკის ყველაზე გონიერი საზოგადო მოღვაწე. სამართლიანი ომისათვის გაშლილი ლაშქრობა საყოველთაო ლაშქრობად იქცევა. იგი აერთიანებს აზიაში გამართული ომის ვამბო გამოწვეულ ტყვიულებს იმ ტყვიულებთან, რომელსაც ადამიანები განიციდინ უსახლკაროთი გამო; იმ ტყვიულებთან, რომელსაც განიცდი ამერიკელი ადამიანებისა და იმ ხალხების გულმშვიდად განადგურებისათვის, აქედან ათათასი მილით რომ არიან დაშორებულნი. ამგვარად ერწყმის ყველაფერი ერთმანეთს, რადგან მსოფლიოში არ არსებობს უმნიშვნელო პრობლემები და შენ დაგრჩენია ერთადერთი არჩევანი: იყო, ან არ იყო ადამიანი.

ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ მღერიან ზანგები! ამგვარად მღეროდნენ ალბათ ჩვენი კობზარები, ასე გალობენ ალბათ ჩიტები სტეპზე გადმოვუმბათებულ შავ ცაში, ასე ციმციმებენ პლანეტები ღრუბლის შიგნითა და ქულების მიღმა. ოჰ, როგორ მღერიან ზანგები! მინდა ვიყო შეკანონანი, რომ ყველაფერი ვათქმევინო საქსაფონს, რომ ჩემი სათქმელი ქუჩაში ამოვიძახო და საყდარში ვიგალობო. დაე, ისმინოს ხალხმა და იმ ღმერთმა, რომელმაც შექმნა შეკანონანები, შექმნა თეთრები. კიდევ ბერის ვიტყვოდი ამაზე. არა, ყველაფერი ერთბაშად ვერც იტყვი. არც არის საჭირო. ქუმმარბიტება გაურბის მრავალსიტყვაობას.

ერთ-ერთი ფირის გამქლავებისას თვალში მომხვდა თეთრზე თეთრი, თითქმის გამჭვირვალე ადამიანი, გზის გადაღმა ნახშირივით შავ შენობას რომ მისჩერებოდა. სინამდვილეში კი

ყველაფერი სხვაგვარადაა: სურათზე გამოვა ამერიკელი პრეზიდენტების თეთრი სახლი და ზანგი, რომელიც დაღონებული გაჰყურებს ამ სახლს. ვერ გეტყვით, რატომ გადავიღე ეს ზანგი და თეთრი პრეზიდენტების სახლი. მათ შორის მიჰქრის მანქანა, დაღის ხალხი და პოლიციელები, დარბიან ბავშვები; დაფარფატებენ მტრელები.

ზოგჯერ ყველაფერი უფრო გარკვევით ჩანს. სამხრეთში თუ თეთრკანიანი ზანგს იცავს, მას კლავენ. ზანგი კასიუს კლეი იმისათვის დააპატიმრეს, რომ არ უნდოდა აზიაში ტყვიით დაცხრილა ყვეთელკანიანები. მე ვნახე, როგორ ტრიალებდნენ ზანგებთან ხელოვნურიკიდებული თეთრკანიანი სტუდენტები ნიუ-იორკში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობასთან. ეს იყო მარში, პროტესტი ვიეტნამში

გამართული ომის წინააღმდეგ. ჰემარიტეზი ფერი არა აქვს, ისევე როგორც ცხოვრებას, სიყვარულს, ადამიანურ ღირსებას.

ჩიკაგოში, სამრეწველო გამოფენაზე, მრიცხველი წუთიწუთზე უჩვენებს ახალ ციფრს — ვიღაც მოკვდა, ვიღაც დაიბადა, — დედამიწას ახალი ბინადარი შეემატა; კიდეც ინთება ახალი ციფრი, კიდეც და კიდეც.

დაფიქრდი, დაფიქრდი, ამერიკაე — იბადებიან თეთრკანიანები, იბადებიან ზანგები. დაფიქრდი-მეთქი, ამერიკაე, შემდგომ შეგრცხებება იმისა, ადამიანებს კანის ფერის მიხედვით რომ ანაწილებდი. თუმცა ახლაც სირიცხვილით უნდა იწვოდე. არ გაგონდება, როგორ უგალობდა ფსალმუნს მაგალია ჭეკსონი შენს პრეზიდენტს, იმ პრეზიდენტს, თეთრკანიანმა გარეწარმა სიცოცხლე რომ მოუსწრაფა?!



10 იენის თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში ჩვენმა საზოგადოებრივმა დიდი ზემოთ აღნიშნა გამოჩენილი ქართველი საბჭოთა პოეტის ტიციან ტაბიძის დაბადების სამოცდაათი წლისთავი.

საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი წვლილი, ტიციან ტაბიძემ ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარებაში რომ შეიტანა. პოეტმა თავისი მძლავრი და განუმეორებელი ხმით დიდებული ჰიმნი უთხრა განახლებულ ქვეყანას.

ტიციან ტაბიძე მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა; მის თვალწინ და მისი მონაწილეობით შრებოდა კოლხეთის ჭაობები, შენდებოდა მძლავრი ჰესები, ბალ-ვენახები, გიგანტური ნაბიჯებით მიდიოდა წინ თავისუფალი, ბორკილაციროლი ხალხი. პოეტის სიყვარულმა, მისმა აღტაცებამ საზღვარი არ იცოდა:

ნეტა სადა აქვს ამ ზვარებს ბოლო,  
ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი.  
სჯობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო,  
ანდა არ იყოს ასე ლამაზი!

შთაგონებული ამბობდა პოეტი და ახალ-ახალ გამარჯვებათა მოლოდინში დიდი სამშობლოს ხვალინდელ დღეს შეჰხაროდა.

ტიციან ტაბიძეს არ დასცალდა ბოლომდე დაეხარჯა თავისი დიდი და კეთილი გულის სითბო, მაგრამ ის წრფელი სიმღერა, რაც მან მშობელ ხალხს და სათაყვანებელ სამშობლოს უთხრა, სამუდამოდ დარჩება, როგორც შემოქმედის წმინდა და უანგარო სამსახური ქვეყნისადმი.

ტიციან ტაბიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა გ. აბაშიძემ.

ტიციან ტაბიძე მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით ემსახურებოდა ინტერნაციონალიზმის მაღალ გრძნობას; რუსული ლიტერატურის მოღვაწეებთან პოეტის ახლო მეგობრობაზე მოუთხრო საზოგადოებას სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა მწერალმა ი. ანდრონიკაშვილმა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჯიბლაძემ თავის გამოსვლაში ილაპარაკა ტიციან ტაბიძის დიდ დამსახურებაზე მშობლიური ლიტერატურის წინაშე.

სომეხმა მწერალმა ვ. მნაცავანიანმა აღნიშნა, თუ რა ზევრი გააკეთა ტ. ტაბიძემ სომეხი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

საიუბილეო საღამოზე სიტყვებით და მოგონებებით გამოვიდნენ პოეტები ა. ვოიაშვილი, რ. მარგიანი, კრიტიკოსები გ. მარჯველაშვილი, გ. ასათიანი, მ. აბულაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ბ. ჟღენტო.

უხუცესმა პოეტმა, ტიციან ტაბიძის უახლოესმა მეგობარმა ს. შანშიაშვილმა წაიკითხა პოეტისადმი მიძღვნილი ლექსი. საკუთარი და ტიციან ტაბიძის ლექსები წაიკითხეს კ. კალაძემ, ლ. სულაბერიძემ, ნ. გურუშიძემ, თ. ჭელიძემ, შ. ფორჩხიძემ, ჯ. ჩარკვიანმა, თ. შალამბერიძემ, რ. ამაშუკელმა.

საღამოს დასასრულს გაიმართა კონცერტი, რომელშიც რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი, პიანისტი ს. ნეიჰაუზი მონაწილეობდა. ს. ნეიჰაუზის ოჯახს ტ. ტაბიძესთან დიდი მეგობრობა ჰქონდა. თავისი გამოსვლა პიანისტმა პოეტის ხსოვნას მიუძღვნა.

საიუბილეო საღამოს დაესწრნენ ვ. მეჯანაძე, გ. ჯავახიშვილი, დ. სტურუა.



# საზოგადოებრივი მედიის ცენტრი

ანდრო ჟორდანი

## ფიქრები ქართულ ფეხბურთზე

განსაკუთრებით ნიჭიერ ფეხბურთელებს, რომელთაც ფეხბურთის მოედანზე ყველაფერი გამოუდით, შესანიშნავად არიან დაუფლებულნი ბურთს, ფიზიკურადაც კარგად არიან მომზადებულნი და საუცხოოდ ერევიან თამაშში, „ვარსკვლავებს“ უწოდებენ. მაგრამ ისინი ვარსკვლავები იმითმ კი არ არიან, რომ რაიმე განსაკუთრებული ევალებათ, რაიმე შედეგითი ეძლევათ. პირიქით, „ვარსკვლავები“ აკეთებენ იმას, რასაც სხვები, მაგრამ თავიანთი ნიჭიერების წყალობით აკეთებენ ამას უკეთ და მიტოვებენ მათ მეტიც მოუთხოვებათ. მათი ყოველი მოძრაობა თუ ჩანაფიქრი მხოლოდ საერთო საქმეს, კოლექტივის, გუნდის საქმეს უნდა მოხმარდეს. „ვარსკვლავი“, რომელიც იმას ფიქრობს, რომ მხოლოდ თვითონ გამოიჩინოს თავი, „ვარსკვლავი“, რომელიც მხოლოდ თვითონ ინათებს გზას, ჩასაქრობად არის განწირული. კოლექტიურობის გრძობას დიდი მნიშვნელობა აქვს ფეხბურთში. ფეხბურთელს თუ გუნდში თამაში სურს, ალტრუისტულ უნდა იყოს, დაეხმაროს ამხანაგს, გამოასწოროს მისი შეცდომა, გაუადვილოს მოქმედება, თუნდაც ამისთვის დასჭირდეს მეტი ენერჯის დახარჯვა, ვიდრე მისგან მოითხოვს პარტნიორი. მისი გულმოდგინება უპასუხოდ არ დარჩება. საკუთარი მაგალითით უნდა ვაძიულოთ ისიც კი, ვინც „თავის შენახვას“ ცდილობს, საერთო საქმისათვის არ დაზოგოს ენერჯია. ფეხბურთი კოლექტიური თამაშია და ვინც მხოლოდ საკუთარი სიაზოვნების-

თვის, „დროს გასატარებლად“ ცდილობს თამაშს, არ ესმის ფეხბურთი, ლალატობს თვით ამ კეთილშობილური, ამხანაგური, გუნდური თამაშის პრინციპს, მის ბუნებას. ნამდვილი ალბინისტი საკუთარ სიცოცხლეზე უფრო ხაკლებს ფიქრობს, ვიდრე ამხანაგების ბედზე. ცნობილია მთავსეგელმა ჯ. მემპირიაშვილმა ამხანაგის გადარჩენის თითქმის უიმედო ცდას საკუთარი სიცოცხლე შესწირა! უნდა ვეცადოთ ფეხბურთელებშიც ადვარდით ასეთი ვაქცაური სული, მარტო ოსტატობა არ კმარა! ზოგჯერ შეკარე იოლად ასაღებ ბურთს გაუშვებს ხოლმე, ამხანაგები, იმის მაგივრად, რომ გაამხნევეს და უფრო კარგი თამაშით რწმენა დაუბრუნონ, ტუქსავენ და თვითონაც უკლებენ თამაშს. როგორ, ნაპრაღთან შენს ამხანაგს ფეხი რომ დაუცდეს, ხელი უნდა ჰკრა და თან გადაჰყუებ?

მაგრამ განა შეიძლება, რომ მონდომებამ ხიკი შესცვალოს? არა, რა თქმა უნდა! ნიჭი იბადება, ჩვენ მხოლოდ მისი გამოვლენა და მოვლა შეგვიძლია. თითქმის ოცი წელია აღარ თამაშობს ბ. პაიჭაძე და რატომ ვერავინ ვერ „შეკმნა“ ასეთი ფეხბურთელი? რა ბედნიერება იქნებოდა 1967 წელს გამოჩენილიყო. ბ. პაიჭაძე თბილისის „დინამოში“ ან ვ. ბობროვი მოსკოვის რომელიმე გუნდში! მაგრამ ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული: ახალი პაიჭაძე და ბობროვი ბუნებამ უნდა შეკმნას, ჩვენ კი უნდა მივავსოთ და მოვუაროთ.

ფეხბურთელი შეიძლება ნიჭიერი იყოს, შაგრამ ტალანტს არ წარმოადგენდეს. დიდი ტალანტის ფეხბურთელი სამ-ოთხ ელემენტს ფლობს

დასასრული. დასაწყისი იხ. „სესიარია“ № 5. წ.



შესანიშნავად, ხოლო ერთ-ორს საშუალოდ. ნიკიტის ფეხბურთელი კი, პირიქით, ერთ-ორ ელემენტს ფლობს შესანიშნავად, ხოლო სამ-ოთხ ელემენტს საშუალოდ. სწორედ ამიტომაც გუნდში ბევრი ვარსკვლავი არ არის ხოლმე. ამიტომ მხოლოდ ვარსკვლავების იმედით ყოფნა შეუძლებელია და მათი ლოდინი ხელს არ მოგვცემს.

1966 წელს კიევის „დინამომ“ კარგი რეზერვის წყალობით დიდი წარმატება მოიპოვა. ყველა გუნდს, რომელმაც საბჭოთა კავშირის ნაკრებს რამდენიმე მოთამაშე მისცა, დიდ სიძნელეებს განიცდიდა, მხოლოდ კიევის „დინამომ“ მონახა ამ მხრივ კარგი გამოსავალი და შედეგადც არ დააყოვნა.

მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა 1966 წლის თბილისის „დინამოზე“. რა თქმა უნდა, ძნელია იმსჯელო გუნდზე, როცა მისგან შორს ხარ. მაგრამ მაინც მინდა ყურადღება მივაქციო გუნდის შემადგენლობის აოსტაბილურობას.

აქვე მინდა ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ გუნდიდან გუნდში მოთამაშეთა გადასვლის თაობაზე. ეს მეტად სერიოზული საკითხია. თუ მოთამაშეს სხვა გუნდიდან ვაღმოვიყვანოთ, დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ მას ძირითად შემადგენლობაში ვათამაშებთ, რათა აღარ გამოვრდეს ის შეცდომები, რომელთაც დაღუპვის პირამდე მიიყვანეს ერთ დროს თბილისის „სპარტაკი“. სპორტულ პრესაში არაკრთავის აღნიშვნაა, რომ თბილისის „დინამოში“ გამოჩნდნენ ახალგაზრდა, ნიკიტის სპორტმეცნიერი, რომელთაც უკვე აღიარება ჰპოვეს საკავშირო ასპარეზზე ჭაბუთა შორის, მაგრამ ისინი შემდეგ სათადარიგო შემადგენლობაში იკარგებიან. გუნდის ხელმძღვანელობა უფრო იოლ გზას ირჩევს: სხვა გუნდში, სხვათა მიერ მომზადებულ სპორტმეცნიერებს ვაღმოვიბრებს ხოლმე. რატომ? განა ეს არის ერთადერთი გამოსავალი?

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ უნდოდა გუნდში გადაყვანა სპორტმეცნიერებს უკარგავს კოლექტივის სიყვარულის გრძნობას. განა ამით არ უნდა აიხსნას, რომ ზოგიერთი ფეხბურთელი ადვილად გადადის გუნდიდან გუნდში? განა მოსაწონია მამიკინის, ფალონის, აბუხტინის, ლობანოვსკის, უსატორეს და სხვათა მოგზაურობა? მათ ხომ რამდენჯერმე ვაძიოცვალეს გუნდი? როცა გ. ხუსანიოვი ვაღმოვიყვანეს „კრილია სოვეტოვიდან“ მოსკოვის „სპარტაკში“, ახალგაზრდა სპორტმენი არ გამოცხადდა გუნდში. მაშინ სპორტულ პრესაში გამოჩნდა წერილი სათაურით — „ხუსანიოვი აქეთ-იქით აწყდება“. უსაყვრლურეს ჭაბუკს, რომ მან კოლექტივისადმი უპატივცემულობა გამოიჩინა. მაგრამ რომელი კოლექტივისადმი? პირიქით, მე მეოწიან, მოსაწონი ის იყო, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელი ასე მწვედვდ განიცდიდა განშორებას თავის კოლექტივთან — „კრილია სოვეტოვთან!“ გასულ წელს მოსკოვის

არმიელთა გუნდიდან გაათავისუფლეს კარგი ნაკრები იმ მოტივით, რომ იგი პატივს არცხდებოდა და „თავის“ კოლექტივის რამდენად „თავისი“ იყოს ეს კოლექტივი ბ. კახაკოვისათვის, რომელიც ცოტა ხნის წინათ ვაღმოვიყვანეს კუბიშვილის „კრილია სოვეტოვიდან“.

მე იმის თქმა როდი მინდა, რომ მოთამაშე აუცილებლად იმ გუნდში დაბერდეს, სადაც პირველად მოხვდა, მე მხოლოდ ხაზი მინდა ვავუსვა იმას, რომ ფეხბურთელის გადასვლის საკითხი ასევე უნდა გავზომოთ და ერთხელ გადავკრათ.

ძალიან მიჭირს მსჯელობა 1966 წლის მსოფლიო პირველობაზე, რადგან მე იმ დროს ინგლისში არ ვყოფილვარ, ხოლო ტელევიზორით ნანახი პირველობა არ კმარა საინაზროოდ. მოგახსენებთ, რომ ცისფერ ციარნეფ იკარგება თამაშის საერთო სურათით, მოთამაშეთა ვანლაგება, დისტანციის გრძნობა. ამიტომ, თუ ჩვენ ვეინტერესებ, რომ სპეციალისტებმა თავიანთი აზრი გამოთქვან ფეხბურთის მატჩებზე (მე ჩემთვის ველაპარაკებ), ვაღმოვილონ რაიმე სასარგებლო მაღალი რანგის გუნდების პრაქტიკიდან, ისინი უნდა დაეაწყროთ თამაშებს. საოცარია, მაგრამ საქართველოდან ლონდონში წასულ დღეგაციაში ვ. რამიშვილის ვარადა ფეხბურთის არცერთი მწვრთნელი არ ყოფილა! აქ არ იყო არც ფიზკულტურის ინსტიტუტის, არც მწვრთნელთა სკოლის, არც ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის წარმომადგენელი.

მსოფლიო პირველობაზე წავიდა არა ის, ვისა წასვლაც საჭირო იყო, არამედ ის, ვინც შესძლო. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე სიტყვა მინდა მოგახსენოთ ტყებულის „მეშახტეზე“ და მის ხელმძღვანელობაზე. ამ გუნდმა 1966 წელს „ა“ კლასში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. მე ტყებულში გუნდის მწვრთნელად მუშაობა დავიწყე გასულ წელს, მეორე წრეში. უნდა ვაწვებოდ, რომ ისეთ ხელმძღვანელს, როგორც კ. ლობიძეა, კაცი იშვიათად შეხვდნას. ისეთ პატარა ქალაქში, როგორც ტყებულია, სადაც თითქმის არც არის სწორი ადგილი, აშენებულა ორი სტადიონი, მერე როგორი! ძალიან ძნელია ასეთი პატარა ქალაქის გუნდისთვის მოკლე ხანში „ა“ კლასში გადასვლა, მაგრამ გუნდისმხრივ ხელმძღვანელობის წყალობით გუნდმა ეს შესძლო. 1967 წლიდან ტყებულელი ფეხბურთელები „ა“ კლასში თამაშობენ, ეს მათი დიდი ფეხბურთის პირველი წელია. მაინც მათ არ ექნებოდათ არავითარი შედეგით: ფეხბურთელებმა უნდა ითამაშონ სხვებზე, „ა“ კლასის ძველ ბინადრებზე არანაკლებად!

ფეხბურთის სწორედმა ინტელექტით. მე არ მახსოვს არცერთი კარგი ფეხბურთელი, რომ გუნდებში შეუღებულყოფილი იყო. ამ საკითხს მე კვლავ დაეუბრებუნებოდა, მაგრამ აქ მინდა გავიხსენოთ პეუსის ერთი ინტერვიუ. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ პეულ არა მარტო დიდი ფეხ-



ბურთულია, არამედ ნათელი გონების ადამიანი-  
ცაა. სხვაგვარად არც შეიძლება. ამიტომ მე  
არ გამკვირვებია, როცა ამ 25 წლის ჯაბუკმა  
ერთ-ერთ კორესპონდენტს ასეთი ბრძნული სარ-  
ტყვა უთხრა: „ჩვენი, ბრაზილელები, ბედნიე-  
რება ის არის, ევროპაში ვერც კი დევნი ვერ მიმ-  
ხვდარან და ალბათ დიდხანს ვერ მიხვდებიან,  
რომ ფეხბურთში მაღალი მწვერვალების დასა-  
პყრობად მთავარია თამაში და არა აწვრთნა“.  
ევროპელებს, პელუს აზრით, ძირითადი აქცენტი  
გადააქვთ წვრთნის დროს დიდ დატვირთვაზე,  
ათასგვარ დამხმარე საშუალებებზე (მძლეოსნო-  
ბა, ძალისხმობა და სხვ.) და ნაკლებს თამაშო-  
ბენ. პელუს კი, როგორც თვითონ ამბობს, წლის  
განმავლობაში ასამდე მატჩში მონაწილეობს,  
დღეში მხოლოდ თითო საათს ვარჯიშობს, როცა  
მას მოესურვება და ეს არ უშლის ხელს, საშუა-  
ლად 80 ბურთი გაიტყოს ერთ სეზონში (ერთ-  
მა კაცმა!) ჩვენთან კი რამდენი წელია სეზონ-  
ში 80 ბურთი არცერთ გუნდს არ გაუტანია!  
ევრაპეოთარი ვარჯიში ვერ შეცვლის თამაშს  
ძლიერ გუნდებთან. ფეხბურთელების მომზა-  
დების საუკეთესო საშუალება იყო, არის და  
მუდამ იქნება თამაში. რაც უფრო მეტს ითამა-  
შებენ ფეხბურთელები, მით უფრო მაღალი  
იქნება მათი კლასი. ის დიდძალი ენერჯია, რო-  
მელიც ინარჩუნებენ საწვრთნელ ბაზებზე, მთლიან-  
ად თუ არა, ნაწილობრივ მაინც რომ გამო-  
ვიყენოთ სტადიონებზე, გაცილებით უკეთეს შე-  
დეგებს მივიღებთ. არ შეიძლება საწვრთნელი  
ვარჯიშების მთლიანად უგულვებელყოფა, ამას  
არც პელუს უარყოფს. მაგრამ მთლიანად ამაზე  
აქცენტის გადატანა ვერ მოგვეცემს სათანადო შე-  
დეგს, ამა ვიანგარიშით: კვირის განმავლობაში  
ფეხბურთელები საშუალოდ თამაშობენ მხო-  
ლოდ 90 წუთს და ვარჯიშობენ დასტოვებით 25  
საათს. ასეთი დატვირთვა, ყოველდღე განმეორე-  
ბა ერთი და იმავე გაცეითლებისა სეზონებისა და  
წლების განმავლობაში არ შეიძლება მომხდებო-  
ბელი არ იყოს, მაგრამ თუ გაიზრდება თამაშე-  
ბის რაოდენობა, ეს სულ სხვა შედეგს გამოი-  
ლენს. თამაში არასდროს არ არის მოსაბეზრებე-  
ლი, რადგან იგი, მუდამ განუმეორებელია, მუ-  
დამ ახალია. და თუ ზოგჯერ ფეხბურთელები  
გადაიღლებიან ხოლმე სეზონის ბოლოდღე, ეს  
იმიტომ კი არ ხდება, რომ მათ 30 თამაში ჩაატარ-  
ეს (ბრაზილიელი ფეხბურთელები ხომ 100  
თამაშს ატარებენ!) არამედ იმიტომ, რომ ამ თა-  
მაშების შუალედში მათ 200-ზე მეტი მატჩივით  
მომქანცველი, მაგრამ არა მატჩივით სიონტე-  
რესო ვარჯიში ჩაატარეს.

რამდენიმე სიტყვა მინდა მოვახსენოთ საბჭო-  
თა კავშირის ფეხბურთის ჩემპიონატებზე. სამ-  
წუხაროდ, ამ უკანასკნელ წლებში საკავშირო  
ფედერაციის მიერ სეზონის დასაწყისში მიღე-  
ბული სტატუტი ჩემპიონატისა არავის არ ეჩვე-  
ნება მყარად და მტკიცედ. ფეხბურთის უყვარს  
ერთგვარი კონსერვატიზმი. მკითხველს კარგად

მოეხსენება, რამდენი წელი ჰქონდათ და ვერ  
რომ შეეცალათ ფეხბურთის ესა თუ ის წესი.  
განა ეს შემთხვევითია? ფეხბურთი იმდენად მა-  
სობრივი და პოპულარული თამაშია, რომ მტკი-  
ცე დისციპლინის გარეშე შეუძლებელია ჰქონ-  
დეს სათანადო ავტორიტეტი. ხშირად ამბობენ,  
რომ არ არის სრულყოფილი „თამაშგარე მდგო-  
მარობის“ წესი, ფეხბურთისათვის არ არის  
ლოგიკური ხელით თამაში და ამიტომ თუ კუ-  
თხურიდან ბურთს ფეხით ვაწოდებთ, რატომ  
უნდა ვაწოდებდეთ ხელით აუტს. ამავე დროს  
თუ მოწინააღმდეგე იმ ადგილზე ისეგება, სადაც  
წესი დაირღვა, რატომ ვაწოდებთ კუთხურს  
იქიდან, სადაც ალბათ და არა იქიდან, სადაც  
ბურთმა პირით ხაზი გადაკვეთა და სხვა. ასეთ  
საქითხებზე დაობენ სპეციალისტებიც და უფრო  
ხშირად არასპეციალისტები. მაგრამ მიუხედა-  
ვად ამისა, ათეული წლებია საჭირო იმისათ-  
ვის, რომ რაიმე წესი შეიცვალოს. ასეთი „კონ-  
სერვატიზმი“ აუცილებელია ფეხბურთისათვის.  
სამწუხაროდ, ამ ბოლო წლებში ფეხბურთის სა-  
კავშირო ფედერაციამ არ გაუწია ანგარიში ამ  
დაუწერელ კანონს ნაჩქარევად, ხანგრძლივად  
და წინასწარ მოუფიქრებლად ერთხელ შეაცვა-  
ლა ჩემპიონატის ფორმულა. შემდეგ გამოირკვა,  
რომ ახალი სისტემა არ ვარგოდა და კვლავ შეი-  
ცვალა, შემდეგ კვლავ და კვლავ და ასე გაუ-  
თავებლად... მაგალითად, 1966 წელს ასე შეი-  
ცვალა გათამაშების წესი: ჯერ მეორე ლიგადან  
ერთის ნაცვლად ორი გუნდი გადმოვიყვანეს,  
შემდეგ ნახეს, რომ პირველი ლიგადან მეორეში  
სამი გუნდის გადაყვანა არ იყო სახარბიელო,  
რადგან ჩემპიონობისათვის იბრძოდნენ წყვე-  
ლი რაოდენობის გუნდები (16), არ რჩებოდა  
ტურებში თავისუფალი გუნდი, ამიტომ დაუშა-  
ტეს მე-17 მონაწილე — მოსკოვის „ლოკომო-  
ტივი“, მაგრამ ეს უსამართლობა იყო ქუთაისის  
„ტორპედოსა“ და ოდესის „სკას“ მიმართ,  
რომელთაც ადრევე უნდა სტოდნოდათ ეს და  
იქნებ რომელიმე მათგანს თავის დროზე „ლო-  
კომოტივის“ გასასწორებლად ეზრუნა? ფედე-  
რაცია კვლავ წავიდა დათმობაზე და პირველ  
ლიგაში გუნდების რაოდენობა 1966 წლისა-  
თვის 19-მდე აიყვანა, წინა წელს კი გვირბე-  
ბოდა, რომ პირველ ლიგაში 15 გუნდი უნდა  
ყოფილიყო.

რამ გამოიწვია ეს გარემოება, რომ ასე ხში-  
რად იცვლება საკავშირო ჩემპიონატის ფორ-  
მულა, რა თქმა უნდა, ამ საქმეში მარტო ფეხ-  
ბურთის ფედერაციას ვერ დავდანაშაულებთ.  
საქმე ის არის, რომ თავისთავად ასეთი მასშა-  
ბის ჩემპიონატის მოწყობა, როგორც საკავშირო  
პირველობაა, დიდ სიძნელებებთან არის დაკავში-  
რებული. ჩვენს სამშობლოს იმხელა ტერიტო-

**ანდრო შურდანი**  
ფიჩრბაი ძარბულ ფეხბურთში



რია უჭირავს, რომ ასეთი მასშტაბისა ვერ იქნებოდა თვით ევროპის ჩემპიონატი, ისიც რომ ამავე სისტემით ტარდებოდა.

ხომ არ გვეფიქრა იმაზე, რომ ჩატარებულყოფიერად კავშირის პირველმა ვთქვათ სამგოგარაფიულ ზონაში: ჩრდილოეთი (მოსკოვი, ლენინგრადი, მინსკი, კუბიოშევი და სხვ.), ცენტრალური (ვიევი, როსტოვი, ოდესა, ხარკოვი, ვოლგოგრადი და სხვ.), სამხრეთისა (თბილისი, ბაქო, ერევანი, ქუთაისი, ტაშკენტი და სხვ.). ეს შეამცირებდა გუნდების მოგზაურობას, შემცირდებოდა ხარჯები, გაიზარდებოდა დრო ვარჯიშებისა და თამაშებისათვის, უფრო მრავალფეროვანი გახდებოდა ჩვენი ფეხბურთი (გუნდების რაოდენობა სამეფო ზონაში შეგვექმო 45-მდე ავეყვანა), თითოეულ ზონას თავის სტილი შეუძლებელი და რაც მთავარია, სათანადოს მიუზღავდით გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებს, ჩვენი ფეხბურთელები ხომ ვერასოდეს ვერ ასწრებენ აკლიმატიზაციას! ახა წარმოიდგინეთ მანძილები: ლენინგრადი-ტაშკენტი-ოდესა-ლენინგრადი! ეს ხელს შეუწყობს ახალი ტალანტების გამოჩენასაც და მათს ზრდასაც. შემდეგ შეიძლება ამ ზონებში ორ-ორ გამარჯვებულ გუნდს (6 გუნდს) გაეთამაშა საკავშირო პირველობა იმავე ფორმულით, როგორც თამაშდება ევროპის ჩემპიონთა თასი. იმ დროს, როცა ჩრდილოეთში თამაშში აღარ შეიძლება, სამხრეთის ქალაქებში შეგვექმო ჩაგვეტარებინა ტურნირები ჩრდილოეთისა და სამხრეთის გუნდების, აგრეთვე საზღვარგარეთული ძლიერი გუნდების მონაწილეობით. მართლაც, თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში რატომ უნდა ცდებოდეს სამხრეთის მზიანი სტადიონები? განა მრავლისმოქმედი არ არის ის ფაქტი, რომ თბილსში 6 იანვარს კიევარის დინამოს სავარჯიშო თამაშს 40 ათასი ძაქურბელი დაესწრო (რომ არაფერი ვთქვათ ოფიციალურ შეხვედრაზე ვალგოვს „სელტიკთან“). აქედან ჩანს, როგორ სწყურია ჩვენს მაყურებელს ოფიციალური ტურნირები უცხოეთის ძლიერ გუნდებთან!

აღრე ფეხბურთსა და ინტელექტზე დავიწყი საუბარი. ძალიან ცდება ის, ვინც ფიქრობს რომ ფეხბურთი მოგონილია მხოლოდ დონიერი და მარტივ ქაბუკებისათვის. ნურას უყარავდა, ფეხბურთს ინტელექტიც ჰქირდება, იგი არის არა მარტო კუნთებისა და ნერვების, არამედ გონების შეჯიბრებაც. მე ვერ დავახსენებულეხტ ვერცერთი მაღალი კლასის ფეხბურთელს, რომელიც ნიქს სხვა საქმეშიც არ ამკადენებდეს. ფეხბურთელებზე ზოგჯერ ამბობენ — „ქუთა ფეხებში წასვლია“. მცდარი აზრია! ქუთა ყოველთვის თავში რჩება, ფეხები მას ხელს არ უშლის. მაგრამ როცა თავშივე იზღუდება ქუთა, ვერც ფეხები დაგემორჩილება, ისე როგორც საჭირია. ფეხბურთს იმიტომ კი

არ მისდევენ ახალგაზრდები, რომ სხვა ინტერესზე ხელი არ მიუწვდებიათ. უბრალოდ, ინტერესი ფიზიკურისადმი გაცილებით უფრო ადრე იღვიძებს ყმაწვილის გონებაში. როცა ახალგაზრდა ფეხბურთელის ინტერესები იზღუდება მხოლოდ საკუთარი დიდების წყურველით, იოლი ცხოვრების საშუალებათა ძიებით, ეგოისტური მიდრეკილებებით, ეს იწვევს მის გონებრივ შეზღუდულობასაც. რასაც აუცილებლად მოჰყვება ხოლმე თამაშის კლასის დაქვეითება. ჩვენ ასეთი ფეხბურთელები გვევლია და, სამწუხაროდ, ახლაც გვყავს. შეხედავთ, ზოთქოს იშვიათი მონაცემები აქვს, ნიჭიერია, მაგრამ გული გტყავს, როცა გრძობ, რა თანდათანობით იფერფლება ეს ნიჭი, როცა ახალგაზრდა ეგოისტური ჩარჩოებით იზღუდება. ასეთი ფეხბურთელები ნაადრევად იკარგებიან. ფეხბურთელს მუდამ ეშუქება საფრთხე, რომ პირველი წარმატებისაგან თავებულ დაეხად და წახდება, როგორც სპორტსმენი და ახმაღანი. ამ საშიშროებას უნდა ვებრძოლოთ. მწვერთვის ვალია, მარტო იმას კი არ მიაქციოს ყურადღება, თუ უღეს როგორ თამაშობს სპორტსმენი, არამედ იმასაც, თუ რა ინტერესები აქვს მის ცხოვრებაში. ამაზეა დამოკიდებული მისი ხვალისდელი დღე. ქულების მოგროვებას არ უნდა შევიწროთ ჩვენი ახალი თაობის მომავალი! მილიონობით ტაბეტები არიან გატაცებული ფეხბურთით. სამწუხაროდ, ხშირად გამოთქამენ ვულისტკივილს ამ „ზედმეტი“ გატაცების ვაშო თითქმის ჩვენი ახალგაზრდები ფეხბურთით უფრო არიან გატაცებული, ვიდრე მეცნიერებით, ტექნიკით, ხელოვნებით. ეს არ არის სწორი, ასეთ შემთხვევაში გულისხმობენ იმ უსამეურს, რომელიც სწავლასა და შრომის გაურბის და მხოლოდ დროსტარებაზე ფიქრობს. მაგრამ ასეთი ახალგაზრდები განა მარტო მეცნიერებას გაურბიან? ისინი ფეხბურთისათვისაც ზედმეტი არიან, რადგან ფეხბურთით თავისთავად შრომისა და სწავლასთან არის დაკავშირებული. თითოთორილა შეუფერებელი ახალგაზრდა მიეტმასნება ხოლმე ფეხბურთს, მაგრამ იგი დიდი ფეხბურთის ასპარეზზე ვასვლამდე ვეღარ უძლებს ტვირთს და უყვალოდ იკარგება.

რაკი ფეხბურთი იტაცებს მილიონობით ბავშვს, უნდა ვიღარიოთ და გავითვალისწინოთ, რომ იგი არის აღზრდის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი საშუალებათაგანი. ჯერ თავისთავად, ფეხბურთს ის უპირატესობა აქვს, რომ ბავშვებს აჩვევს მეგობრობას, კოლექტივიზმის გრძნობას უნერგავს, უნერგავს სიყვარულს პარტნიორისადმი—მზანაგისადმი, აღვივებს პატრიოტიზმის გრძნობას ჯერ საკუთარი ეზოს, შემდეგ უბნის და ბოლოს ქალქის და რესპუბლიკისადმი. გარდა ამისა, ფეხბურთი აკავებს და



აჯანსაღებს სხეულს. აგრეთვე რაც არა-  
 ნაყლებ მნიშვნელოვანია, ზნეობრივად აჯანსა-  
 ლებს მოზარდ თაობას, რომელიც უსაქმურო-  
 ბას კი არ ეჩვევა, არამედ ენერჯის ზარ-  
 ჯვას რაღაც გარკვეული მიზნისათვის, რომელიც  
 თამაშის დროს ვოლში, მატჩის მოგებაში,  
 მეზობელი ეზოს გუნდის დამარცხებაში გა-  
 მოიხატება. იმას რა სჯობია, როცა ბავშვს სწა-  
 ვლისაგან თავისუფალი დრო ფეხბურთში ეხა-  
 რება და არა უმიზნოდ ყიალში, ჩვენ არა  
 ვიპყეს უფლება, ფეხბურთის მწვრთნელებად  
 გვყავდეს შემთხვევითი ადამიანები. მოზარდ  
 ფეხბურთელთა მწვრთნელს, რომელსაც აკის-  
 რია არა მარტო საფეხბურთო ტექნიკის სწა-

ვლება, არამედ ადამიანის სულის ჩამოყალიბე-  
 ბა, არ შეიძლება არ იყოს ნამდვილი ბედაგო-  
 სწორედ ამიტომ ვანიჭებ მე განსაკუთრებულ  
 მნიშვნელობას ბავშვებთან მომუშავე მწვრთ-  
 ნელთა კადრების შერჩევას. ეგრეთწოდებულ  
 „ველურ“ ფეხბურთს უნდა მივცეთ ორგანიზე-  
 ბული ხასიათი. თითოეულ სკოლას უნდა ჰქონ-  
 დეს საშუალება დაინტერესოს ბავშვები ფეხ-  
 ბურთით, უნდა მოეწყოს შეჯიბრებანი სკოლებს  
 შორის, უნდა მიეზიდოს ფეხბურთის სპეცია-  
 ლისტები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებ-  
 შიაც. სპორტი ერის ღონეა! და იგი ხელს  
 უწყობს ადამიანის გაკეთილშობილებას, მის  
 სულიერ და გონებრივ ზრდას.



## «ისევ ვითამაშებ ნაკრებში»

გუგუნებდა სპორტის სასახლე.  
სიხარული დარბაზში არ ეტეოდა და ზევით, გუმბათის ასკედებოდა: 14 წლის შუალედის შემდეგ თბილისის „დინამოს“ კალათბურთელები კვლავ ჩემპიონები გახდნენ!

ხალხი დაშლას არ აპირებდა. ყველაზე ამაღელვებელი მაინც თვით სპორტსმენების სიხარული იყო: ისინი დაუსრულებლად ჰკოცნიდნენ და ეხვეოდნენ ერთმანეთს და მწვრთნელებს. ის კი, მიშა ქორქია, პატარა ბავშვივით იყო ატაცებული.

გასახდელიდან რომ გამოდიოდა, მომახარა:  
— ხომ ვთქვი, ჩემპიონები გავხდებით-მეთქი! დიახ, მართლაც ასე იყო. მიშამ ნამდვილად „ინინასწარმეტყველა“ ეს გამარჯვება.

თებერვლის შუა რიცხვებში რედაქციაში მოვიწვიეთ მიხეილ ქორქია. მაშინ ბევრი რამ ჯერ კიდევ გაურკვეველი და ბუნდოვანი იყო გათამაშების ცხრილში. ახალგაზრდა სპორტსმენზე კი თბილისელები უკვე აღტაცებით ლაპარაკობდნენ.

პოლა, მოვიდა ჩვენთან მიშა ქორქია და ერთბაშად მოგვხიბლა ყველა შინაგანი კეთილშობილებით, სიდაჟიზით, მოკრძალებითა და თავისი გუნდის გამარჯვებისადმი ურყევი რწმენით.

თავდაპირველად თითქოს უხერხულად გრძნობდა თავს. იჯდა, ილიმებოდა მორიდებული ღიმილით და აღარ იცოდა, სად დაემალა თავისი დიდი ხელები.

მერე თანდათან გაიარა „უროთიერთდღევანეობა და ნიადაგის მოსინჯვის მომენტმა“ და საუბარით უფრო გულახდილი, მეგობრული ენა საინტერესო გახდა.

ჩვენ კითხვას კითხვაზე ვაყრიდით, ის ილიმებოდა და ცდილობდა ყველსთვის გაეცა პასუხი. და რატომღაც მგონია, იმ წუთებში თვითელი ჩვენგანი ფიქრობდა, რომ კალათბურ-

თი ყველა სხვა სპორტზე უფრო ელვანტური სპორტია. ამ ფიქრის მიზეზი კი ჩვენი სტუმარი იყო, მისი საზრიანი, გონივრული სიტყვა-პასუხი, ვარგისობა და ნათელი, საოცრად კეთილი ღიმილი. ამ ღიმილში ჩანდა ბიჭის შეურყენელი, ხალასი ბუნება.

თითქმის ყველაფერს ეხებოდა ჩვენი საუბარი: მწერლობას, თეატრს, კინოს, წყალბურთს, რომელიც კალათბურთის შემდეგ ყველაზე უფრო ყვარებია მიშას. ბოლოს ისევ და ისევ კალათბურთს ეუბრუნდებოდით ყველანი, ისევ და ისევ კალათბურთის ირგვლივ, მის გარშემო ტრიალებდა ყველაფერი.

მერე მიშას შევეკითხეთ, რა პერსპექტივები აქვს „დინამოს“ წლეულს და გუნდის ადრინდელი წარუმატებლობის მიზეზად რა მიგაჩნიაო. მან წაიპასუხა:

— ერთხანს მართლაც გვიბერდა, შემადგენლობა ძლიერი გვეყავა, მაგრამ გუნდს აკლდა ერთსულოვნება, გამარჯვების წყურვილი. ახლა გუნდი აღმავლობის გზაზეა, შესანიშნავი კოლექტივია, მეგობრული. ბევრი კარგი ახალგაზრდა სპორტსმენი გვეყავს გუნდში. და წელს, ჩემი აზრით, შეგვიძლია გავხდეთ ჩემპიონები. ოღონდ ერთი პირობით...

— რა პირობაა ეს?  
— თუ ახლა ერთი თამაში მაინც მოვუგეთ ცსკ-ას. იმიტომ რომ, ყველაზე ძლიერ მოწინააღმდეგედ მაინც ის მიმაჩნია.

გუნდის ასეთი აღმავლობის მიზეზი რომ ეკითხეთ, უყუყუანოდ მოგვიგო:

— ეს მწვრთნელების გიორგი ავალიშვილისა და ლევან ინწკირველის დამსახურებაა. განსაკუთრებით კი ლევან ინწკირველის. ლევანი კალათბურთის ვირტუოზი იყო, მაგრამ არანაკლებია, როგორც მწვრთნელი. შესანიშნავად არჩევს თამაშს და ჩვენც ბევრ რამეს გვასწავლის.



და რაც მოავარია, ჩვენ გვჭერა მისი, თვითუ-  
ლი ჩვენგანი ვრძნობს მის მზრუნველობას,  
მეგობრულ სიტბობს.

და ამას რომ ამბობდა, უნებურად თვალწინ  
დამიდგა ერთი პატარა დეტალი, რაც თამაშის  
ყურებისას შევნიშნე: წითშესვენების დროს ლე-  
ვან ინწყირველს ვარს შემოხვეოდნენ სპორტ-  
სმენები. ლევანი მიითითებს აძლევდა მათ, სწრა-  
ფად ლაპარაკობდა და თან მარჯვენას ალერსია-  
ნად უთათუნებდა თვითუფლს, თითქმის ამით  
სურდა დაემშვიდებინა, დაეწყნარებინა დაძაბუ-  
ლი, ავზნებული სპორტსმენები. ისინიც თვალბე-  
ში შესიქვროდნენ და ჩანდა, რა გულსუსტით,  
მონღოპმებით უსმენდნენ მწვრთნელის რჩევა-  
დშიბეგბას.

ეს მეგობრული, დამამშვიდებელი ალერსი კი,  
როგორც შევატყუე, განსაკუთრებით მიანც მიშა  
ქორქიას სჭირდებოდა, რადგან ადვილი შესამჩ-  
ნევი იყო, რომ ყველაზე მეტად სწორედ ის ნე-  
რვიულობდა, ფიცხობდა და ზოგჯერ თითქოს წო-  
ნასწორობასაც ჰქარავდა. ამაში „დამნაშავე“  
უთუოდ ცხრამეტი წელიც იყო. როცა ვკითხვთ,  
ყველაზე უფრო რომელი სპორტსმენი მოგწონ-  
სო, სწორედ ცხრამეტი წლის ბიჭისთვის დამა-  
ხასიათებელი უშუალოდობა და თავგამოდებით  
გვიპასუხა მიშამ:

— ლევან მოსეშვილი. ლევან მოსეშვილი ჩემი  
იდელია როგორც სპორტში, ისე ცხოვრებაში.

და სახეგაბრწყინებელი, საოცარი სიტბოთი  
და სიყვარულით, გვიხსნიდა, რატომ არის ლე-  
ვან მოსეშვილი შესანიშნავი სპორტსმენი, შესა-  
ნიშნავი ადამიანი და რატომ უყვარს ასე.

მერც, როცა ვილაკამ კვლავ ახსენა ლევან  
მოსეშვილის სახელი, მიშას ისევ გაუნათდა სა-  
ხე:

— ო, ლევანი ჩემი უსყვარლესი ადამიანია!  
ასეთივე სიყვარულითა და სიტბოთი ლაპა-  
რაკობდა იგი თავის თანაგუნდელებზე, თავის  
თანატოლებზე, ვეტერანებზე.

— გურამ მინაშვილი წვეთ-წვეთად გაიდებდა  
სისხლს მოედანზე. იგი ალბათ ყველაზე თავგან-  
წირული მოთამაშეა ქართველ კალათბურთელ-  
თაგან... გლურჯიძე, ჩემი აზრით, საუკეთესო  
ტექნიკის მქონეა საბჭოთა კავშირში; საკანდე-  
ლიძეს კი უხვი ბუნებრივი მონაცემები აქვს:  
იგი უძლიერესია საბჭოთა კავშირში და მთელს  
ევროპაში. ჩვენი ქვეყნის ნაერებში ყოველთვის  
დარჩება საკანდელიძე და ალალაუსკასი (ვგუ-  
ლისხმობ რამდენიმე წელს). ძალიან მომწონს  
ვოლნოვის ტექნიკა, ტომსონის შეუპოვრობა.  
პირადად მე თამაში ყველაზე უკეთ ალთაბაე-  
თან გამომდის.

ეთბოვეთ, თავისი აზრი გამოეთქვა საბჭოთა  
კავშირის ნაერებზე.

— ჩვენი ნაერები ღირსეულად გახდა მსოფ-

ლიო ჩემპიონი მით უფრო სასიხარულოა თქვენთვის  
ახლანან საქართველოს ნაერების გამარჯვებასა.  
ბჭოთა კავშირის ნაერებზე.

ამ სიხარულის მოწმენიც ვიყავით. მიშა პატა-  
რა ბავშვებით ხტოდა ადვილზე და ხელებს იქ-  
ნევედა. ხოლო სათადარიგო სკამზე როცა იჯდა  
და ალთაბაეშა ორი ქულა მოუტანა გუნდს, მი-  
შა მალა შეხტა, მერე თანაგუნდელს მივარდა  
და გადაიოცნა..

მაგონდება, „კომუნისტში“ რომ ეწერა მიშა-  
ზე: „მიხეილ ქორქია არის უდავოდ უნიჭიერესი  
კალათბურთელი, რომელსაც უნარი შესწევს  
ქორქიების გვარის შესაფერი ფურცელი ჩაე-  
როს ქართული კალათბურთის ისტორიაში, ნუ  
მიწყენენ ნურც მ. ქორქია და ნურც მისი გულ-  
შემატციერები, მაგრამ იმისათვის, რომ იგი გახ-  
დეს დიდი კალათბურთელი, ჩვენი რწმენით, უნ-  
და ისწავლოს თავისი ვრძნობებისა და ტემპერა-  
მენტის დაცემა. ალბათ დრო და ასაკი ამათაც  
მოუვლის.“

რა თქმა უნდა, ძნელია ცხრამეტი წლის ასა-  
ში სიხარულით არ აფორიაქდე ან სიმწრით  
იატაქზე არ გაიშოტო ბურთიანად. მით უფრო  
ნაშინ, როცა გუნდი დამარცხებული სტოვეებს  
მოედანს („აჰ დროს დანა რომ დამარცხეთ,  
წვეთი სისხლი არ გამოიშვია“). დროთა ვითარე-  
ბაში ალბათ მიშაც ისწავლის, როგორ დიოკოს  
თავისი ვრძნობები და ტემპერამენტი, რადგან  
მას მართლა სწავლია იყოს კარგი სპორტსმენი,  
კარგი კალათბურთელი.

— მინდა, მედლიერ-ტექნოლოგი გავხდმ. ჭერ  
კი, რასაკვირველია, ძალიან მინდა ვიყო კარგი  
კალათბურთელი.

მიშა წარსულში სახელგანთქმული კალათ-  
ბურთელის ოთარ ქორქიას მისწვილია, მართა-  
ლია, თვითონ მიშა არ მოსწრებია ბიძამისის თა-  
მამს, მაგრამ „მემკვიდრეობითა სიყვარულმა“  
სპორტის ამ სახეობისადმი ალბათ დიდი როლი  
იამაშა, რომ მისწვილი ბიძის კვალს გაყო-  
ლოდა. 12 წლიდან მიშა უკვე თამაშობს კალათ-  
ბურთს ქუთაისის სპორტკლუბში, მწვრთნელ  
თორთლაძის ხელმძღვანელობით. მერე საბჭოთა  
კავშირის ჰაბუტთა ნაერებში მოხვდა, მერე საბ-  
ჭოთა კავშირის ნაერებშიც:

— ყველაზე ტბილად 1966 წლის ევროპის  
პირველობაზე ჩიხებთან თამაში მაგონდება. გუ-  
ლით მინდოდა მოგვეყო ეს თამაში და მოვიგეთ  
კიდც. მერე ნაერებიდან გამომიყვანეს, „ჭერ  
ადრეა, გამოუცდელიაო“, მაგრამ თავს მოვიკ-  
ლავ და ნაერებში ისევ მოხვდებო.

მიშა დიდ მწიშენლობას აძლევს მწვრთნელის  
შეფასებას, პრესაში გამოქვეყნებულ წერილებ-  
საც. მაგრამ ისიც ესმის, რომ:

„ისევ ვითამაშებ ნაერებში“

—სპორტმენმა ქება უოველთვის „ცოტა გა-  
დაკარბებულად“ უნდა ჩათვალოს და ქებისგა-  
ნაც ისე უნდა სწავლობდეს, როგორც შენიშვნი-  
საგან.

ამას გარდა: — სპორტმენმა დიდ წარმატებას  
რომ მიაღწიოს, აუცილებელია, ბუნებრივი მო-  
ნაცემების გარდა, ყოველდღიური შრომა, ვარ-  
ჯიში.

კარგია, რომ ესეც ახალგაზრდა სპორტსმენის  
სიტყვებია. მივას აზრით:

— ჭერ, მართალია, ფართო მაყურებელი არ  
იცნობს თამაშ ჩიხლაძეს, ვფაა ქუთათელაძეს,  
მაგრამ ისინი კარგი მომავლის მქონე კალათ-  
ბურთელები არიან... აუცილებლად გვეპირდება  
ერთი მაღალი ტანის, ლეჟავას მსგავსი მოთა-  
მაშე.

რედაქციის ერთმა თანამშრომელმა ხუმრობით  
ჰკითხა: ისე, თქვენს გვარში ყველაზე პატარა კა-  
ცი რა სიმაღლისააო. მივამ დიმილითვე უპასუ-  
ხა, ყველაზე დაბალი კაცი მამაჩემია, იგი 1.89  
სანტიმეტრიაო.

სიმაღლით არც მიშა დაუჩაგრავს ბუნებას,  
იგი 1.98 სანტიმეტრია, მაგრამ კალათბურთისთ-  
ვის ძალიან მაღალ კაცად მაინც არ ჩაითვლება.  
ის კი არადა, როცა მოედანზე უყურებ ისეთი  
გიგანტების გვერდით, როგორებიც ლეჟავა,  
კრუმინში ან კოვალენკოა, მიშა ტანმოორჩილიც  
კი მოგეჩვენება.

ახლა, როცა თბილისის „დინამოს“  
ბურთელები ჩემპიონები გახდნენ, როცა მილო-  
ცეები, საზეიმო განწყობილება დაცხრა და შე-  
ნელდა, ვიგონებ თებერვლის იმ დღეს, როცა  
ჩვენთან, რედაქციაში იყო მიხეილ ქორქია.

— ჩვენ ახლა ისეთ ფორმაში ვართ, — თქვა  
მიშამ, — შეგვიძლია ჩემპიონები გავხდეთ. —  
მერე მოკრძალებული ღმილით დაუმატა: —  
ყოველ შემთხვევაში, ყველას ძალიან გვინდა  
გავიმარჯვოთ.

როცა მიხეილ ქორქიას ვუყურებდით, გვეჩე-  
როდა, რომ ახდებოდა მისი „წინასწარმეტყვე-  
ლება“.

ერთი შეხედვით ეს მოუქნელი, წყნარი, ღრწი  
ბიჭი მოედანზე ერთბაშად იცვლება. საოცრად  
სხარტი და ელასტიური ხდება. მაყურებელი  
გრძნობს, რომ იგი მთელ სულსა და გულს აქ-  
სოვს თამაშს და უნდა, აუცილებლად უნდა მე-  
ტოქესთან გამარჯვებული გამოვიდეს. და გამო-  
დის კიდევ. იგი თავისი შემტევი, ტემპერამენტია-  
ნი, ტექნიკური თამაშით და, რაც მთავარია, გა-  
მარჯვების უდიდესი სურვილით თითქოს მთელ  
„დინამოს“, მთელი გუნდის მანერას, მის სტილს  
განასახიერებს.

რაც შეეხება ნაერებში მის თამაშს, გვეჩვარა,  
რომ უახლოეს ხანებში მიხეილ ქორქიას კვლავ  
ვიხილავთ საბჭოთა კავშირის ნაერებში.

საუბარი ჩაიწერა ცინალ პრდუშელიან



# აქრონა

გუგამ გომართალი

## მაჩვი და მისი მკითხველები

ბეწვებუბულა, ჭკვიანი მაჩვი კეთილ საქმეს აკეთებდა: ლამაზ, დიდ ტყეში ფერად-ფერად ყურნალსა სცემდა. აი, ახლაც მაჩვი გულდასმით ჩაჰკირკიტებდა მასალებს — გაზაფხულის მობრძანებასთან დაკავშირებით საგანგებო ნომერს ამზადებდა. ფიქრებში გართულს არც შეუმჩნევია, როგორ მიუახლოვდა ყანჩა და წინ აეყვარტა.

— დაბრძანდით! — შესთავაზა რედაქტორმა.

— არ მინდა, ფეხზე დგომას ვარ მიჩვეული! — იუარა ყანჩამ და ჯიბრზე ცალი ფეხიც აიკეცა.

— რაზე გარჯილხართ? — შეაპარა კითხვა მაჩვმა.

— მე პატივსაცემი და დასაფასებელი ფრინველი ვარ, — თავის ქნევით განაცხადა ყანჩამ, — თქვენს მხარეში იმიტომ მოეფრინდი, რომ თბილად ვიყო, უზრუნველად...

— ვიცით, ბატონო!.. — შეაწყვეტინა რედაქტორმა.

— თუ იცით, რატომ გამომწერეთ ყურნალში, რატომ გამამასხრეთ?

— სად? როდის? — გაიკვირვა მაჩვმა?

— სად და წინა ნომერში გიწერიათ:

თევზების საწყობის გამგედ სელაბი დანიშნეს და იქაურობა გაცალაო!

— მერე თქვენ რა შუაში ხართ?

— თევზების საწყობის გამგე მე ვარ!

— მაგრამ, ჩვენ გვიწერია, სელაბი დანიშნესო...

— სულერთია, საწყობი ერთადერთია და გამგე მე ვარ, ესე იგი, ჩემზეა ლაპარაკი.

— რას ბრძანებთ, თქვენ ხომ ყანჩა ხართ!

— ჰოდა, ახლაცე მომეცით ცნობა, რომ იმ ლექსში ხსენებული სელაბი მე არა ვარ და რომ მე ვარ ყანჩა.

— ჰმ... კი ბატონო, ახლაცე!.. — ჩაიბურტყუნა ბედშავმა მაჩვმა და ჩაფიქრდა.

მერე ტელეფონი აწკრიალდა.

— გისმენთ! — უპასუხა რედაქტორმა.

— ეს რა უმსგავსობაა, რა თავხედობაა. ამას არ გაპატიებთ, გიჩვენებთ!... — აკაკანდა ვილაცა სულმოუთქმელად.

— რაშია საქმე, ვინ ბრძანდებით?

— ვერა მცნობთ, არა?! ყდაზე ძალიან გამომხატეთ. გამაპოპოლოგიეთ ხომ! არა უშავს!

— არ იტყვი, ვინ ხართ?!

— ინდაური ვარ, ინდაური, უბრალო  
კი არა, მამალი, — აქულოპინდა ყურმი-  
ლი.

— მერედა, სად გამოგხატეთ?

— სად? აბა აილეთ ყურნალი, დახე-  
დეთ ნახატს!

— დავხედე. ზღვა და ჩამავალი მზევა  
გამოხატული.

— კი. ერთი შეხედვით მასეა. აბა,  
შემოაბრუნეთ ნახატი, დააფარეთ ორი-  
ვე ხელი ფურცელს, მოჭუტეთ ცალი  
თვალი და დააკვირდით მარცხენა ზედა  
კუთხეში დახატულ ღრუბელს! დააკ-  
ვირდით? არ ჰგავს აფხორილ ინდა-  
ურს?! არ გრცხვენიათ? ჩვენს მეტი ვე-  
რავენ ნახეთ მასხარად ასაგდები! გამო-  
გეხატათ ხოხობი, ფარშავანგი...

— კი მაგრამ, რატომ ატრიალებთ ყუ-  
რნალს, რატომ აფარებთ ხელს ნახატს...

— ვედარ მოითმინა რედაქტორმა.

— აპა!... წაკითხვას გეიშლით!? ხარა-  
შო!

ტელეფონი დადუმდა. კიდეც უფრო  
დაღონდა საბრალო მაჩვი. მერე მაგი-  
დაზე დაწყობილ ახლად მიღებულ ფოს-  
ტას შეავლო თვალი, ერთ-ერთი კონვე-  
რტი გახსნა. წერილს მელაია აწერდა  
ხელს. იქნებ ამან მაინც გამომხიარულოს  
გულიო, გაიფიქრა და ბარათის კითხვა  
დაიწყო.

„ვაქცავი რომ იყავი, ვიცოდი, მაგრამ  
ასეთი არ მეგონე. — წერდა მეგობარი  
მელია, — შენი ჰკუის და გამბედაობის  
ჭირიმე! ეს რა ჰქენი, ბიჭო, ლომის ხსე-  
ნებასაც ვერავენ ბედავდა, შენ კი რო-  
გორ ოსტატურად გაამასხრე. კარგად კია  
შენიღბული, მაგრამ მე იმწუთში მივხე-

დი. რა კოხტად წერ, რა გასაჩენი კიყო  
ლომიო“.

მაჩვმა კითხვას თავი მიანება და ის  
მასალა მოძებნა, რომელზეც მელია წერ-  
და. ასეთი ფრაზა ვერსად მონახა, მხო-  
ლოდ ერთგან ეწერა: „...სად იყო ამო-  
სარჩევი ბოქლომი“... მაჩვმა ღრმად  
ამოიოხრა და ბარათი გვერდზე მიავლო.

ახლა ისევ ტელეფონი აწკრიალდა.

— გისმენთ!

— ხა-ხა-ხა! რედაქციაა?

— გახლავთ!

— ერთი, გეთაყვა, აგვიხსენით, რას  
ნიშნავს „კლიმისტარი“! ხა-ხა-ხა!

საწყალი მაჩვი სულ მოიკუნტა, წარ-  
ბი წარბში გაუყარა.

— ვერ გაიგეთ? — გაისმა ისევ ყურ-  
მილში, — წაიკითხეთ მეექვსე გვერდზე!

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— კეთილის მსურველი.

— მერე ამ კორექტურის მეტი ვერა-  
ფერი ნახეთ ყურნალში საინტერესო?

— ხა-ხა-ხა! კორექტურაო!

— დიახ! კორექტურაა. ჩვენც ცხოვე-  
ლები ვართ, ადამიანები კი არა, შეუც-  
დომლად რომ ვიმუშაოთ, კორექტურა  
გაგვეპარა.

— კორექტურა კი არა, მუშაობა არ  
შეგიძლიათ, ჰკუა არ გყოფნით. სხვას  
დაუთმეთ ეგ ადგილი, სხვას! ხა-ხა-ხა!

საწყალ მაჩვს სულ აებნა თავგზა. აბა,  
რადას მოიფიქრებდა საგაზაფხულო ნო-  
მრისთვის! თავი ჩაჰკიდა და დაფიქრდა,  
მწარედ დაღონდა.

ეჰ, კიდეც კარგი, ეს ამბავი ტყეში  
ხდება, ცხოველებთან. იფიქროს და რა-  
მე იღონოს მაჩვმა, მეტი რა, საქმე აქვს!  
ასე არ არის, პატივცემულო მკითხვე-  
ლო?!





# მსჯილან

ა უ მ

## ვინ მოკლავ მირილინ მონრო?

ექვსი წლის წინათ ტრაგიკულად დაიღუპა ამერიკელი კინომსახიობი, პოლიუდის ვარსკვლავი მერილინ მონრო.

რამ იმსხვერპლა იგი — უბედურმა შემთხვევამ თუ თვითმკვლელობამ?

ამერიკელმა ჟურნალისტმა ჩარლზ ჰემბლეტმა ახლახან გამოცა წიგნი „ვინ მოკლავ მერილინ მონრო, ანუ გალია, რომელშიც აზრებს ატყვევებენ“. ავტორი აშკარად ახახულებს იმ სოციალურ მიზეზებს, რომლებმაც მერილინი თვითმკვლელობამდე მიიყვანა.

მერილინ მონრო ძილის პრეპარატის დიდი დოზით მიღების შემდეგ დაიღუპა. როდესაც ეს ამბავი მისმა ყოფილმა ქმარმა, არტურ მილერმა შეიტყო, განაცხადა: „გვრძობდი, ეს უნდა მომხდარიყო, არ ვიცოდი როდის და როგორ, მაგრამ უხათუოდ კი უნდა მომხდარიყო. მკვლელობამდე თვენახევრით ადრე, სწორედ მაშინ, როდესაც მერილინის უარი უთხრეს ეთამაშა ახალ ფილმში „რადაც უნდა გასცე“, დავურეკე და მოვიკითხე: „მერილინ, ძვირფასო, რაღა გეშველება?“ პასუხად ქვითინი მომესმა, როცა დამწვიდდა, მითხრა, რომ იცხოვრებდა მარტო და შეცდებოდა დავიწვიებინა ყველაფერი.

მაგრამ სუსტი ნებისყოფის ქალიხათვის არცთუ ისე იოლი აღმოჩნდა ამგვარი ტრავმის გადატანა. ლოს-ანჯელოსში,

თავის პატარა სახლში, ის, ყველაგან მივიწყებული, მარტო ცხოვრობდა. ქუჩაში გამოსვლასაც კი ერიდებოდა. დევწო საშინელი თავის ტკივილები, უძილობა, არ შეელოდა არავითარი ძილისმომგვრელი საშუალება, ღამით დგებოდა და სასოწარკვეთილი მეზობლებს შესჩიოდა: „ვერ ვიძინებ! ვერ ვიძინებ!“ მაგრამ მისთვის არავის ეცალა.

მერილინს არ ღირსებია ნორმალური ბავშვობა, არ განუცლია მშობლიური აღერსი. სასტიკად დამაბული ცხოვრება ჰქონდა, საკუთარი არაფერი გააჩნდა — იგი საზოგადოების საკუთრებას წარმოადგენდა, მასში მხოლოდ ქალს ხედავდნენ. აღარ ჰყავდა საყვარელი ქმარი, ემსხვრეოდა კარიერა და ყველაზე კრიტიკულ მომენტში არ აღმოაჩნდა მეგობარი, რომელსაც დარდს გაუზიარებდა.

და ქალი, რომელიც სილამაზის სიმბოლო იყო, სულ მთლად მოეშვა, თავის გარემონაბუნეც აღარ ზრუნავდა.

მსახიობის დაკრძალვაზე, მისმა ერთ-ერთმა ყოფილმა ქმარმა ჯო დი მაგიომ ცხედართან ვერ მიუშვა მერილინის პოლიუფრეზული მეგობრები: თქვენ რომ ადრე მოსულიყავით, იგი ცოცხალი იქნებოდაო.


რუქისორმა პენრი ჰეტაუეიმ გაიხსენა: „როდესაც ვიღებდი ფილმს „დამიანური ვნებების ტვირთი“ (მოემის მიხედვით), ძალიან მინდოდა მთავარ როლში მერილინ მონროს მოწვევა, მაგრამ დირექციამ სასტიკი უარი მითხრა: „როგორ დამდეგს მონრო ასეთ სერიოზულ

როლს, ის ხომ კომიკური როლების შემსრულებელია!“ თანხმობა რომ ეთქვათ, მერილინი არ დაიღუპებოდა. ეს როლი მას საკუთარი თავისადმი პატივისცემით ალავებდა. ვფიქრობ, მერილინმა იმიტომ მოიკლა თავი, რომ არ მისცეს საშუალება გაზრდილიყო როგორც მსახიობი. მას გულით უნდოდა დაემტკიცებინა, რომ გარდა კომიკური როლებისა, შეძლებდა სერიოზული როლების შესრულებასაც. იგი ბრწყინვალე იქნებოდა გრუშენკას როლში (დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“), მაგრამ ვის აინტერესებდა ეს? ვის შესტიკოდა მსახიობზე გული?

... პოლიუფრეზი ხომ გალიაა, რომელშიც აზრებს ატყვევებენ და სწორედ მან მიიყვანა მერილინ მონრო თვითმკვლელობამდე.

## „გედის სიღმრატ“

გასულ წელს გარდაიცვალა ცნობილი ამერიკელი კინომსახიობი სტენსერ ტრეისი. ამერიკელმა კინოკრიტიკოსებმა სტენლი კრამერის ახალ ფილმს „გამოიცანი, ვინ მოვა ჩვენთან დღეს“, სტენსერ ტრეისის გედის სიმღერა შეარქვეს. მართალია, „გამოიცანი, ვინ მოვა ჩვენთან დღეს“ განსაკუთრებული ფილმი არ არის, მაგრამ ათასობით მაყურებელი თვალცრემლიანი ემშვიდობება ამერიკელი კინომსახიობის სტენსერ ტრეისის ხელოვნებას.



**ლერიო ჯონსი და  
ამერიკული  
„მართლმსაჯულება“**

ამერიკის შერთებულ შტატებში გასამართლეს ცნობილი ზანგი დრამატურგი და პოეტი ლერიო ჯონსი. გასულ წლის 14 ივლისს ქალაქ ნიუ-იორკში, ზანგების აჯანყების დროს ჯონსი დააპატიმრეს. მას დააბრალეს იარაღის „არაკანონიერი“ ტარება, მაგრამ ეს მხოლოდ საბაბი იყო.

ლერიო ჯონსის დასაცავად პროგრესულმა მწერალმა და პუბლიცისტმა ჯოზეფ ნორტმა გაზეთ „უორკერში“ მოათავსა სტატია „ლერიო ჯონსის საქმე“, სადაც წერდა, რომ ზანგი მწერლისადმი ასეთი მოპურობა სამარცხვინოა ამერიკისათვის“. მან მოუწოდა ყველა თეთრკანიან მწერალს, მოითხოვოს ჯონსის საქმის ხელახალი გადასინჯვა. „რატომ არ გამოდიან მწერლები ჯონსის დასაცავად? — წერდა ნორტი — რატომ სუფევს სამარისებური სიჩუმე? ნთუ მხოლოდ იმიტომ, რომ ჯონსი ზანგია?!”

ჯოზეფ ნორტის, რობერტ ჰოვერის და პოეტ უოლტერ ლოუნგფელსის ინიციატივით შეიქმნა ლერიო ჯონსის დამცემი კომიტეტი, რომელმაც მოითხოვა არაკანონიერი სასჯელის ხელახალი გადასინჯვა. (ჯონსს მიესაჯა ორ წელიწად-ნახევარი პატიმრობა და 1000 დოლარი ჭარიმის გადახდა).

ციხეშიც და სასამართლო-ზეც ჯონსს მამაცურად ებრძოდა თავი. განაჩენის მოსმენის

შემდეგ მან მოსამართლეს განუცხადა: „ეს არ არის სასამართლო და თქვენ არა ხართ მართლმსაჯულების წარმომადგენელი, თქვენ დამპალი საზოგადოების წარმომადგენელი ბრძანდებით“.

**ბულბარეთი**

**შანდორ სოკოლაის  
ახალი ოპერა**

ახალგაზრდა ნიჭიერი კომპოზიტორი შანდორ სოკოლაი მუშაობს ოპერა „ჰამლეტზე“ — შექსპირის მიხედვით. მუშაობის პერიოდში აზრის გასაზიარებლად სოკოლაიმ იმოგზაურა სხვადასხვა ქვეყანაში და ესაუბრა იქაურ ცნობილ ლიტერატურათმცოდნეებს, შექსპირის შემოქმედების მკვლევარებს, ჩავიდა შექსპირის სამშობლოში, სადაც თეატრის სცენაზე ნახა „ჰამლეტი“. რამდენჯერმე დაესწრო კინოფილმ „ჰამლეტს“ ლოურენს ოლივიეს მონაწილეობით.

შანდორ სოკოლაი ოპერა „სისხლიანი ქორწილის“ ავტორია. როგორც საზღვარგარეთის პრესა იტყობინება, „სისხლიანი ქორწილი“ დიდი წარმატებით იდგმება საზღვარგარეთ. მიმდინარე წელს იგი შეტანილია ლენინგრადის, კიევის, ოდესის, ტულუზის (საფრანგეთი), ვარნის (ბულგარეთი) ოპერის თეატრების პროგრამაში.

მომავალი წლისათვის მისი პროგრამაში შეტანა გადაწყვეტილი აქვთ ვარშავისა და პო-

ზნანის, ლოს-ანჯელოსის, ბოსტონის და ლონდონის თეატრებს.

**ინგლისი**

**უბრალო აღამინამებს**

გაზეთ „მორნიგ სტარის“ კორესპონდენტმა ჭერი კონენა ინგლისის ქალაქ ოლდემში ინახულა ახალგაზრდა ნიჭიერი მოქანდაკის არტურ დულის გამოგენა, რომელმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. „მეტად საინტერესო და შთაბეჭედავია ის ქანდაკებები, — წერს კონენი, — რომლებიც გამოხატავენ თანამედროვე აღმიაზნების ტანჯვასა და იმედებს. ამ ნამუშევრებისადმი გულგრილი ვერ დარჩები. ახალგაზრდა მოქანდაკის მთელი შემოქმედება უბრალო აღამინამებს ეძღვნება“.

განსაკუთრებით უურადღებავს იქცევს კომპოზიცია „დახალ“. კომპოზიციის ცენტრშია ჭვარცმული ქრისტი. ამ ნამუშევრებზე თვით დულიმ აღნიშნა: „მე მინდოდა „დახალში“ გადმომეცა არა მარტო შიტლერული კონკლავერების მსხვერპლთა ტანჯვა, არამედ გადმომეცა იმ აღამინამების გარკვევები, რომელთაც წილად ხვდათ მძიმე განსაცდელი ჩვენს დროშიც. ერთ-ერთი ღირშესანიშნავი ქანდაკება მშვიდობას, ვიეტნამის თემას ეძღვნება.“

კომუნისტ მოქანდაკის, არტურ დულის ყველა ნამუშევარი მგზნებარე ოტპიმიზმითაა გამსჭვალული.

ჯარკანი და ტიტულო თ. შირაშვილის, ო. ჭიშკარიანის.

ქურნალი ვაფორმა ჯ. ხუციშვილმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბღუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლტანოვის ბროსი. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ/მ. მდივნის — 95-08-86. განყოფილებების: პოეზიის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-35. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-8ა.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/IV-68 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეეც. № 1972. უე 02227. ტირ. 17 500.

საქ. კვ ცკ-ის გამოცემლობის პოლიგრაფკომბინატი. თბილისი, ლენინის 14.

8 109/121



ՅՆՆ 60 ՅՅ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

издательство

«М Е Р А Н И»

ИНДЕКС 76236